

**წმინდა მღვდელმოწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელო კრებული**

**ტროპარი:** *რომელთა მრავალნი წყლულებანი დაითმინენით და უკანასკნელ მოიკლვენით ქრისტესთჳს, წმიდანო ახალმოწამენო ქართველთა ერისანო – ნაზარი, გერმანე, იეროთეოზ, სვიმონ, ბესარიონ და ყოველნო უკანსკნელსა ჟამსა მოწყვედილნო უღმრთოთაგან, ჩუენთჳსცა ევედრენით უფალსა, ნეტარნო, რაჲთა მშვიდობა ჰყოს სამწყსოჲსა და ერისა ქრისტეანეთასა, რამეთუ გაქუსთ კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა.*

**კონდაკი:** *მჴნესა მოწამესა ნაზარის და სულიერთა ძმათა მისთა და მათთანა ახალმოწამეთა პატივს-ესცემდეთ, ვითარცა ახალნერგთა ზეთისხილისათა, რამეთუ ნეტარ არს მიწაჲ იგი, რომელი განიპოხა სისხლითა მათითა, და წმიდა – სამარხნი იგი, რომელთა შეიწყნარნეს გუამნი მათნი: ამისთვისცა გამოსჩნდეს ერისა ჩუენისა სიქადულად.*



იველონის ღმრთისმშობლის ხატის ასლი, გამოგზავნილი ათონის მთიდან
მღვდელ სიმონ მჭედლიძის ოჯახისათვის წარწერით:
„ეგზავნების ხატი ესე მამა სვიმონ მჭედლიძეს კურთხევითა...“

# წმიდა ახალმოწამე
# მღვდელი
# სიმონ მჭედლიძე

წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო დამანა მელიქიშვილმა

თბილისი
2017

იბეჭდება სხალთის მთავარეპისკოპოსის – სპირიდონის ლოცვა-კურთხევით

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი

რედაქტორ-გამომცემელი: დამანა მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ტექნიკური რედაქტორი: ალეკო ჯიქურიძე

© სხალთის ეპარქია, 2017
© დამანა მელიქიშვილი, 2017

ISBN 978-9941-0-9932-8

დაიბეჭდა და აიკინძა სტამბა სეზანში

# სარჩევი


წინასიტყვაობის მაგიერ ........ 5
ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან ........ 18

მღვდელმოწამე სიმონის წარმომავლობა, ცხოვრება და მოღვაწეობა ........ 23

მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის საზოგადოებრივი, საგამომცემლო-ლიტერატურული და სასულიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ........ 33

- დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და საზოგადოებრივი გაზეთი „შინაური საქმეები“ და „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა წმიდისა გიორგისა“ ........ 37

მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სტატიები გაზეთ „შინაურ საქმეების“ ფურცლებზე ........ 69

ქადაგებები, სიტყვები, წერილები სტატიები საჭირბოროტო საკითხებზე ........ 131

წერილები თედო ჟორდანიას ........ 157

მღვდელ სიმონ მჭედლიძის 1907-1914 წლებში გამოცემული წიგნები ........ 165

- ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში ........ 170
- სინამდვილე სახარებისა ........ 202
- წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ნაშრომების პუბლიკაციები ........ 253

მოგონებები ........ 256

მღვდელმოწამე სვიმონ მჭედლიძის გენეალოგია ........ 295

საოჯახო ალბომი ........ 297

## წინასიტყვაობის მაგიერ

წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის თვალის მიდევნება ჟურნალ-გაზეთებში პუბლიკაციებისა და იმ ნაშრომების მიხედვითშეიძლება, რომლებიც თითქმის ბოლო დრომდე აკრძალული ლიტერატურის ფონდებში ინახებოდა – არქივებისა და ბიბლიოთეკების სარდაფებში. ხოლო, რაც კი ოჯახში დარჩათ, მთელი მისი ნამოღვაწარი (წიგნები, შრომები, სტატიები, ხელნაწერები, გაზეთ. „შინაური საქმეებისა" და ჟურნალ „განთიადის" კომპლექტები) განადგურდა: მისი დახვრეტის შემდეგ ყველაფერი გადამალეს სიმონ მჭედლიძის მამიდაშვილის – კოტე ფოცხვერაშვილის სიმამრის, მელიტონ კელენჯერიძის, სახლის სხვენზე, რომელიც დაიწვა. ასე რომ, ღვთისაგან ნაბოძები ის „ტალანტი", რომლის გაერცელება-გამრავლება წარმოადგენდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სასიცოცხლო მიზანს და, რომლსაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა (და ეს იყო ქართული საზოგადოების ქრისტიანული ზნეობის საფუძველზე აღზრდა) ათეული წლების განმავლობაში ქართველებისათვის დამარხული და აკრძალული იყო.

1995 წელს, როდესაც პირველად გამოიცა წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ნაშრომების არასრული კრებული, წიგნის ანოტაციაში აღვნიშნავდით, რომ 1908 წლის აპრილში, დასავლეთ საქართველოს ეპარქიის დედაქალაქ ქუთაისში, სადაც იმ დროს დუღდა კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმული მღვდელი, სიმონ მჭედლიძე, აარსებს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივ გაზეთს –„შინაური საქმეები", შემდეგ კი „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობას", რომლის სტამბაში, გარდა ამ გაზეთისა, იბეჭდებოდა განმანათლებლური, ქრისტიანული აპოლოგეტური და პოლემიკური ხასიათის ლიტერატურა, წიგნები და სახელმძღვანელოები... ამ პუბლიკაციების დანიშნულება იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმტკიცება სასტიკად მოძალებული ათეისტური იდეოლოგიითა და მოძღვრებებით გზააბნეულ ერში... ვფიქრობდი, რომ გაზეთის დამაარსებლისა და რედაქტორის,

მღვდელ სიმონ მჭედლიძის პუბლიკაციები, რომლებშიც მაშინდელ, 90-იანი წლების მკითხველებს უთუოდ ბევრი რამ ენიშნებოდათ და დააფიქრებდათ იმ წარსულიდან. ეს სტატიები დღევანდელობასაც ესმაურებიან და ბევრ კითხვას სცემენ პასუხს... მაშინ, 20 წლის წინ, მე-20 საუკუნის დასასრულს, ვწერდი: „იქნება ახლა, საუკუნის დასასრულს მაინც შევისმინოთ რწმენისა და ერისათვის თავდადებული და წამებული ჭეშმარიტი მოძღვრის შეგონებანი, რომლებსაც, სამწუხაროდ, საუკუნის დასაწყისში ყური არ მიუგდო ერმათ..." მაგრამ, სამწუხაროდ, საუკუნის დასასრულმაც არ გაგვიმართლა...

იქნებ ახლა მაინც, უკვე მეორე ათასწლეულის, 21-ე საუკუნის დასაწყისში, მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის შეგონებები და გაფრთხილებები მისწვდეს ერისა და მისი მესვეურების არა მხოლოდ ყურს, არამედ გულსაცა და გონებასაც...

**რედაქტორი**
**1995-2015**

*არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო,*
*არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო!*

„რუის-ურბნისის ძეგლისწერა“

საქართველოს ისტორიამ ქრისტიანული რჯულისთვის წამებული არაერთი სახელი შემოგვინახა. ღვთის განგებით გამორჩეული ეს მოწამენი სწორედ ისეთ დროს მოევლინებოდნენ ხოლმე ერს, როდესაც იგი სულიერ შეჭირვებას განიცდიდა და დაცემის გზაზე იდგა, როდესაც ამა თუ იმ დროის საჭეთმპყრობელნი „მრავალთა აცდუნებდნენ და გარდასდრეკდნენ გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისასა: ზოგს – მძლავრებით, ზოგს შეტყუევილით, რომელთამე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელთამე მზაკუვარებით, მანქანებითა მით საცთურებისათა“... სწორედ „ესევითარსა ჟამსა შინა“ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ახოვნად წმიდა მოწამენი, რომელთა თავგანწირვა სულიერად განამტკიცებდა და განაცხოველებდა „მძლავრებასა ქუეშე დამონებულ, სიგლახაკითა შეკრულ, ხარკსა ქუეშე გუემულს, შიშით განლეულსა“ და ძლიერ ქართაგან ლერწამივით მერყევ ერს...

ჩვენ ვიცით იმათი სახელები – არაბთა მონღოლთა, სპარსთა თუ თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდით სახელები ჩვენი დროის ახალმოწამეებისა, რომელთა მოწამებრივ აღსასრულს ერთი თაობის მანძილი თუ გვაშორებს. ამ ღირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მოხდილი ვალის მოხსენიება კი გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად, რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა, არამედ უფრო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე და გზააბნეული ახალგაზრდობის სულის გასაცხოველებლად და აღსაზრდელად...

იმ თაობის ზოგმა ცნობილმა მოღვაწემ რწმენის უარყოფის, კონფორმიზმისა და კომპრომისების გზით (რაც მათთვის, ალბათ, არანაკლებ მძიმე ჯვარი იყო) სიცოცხლე შეინარჩუნა და ამ ქვეყნად დამსახურებული პატივიც მოიპოვა გაწეული ღვაწლისათვის, რადგანაც დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა, რომელზედაც თაობები აღიზარდნენ და აღიზრდებიან.

ჩვენ, ამგვარი კომპრომისების მაგალითზე გაზრდილებმა, სამწუხაროდ, არაფერი ვიცოდით იმათზე, ვინც სხვა გზა – რწმენისათვის მოწამებრივი სიკვდილის გზა გაიარა. იმათზე, რომელთაც არა მარტო სიცოცხლე გასწირეს, არამედ ის შესაძლებლობანიც და მომავალი დიდი საქმენიც, წინ რომ ელოდათ, რომელთა გასაკეთებლადაც ძალი და ნიჭი შესწევდათ...

სამწუხაროდ, ქართველმა ერმა დღემდე ვერ შეიცნო და ვერ გაიაზრა მათი მოწამებრივი აღსასრულის მნიშვნელობა: ერთი იმიტომ, რომ ეს მხარე მისთვის დიდხანს, წლების მანძილზე დაფარული იყო და საიდუმლოებით მოცული, მეორეც – ამ გზის მნიშვნელობის გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდებოდა...

და ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ მოწამებრივი გზის მნიშვნელობის გაცნობიერებაა ერის სულიერი და ზნეობრივი გადარჩენისა და ხსნის ერთადერთი სწორი ორიენტირი. ეს ორიენტირი კი დაიკარგა ჩვენი ბოლოდროინდელი ისტორიის მანძილზე და სწორედ ამან მიიყვანა ჩვენი საზოგადოება ზნეობრივ დაცემამდე. მაგრამ ეს ზნეობრივი დაღმასვლა მხოლოდ საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ისტორიის მანძილზე არ მომხდარა... უფრო შორს რომ არ წავიდეთ, XX საუკუნის დასაწყისში ათეიზმით დაავადებული ქართველი საზოგადოების სულიერი მდგომარეობის წარმოსადგენად 1907 წელს ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის ფაქტიც კმარა.

და შემთხვევითი არ არის, რომ ილიას მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1908 წლის აპრილში, გაბრიელ ეპისკოპოსისაგან ხელდასხმული მღვდელი, *სიმონ მჭედლიძე,* ქუთაისში, სადაც მაშინ დუღდა კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება, აარსებს „სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივ" გაზეთს, რომელიც აგრძელებს ილიას გზას და მიზნად ისახავს რწმენადაკარგული, დაბნეული და პარტიებად დაქსაქსული საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივს აღზრდას, ქართველთაგან თითქმის მიეიწყებული და უგულვებელყოფილი ქრისტეს სჯულისა და მცნებების, ქრისტიანული ზნეობის კვალად-გებასა და აღდგინებას. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ გაზეთის რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დახვრიტეს ილიას მკვლელობიდან 17 წლის შემდეგ მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასთან და სამღვდელო კრებულთან ერთად... ესენი იყვნენ: დეკანოზები – გერმანე ჯაჯანიძე და იეროთეოზ ნიკოლაძე, პროტოდიაკვანი– ბესარიონ კუხიანიძე...

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში მოძიებულ „სრულიად საიდუმლო" მასალების მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ ამ წმინდა მღვდელმოწმეთა ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეები...

ნაზარი მიტროპოლიტს ბრალად ედებოდა საეკლესიო განძეულობის გადამალვა და გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი მიმართვაში მო-

ნაწილეობა. ჯერ დახვრეტა პატიმრობით შეუცვალეს, მაგრამ, ამნისტიის საფუძველზე, ორი წლის შემდეგ, 1924 წლის აპრილში გაათავისუფლეს ციხიდან. იგი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, მაგრამ არ შეუშვეს სამიტროპოლიტო რეზიდენციაში და მღვდელმთავარი იძულებული გახდა თავისი ძმის ოჯახში შეეფარებინა თავი... ულრტვინველად ატარებდა მიტროპოლიტი ნაზარი თავის მძიმე ჯვარს – ბევრ ლანძღვასა და დამცირებას იტანდა ახალგაზრდა კომკავშირლებისა და ურწმუნო მოხელეთაგან... ერთხელ, ბზობის დღესასწაულზე, მიტროპოლიტი ბავშვებთან ერთად ანთებული სანთლებით ეკლესიის ეზოდან რომ გამოდიოდა, კომკავშირლები ყვირილითა და ლანძღვა-გინებით მისცვივდნენ მას. მიტროპოლიტს დინჯად გაუგრძელებია გზა და სინანულით უთქვამს: „შეუნდოს ღმერთმა, რამეთუ არა იციან, რასა იქმანო“. მიუხედავად შევიწროებისა, მწყემსმთავარი დაუცხრომელად იღწვოდა თავის ეპარქიაში. როგორც მისი პირველი გასამართლების დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, იგი ხშირად ჩამოივლიდა ხოლმე თავისი ეპარქიის სოფლებში, შეკრებილ მრევლს უქადაგებდა საღმრთო წერილს, ესაუბრებოდა სიკეთესა და სათნოებაზე, აძლევდა ზნეობრივ დარიგებებს, მოძღვრავდა, რათა მტკიცედ მდგარიყვნენ ქრისტეს რწმენაზე. იგი ხშირად გამოდიოდა ქრისტიანული რწმენისა და ეკლსიის დასაცავად, ხელყოფისაგან იცავდა საეკლესიო ქონებას... ყოველივე ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მიტროპოლიტი ნაზარი საბჭოთა სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად ჩაეთვალათ და მეთვალყურეობა დაეწესებინათ მასზე.

და აი, 1924 წლის 2 აგვისტოს, სვირის რაიონის აღმასკომში ვინმე „*მეთვალყურის*“ ხელმოწერით შევიდა განცხადება: „*როდინოულის თემში მოვიდა ვიღაცა გადაცმული მღვდლები, ახდენენ კრებებს ამეღამ და მიაქციეთ სასტრაფოთ ყურადღება – მეთვალყურე*“.

ამ განცხადების ასლი სახაზინო ბეჭდით დამოწმებულია სვირის რაიონის მილიციის უფროსის – მაღლაკელიძის მიერ, რომელსაც რაიაღმასკომის თავმჯდომარე – ჯუღელის განცხადებაზე წარწერით ავალებს ქვემოთაღნიშნული პირების დატყვევებას და რაიაღმასკომში წარმოდგენას. ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარისთან ერთად დაპატიმრებულ იქნენ დეკანოზები: გერმანე ჯაჯანიძე, ვასილ დოლაბერიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე; მღვდლები: სიმონ მჭედლიძე, პოლიევქტი ვარდოსანიძე, დომენტი გიორგაძე; პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე.

მათ წაუყენეს ბრალდება – „*მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური კრების მოწყობა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობა.*“

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა:

1921 წლიდან როდინოულის ეკლესია გადაკეთებული იყო თეატრად. 1923 წლის დეკემბერში ეკლესიის გახსნის მიზნით არჩეულ იქნა როდინოულის თემის საეკლესიო საბჭო. მორწმუნეთა თხოვნით 1924 წლის 2 მაისს მთავრობამ ეკლესია დააბრუნა და ჩაიბარა როდინოულის თემის საეკლესიო საბჭომ, რომელმაც მორწმუნეთა შემოწირულობებით შეაკეთა და მოაწყო იგი. ამის შემდეგ საბჭოს ერთ-ერთი წევრი გაიგზავნა ქუთათელ გაენათელ მიტროპოლიტთან თხოვნით, რათა იგი მობრძანებულიყო და ეკურთხებინა ეკლესია. გადაწყვეტილა, რომ 2 აგვისტოს, შაბათ დღეს, მიტროპოლიტი ნაზარი თავისი სამღვდელო კრებულითურთ ჩამობრძანდებოდა როდინოულში, აკურთხებდა ეკლესიას და კეირას წირვასაც დააყენებდა. 30 ივლისს მიტროპოლიტს ქუთაისის საკათედრო კრებულის წინამძღვრისათვის, დეკანოზ ვასილ დოლაბერიძისათვის, გაუგზავნია როდინოულის ადგილობრივი მღვდელი დომენტი გიორგაძე, რომელსაც მისთვის გადაუცია მიტროპოლიტის ბრძანება, რომ ეცნობებინა სამღვდელო კრებულისთვის, რათა 2 აგვისტოსათვის მომზადებულიყვნენ („*თავის მასალითა და ბარგით*“) როდინოულის ეკლესიის საკურთხევლად. ხუთშაბათს, 31 ივლისს, მასთანვე მისულან ეკლესიის იკონოსტასის გამკეთებელი გრიგოლ თავთქირიძე და როდინოულის რელიგიური საბჭოს წევრი გრიგოლ ჩუბინიძე, რომელთაც გამოუცხადებიათ მიტროპოლიტის ბრძანება, რომ შაბათს, 2 აგვისტოს, 10 საათზე მატარებლით უნდა გამგზავრებულიყვნენ როდინოულს. საკრებულოს წინამძღვარს, დეკანოზ ვასილ დოლაბერიძეს, ყოველივე ეს უცნობებია დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძისა და მთავარდიაკონ სვანიძისთვის. 1 აგვისტოს საღამოთი დეკანოზ იეროთეოზ ნიკოლაძეს და პროტოდიაკონ ბესარიონ კუხიანიძეს აცნობეს, რომ ნაზარი მიტროპოლიტთან ერთად 2 აგვისტოს უნდა გამგზავრებულიყვნენ როდინოულში ეკლესიის საკურთხევლად.

2 აგვისტოს, დილის 10 საათისათვის ყველამ ქუთაისის სადგურში მოიყარა თავი. მიტროპოლიტს ახლდა თავისი ორი ახალგაზრდა ძმისშვილი, მოსწავლეები – არჩილი და ნიკოლოზი. აქვე მოვიდა მღვდელი ლავრენტი კაპანაძე, რომელსაც თავისი 10 წლის შვილი „*ცოლეურებში*“ მიჰყავდა: ნაზარი მიტროპოლიტმა იგი მგალობლად მოიწვია. ჩასხდნენ მატარებელში. რიონის სადგურში მიტროპოლიტსა და მის თანამგზავრებს „*მანდატები*“ (პირადობის მოწმობა) მოსთხოვეს, რაც მხოლოდ მღვდელმთავარს აღმოაჩნდა. ადგილობრივი უფროსობა დაუკავშირდა სამტრედიას და შეკითხვაზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ სადგურის უფროსმა სამტრედიიდან ნება დართო მათი გაშვებისა.

დაახლოებით ხუთის ნახევარზე ჩავიდნენ სადგურ სვირში, სადაც მიტროპოლიტსა და მის კრებულს დახვდნენ ადგილობრივი მღვდელი – პოლიევქტი

ვარდოსანიძე, საეკლესიო საბჭოს წევრი – გრიგოლ ჩუბინიძე და როდინოულის ეკლესიის მედავითნე – გიორგი საცერაძე ცხენითა და ორი ურმით, და წააბრძანეს როდინოულში.

სანამ სალოცავად მოემზადებოდნენ, მიტროპოლიტი ცოტა ხნით იქვე, ეკლესიის მეზობლად მცხოვრებ მათე ჩუბინიძის სახლში ჩაიყვანეს მოსასვენებლად.

დაახლოებით 6 საათისათვის გაისმა ეკლესიის ზარების რეკვა და მობრძანდა მიტროპოლიტი. ლოცვის დროს სამღვდელო კრებულს შემოუერთდა სეირის წმ. გიორგის ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი და დასავლეთის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების ყოფილი ზედამხედველი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, 1908-16 წლებში სასულიერო-ზნეობრივი გაზეთის, „შინაური საქმეების" დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი, ასევე, 1913 წელს საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ჟურნალის, „განთიადის" დამაარსებელი და რედაქტორი, რომლესაც ამ დროისთვის ჩამორთმეული ჰქონდა სტამბაც, გაზეთის გამოცემის უფლებაც და ქუთაისიდან გამოდევნილი, სეირში, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. იმ დილით როდინოულის რელიგიური საზოგადოების წევრებს მისთვის შეეტყობინებინათ მიტროპოლიტის სურვილი, მონაწილეობა მიეღო ეკლესიის კურთხევაში.

მწუხრისა და ცისკრის ლოცვის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 9 საათისთვის, როდინოულის საეკლესიო საბჭოს წევრებმა სამღვდელო კრებული იქვე მცხოვრები მათე ჩუბინიძის სახლში წაიყვანეს სავახშმოდ. ტრაპეზზე „*ბალაში*" მოათავსეს სამღვდელოება, აივანზე კი დასხდნენ სამრევლო საბჭოს წევრები და მოწვეული სტუმრები. ვახშამმა ერთ საათს გასტანა, რის შემდეგაც სამღვდელოება აიშალა და მეორე დღეს მწირველმა მღვდლებმა – გერმანე ჯაჯანიძემ, სიმონ მჭედლიძემ და როდინოულის ეკლესიის მოძღვარმა, იღუმენმა დომენტი გიორგაძემ – ნაზარი მეტროპოლიტთან ერთად მიარების სავალდებულო ლოცვები წაიკითხეს, რის შემდეგაც მიტროპოლიტი ცალკე ოთახში მოასვენეს, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე და მღვდელი სიმონ მჭედლიძე კი „*ბალაში*" დააწვინეს დასაძინებლად, მაგიდაზე გაშლილ საწოლზე. სხვები, მღვდელ პოლიევქტ ვარდოსანიძის გარდა, რომელიც თავის ცოლისძმასთან წასულიყო, რადგანაც აქ ადგილი აღარ იყო, მეზობლისას გადაუყვანიათ დასაძინებლად. საეკლესიო საბჭოს წევრები კი სტუმრებთან ერთად აივანზე განაგრძობდნენ ვახშმობას და საუბარს, თუ როგორ დაიკეტა ეკლესია, მერე როგორ აღადგინეს და მოაწყვეს და სხვა, იმ დროის საჭირბოროტო ამბებზე. მათთან ერთად იყო პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძეც. პატიმრების ჩვენებების მიხედვით, შუაღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც ჭიშკართან მიყურადებული რაიმილიციის უფროსი თანამშრომე-

ლი და როდინოულის თემის საბჭოს ახალგაზრდა თავმჯდომარე მილიციელებთან ერთად შეიჭრნენ სახლში და თავს დაადგნენ მძინარე მოძღვრებს, მოუღერეს თოფები და უბრძანეს სასწრაფოდ ადგომა და გაყოლა რაიონში: „*თორემ დაგხოცავთო.*“ მამა გერმანეს მანდატი მოუთხოვია, რაზედაც მათ უპასუხიათ „*მანდატი ჩვენ თვითონ ვართო*“ და აივანზე უბრძანებიათ გამოსვლა. შემდეგ მოუთხოვიათ „*მღვდლების უფროსი*“. მიტროპოლიტის გაღვიძება ვერავის უკადრებია — ვერც მღვდელთაგანს და ვერც დიასახლისს — გრიგოლ ჩუბინიძის დას, დომნიკას, რომელიც თურმე ტირილით ეხვეწებოდა თავი დაენებებინათ მოხუცი მღვდელმთავრისათვის. ბოლოს, რადგანაც დაჟინებით ითხოვდნენ და ყვიროდნენ, პროტოდიაკონ კუხიანიძის ჩვენებით, მას გამოურთმევია დიასახლისისთვის ლამპა და შესულა მიტროპოლიტის ოთახში: „*შევაღე კარი, როდესაც შევედით, ნაზარმა გამოიღვიძა. მე უთხარი, რომ მთავრობის კაცები უნდა იყვნენ, თხოულობენ წაყოლას და აბრძანდი-მეთქი. ამ დროს ერთი შიგნით შემოვიდა, მეორე კი, თოფიანი, კართან იდგა. მისცა წინადადება ახლავე ადექი და ჩაიცვიო. ნაზარმა მოითხოვა მანდატი, მაგრამ მანდატის ჩვენებაზე უარს ამბობდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ ამდგარიყო, თორემ გესვრითო. ნაზარმა უთხრა: შეგიძლიათ მესროლოთ და მომკლათ, ჩემი მოკვლისათვის კარგად იცოდეთ, პასუხს გაგებინებთ მთავრობაო. ამ დროს მე მომიღერა თოფი და მითხრა, გადი აქედანო. კარიდან კი უფროსმა დაუძახა — რას უყურებთ, ჩქარა მოკიდეთ ხელი და გამოაგდეთ აქითო... მაშინ მილიციელები მივარდა, სტაცა ხელები, ავდო ლოგინიდან და ხელის ჯიკავით გამოაგდენ ზალაში მარტო პერანგის ამარა, ზალიდან კი აივანზე, სადაც დაკავებული მღვდლები იდგნენ. იქ შეჩერდენ. მაშინ მოუბრუნდა ნაზარი და უთხრა: შეგიძლიათ მომკლათ, ახლავე მომკალით, მაგრამ ამ ბნელ ღამეში ვერ წამოვალო და მოსთხოვა განმეორებით მანდატი, თუ ვინ იყვნენ, მაგრამ იქაც არ უჩვენებიათ*“. შეიქნა წუხილი, ტირილი, შეიარაღებულთ სთხოვდნენ, მიტროპოლიტი დილამდე დაეტოვებინათ. მილიციის უფროსს ხერხი უხმარია — „*კარგი, ამაღამ იყოსო*“ და სამაგიეროდ მღვდლებისათვის მოუთხოვია გაყოლა. სინამდვილეში კი, როგორც თვით მისივე ჩვენებიდან ჩანს, მას შეშინებია მღვდლებისა და იქ შეკრებილი ხალხის წინააღმდეგობისა, ყარაული დაუტოვებია მიტროპოლიტთან, რომელიც თავის საწოლში მიბრუნებულა. ამასობაში გრიგოლ ჩუბინიძის დაბინავებული მღვდლებიც — იეროთეოზ ნიკოლაძე და ვასილ დოლაბერიძეც — მოიყვანეს (ლავრენტი კაპანაძე ადრევე წასულიყო) და მას შემდეგ, რაც დაარწმუნეს, რომ დილამდე მიტროპოლიტს ხელს არ ახლებდნენ, ყველანი ჯერ სოფლის კანცელარიისაკენ წაიყვანეს, ცოტა ხნის ბჭობის შემდეგ კი სვირისკენ გაუყენეს გზას.

ბნელი და ღრუბლიანი ღამე იყო. კრებულის წინამძღვარს – დეკანოზ დოლაბერიძეს მოუთხოვია ბორკილების დადება, იმათ უპასუხიათ – *„სად ვიშოვოთ რკინის ბორკილებიო, ჩვენ, საბჭოთა ქვეყანაში ბორკილებს არ ვადებთო“*. ამაზე მამა სიმონს უთქვამს – *„ბაწრები ხომ იშოვება და ბაწრით გადაგვაბით და ისე წაგვიყვანეთო“* – ამას თხოულობდნენ თითქოს იმის გამო, რომ გაქცევა არ დაეწამებინათ და არ დაეხოცათ (როგორც ეს ჩვეულებრივ, ხდებოდა), ქვეშეცნეულად კი, ალბათ ქრისტეს მოწამებრივ გზას ბაძავდნენ წმინდა მამები. ძალით აყარეს და გზას გაუყენეს. და მართლაც, მილიციის უფროსმა უბრძანა: *„თუ ვინმემ გაქცევა დააპიროს, ესროლეთო“*. 28 წლის თემის საბჭოს თავმჯდომარე, პარტიული ახალგაზრდა, განსაკუთრებით აქტიურობდა, ჯავრობდა და იმუქრებოდა რევოლვერით: *„ახლავე დავხოცავთ და გავათავებთო“* (სწორედ მისი ჩვენება იყო გადამწყვეტი საბოლოო განაჩენისათვის – *„ეკლესიის კურთხევა მოგონილი საბაბი იყო არალეგალური მთავრობის საწინააღმდეგო კრების მოწყობის მიზნით გამოგონილიო.“*) შუაღამე გადაცილებული იყო, დაახლოებით 2 საათზე, პატიმარი მამები ერთსაქენიან ოთახში ჩაამწყვდიეს. არ გასულა ნახევარი საათი, რომ იქვე შემოიყვანეს ნაზარი მიტროპოლიტიც, ფეხშიშველი, თავშიშველი, უპერანგო...

...მას შემდეგ, რაც შეჰპირდნენ, რომ მიტროპოლიტს დილამდე არ ახლებდნენ ხელს და მღვდლები დილეგში ჩაყარეს, მილიციის უფროსი და თემის საბჭოს თავმჯდომარე ასისთავისა და ოცისთავის თანხლებით შემობრუნებულიყვნენ მიტროპოლიტის წასაყვანად: *„თუ ნებით არ წამოგვყვებოდა მიტროპოლიტი, წინასწარ ჩვენ დავამზადეთ ურემი, რომლის საშუალებით უნდა წამოგვეყვანაო“*, – წერს მილიციის უფროსი თავის ჩვენებაში. მას უბრძანებია, მიტროპოლიტი ურემზე ძალით დაესვათ: *„ტიტველი დაესვით ურემზე, იქაც ეცადეთ ტანზე ჩაგვეცვა, მაგრამ ვერ ჩავაცვითო“* – ირწმუნება ჩვენებაში მილიციის უფროსი: – *„არ გაჩერდა ურემზეო და ამბობდა: „შემკარით ბაწრით, მე უნდა მაწამოთ ისე, როგორც აწამეს იესო ქრისტე, რადგან მე ვარ მოსული თქვენს მოსარჯულებლადო“... „რადგანაც ხელით ვერ შევძლებდით წაყვანას, შევკარით ბაწრით და დავაწვინეთ ურემზე. გზაში ყვიროდა: „მე ვარ ქრისტე-ღმერთის მორწმუნე, მაწამებენ ურჯულო კომუნისტები, როგორც აწამებდნენ ურჯულოები თვით ქრისტესო“*.

გზად გამოიარეს ცხადაძის სახლში, სადაც მღვდელი პოლიევქტი ვარდოსანიძე იყო და ისიც ურემზე დასვეს. მიტროპოლიტს შეუჩივლია: *„მამაო პოლიევქტი, მობრძანდი, მობრძანდი, მხედავ, დაკრული ვარ ურემზეო“*. დამწუხრებულ ვარდოსანიძეს ხმა არ ამოუღია. და ასე ჩუმად, წვიმაში, გათენებამდე ერთი საათი იქნებოდა, რომ მიიყვანეს სვირის კანცელარიაში.

მღვდელმთავარი ჩამოხსნეს ურმიდან და შეაგდეს იმ პატარა ოთახში, სადაც დანარჩენი მღვდლები იყვნენ იმ ღამეს დამწყვდეულები. ნაწამებ მღვდელმთავარს შიშველ ზურგსა და მხრებზე ჩალურჯებული ნაჭდევები და ღარები ჩასდევდა... თითქმის იგნდებოდა, რომ სიცივისაგან აკანკალებულ მიტროპოლიტს მღვდლების თხოვნით სამოსელი მოუტანეს. გამთენიისას კანცელარიის წინ თავი მოიყარეს მორწმუნეებმა. ისინი მოითხოვდნენ მღვდლების გათავისუფლებას ეკლესიის საკურთხებლად, მაგრამ როდესაც გაიგეს, ჩეკაში იგზავნებიანო, შეშინებულები დაიმალნენ.

ორშაბათს, 4 აგვისტოს, ნაზარი მიტროპოლიტი და მღვდლები დაჰკითხეს და მთელი კრებულით *„ნებადაურთველი კრების მოწყობის“* ბრალდებით გადააგზავნეს ქუთაისში. იქ საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ქუთაისის მაზრის პ/ბ-ს (პოლიტბიუროს) რწმუნებულის თანაშემწეს, რომელმაც 6 აგვისტოს დაჰკითხა პატიმრები. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მას დაკითხვები დაუსრულებია 18 აგვისტოს, ხოლო ფერისცვალება დღეს, 19-ში, მაშინ, როდესაც მიტროპოლიტი ნაზარი თავისი სამღვდელო კრებულით, ჩვეულებრივ, სადღესასწაულო წირვა-ლოცვას აღავლენდა ხოლმე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ღვთის მსასოებელი ერისათვის, იმავე ქუთაისში გამოტანილ იქნა დადგენილება: *„მე, ქუთაისის მაზრის პ/ბ რწმ. თანაშემწემ, მონიამ, განვიხილე რა საქმე № 590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტი ლეჟავა ნაზარის, დეკანოზ ჯაჯანიძის გერმანესი, დეკანოზ იეროთეოზ ნიკოლაძის, მღვდელ სიმონ მჭედლიძისა, მღვდელ ვარდოსანიძე პოლიევქტისა, პროტოდიაკონი კუხიანიძე ბესარიონისა, მთ/დ. მღვდელ სვანიძე ისიდორესი, ბრალდებები: სვირის რაიონის როდინოულის თემის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე წინააღმდეგობის გაწევის, ხელისუფლებისა და კომპარტიის ლიდერების გინებაში, რა წინააღმდეგობით აიძულეს მთავრობის პირები ჩაედინათ ნებადაურთველი და გადაჭარბებული მოქმედებები მთავრობის წარმომადგენლებს, რა საქმეც კვლევა-ძიების და წინასწარი გამოძიებით გამორკვეულია სავსებით, დავადგინე: მოწმეების და ბრალდებულის დაკითხვის გაგრძელება შეწყდეს და იქნეს გამოტანილი ბრალდებულ(ებ)ის მიმართ დადგენილება“.*

განაჩენს ელოდნენ თვის ბოლომდე. 1924 წ. 1 სექტემბერს კი იმავე მონიას მიერ რუსულ ენაზე დაწერილი დადგენილების საფუძველზე, დამნაშავედ სცნეს ხუთი სასულიერო პირი: მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, დეკანოზები — გერმანე ჯაჯანიძე და იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და არქიდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე: ბრალდება რუსულ ენაზეა ჩაწერილი: *„В устройстве контрреволюционной цели нелегального собрания и сопротивления местной власти Свирского района... обвиняемые... в селе Родиноули Свирск. района якобы внов(ь) осветит(ь) церков(ь) в селе Родиноули, собрали местных*

*священников и верующих в доме местного жителя Матвея Чубинидзе и во время ужина вели агитацию против советской власти среди масс.»*

მოძღეართა ბრალდება მძიმდებოდა იმითაც, რომ მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა ადრე იყო ნასამართლევი საეკლესიო ქონების გადამალვისა და გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვაში მონაწილეობისათვის; დეკანოზები – იეროთეოზ ნიკოლაძე და გერმანე ჯაჯანიძე ნასამართლევი იყვნენ ახალი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის; მღვდელი სიმონ მჭედლიძე კი, ავტორი ათეისტ სოციალ-დემოკრატებისა და მარქსიზმის მიმდევართა ნააზრევის მამხილებელი კრიტიკული წერილებისა, დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი სასულიერო-ზნეობრივი გაზეთის, „შინაური საქმეებისა“ და ჟურნალ „განთიადისა“, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულება ჰქონდა, შინაპატიმრობაში იყო 1921 წლიდან და, ცხადია, ეჭვმიტანილთა სიაში იყო... ამას თან დაერთო აგვისტოს აჯანყების მარცხი...

1924 წლის 1 სექტემბერს საგანგებო სამეულის (чрезвычайная тройка) გადაწყვეტილებით ამ ხუთ საეკლესიო მამას მიესაჯა სიკვდილი, რაც, ოქმის ამონაწერის მიხედვით, იმავე დღეს იქნა აღსრულებული... (განაჩენს – „Расстрелять“ – ხელს აწერდა ქუთაისის მაზრის რწმუნებულის თანაშემწე – შონია, რომელსაც მთელი აგვისტოს მანძილზე მიჰყავდა გამოძიება და დაკითხვები.

საუკუნის დასაწყისში ილია მალვით მოკლეს, მისი მკვლელების შთამომავლებმა კი ეს ეკლესიის მამები, ქრისტეს სჯულის მქადაგებლები, ილიას ეროვნული გზის გამგრძელებლები, უკვე აშკარად, ოფიციალური ბრალდებით დახვრიტეს *„აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის“*... დახოცეს თოკებით გადაბმულები, შეურაცხყოფილნი, ალიონზე, საფიჩხიაზე, თხრილის პირას, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში... ამბობდნენ, ზემოდან წაყრილი მიწა სამი დღე სუნთქავდა და ინძრეოდაო...

...სვირის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, ვ. მანჯგალაძის, ჩვენებით, დაკითხვის დროს მიტროპოლიტს უთქვამს: *„ქართველი ხალხი ყოველთვის დაუზოგავად იბრძოდა სარწმუნოებისათვის, თავისუფლებისათვის და ამ ჩემს წვალებასაც არ დატოვებს უყურადღებოდ“.*

... 1924 წლის 1 სექტემბრის შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე გავიდა, საქართველომ დიდი სისხლისღვრის ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა – თავისუფლების მოპოვება კი ჯერ კიდევ წინაა...

იმედი ვიქონიოთ, რომ წმინდა მღვდელმოწამის, ნაზარი მიტროპოლიტისა და მისი სამღვდელო დასის მოწოდებას დღეს მაინც მიუგდებს ყურს ქართველი ერი...




„სრულიად საიდუმლო“ სიიდან „პირებისა, რომლებიც დაიხვრიტნენ საქართველოს ჩეკას მიერ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის“:

1. ლეჟავა ნაზარი ანდროს ძე, 56 წლის, დაბადებული ქუთაისში, დაპატ. ცხოვრობდა ს. როდინაულში, სასულიერო წრიდან, მიტროპოლიტი. (ცოლშვილი) არა ჰყავს (საარქეო საქმე № 1627).

2. ჯაჯანიძე გერმანე ბესარიონის ძე, 56 წლ., დაბ. ქუთაისში, სასულიერო, მღვდელი.

შვილი – მიხეილი – 24 წლ., სტუდენტი გერმანიაში; ვერა – 21 წლ., მასწავლებელი ქუთაისში; ევგენია – 18 წლ., მოსწავლე; ელიზავეტა – 16 წლ. (საარქიეო საქმე, № 1627).

3. ნიკოლაძე ირათეოზ ანდროს ძე, 59 წ. დაბ. ქუთაისში, სასულიერო, მღვდელი.

ცოლი – ეკატერინე, 59 წლ., დიასახლისი, ქ. ქუთაისი; შვილი მარტა, 12 წლის (საარქიეო საქმე № 1627).

4. მჭედლიძე სემიონ მიხეილის ძე, 60 წ. დაბ. ქუთაისში, სასულიერო, მღვდელი.

ცოლი – ეკატერინე, 50 წ. დიასახლისი; შვილები: ბესარიონი – 26 წლ.; ბიძინა – 22 წლ., მასწავლებელი ხონში; დიმიტრი – 19 წლ., სტუდენტი ტფილისში, ვარვარა – 29 წლ., მასწავლებელი; ნინა – 12 წლ., მოსწავლე; ეკატერინე – 8 წლ., მოსწავლე; ელიზავეტა – 5 წლის (საარქიეო საქმე № 1627).

5. კუხიანიძე ბესარიონ სოფრომის ძე, 53 წ. დაბადებული ქუთაისში, სასულიეროდან, არქიდიაკვანი.

მამა – 80 წლ. დედა – დიასახლისი ქუთაისში; შვილები: მიხეილი – 22 წლ., სტუდენტი ტფილისში; მარია – 18 წლ., მასწავლებელი ტფილისში; თამარი –17 წლ., მასწავლებელი (საარქიეო საქმე № 1627).



სვეტიცხოველი, 1995 წლის 19 სექტემბერი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება



დეკ. გერმანე ჯაჯანიძე



დეკ. დოროთეოზ ნიკოლაძე



ნაზარი მიტროპოლიტი



მღვდ. სიმონ მჭედლიძე



პროტოდიაკვანი ბესარიონ ქუხიანიძე

## ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან

ანკეტა №4853
მჭედლიძე სიმონ მიხეილის ძე, საქ. სსრ;
ეროენ. – ქართეელი,
ცხოვრობს ქუთაისში.
წერა-კითხვის მცოდნე
გაიარა სარატოეის სასულიერო სემინარია.
მეუღლე ეკატერინე – 50 წლის, დიასახლისი
ცხოვრობს ქუთაისში.
შვილები:
ბესარიონი – 26 წ.
ბიძინა – 22წ., მასწაელებელი ხონში.
დიმიტრი – 19 სტუდენტი თბილისში.
ბარბალე – 25 წ. მასწავლებელი თბილისში.
ნინა – 12 – მოწაფე თბილისში.
ელისაბედი – 5 წლის.
ეკატერინე – 8 წლის.
უპარტიო – რატომ? – არ მქონდა სურეილი
მღედელი – მეურნე (უმრეელო)
მსახურობდა სოფელ სეირში
საკუთარი შრომით მქონე – მიწის.
შეადგინა – 2 აგვისტოს, 1924-წელს, სვირის რაიონის მილიციის უფროსმა სოფ. როდინოულში.

14-აგვისტო 1924-წ.

## ოქმი საქმეზე

ბრალდებული მჭედლიძე სიმონი მიხეილის-ძე

60-წლის.

ქართველი

კლასიკური მდგომარეობა (ბურჟუა, პროლეტარი და სხვა) – საშუალო, სასულიერო წოდებიდან

სახლი – 2

მიწა – 10 ქცევამდის,

ცოლშვილიანი

ბავშვ. რიცხვი – 7

შრომის უნარიანი – 4

მცირეწლოვანი – 3

მღვდელი,

სპეციალური დარგი შრომისა – მეურნეობა

განათლება საშუალო

უპარტიო – რატომ? – არ მქონდა სურვილი

საცხოვრებელი ადგილი – სოფ. სვირი, ქუთაისის მაზრა

ვაჩვენებ შემდეგს:

„2 აგვისტოს დილით, 8-საათი იქნებოდა, ჩემთან, სოფელ სვირში მოვიდა სოფელ როდინაულში მცხოვრები მაღლაკელიძე და როდინოულის რელიგიურ საზოგადოების რწმუნებულთა სახელით მიმიწვია, დავესწრებოდი და მონაწილეობა მიმეღო ეკლესიის კურთხევაში. თანაც გადმომცა „დღეს მიტროპოლიტს მოველით თავის კრებულითო". მე საწინააღმდეგო რა მექნებოდა, დავეთანხმდი. საღამოს ექესი საათი იქნებოდა, როცა როდინაულის ეკლესიაში მივედი. მიტროპოლიტი თავის კრებულით ლოცვათ იდგნენ. მეც მოვისმინე და შემდეგ მიტროპოლიტთან ერთად ჩავედით იქვე მახლობელ მოქალაქის, მათე ჩუბინიძის ოჯახში. ნახევარი საათი არ დაგვგვიანებია, ვახშმათ დავსხედით. ვახშამზე არავითარი ლაპარაკი არ გვქონია, გარდა ჩვეულებრივი სადღეგრძელოებისა. ათი საათი იქნებოდა, ვახშმიდან რომ ავიშალეთ და, რადგან ყველა სტუმრები იქ ვერ მოვისვენებდით, ზოგი მეზობლისას წაიყვანეს. აქვე დავრჩით მ ე, დეკანოზი ჯაჯანიძე, პროტო დიაკონი კუხიანიძე და დიაკონი სვანიძე. ჩვეულებრივი ზიარების ლოცვის შემდეგ, რომელიც ყველამ ერთად შევასრულეთ მე და დეკანოზი ჯაჯანიძე ერთად დავწექით. მე ჩქარა დამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიძინე და მე გამაღვიძა რაღაც არაჩვეულებრივმა ხმაურმა. ამ დროს შემოვიდა მოქალაქე მაქსიმე მაღლაკელიძე და მეუბნება: „მილიციონერები მოვიდნენ და რაიონში გიბა-

რებენო". მყისვე მილიციონერებიც შემოვიდნენ თოფებით და ყვირილით: "ადექით ჩქარა, ჩაიცვით, რაიონში უნდა წამოხვიდეთ". დეკ. ჯაჯანიძემ მანდატი მოსთხოვა, რაზედაც ერთმა მათგანმა უპასუხა: „ჩვენ თვითონ მანდატი ვართო". ჩავიცვით, გამოვედით აიეანზე და შევჩერდით. მილიციონერები თავის უფროსით მიტროპოლიტის ოთახისკენ გაეშურნენ. სულ მცირე ხანში გამოჩნდა მიტროპოლიტი, მხოლოდ პერანგის ამარა, უკან მოსდევდნენ მილიციონერები. მუჯლუგუნების კერით მიიყვანეს აიენიდგან ჩასავალ კიბემდე. აქ რაღაც ლაპარაკი შეიქნა, რომელშიდაც აშკარად გავიგონე მიტროპოლიტის ხმა: „ აი მე, მესროლეთ და მომკალითო." შემდეგ არ ვიცი, რა მიზნით მიტროპოლიტი უკანვე თავის ოთახში დაბრუნდა. ჩვენ კი იქ მყოფი და მეზობლებიდან დაბრუნებული დეკანოზები – დოლაბერიძე და ნიკოლაძე მილიციონრებისა და ადგილობრივი თემის თავმჯდომარის თანხლებით წაგვიყვანეს და მიგვიყვანეს თემის კანცელარიაში. იქ შემდეგ საიდუმლო თათბირისა, გვითხრეს წავსულიყავით რაიონში. დეკ. დოლაბერიძემ მოითხოვა „ბორკილები შეგვიყარეთ და ისე წაგვიყვანეთო". სად ვიშოვნოთ ამდენი ბორკილიო – იყო პასუხი. მე, ჩემის მხრით, წინადადება შევიტანე, ბაწრით ერთიმეორეზე გადავებით. ამის მიზეზი შიში იყო, რომ გზაში გაქცევა არ დაეწამებიათ. არ მიიღეს ჩვენი თხოვნა და ასისთავის თანხლებით გაგვაგზავნეს რაიონში. ვიყავით სულ თერთმეტი კაცი და ერთ პატარა საკნიან ოთახში დაგვამწყვდიეს. მე პირადად ვფიქრობდი: ეს ინცინდენტი გაუგებრობაზეა აშენებული და ხვალ დაკითხვის შემდეგ გაგვათავისუფლებენ-თქო. ღამის ორი საათი იქნებოდა, თუ კიდევ მეტი – ჩვენთან შემოვიდა მიტროპოლიტი, ქვედა საცვლების ამარა, უპერანგოთ, ფეხშიშველი. შემდეგ მისგანვე გავიგეთ, რომ ურემზე დაკრული წამოუყვანიათ ბინიდგან. მეორე დღეს დილით ხალხი მოვიდა როდინოულიდან, რამდენი – არ ვიცი. გავიგონე, რომ სთხოვდნენ თავმჯდომარეს ჩვენ განთავისუფლებას და ეკლესიის კურთხევას, რაზედაც თავმჯდომარე ხმამაღლა ასეთ პასუხს აძლევდა: „რას შეყრილხართ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ მოდის რაიონში, დაბრუნდით შინ, ეგენი ამაღამ აქ ეყრებიან, ხვალ გავაბაწრავთ და ქუთაისში გავგზავნითო", მართლაც ორშაბათს დილით გაგვამგზავრეს ქუთაისში.

როცა ჩვენ ზალაში ვახშმობდით, გარეთ აივანზე იდგა მაგიდა და იქაც ვახშმობდნენ მოსული სტუმრები, რადგან ზალაში გაშლილ მაგიდაზე ადგილი არ იყო და ამ დროს არავინ სამღვდელოთაგანი ამ აიენის მაგიდაზე არ ვახშმობდა. როცა ჩვენ გამოგეაღვიძეთ და აიეანზე გამოვედით, ამ მაგიდაზე ისხდნენ მასპინძელი და კიდევ სხვები, არ ვიცი ვინ – და მათ შორის პროტოდიაკონი კუხიანიძეც. მაგიდაზე პურ-ღვინოც იდო. ღამე ბნელი იყო და მოღრუბლული. როცა როდინოულის კანცელარიიდან ძირს

ჩამოეედით, დეკ. ნიკოლაძემ უთხრა ადგილობრიეი თემის თაემჯდომარეს: „რა დიდი ამბაეი იქნებოდა, ამაღამ აქ ამ კანცელარიაში დაერჩენილიყაეით და ხეალ დილით რაიონში გაემგზაერებულიყაეითო." კიდეე რაღაც უთხრა, მაგრამ არ მახსოეს. თაემჯდომარემ იწყინა, კიბეზე ორი-სამი საფეხური ჩამოირბინა მუქარით. ნიკოლაძემ უთხრა: „რა გაწყენიე, ყმაწეილო, რომ აგრე გაცხარდიო" და თან დასძინა: "ბოდიშს ეიხდი, თუ რამე გაწყენიეთო" რის შემდეგ თაემჯდომარე შეჩერდა.

ხელს ეაწერ – სიმონ მჭედლიძე.
დაეკითხე შონიამ. (ხელმოწერა)



# წმ. მღვდელმოწამე სიმონის წარმომავლობა, ცხოვრება და მოღვაწეობა

**(1865-1924)**

მღვდელი სიმონ მჭედლიძე სასულიერო გვარის შთამომავალი იყო. მჭედლიძეები შორაპნის მაზრის სოფ. ბოსლევიდან იყვნენ: მღვდელი დავით მჭედლიძე 1809-1845 წლებში სოფელ ბოსლევში წმ. გიორგის ეკლესიაში ასრულებდა მღვდელმსახურებას (კეზევაძე, 51). მისი ვაჟი, სვიმონ დავითის ძე, ფრიად განსწავლული საღმრთო სჯულში, მიტროპოლიტ დავითის მიერ (1895) წელს იქნა ხელდსხმული დიაკვნად კაცხის მონასტერში, ხოლო (ჩყმზ) წელს იმავე მიტროპოლიტმა იგი სამღვდელო ხარისხში აიყვანა (1868 წლის „სამრეველო უწყებანი, ქსა № ); 1845 წელს მღვდელი სვიმონი სვირში გაამწესეს მღვდლად და იქ



ბლაღოჩინი მიხეილი

მოღვაწეობდა სვირის წმ. გიორგის და მაცხოვრის ამაღლების ეკლესიებში გარდაცვალებამდე, 1876 წლამდე (კეზევაძე, 116); იგი 1964 წელს წირავდა ასევე, სოფ. საწაბლის მთავარანგელოზთა ეკლესიაშიც (კეზევაძე, 114). ქუთაისის ეროვნული არქივის „Клировские ведомости"-ს მიხედვით, მას და მის მეუღლეს, რუსუდან ივანეს ასულს, ჰყავდათ 4 ვაჟი და 4 ქალიშვილი: ესტატე, დავითი, მიხეილი (მეუღლე — ბაბუსი ჭყოიძე), ზაქარია (მეუღლე მინადორა ხუსკივაძე), პელაგია (რომან კაპანძის მეუღლე), ქეთევანი (ჩიხლაძის მეუღლე), ივლიტა (ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, მელიტონ კელენჯერიძის მეუღლე) და მაკრინა (მარიამი). ამავე არქივის მონაცემებით, უფროსი ვაჟი, ცნობილი პუბლიცისტი, ევსტათი მჭედლიძე-ბოსლეველი, გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის მდივანი, სრულიად ახალგაზრდა, მოკლეს გაბრიელ ეპისკოპოსის მოწინააღმდეგეებმა 1885 წლის 20 მაისს ბაგრატის ტაძრისაკენ მიმავალ აღმართზე, „არქიელის გორაზე", სადაც ეპარქიის კანცელარია მდებარეობდა (იხ. ბოსლეველი, „ნაწერები"); მომდევნო ვაჟი — დავითი, სტავროპოლის ოლქში, სოფ. პოკოინოეს ეკლესიაში იყო მღვდლად; უმცროსი ვაჟი — ზაქარია — სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა,

მჭედლიძეების ოჯახიდან იყო წმ. სიმონის მამიდაშვილი პელაგია მჭედლიძისა და რომანოზ კაპანაძის ვაჟი — დეკანოზი იასონ კაპანაძე. მან საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის ხელაიას მე-



იასონ პაპანაძე ცოლ-შვილით

მორანდუმი წაიღო გენუის კონფერენციაზე, რის გამოც რეპრესირებულთა სიაში აღმოჩნდა. როგორც გადმოცემით ვიცით, მას სიკვდილის განაჩენმა საფრანგეთისკენ მიმავალი გემის ბაქანზე მოუსწრო; იგი ცოლთან და ორ მცირეწლოვან ვაჟთან ერთად გადაიხვეწა ამერიკაში, კერძოდ ქ. კლივლენდში. იქ იგი ეწეოდა სასულიერო მოღვაწეობას, საკუთარი სახსრებით ააგო წმ. თევდორეს ეკლესია და მოხუცთა თავშესაფარი.*

* იასონი პაპანაძე სწავლობდა ქუთაისის სემინარიაში, 13 წლის ასაკში გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სადაც დაამთავრა სასულიერო აკადემია და ეკურთხა მღვდლად ოჰაიოს შტატის ქ. კლივლენდში. იქვე შეირთო უკრაინელი წარმოშობის მერი კაშევაროვა, რომელთანაც ჰყავდა ორი ვაჟი – კოლია და რომანი. 1913 წელს იასონი დაბრუნდა საქართველოში, იგი დაინიშნა დეკანოზად და საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიის გამგედ. ცხოვრობდა სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში.



ესტატე მჭედლიძე (ბოსლეელი)

მღვდელმოწამე სვიმონის მამა, დეკანოზი მიხეილი, იმერეთის ეპარქიის სვირის „საბლაღოჩინო ოლქის" ბლაღოჩინი (Благочинный протоиерей) გახლდათ. ქუთაისის ეროვნული არქივის „Клировские ведомости"-ს მიხედვით, იგი დაბადებულა შორაპნის მაზრის (уезд) სოფ. ბოსლეეში, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და ეპარქიალური ხელმძღვანელობის ნებართვით 1857-1861 წწ. მასწავლებლობდა სვირის სამრევლო სკოლაში, რომლის „რევიზიის" შედეგად 1861 წელს დაჯილდოვდა სტიქარით გაბრიელ ეპისკოპოსისაგან. მისივე ხელდასხმით იგი სვირის წმ. გიორგის ეკლესიაში იკურთხა დიაკვნად 1862 წლის 21 აგვისტოს, ხოლო მღვდლად – 1863 წლის 8 სექტემბერს. ამავე წლის 22 სექტემბერს მისივე სურვილით იგი გადაყვანილ იქნა სვანეთში, მთავარანგელოზის ეკლესიაში („Клировские ведомости", ქსა) როგორც მ. კეზევაძის მასალებიდან ჩანს, მიხეილ სიმონის ძე მჭედლიძე 1870-72 წლებში სოფ. ფარცხანაყანევის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირავს (კეზევაძე, გვ. 125); 1872 წელს მჭედლიძე მიხეილ სიმონის ძე ბაღდათის წმ. გიორგის ეკლესიაშიც ეწევა ღვთისმსახურებას (კეზევაძე, გვ. 48); 1863-1865 წწ. და 1876-1902 წწ. იგი მოღვაწეობს სოფ. სვირში, წმ. გიორგის ეკლესიაში (კეზევაძე, გვ.116), ხოლო 1902 წლიდან გარდაცვალებამდე, 1917 წლამდე, სოფ. სვირის წმ. თომა მოციქულის ეკლესიაში (კეზევაძე, 117).



„ბლაღოჩინის“ წყარო სოფელ სეირში

იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გულმოდგინე სასულიერო მოღვაწეობისათვის 1872 წელს დაჯილდოვდა სკუფიით, 1881 წლის 18 აპრილს – კამილავკათი, ხოლო ამავე წლის 28 ივნისს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ დადგენილ იქნა სეირის წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვრად; 1892 წელს სინოდის დადგენილებით აღყვანილ იქნა პროტოპრესვიტერის ხარისხში; დაჯილდოებული იყო წმ. ანას III (1894 წ.) და II ხარისხის 1899 (წ.) ორდენებით; 1903 წლის21 დეკემბერს წმ. სინოდის დადგენილებით დაჯილდოვდა მოციქულთა სწორის, თავად ვლადიმირის საიმპერატორო ორდენით. წლების განმავლობაში იგი იყო დასავლეთის ეპარქიის სასულიერო სკოლების მზრუნველი და ზედამხედველი.

გადმოცემით, ბლაღოჩინ მიხეილს თავის საბლაღოჩინო ოლქში ბევრი ეკლესია აღუდგენია. სოფ. სეირში დღესაც არის მისი აშენებული წყარო, რომელსაც „ბლაღოჩინის წყაროს“ ეძახიან.

ბლაღოჩინ მიხეილ მჭედლიძეს და მის მეუღლეს, ბაბუსი ბესარიონის ასულ ჭყოიძეს (დაბ. 1840წ.), ჰყავდათ ერთი ვაჟი – სიმონი (დაბ. 1865 წ. 2 თებერვალს) და 5 ქალიშვილი: დომნიკა (დაბ. 1864 წ, იანვარში, მღვდელ ილარიონ ხოჯავას მეუღლე); ელისაბედი (დაბ. 1869 წ., 8 იანვ., აზნაურ პლა-



სოფელი სვირი. სიმონ მჭედლიძის ოჯახი.
პირველ რიგში: სალომე (და), შვილები: ბარბარე, ელისაბედი, დიმიტრი, ბიძინა; უკანა რიგში: უფროსი ვაჟი – ბესარიონი, დედა – ბაბუსი, მამა – ბლაღოჩინი მიხეილი, მეუღლე – ეკატერინე.

ტონ მაჭავარიანის მეუღლე); მარიამი (დაბ. 1873 წ., 14 იანვ., მღვდელ არქიპო ჩხიკვაძის მეუღლე); მართა (დაბ. 1878 წ. 10 იანვარს, კომპოზიტორ მიხეილ (მიშა) შარაბიძის მეუღლე) და ყველაზე უმცროსი – უმშვენიერესი სალომე (დაბ. 1886წ. 25 იანვ.), რომელიც ცხოვრობდა მშობლების სახლში, ძმის ოჯახთან ერთად, ეხმარებოდა ძმისშვილების გაზრდაში (გათხოვდა გვიან, მეუღლე – მასწავლებელი ნესტორ კოვზირიძე).

ბლაღოჩინ მიხეილ მჭედლიძის ერთადერთი ვაჟი, პაპის თანამოსახლე, სიმონი, დაიბადა 1865 წლის მირქმის დღესასწაულის დღეს, 2 (15) თებერვალს.

როგორც ჩანს, პირველდაწყებითი ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან 1880-3 წლებში სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო მართლმადიდებლურ სემინარიაში, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა, რაც ჩანს მისი თხოვნიდან, რომელიც მიმართულია იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძისადმი: გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი სწავლას მოწყურებული 18 წლის ახალგაზრდა აღწერს მამის, „ბლაღოჩინ" მიხეილ მჭედლიძის (რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მაღალი სასულიერო წოდებისა იყო, მისი თხუთმეტსულიანი ოჯახი

А 3786

1883 г. (сентября...)

Его Преосвященству Преосвященнейшему Гавриилу Епископу Имеретинскому и Кавалеру



Ученика III класса Тифлисской Духовной Православной Семинарии Симона Михайловича Мелидзе

Покорнейшее прошение

Не вправе безпокоить Ваше Преосвященство после тех великих милостей, каким Ваше преосвященство оказали нам, но имея крайнюю необходимость и чувствуя себя совершенно бедным, и не ожидающим ни откуда ни какой помощи, осмеливаюсь довести до сведения Вашего Преосвященства мое критическое и безвыходное положение.

Вашему преосвященству хорошо известно, что отец мой (хотя благочинный) до крайности беден, вследствие чего не в возможности обезпечить мою жизнь в означенной семинарии и вместе с тем располагать громадным семейством, состоящим из пятнадцати душ.

Дядя мой помощникъ секретаря
во ввѣренной Вамъ консисторіи хотя
человѣкъ сострадательный и не жалѣетъ
для меня послѣдней копѣйки, но не можетъ
оказать мнѣ помощь, такъ какъ онъ воспиты-
ваетъ двухъ братьевъ въ Ставропольской
Духовной семинаріи.

Такимъ образомъ не имѣя и не ожидая
ни отъ кого помощи нѣтъ возможности
продолжать дальнѣйшее образованіе
въ какомъ нибудь учебномъ заведеніи.

По этому покорнѣйше прошу Ваше
Преосвященство взглянуть на меня бѣд-
ствующаго велимилостивымъ окомъ, Ваше
преосвященство, окомъ и вырвать меня
Вашей благодѣтельной десницей изъ рукъ
того великаго несчастія, котораго судьба
моя полагаетъ мнѣ въ сѣти. Надѣюсь,
что ваше благое Преосвященническое сердце
не откажетъ мнѣ въ подаяніи, надѣюсь и
на то, что если Ваше преосвященство
не удостоитъ меня этой великой милости
то покрайней мѣрѣ выдастъ мнѣ свидѣтель-
ство о бѣдности, чтобы наконецъ этимъ
снискать въ глазахъ кого нибудь милость;
если же не удостоюсь и этого, то въ
такомъ случаѣ принужденъ буду отказаться
отъ того великаго счастія, какое ожидаетъ
меня по окончаніи моего предполагаемаго
образованія и приблизиться къ тому вели-
чайшему несчастію, какое ожидаетъ меня
не докончивъ оное...

1883 года 1 Сентября.

Покорнѣйшій проситель
Симонъ Мчедидзе.

უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა) იგი აღნიშნავს, რომ ბიძამისსაც (ესტატე მჭედლიძეს, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის გამგე იყო), მიუხედავად დახმარების სურვილისა, არ შეეძლო მისი სწავლის გადასახადის გადახდა, რადგანაც იგი თავის ორ ძმას არჩენდა, რომლებიც სტავროპოლის სემინარიაში სწავლობდნენ. ხელმოკლეობა აიძულებდა მას დაეტოვებინა სასწავლებელი... შემდგომ არ ჩანს, განაგრძო თუ არა მან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ქუთაისის არქივის ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ მან 1888 წელს დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია როგორც ჩანს, უფრო შესაძლებელი გამხდარა იგი სასწავლებლად გაეგზავნათ სტავროპოლში, სადაც სოფ. პოკოინოეში მისი ბიძა – მღვდელი დავითი მოღვაწეობდა. სემინარიის დასრულების შემშეგ, 1889-1891 წლებში იგი იქვე, სტავროპოლის სკოლაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (ქ.ს.ა):


სიმონ მჭედლიძე სემინარიელი

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1889-91 წლებში, ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში ასწავლიდა საღვთო სჯულსა და სხვადასხვა საგნებს.

1891 წელს სიმონ მჭედლიძემ ჯვარი დაიწერა თავად (გენერალ) ბესარიონ დგებუაძის ასულზე, ეკატერინეზე და გადავიდა ქუთაისში, სადაც გიმნაზიის მმართველობის ნებართვით გახსნა პანსიონი (1891-94წწ) და შემდეგ, 1908 წლის თებერვლიდან კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია.

მათ ჰყოლიათ 13 შვილი, რომელთაგან პირმშო – მიხეილი, ჩვილობაში გარდაიცვალა; გოგონები – მარია, ხაფია, ანასტასია, ტასო, (დაბ. 1907წ.), მელანია (დაბ. 1914წ.) – ბავშვობაში, როგორც ჩანს, იმ დროს გავრცელებული სახადებით დაეღუპათ. დარჩენილი შვიდიდან ყველაზე უფროსი, ბესარიონი (ბიჭიკო დაბ. 1893 წ.), 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა; მომდევნოები, მიუხედავად მათ თავზე გადავლილი განსაცდელებისა, გადაურჩნენ სენსაც და რევოლუციისა და 24 და 37 წლების ქარტეხილებსაც: ბარბარე (ბაბო, დაბ. 1896წ.), ბიძინა (დაბ.1901წ.), დიმიტრი (დაბ. 1903 წ.), ნინო (გუგული, დაბ. 1912წ., 1893-1907 წლების მონაცემებით, მას 5 შვილი ჰყავს – ბესარიონი, ბარბარე, ბიძინა, დიმიტრი, ელისაბედი და ანასტასია (სფ. მას. ს. 24119 ფ.



ხერისწერის მემღევ. ეკატერინე დვებუაძე მეუღლესთან ერთად

106-109)), ეკატერინე (დაბ. 1917წ.), მარგარიტა (იგივე ელისაბედი). ისინი კეთილსინდისიერად, თავდადებით ემსახურნენ საქართველოს კულტურის, განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის აღმშნებლობას.

1894 წლის 15 მაისს სიმონ მჭედლიძე გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო იმავე წლის 23 მაისს მისივე ხელდასხმით იკურთხა მღვდლად სოფ. სვირის წმ. თომას ეკლესიაში, სადაც მოღვაწეობდა 1902 წლამდე; იგი ერთი პერიოდი წირავდა ქუთაისის საკათედრო ტაძარშიც – „სობოროში" (იგი მოხსენიებულია ბლაღოჩინ მიხეილ მჭედლიძის შვილებს შორის: „Симон – священник Кутаисского кафедрального Собора" Клировские ведомости", ქსა). 1902 წლიდან იგი სვირის წმ. გიორგის ეკლესიაში წინამძღვრია; 1908 წლის „Клировские ведомости"-ს ცნობით, სვირის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდა მღვდელ სიმონ მიხეილის ძე მჭედლიძისა, მსახურებდა კიდევ 2 მღვდელი, დიაკვანი და სამი მედავითნე (Клир. вед. № ).

საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად მღვდელი სიმონ მჭედლიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ და საგამომცემლო მოღვაწეობასაც ეწეოდა: ქუთაისში, საკუთარ სახლში, მეუღლესთან ერთად მან დააარსა კერძო პანსიონი და პროგიმნაზია, ასევე, მოსამზადებელი კურსები... საკუთარი სტამბა –„ძმო-



სეირის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოება.
უკანა რიგში მარჯვნივ მღვდელი სიმონ მჭედლიძე

ბა", სადაც 1908 წლიდან იბეჭდებოდა მისი რედაქტორობით დაარსებული გაზეთი – "შინაური საქმეები".

1896-1905 წლებში იგი იყო იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს შორაპნის განყოფილების წევრი, 1898-1905 წლებში – შორაპნის მაზრის საეკლესიო სკოლების ზედამხედველი, 1901 წელს დაინიშნა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა კურსების ზედამხედველად, ხოლო 1902 წელს კი იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სკოლების ადგილობრივი პედაგოგების კურსების სანიმუშო სკოლის ხელმძღვანელად. 1905 წელს იგი იმერეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს წევრია და ამავე წელს ინიშნება იმერეთის საეპარქიო საბჭოს საქმის მწარმოებლად; იყო იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლა-სასწავლებლების მეთვალყურე და პედაგოგიური კურსების მრჩეველი; 1902-1905 წლებში იყო IV თანრიგის საგამომცდელო კომისიის თავმჯდომარე („Клировские ведомости", ქსა, ზ. ჭიჭინაძე, „მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სტამბა ქ. ქუთაისში", გვ. 239-240; რ. სალინაძე, გვ. 22-42)

მღვდელი სიმონ მჭედლიძე დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა იმერეთის ეპარქიაში, რაც ჩანს იქიდან, რომ იგი 1894-1905 წლებში იყო დეპუტატი სეირის საბლაღოჩინო ოლქიდან, 1900-3 წლებში კი იყო



პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: მღვდელი სიმონ მჭედლიძე,
ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, ალექსი ბერი (შუშანია)

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მე-40, 41-ე და 43-ე ყრილობების თავმჯდომარე. 1903 წელს იგი აირჩიეს სასულიერო წოდების სრულუფლებიან წარმომადგენლად კავკასიის ქვანახშირის მრეწველთა მეხუთე ყრილობაზე. ქუთაისის სახელმწიფო არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ გულისხმიერი მსახურებისათვის იგი სხვადასხვა დროს დაჯილდოვებული იყო საგვერდულით („ნაბედრენნიკით"), სკუფიითა და კამილავკათი ( ქსა, სფ.მას.ს. №24119, ფ. 106-109)

* * *

თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია მხოლოდ ორი ბარათი კარტოტეკისა ფ. 300, № 2864 და ფ. 287, №2 ფ. 3, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

"Мчедлидзе Симон Михайлович, 1865г. сел. Свири, Лаше-Гверкис высш. нач. уч-ще, Заведыв., националист. Принимал участие в августовской авантюре.»

როგორც ჩანს, ეს არის სახ. განათლების კომისარიატის კარტოტეკა). თვით საბუთები კი, სამწუხაროდ, ადგილზე არ აღმოჩნდა.

# მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის საზოგადოებრივი, საგამომცემლო-ლიტერატურული და სასულიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა



## დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და საზოადოებრივი გაზეთი „შინაური საქმეები“ და „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა წმიდისა გიორგისა“

მღვდელი სიმონ მჭედლიძე ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს სამოძღვრო-საეკლესიო, სასულიერო-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას. წიგნში „ქართული სტამბები 1627-1916 წწ“ ზაქარია ჭიჭინაძე ცალკე თავს უძღვნის მღვდელ სიმონ მჭედლიძეს და მის სტამბას ქუთაისში:

„დეკანოზ დავით ღამბაშიძის სიცოცხლეშივე თავი გამოიჩინა მღვ. სიმონ მჭედლიძემ. მისი ვინაობა ჩვენთვის უკვე ცნობილი გახლავსთ, რადგანაც იგი დღესაც მოღვაწეობს სასტამბო, სამწერლო და სამღვდელო ასპარეზზედ. მას ქუთაისში აქვს საკუთარი შესაფერი სტამბა, თვით აწარმოებს ამ სტამბას და საქმიანობას უძღვება თავის შესაფერად. სტამბის მუშაკობის გარეშე, იგი ცნობილი გახლავსთ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობის, იგი ბეჭდავს სხვადასხვა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე, გახლავსთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გზეთ „შინაური საქმეებისა“, რომელიც დღესაც გამოდის მისის რედაქტორობით ქუთაისს. ამას გარდა 1913 წლის დასაწყისიდამ მანვე დაიწყო გამოცემა ჟურნალ „განთიადის. ამ ჟურნალის გამოეიდა რამდენიმე წიგნი. ასეთის სამსახურის მას სხვაც ბევრი რამ მიუძღვის. იგი განაგრძობს დეკ. დავითის მაგიერობას, გაზ. „შინაური საქმეები“ გამოჰყავს თავის შეძლების გვარად, ამით იგი დიდს შრომას და ამაგს სდებს არა მარტო იმერეთის ერის წინა, არამედ მთელის ქართველის სამღვდელოების და ქართველი ერისა. იგი, რამდენათაც ეკუთვნის სასულიერო მიმართულებას, ამდენადვე იგი ქართული მოქალაქეც გახლავსთ, ქართველი ნაციონალისტი და ქართველი ერის გონიერად დაწინაურების მონატრე. ჯერედ დიდი ხანი არ არის, რაც მოძღვარი სასტამბო და სამწერლო ასპარეზზედ გამოეიდა და მან ამ ხნის განმაველობაშიაც უკვე გვიჩვენა თავის სამოღვაწეო საიმედო ნიშნები, საქართველოს ერისადმი ღრმა პატივისცემა და თავის ერის აღორძინებისადმი დიდი გულისტკივილი (ზ. ჭიჭინაძე, ქართული სამღვდელოება და სასტამბო-საგამომცემლო საქმის ისტორიიდან“ , წიგნიდან: „ქართული სტამბა 1627-1916“, გვ.239-240).

მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სტამბა „ძმობა“, სასულიერო-ზნეობრივი ხასიათის ლიტერატურის გარდა, ბეჭდავდა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო, საერო – პოლიტიკური, ისტორიული თუ მხატვრული ხასიათის ლიტერატურას, როგორც ქართულს, ასევე თარგმნილს რუსული და ევრო-

ფასი ერთი შაური. კვირა,, 16 იანვარი, 18[illegible]1 წ. № 2.

# შინაური საქმეები.

წლიური ფასი სამი მანეთი.

წლიწადი მეორე.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველ-კვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“ ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში ([illegible] [illegible] — [illegible] [illegible] № 17). და თბილისში [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა [illegible] [illegible]. როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი. ნახ. წლით: 2 მანეთი. გაზეთი ღებულობს ყოველგვარ განცხადებებს.

შინაარსი: 1 [illegible] ხელისა. 2 [illegible] არქ. ნესტორისა. 3. [illegible] რედ-სა. 4) [illegible] [illegible]. 6) [illegible] ნ. ჯაფარიძისა. 7 [illegible] რ. საჯავახელისა. [illegible] —ინ. ნარ. რელიგოსი. 9) [illegible] მღვდ. კ. დანელიასი.

## ქუთაისი, 16 იანვარი.

**შეცდომა თუ წინათ განზრახუ- ლი ხაქციელი** [illegible] [illegible] [illegible] ახლა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მოთხოვნილების თანახმ[illegible] და თანახმად [illegible] მეტრივე [illegible] [illegible]. შენობას არ აქვს ეკკლესია და მის ნაცვლად განძრახულია სარეკრეაციო ზალაში ერთი კედელი დაუთმონ წმ. ხატებს, რომლებიც შთოლოდ სავალდებულო პარაკლისების დროს იქნებიან გამოჩენილნი, ხოლო სხვა დროს დაფარულნი განსაკუთრებული დარაბით. რა არის ეს? ქირდევა, შეცთომა, თუ წინათ განზრახული და ცნობილ მიზნით მოსაზრებული საქციელი? ნუ თუ ქრისტიანე ბავშვებისთვის საჭირო არ არის არც წირვა, არც ლოც-

პული ენებიდან; ამ სტამბაში განხორციელდა ყველაზე ადრეული გამოცემები იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა;

ამ სტამბაში დაიბეჭდა მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერებისა: ალ. ცაგარლის „ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ", (რომელიც ითარგმნა და გადმოიბეჭდა „Ведомость"-დან) და ალ. ხახანაშვილის „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე" (1910წ.); ასევე, ს. ქვარიანის „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი" (ილუსტრაციებითა და გეოგრაფიული რუკებით); დ. უზნაძის „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი", დ. უზნაძისავე რედაქციით – მიულერის ნაშრომი „ისლამი და არაბთა სახელმწიფო"; ვ. წერეთლის ტრაქტატი „ავტონომია და ფედერაცია" (1917 წ.); ლ. შენგელიას „რას ნიშნავს მიწის სოციალიზაცია" (1917წ.), რომელშიც განხილულია საკითხი, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს ეს პრობლემა აქტიური რევოლუციური მოძრაობის პირობებში); ე. კაპანაძის „ეკონომიური მატერიალიზმი (1918წ.); იბეჭდებოდა სასოფლო-სამეურნეო, თუ სამედიცინო ხასიათის ლიტერატურა, როგორიცაა კ. მოდებაძის „ქიმიური მევენახეობა" (1914წ.); ბროშურები მეფუტკრეობის შესახებ; ბროშურები იმ პერიოდში გავრცელებული დაავადებების შესახებ: ნ. ჩიქოვანის „ხოლერის შესახებ", ი. მუჯირის საჯარო ლექციისა, რომელიც წაკითხულ იქნა ზუგდიდის საზოგადოებრივ საკრებულოში 1909 წლის 28 ივლისს – „მუცლის ტიფი და მასთან ბრძოლის საშუალებები"; ასევე, ცნობილი ექიმის, ივ. გომართელის ბროშურა „თამბაქო და მავნე სასმელები"...

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ძმობა" ბეჭდავდა სახელმძღვანელოებს საერო რეალური სასწავლებლებისა და გიმნაზიებისათვის ბუნების (ა. ჩხენკელის), სამართალმცოდნეობის (ი. ცინცძის), საქართველოს ისტორიის (ე. ნიკოლაძე), ენათმეცნიერების (მაგ. ენის წარმოშობის შესახებ გიმნაზიის მასწავლებლის, ტრიფონ ჯაფარიძის ავტორობით, რომელიც „შინაური საქმეების" აქტიური თანამშრომელი იყო). სტამბაში გამოცემული ქართული ენის (მართლწერისა და გრამატიკის) სასკოლო სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია ს. ხუნდაძის (1913წ.), ი. ნიკოლაიშვილის (1917 წ.), ი. ოცხელის, ს. ყიფიანის, დ. ოყრეშიძის წიგნები, რომლებიც რეკომენდირებული იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ.

სიმონ მჭედლიძის მიერ დაარსებული „შინაური საქმეების" პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წლის 13 აპრილს. ამ ყოველკვირეული გაზეთის (რომელმაც თექვსმეტგვერდიანი ჟურნალის სახე მიიღო) მიზანდასახულება ქვესათაურშივე იყო გაცხადებული: „სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი." მის დანიშნულებას რედაქტორი ხედავდა საზოგადო-

ების სულიერსა და ზნეობრივს აღზრდასა და მოძღერობაში. მისი აზრ გაზეთმა ჭეშმარიტი მოძღვრის როლი უნდა შეასრულოს, ხელი უნდა უწყოს ერის სულიერი კრიზისიდან გამოყვანას ჭეშმარიტი გზის ჩვენებ „ესდეკებმა" (სოციალ-დემოკრატებმა) თავიდანვე მცდარი გზა აირჩ მათი ლოზუნგი იყო „ძმობა, ერთობა, თავისუფლება", მაგრამ – ღმერთ და ქრისტეს გარეშე. 1905 წლის რევოლუციის დროს დაანგრიეს ეკლესი; დახოცეს მღვდლები...(ამ მძიმე მოვლენებს „შინაური საქმეების" ფურცლე აანალიზებს ცნობილი ქუთაისელი მოღვაწე ტრიფონ ჯაფარიძე, რომე თავისი წერილების სერიას ბეჭდავს სათაურით: „ჩვენი შეცთომ; რომელსაც, პარიზის რევოლუციის შეცდომების ანალიზით იწყებს. 1 წლის მოვლენებს ორი წლის შემდეგ მოჰყვა ილია ჭავჭავაძის საზარ; მკვლელობა, რაც სამარცხვინო ლაქადაა დარჩენილი საქართველ ისტორიაში).

„დრომ მოიტანა და გაზეთი ეკლესიას უნდა დაეხმაროს ხალხის ღვთ კენ მობრუნებაში", – ვკითხულობთ გაზეთის პირველი ნომრის სარედაქ( წერილში: ჭეშმარიტი სჯულის ქადაგების მართლმადიდებელი ეკლ; ისათვის ამ ახალი, უჩვეულო ფორმის გამოყენების აუცილებლობა გა იწვია იმან, რომ XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში აღინიშნებ სოციალ-დემოკრატების მიერ ათეისტური აზროვნების გავრცელება-დ კვიდრებითა და რწმენასა და ეკლესიასთან სამკვდრო-სასიცოცხ ბრძოლით. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისას მისი მოწინააღმდეგენი ფ თოდ იყენებდნენ იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარ პოპულარულ საშუალებას, ბეჭდვით სიტყვას: „ერმა ღვთის სახლის და ლესიის გზა დაივიწყა და ცრუ მოძღვართა გავლენის ქვეშ მოექცა... სასწ ფოდ შეითვისა მან გარედან მონაბერი ღვთის საუარმყოფო მოძღვრება („შინ. საქ."). მოზღვავედა „გარედან მონაბერი" ათეისტური ლიტერატუ თარგმანები, ლიტერატურისა, რომელიც უარყოფდა ღმერთს, უარყო; სამყაროს ღვთაებრივი შესაქმის ჭეშმარიტებას, ქრისტეს მოძღვრების წ ხალხს სთავაზობდა მატერიალისტურ-ევოლუციონისტურ მოძღვრებებს სულიერებისაგან დაცლილ ლოზუნგებს. **მატერიალური თანდათან სდევნ სულიერს და პრაგმატიზმი თელავდა ზნეობას.** საქართველოს სამღვდელ ბას დუმილი უნდა დაერღვია, პასუხი უნდა გაეცა ამ მძლავრი და დაუნდ ლი შემოტევებისათვის. მწვავედ დადგა საკითხი ქრისტიანული მოძღვრე ქადაგებისა ეკლესიის გარეთაც, საქართველოს სამღვდელოების საკუთ გამოცემის, საკუთარი გაზეთის საშუალებით: „იმედი უნდა გვქონდეს, რ ჩვენს გამოცემას, თუ იგი მოსამსახურე იქნება ადამიანის დანიშნულებ და მის მისაღწევ საშუალებათა გზის მაჩვენებელი, მკითხველი ეყოლებ

წერს სიმონ მჭედლიძე სტატიაში „სამღვდელოების მომავალი კრების საყურადღებოდ:“ „თქმა არ უნდა, ყოველი ახალი დაწყებულება, რაც უნდა ჭეშმარიტ გზას ადგეს იგი, ეჩოთირება უჩვევ საზოგადოებას. მით უფრო საჩოთირო და ძნელად გასაგები იქნება იგი ეხლა, როცა სხვადასხვა ცრუ მოძღვართა და ცრუ წინამძღვართა დაიჭირეს საპატიო ადგილი... ხალხს მოძღვარი ეჭირვება. უამისოდ მას არ უცხოვრია და ვერც იცხოვრებს, რაც უნდა მაღალი შეიქმნეს მისი კულტურა. ამიტომ, როცა ჭეშმარიტი მოძღვარი და წინამძღვარი არ არის, ცრუ მოძღვარნი იჭერენ მის ადგილს და ხალხიც მათ ემონება. სადაც ქრისტე არ არის, იქ მაჰმადია, იქ ბუდაა, იქ ზოროასტრია. როცა ჩვენს დროს ჭეშმარიტი ქრისტეს მოძღვარნი შემცირდნენ, მათი ადგილი ბებელებმა და გომართელებმა დაიჭირეს. საკმარისია აღდგნენ ჭეშმარიტი თავდადებულნი მოძღვარნი, რომ ცრუ მოძღვრებნი დაეცნენ... მაგრამ შეგვიძლია კი ხალხს მოძღვრობა გავუწიოთ გაზეთის საშუალებით? შეგვწევს თუ არა იმდენი ღონე, რომ ძლევამოსილად გაეუმკლავდეთ თანამედროვე ბნელ ძალებს? გვყავანან თუ არა ასეთი მებრძოლები? („შინ. საქ.“, 1908, № 5). ასეთი ჭეშმარიტი მოძღვარნი და თანამებრძოლნი საკმაოდ გამოუჩნდა გაზეთს! ესენი იყვნენ: მომავალი პატრიარქები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, კირიონ II (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), კალისტრატე (ცინცაძე), დეკანოზი, არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე, ალექსი ბერი (შუშანია), საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები: ტრიფონ ჯაფარიძე, სილოვან და სიმონ ხუნდაძეები... და სხვა მრავალი, ქრისტეს ვენახის ჭეშმარიტ მუშაკთა ჩვენთვის უცნობი სახელები, რადგან ბევრი მათგანი ფსევდონიმით ბეჭდავდა... თვით რედაქტორიც სიმონ მჭედლიძე, უფრო ხშირად სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის წერილებს: სღვთისმეტყველო-სასულიერო ხასიათისას — „სანმანიანის“ ფსევდონიმით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურს — „ბოსლეველის“ ზედწოდებით (რომელიც მან თავისი ბიძის, ცნობილი პუბლიცისტის, ესტატე მჭედლიძისაგან აიღო მისი მკვლელობის შემდეგ), პუბლიცისტურ-პოლემიკურს —„ხელისა“ და სხვ.

**„გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო,“** მოუწოდეს მათ ქართველ სამღვდელოებას „შინაური საქმეების“ ფურცლებიდან და ასე შეიქმნა XX საუკუნის ქართული აპოლოგეტური თხზულებების მთელი რიგი, როგორიცაა: *„სახარება, როგორც ცხოვრებისა და ცივილიზაციის საფუძველი“, „ქრისტიანული აღზრდა ნებისა“, „რა მოაქვს ურწმუნოებას“, „საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია“, „სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში“, „სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული“*... სერია წერილებისა: *„სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი“*, რომელიც მკითხველს სთავაზობდა ბიბლი-



# შინაური საქმეები.

ორკვირეული გაზეთი

№ 5.

ფასი ერთი შაური

ხუთშაბათი ... წ.

ურ მოთხრობებს ზოგჯერ ალეგორია-სიმბოლოების გახმარტებითურთ. რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი სტატიები, ფართოდ შუქდებოდა ქრისტიანული რელიგიის საკითხები. ამ სტატიების გამოქვეყნება დიდი სარგებლობას მოუტანდა თანამედროვე გზააბნეულ საზოგადოებასაც, რადგანაც იმ დრისათვის ნიშანდობლივია არა მარტო ათეისტური ლიტერატურის მოძალება, არამედ სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებათა, ოკულტისტურ და სექტანტურ მიმდინარეობათა პროპაგანდისტული ლიტერატურის გავრცელებაც, რაც ასე მოზღვავედა დღესაც.

გაზეთი მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულებისაა. მის თემატიკაში გამოკვეთილია ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, დასავლეთის ეპარქიის ყოველდღიური ჭირ-ვარამისა და ავ-კარგის ამსახველი ცოცხალი პუბლიკაციები სამეგრელოს, სვანეთის, გურიის იმერეთის სოფლებიდან... ქართულ საეკლესიო კითხვასა და გალობასთან დაკავშირებული პუბლიკაციები... სასულიერო სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებისა და სხვა საჭირბოროტო პრობლემები...

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაზეთში საგანგებო წერილები ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემებს. პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას უკავშირებდა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას, რომ ეკლესიის ავტოკეფალია წინამორბედი იყო სახელმწიფოებრივი ავტონომიისა და „საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა რუსეთის იმპერიისაგან,“ რომ თავდადებულ ქართველ ავტოკეფალისტებს სარწმუნოების განდიდება კი არ აცხელებსო, არამედ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველოო.“ გაზეთში დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნაკადაც გამოიცა „შინაური საქმეების“ რედაქციაში ალ. ცაგარლის მოხსენება „მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ“ (რომელიც რუსეთის სინოდის ორგანოში, „Церквныя ведемости“-ში დაიბეჭდა 1906წ.). როგორც ჩანს, ალ. ცაგარლისავე უნდა ყოფილიყო სტატია „Мирянин“-ის („საერო“) ფსევდონიმით, „უუფლებო ეკლესია“, რომელიც „Петербурские ведемости“-ს 1910 წლის № 114-ში დაიბეჭდა და „შინაური საქმეების“ ამავე წლის № 26-ში გადმოთარგმნა სიმონ მჭედლიძემ. ამ სტატიაში პუნქტობრივ არის მოცემული დასაბუთება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა.

„შინაურ საქმეებში“ ხშირად იბეჭდებოდა ქრისტიანული პოლემიკურ-აპოლოგეტური სტატიების მთელი სერიები, რომელთა შორის აღსანიშნავია სიმონ მჭედლიძის „სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული,“ რო-

მელიც იმ დროს გავრცელებული ბუდისტური ლიტერატურის საპასუხო
დაწერილი და განსაცვიფრებელი სიცხადით აჩვენებს ქრისტიანობის
სობრივ განსხვავებას ბუდიზმისაგან, ქრისტიანული ზნეობის ღრმა საფ
ელების არსებობას ადამიანის ბუნებაში... აზროვნების სიღრმით, დასაბუ
ბის სინათლითა და გადმოცემის სიმარტივით იპყრობს ყურადღებას მთე
სერია სტატიებისა, მიმართული ათეისტურ-ევოლუციონისტური მოძღვ
ბების წინააღმდეგ, მოძღვრებებისა, რომლის ფართო პროპაგანდასაც ე
ოდა თავისი თარგმანებით ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, მაგრ
სამწუხაროდ ათეისტი, სოციალ-დემოკრატი ივ. გომართელი. მწვავე პოლ
მიკა ამ ორ მოღვაწეს შორის იმდროინდელი მკითხველი საზოგადოების
რადღების ცენტრში იყო და დიდ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევდა. სინ
მჭედლიძის ამ მეტად საინტერესო პოლემიკურ სტატიებში მოცემულია (
ქვეყნის ღვთაებრივი შესაქმის დასაბუთებისა ბუნებისმეცნიერებათა (
ზიკის, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის) არგუმენტებით, (
თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ მეცნიერებაში კრეაციონისტუ
მიმართულების პირველ ნაბიჯებად. თუმცა, ზოგი არგუმენტი დღეს შე
ლება სუსტად გამოიყურებოდეს, მაგრამ ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, მნ
ვნელოვანია და საგულისხმო ამ წერილების ავტორის მაღალზნეობრ
საზოგადოებრივი პოზიცია, რომელიც მას აიძულებს ხშირად სარკასტუ
მკაცრი და დაუნდობელიც იყოს მისი მოწინააღმდეგის ანტიქრისტიანუ
აზრების შეფასებისას და კრიტიკისას. მისი მახვილი სიტყვა და ბასრი კა
მი არ ერიდებოდა საერო თუ სასულიერო იერარქიის მაღალი ჩინოსნებ
თვით ეგზარხოსების მხილებასაც კი, თუკი ისინი ქრისტეს სარწმუნოებ
და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე სცოდავდნენ
ახალგაზრდობის ჭეშმარიტი გზისაგან, ქრისტეს მცნებებისაგან გარდავ
ნას უწყობდნენ ხელს, საზოგადოებას ურწმუნობისა და უღვთობის უფსკ
ლისაკენ უბიძგებდნენ. აი, რას წერს იგი თავის ერთ სტატიაში – „ჭირმა თ
არ დამალა“: *„როგორც დარწმუნდა ჩვენი საზოგადოება, ჩვენს გამოცე*
*არავითარი პარტიული, ან ვიწრო ნაციონალური მიმართულება არა ა*
*იგი ემსახურება ისეთ საგანს, რომლის გარეშეც სიცოცხლე და ქვეყნი*
*ბედნიერება არარაა, ამაოა, კვამლია და ცვარი განთიადისა. იგი ემსახუ*
*ბა სარწმუნოებას, რომლის გარეშეც არ სცნობს კაცობრიობის ბედნიერე*
*და მის მომავალს. იგი შეძლებისდაგვარად იცავს მას იმ ვეშაპთაგან, (*
*მელთაც სურთ შთანთქან იგი და ამით მოუსპონ ადამიანს ერთადერთი გ*
*მაჩვენებელი და წუთისოფლის წყვდიადში მანათობელი ვარსკვლავი.*
*იღვწის, რაც შეიძლება უზრუნველჰყოს ქრისტეს ნათელი მოძღვრება ა*
*მხეცთაგან. შესაძლებელია ამიტომ ბევრსაც აწყენია ჩვენმა გამოცემამ,*

*რამ უამისოდაც არ შეიძლება...*“ („შინ. საქ.“, 1910 №26).

„შინაური საქმეები“ იმდენად პოპულარული გაზეთი იყო, რომ მას ცნობილი მოღვაწეები ლექსებს უძღვნიდნენ. მაგალითად „იეერიელის“ ფსევდონიმით ლექსი დაიბეჭდა 1909 წლის № 11-ში:

„...სალამს ვაძლევ, თაყვანსა ვცემ
ჩვენ შინაურ საქმეებსა,
დე, მნათობად დასახოდეს
სწორი გზისკენ ჩვენსა ერსა...“

მეორე, უფრო ვრცელი, ლექსი გამოქვეყნდა იმავე წლის № 22-ში:

„... ჭეშმარიტების ნათელი
თავს იჩენს ყოველგანაო,
იღაღადებენ მამები
„შინაურ საქმესთანაო“... (იხ. რ. სალინაძე, გვ. 29-30)

როგორც ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თუ რიგით მკითხველთა პუბლიკაციებიდან ირკვევა, სიმონ მჭედლიძეს არაერთხელ დაუყენებია სამღვდელოების საეპარქიო კრებებსა თუ საზოგადოდ, საქართველოს საეკლესიო წრეებში ზეპირად თუ საგანგებო პუბლიკაციებში საკითხი სამღვდელოების საკუთარი საგამომცემლო ორგანოს დაარსებისა, საკუთარი გაზეთის, ჟურნალისა და სამისიონერო წიგნაკების გამოცემის მიზნით. ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ ამისათვის ხელი უნდა მოეკიდებინა თვით სამღვდელოებას ან რომელიმე საზოგადოებას. სწორედ ამიტომ მან თავის თანამდგომებთან ერთად დააარსა *„იმერეთის-სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა,“* რომლის მიზანს შეადგენდა სწორედ ამგვარი წიგნაკების გამოცემა და ხალხში გავრცელება („შინ. საქ.“, 1910, № 30). სტამბასაც, რომელშიც იბეჭდებოდა *„შინაური საქმეები“* და საგანმანათლებლო წიგნები *„ძმობა“* ეწოდა. იგი მდებარეობდა ქუთაისში, საბურთალო-კაზაკოვის შესახვევში, № 17 სახლში, სადაც ცხოვრობდა მღვდელი სიმონ მჭედლიძე თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით.

*„იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა“* ერთადერთი დაწესებულება იყო არა თუ იმერეთში, არამედ მთელი საქართველოს საეგზარხოსოში, რომლის დანიშნულება და მიზანი იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმტკიცება ხალხში, *„როგორც ქადაგებებით, ისე ზეპირ მოძღვრებათა და ქრისტიანული წიგნებისა და წიგნაკების გამოცემის საშუალებით.“* მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძეს არაერთხელ დაუსვამს საკითხი როგორც საეკლესიო კრებებზე, ისე გაზეთის ფურცლებზე სინოდის წინაშე, რომ *„ეგზარხოსის, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის განათლებული ყურადღება მიექციათ“* ამ ძმობისათვის, რათა მას საშუალება მისცემოდა განეხორციელებინა ის მიზნები, რომლებიც დასახული ჰქონ-

და წესდებით. ხოლო, როცა ეგზარხოსისაგან ყურადღებას ვერ ეღირსნე კერძო პირთა შემწეობის იმედიც გადაუწყდათ, რედაქტორ-გამომცემე თავისი გაზეთის ფურცლებიდან მიმართა სამღვდელოებას: *„როგორც გეხსენებათ, ჩვენი კურთხეული სამშობლო ძლიერ ღარიბია ქველმოქ პირებით, განსაკუთრებით კი ჩვენი ქველმოქმედნი პირნი (რომლები მოიპოვებიან), არ სწყალობენ არავითარ სარწმუნოებრივ დაწესებულ რადგან თვით სარწმუნოება კაცობრიობის მეტ ბარგად მიაჩნიათ. ამი ამ დაწესებულების აღორძინებას და განვითარებას თვით იმათ უნდ აქციონ ყურადღება, ვინც მოწოდებულნი არიან დაიცვან ხალხში ქრი წმინდა მოძღვრება. ასეთი პირები კი სამღვდელონი არიან და, საზოგად ეკლესიის მსახურნი. თუ სამღვდელოებამ ხალხში სარწმუნოების დაცვი ვის არ იზრუნა, მაშინ მისი მოწოდება გადაიქცევა სავაჭროდ, საზრდოს პოვების იარაღად, რაც, რა თქმა უნდა, დასცემს თვით სამღვდელოების ლენას ხალხის თვალში, ხოლო ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს მის სულ და ნივთიერ სიღატაკეს“* („შინ. საქ.“, 1911, №2).

უნდა აღვნიშნოთ, რომ *„იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებ ძმობის“* დაარსებას სამღვდელოებისა და საერო საზოგადოების გარ ული ნაწილი იმედითა და მოწონებით შეხედა: *„ჭეშმარიტად, მაგ დაწ ბულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამღვდელოებისათვის. მადლ კურთხევა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტესი ი მაგ ნორჩს, სიმპატიურს დაწესებულებაზე, პატივისცემა და სახელი მაგ საქმეში მოთავეეს და მშრომელს“*– ეკითხულობთ კორესპოდენციაში ჭია რიდან (1910 წ. 14 ივლისი). მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მოწონებ შემახილი არ კმაროდა, საჭირო იყო მატერიალური თანადგომა, რადგ *„ძმობის“* გაზეთს ძალიან უჭირდა: *„ჩვენ კმაყოფილი ვიქნებოდით, რომ (გაზეთს) აწყობისა და დაბეჭდვის ხარჯი გაესტუმრებიაო“*, ვკითხულ ერთ-ერთ სარედაქციო წერილიში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გაზ მხოლოდ 300-მდე ხელისმომწერი ჰყავს და ისინიც ვერ ისტუმრებენ მის ფასურს: *„სიღარიბეზე თუ ვიტყვით, არავინ ქართველ რედაქტორზე ღარ არ იქნება. მთელი თავისი ენერგია, ძალი და ღონე გამოცემას უნდა შე როს და თვითონ კი მშიერ-მწყურვალი ვდოს. ამას კიდევ ზედ დაურ მწეორბრივი ტანჯვა, რომ მის შრომას არავინ აფასებს... მაგრამ არა! ვინ გავამხელთ სიღარიბეს იქ, სადაც საქვეყნო, საერო და საეკლესიო ს კეთდება...“*

რედაქტორს გული სტკიოდა იმაზე, რომ ისეთი სარწმუნოებრივ-ზნ რივი მიმართულების გაზეთს, როგორიც „შინაური საქმეები“ იყო, ს ლიერო წოდებაშიც ვერ მოეპოვებინა მაინცდამაინც ფართო გავრცელ

*,სამღვდელოებაშიც გაქრა სული კეთილმსახურებისა და სარწმუნოებისა, სამღვდელოება დაეცა სულიერად, „მარილი განქარდა, სანთელი ხვიმირ-ზა ქვეშე დაიდვა" და ეხლა სამღვდელოებას უნდა გამოღვიძება და გამო-ფეთება. ენა რომ მოვკვეთონ, მაინც ვიტყვით, რომ სამღვდელოების ასეთი სიძაბუნე, დაქვეითება, დამანტება, ყურმოთელილობა სარწმუნოებისადმი და თავისი მოვალეობის შეუგნებლობა უმეტეს შემთხვევაში სასულიერო მართებლობის ბრალია. მართებლობა გულგრილად ჰკიდია თავის საქმეს... საჭიროა თავდადებული მოძღვრები, საჭიროა წიგნები, წიგნაკები, ჟურნა-ლები, გაზეთები ხალხის და სამღვდელოების საკითხავად და განსავითა-რებლად. განა დიდი საქმეა, მღვდელმა წელიწადში ოთხმანეთიანი გაზეთი გამოიწეროს და ორი თუ სამი მანეთი საზოგადო, სადვთო სარწმუნოების საქმისთვის გადასდოს? მღვდელმა, რომელიც წელიწადში ხუთი-ექვსი თუმ-ნისას მარტო თუთუნს სწევს და ამოდენასაც უგზო-უკვლოდ ფანტავს საჩივ-რებ-დანოსებში?" (1910, №26, „ჭირმა თავი არ დამალა").*

აი, ასე ცდილობს გაზეთის რედაქტორი სამღვდელოების გამოცოცხლე-ბას, აელენს მის ავ-კარგს, ცდილობს დაანახოს სწორი გზა: ***„ეკლესიას დროის შესაფერისი სამღვდელოება ეჭირვებათ"***, – წერს იგი. ახალი დრო-ის შესაფერის სამღვდელოებაში იგი განათლებულ სამღვდელოებას გუ-ლისხმობს: *„უწინ თუ მწიგნობრობა და სწავლა-მეცნიერება სამღვდელო-ებიდგან გამოდიოდა, ეხლა იგი ისე დაიკეტა, რომ არა-თუ რაიმე თვითონ გამოსცეს, არამედ მიმღეობის ნიჭიც კი დაკარგა. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ საზოგადოდ ლიტერატურა და, კერძოდ, სად-ვთისმეტყველო, ვერ იკიდებს ფეხს დღევანდელ მოძღვართა შორის (1910, № 26).* რედაქტორის აზრით, ამას იმით ეშველება, რომ საჭიროა *„ჩვენი სად-ვთისმეტყველო ლიტერატურის გამდიდრება როგორც ძველი ჩვენი მამების ნაწერების გამოცემით, ისე ნათარგმნებითაც (1910, № 11, „საქმისთვის ვერ მივვივნია")*. თავისი გაზეთის ფურცლებზე მან გზა გაუხსნა ძველი საეკლე-სიო წიგნების შესწორების თაობაზე დისკუსიას და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ამ საქმისათვის ჯერ მზად არა ვართ, არც სამღვდელონი და არც სა-ერონი და, რომ ჯერ საჭიროა ღრმა შესწავლა ჩვენი ენისა და ძველი მემ-კვიდრეობისა, რადგანაც ახლა *„ყველა გამსწორებელს თავისი გრამატიკა უდევს ჯიბეში და იმის მიხედვით ასწორებსო" („შინ. საქ.", 1910, № 11, „საქ-მისათვის ვერ მივვივნია")*.

სამღვდელოების განათლების დაბალი დონისა და ხალხისაგან ჩამოშო-რების ერთ მთავარ მიზეზად სიმონ მჭედლიძეს სადვთო სჯულის რუსულად სწავლება მიაჩნია, რაც *„ძირს უთხრიდა სამშობლო ღვთისმეტყველებას, ჰკარგავდა ენას და ამუნჯებდა სამღვდელოებას, უსპობდა მწიგნობრობას,*

*ერთი სიტყვით, სპობდა მღვდელსა და ერს შორის ცხოველ დამოკი ლებას" (1910, № 18).* იგი საყვედურობს სამღვდელოებას, რომელსაც „ *ხათრითა და მორიდებით სინოდის წინაშე ვერ გაებედნა აღეძრა საკ საღვთო სჯულის და საეკლესიო წიგნების — ტიპიკონ გალობათა ქა ლად სწავლებისა. თუმცა რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ „სიჩუმე ხმობის ნიშანია," მაგრამ დავარწმუნებთ რუსეთის ეკლესიის უმაღლეს მომადგენელთ, რომ ამ ანდაზას ხსენებულ შემთხვევაში ნიადაგი არ ჰქ სიჩუმე აქ უფრო უძლურების და შიშის ნიშანი იყო და არის. და, არ-კი, ამ ცოტა ხნის წინათ საზოგადო მოძრაობით გათამამებულმა საქართვე სამღვდელოებამ „გადააჭარბა" და დაკარგული ავტოკეფალობის აღ მოისურვა"*, და ახალ ეგზარხოსთან შეხვედრისას იმედი გამოთქვა, რო ყურადღებას მიაქცევდა საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტოკეფ ბის აღდგენის საკითხს, ამ უკანასკნელმა ისინი მკვახე უარით გამოისტ

მღვდელმოწამე სიმონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სას ერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებუ კითხებს. სისტემატურად ბეჭდავს ამ საკითხებისადმი მიძღვნილ საკ და სხვათა სტატიებს. „შინაური საქმეების" 1908 წლის 20 აპრილის ნო დან ვიტყობთ, რომ 1907 წლის დეკემბერში ქ. თბილისში, შემდგარა „ *რობისგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდე ბისა"*, რომელსაც განუხილავს საკითხი *„სემინარიებში საღვთისმეტყ საგნების ქართულად სწავლების შესახებ."* კრების დეპუტატებს საჭი უცვნიათ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შემო და დადგენილება ამის თაობაზე სინოდში წარუდგენიათ, მაგრამ, რო გაზეთი იუწყება, სინოდს იგი არ დაუმტკიცებია იმ მიზეზით, რომ *„სა მძღვანელოები არა გვაქვსო." „სრულიად მართალი შენიშვნაა,— რომ სახელმძღვანელოები არა გვაქვს,* — წერს რედაქტორი, — *მაგრამ გ ღრმა და მდიდარი ენა და გვყვანან მცოდნე უმაღლეს საღვთისმეტყ კურსდამთავრებული პირები, რომელთა მეოხებით რამოდენიმე ხნის მავლობაში შეგვიძლია მთელი საღვთისმეტყველო სახელმძღვანელ გავაჩინოთ"* (1910, № 18, ქუთაისი, 9 მაისი).

მღვდელ სიმონ მჭედლიძის ინიციატივით, რედაქცია მოითხოვდა სა მძღვანელოების ქართულ ენაზე სასწრაფოდ შექმნას და თარგმნას, ამა ნავე, ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავებას და, სადამე, იმ მემკვიდრეობითი ხაზის აღდგენას, რომელიც იძულებით გა მას შემდეგ, რაც 1811 წლიდან რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართვე ეკლესიის ავტოკეფალობა და მის რუსიფიკაციას შეუდგა. ასევე, დაჟინ მოითხოვდა და ასაბუთებდა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების

თულ ენაზე შემოღებას. გაზეთი ამ საქმეს პრაქტიკულადაც უწყობდა ხელს: სწორედ მის წიაღში დაარსებულ *„იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობის"* სტამბაში ჩაეყარა საფუძველი ქართულ ენაზე „საღვთო სჯულისა" და „საღვთო ისტორიების", ღვთისმსახურების შესახებ ქართული სახელმძღვანელოების შექმნას. სწორედ რედაქტორი, სიმონ მჭედლიძე და მისი გაზეთის თანამშრომლები დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდ. მელიტონ კელენჯერიძე და „ძმობის" სხვა წევრები არიან ავტორები XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დღესაც გამოიყენება სასწავლებლებში.

„შინაური საქმეების" 1913 წლის № 8-ში დაბეჭდილი ვრცელი სია აქ გამოცემული წიგნებისა ნათელყოფს ამ რედაქციის 5 წლის შრომის ნაყოფს, ამ ჩამონათვალშია როგორც წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობანი, ისე სასულიერო-განმანათლებლური ხასიათის ლიტერატურა, როგორებიცაა: „ახალი აღთქმის საღვთო ისტორია," „მოკლე საეკლესიო ისტორია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით," „მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ" ალ. ცაგარლისა, *„სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში", „სინამდვილე სახარებისა", „წყარო ურწმუნოებისა", „ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე," „ქრისტიანობა და დემოკრატია," „პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე," „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში," „პატარა ქრისტიანი", „საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ"* და სხვა მათ შორის უმეტესობა თვით სიმონ მჭედლიძეს ეკუთვნის.

გაზეთის რედაქტორი მოუწოდებდა საქართველოს სამღვდელოებას შეერთებინა თავისი ხმა *„იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობისათვის,"* გაეზიარებინა მისი მისწრაფებები და მიზნები: *„რად საღვთო საუბრებს არ ემართავთ, რად არ ვეწევით სასულიერო პროპაგანდას იმ დროს, როცა საერო საუბრები სახალხო სახლებში, სახალხო უნივერსიტეტებში, თეატრებში, და კერძო სახლებში დღემუდამ, „დროთი უდროვო", როგორც ამბობს პავლე მოციქული, გაისმის? მე არ უარვყოფ ამ საუბრებს, ვარნა თანავუგრძნობ კიდეც, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ეს საუბრები უმეტესწილად გაჟღენთილნი არიან თანამედროვე მატერიალისტურ-ათეისტური აზრებით და მიმართულებებით, რაც დიდი საფრთხეს უმზადებს ხალხის კეთილმორწმუნოებას. სამღვდელოების ვალია შეასუსტოს თავისი საუბრებით თანამედროვე საერო-ათეისტური საუბრების ასეთი გავლენა. აი, საით იწვევს დღევანდელ მოძღვარს თავისი მოვალეობა, აი, რას უნდა მიექცეს დღეს უმთავრესი ყურადღება. განა სამღვდელოების საქმე არ არის, რა-*

*თა, „რაოდენი მისცა მას ღმერთმა, არა წარწყმიდოს მისგან?" და, თუ*
*რას მერებით, მამანო? აქამდე თუ საპყრობილით და ბორკილებით სდე*
*დით ღვთის უარმყოფლებს, დღეს კალმის წვერი და ცხოველი მაგალი*
*საჭირო! (1910, № 1).* თვითონ რედაქტორი სწორედ სიტყვით, კალმით
ცხოველი მაგალითით ცდილობდა ხალხის მოქცევას ქრისტეს სჯულის
ეკლესიისაკენ და ამ გზაზე არ ეპუებოდა დაბრკოლებებსა და წინააღმდ
ბებს, არ უშინდებოდა შეურაცხყოფას და ცილისწამებებს *„ნუ დაივიწყ*
*რომ დაბრკოლება ყოველ კეთილ საქმეს ელობება წინ, მაგრამ გმირი*
*და ქრისტიანული მოღვაწეობაც ამ დაბრკოლების გადალახვაშია,"* – წე
იგი სტატიაში *„ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ცირკულა*
*გამო" (1910, № 2).*

უკვე ჟურნალად ქცეული გაზეთის „შინაური საქმეებისა" და საზოგადო
„ძმობის" მნიშვნელობა ახალგაზრდობის აღზრდისა და ზნეობრივად ჯანს
საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის კარგად ესმოდათ ქუთაისის გამო
ნილ მოღვაწეებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ ამ ჟურნალში. როგ
იმ დროის ცნობილი მოღვაწე, ტრიფონ ჯაფარიძე წერს, *„შინაური საქმე*
*გაჩენასთან დიდი კავშირი აქვს ქუთაისში სარწმუნოებრივ-განმანათლ*
*ლი „ძმობის" დაარსებას. ვისაც უდევნებია თვალი „შინაური საქმეებისა*
*იმას წაკითხული ექნება ამ გაზეთში „ძმობის" წესდება და ადვილათ მიხ*
*ბა, რომ „ძმობას" წმინდა მიზანი აქვს. „ძმობას" სურს გაამაგროს ხალ*
*ქრისტიანული სარწმუნოება და მაღალი ჭეშმარიტი ზნეობა. ვინც დაკ*
*ვებულია ცხოვრებაში და იცის მსოფლიო ისტორია, დაგვეერწმუნება,*
*მაღალი სარწმუნოება და მტკიცე ზნეობა უპირველესი პირობაა ადამი*
*კეთილი მოქმედებისა და მთელი ერის და სახელმწიფოს არსებობისა.*
*წმუნოების დაცემა ზნეობასაც დასცემს და ზნეობის დაცემა კი ასუსტებ*
*დღითიდღე ამცირებს სახელმწიფოს ძალას, დაბოლოს, სრულიად სპობს*
ტრიფონ ჯაფარიძე ამ სტატიაში განიხილავს რა და აანალიზებს 1905 წ
რევოლუციისა და მისი მომდევნო *„მოძრაობის"* შეცდომებს (რაც დღ
განსაკუთრებით ყურადსაღებია და გასათვალისწინებელი), სინანულს
მოთქვამს იმის გამო, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან და საჭირო ჟურნა
რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ხელმომწერლები ცოტა ჰყავდ
მალე მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. *„მოძრაობის"* (იგულისხმება
წლის რევოლუციური „მოძრაობა") *დროს ძლიერ იკიცხებოდა ჩვენი*
*ღვდელოება, როგორც კერძო ქადაგებაში, ისე ბეჭდვით სიტყვაში და იმ დ*
*გამოცემულ წიგნაკებში...* – წერს იგი – *„სამღვდელოების წევრთა უვარგ*
*ბის შესახებ ბევრი ითქვა და ბევრიც ნათქვამიდან სამართლიანია, აგრ*
*ეკლესიის ორგანიზაციაც, როგორც კაცისავე მოქმედების შედეგი, შეიც*

*ბა შესასწორებელია, მაგრამ აქ რა შუაშია სარწმუნოება – ეს უწმინდეს გრძნობა ადამიანისა? სამღვდელოება კიდეც რომ დაეარდეს და ბიწიერებით აივსოს, ან ეკლესიის ორგანიზაცია კანონიკურ ნიადაგს გადასცდეს, განა ე სარწმუნოების ბრალი იქნება? სრულებითაც არა! სარწმუნოებას აქვს ფე სო ადამიანის ბუნებაში... და ვისაც სარწმუნოების მოსპობა უნდა, მან ჯერ ადამიანის ბუნებრივათ გარდაქმნას უნდა მიჰყოს ხელი, მაგრამ არ ვიცით ამ მუშაობას რომელი გონიერი ადამიანი შეუდგება. სარწმუნოება ისეთივ არსებითი მოვლენაა ადამიანის ბუნებაში, როგორც გონება, ენა, გრძნობა და სხვა ... სად უნდა ემართლებია თავი სამღვდელოებას, სად უნდა გაეცა პასუხი ყველა ცილისწამებისათვის, სად უნდა გამოეთქვა თავის გულისთქმა? ჩვენმა სამღვდელოებამ მაშინ აშკარათ იგრძნო ბეჭდვითი ორგანოს საჭიროება და აუცილებლობაც. სამღვდელოების კრებამზე საერთოთ აღიარეს, რომ სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო სიმართლის აღსადგენათ აუცილებელია ერთი ბეჭდვითი ორგანოს ქონებაო. აი, ამ ნიადაგზე აღმოცენდა სურვილი რამოდენიმე პირისა, დაარსებულიყო ქუთაისში გაზეთი „შინაური საქმეები“, რომელიც ეს ორი წელიწადია იბეჭდება და რამდენათაც შესაძლებელია, ვიწრო ნივთიერ პირობებში მყოფი გაზეთისთვის, აწვდის მკითხველს სხვადასხვა მასალას. მოსალოდნელი იყო, რომ სამღვდელოება დიდი სიამოვნებით შეხვდებოდა ამ გაზეთის გამოცემას, მით უმეტეს, რომ გაზეთი ცალმხრივი არ არის და შინაარსიც თანდათან გაუმჯობესდებოდა, როცა საზოგადო თანაგრძნობის მეოხებით ნივთიერათ გამაგრდებოდა; მაგრამ, სამწუხაროდ, დაივიწყა სამღვდელოებამ დღენი წარსულისანი, დღენი მწარენი და ხელის მოწერითაც არ შეუწყო ხელი ამ გაზეთს. იმერეთის ეპარხიაში 560 შტატია, 400 გურია-სამეგრელოში და გაზეთი კი 500 არ საღდება.. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს მდგომარეობა შეიცვლებაო“,* – ასკვნიდა ბოლოს ავტორი, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად გაზეთი 1914 წელს დაიხურა მღვდ. იასონ აბესაძისა და და მისი მომხრეების ჩივილის საფუძველზე: როგორც ამასთან დაკავშირებით იმერეთის ეპარქიის საგანგებოდ მოწვეულ 55-ე საეკლესიო კრების მასალებიდან ირკვევა, ამ გაზეთის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის მიზანი ყოფილა მისი გამოცემის გადატანა ყვირილაში (ზესტაფონში) და მისთვის სახელისა და რედაქტორ-გამომცემლის შეცვლა.

კრების მიმდინარეობის პროცესშივე მღვდ. სიმონ მჭედლიძემ დაწერა მოხსენება კრებისადმი. ამ მოხსენებისა გაცნობისა და იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა 55-ე კრების გადაწყვეტილების საფუძველზე იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა გიორგიმ გაზეთის გამოცემის განახლების ნება დართო.

„გაზეთის რედაქტორის უმორჩილესი თხოვნით მივმართავ მის ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, რომ სანამ არ

მოიძებნებოდა „რამენაირი საშუალება“ გაზეთის გამოცემისა, მზად ი
შეენასა გამოცემა პირად ხარჯზე რათა არ აეკრძალოს იმერეთის ეპარქი
და მასთან. მთელ საქართველოს სამღვდელოების ერთადერთი ნახევრ
თავისუფალი გამოცემა მშობლიურ ენაზე“ (ქუთ. არქ., ფ.21, ს. 25931, ფ.5).

### იმერეთს სამღვდელოების დეპუტატთა მე-55 კრებას
### მღვდლის სიმონ მჭედლიძისგან
### მოხსენება

დღევანდელი დრო იდეური ბრძოლის ხანაა. იბრძვიან სხვადასხვა ჯგ
ფები. პარტიები, იბრძვიან თავის იდეის, თავის პლანების გამეფებისათვ
იბრძვიან და გზადაგზა სთელავენ ყველაფერს, რაც კი წინ ეღობებათ და მ
პლანებს არ ეგუებარება. ბრძოლის იარაღათ ხმარობენ ჟურნალებს, გა
თებს და საზოგადოთ, ბეჭდვით სიტყვას. ყველა პარტია, ყველა ჯგუფი, ჩ
სახება თუ არა, მაშინვე გაზეთს აარსებს, წიგნებს სცემს და მათი საშუალ
ბით პფენს ქვეყანას თავის აზრებს, თავის მიმართულებას და ანადგურე
ყველაფერს, რაც გზას უშლის, რაც წინ ეღობება. კრიტიკის ქარ-ცეცხლ
ატარებს ყველაფერს, რაც კი ოდნავ არის, არ ეთანხმება მათ განზრახვას.
ინდობენ სამშობლოს, სარწმუნოებას, თვისტომობას, ოღონდ თავის აზრე
შეათვისონ, შეასისხლხორცონ ხალხს, რომელშიდაც იგინი ხედავენ უძლ
ველ ძალას და, რომელიც ნამდვილადაც წარმოადგენს ასეთ ძალას. მეტ
ლაპარაკი იმაზე, თუ რა დამცირებას განიცდის დღეს სარწმუნოება და მი
წარმომადგენელი სამღვდელოება ამ სხვადასხვა პარტიებისაგან. ცხად
ისიც, თუ რა საშიშროება მოელის ჩვენ ერს, თუ მან სარწმუნოება დაკა
გა და ერთი მეორის საწინააღმდეგო ჯგუფებად დაიყო. ეს კარგათ უნ
გვესმოდეს სამღვდელოებას და ამიტომ ვალდებულიც ვართ, ჩავერთო
საერთო ბრძოლაში იმავე იარაღით, ე.ი. ჟურნალით, გაზეთით, წიგნები
წიგნაკებით... მე მგონია, იმერეთის სამღვდელოებასთან მეტია ლაპარა
ჟურნალ-გაზეთის სარგებლობაზე და მათ მნიშვნელობაზე – განსაკუთრ
ბით დღეს.

მგონი მხოლოდ სიღარიბე უნდა გვიშლიდეს ხელს, რომ დღემდის თვი
კვირეული გაზეთის მეტი არაფერი გვქონია. მაგრამ დღეს ისეთი დრო დ
ვიდგა, რომ ეს უკანასკნელი დაბრკოლებაც უნდა გადაველახოთ და, არა-
კვირეული გაზეთი, თვიური ჟურნალიც უნდა დავიარსოთ. იმერეთის სამღ
დელოებას გვარგუნა ღმერთმა ეს მოღვაწეობა, რადგან არც ქართლ-კა
თის და არც გურია-სამეგრელოს სამღვდელოება არას ზრუნავს ამის შე
ხებ და არც უზრუნვია არასოდეს. ეს კი არა, ჩვენ გამოცემასაც ასში ერთი
იწერს, რომ ამით მაინც შემწეობა მოგვეცეს და ნივთიერათ გაგვამაგრ
რა ვქნათ, ჭირს გაძლება უნდა და საჭიროებას დაკმაყოფილება. თუ სხ
აუცილებელ საჭიროებას ვიკმაყოფილებთ, ესეც უნდა დავიკმაყოფილ

უნდა შევეკრიბოთ ყოველგვარი საშუალება, სადაც კი რამ მოგვეძებნება და ვაჩვენოთ ქვეყნიერებას, რომ არც ჩვენ გვძინავს ამ საერთო სიფხიზლის დროს, რომ ჩვენც ვიბრძვით ხალხის სიკეთისათვის, სამშობლო ერისა და ეკლესიის კეთილდღეობისათვის. ასეთი ბრძოლა არც ჩვენთვის ჩაივლის უნაყოფოდ, რადგან ხალხი დააფასებს ჩვენს მოღვაწეობას და მოგვეშველება ნივთიერად. დღესაც იმერეთის სამღვდელოება ნივთიერათ გაცილებით წინ სდგას ქართლ-კახეთის და განსაკუთრებით – გურია-სამეგრელოს სამღვდელოებაზე, გავლენაც მეტი აქვს ხალხში და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის მიერ შექმნილ სასულიერო პრესას.

ეს ოთხი წელიწადია, იმერეთის სამღვდელოების ნდობით და მისი ნივთიერი დახმარებით გამაგრებული, მეც ვცემდი კვირეულ გაზეთს ნიჭისაებრ ჩემის და არაფერი მეთქმის ამ სამღვდელოების წინააღმდეგ. გარდა უღრმესი მადლობისა. წინააღმდეგ, თანამდებად ვრაცხ თავს, რომ ბოლომდე ვერ შევუსრულე მას ჩემი მოვალეობა და წარსულ წელს ენკენისა თვიდან შევსწყვიტე გაზეთის გამოცემა. მაგრამ ვარწმუნებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ეს არ მომხდარა არც სიზარმაცით და არც ანგარებით. საქმე იმაშია, რომ წელს გამომცემელიც ვერ დამეხმარა, ჩვეულებრივ, ქაღალდით, გურია-სამეგრელომაც ათას მანეთამდე გაზეთის ფული დამაკლო, მეც ჩემი საკუთრება სახლ-კარი გამოცემების გასავალში და სხვა მოთხოვნილებაში დაგირავებული დამირჩა... ყველა ამ მიზეზებმა მაიძულეს გაზეთი შემეჩერებია. დღეს საქმე ისე დადგა, რომ არსაიდგან ნივთიერი დახმარების იმედი არ არის და არც ყოფნის ის 2000 მანეთი, რომელსაც იმერეთის ეპარხია იღებს ყოველწლივ. როგორც ოთხი წლის გამოცდილებამ დამარწმუნა, არავინ არ ზრუნავს სასულიერო პრესის არსებობაზე, გარდა იმერეთის სამღვდელოებისა და არც შეიძლება ჟურნალ-გაზეთის წარმოება, თუ რედაქციამ ყოველწლიურად არ მიიღო მათი საწარმოებელი ფული რომელიმე დაწესებულებიდან, რადგან, ერთი მხრით, არ მოგვეძებნება ისეთი ნივთიერათ შეძლებული სარედაქტორო პირი, რომელსაც შეეძლოს გასწიოს ხარჯი მიუხედავად ფულის შემოსავლისა ეპარქიიდან და, მეორე მხრივ, მ. ბლაღოჩინები ძლიერ აგვიანებენ ფულის გამოგზავნას დანიშნულებისამებრ. ასე რომ, ხშირად ერთი წლის გადასახადი მეორე წლის პირველ ნახევარშიდაც არ სწორდება, ისიც ნაწილ-ნაწილად დაქუცმაცებული, რომელიც არაფერს ეწევა. რადგან საქმე ასეა დაყენებული, საჭიროა ვიცოდეთ, რა ჯდება ერთი კვირეული გაზეთის და ერთი თვიური ჟურნალის გამოცემა და, რადგან შეიძლება აღვადგინოთ მათი ხარჯი, ამიტომ მორჩილად წარმოუდგენ პატივცემულ მამების კრებას საჭირო ხარჯის ანგარიშს და ჩემს მოსაზრებას, თუ საიდგან უნდა დაიფაროს ეს ხარჯი. წინადვე მოვიხსენებ, რომ ანგარიშში არ შემყავს რედაქტორის საშრომელი, რასაც კრება თავის მიხედვით გადასწყვეტს, თუ გამოცემის შენახვას იტვირთებს."

# Слѣдственное дѣло

по составленію журнала объ изданіи газеты „Шинаури Сакмеэби“

Начато 18 Марта 1914 г.
Окончено 10 Октября 1914 г.

3 февр. 1914 г. 18

В. П. И.

**ИМЕРЕТИНСКАЯ**

**Епархіальная Канцелярія**

№ 1449.

„21" Марта 1914 г.

Гор. Кутаисъ.

Дѣло 1913 г.

№ [illegible]

Духовнымъ слѣдователямъ, благо-
чинному священнику Зосимѣ Д[illegible]дзе
и священнику Спиридону [illegible]-

Имеретинская Епархіальная Канце-
лярія честь [illegible] имѣетъ [illegible]
[illegible] [illegible]ленія, отъ
18 марта с/г., за № 161, [illegible] 78
съѣзда депутатовъ духовенства Име-
ретинской Епархіи, съ особымъ [illegible] въ зва-
ніи [illegible], что предъявлен[illegible]

[illegible]

[illegible]

засѣданія съѣзда, представлены журна-
лы постановленій Преосвященному
Георгію, Епископу Имеретинскому при-

Д. П. М.

Духов. Следователи:
БЛАГОЧИННЫЙ
КУТАИССКИХЪ ГОРОДСКИХЪ
ЦЕРКВЕЙ.
и Свящ. Си. Лейкейшвили

№ 182

«27» Апреля 1914 г.

Гор. Кутаисъ.

Е.Б.

24

Священнику Кут. кафедраль-наго собора о. Симону Мчедлидзе

Просимъ Васъ пожаловать на квартиру второго изъ насъ, от. Лейкейшвили (Балахв. ул. с.д.) на 28е сего Апреля, в 6 ч. вечера, для дачи показаній по делу составленія Епархіальнымъ съездомъ депутатов духовенства Имерет. Епархіи журнала объ изданіи редактируемого Вами журнала „Шинаури Сакмеоби".

Следователи: Благоч. свящ. Д...

Свящ. С. Лейкейшвили

Получ. 27 апр. 1914 г. Свящ. С. Мчед...

*3 марта 1914. Производство формального следствия по настоящему делу поручаю благочинному городских церквей о. Думбадзе и священнику [illegible] собора Св. Матвею [illegible], предупредивъ, что уклоненіе отъ сего порученія по какимъ бы то ни было причинамъ не будетъ уважено, а равно на другіе уваженія и просить заинтересованныхъ свѣдѣнія о возникновеніи [illegible] отъ [illegible] другими. Заинтересованныхъ свѣдѣніи настоящимъ [illegible] и объявить, что никому не дадутъ себя въ обиду. Еп. Г.*

Его Преосвященству,

Преосвященнѣйшему ГЕОРГІЮ, Епископу Имеретинскому.

Председателя съѣзда священника Іерофея Берадзе

РАПОРТЪ.

[illegible] журналъ II-го [illegible] съ постановленіемъ объ изданіи газеты "[illegible]" [illegible] Вашего Преосвященства и должной оцѣнки [illegible] степени [illegible] поступка депутата о. [illegible] Абесадзе, долгомъ считаю донести Вашему Преосвященству, что постановленіе это принято было съѣздомъ 3-го февраля вечеромъ послѣ [illegible] найти въ городскомъ духовенствѣ редактора, могущаго продолжать дѣло изданія [illegible] условіяхъ. Подтверждаю, что о. [illegible] Абесадзе присутствовалъ при принятіи этого постановленія и ни единымъ словомъ не заикнулся противъ него, отлично зная, что его протестъ былъ бы заглушенъ негодованіемъ цѣлого съѣзда. [illegible] депутаты подписались послѣ [illegible] журнала о. Абесадзе и просили представить его на благоусмотрѣніе Вашего Преосвященства. [illegible] увѣрить Ваше Преосвященство, что о. [illegible] никакого [illegible] не совершалъ и все время преній [illegible] совершенно безстрастно.

Вашего Преосвященства покорнѣйшій

слуга *Свящ. Іерофей Берадзе*

"7" Февраля 1914 года.

5

(1893)

*20 февр. 1914. Приобщить къ оригинальному журналу съезда духовенства за № 27. По сему журналу будетъ назначено формальное следствіе, которое должно раскрыть кто правъ и кто виноватъ. Остальныя просьбы о. Мчедлидзе отклонить. На основаніи утвержденнаго постановленія съезда никакихъ распоряженій объ удержаніи изъ казеннаго жалованія или доли доходовъ духовенства въ пользу редакціи [illegible] сделать не могу, не говоря уже о законности или незаконности подобнаго удержанія.*

*Еп. Г.*

Его Преосвященству,

Преосвященнейшему ГЕОРГІЮ, Епископу [illegible].

Редакторъ священникъ Симона Мче[illegible]

ПРОШЕНІЕ.

Чтобы не лишить духовенство [illegible] [illegible] ... вмѣстѣ всей Грузіи единственнаго [illegible] ... данія [illegible] и тѣмъ не сдѣлать его [illegible] ... "[illegible]", [illegible] прошу Ваше [illegible] ... дино [illegible] ... этого съезда объ удержаніи годовой подписной [illegible] ... "[illegible]" изъ казеннаго содержанія [illegible] ... [illegible] если таковое удержаніе противно законамъ, перенести его [illegible] [illegible] и сдѣлать распоряженіе [illegible] ... удержанія [illegible] за первое полугодіе сего 1914 года, а до [illegible] поръ, если [illegible] ... сохранить изданіе изъ личныхъ своихъ средствъ. [illegible] ... отъ сего покорнѣйше прошу Ваше Преосвященство назначить [illegible] ... формальное слѣдствіе по поводу злой клеветы о. [illegible] и [illegible] ... [illegible] предоставить [illegible] ... [illegible] ... реніе судомъ, или же дать мнѣ право обратиться въ посредничеству третейскаго суда, чтобы предать гласности данія по - ступокъ о. [illegible].

*Свящ. С. Мчедлидзе*

5 февраля 1914 года.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 700 [illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] (360 [illegible]) | 21 მ. 60 კ. |
| [illegible] | 60 მ. |
| [illegible] | 40 მ. |
| [illegible] | 8 |
| [illegible] | 2. |
| [illegible] | 33 მ. 33⅓ კ. |
| [illegible] | 20 მ. |
| [illegible] | 12. |
| [illegible] | 10 |
| [illegible] | 5 |
| [illegible] — | 211 მ. 93 კ. |
| [illegible] | 2543 მ. 46 კ. |

[illegible] 700 [illegible] 160 [illegible].

| | |
|---|---|
| [illegible] | 25 მ. 20 კ. |
| [illegible] — | 60 |
| [illegible] — | 30. |
| [illegible] | 20. |
| [illegible] | 25 |
| [illegible] | 5 |
| [illegible] — | 100 |
| [illegible] | 10. |
| [illegible] | 6. |
| [illegible] | 281 მ. 20 კ. |
| [illegible]. | 3374 მ. 40 კ. |
| [illegible] | 5917 მ. 86 კ. |

[illegible]

21 [illegible] 1914 წ. [illegible]

გაზეთის რედაქტორს ხშირად უხდებოდა ცილისმწამებელთა შემოტევების მოგერიება თავისი მახვილი კალმით. აი, მაგალითად, 1910 წლის № 27-ში, ვინმე „ახელის“ ფსევდონიმს ამოფარებულ ჟურნალ „მწყემსის“ ერთ-ერთი პოლემიკური სტატიის ანონიმ ავტორს, რომელიც „შინაურ საქმეებსა“ და მის რედაქტორს ბრალს სდებდა იმაში, რომ *„მას ვიწრო ნაციონალური მიმართულება არა აქვსო,“* რედაქტორი შემდეგ პასუხს აძლევს: *„ქართველი თავის დღეში არ ყოფილა ვიწრო ნაციონალისტი. საქართველოს ისტორიამ არ იცის უცხო ნაციების დევნა და ქართველებს არასოდეს აზრად არ მოსვლიათ თავისი ბედნიერების აშენება რომელიმე ნაციის უბედურებაზე. ერთი სიტყვით, ქართველი ერი არ ყოფილა სხვა ერის მჭამელი, როგორც დღეს ვხედავთ ერი-ყლაპია ხალხებს. ეს ძირითადი თვისებაა ქართველი ერისა და, ვისაც ეროვნული გაზეთი უნდა გამოსცეს ჩვენში, მან ამ ნაციონალურ თვისებას არ უნდა უღალატოს. ყველა ერი ერია, ყველა ღვთის გაჩენილია, ყველას აქვს უფლება არსებობისა და თვითარსებობისა. მიუხედავად ერიყლაპია ადამიანებისა და მთელი ხალხებისაც, ეს ჰუმანური თვისება ქართველებისა საღვთო პრინციპადაა აღიარებული და, ადრე თუ გვიან, მთელ ქვეყნიერებას დაიპყრობს. ამ მხრივ, ჩვენი გაზეთი სწორედ ნაციონალურია, მაგრამ ბ-ნ ახელს მაინც დასჭირდა არაეროვნულ გაზეთად გამოეცხადებია იგი.“* „ახელი“ უსამართლოდ უკიჟინებდა გაზეთს, რომ მასში იბეჭდებოდა ხოლმე თარგმანები რუსულ და სხვა მართლმადიდებელი ქრისტიანული ლიტერატურისა და, კერძოდ, საყვედურობდა იმას, რომ რედაქცია ვითომც ს. პეტერბურგის „Ведемости“-სთან თანამშრომლობს, რადგან მან მასში დაბეჭდილი „Мирьянин“-ის ზემოთ ხსენებული სტატია „უუფლებო ეკლესია“ გადმობეჭდა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სტატიაში მტკიცე საბუთებია წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ისტორიული უფლების დასაცავად და სწორედ ამიტომ თარგმნა იგი „შინაურმა საქმეებმა.“ ს. მჭედლიძის პასუხი, როგორც ყოველთვის, ლოგიკური და დამაჯერებელია: *„პეტერბურღის „ვედომოსტიდან“ გადმობეჭდილი ეს სტატია „მირიანინისა“ სრულიად ნაციონალურია და საკმაოდ გაბედულიც ამ რეაქციის დროს. მართალია, რუსულიდან არის თარგმნილი, მაგრამ ეს სრულებით არ უკარგავს ამ წერილს ღირსებას. ბ-ნო ახელო, როგორ არ გრცხვენიათ, რომ ხელმოსმით უარჰყოფთ ჩვენი გაზეთის ნაციონალურ მიმართულებას? (თვით ის ყბადაღებული წერილი მარტვილიდამ განა იმიტომ არ არის ნაციონალური, რომ მონასტრის გაშენებაზეა ლაპარაკი, ან მონასტრის წისქვილზე, რომელიც მისთვის უსამართლოდ წაურთმევიათ?). შეიძლება ჩვენს ნათარგმანებში ხედავთ არანაციონალურ მიმართულებას, ბ. ახელო, მაგრამ წარმოიდგინეთ, უმეტესი ნაწილი იმ თარგმანებისა, რომ-*

*ლებიც ჩვენ მოვათავსეთ ჩვენს გამოცემაში, ყოველ ნაციონალურ მისწრაფებაზე მაღლა სდგას. მათზე სჯა-ბაასი მხოლოდ ერთნაირად შეიძლება, ვინც უნდა სჯიდეს, და, განა სულ ერთი არ არის, ვინ ლაპარაკობს მასზე – ქართველი, რუსი თუ ბერძენი, თუ იგი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელია და მართლმადიდებლურად სჯის? განა ორი მართლმადიდებელი აზრი იესო ქრისტეს პიროვნებაზე შეიძლება იყოს? გეტყობათ, ბ. ახელო, სხვა მხრივ გნებავსთ განავითაროთ ქართული სასულიერო ლიტერატურა, აი, სწორედ ისე, როგორც ავითარებენ მას ცნობილი დელეგატები...* თქვენი აზრით, ქართველ საზოგადოებას მათი კითხვა ორიგინალშიც მოსწყინდა, არა? მაშ, დაგვისახელეთ, გეთაყვა, რამდენი გყავთ თბილისის ეპარქიაში მღვდლები, რომლებსაც ზედმეტი კითხვით მობეზრებული აქვთ რუსული სასულიერო ლიტერატურა, მე კი დაგისახელებთ აურაცხელ სამღვდელო და საერო პირებს, რომელთაც არა თუ არ მობეზრებიათ, არამედ არც ჩაუხედავთ არავითარ სასულიერო წიგნში, გარდა ჟამნ-დავითნისა. მაშ, ამ მხრივაც ჩვენი გაზეთი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც დაინტერესებულია სარწმუნოების საქმით, ვინც არ გახვეულა პარტიობის ქსელში" (1910, № 27" ბ. ახელის მოკლე შენიშვნის პასუხად).*

მიუხედავად დაბრკოლებებისა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე 1913 წელს აარსებს კიდევ ერთ ჟურნალს, *„განთიადს"*, რომელიც ცოცხალი გამომხატველია XX საუკუნის I მეოთხედის დასავლეთ საქართველოს მჩქეფარე და აქტური კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისა. ეს იყო ჯერ ყოველთვიური სასულიერო-ფილოსოფიური ჟურნალი (1913 წელს გამოვიდა 274 გვერდიანი კრებულის სახით) ხოლო 1915 წლის იანვრიდან გამოდის, როგორც ორკვირეული სამეცნიერო-ლიტერატურული და საპოლიტიკო ჟურნალი (შემდეგ ს.მჭედლიძეს რომანოზ ფანცხავა-ხომლელი შეენაცვლა).

ჟურნალ *„განთიადის"* გამოსვლასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ჟენევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა თხოვნა რედაქტორ სიმონ მჭედლიძისადმი: *„დიდად პატივცემულო მამაო! ჟურნალ-გაზეთებიდან გავიგეთ, თქვენ ბრძანებით რედაქტორი სამღვდელოების ორგანოს „განთიადისა" და ამისათვის კერძოთ თქვენ გთხოვთ და საზოგადოთ მთელ რედაქციას, რომ თქვენი ჟურნალი, თუ შესაძლებელია, უფასოთ, დაგვითმოთ ჟენევის ქართველ სტუდენტთა სამკითხველოსათვის. ქართველ სტუდენტობას ეროვნული არსებობის ყოველივე მხარე აინტერესებს და, რადგანაც ქართული ეკლესია და სარწმუნოება ერთი უმთავრესი საკითხთაგანია,*

* ლაპარაკია, როგორც ჩანს, სოციალ-დემოკრატებზე, მათ შორის, ივ. გომართელზე, რომელთანაც მწვავე კამათი ჰქონდა ს. მჭედლიძეს.

*ამისათვის საჭიროა ვიცნობდეთ ქართველი სამღვდელოების აზროვნებას ჩვენის საეკლესიო საქმეების შესახებ. გაფრინდა ის დრო, როცა ყველაფერს აბუჩად ვიგდებდით. დღეს ახალგაზრდობა უფრო დინჯად და სერიოზულად აზროვნებს. ვიდრე წინეთ. ღრმად დარწმუნებული, რომ ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ, მადლობას წინდაწინ გიხდით. პატივისცემით კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი, მედიკი ლ. მელაძე.“* რედაქციისათვის ცხადია, მეტად სასიხარულო იყო ეს გამოხმაურება და პასუხიც არ დაუყოვნებიათ: *„რედაქცია სიხარულით ეგებება ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გულწრფელ აღსარებას და მზად არის, რითაც შეიძლება, დახმარება გაუწიოს და მხარი დაუჭიროს ასეთ კეთილშობილურ გადაწყვეტილებას.“* („შინ. საქ.“ 1913 წ. № 5).

*„განთიადი“* მეტად ფართო თვალსაწიერის ჟურნალი იყო. მასში იბეჭდებოდა როგორც სასულიერო-სარწმუნოებრივი, ისე საერო თხზულებანი, როგორც სამეცნიერო (ისტორიულ- ფილოლოგიური) და კრიტიკული, ისე მხატვრული (პროზა და პოეზია) ლიტერატურა, ასევე, მიმდინარე პოლიტიკური საკითხების მიმოხილვა და გამოხმაურებანი ერის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების გარშემო. მისი ავტორები იყვნენ ცნობილი ქართველი პოეტები და მწერლები, მეცნიერები: გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკო ლომოური, გერონტი ქიქოძე, ვასილ წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, თედო ჟორდანია, დუტუ მეგრელი, თურდოსპირელი, ხომლელი და სხვანი.

სიმონ მჭედლიძე არა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემით ემსახურებოდა განმანათლებლობას. სამღვდელოების კრებების წინაშე იგი ხშირად გამოსულა მოთხოვნით სასულიერო სკოლებისათვის სათანადო სახსრების დაშურველად გამოყოფის მოთხოვნით, რაც, მისი აზრით, ახლო მომავალში კეთილ ნაყოფს გამოიღებდა განათლებული მოძღვრების აღზრდის საქმეში. აი, რას წერს იგი ქუთაისის ქართული გიმნაზიის შესახებ (სადაც 2000-მდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა), რომელიც მაშინ დიდ მატერიალურ კრიზისს განიცდიდა და სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის თანადგომასა და დახმარებას საჭიროებდა: *„იმერეთში ერთადერთი კულტურულ-განმანათლებელი ეროვნული დაწესებული გვაქვს, სადაც თავისუფლად შეგვიძლია ამოვისუნთქოთ, სად პოლიტიკანობას ადგილი არა აქვს, სად იზრდება და ვითარდება ნამდვილი ეროვნული მამულიშვილური სული, საიდანაც მოელის თავის აღორძინებას და გამდიდრებას ქართული პოეზია, ლიტერატურა, მეცნიერება, საიდანაც შეიძლება აღდგეს, (თუ მეტი ყურადღება მიექცევა) ნამდვილი ქართული ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება. ეს დაწესებულება გახლავსთ ქუთაისის ქარ-*

141

წელიწადი პირველი.

№ 1.

# განთიადი.

იანვარი 1913 წ.

*თული გიმნაზია, სადაც დღეს ორი ათასამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობს. მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეროვნული დაწესებულება, ესეც დიდ კრიზისს განიცდის დღეს... მე მგონია, ყველამ იცის, როგორი. უმეტეს წილად ღარიბი მშობლების შვილები სწავლობენ ამ სასწავლებელში... როგორი გროშ-კაპიკები შეაქვთ სასწავლო გადასახადად. სასწავლებელს ამის მეტი სახსარი არ გააჩნია... რა გახდება ეს საცოდავი სასწავლო გადასახადი? რომელი ერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს? სასწავლებლის შენობა გამოისყიდოს, რომელიც დღეს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკზე ირიცხება, მასწავლებლების ჯამაგირი გაისტუმროს, თუ ათასგვარი სხვადასხვა უსაჭიროესი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს?! სასწავლებლის ასეთ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია... საჭიროა ახლავე, დღეიდანვე შევუდგეთ თადარიგს, საჭიროა სხვადასხვა ეროვნულ დაწესებულებებში, წოდებრივ და პროფესიონალურ საზოგადოებებში, სხვადასხვა წრეებში პირდაპირ დაყენებულ იქნეს ეს სადღეისო საჭირბოროტო საკითხი, თუ როგორ მოვუაროთ, როგორ შევინახოთ, ვაცოცხლოთ და ვასულდგმულოთ სასწავლებელი, დღეს გიმნაზიად წოდებული. ჩვენ პირადათ ყოველთვის გვაინტერესებდა და, მასთან, გვაფიქრებდა კიდეც ქართული სკოლის ბედი, ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ სკოლას შეუძლია აღზარდოს და ამიტომ საჭიროა შეიქმნას ნამდვილი, უტყუარი წყარო, რომელიც ასულდგმულებს ასეთ სკოლას, კერძო ქველმოქმედებაზე და სასწავლო გადასახადზე დამყარება ამ საქმეში სილაზე სახლის შენება იქნებოდა...“ (შინ. საქ. 1913, № 2 „ქუთაისი, 13 იანვარი“).*

„შინაური საქმეების“ პირველ გვერდზე მკითხველი ხშირად წააწყდება იმ ქველმოქმედთა სახელებს, რომელთაც ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებისათვის შეუწირავთ რაიმე თანხა ან ქონება. თვით სიმონ მჭედლიძე პრაქტიკულად იღებდა მონაწილეობას სკოლების მშენებლობის საქმეში. ცნობილია, რომ მან სოფ. ლაშეშიააშენა და დაარსა ლაშე-ღვერკის საშუალო სკოლა, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა. ამ სკოლაში ხუთი სოფლის ბავშვები იღებდნენ განათლებას, იგი დღესაც მკვიდრად დგას და ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს...

დაე, ამ ახალგაზრდებმა იცოდნენ მისი საძირკვლის ჩამყრელის სახელი, რომელიც ათწლეულების მანძილზე დავიწყებას იყო მიცემული, დაე, მისი ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა და მოწამებრივი აღსასრული ყოფილიყოს მათთვის ორიენტირი...

**დამანა მელიქიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ემერიტუსი პროფესორი,
გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.



სკოლის საერთო ხედი



სკოლის უკანა ხედი და ეზო




1998 წელს არსებობის 80 წლისთავთან დაკავშირებით პედაგოგებისა და მოსწავლეების თხოვნით სკოლას მიენიჭა მისი დამაარსებლის მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სახელი.

# მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სტატიები გაზეთ „შინაურ საქმეების“ ფურცლებზე



შინაური საქმეები

№ 1.

ყოველკვირეული გაზეთი

ქრისტე აღსდგა!

ყოველ კვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე"

ქუთაისი.

## სარედაქციო წერილი

(1908 წ. № 1, 13 აპრილი)

ჩვენი თანამედროვე ქართული გამოცემები პარტიული მიმართულებით არიან გაჟღენთილნი. ერთ გაზეთს ვერ შეხვდებით, რომ პარტიულ ინტერესებს არ ემსახურებოდეს. ყველას რაღაცა უნდა, ყველა რაღაცა თავისებური პოლიტიკური წეს-წყობილების განხორციელებას ესწრაფება და ამ თავის მისწრაფებას აძალებს ხალხს. და არა-თუ აძალებს, არამედ დაჟინებით გაიძახის, რომ ეს მისწრაფება ხალხს ეკუთვნის, მისი გულნადებია, მისი პირწავარდნილი შვილიაო. აქედგან წარმოსდგება გზადაბნეულობა იმ გამოცემებისა, რომლებიც ამტკიცებენ: ხალხი განხორ-ციელებული კუჭია, გლეხი პროლეტარია, პროლეტარს სამშობლო არა აქვს, ხალხს ფედერაცია სურს, ხალხი ავტონომიას ეძებს, ხალხი სოციალიზმისკენ მიისწრაფვის, ხალხი ურწმუნოა და სხვა და სხვა. არც ერთი ამ გამოცემათაგანი მეცნიერულად და მიუდგომლად არ სჯის საგანზე. მათი მსჯელობა დამყარებულია პარტიულ ფანატიზმზე, რომელიც მარტო თავისას სცნობს ჭეშმარიტად და მის გზის გასაკვალავად არ ზოგავს არავითარ საშუალებას, არავითარ ღონისძიებას და, თუ დასჭირდა, თვით ხალხის კეთილდღეობასაც კი შეეხება.

„ძალა ერთობაშიაო," გაიძახიან თითქმის ყველა გაზეთები და თვითონ ერთობას კი არა, უკიდურეს განხეთქილებას სთესენ. პარტიობამ დაქსაქსა ისედაც ცოტა ქართველი ინტელიგენცია, დაუკარგა მას საერთო მიზანი და რაღა გავლენა ექნება მის მოძღვრებას ერთობაზე? განა შესაძლებელია განხეთქილებაზე ერთობის აღმოცენება? მაგონდება ერთ საზოგადოებაში ორი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა შორის კამათი, რომელიც სრული უთანხმოებით დამთავრდა. ხალხმა წინადადება მისცა ბ-ნ „მქადაგებლებს", ჯერ თვითონ შეთანხმებულიყვნენ და მერმე მიემართნათ მისთვის!

ყველა გაზეთებმა საერთოდ კუჭი აღიარეს ღვთად. მას შესწირეს მსხვერპლად მეცნიერება, ხელოვნება და მშვენიერება. ეხლა მას უკმევენ გუნდრუკს, მას უმზადებენ მომავალს, მისთვის დაჰკარგეს ზეცა, მისთვის უარჰყვეს უკვდავება, მას დაანაცვლეს ასიათასი ახალგაზრდა ენერგია. კუჭის უსაზღვრო მოთხოვნილების შეზღუდვა კი არა, მისი გაფართოვება აღიარეს მიზნად ცხოვრებისა. ამ მდგომარეობაში დიდხანს გაჩერება გაპირუტყვების ნიშანია, გადაშენების მომასწავებელია, საჭიროა გამოფხიზლება, საჭიროა ადამიანური შეხედულება საგანზე, საჭიროა ამაღლება მდაბიო, ცხოველურ მოთხოვნილებებზე. საჭიროა შეგნება, რომ ჭამა და სმა კი არ არის ადამიანის დანიშნულება, რომელსაც მშვენივრად ასრულებენ ცხოველები, არამედ სულის ძალების განვითარება, ზნეობრივი სიმაღლე, რომლის უმისოდ კუჭი ვერასოდეს ვერ იგრძნობს კმაყოფილებას.

ამ აზრის მიხედვით, ჩვენი გამოცემა განსაკუთრებით არც ერთ პარტ
არ მიემხრობა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ერთბაშად უარყო
ყველაფერს, რასაც რომელიმე პარტია აღიარებს. ყველა პარტიას აქვს
ვისი კარგი და ცუდი მხარე. ყველას საერთოდ უპყრია სიმართლე, მხოლ
ეს სიმართლე დამახინჯებულია პარტიული ფანატიზმით. გარეცხეთ ამ პა
ტიული ფანატიზმისაგან იგი და თქვენ დაგრჩებათ ხელში სრული სიმართ
„ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები."

ნაკლულევანების ძმური მხილება და საუკეთესო მხარეების გამომზ
რება, ათასგვარ პარტიებში „ობოლი მარგალიტის" ძებნა, — აი, რა პოზიც
დაიჭერს ჩვენი გამოცემა სხვადასხვა პარტიათა შორის. თუ არ ვსცდებ
ხალხსაც მობეზრდა სხვადასხვა პარტიებში ბოთიალი, ესლა სწყურია მ
ლოდ მათი მეცნიერულად დაფასება. გარდა ამისა, მას არ დაუვიწყნია თავ
ფილოსოფიური საკითხები: საიდგან მოვედით? სად მივდივართ? მას ი
ისე აღაფრთოვანებს მეცნიერება, იგი ისევ ისე ეძებს სამარადისო ჭეშმა
ტებას და დღესაც ამ ქვეყანას „წუთისოფელს" უწოდებს.

ჩვენი გამოცემა ყურადღებას მიაქცევს ამ ადამიანურ მოთხოვნილება
დაკმაყოფილებას, რომელზედაც, სხვათა შორის, დამოკიდებულია ამ წუ
სოფლის ბედნიერებაც.

## ღია წერილი საქართველოს სამღვდელოებას

(1908 წ. 13 აპრილი, № 1)

უკანასკნელმა ეგრეთ წოდებულმა „განმათავისუფლებელმა მოძრ
ბამ" არ დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი კუთხე, რომელსაც არ შეხე
დეს. მან შეარყია მთელი ჩვენი საზოგადო, პოლიტიკური და ეკონომიკუ
მდგომარეობა. იგი შეეხო სარწმუნოებასაც, გამოაცხადა ცრუმორწმუნ
ბად, მისი მსახურნი კი მატყუარებად და მუქთახორებად. ახალმა თაო
ომი გამოუცხადა ყველაფერს, რასაც კი სარწმუნოების ბეჭედი აზის. იგი
ფარავდა და არც ფარავს თავის ზიზღს ტაძრებისა და სამღვდელოების
მი. მან უარყო ნათესაობა (გენეტიკა) და საქვეყნოდ აღიარა, რომ ადამ
იგივე ცხოველია, რომ მისი ცხოვრება აქ, ამქვეყნად იწყება და აქვე თ
დება, რომ მისი მიზანი არის კუჭი, რომ ამ უკანასკნელის დაკმაყოფილ
შეადგენს მის დანიშულებას, არ არის არავითარი მომავალი ცხოვრება
არც საჭიროა იყოსო.

კაცი სიგლახეს, სიბოროტეს უფრო ადვილად ითვისებს და ამიტომ
უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარმა ქადაგებამ ღრმა ფესვები გაიდგა
ზოგადოებაში და შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ამას, რა თქმა უნდა, ხე

შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგინი, ვინც ვალდებულნი იყვნენ ემრუნათ სარწმუნოების დასაცავად, სდუმდნენ და არაფერს ამბობდნენ. ეს დუმილი ხალხმა თანხმობის ნიშნად მიიღო და ამას მოჰყვა ის გარემოება, რომ მან უარჰყო სამღვდელოება, მოუსპო მას ცხოვრების სახსარი, აიგდო აბუჩად და, ვისაც გუშინ სულიერ მამას ეძახოდა, დღეს უბრალო მატყუარად დასახა.

ჩვენი სამშობლო ეკლესიის სამღვდელოება „მოძრაობის" წინაც არ იდგა შესაფერ სიმაღლეზე, რასაც აშკარად გვიმტკიცებს სიღატაკე ჩვენი თანამედროვე სადვთისმეტყველო ლიტერატურისა: არა თუ ორიგინალური ვერაფერი შევქმენით, ჩვენი მდიდარი ძველი სადვთისმეტყველო ლიტერატურითაც ვერ ვისარგებლეთ. ვერ ვისარგებლეთ ვერც ჩვენი თანამორწმუნე და სხვა ქრისტიანების ღვთისმეტყველებით.

საეკლესიო ისტორია? სადა გვაქვს იგი? ვითომ არ უცხოვრნია ივერიის ეკლესიას ამ ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში? ვითომ ახლა დაიწყო ჩვენში ქრისტიანობა? როდის მიეეცით ჩვენს ხალხს ისტორიული მაგალითები სარწმუნოების მტკიცე დაცვისა, როდის მოვაგონეთ მისთვის თავგანწირულნი ქართველნი მოძღვარნი და მოღვაწენი? ამას მიუმატეთ ისიც, რომ არც ჩვენ წარმოვადგენთ სარწმუნოებისათვის თავგანწირულ ცოცხალ მაგალითებს და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი სამღვდელოება ხალხმა უარჰყო?

იმ დროს, როცა თითოეული ჯგუფი, თითოეული პარტია თავის საქმეს აწყობდა, ზეპირად თუ წერილობით თავის აზრებს უზიარებდა საზოგადოებას, ჩვენ, მთელი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს, ერთი თვიური ჟურნალიც არ გაგვაჩნდა, რომ ჩვენი ამბავი ერთმანეთისთვის შეგვეტყობინებია და საკუთარი აზრი გამოგვეთქვა „მოძრაობის" მიერ წამოყენებულ სხვადასხვა კითხვებზე. ამ მხრივაც ჩვენი დუმილი ხალხის მჩაგვრელთა მომხრეობად ჩამოგვეერთვა და სრულებით დაიკარგა ჩვენი ავტორიტეტი არა-თუ როგორც სარწმუნოების წარმომადგენლებისა, არამედ როგორც მოქალაქეებისაც.

ამიტომ, ჯერ სანამ გვიან არ არის, საჭიროა ხელი მივყოთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას. საჭიროა ვიქონიოთ თავდაპირველად ერთი დამოუკიდებელი ორგანო, რომლის საშუალებითაც უნდა ვატყობინებდეთ საზოგადოებას ჩვენს ვინაობას და ვასწავლიდეთ იმას, რის სწავლებადაც ვართ მოწოდებული. ყოველმა ეკლესიის მსახურმა სავალდებულოდ მივიჩნიოთ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოვება, ხალხის ნამდვილი ძარღვისცემის მისი სურვილებისა და მისწრაფებების შეტყობა და მათი სასიკეთოდ წარმართება. მიზეზი შეგვაერთებს ჩვენ, გაგვიჩენს საერთო მიზანს, შექმნის ჩვენში ერთსულოვნებას, რომელსაც ვერ სძლევენ „ბჭენი ჯოჯოხეთისა

**ხი.“ ბევრი საკითხავები გადმოგვეცა ჩვენ ახლო წარსულმა, რომელთა დაუკმაყოფილებლობა ჩვენი სიკვდილის ნიშანი იქნება, და რომელთა ასე თუ ისე დაკმაყოფილება მხოლოდ ამგვარი გამოცემის საშუალებით შეგვიძლია. იმედი გვაქვს, მთელი ივერიის სამღვდელოება თანაგრძნობით მიეგებება საკუთარი ორგანოს გამოცემას და არ დაზოგავს თავის წვლილს როგორც ზნეობრივის, ისე ქონებრივი შემწეობის აღმოსაჩენად.**

**რედ.**

## სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული. ქრისტე და ბუდდა

**(ბ. ივ. როსტომაშვილის წიგნაკის გამო) წერილი I**

**(1910 წ., № 31)**

ყოველ ზნეობრივ საქციელს ღრმა საფუძველი უდევს ადამიანის ბუნებაში. ადამიანს ყოველ განვითარების საფეხურზე თან სდევს ერთნაირი ალღო, რომლითაც იგი განარჩევს კეთილს ბოროტისაგან, ზნეობრივ საქციელს – უზნეობისაგან. ასეთ ალღოს საღმთო წერილის ენაზე შინაგანი **სჯული** ჰქვია, მდაბიურათ კი **სინდისი**. ადამიანმა რომ ამ ალღოს, ამ შინაგანი სჯულის ბრძანებას მისდიოს, შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ არასოდეს არ შესცდება კეთილისა და ბოროტი საქმის გარჩევაში, შინაგანი სჯული ყოველთვის სისწორით უჩვენებს მას ღვთის სათნო ზნეობის გზას. ჯერ წერილობითი სჯული არ იყო გადმოცემული ღვთისაგან, რომ ადამიანი შინაგანი სჯულის მეოხებით სცნობდა კეთილსა და ბოროტს. ჯერ კიდევ მაგალითი არ ენახა, მაგრამ ადამიანმა უკვე იცოდა, რომ კაცის კვლა ცოდვაა. მრუშება, ცილის წამება, სხვისი საკუთრების მითვისება – ყოველთვის ცუდ და შეუწყნარებელ საქციელად ირაცხებოდა. ამიტომაცაა, რომ ადამიანი ზოგიერთ თავის საქციელს ყოველთვის მალავდა და ფარულად მოქმედებდა, ხოლო სხვებს – აშკარად და განცხადებულად აკეთებდა. ასეთი ცოდვა-მადლის გარჩევა, ასეთი კეთილისა და ბოროტის გამოცნობა ერთი უმთავრესი თვისებათაგანია ადამიანისა და, თუ ადამიანს რამე კეთილზნიანი შეუქმნია, მხოლოდ შინაგანი სჯულის მეოხებით. და, რადგან ეს შინაგანი სჯული ერთია ყველა კაცისათვის, ყველა ხალხისათვის, ამიტომ ხშირად ერთი ხალხის ზნეობრივი კანონები მეორისას წააგვანან, თუ სულ ისეთნივე არ არიან. თავისთავად ცხადია, და აქ არაფერი გასაკვირველი არ არის, რომ, რადგან შინაგანი კანონი, შინაგანი სჯული ერთი და იგივეა ყველა ადამიანში, მისი შედეგებიც ერთი და იგივე უნდა იყვნენ, და, თუ ნამდვილად ხშირად ერთი და იგივე არ არიან, ეს იმის ბრალია, რომ ყველა ერთნაირ ყურადღებას არ

აქცეეს აშ შიხაგახ სჯულსა. ბეერი სარგებლობის, გამორჩეხის სურვილით ხელმძღვანელობს და არა შინაგანი სჯულის უანგარო მოთხოვნილებით. ეს შინაგანი სჯული გარედან მიწეპებული არა აქეს ადამიანის ბუნებას, ეს არ არის შემდეგი შენაძენი ქონება ადამიანის გონებისა. იგი თვით მის ბუნებასთან არის დაბადებული და მისი წყალობაა, ვინც ეს ბუნება შექმნა, ვინც ადამიანი ადამიანად გააჩინა. ამიტომაა, რომ გარეგანი სჯული, რომელიც მოცემული გვაქეს ჩვენ ძველისა და ახალი აღთქმის მცნებებში, არ ეწინააღმდეგებიან შინაგან სჯულის კანონებს. წინააღმდეგ, იგინი სრული თანახმანი არიან ურთიერთისა: რასაც ამართლებს ერთი, მასვე ამართლებს მეორეც, და, რასაც უარჰყოფს ერთი, მასვე უარჰყოფს მეორეცა.

ამიტომ არ უნდა გაგვეიკვირდეს, რომ ზოგიერთი ზნე-ობრივი კანონები, შექმნილი რომელიმე სჯულმდებელისაგან, უთანხმდებიან იმ ზნეობრივ კანონებს, რომლებიც გადმოცე-მულია საღვთო განცხადებაში. არ უნდა გაგვეიკვირდეს, თუ ზოგიერთ ქრისტეს მცნების მსგავს მცნებებს ჩვენ ვპოვებთ სხვა სარწმუნოების ხალხთა შორისაც. „სული ბუნებით ქრისტიანიაო," სთქვა ერთმა ცნობილმა ეკლესიის მამამ, და, თუ ეს ასეა, თქმა არ უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ქრისტიანი სული ქრისტიანულ ზნეობრივ კანონებსაც შექმნის.

მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ადამიანის სინდისის შექმნილი ზნეობრივი კანონები, იგინი მაინც ნაკლულევანნი არიან, მოკლებულნი არიან იმ სისრულეს, რომლითაც განირჩევიან საღვთო განცხადებით გადმოცემულნი ზნეობრივი კანონები. ეს თავისთავად ცხადია ყველასათვის და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. ქრისტიანული მორალი, როგორც ზეგანცხადებული, სწორედ ასეთი სისრულით განირჩევა და მისი შედარება სხვა სარწმუნოების მორალთან მისი დამცირებაა და შეურაცხება.

გასაკვირველია, რომ ასეთ ღვთაებრივ სისრულეს ქრისტიანული მორალისას ვერ არჩევენ მრავალნი ბრძენნი ამა სოფლისანი, იგინი ჰგონებენ, რომ ქრისტიანული მორალი, მოტანილი ქრისტეს მიერ, გადმოღებულია ძველი ხალხების მორალისაგან. ამას წინათ დელიჩმა ქვეყანას ყურები გამოუჭედა, „მოსეს სჯულის კანონები დიდი ხნის წინეთ ცნობილი იყვნენ მეფე ჰამურაბის კანონებშიო". გომართელმაც ეს „უკანასკნელი სიტყვა" მეცნიერებისა აუწყა ქართველობას.[1] ასეთ მდგომარეობასავე განიცდის მაცხოვრის ზნეობრივი სწავლა ზოგიერთ მეცნიერთა ხელში. იესო ქრისტეს და მის ზნეობრივ მოძღვრებას ხან სოკრატს ადარებენ, ხან ბუდდას და ხან კიდევ, ღმერთმა იცის, ვის და ყოველთვის ამათ წინ აყენებენ ქრისტეზე. ან, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ამბობენ, რომ ქრისტემ მათგან მოისესხა თავის ზნეობრივი სწავლაო.

ამ უკანასკნელ ხანებში ქრისტეს უფრო ბუდდასთან დაუწყეს შედარება და პირველის ზნეობრივი სწაელა მეორის ასეთისავე სწავლის შედეგად აღიარეს. არიან ისეთი გაბედული წინასწარმეტყველებიც, რომლებიც ბუდდას სჯულს მსოფლიო მნიშვნელობას აწერენ და მომავალ კაცობრიობის სჯულად აღიარებენ. ამ მიზნით ზოგიერთმა „კაცობრიობის მეგობრებმა" ხელი მიჰყვეს ბუდდას ცხოვრებისა და ზნეობრივი სწაელის მდაბიურად გადმოცემას, რათა მოუპოვონ მას თაყვანისმცემელნი ფართო საზოგადოებაში.

თუ არ ვცდებით, ამ მიზნით უნდა იყოს გამოცემული ბ. ივ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი „ბუდდა და მისი სწავლა ცხოვრება-სიცოცხლეზედა." რომ ამ წიგნაკს ასეთი მიზანი აქვს, ამაში იქიდგანაც ერწმუნდებით, რომ მას თავში ასეთი წარწერა უძღვის: „იაფფასიანი სახალხო და საყმაწვილო ბიბლიოთეკა № 1:" „ბუნებრივი რჯული" და კიდევ შემდეგი დიდმნიშვნელოვანი ეპიგრაფი: „ბევრი ბრძენი და მოაზრე მოჰელენია კაცობრიობას თავისს ხანგრძლივ ცხოვრებაში, მაგრამ განათლებული ბუდდა უდიდესია."

უსუსური თაემომწონე მკითხველი, თქმა არ უნდა, ამ ეპიგრაფს ობოლ მარგალიტად მიიღებს, ბუდდას უდიდეს ბრძნად აღიარებს და, მაშასადამე, მის ნაქადაგებ „ბუნებრივ სჯულს" — ზნეობრივი სწავლის ეჭვ-დაუდებელ ჭეშმარიტებად, და ესაა ხომ პირდაპირი განზრახვაც წიგნაკისა. ამიტომ მეტად არ მიგვაჩნია, შევადაროთ ბუდდასა და ქრისტეს ზნეობრივი სწაელა (თუმცა ასეთი შედარება შეგინებაა ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრებისა) და ვაჩვენოთ არარაობა პირველისა მეორესთან შედარებით.

არის ერთი რამ იესო ქრისტეს მოძღვრებაში, რაც არ მოსწონს, ვერ მოუნელებია, ეგრეთ წოდებულ, ათეისტურ მიმართულების მექონ ხალხს. საქმე იმაშია, რომ ქრისტე ყოველივეს აფუძნებს ღმერთზე, მისი ნამცნები ზნეობრივი კანონების მყარ საფუძვლად აღებულია ღმერთი. უმისოდ არ არსებობს არავითარი მორალი. მორალი უმაღლესი არსების ნების მოთხოვნილებაა. სიწმინდის იდეალი ღმერთია და ადამიანი მაცხოვრის მოძღვრებით ვალდებულია დაემსგავსოს მას: „იყვენით წმიდა, ვითარცა არს მამა თქუენი ზეცათა."

ყოველი სიწმიდე, ყოველი ზნეობრივი მოვლენა ადამიანში, ქრისტეს მოძღვრებით, თავის აზრს და გამართლებას ჰპოვებს ღმერთში და საიქიო ცხოვრებაში, კეთილი საქმე არა თავისთავადაა საჭირო, იგი მიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალებაა, თვით მიზანი კი ღვთის ნების აღსრულებაში, ღვთის სათნო-ყოფაში და სასუფეველის დამკვიდრებაში მდგომარეობს.

შინაგან სჯულთან ერთად ადამიანის ბუნებას თანშობილი აქვს იდეა უმაღლეს კანონმდებელზე, ღმერთზე, რომლის ნებასაც უნდა ასრულებდეს ადამიანი თავის სიცოცხლეში. ამიტომ, რამდენადაც ეს იდეა ღვთისა, ეს წარ-

მოდგენა ღმერთზე უფრო ფაქიზი, უფრო წმიდა და სპეტაკია, იმდენად ადამიანის მორალიც წმიდა და სპეტაკია და წინააღმდეგ. სწორედ აქიდგან აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი კაცობრიობა ყოველ ღმერთს შესაფერი ზნეობრიეი მოქმედებით მსახურებდა: მაგ. მარსს (ღმერთი ომიანობისა) — ომიანობით, ეაკხს (ღმერთი ღვინისა და ლოთობისა) — ლოთობითა და ღვინის სმით, ვენერას (ღმერთი მშვენიერებისა და ხორციელი სიყვარულისა) – გარყვნილებით და სხვ. თუ ასეთი წარმოდგენა არა, ადამიანი ვერაფრით გაამართლებს თავის ზნეობრივ საქციელს, რადგან გარეშე ბუნებაში ვერ ჰპოვებს ვერავითარ საბუთს ამ გამართლებისათვის: გარეგან ბუნებაში გამეფებულია ბრძოლა არსებობისათვის, აქ ყოველ მოქმედებას სარჩულად პირადი სარგებლობა უდევს და არა თავგანწირულება, რასაც მოითხოვს უმაღლესი ზნეობრივი იდეალი, იდეალი, ღვთის არსებობაზე დამყარებული და აღმოცენებული.

აი, სწორედ ღვთის არსებობაა, ეს ღმერთზე დამყარებული ზნეობრივი სწავლაა, რომ აბრთხობს, და აშინებს ღვთის შიშიანობით დაავადებულ ადამიანებს, საიქიო ცხოვრებაა ის კავი, რომელსაც ვერ ინელებს ასეთი ადამიანის ტვინი. ასეთი ადამიანი ამ ქვეყნათ ეძებს კმაყოფილებას და ამიტომ წყალწაღებულივით ხავსს ეკიდება, იქნებ თავი შევიმაგრო ცხოვრების აბობოქრებულ მდინარეშიო. ქრისტე კი ქვეყნიურ ცხოვრებას უყურებს, როგორც მოსამზადებელ განყოფილებას, რომელშიდაც ადამიანი ემზადება მომავალი ცხოვრებისათვის. ქრისტეს მოძღვრებით, ქვეყნიური ცხოვრება კი არ არის მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალებაა. აი, აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ბუდდას უღვთო მოძღვრებამ „ბუნებრივი სჯულის" სახელი მოიხვეჭა და მიიზიდა ერთგვარი ჯურის ადამიანები, რომელთაც არ უნდათ, იყოს ღმერთი, უკვდავება და საიქიო ცხოვრება, თავისი წარწყმედა-ცხონებით.

## სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული

**წერილი II (1910 წ. № 33)**

ბუდდას არ სწამს, უკეთ რომ ვსთქვათ, არ ეჭირვება ღმერთი, ან, უფრო უკეთ ვსთქვათ, განთავისუფლებული ბუდდა თვით ღმერთია. ბუდდას მოსაზრებით, ადამიანს არ სჭირდება არავითარი მხსნელი, იგი თვით შესძლებს თავის დახსნას, თუ უარყოფს ყველაფერს. აი, სწორედ აქ, ამ უღვთო მოძღვრებაში, ამ ადამიანის ყოვლადშემძლეობაში მარხია ზოგიერთათვის ძაღლის თავი.

რადგან ბუდდას ღმერთი არ სწამს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მის ზნეობრივ სწავლას შევეხებით. თუმცა ზნეობრივი სწავლა უღვთოდ — უნიადაგოა, თუმ-

ცა კანონს კანონმდებელი უნდა ჰყავდეს, რომელიც საევალდებულოდ უნდა ხდიდეს მის აღსრულებას, მაგრამ, ენახოთ, მაინც რა წმინდა წყლისაა ეს უღვთო ზნეობა, ეს უკანონმდებლო კანონი.

ყოველივე ქვეყნიური, თვით ქვეყანა და სიცოცხლეც კი ბუდდას ბოროტებად მიაჩნია: მისი აზრით, ადამიანი ქვეყანაზე ტანჯვის მეტს არაფერს განიცდის: „შრომა ტანჯვაა, სიბერე ტანჯვაა, გაყრა საყვარელთან – ტანჯვაა, სურვილის შეუსრულებლობა – ტანჯვაა.“ თვით სიყვარულიც, განცხრომით ცხოვრებაც და კმაყოფილებაც ტანჯვაა. ერთი სიტყვით, სიცოცხლე ტანჯვაა და მეტი არაფერი. „რადგანაც სიცოცხლე მწუხარებით სავსეა, ამიტომ ტანჯვა მანამდე იქნება, სანამ ადამიანს სიცოცხლის სურვილი აქვს და ეძებს მის განახლებას.“

მაშასადამე, ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ მოსპოს სიცოცხლე, როგორც ბოროტება და მით ბოლო მოუღოს თავის ტანჯვას. მაგრამ ბუდდას თითქოს შეეშინდა ასეთი დასკვნისა, რომელიც, მიუხედავად ამისა, პირდაპირი შედეგია მისი მოძღვრებისა სიცოცხლეზე. შეეშინდა და ამიტომ მოიგონა საშუალო მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი ვერაფერსა გრძნობს, რომელშიც იგი იქცევა უგრძნობ ნივთად, მაგრამ მკვდარი კი არ არის. ეს მდგომარეობა, რომელსაც ბუდდა „ნირვანას“ უწოდებს, არის ის ხსნა, რომელსაც იგი ჰქადაგებს. როცა ადამიანი დაჰკარგავს ყოველგვარ გრძნობიერებას, როცა იგი ვერაფერს ველარ არჩევს, როცა მისთვის ყველაფერი ერთია. აი, სწორედ მაშინ არის იგი დახსნილი, მაშინ არის იგი განათლებული, მაშინ არის ბუდდა!

ცხოვრების შესახებ ასეთი შეხედულობისაგან მომდინარეობენ ყველა ის ზნეობრივი კანონები, რომლებისთვისაც ბუდდას აგენიოსებენ. თუ წყარო უწმინდურია, ნაკადულიც, მისგან გამომდინარე, უწმინდური იქნება. და, თუ თვით სიცოცხლე ბოროტებაა და სატანჯველი, მაშ, სხვაც ყველაფერი, რისგანაც იგი შედგება, კეთილი, თუ ბოროტი, ავი თუ კარგი – ყველაფერი ბოროტებაა და სატანჯველი. აი, სწორედ ეს აზრი დაამტკიცა ბუდდამაც თავისი ცხოვრებით. იგი მეფე იყო, გარშემორტყმული ყოველივე დიდებითა და ფუფუნებით, და ჰყავდა მშვენიერი მოყვარული ამხანაგი – მეუღლე. რადგან იგი ასეთ ცხოვრებაში ტანჯვის მეტს არაფერს ხედავდა, ამიტომ აირჩია წინააღმდეგი, უარჰყო სიმდიდრე, ცოლი, შვილი, და იწყო გლახაკური ცხოვრება. ამ ცხოვრებიდანაც ვერ ჰპოვა ბუდდამ სიკეთე, რადგანაც აქაც სიცოცხლისათვის, არსებობის სურვილისათვის ვერ დაეღწია თავი. აიტომ მან მიმართა „ნირვანას“ – არარაობას, სადაც სიცოცხლისა და განცხრომის წყურვილს ველარ გრძნობს ადამიანი. თქმა არ უნდა, რომ ამნაირ საქციელში, ამგვარ შეხედულებაში ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზნეობრივი არაფერია.

მთელი კოდექსი ბუდდას ზნეობრივი მოძღვრებისა ემსახურება ამ უკანასკნელ მიზანს ადამიანის ცხოვრებისას, ამ ნირვანას, ამ არარაობას. ადამიანმა რომ თავის დავიწყება შეიძლოს, ე.ი. ნირვანას მიაღწიოს, ამისათვის, ბუდდას აზრით, არსებობს რვა ბილიკი: 1. წმინდა რწმენა, 2. წმინდა ნება, 3. წმინდა სიტყვა, 4.წმინდა საქმე, 5. წმინდა ცხოვრება, 6. წმინდა მისწრაფებანი, 7. წმინდა აზრი, და ფიქრები, 8. წმინდა ჩახედვა თავის თავში და დუმილებაში.

ბ-ნი ივ. როსტომაშვილი ისე აყენებს საკითხს, ვითომ ეს სათნოებანი ბუდდას მოძღვრებით საჭირონი იყვნენ იმისთვის, რომ ადამიანებმა „დაიმორჩილონ სურვილები ბედნიერება-სიამოვნებაზედ." სრულებითაც არა. ესენი საჭირონი არიან მისთვის, რომ ადამიანებმა სწორედ ამ ბედნიერებას მიაღწიონ, რომელიც არის „ნირვანა." „ნირვანაც" სხვანაირად ესმის ბ-ნ როსტომაშვილს და არა ისე, როგორც ჩვენ აეხსენით ზემოთ და როგორც თვით ბუდდას ესმოდა. ბ-ნი როსტომაშვილი აკეთილშობილებს ამ ნირვანას, უკეთ რომ ვთქვათ, ქმნის თავის ნირვანას და ბუდდას აწერს. იგი ამტკიცებს, რომ ბუდდას „ნირვანა" ცუდ აზრთა და გულისთქმათა განდევნაში მდგომარეობდეს და მეტი არაფერი. არა! ნირვანა, ბუდას აზრით, სრული განდევნაა როგორც ბოროტისა, ისე კეთილისა. ნირვანაში მყოფ ადამიანს არ ახალისებს არავითარი კეთილი და არ აწუხებს არავითარი ბოროტი. სადაც სიხალისეა, იქ „ნირვანა" აღარ არის. მით უფრო, სადაც მწუხარებაა, სადაც კეთილისა და ბოროტის ცნობაა, იქ „ნირვანას" ადგილი არა აქვს. ბ-ნი ივ. როსტომაშვილი, ვიმეორებთ, განგებ აკეთილშობილებს, ასპეტაკებს ბუდდას მოძღვრებას, რომ დაუახლოვოს იგი ქრისტესას და ამით უკანასკნელს სიახლის სხივი დაუბნელოს. ე.ი. იდუმალი აზრი როსტომაშვილისა ის არის, რომ ქრისტეს ზნეობრივისწავლა ბუდდას მოძღვრების შვილი გახადოს.

წმინდა აზრი, წმინდა გრძნობა და სხვა ბუდდას იმიტომ კი არ ეჭირვება, რომ ამით ბედნიერება დამყარდება ქვეყანაზე, არა! ეს საჭიროა პიროვნებისათვის. ამას იმიტომ კი არ სჩადის ბუდდას მოძღვრების აღმსარებელი, რომ სხვისი სიკეთე აიძულებს, არამედ იმიტომ, რომ თვით არ აღშფოთდეს, არ აღელდეს და მით უფრო ადვილად მიაღწიოს სრულ თავდავიწყებას. თუ ბუდდა კაცის კელას არ ქადაგებს, ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთი საქციელი თავისთავად ბოროტად მიაჩნდეს, არამედ იმიტომ, რომ ეს გამოიწვევს შინაგან მღელვარებას და, მაშასადამე, ხელს შეუშლის ნირვანას — ადამიანის სრულ თავდავიწყებას. ბუდდას სიყვარული უფრო გულგრილობაა, ვიდრე სიყვარული. ბუდდა სხვას არ აწყენინებს იმიტომ კი არა, რომ მოყვარე უყვარს, არამედ ,მიტომ, რომ თავისი თავი ებრალება. ბუდდა ცხოველსაც არ ეხება მოსაკლავად, არა იმიტომ, რომ მას ცხოველი ებრალება, არამედ

იმიტომ, რომ მისი სიკვდილი თავის სიკვდილს მოაგონებს და აღაშფოთებს, რაც, თავისთავად ხელს შეუშლის სრულ თავდავიწყებას – „ნირვანას“.

ბუდდას არა აქვს განრჩევა ბოროტსა და კეთილს შორის. უკეთ რომ ვთქვათ, ბოროტიც და კეთილიც – ორივე ბოროტია ბუდდასათვის. რადგან ისიც და ესეც ხელს უშლის ადამიანის სრულ თავდავიწყებას. სრული, განუსაზღვრელი გულგრილობა ყველაფრისადმი – აი, პრინციპი ბუდდას ზნეობისა, თუ შეიძლება ამას ზნეობა ეწოდოს.

რაიცა შეეხება ზემოთ აღნიშნულ შვიდ ბილიკს, ესენი მხოლოდ ლამაზი სიტყვებია ბუდდას მოძღვრებაში და არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ცხოვრებაში. ნურც არაფერს წაახდენ და ნიურც არაფერს გააკეთებო, აი, მათი აზრი: განეშორე ყოველივეს, ნურაფერი აღგაშფოთებს, და ნურც არავის ააშფოთებ, იცხოვრე ისე, ვითომც არც კი ცხოვრობდე, ვითომ შენ გარშემო არავინ არსებობდეს, ნუ გახარებს ადამიანის ბედნიერება და ნურც მის უბედურებაზე შეწუხდებიო, დაივიწყე შენი პირადი ბედნიერებაცა და უბედურებაცაო.

აი, ზედმიწევნით – მორალი, რომელიც გამომდინარეობს ბუდდას მოძღვრებიდან. და ასეთი მოძღვრების შემოქმედს ამკობენ ამ სიტყვებით:„ბევრი ბრძენი მოაზრე მოვლენია კაცობრიობას თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, მაგრამ განათლებული ბუდდა უდიდესიაო“.

ბუდდას მოძღვრებას არაფერი სიკეთე არ მოუტანია თავის სამშობლოში. ამ მოძღვრების მიმდევარი ხალხი ისევ პირველყოფილ მდგომარეობაშია და, თუ ბუდდას მოძღვრება დარჩა მისი ცხოვრების პრინციპად, ვერც დააღწევს თავს ამ მდგომარეობას. თუ ასეთ მდგომარეობაში უნდათ ჩააგდონ ქრისტიანი, კულტურულად განვითარებული ხალხი, და ეს არის უმაღლესი იდეალი ჩვენი მისწრაფებისა, მაშინ ჩვენც დავემოწმებით ბ-ნ ივანეს, რომ „ბუდდა უდიდესია“.

## ივ. გომართელის იჭიბოჭია
## (სამეცნიერო წერილი)

### წერილი I (1908წ. № 1)

ბატონმა გომართელმა შარშან, ნაკადულის მეათე ნომერში სამეცნიერო წერილი უძღვნა მოზარდ თაობას შესახებ ქვეყნიერების გაჩენისა. ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას ამ „მეცნიერულ" იჭიბოჭიას, რომ იგი ნამდვილი მეცნიერულად მიღებული ჰიპოტეზა იყოს და თანამედროვე მეცნიერთა შორის ერთი მომხრე მაინც ჰყავდეს, გარდა თვით ბ. გომართელისა, რომლის სულისკვეთებას შეადგენს დაამტკიცოს, რომ არ არის და არც საჭიროა იყოს არავითარი ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა. გომართელი, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა და ვერც გაბედავს, რომ ასეთი სამეცნიერო წერილით დიდებს გაუმასპინძლდეს. განზრახვაც მისი იმაშია, რაც შეიძლება უსუსურები მოატყუოს, რომ მეცნიერების სახელით შეაწოვოს მათ შხამი ურწმუნოებისა და ღვთის უარყოფისა. მაგრამ ყოველ ამისთანა წერილში თავის დასაკლავ დანას თვითონვე იძლევა ბ. გომართელი. გარნა ისე ფრთხილად კი, რომ უსუსურები ვერ ამჩნევენ მას, ვერ პოულობენ დანას და, ამიტომ ეხლაც და შემდეგაც ჩვენ მოვალეობად მივიჩნევთ, პასუხი გავცეთ ბ. გომართელს. თუმც საპასუხო მის იჭიბოჭიაში არაფერია, მაგრამ გვეშინია, სიჩუმე თანხმობის ნიშნად არ ჩამოგვერთვას და მოზარდი თაობა არ დასცდეს ჭეშმარიტ გზას.

თავის სამეცნიერო წერილის დასაწყისშივე ბ. გომართელი წერს: „ქვეყნიერება მრავალი საიდუმლოებით არის სავსე, ადამიანის გონება კი შედარებით სუსტიაო." თუ ქვეყანა საიდუმლოებით არის სავსე, მაშ შეუძლებელი ყოფილა მისი შესწავლა, რადგან სიტყვა „საიდუმლოება" აღნიშნავს ისეთ რამეს, რაც ყოველთვის გაუგებარი რჩება ადამიანისთვის, და, თუ ამასთან, ადამიანის გონებაც სუსტია, თქვენი მტერი! ჩვენ არაფერი გვცოდნია ქვეყნიერებისა და ვერც ვერაფერს გავიგებთ. თუ ეს მსჯელობა გადაჭარბებულია, იმაზე მაინც უნდა დაგვეთანხმოს ბ. გომართელი, რომ სუსტი და ნაკლულევანი გონების ნაწარმოები ყოველთვის სუსტი და ნაკლულევანი იქნება. სწავლა-განათლება, რომელიც, გომართელის აზრით, „ფანტავს ყოველ ყალბ აზრს და მოძღვრებას", გონების ნაწარმოებია, და, რადგან მაწარმოებელი სუსტია, უთუოდ თვით ნაწარმოებიც სუსტი უნდა გახლდეს. ასე სჯის ყოველი საღი ლოღიკა და ამას ამტკიცებს თვით გომართელის ქვეყნიერების გაჩენის თეორია, ან, უკეთ ვთქვათ, იჭიბოჭია. მართლაც-და, რა საფუძველი აქვს გომართელის ზღაპარს ქვეყნის წარმოშობაზე? იგი ამბობს: „დღეს მეცნიერებისაგან დამტკიცებულია, რომ ის ნივთიერება, რომელიც შეადგენს ქვეყნიერებას, სამარადისოაო, მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრულიო".

ერთი გვიბრძანეთ, ბ. გომართელო, რომელი მეცნიერება ამტკიცებს ამ აზრს და რით ამტკიცებს? საიდგან იცით, რომ ნივთიერება სამარადისოა? თუ ეს ისეთივე დოღმატია თქვენი წრის ხალხისა, როგორც ღვთის არსებობა ყოველი სარწმუნოებისა? მეცნიერების საგანი და მისაწთომელი საშუალება — საგნის განხილვაა. აბა, მიბრძანეთ, ვინ ნახა, ან ვინ ნახულობს ნივთიერებას (მატერიას)? ვინ განიხილა ნივთიერება და სთქვა — სამარადისოაო? სად არის ეს ნივთიერება, აბა გვაჩვენეთ? მეცნიერებას ისე არ შეუძლია ამის დამტკიცება, როგორც თქვენ - თქვენი სახელგანთქმული ექიმობით - ადამიანის უკვდავებისა. ბარემ სჯობია, აღიაროთ, რომ ეს თქვენი რწმენაა და არა მეცნიეულ ნიადაგზე აღმოცენებული სწაელა. უსაფუძვლო და ღრმა რწმენაა ისიც, როცა ბრძანებთ, ნივთიერება ყოველთვის მოძრაობს და ამ მოძრაობის დროს სხვადასხვა სახეს ღებულობსო, ე.ი. სხვადასხვა საგნებად იქცევაო. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ეხლა კი ვკითხაეთ ბ. გომართელს, როგორ გაჩნდა ქვეყნიერება ამ უცნაურ და ყოვლად უნიადაგო ნივთიერებებისაგან? იგი ასეთს პასუხს იძლევა მეცნიერების სახელით(?!) „დღეს მეცნიერების ერთ უმთავრეს(?!) ჰიპოტეზას ის აზრი შეადგენს, რომ მზე და მთვარე და მზის სისტემის ციაგები უძველეს დროს რამდენიმე ასი, და შესაძლებელია, ათასი მილიონი წლების წინად წარმოადგენდნენ ერთ ადუღებულ და ორთქლად ქცეულ სხეულს, რომელიც შეუჩერებლად ტრიალებდაო.“ მერე? მერე „ტრიალის გამო ამ სხეულს თანდათან ჩამოშორდნენ და მოსწყდნენ სხვადასხვა რგოლები“. მერე? „ამ რგოლებიდან წარმოსდგნენ სხვადასხვა ციაგები და დედამიწა.“ მერე? მერე „დარჩენილი ნაწილი ამ ერთი გახურებული სხეულისა არის მზე.“ მერე? მერე - „იქ ჭირი, აქ კი ლხინი, იქ ქატო და აქ კი ფქვილი“. ასე დასრულდა ზღაპარი დედამიწის წარმოშობისა. ჭეშმარიტად, საბაეშვო მეცნიერებაა! მარტო უსუსურები შეგვიძლიათ დააჯეროთ ამ სწაელაში და ისიც მეცნიერების სახელით, რადგან, ეხლანდელ დროში იმდენად დიდია შიში უმეცრებისა, და უფრო იმ პატარა კაცუნებში, რომლებსაც მოზარდ თაობას ეძახიან, რომ უთხარი მათ მეცნიერების სახელით: „მთვარე გამბურგში მზადდება-თქო“ და ნახავთ, რა აღტაცებით მიიღებენ ამ ახალ ამბავს.

ცნობილია, რომ ერთი მეცნიერული ჭეშმარიტება არ უნდა არღვევდეს მეორეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორეს. თუ არღვევს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ერთია ტყუილი ან მეორე. მეცნიერება (ფიზიკა) გვასწავლის, რომ ტრიალის დროს ნივთიერება იკუმშება და მისი ნაწილაკები ერთმანეთს მჭიდრად უკავშირდებაო. წყალი რომ სტაქნში ჩაასხა და შენს გარშემო რგოლზე დადგმული ატრიალო, სანამ არ გააჩერებ, ერთი წვეთიც არ დაიღვრებაო. „ყოველი სითხეო, ამბობს ბ. გომართელი, ტრიალის დროს

ბურთივით რგვალდება, რადგანაც ნივთიერების ნაწილებს ერთმანეთისად-მი მიმზიდველობა აქვსო,, (იხ. ნაკადული № 10, ცე. 40). თუ ეს მართლა ასეა, მაშ შეუძლებელია წინააღმდეგი მოვლენა, ე.ი. ტრიალის დროს საგნისაგან რაიმე ნაწილის ჩამოშორება. მაშ უსაფუძვლო უნდა იყოს ის აზრი, რომ დედამიწა მზის ნაგლეჯია, ან მთვარე დედამიწისა (იხ. ნაკადული გვ. 40).

მეორე: დიდებული ნიუტონის გამოკვლეული ბუნების კანონის მიხედვით მზის ციაგების და მთელი ქვეყნიერების არსებობა დამყარებულია მიმზიდველობაზე. ამ კანონის ძალით მზე, როგორც უდიდესი სხეული, იზიდავს თავის ციაგებს და აჩერებს ერთ და იმავე მდგომარეობაში. რომ ეს ძალა არ იყოსო, ამბობენ ნიუტონი და მისი შემდგომნი ვარსკვლავთ-მრიცხველნი, ციაგები თავისი მოძრაობის დროს გზას შეიშლიან და ერთმანეთს დაეჯახებიანო. მიმზიდველობის კანონს მიეწერება ის მოვლენაც, რომელსაც ჩვენ სიმძიმეს ვეძახით და, რაც დედამიწის ზურგზე მყოფ საგნებს აჩერებს ერთ და იმავე მდგომარეობაში მისი საშინელი სისწრაფით მოძრაობის დროს. თუ ამ ტრიალის დროს ადამიანები, ცხოველები და სხვა საგნები ჰაერში არ იფანტებიან, ეს იმის ბრალია, რომ დედამიწა იზიდავს მათ. თუ ეს ასეა, ასევე უნდა ყოფილიყო პირველყოფილ ორთქლადქცეულ სხეულში. მიმზიდველობის ძალას არ უნდა დაენებებინა რომელიმე მცირე ნაწილიც ან რგოლის მოგლეჯა. თუ წინააღმდეგს ვიფიქრებთ, სისულელე გამოგვივა, ე.ი. როცა მზეს თავის ციაგები უბეში ეწვა, ვერ შეიმაგრა, ე.ი. მისმა მიმზიდველობამ ვერ იმოქმედა და, როცა ციაგები მზეს გაექცნენ, მისმა მიმზიდველობის ძალამ სადღაც გზაზე გააჩერა იგინი და მას აქეთ არ აძლევს ნებას გაინძრენ. და ესენიც გარს ევლებიან მას, ხან შორს გაეცლებიან და ხან უახლოვდებიან, ხოლო მიმზიდველობის ძალას ერთს და იმავეს ინახავენ. ამნაირად, ციაგები ან ვერ უნდა მოგლეჯოდნენ მზეს, და, ან, თუ მოგლჯენ, წინააღმდეგ ნიუტონის კანონისა, ვეღარაფერს ვერ უნდა შეეჩერებინა იგინი თავის უთავებოლო ხეტიალში. ამნაირად, ან ჭორია ის ბუნების კანონები, რომლებზედაც ჩვენ მოგახსენეთ და მაშინ ბ. გომართელი ცათამდი მართალია, და ან — ესენი ჭეშმარიტებაა (რაშიდაც ეჭვი არავის შესელია) და მაშინ გომართელის თქმულება დედამიწის გაჩენაზე ნამდვილი „იჭიბოჭიაა".

მაგრამ, დავიჯეროთ ერთ წამს, რომ დედამიწა მზის ნაგლეჯია. მერე რა მოხდა? ცოტა ხნის შემდეგ მზეს შეილიშვილი ეყოლა, რომელსაც მთვარე დაერქვა; ე.ი. დედამიწას მოგლჯა ტრიალის დროს რგოლი და გადაიქცა მთვარედ: თუ არ ვსცდები, მთვარე შეილიშეილად უნდა ერგებოდეს მზესა? მერე დედამიწა ნელნელა განელდა და ადუღებული ნაცარტუტის სახე მიიღო.

როცა ეს ტუტი განელდა, მას გარსი გაუმაგრდა, „განელების დროს დედამიწას ასდიოდა ორთქლი, რომელიც გარს შემოერტყა ღრუბლად“ და სხვ. ნუთუ საჭიროა ეინშტეინისთვის ამ თეორიის უსუსურობის განმარტება? თუ გომართელი ვერ გრძნობს ამას, ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ სარწმუნოების გაბათილების ნამეტანმა სურვილმა გაიტაცა. აბა რად დარჩა შეუნიშნავი ასეთი წინააღმდეგობანი: 1. თუ დედამიწა მზის ნაგლეჯია, თვისებაც მზისა უნდა შერჩენოდა. აგრეთვე, თუ მთვარე დედამიწის ნაგლეჯია, რად დაკარგა ამ უკანასკნელის თვისება? მიუხედავად იმისა, რომ მზე, გომართელის სიტყვით, დედამიწაზე გაცილებით უხუცესია, იგი დღესაც ადუღებულია და საშინელი სიმხურვალე, რომლის წარმოდგენაც არ შეგვიძლია და რომლის განელებას ბოლო არ უჩანს. ხოლო დედამიწა არა თუ განელდა, არამედ გაცივდა კიდეც და ზოგი მისი ნაწილი სამარადისო ყინულითაა დაფარული. მთვარე? მთვარე ხომ სულ არ ჰგავს თავის დედას და მით უფრო - დიდედას? იგი მოკლებულია ჰაერს, წყალს, ცოცხალ არსებას, მცენარეულობას და მხოლოდ კლდოვან მთებს და მკვდარ ჭალებს წარმოადგენს. 2. რათ მოხდა ასეთი განსხვავება ამ სამ ახლობელ ნათესავთა შორის? რამ გააცივა დედამიწა? ან რა არის სიცივე? საიდან წარმოსდგა იგი? იმ დროს, როცა მზეს სხვადასხვა ციაგები მოსწყდა, ყველა ისინი გამლხვარ მდგომარეობაში იყვნენ და ხურდნენ უთუოდ ისე, როგორც მზე. როგორ მოხდა, რომ ამდენ მზეებს კიდევ სიცივე შემოეპარათ და, კიდევ ვიმეორებ, ან საითგან გაჩნდა ეს სიცივე ასეთ უბედურ სიცხეში? მთელი მსოფლიო დუღდა და დედამიწა კი ცივდებოდა? რანაირი დასაჯერებელია ეს ჰიპოტეზა? 3. „გაცივების დროს დედამიწას ორთქლი ასდიოდა და ღრუბლებად იკუმშებოდაო“. როგორ მოგწონთ ორთქლის ორთქლი? დედამიწა ხომ გომართელის სიტყვით, თვით მოტრიალე ორთქლს წარმოადგენდა და, როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ამ მოტრიალე ორთქლს ორთქლი ასდიოდა? თუ ასდიოდა, მთლად უნდა ასულიყო, რადგან მთლად ორთქლი იყო და მაშინ ორთქლი წყლად იქცეოდა და არა ნაცარ-ტუტად. 4. კარგი, ვთქვათ, დედამიწის რგოლს ასე მოუვიდა. რატომ ასევე არ მოუვიდა მეორე რგოლს, რომელიც ამას მოსწყდა? რატომ ამასაც ორთქლი არ აუვიდა და, წყლად ქცეულმა, არ გაანაყოფიერა ნიადაგი? რა დააშავა ბედშავმა მზის შვილიშვილმა, რატომ თვით ბებიას - მზეს არ ასდის ეხლა ორთქლი და წყალი არ ესხმება მას და არ აქრობს მის აღგზნებულ გულს? დიდ არს საიდუმლოება შენი, მსოფლიო! ჭეშმარიტს ბრძანებთ თქვენც ჰოი, მეცნიერო გომართელო, რომ ადამიანი მასთან შედარებით სუსტიაო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თქვენივე წარმოთქმული ჭეშმარიტებით თქვენვე ვერ სარგებლობთ და ჰბედავთ ისეთი საქმის შეხებას, რომელსაც თქვენი ტვინის ნივთიერება ვერ მისწვდება, თქვენი

სუსტი გონება ვერ გამოარკვევს, რაც უნდა თეორიები შეთხზათ დედამიწის და, საზოგადოდ, მსოფლიოს წარმოშობისა, არც ერთი სრული ჭეშმარიტება არ იქნება, არამედ ჭეშმარიტების ბღაუჭი, სწორედ ისე, როგორც უსუსრი ებღაუჭება მთვარეს და დარწმუნებულია, რომ მისწვდება მას, გარნა ვერ ამჩნევს, რომ სტყუვდება.

ასეა თუ ისე, გააჩინა გომართელმა დედამიწა, მოგლიჯა ერთი ნაწილი მზეს, გააციეა იგი, აადინა ორთქლი, დაასხა წყალი, მერე ეს წყალი გააშრო და გამოიყვანა ხმელეთი. ეხლა როგორ გაჩნდნენ, გომართელის აზრით, ქვეყანაზე მცენარეები, ცხოველები და ადამიანები? სულ ადვილად: „მზის სითბოს ზეგავლენით სხვადასხვა ნივთიერებანი წყალში გაიხსნა და, ამგვარად, დედამიწის ზურგზე დაიწყო სხვადასხვა ქიმიური ცვლილებანი, რომელთაც შემდეგ მოჰყვა ცილეულის აღორძინება. დროთა განმავლობაში ცილეულითგან თანდათან განვითარდნენ წყალში პატარა ერთუჯრედიანი არსებანი, ანუ მონერები. ამ მონერებიდან დარვინის ბუნების კანონის („ბრძოლა არსებობისათვის„) შემწეობით — ადამიანები. უკაცრავად, ჯერ მაიმუნები და, მერე ამათგან, არა, ამათი ძმობილებითგან, ახლო ნათესავებითგან - ადამიანები.

რა გაჭირდა, გომართელო, რომ გეთქვა, დედამიწას მოსწყდა რგოლი და გაჩნდა კაციო, ეითომ რა წინააღმდეგი იქნებოდა თქვენი თეორიისა ასეთი თქმა? თუ მზეს მოსწყდა რგოლი და დედამიწა გაჩნდა, შემდეგ დედამიწას მოსწყდა რგოლი და მთვარე გაჩნდა, რატომ არ შეიძლება კაციც ასე გაჩენილიყო მოგლეჯით? რაღა კაცისთვის გახდა ქიმიური ცვლილება საჭირო? მერე და ეს მონერები ხომ ეხლაც არიან? ჩვენ გვგონია, მონერები თავისთავად მრავლდებიანო. რატომ მოხდა, რომ მონერები დარჩნენ? რატომ არ იმოქმედა ან არ მოქმედებს მათზე განვითარებისა და არსებობისათვის ბრძოლის კანონები, რომ ესენიც ადამიანებად გადაექცია და არ დარჩენილიყვნენ იმ გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომელშიდაც დღეს იმყოფებიან (არც ცხოველებია და არც მცენარეები)? გვიბრძანეთ, რანაირად მოხდა, რომ ერთი და იმავე პირობებში ერთი მონერა კაცად განვითარდა, მეორე კი მონერად დარჩა? თუ იმიტომ, რომ სხვადასხვა იყო მათი დანიშნულება იმთავითვე? მაშინ, ვინ მისცა მათ ეს დანიშნულება?

კიდევ ერთი კითხვა, მაგრამ, რა საჭიროა? გომართელი მიზეზს ეძებს, რომ კითხვაზე პასუხი გასცეს? გვეუბნება - მოგჯაო, და რამ მოგლიჯა, ამას არ დაგიდევს. გვეუბნება: „მონერა კაცად იქცაო, ჩვენი ახლობელი წინაპარი მაიმუნის ჯიშის მაიმუნიაო" და, რავარც გინდა, ისე იანგარიშე! „მეცნიერები გულისმოდგინებით დაეძებენ მათს (მაიმუნის) ჯიშის მაიმუნებს, ანუ ჩვენი წინაპრების ჩონჩხს მიწაში, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი აღმოუჩენია-

თო" - ამბობს გომართელი ბოლოს და ამით აგვირგვინებს თავის სამეცნიერო მიგნებას. თუ ვერაფერი აღმოუჩენიათ, ვერც ვერაფერს აღმოაჩენენ - ვიწინასწარმეტყველებთ ჩვენ, რადგან კაცი ყოველთვის კაცი იყო და არა მაიმუნი და არც მისი ბიძაშვილი. ყოველ შემთხვევაში, ვურჩევთ ბ. გომართელს, შეინახოს თავისი უსაფუძვლო თეორიები, სანამ მეცნიერები საფუძველს იპოვნიდნენ, თორემ ყვიჩილი რომ ადრე დაიყივლებს, ის გათენებას ვერ მოესწრება...

## სული თუ ტვინი?

### წერილი II (1908წ. №2)

რომელიმე მივარდნილ სოფლიდგან რომ მოიყვანოთ უსწავლელი ადამიანი და ჰკითხოთ, საითგან წარმოსდგება დღე და ღამეო, რასაკვირველია გიპასუხებთ „დღე და ღამის ცვლილება იქიდგან წარმოსდგება, რომ მზე ხან ამოდის ხან ჩადისო, როცა ამოვა — გათენდება, როცა ჩავა — დაღამდებაო." ასე აგიხსნის ამ საკითხს ყოველი გაუნათლებელი (უსწავლელი) ადამიანი, რომლისთვისაც სკოლაში არ უთხრობიათ, დედამიწა ტრიალებსო. მაგრამ, განა დასაჯერებელია ეს პასუხი? ჩვენ რომ დავუჯეროთ, მეცნიერების თვითმპყრობელი გომართელი მაინც არ დაიჯერებს, თავისებურად მედიდურად გაიღიმებს და ეტყვის მივარდნილ სოფლის მეცნიერს: „არა, ძმობილო, ეგ ეგრე არ არისო", და დაიწყებს თავის იჭიბოჭიას, თუ როგორ მოწყდა მზეს დედამიწა, დედამიწას - მთვარე და სხვ. მიუხედავად ამისა, გაუნათლებელი ადამიანის უბრალო საღ ჭკუას არ შეუძლია სხვანაირად იფიქროს დღე და ღამეზე, თუ არ ისე, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ. და სწორედ ამ უბრალო საღი ჭკუის ნაშთია, როცა ამბობენ „მზე ათბობსო", ხოლო ამ საღი ჭკუის ნაწარმოებს გომართელი, როგორც მოგახსენეთ, ღიმილით ეგებება, იმიტომ რომ მის მეცნიერულ შეხედულებას არ ეთანხმება. მაგრამ, ენახოთ, როგორ მიეგებება იგი იმავე უბრალო გაუნათლებელი ადამიანის საღი ჭკუის ნაშრომს, როცა ეს უკანასკნელი ეთანხმება მის (გომართელის) მეცნიერულ შეხედულებას რომელიმე საგანზე. „რომელიმე სოფლიდგან რომ მოვიყვანოთ გაუნათლებელი ადამიანი, - ამბობს გომართელი, - და ვკითხოთ, რითი ფიქრობს და აზროვნებს ყოველი ჩვენთაგანიო, რასაკვირველია, თავით, ტვინითო, გიპასუხებთ ის". და ეს პასუხი გომართელს სრულს ჭეშმარიტებად მიაჩნია. ასე რომ სხვანაირად სჯა ამ საგანზე, მისი აზრით შეუძლებელია, თუმცა, „სამარცხვინოთ კაცობრიობისა, იყვნენ ფილოსოფოს-მეცნიერები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობდნენ და არ იცოდნენ, რომ „აზრი ტვინში იბადება" (იხ. „სული და ტვინი"). „ქართველ კაცს თვალში აქვს ჭკუაო", ამ-

ბობს ქართული ანდაზა. ეს ანდაზა მარტო ქართველს არ შეეხება, თუმცა გომართელი საესებით ამართლებს მას თავისი მაგალითით. იგი შეეხება მთელს კაცობრიობას, უკეთ რომ ვსთქვათ, კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელიც საღი, უბრალო, გაუნათლებელი ჭკუით აზროვნებს და, უფრო იმათ, ვინც გრძნობებით მსჯელობს. გაუნათლებელი ადამიანი ისე სჯის, როგორც ეუბნება მას გარეგანი გრძნობები: მხედველობა, სმენა, ყნოსვა და სხვ. კაცი ხედავს მზეს ხან აღმოსავლეთის ცის კიდეში, ხან დასავლეთით. ხედავს ცის კამარის სხვადასხვა ადგილებზე და ისიც, დანდობილი თავის მხედველობაზე, ამბობს: „მზე ამოვიდა, მზე წამოიწია, მზე გადაიხარა, მზე ჩავიდა", და ეს მას სრული ჭეშმარიტება ჰგონია. ადამიანს ესმის ზარის ხმა და მას ჰგონია, რომ ეს ზარს ეკუთვნისო. სჭამს შაქარს და იძახის ტკბილიაო. და ვერა გრძნობს, რომ არც სიტკბო და არც ხმა თავისთავად არ არსებობს, მით უფრო, არ დაიარება მზე. ავიღოთ კიდევ მაგალითი: ჰკითხეთ, ვისაც გნებავსთ (რა თქმა უნდა, უსწავლელს), როგორი შესახედაობისაა დედამიწა-თქო? იგი, დარწმუნებული ვარ, გიპასუხებს: დედამიწა ბრტყელია ლავაშივითო. და ეს პასუხი ბუნებრივია. სხვა პასუხს ვერ მიიღებ გაუნათლებელი კაცისაგან იმიტომ, რომ იგი სჯის გონებით კი არა, თვალით. და არ იცის, რა მატყუარა მოწმე ჰყავს, არ იცის, როგორ გვატყუებენ ჩვენი გრძნობები. ეს მხოლოდ მეცნიერმა იცის და აკი სხვანაირადაცა სჯის!

ეხლა ავიღოთ გომართელის მაგალითი ტვინის შესახებ. ადამიანი ხედავს: კაცი სანამ ცოცხალია, აზროვნებს, ფიქრობს, ლაპარაკობს, მსჯელობს, მოკვდება - სდუმს, აღარ აზროვნებს აღარ მსჯელობს. კაცი ხედავს სხეულს, რომელშიდაც ტრიალებს ეს აზროვნება და, დანდობილი თავის ცრუ მოწმეზე (მხედველობაზე), ამბობს, „აზროვნებს სისხლიო, აზროვნებს გულიო, აზროვნებს მუცელიო". ეს ფიქრიც ბუნებრივია, რადგანაც ამ სამი საგნის ცალცალკე ან ერთად მოსპობას მოსდევს სხეულის სიკვდილი, და მაშასადამე აზროვნების დაკარგვაც. აქ გასაკვირალი არაფერია. აბა, რა სთქვას ადამიანმა, რომელიც თავის ცხვირზევით ვერ იხედება, რომელიც თვალებით, ყურებით, ცხვირით, ენით და შეხებით მსჯელობს და არა გონებით აზროვნებს.

გომართელი ხედავს, რომ, როცა ტვინი ხმება ან ლპება, ადამიანის აზროვნება კლებულობს და ბოლოს, სულ ისპობა, აბა რა სთქვას ამის შემხედვარემ, თუ არა ის, რომ არ არის და არც საჭიროა იყოს არავითარი მოაზროვნე სული, გარდა ტვინისაო. უბრალო გაუნათლებელი მივარდნილ-სოფლელი კაცის აზროვნება ასე ეუბნება გომართელს და მასაც სჯერა. მაგრამ აეწყდება ბ. გომართელს, რომ ის ორგანოები, რომლებიც მასალას აძლევენ საღ გონებას, ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც სტყუვიან

ნიუტონი რომ უბრალო საღ მოსაზრებას დანდობოდა და გრძნობებისათვის დაეჯერებია, დამერწმუნეთ, ბ-ნო გომართელო, რომ თავის უკედავ ბუნების კანონებს ვერ გამოარკვევდა და დღესაც იმ უმეცრებაში ვიქნებოდით, შესახებ ქვეყნიერების მოძრაობისა, რომელშიდაც ვიყავით ამ რამოდენიმე წლის წინეთ. ასე საშიშია საღი მოსაზრების დანდობა და, თუ ძველი ფილოსოფოსები უბრალო საღ მსჯელობაზე დანდობილნი, აზროვნების ბუდედ გულს, მუცელს, სისხლს ხდიდნენ, თქვენც, ბ-ნო ივანე, თქვენი თანამოაზრეებით, ძალიან შორს ვერ გასცილებიხართ მათ. იგინი თუ გულს აწერდნენ აზროვნებას, თქვენ ტვინს აწერთ, რომელიც ქიმიურად არაფრად არ განირჩევა გულისაგან. და, თუ გულით არ შეიძლება აზროვნება, არც ტვინი შეიძლება იყოს აზროვნების და, საზოგადოდ, სულიერი ცხოვრების ბუდედ. ყოველ შემთხვევაში, ამისთანა დიდი საკითხის განმარტება უფრო მეტ საბუთს მოითხოვს მეცნიერებისაგან, ვიდრე გაუნათლებელი კაცის მოწმობაა. უსწავლელი კაცი იგივე უმეცარია და, განა შეიძლება მეცნიერება უმეცრებაზე დავამყაროთ? თქვენი ანგარიშის მიხედვით, ბ-ნო გომართელო, მე აზროვნების ბუდედ სისხლს დავასახელებდი იმავე უფლებით, რა უფლებითაც თქვენ ტვინს ასახელებთ. თქვენ ამბობთ, ტვინი როცა იხრწნება, აზროვნებაც კლებულობს და ბოლოს, სულ ისპობაო. მე ვიტყვი, როცა სისხლი კლებულობს (მოხუცებულობის დროს), აზროვნებაც კლებულობს, როცა სისხლის ჩქეფა შეწყდება ძარღვებში, აზროვნებაც ჩაქრება. შენ ამბობ, აზროვნება ტვინის უჯრედების საქმეაო, მე ვიტყვი - იმ სისხლის საქმეა, რომელიც ამ უჯრედებში ტრიალებს, და ურომლისოდაც მათ არა თუ აზროვნება, სიცოცხლეც არ შეუძლიათ თქვენივე სიტყვებით (იხ. წიგნი „სული და ტვინი"). გრძნობიერობაც სისხლს უნდა მიეწეროს და არა ძარღვებს (ნერვებს), რადგანაც, თუ მათში სისხლი წაღმა-უკუღმა არ ტრიალებს, ისე ვერაფერს იგრძნობენ, როგორც ხარაზის ტყავის ძაფები. სინჯეთ, და გაუღიზიანეთ ძარღვი მიცვალებულს ჩხვლეტით! თქვენ ვერ მიაღწევთ საწადელს, ვერ გამოიწვევთ გრძნობიერობას, თუმცა ძარღვიც და ტვინიც თავ-თავის ადგილზეა. რატომ? იმიტომ, რომ სისხლი აღარ მოძრაობს, გული აღარ ფეთქს. მაშასადამე სისხლი გრძნობს და არა ნერვი ან ტვინი. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, განა იმდენათვე შესაწყნარებელი არ არის ჩემი მსჯელობა სისხლზე, რამდენადაც ბ-ნ გომართელის მსჯელობა ტვინზე? მხოლოდ უგუნური იტყვის სისხლი აზროვნებსო. ტვინი აზროვნებსო - ვიღამ უნდა სთქვას?

მაგრამ გავყვეთ გომართელს, ვნახოთ, სადამდე მიგვიყვანს მისი მატერიალისტური შეხედულება სულიერ ცხოვრებაზე.

თუ აზროვნება ტვინის საქმეა, მასზედ უნდა ჰქონდეს გავლენა ტვინის რაოდენობას. გამოდის ვისაც დიდი ტვინი აქვს, ის მეტი გონიერია. გომარ-

თელი არ უარყოფს ამ ჭეშმარიტებას (?! იხ. გვ. 15), მაგრამ იმ პირობით კი, რომ სიმძიმით ტანი არ აღემატებოდეს ტვინს ორმოცჯერ მეტად. ასე რომ ტანი თუ სიმძიმით ოთხი ფუთია, ტვინი ოთხი გირვანქა უნდა იყოს უსათუოდ. თუ ნაკლებია, გამოეთხოვეთ გონიერებას! ამნაირად, თუმცა სპილოს ადამიანზე გაცილებით მეტი ტვინი აქვს, (ადამიანს 3,5, სპილოს კი 13 გირვანქა), მაგრამ ტანი ნამეტანი დიდი აქვს, ამიტომ გონიერებაც ნაკლები აქვს. რა ბოდიშს იხდით, ბ-ნო გომართელო! ორში ერთი მიიღეთ: ან ტვინია გონების და უგუნურების მიზეზი, და ან ტანი. ტვინის რაოდენობაზე თუა დამოკიდებული გონიერება, ტანი რა შუაშია, და, თუ დიდი ტანის პატრონი ყოველთვის უგუნური უნდა იყოს, ტვინი რაღა შუაშია? ბევრ ტვინში უთუოდ ბევრი წარმოდგენები და აზრები უნდა იყოს და ამათ ტანი ხომ არ ჭამს? აგვიხსენით, რატომ არის ასეთი დამოკიდებულება ტანსა და ტვინს შორის? თქვენ არ გაგიჭირდებათ ეს, რადგან უთუოდ ფიზიოლოგიური მიზეზების ბრალია ეს გარემოება.

ზოგიერთ ტანით პატარა კაცს დიდი თავი აქვს, მაშასადამე დიდი ტვინიც, ზოგიერთს კი - პატარა თავთან დიდი ტანი. თქვენის თეორიით პირველი გენიოსი (დიდი ჭკუისა და გონების პატრონი) უნდა იქნეს, ხოლო მეორე - უგუნური. გვიბრძანეთ, რანაირად ამართლებს ამას ცხოვრება? მოიგონეთ ფრიდრიხ დიდი, ლესსინგი, ნიუტონი და სხვები, რომელთაც შედარებით პატარა თავები ჰქონდათ, და, მაშასადამე პატარა ტვინებიც, მაგრამ გონებით გაცილებით მაღლა იდგნენ ზოგიერთ დიდთავიანებზე. ავიღოთ, თუ გინდა, ორი თანასწორი ტანისა და ტვინის პატრონი: ესენი განა ორივე ერთნაირი გენიოსები იქნებიან ან ორივე უგუნურები? რამდენი კაცი ყოფილა და იქნება ნიუტონის, კეპლერის, პასკალის და სხვა გენიოსების ზომის, მაგრამ ყველა ნიუტონი, კეპლერი და პასკალი გამოსულა? განა, ვინც გომართელის ზომისაა, ის გონებითაც გომართელია? თქვენ კიდევ შეიძლება ის ბრძანოთ, აქ მნიშვნელობა ტვინის რუხ ნაწილს აქვსო. რა არის ეს რუხი ნაწილი? განა იგივე ცომი არ არის, როგორიც თეთრი ტვინი? რა გავლენა აქვს რუხს ან თეთრ ფერს აზროვნებაზე? ფერი და აზროვნება? ფერი თუ აზროვნებს, მარტო ტვინში კი არა, ყველგან უნდა აზროვნებდეს!.. ან იქნებ ტვინის უჯრედებს და მათ შემაერთებელ ძაფებს ჰქონდეთ რაიმე დიდი გავლენა ადამიანის გონიერებაზე? (იხ. გვ. 22) ან სულიერ ცხოვრებაზე? გომართელი დიდის რიხით იცავს ამ აზრს, იგი ვერ პოულობს ბუნებაში ისეთ ცხოველს, რომელსაც ტვინის უჯრედები თავის შემაერთებელი ძაფებით ნაკლები ჰქონდეს და გონიერება კი მეტი.

დავანებოთ, ბ-ნო გომართელო, ამ საცოდავ ცხოველებს, რომელთა გონება და სულიერი მდგომარეობა ძალიან ნაკლებად წააგავს ადამიანისას.

ჩვენ ისევ ადამიანები შევადაროთ ერთმანეთს, საღი ადამიანები. მე მგონია, თქვენ წინააღმდეგი არ გამიხდებით, რომ ეთქვა: ყველა საღ ადამიანს რიცხვით თანასწორი უჯრედები და მათი შემაერთებელი ძაფები აქვს-თქო და. თუ სულიერი ცხოვრება ადამიანისა განისაზღვრება ამ უჯრედებისა და ძაფების რაოდენობით, რატომ არის, ასეთი უკიდურესი სხვადასხვაობა ამ სულიერი ცხოვრებისა? რატომ არ ჰგავს ადამიანი ადამიანს ხასიათით, მიმართულებით, გრძნობით, გონებით? რათ არ მეორდება ერთის სულიერი ცხოვრება მეორეში? დიდებული სოკრატი ერთხელ დაიბადა სწორედ ამ ტვინის უჯრედებისა და ძაფების რაოდენობით, როგორიც ემჩნევა დღევანდელ განვითარებულ ადამიანს, მაგრამ სოკრატს ვეღარ ეხედავთ განმეორებულს. აგრეთვე ბუდდა, ზოროასტრი, მაჰმადი, გიოტე, შექსპირი, შილერი, და სხვა გენიოსები, რომლებმაც მსოფლიო გავლენა იქონიეს თავის დროზე და, რომლებიც აღარ გამეორებულან და, იმედია, აღარც განმეორდებიან ქვეყანაზე. თქვენის ანგარიშით, ამ პირებს გაცილებით მეტი უჯრედები და შემაერთებელი ძაფები უნდა ჰქონოდათ, თორემ სხვებიც ხომ ისეთივე სოკრატი, ბუდდა, ზოროასტრი და მაჰმადი უნდა გამოსულიყვნენ? თქვენ, რასაკვირველია, არ გამიწყრებით და დამიჯერებთ კიდეც, რომ ერთნაირი მიზეზები ერთნაირ შედეგებს ქმნიან. მაშასადამე, თუ, ადამიანის სულიერი მდგომარეობა თავის ერთნაირი ტვინის შედეგია, თვით ეს სულიერი მდგომარეობა ერთნაირი უნდა იყოს, ე.ი. ყველა სოკრატები უნდა ვიყოთ, ან ყველა ნაპოლეონები, ან ყველა ჰეროსტრატები, ან კიდევ ვინც გნებავთ, თუნდა გომართელები, ბებელები და სხვა.

## სული თუ ტვინი?

**წერილი III (1908წ. №3)**

მაგრამ არც ასეა საქმე. თვით გომართელს შეჰპარვია თავის ძაფებზე მსჯელობაში ისეთი აზრი, ისეთი თვისებით შეუმკვია ეს ძაფები, რომ იგინი სრულებით ჰკარგავენ თავის დანიშნულებას, როგორც გონიერების და აზროვნების ბუდისას: „ტვინის ძაფები ასრულებენ ტელეგრაფის მართულის დანიშნულებას, ამ ძაფების წყალობით გაღიზიანება ერთი უჯრედიდგან შეიძლება გადაეცეს არა ერთსა და ორს სხვადასხვა ალაგას, და ჩვენი სულიერი ცხოვრების სირთულეც ამ გარემოების შედეგიაო" (იხ. გვ. 21). აი, რა ყოფილა ძაფების დანიშნულება — გაღიზიანების გადაცემა ტვინის უჯრედებისადმი. მაგრამ არც ეს არის სრული სიმართლე. რა არის გაღიზიანება? გაღიზიანება არის, როცა რამეს შეეხები ან შეგეხება და ამ შეხებას იგრძნობ, როგორც მამოძრავებელ მიზეზს შენი გრძნობისას. ასეთი გაღიზიანება მოხდება მაშინ,

როცა ბინდორში ვართ, რამეს ვაკეთებთ, რამეს ვეხებით, ვხედავთ, ვისმენთ, ე.ი. როცა ჩვენი თვალის იარაღები: თვალი, ყური, ცხვირი, ენა, სხეული, და სხვა მოძრაობაშია. ახლა წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ოთახში: ღამეა, სანთელი ანთია, თვალი ვერაფერს ხედავს, სიჩუმეა, ყურს არა ესმის რა, ენა არ გემოვნებს, ცხვირი არაფერ სურნელს გრძნობს. ჩვენ კი გვღვიძავს, არ გვძინავს, რადგან არაფერი გაღიზიანება არ არის და, მაშასადამე, ტვინთან არაფერი ამბავი მიდის. აზროვნება შეჩერებული უნდა იყოს, მაგრამ, არა, ჩვენ ვაზროვნებთ, ჩვენ ვფიქრობთ ღმერთზე, მომავალ ცხოვრებაზე, ვფიქრობთ, როგორ უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ვფიქრობთ ცოლზე, შვილზე, მამაზე, დედაზე, ნაცნობებზე, ნათესავებზე, ვფიქრობთ ტვინზე, მის შემაერთებელ ძაფებზე, გონიერებაზე, ერთი სიტყვით, ვფიქრობთ ისეთ საგნებზე, რომლებსაც ამ წამში ვერ ვხედავთ, ვერ განვიცდით. საიდან მოხდა ეს, ვინ მოუტანა ტვინს ეს ამბავი? რამ გააღიზიანა ტვინის ძაფები? ტვინის ძაფებს არ შეეძლოთ გამოეწვიათ ეს აზროვნება თავისთავად, უმიზეზოდ.

ახლა დავიძინოთ. ცელქმა ბიძინამ ია-ვარდის სურნელოვანი თაიგული ცხვირთან მოგვიტანა, ჩვენ ვერ ვიგრძენით სურნელება, ე.ი. სასუნთქავი ძარღვების გაღიზიანება მოხდა, მაგრამ ტვინმა ვერაფერი იგრძნო. შემდეგ ცელქმა ფრთხილად თვალი გაგვეახელინა. თვალზე თვით იმ ცელქის სურათი გამოგვეხატა, ე.ი. მხედველობის ნერვები გაღიზიანდნენ, მაგრამ ტვინმა მაინც ვერა იგრძნო-რა. შემდეგ რაღაც ყურში ჩაგვჩურჩულა, მაგრამ ვერც ამან იმოქმედა. რატომ? ტვინი თავის ძაფებით ხომ თავის ადგილზეა და გაღიზიანებაც გვაქვს? შემდეგ გაგვეღვიძა. ცქრიალა ბიძინა სიცილით მოგვევარდა და ცხვირზე თაიგული მოგვადვა. ჩვენ ვიგრძენით საუცხოვო გამაცოცხლებელი სურნელება, დავინახეთ ბიძინაც და თაიგულიც, გავიგონეთ მისი ჩურჩულიც. რამ გაიღვიძა ჩვენში? ტვინმა? მაგრამ ტვინი ხომ ნივთიერებაა, უბრალოდ რომ ვთქვათ, და, განა მიწას შეუძლია გაიღვიძოს? გააღვიძეთ, თუ შეგიძლიათ, ტალახი, ქვა, ცომი, მაგრამ თქვენ ვერ შესძლებთ ამას. ამას მხოლოდ დოქტორ მატერიალისტი შესძლებს ძლევამოსილი ქიმიის შემწეობით.

ავიღოთ ახლა მეორე მაგალითი. ვსთქვათ, ვისმე საღათას ძილი მოუვიდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ერთი კვირა, ერთი თვე. მოდის ექიმი, უხელს თვალს. მძინარე ვერაფერს ხედავს. ჩასძახის ყურში, არ ესმის, ჩქმეტს ხელით, ნემსით, - ვერ გრძნობს. ასუნთქებს, ასმევს, მძინარე არ ინძრევა. ცოცხალი კია, თუ სიცოცხლე ეთქმის ასეთ სიცოცხლეს: სისხლი მუშაობს, გული ძგერს, ტვინი თავის ძაფებით თავის ადგილზეა, მაგრამ კაცს გრძნობიერობის და აზროვნების ნიშან-წყალიც არ ეტყობა. რას შერება ამ დროს ტვინი? რათ არ აზროვნებს? რათ არ გრძნობს? რას შერებიან აურაც-

ხელი უჯრედები თაეისი ტელეფონებით? რათ არ აგებინებენ ერთმანეთს თავის სამიშ მდგომარეობას? რათ არ ხმარობენ საშუალებას? ბოლოს მძინარე მოკვდა. ვეღარ გაუძლო სხეულმა ამდენი ხნის შიმშილს და წყურვილს, რომელსაც, თუმცა ვერ გრძნობს, მაგრამ ხორცსა და სისხლს ხომ აკლდება? ამგვარად გარდაცვალებული ადამიანების გაჭრამ დაამტკიცა, რომ ტვინი ამ დროს არავითარ ცვლილებას არ განიცდის და სრულიად საღი რჩება. მაშ, რატომ არ აზროვნებდა? ჩანს, იგი მოაზრე არა ყოფილა.

მესამე მაგალითი: თქვენ ზისართ, წიგნს კითხულობთ. რა მდგომარეობას განიცდის ამ დროს თქვენი ტვინი? თვალის ვაშლი გააღიზიანა მელნით დაწერილმა ასოებმა. თვალმა მათი გამოსახულება გადასცა ტელეფონით. სხვას შეატყობინა, ამა და ამ ასოს გამოხატულება მიეიღეო და ამ ამბაემა მოიარა მთელი დიდი და პატარა ტვინი, მაგრამ ეს ხომ კითხვა არ არის. ჩვენ ასოებს კი არ ვკითხულობთ, არამედ აზრებს, და ეს აგვეიხსნას ბ-ნმა გომართელმა, ვინ ზის ჩვენს თავში, რომელიც აზრებს კითხულობს? მიუტანე წიგნი ძაღლს, კატას, ასოებს ჩვენზე ნაკლებად არც ერთი მათგანი არ დაინახავს, მაგრამ ეს არავითარ აზრს არ გამოიწვევს მათში. რატომ? ტვინი ხომ აქვთ? თქვენ მეტყვით: უსწავლელი კაცი ვერაფერს გაიგებს წიგნიდანო, მაგრამ რა არის წიგნი? იგი არის მუსაიფი ადამიანისა, რომელიც პირადად ჩვენთან არ იმყოფება. გადაეცით ზეპირად ეს მუსაიფი და ნახავთ, რომ უსწავლელი კაცი თქვენზე ნაკლებად არ გაიგებს მას. თუმცა აზრი კი არ ეყურება, არამედ ხმები. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ტვინი არ არის აზროვნების და გონიერების ბუდე. ტვინი აზროვნებსო, ამის თქმა იგივეა, რომ ვსთქვათ, ხელი მუშაობსო, ფეხი დადისო, თვალი ხედავსო, ყური ისმენსო. ეს ორგანოები ყველა ხელუხლებლად აქვს მკვდარს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ვერ ასრულებს იმიტომ რომ გამომხატველი, მიმღები არავინ ჰყავს. ტვინიც ასეა. იგი იარაღია სულის ხელში. იგი თავის დანიშნულებას ყოველთვის ასრულებს, სანამ მიმღები, მოაზრე ჰყავს. როცა ეს უკანასკნელი გაეცლება, ცოცხალიც რომ დარჩეს კაცი, როგორც მაგ. საღათას ძილში, ტვინი მაინც სდუმს, როგორც სდუმს სხვა ამგვარი ნივთიერება.

ადამიანის სულიერი განვითარება დაფუძნებულია მეხსიერებაზე. ადამიანი საგნებით კი არ აზროვნებს, არამედ წარმოდგენებით, ცნებებით რომლებიც მას მეხსიერებაში აქვს შენახული და ყოველ შემთხვევაში შეუძლია მოიყვანოს ცნობაში. მეხსიერება შეგვეიძლია შევადაროთ სარდაფს, სადაც დიასახლისს შენახული აქვს სხვადასხვა სახმარი სანოვაგე, რომელსაც საჭიროების დროს მოიხმარს. მეხსიერება რომ არ იყოს, არც მეცნიერება იქნება, არც ლაპარაკი გვეცოდინება. ცხოველებს მეხსიერება ნაკლები აქვთ

და აძიტროძაც არის, რომ მათი გახეითარება შორს ვერ მიდის. ეინ არის ადამიანის არსებაში ის დიასახლისი, რომელიც უკვე განცდილ შთაბეჭდილებებს ღებულობს და მეხსიერების სარდაფში ინახაეს? გომართელი ამბობს ტეინიაო, ჩვენ ეამბობთ — არა.

ჯერ გაურკეეეელი და გაუგებარი ის არის, თუ როგორ იკრიბება და ინახება ტეინში წარმოდგენები და რა ცელილება ხდება ამ დროს ტეინის ნაწილებში. როგორც ნიეთიერება, ტეინი ამ დროს ნიეთიერ ცვლილებას უნდა განიცდიდეს, და, მაშასადამე, უნდა ეიფიქროთ, რომ საგნების სახე იბეჭდება ტეინზე. თუ ეს ასეა, თითოეულ საგანს განსაკუთრებული უჯრედი უნდა ჰქონდეს, რომელზედაც სხეა საგანს გაელენა არ ექნება. წინააღმდეგ შემთხეევაში, ერთჯერ მომხდარ შთაბეჭდილებას მეორე შთაბეჭდილება შეასუსტებს და სრულიად მოსპობს და წინანდელი წარმოდგენა დაიკარგება. და თუ ეს ასეა, ე.ი. თითოეულ წარმოდგენას ანუ საგანს განსაკუთრებული უჯრედი აქეს ტეინში, მაშინ არც არაეითარი დამოკიდებულება იქნება მათში და მილიონი შემაერთებელი ძაფებიც რომ გააბა, თაეს ეერ მოუყრი ამ სხეადასხეა უჯრედების სხეადასხეა წარმოდეგენას. გარდა ამისა, უჯრედებშორის ადგილი არ ექნება ისეთ განყენებულ ცნებებს და წარმოდგენებს, როგორიც არის ღმერთი, ანგელოზი, ჭკუა, გონება, სული და სხეა, რადგანაც ესენი ვერაფერ კეალს ვერ დააჩენენ ტეინზე, რადგან გრძნობებით ვერ განიცდებიან, და, მაშასადამე, ჩვენს აზროენებაში სრულებით ვერ დაიჭერენ ადგილს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება გამოცდილებას. მაგრამ, ვთქვათ, ამ განყენებულ საგნებმაც რამეფრად ადგილი იშოენეს ტეინში. შეუძლებელია მაინც ტეინმა ეს შთაბეჭდილებები და წარმოდგენები მეხსიერებაში შეინახოს, რადგან ტეინის ნიეთიერება, როგორც გვარწმუნებს ფიზიოლოგია, მთელი სიცოცხლის განმაელობაში ერთი და იგიეე არ რჩება, არამედ მუდამ ახლდება. ყოეელი შეიდი წლის განმაელობაში იგი რამოდენიმეჯერ გადახალისდება ისე, რომ უწინდელი ტეინის ნატამალიც აღარ დარჩება. ამ ანგარიშით ძეელ ტეინთან ძველი წარმოდგენებიც უნდა გვაეიწყდებოდეს და ახლად უნდა ეიწყებდეთ განეითარებას, სწაელას. მეცნიერება გეარწმუნებს, რომ ტეინი ყოეელ შეიდ წელიწადში ორჯერ მაინც განახლდებაო. ასე რომ, კაცმა რომ 70 წელიწადი იცოცხლოს, ოცჯერ გადაუხალისდება ტეინი, ოცჯერ დააეიწყდება წარსული და ოცჯერ უნდა დაიწყოს თაეიდან სწაელა ანუ წარმოდგენების შეძენა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ ხდება. თუმცა ტეინი ახლდება, მაგრამ ერთხელ ნანახი და განცდილი შთაბეჭდილება მეხსიერებაში რჩება და ისე მაგრად, რომ ხანდისხან რამოდენიმე ათი წლის შემდეგ გვაგონდება. ტეინი რომ სულიერი ცხოერების მიზეზი იყოს, უნდა მიეიღოთ, რომ 1. სულით აეადმყოფობა დამოკიდებულია ტეინით აეადმყოფო-

ბაზე და პირიქით. 2. რომ ტვინის ავადმყოფობა უთუოდ გამოიწვევს სულით ავადმყოფობას და 3. ტვინის გახრწნასთან ისპობა სულიერი მოქმედებაც, ე.ი. აზროვნება. მაგრამ ცხოვრება არ ამართლებს ამას:

1. ერთ საავადმყოფოში 3084 სულით ავადმყოფთაგან მხოლოდ ოთხს შეამჩნიეს გადრეკილება თავის ქალის შენობაში, დანარჩენს კი თავის ქალა სრულიად საღი ჰქონდა, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, საღი ჰქონდათ ტვინიც, რადგან ცნობილია, თავის ქალის გარეგანი შეხედულება, ფორმა, დამოკიდებულია ტვინის შენობაზე. აურაცხელი სულით ავადმყოფი მიცვალებული გაუჭრიათ, განუხილავთ ტვინი, მაგრამ უკანასკნელი სრულიად საღი აღმოჩენილა და არავითარი ცვლილება მასში არ ყოფილა.

2. ტვინის სისაღე შეიძლება დაირღვეს ტვინის ნივთიერების რამოდენიმე ნაწილის ამოცლით გარეშე საგნის მასზედ დაწოლით ან შიგ გაჩერებით, ან კიდევ ტვინის რომელიმე ნაწილის დაჩირქებით. ფიზიოლოგებმა - ფლურანსმა, კაბანსმა შეამჩნიეს, რომ ტვინის შესანიშნავი გარეგანი ნაწილები (ტვინის ქერქი, რომელშიდაც გომართელი ათავსებს აზროვნებას (იხ. „ტვინი და სული", გვ. 15), შეიძლება მოვაშოროთ და ეს არ გამოიწვევს არავითარ ცვლილებას ადამიანის სულიერ მდგომარეობაში, აზროვნებაში. (ამ შესანიშნავ პირებსაც რომ არ ეთქვათ, ჩვენც შეგვეძლია მოვიყვანოთ ათასობით მაგალითი, როცა თავგატეხილი, და ტვინგამოსხმული ადამიანი სრულ გრძნობაშია და საღად აზროვნებს. მღვდლებს უფრო მეტი ეცოდინებათ ამის მაგალითი, რადგან მათ ხშირად ხვდებათ ასეთი ადამიანების ზიარება. მე კი ჩემი ცხოვრებიდან ვიცი ორი მაგალითი: ერთს ხანჯლით თავი გაუპეს და შუბლიდან ტვინმა ამოასხა. საცოდავმა ორი კვირა იცოცხლა და უკანასკნელ ჟამამდე სრული მეხსიერება შეინახა. მეორეს ხე დაეცა თავში, თუმცა ტვინი არ დაკლებია, მაგრამ ეჭვი არ არის შეერყეოდა. ამანაც უკანასკნელ ჟამამდე სრული მეხსიერება შეინახა. ორივე სასოებით ეზიარნენ და სრული აღსარება სთქვეს). ფოლკ მანი, ვან-სვიტენი, გალლერი, პრიჩარდი, სომერინგი და სხვა მრავალი სწავლული ბევრ მაგალითს იძლევიან, როცა ტვინი რევოლვერის ტყვიით დაჭრილა, ხშირად ტყვია შიგ ტვინში გაჩერებულა, მაგრამ, როცა ამისთანა ავადმყოფისათვის ამოუღიათ უმეტესი ნაწილი დაჭრილი ტვინისა, მორჩენილან ისე, რომ ამ გარემოებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათი ჭკუა-გონების სისაღეზე და ზოგი მათგანი მას შემდეგ უფრო განვითარებულა. ექიმი ბრუნსი თავის „ხირურგიაში" მოგვეითხრობს მრავალ შემთხვევებს, როცა ტყვია რამოდენიმე წლობით ჩარჩენილა ტვინში, მაგრამ სულიერ ცხოვრებაზე არავითარი გავლენა არ ჰქონია. ექიმი რ. ფრიდრიხი მოგვეითხრობს მრავალ შემთხვევას, როცა პატარა ტვინში კაკლის ოდენა მუწუკი გაჩენილა და ავადმყოფი სულიერად საღი დარჩენილა.

ფოლკმანი ამბობს: „გამაგრება და გარბილება (ტვინის ზოგიერთი ნაწილებისა) ძალიან გაერცელებული მოვლენაა, მაგრამ არაფერი გაელენა არა აქვს ადამიანის სულის მდგომარეობაზეო". ანატომები: ნასსე, ანდრალი, დიურანი, ქარდელი - ერთხმად ამტკიცებენ, რომ ტვინის ავადმყოფობას იშვიათად მოსდევს სულით ავადმყოფობაო. ფრიდრიხს, კრუვეილიეს, მაგენდის, ფეხნერს ბევრი მაგალითი მოჰყავთ ტვინის ნაწილების და ნახევარ ტვინის სრული გახრწნისა, რასაც არავითარი ვნება არ მიუყენებია ადამიანის სულიერი მდგომარეობისათვის.

3. თუ უკანასკნელ შემთხვევაში ვიფიქრებთ, რომ ავადმყოფ ნახევარტვინის მოვალეობას მეორე საღი ნახევარი ასრულებს, რაღა ვსთქვათ სხვა მრავალ შემთხვევაზე, რომლებზედაც მოგვითხრობენ ფრიდრიხი, ციმერმანი, ბურდასი, შრედერი, ბენეკე და გუფლანდი. იმ შემთხვევებზე, როდესაც გაჭრის შემდეგ მთელი ტვინი გახრწნილი (დაშლილი) გამომდგარა, ავადმყოფს კი სიკვდილამდის გრძნობა და გონება არ დაჰკარგვია? ნუთუ ამოდენა მაგალითები საკმარისი არ არის, რომ უარვჰყოთ შეხედულება ტვინზე, როგორც სულიერი ცხოვრების მატარებელზე და მივიღოთ იგი, როგორც იარაღი სხვა არანივთიერი ძალისა, რომელსაც შეუძლია იხმაროს ეს იარაღი მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი მთლად ან რამოდენიმედ უვარგისი ხდება?" (გადმოთარგმნილია გეკ. დიაჩენკოს წიგნიდან, ხოლო ამ უკანასკნელს გამოკრებილი აქვს პროფესორ შმიკის წიგნიდან).

## სული თუ ტვინი?

### წერილი IV (1908წ. №4)

იმის დასამტკიცებლად, რომ ტვინია მოაზრე და არა სული, ბ-ნ გომართელს მოჰყავს მაგალითი ავადმყოფის ქლოროფორმით დაძინებისა, როდესაც ადამიანი ჰკარგავს გრძნობიერებას. როგორც ექიმმა, გომართელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ქლოროფორმი საწამლავია და, თუ ცოტა მეტი მოუვიდა ადამიანს, საუკუნოთაც დააძინებს. ქლოროფორმს, როგორც ყოველგვარ საწამლავს, შეუძლია ისე მოადუნოს სხეული, რომ სულმა მის მიერ ვეღარ გამოაჩინოს ძალები. სიბერეც ერთგვარი საწამლავია, რომელიც ადუნებს სხეულს და აცლის მას ღონისძიებას სავსებით გამოაჩინოს სულის მდგომარეობა. სხეულს რომ ცოცხალი ძალა ეკარგება, რა თქმა უნდა, სულის მოძრაობას ჩვენ ვეღარ შევნიშნავთ, სული ჩვენთვის უხილავი ხდება და მხოლოდ თვითონ იცის თავისი მდგომარეობა. ასევე ითქმის სხეულის ყოველგვარ ნაკლულევანებაზე, რომელიც ხელს უშლის სულს გამოაჩინოს თავისი ძალები. ამ მხრივ ადამიანის სული მოგვაგონებს საპყრობილეში

ჩამწყვდეულ ადამიანს, რომელსაც ხედვაც შეუძლია, სმენაც, მაგრამ მას საპყრობილის კედლები ნებას არ აძლევს გამოაჩინოს ეს ნიჭები. ამის მიზეზით გომართელი ვერ იტყვის, რა თქმა უნდა, საპყრობილეში კაცი არ არისო. სხეული. როგორც ძველები ამბობენ, სწორედ საპყრობილეა სულისა. ჯერ კიდევ პლატონ ფილოსოფოსმა თქვა, „ჩვენ საპყრობილეში, მაღაროში ვცხოვრობთო“. და, აი, სწორედ ჩვენი სხეული თავისი გრძნობების იარაღებით არის ის სალარო, ის საპყრობილე, რომელშიდაც სცხოვრობს სული და, რომლის მეოხებით იგი ვერ იჩენს თავის ნიჭებს. თუ ეს მართალია, თუ საღი სხეულიც არ არის სრული გამომეტყველი სულისა, რაღა უნდა ითქვას ქლოროფორმით გაწამლულ სხეულზე?

რაც შეეხება საიქიო ცხოვრებას, რომელსაც ადგილზე თუ უადგილოდ აჩრის ბ-ნი გომართელი, ამაზე ლაპარაკი მასთან პირდაპირ დარღვევად მიმაჩნია ქრისტეს მცნებისა, რომლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მარგალიტი არ უნდა დაუყარო უგუნურებს, რომ თავისი უწმინდური ფეხით არ გასრისონ ჯერ იგი და მერე თვით შენ. ამიტომ ამის შესახებ ვსდუმთ.

მხოლოდ მორწმუნეთა სანუგეშოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს, რომლითაც მტკიცდება, რომ არსებობს საიქიო ცხოვრება და კაცსაც აქვს უკვდავი სული. წინდაწინვე ვიტყვით, რომ იგინი ყველაფერს ზღაპარს დაუძახებენ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგინი ყველაფერს ზღაპარს ეძახიან, რაც არ ეთანხმება მათს ვიწრო და ცალმხრივ შეხედულებას. თუ დასჭირდათ გამოჩენილ ისტორიულ პირსაც ზღაპრად გამოაცხადებენ, როგორც ამას მოქმედობს მათი მთავარი პაპა ბებელი.*

ჭეშმარიტი მეცნიერი კი არ უარჰყოფს ამ ფაქტს, არამედ ცდილობს შეიგნოს იგი, გამოიკვლიოს. ვინც ასე არ იქცევა, იგი არც მეცნიერია და არც გონიერი არსება და უარყოფა ამისთვის უმნიშვნელოა.

წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არ მოვიყვანთ მაგალითებს არც წმინდანების და არც სასულიერო პირთა ცხოვრებითგან, რომ არ იფიქრონ, განზრახ გამოგონილიაო...**

---

* იგულისხმებიან მარქსიზმის მიმდევრები და გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, *ავგუსტ ბებელი*, რომლის კრიტიკასაც ეძღვნება მღვდ. სიმონ მჭედლიძის წიგნაკი ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში (იხ. ქუთაისი, 1907).

** ამას მოსდევს „მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას“, ამ სათაურით შემდეგს ნომრებში გრძელდება სერია ასეთი მაგალითებისა.

## მოსე წინასწარმეტყველი და გომართელის იჭიბოჭია

### წერილი V (1908წ. № 5)

*„რაცა ეისა ღმერთმან მისცა, დასჯერდეს და მას უბნობდეს“* – რა ბედნიერი იქნება კაცობრიობა, რომ ყოველი კაცი ხელის გულზე დაიწერდეს ამ მარგალიტ სიტყვებს და ეცდებოდეს, განახორციელოს იგი ცხოვრებაში! რაღა სჯობია იმას, რომ კაცი მას ამბობდეს და მოქმედებდეს, რაც იცის, რის გაკეთებაც შეუძლია! რას ემგვანება ჩვენი ისედაც არეული წუთისოფელი, ყველა ექიმებმა რომ ერთბაშად ხარაზობა დაიწყონ და ხარაზებმა - ექიმობა, ან კიდევ - მასწავლებელმა მოსწავლეობა და მოსწავლემ მასწავლებლობა?! ჭეშმარიტად, აირევა ქვეყნიერება და არკი არეულიც მიტომ არ არის, რომ ყოველი კაცი თავის საქმეს გადაუდგა, თავის მოვალეობას გვერდი აუხვია?... ვაჭარმა თავის სავაჭრო დახლი მიატოვა და პოლიტიკოსობა დაიწყო, მილიონერმა — სოციალისტობა, მესაკუთრე გლეხმა - პროლეტარობა, ვერცხლის მოყვარემ — სანდონობა, მღვდელმა - მუნჯობა, ბალღმა - ქადაგება, ექიმმა - ღვთისმეტყველება... ერთი სიტყვით, „აირია მონასტერიო“, როგორც იტყვიან.

ამ არეულობაში გომართელმაც (როგორც ექიმმა) ღვთისმეტყველება დაიწყო და სწორედ იქიდგან, საიდგანაც უნდა დაეწყო: ე.ი. ბიბლიის პირველი წიგნიდგან, შექმნათა წიგნის პირველი თავიდგან! თუ თავიდგან ბოლო იცნობა, ბ-ნი გომართელი განადგურებას უნდა უპირებდეს მთელს საღვთო წერილს და მასთან ჩვენ, მორწმუნეთა იმედებსაც.

ბ-ნი გომართელი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მოსეს ღვთის ჩაგონებით კი არ უწერია თავისი წიგნები, არამედ გადმოუღია თანამედროვე განათლებულ ხალხებიდგან: ასირიიდგან და ბაბილონიდგან. ამის დასამტკიცებელ საბუთს იგი იმაში ჰპოვებს, რომ „დაბადების“ თქმულება ქვეყნის შექმნაზე, პირველ ადამიანის ცოდვით დაცემაზე, სჯულისდებაზე და წარღვნაზე ცნობილი იყო დიდი ხნით ადრე (რვაასი წლის წინეთ) მოსემდის. იგი იცოდა ბაბილონმა, საიდგანაც გადმოიღო მოსემო. თვით სახელი „იეღოვა“ ბაბილონითგან არის ნასესხებიო. მოსე განათლებული კაცი იყოვო, - ამბობს გომართელი - არ შეეძლო, არ სცოდნოდა ბაბილონის და ასსირიის კულტურაო. და ამ კულტურის გავლენის ქვეშ და არა ზეშთაგონებით დაწერა მან თავისი ხუთი წიგნიო. საიდგან იცის ბ-ნმა გომართელმა ესე ყოველი? ჩვენ დარწმუნებული ვართ, მას არ წაუკითხავს არა თუ სოლური წარწერები მეფე ასურბანიპალის ბიბლიოთეკისა, არამედ შექმნათა წიგნის პირველი თავიც კი. რომ წაეკითხა, ასე ადვილად არ აღიტაცებდა სიხარული და ცოტა დინჯად მოეკიდებოდა საქმეს. იგი დაჰფუძნებია უ. დელიჩის წიგნაკს „ბიბლია და ბაბილონი“, რომელიც უფრო მეტს ოცნებობს, ვიდრე მეცნიერობს და ამ

საფუძეელზე უკიჟინებს მოსეს, შენი ბიბლია ნასესხეეიაო. პირველი იერიში ბ-ნ გომართელს ათ მცნებაზე მიაქეს და ამბობს, ეს მცნებები სწერია ამმურაბის კანონებშიო, რომელიც რეაასი წლის წინეთ ცხოერობდა მოსეზეო. თუ გაეხარდება ბ-ნ გომართელს, ეიტყეით, რომ ეს მცნებები ამმურაბზედაც უხუცესია, იგინი კაცობრიობის ხნისანი არიან, რადგანაც თეით ადამიანის ბუნებას შეადგენენ. რომ ასე არ იყოს, არც მისი დაკანონება შეიძლებოდა. რადგან, თუ კანონი ადამიანის ბუნებას არ ეგუება, მისი აღსრულება შეუძლებელია. ამიტომ საქმე იმაში კი არ არის, ვინ ჩასწერა პირეელად ეს მცნებები, ამმურაბმა თუ მოსემ, არამედ იმაში, თუ ეინ დასდეა ეს კანონი კაცის ბუნებაში. მეორეს მხრით, უნდა ბოდიშის მოხდით მოეახსენოთ ბ-ნ გომართელს, რომ იგი ცოტა შემცდარი აზრისაა საღეთო განცხადებაზე ან ზეშთაგონებაზე. მას ჰგონია, რაც ზეშთაგონებულია, ე.ი. განცხადებული ღეთისაგან, უთუოდ ახალი, უცნობი, ორიგინალური უნდა იყოს, მაშინ, როდესაც საეკლესიო სწავლით სრულებით ასეთი თეისება არაა საჭირო, რომ რომელიმე დებულება ღეთისაგან გაცხადებულ ჭეშმარიტებად მიეიღოთ. რომ ისრაელების სარწმუნოება ღეთის გაცხადებულია, ეს სრულებით არ გვაიძულებს ჩვენ დაეიჟინოთ, რომ ყოველი დებულება ამ სარწმუნოებისა უცხოა ყეელა დანარჩენ სარწმუნოებათათეის და მიუწთომელია ბუნებითი განვითარების გზით, პაელე მოციქულის სიტყვით, წარმართთაც ძალუძთ „ქმნა სულიერისა", თუმცა სჯული არა აქეთ (რომ. 2,II). აგრეთეე, ცნობილი ეკლესიის მოძღერის სიტყეით, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ამიტომ წარმართთა სარწმუნოებაშიდაც შესაძლებელია იყოს ისეთი შეხედულება და კანონები, რომლებიც ჰგეანან ჭეშმარიტი სარწმუნოების კანონებს აზრით და მიმართულებით. მსხეერპლშეწირეა, მარხეა, ლოცეა, დღესასწაულები, ქურუმთა დაწესებულება, ყოეელიეე ეს ამა თუ იმ ფორმით იყო წარმართთა შორისაც და წარმოიშეა ადამიანის სულის თანშობილ მოთხოენილებათა ნიადაგზე. მაგრამ ყოეელიეე ამან მხოლოდ ისრაელებს შორის მიიღო საღმრთო დაკანონება, განიწმიდა განცხადებული სჯულის მეოხებით სხვადასხეა ბლაპრებისაგან და შეუთანხმდა სალმთო განგების მიზანს შესახებ ჩეენის გამოხსნისა. მცნებები: „არა კაც ჰკლა", „არა იპარო", და სხე. ცნობილი იყენენ სხეა ხალხთა შორისაც, გარდა ებრაელებისა, ცნობილი იყენენ დიდი ხნის წინეთ სინას სჯულისდებამდისინ. გარნა ჩეენ ეუწოდებთ მათ ღვთით განცხადებულ მცნებებად იმიტომ, რომ სინას მთაზე ღმერთმა გახადა იგინი სავალდებულოდ აღრჩეული ხალხისათეის. ამიტომ შესაძლეპელია ამმურაბის კანონებს რაიმე მსგავსება ჰქონდესთ მოსეს მიერ განცხადებულ სჯულთან, მაგრამ ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს

რწმენას შესახებ იმისა, რომ ძველი აღთქმის სარწმუნოება განცხადებული ხასიათისაა, ღვთივგანცხადებულია.

ამნაირად აღვიარებთ ჩვენ საღვთო განცხადებას და არა იმნაირად, როგორც ბ-ნ გომართელს ჰგონებია, ვითომც, რაც ღმერთმა თქვა, ან განაცხადა, ყველაფერი უცნობი უნდა იყოსო. ამის შემდეგ რაღა გასავალი აქვს გომართელის იჭიბოჭიას? საღვთო განცხადების ხასიათი მაშინ დაეკარგება ძველი აღთქმის სარწმუნოებას, თუ ბ. გომართელი დაგვიმტკიცებს, რომ სინას მთაზე მომხდარი ამბავი ზღაპარია და არა ნამდვილად მომხდარი ფაქტი. და, აი, სწორედ აქედგან უნდა დაეწყო ბ. გომართელს თავისი იჭიბოჭია და არა იქიდგან, საიდგანაც იწყებს.

მეორე იერიში ბ. გომართელს მოაქვს მოსეს თქმულებაზე შესახებ ქვეყნიერების გაჩენისა იმ იმედით, რომ ასეთივე თქმულება აღმოაჩინა ბ. დელიჩმა ასურბანიპალის ბიბლიოთეკაში. მოვიყვანთ ამ თქმულებას ისე, როგორც აღწერილია ასურბანიპალის ბიბლიოთეკის სოლურ წარწერებში და მივანდობთ მკითხველებს, შეადარონ იგი მოსეს თქმულებას.

## მოსე წინასწარმეტყველი და გომართელის იჭიბოჭია

### წერილი VI (1908წ, №6)

ბაბილონის მითი (ზღაპარი) ქვეყნის გაჩენაზე კაი ხანია ცნობილია მეცნიერებში. სოლური წარწერების აღმოჩენამდის იგი ცნობილი იყო იმ ფორმით, როგორც გადმოგვცემს ბეროზი (ბეროზი იყო ქურუმი, რომელიც მესამე საუკუნეში ცხოვრობდა ქრისტეს წინ). ამ მითის შინაარსი შემდეგია: „პირველად, გარდა ღმერთისა, იყო ქაოსი და უსინათლო წყლის სივრცე (მასსა). ქაოსიდან გაჩნდნენ თავისთავად სხვადასხვა ცოცხალი არსებები: ფრთებიანი ადამიანები, ორთავიანი ცხენ-ხარები, კაცისთავიანი ხარები, თევზები და სხვ. ქაოსის მფლობელი იყო ქალი, სახელად ომორკა, ქალდეურად თამტე. მას წინაღუდგა ღმერთი ბელი, რომელმაც გაჰკვეთა ქალი ორ ნაწილად და ერთი ნაწილისაგან შექმნა ცა და მეორისაგან - დედამიწა. ამ დროს დაიხოცენ ქაოსის ყველა ცხოველები. შემდეგ ამისა ღმერთებმა აურიეს ერთმანეთში ბელის სისხლი და მიწა და შექმნეს ცხოველები და ადამიანები, ხოლო თვით ბელმა შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები". ეს მოკლე და გაუგებარი მითი ბეროზისა ეხლა შევსებული ახალი ცნობებით, რომლებიც აღმოაჩინეს ასურბანიპალის წიგნთსაცავში, ეკუთვნის მეშვიდე საუკუნეს. პირველად, როგორც ჩანს, ამ მითს ეჭირა შვიდი თიხის ფიცარი, რომელთაგან უვნებლად შენახულა მესამე და მეოთხე, სხვებისა კი მხოლოდ ნამსხვრევებია შემონახული, რომელთა აზრი ბევრგან გაუგებარია.

ამ მიის ბაბილონის ენაზე ეწოდება „ენუმაელის“ და იწყება ქვეყნის მდგომარეობის აღწერით, სანამ ცა და დედამიწა გაჩნდებოდა. ეს მდგომარეობა წარმოდგენილია, როგორც წყლის ქაოსი, რომელსაც შეადგენს ორი არსება: მამრი - აფსუ და მდედრი - ტიამატი. პირველი მოქმედება ამ ქაოსისა იყო ღმერთების გაჩენა: „როდესაც ზეცით ცას არ ერქვა სახელი და ქვეშ მიწას არ ჰქონდა არავითარი სახელი, როცა აფსუ, პირველი ყოველთა შორის, მშობელი მათი, და მუმუ-ტიამატი - დედა ყოველთა, ურევდნენ თავის წყლებს ერთმანეთში, როცა არც მინდორი იყო ჯერ შექმნილი და არც ლერწამი ჩანდა, როცა არცერთი ღმერთი ჯერ არ გაჩენილიყო, არაფერი სახელი არ იყო, არაფერი ხვედრი არ იყო განსაზღვრული, მაშინ შეიქმნენ ღმერთები: ლახმუ და ლახამუ წარმოიშვნენ. როცა ესენი დაიზარდნენ, შეიქმნენ ანსარი და კისარი. შემდეგ დღე დღეს მისდევდა...“ შენახული მოთხრობის შემდეგი ნაწილი იწყება აფსუს და ტიამატის მუსაიფით, რომელიც წარმოადგენს ტიამატის აჯანყების გეგმას მისგან წარმომდგარი ღმერთების წინააღმდეგ. პირველი ფიცრის ბოლოში აღწერილია თვით აჯანყება ტიამატისა. ტიამატს გადმოჰყავს თავის მხარეზე ზოგიერთი ღმერთები, შემდეგ მათი შემწეობით აჩენს ვეებერთელა გველებს, დრაკონებს, ხელიკებს, ცოფიან ძაღლებს, საზოგადოდ - თერთმეტნაირ ცხოველებს, რომლებიც უნდა მოხმარებოდნენ მას ბრძოლაში. ამ ჯარის მთავარსარდლად ტიამატი ნიშნავს მძვინვარე კინგუს და მისი ღირსების გარეგან ნიშნად აძლევს მას ტუპასიმატს - საბედისწერო ცხრილს და ეუბნება: „შენი ბრძანება არ შეიცვლება, სიტყვანი პირისა შენისა - მტკიცე“.

ფიცრები – II, III, და IV აგვიწერენ, თუ როგორ ემზადებიან ღმერთები ტიამატისაგან თავის დასაცავად. გაიგო თუ არა ღმერთების დიდედის, ტიამატის განზრახვა, ანსარმა მოიწვია ჯერ ანუ, შემდეგ განლილ-ბელა, რომ შებრძოლებოდნენ ტიამატს. როდესაც ამათმა მოუცლელობის გამო უარი განაცხადეს, ანსარმა მოიწვია მარდუკი. მარდუკი დაჰპირდა ტიამატის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ იმ პირობით კი, თუ გაიმარჯვებდა, იგი უნდა ყოფილიყო პირველი ღმერთთა შორის და უმეტეს, მის ხელში უნდა ყოფილიყო ბედისწერა. მაშინ ანსარმა მოუწოდა ყველა ღმერთებს და მისცა წინადადება აერჩიათ მარდუკი ტიამატის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეგროვილი ღმერთები ირევიან ანსარის სასახლეში, სხდებიან საჭმელად, ძღებიან სხვადასხვა სანოვაგით, თვრებიან ტკბილი ღვინით და შემდეგ ერთხმად ირჩევენ მარდუკს თავის მაგიერ შურისმაძიებლად. ამასთანავე, მარდუკი აღიარეს ღმერთებმა მეფედ და უმაღლეს ზეციურ ღმერთად. თავისი ძლიერების დასამტკიცებლად მარდუკმა ღმერთების წინშე სასწაულიც მოახდინა: გააქრო თავის ტანისამოსი და ხელმეორედ შექმნა იგი.

მეოთხე ფიცრის გაგრძელება დაწერილებით მოგვეითხრობს მარდუკის ტიამატთან საბრძოლველად მომზადებას. მარდუკმა გაიკეთა შეილდი, ისარი და ისრის ბუდე, აიღო მარჯვენა ხელში „იარაღი ღმერთებისა", პირზე ელვა ჩაიცვა, ხოლო სხეული გაიესო მწვავე ალით, გააკეთა აგრეთვე ბადე, რომ ტიამატი გაეხვია შიგ. შემდეგ გაიჩინა თანაშემწედ შვიდი ქარი, აღიჭურვა თავის უმთავრესი იარაღით – აბუბუთი – ნათლით, ჩაჯდა ეტლში და გავიდა საბრძოლველად. დაინახეს თუ არა მარდუკის მრისხანე სახე, კინგუ და ტიამატის სხვა მომხრე ღმერთები შეშინდნენ. ხოლო თვით ტიამატი არ შეშინებულა და მიმართა მარდუკს ლანძღვა-გინებით. მარდუკმაც ამნაირივე სიტყვებით უპასუხა, რომელშიდაც უსაყვედურებდა ვერაგულ აჯანყებას. „გამობრძანდი და შევეტაკოთ" – უთხრა უკანასკნელად მარდუკმა. როცა ბრძოლა დაიწყო, მარდუკმა სწრაფი მოძრაობით გადააფარა ბადე ტიამატს და მიუსია მას ერთი შვიდ ქართაგანი. გრიგალი ჩაუვარდა ტიამატს გაღებულ პირში, ასე რომ პირის დამუწვა ვეღარ მოახერხა. მაშინ ღმერთმა დასცა ტიამატს ლახვარი, გაუფატრა მუცელი, გაუხერიტა გული, დასცა ძირს და ფეხით შესდგა მის სხეულზე. ამის შემდეგ დახოცილ იქნენ ყველა ის საშიშარი მხეცები, რომლებიც შეადგენდნენ ტიამატის ჯარს, ხოლო კინგუს მარდუკმა წაართვა „საბედისწერო ცხრილები" და თვითონ დაიკიდა გულზე. შემდეგ მიუბრუნდა ძლეულ ტიამატს, შესდგა ფეხით მის სხეულს, გაუპო მას თავის ქალის ზემო ნაწილი „ღმერთების იარაღით", დაუჭრა სისხლით სავსე ძარღვები და უბრძანა ჩრდილოეთის ქარს წაეღო იგი მიუდგომელ ადგილებში. მაშინ ღმერთებმა, მარდუკის ძმებმა, გაიხარეს და მიართვეს მას ძღვენი. გამარჯვებულმა ღმერთმა კი დაიწყო ქვეყნიერების გაჩენა ტიამატის სხეულისგან.

სოლური წერილები ასე მოგვეითხრობენ ამ ამბავს: „ბელი დამშვიდდა, როცა დაინახა ტიამატის მძორი. მან მოიფიქრა, შეექმნა რაღაც ხელოვნური. გააკვეთა ტიამატი ორ ნაწილად, აიღო ერთი ნახევარი, გააჩინა ცის კამარა, დაკეტა იგი ურდულით, დააყენა მცველები და უბრძანა, არ მოეშვათ მისი წყლები (მსგავსად) ცისა. მან დაამაგრა ქვეშეთი – ქვეყანა და წინააღუდგინა ოკეანე გუვიმმუდის საცხოვრებელ ბინას. შემდეგ მარდუკმა გაზომა ოკეანის ფორმა და გააკეთა მსგავსივე სასახლე ესარისაი. ამ ესარის სასახლეში, რომელიც მან მოაწყო როგორც ცა, ნება მისცა ეცხოვრა ანუს, ბელს და ეას, როგორც საკუთარ ქალაქში.

მეხუთე ფიცარი მოგვეითხრობს მნათობების შექმნაზე. მაგრამ ეს ფიცარი ისე გახლავთ შენახული, რომ მის შინაარსზე არ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „მან (მარდუკმა) გააკეთა ღმერთების დიდი სამყოფელი, როგორც ვარსკვლავები, მათი მსგავსი, და-

ადგინა კრებული ზოდიაქოსი. მან დანიშნა წელიწადი, დაადგინა (ყველა ვარსკვლავები). დაჰარსა თორმეტი თვე ვარსკვლავებით; როცა მან (აღნიშნა ვარსკვლავის სახით წელიწადის დღეები, გააკეთა სამყოფელი იუპიტერისა, მათი (ვარსკვლავების) საზღვრის საჩვენებლად, რომ ერთი მათგანიც გზას არ დასცდეს და ხეტიალი არ დაიწყოს. მასთან ერთად (იუპიტერის სამყოფელთან) დაამყარა სამყოფელი ბელისა და ეასი. ამის შემდეგ მან ორის მხრივ გააღო (ცის) კარი, მკვიდრად გაამაგრა ურდული მარჯვნივ და მარცხნივ. ცის შუაგულში მან დასვა ზენიტი (უმაღლესი წერტილი). მან უბრძანა მთვარეს ნათება და დაუმორჩილა მას ღამე. დანიშნა იგი ღამის მნათობად, დროის მაჩვენებლად. (იმან შექმნა იგი ისე, რომ) ყოველ თვეში ყოფილიყო სავსე. (მან უთხრა): „თვის დამდეგს, როცა საღამო დადგება, ანათე რქებით, რომ აღნიშნო ცაო".

მეხუთე ფიცრის დანარჩენი ნაწილი შეიცავს რამდენიმე გაფუჭებულ სტრიქონს, რომლებიც მოგვეითხრობენ მთვარის ფაზებზე (ცვლილებებზე) და ამით თავდება შემონახული ნაწერი. რაც შეეხება დანარჩენ ორ ფიცარს, მათგან შემონახულია მცირე ნამტვრევები, რომლებიც მოგვეითხრობენ ცხოველების და ადამიანების შექმნაზე.

მეექვსე ფიცრის დასაწყისში ვკითხულობთ: „როცა მარდუკი ისმენდა ღმერთების სიტყვას, მაშინ მოუვიდა აზრად რაღაც ხელოვნურის შექმნა. მან გააღო პირი და დაუწყო ლაპარაკი ეას. მან უთხრა მას ყველაფერი, რაც გულში ჰქონდა: „მე მინდა შევკრიბო სისხლი, მე მინდა... ძვლები, მინდა დავაყენო კაცი, რომ მან დაასახლოს (ქვეყანა?), დაევალოს მას ღმერთების მსახურება, ხოლო ესენი (ღმერთები) ცხოვრობდნენ თავის სასახლეში". მცენარეების შექმნას მოგვეითხრობს მეშვიდე ფიცარი.

ამ მითის ნაკლს ავსებენ სხვადასხვა ძველი ბაბილონური ნაწერები და თქმულებები. ამ თქმულებათაგან საპატიო ადგილი უჭირავს ერთ შემაჩვენებელ ლოცვას, რომელიც წარმოადგენს მოკლე მოთხრობას ქვეყნის გაჩენაზე. ეს მოთხრობა განირჩევა ზემომოყვანილისაგან და შეადგენს მის დამატებას. დრო ქვეყნის შექმნისა განსაზღვრულია საგნების და ადგილების ჩვენებით, რომლებიც არ იყვნენ ქვეყნის შექმნამდის. პირველყოფილი მდგომარეობა ქვეყნიერებისა წარმოდგენილია ზღვად ან ქაოსად. მთელი დედამიწა იყო ზღვა. ქვეყნიერების შექმნა, რომელსაც წინაუსწრობს ღმერთების გაჩენა, ემისება მარდუკს და მისი შემოქმედებითი ძალა ასეა აღწერილი: „მარდუკმა დაამყარა ლელწამი ზღვაზე, შექმნა მტვერი და მიაყარა ლელწამს გარშემო. ღმერთებს რომ თავის საყვარელ ადგილებში ეცხოვრათ, შექმნა ადამიანები. ღმერთქალმა არურუმ მასთან ერთად გააჩინა ადამიანების თესლი. მან შექმნა პირუტყვნი ველისა, ცოცხალი არ-

სება ქვეყანაზე. მან გააჩინა ტიგროსი და ეეფრატი თაც-თაეის ადგილებზე და დაარქვა მათ სახელები. ლელწამი, ჭილი და ტყე შექმნა მან. შექმნა მან მწვანეილი ველისა, ველი, ლელწამი ჭილი, გარეული ძროხა თაეისი ხბოთი, ახალგაზრდა გარეული ირემი, ცხვარი თაეის კრავით, ჭალები და ტყე. ამ თქმულების ბოლოში, რომელიც ძალიან ცუდად შენახულა, მარდუკს ემისება ზღვაზე ეერფის გაჩენა, აგურის შენობების აგება და გაშენება ქალაქების ნიპპურასი და ეანასი (იხ. „Библия и Вавилон", 44).

აი ის, ასურბანიპალის წიგნთსაცავში დაბუდებული ზღაპარი, რომელიც ბ. გომართელის აზრით, საფუძელად დაედო მოსეს თქმულებას ქვეყნის შექმნაზე. როგორც ხედავს მკითხველი, ამ თქმულებაში სრულებით არაფერია ნათქვამი შესახებ იმისა, რომ ღმერთმა (?!) შექმნა ექვსი დღის განმავლობაში ცა და ქვეყანა, ნათელი მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მცენარეები და ცხოველები, ხოლო მეექვსე დღეს გააჩინა კაცი თიხისაგან. მეშვიდე დღეს ღმერთმან განისვენა და ამ დღეს უწოდა შაბათიო, როგორც გადმოგვეცემს გომართელი. განა ცხადზე უცხადესი არ არის, აქედგან, რომ გომართელს არ წაუკითხავს ზემოთმოყვანილი თქმულება და მის ნაცვლად იმას მოგვითხრობს, რაც შკოლაში გაუგონია ქვეყნიერების შექმნაზე „ზაკონოუჩიტელისაგან"? ვისაც შექმნათა წიგნის პირველი თავი წაუკითხავს, უსაცილოდ დამეთანხმება, რომ ამ ორ თქმულებათა შორის არ არის არავითარი დამოკიდებულება და ამ დაბნეულ მოთხრობითგან ვერ გამოიყვანდა ვერავითარ განსაზღვრულ სწავლას ქვეყნის შექმნაზე არა თუ მოსე, არამედ თვით დელიჩიც და მთელი გუნდი ნემეც ასირიოლოგებისა.

თუ მართლა რამე მსგავსების ნიშან-წყალია ამ მითსა და მოსეს თქმულებაში, ეს, უნდა ვიფიქროთ, იმისი ბრალი კი არ არის, რომ მოსემ გადმოიღო ბაბილონითგან თავისი თქმულება, არამედ იმისა, რომ ჭეშმარიტი გადმოცემა ქვეყნის შექმნაზე გაზღაპრებულია წარმართთა შორის, ხოლო ებრაელთა შორის ზეგანცხადების მეოხებით უცვლელად შენახულა.

ბ. გომართელი ბაბილონის და ასირიის კულტურას გაცილებით მაღლა აყენებს ებრაელებისაზე და რანაირად მოხდა, რომ კულტურულად ჩამორჩენილმა ხალხმა ისარგებლა მისი (ბაბილონის) თქმულებით ქვეყნის გაჩენაზე და იმდენად მაღალი თქმულება შექმნა მის ნიადაგზე, რომ მას ვერ შეედრება არა თუ პირველსახე - ბაბილონის თქმულება, არამედ ბევრი სხვა, ჩვენი თანამედროვე მატერიალისტური თქმულებანი ამავე საგანზე, თუნდ, მაგალითად, გომართელის თქმულებაც მზისა და მისი ციაგების დედაშვილურ კავშირზე (იხ. „შინ. საქ.", № 1).

განვითარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ერს უფრო უნდა დაემახინჯებია ეს მართლა მახინჯი თქმულება და არა ასე გაეკეთილშობილებია, რო-

გორც არის შექმნათა წიგნის თქმულება. მაღალი სწავლა ერთ ღმერთზე, რომელიც თავითგან ბოლომდე გატარებულია მოსეს თქმულებაში, ძალიან შორს სტოვებს ბაბილონის თქმულებას. და სწორედ ეს სწავლა გამოაჩინებს ებრაელების სარწმუნოების ზეგანცხადებულებას: მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო კერპთაყვანისცემის უფსკრულში იყო ჩაფლული, ებრაელებს მაღლა ეჭირათ დროშა ღეთაებრიობისა. ბერძნები ჩვენი ხანის პირველი საუკუნისა, მიუხედაეად თავისი მაღალი კულტურისა, კიდევ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და მხოლოდ ეძიებდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, რომლის სამსხვერპლოს ეწერა: „უცნობ ღმერთს", ხოლო ებრაელები მოსეს დროისა ერთ ღვთაებას აღიარებდნენ. ჰგავს, ებრაელების სარწმუნოება სწავლა-განათლებისა და, საზოგადოდ, კულტურის საქმე არ ყოფილა!..

ნეტა, თუ გაგიწევიათ როდისმე ანგარიში ამ ფაქტისთვის, გომართელო?!

ესეც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბაბილონმა თავისი კულტურის სიმაღლიდგან ვერ ისარგებლა ებრაელების სარწმუნოებით, უკანასკნელების სამოცდაათი წლის ტყვეობის დროს და მითი მარდუკზე და ტიამათზე ობოლი მარგალიტივით ხელში შერჩა და ჩვენამდის მოაღწია თქვენი და დელიჩის გონების ასანგრევად!

## მოსე წინასწარმეტყველი და ივანე გომართელის იჭიბოჭია

### წერილი VII (1908წ. №8)

მესამე იერიში ბ. გომართელს იმ თქმულებაზე მოაქვს, რომელიც აგვიწერს პირველ კაცთა ცოდვით დაცემას. ერთი თიხის ფიცარზე, რომელიც ეკუთვნის იმ დროს, როდესაც მოსე ჯერ დაბადებულიც არ იყო და, რომელიც ეხლა ბერლინის მუზეუმში ინახება, გამოხატულია ცოდვით დაცემა პირველ მშობელთა. „ფიცრის შუაგულზე დახატულია ხე ორი ნაყოფით. მარჯვენით დგას კაცი, მარცხნით - ქალი, ხოლო ქალის უკან - გველი. აქედგან სჩანსო, განმარტავს გომართელი, რომ ცოდვით დაცემა, რომელზედაც მოგვითხრობს მოსე, განცხადების ნაყოფი კი არ არის, არამედ უბრალო გადმოღებააო". მკითხველს ვთხოვთ, მტკიცედ იდგეს იმ განმარტებაზე, რომელიც ჩვენ მიეეცით სიტყვას „განცხადება". ჩვენ ვსთქვით, და ვიმეორებთ ხაზგასმით, რომ **საღვთო განცხადება** არ მოითხოვს განცხადებული საგნის სიახლეს, ცოდვით დაცემა ისტორიული ფაქტია და ეს ფაქტი ცნობილი იყო ქვეყანაზე პირველი კაციდან დაწყებული და, რანაირად შეიძლებოდა განეცხადებია ეს ღმერთს, როგორც ახალი და უცნობი რამ? განცხადებულად მიტომ ვუწოდებთ ამ თქმულებას და სხვა ისტორიულ ფაქტებსაც, რომელნიც აღწერილნია ბიბლიაში, რომ იგი ღვთის ზეშთაგონებით ან ღვთის შეწევ-

ხით ისეა აღწერილი, როგორც მოხდა და არა ისე, როგორც მოგვითხრობენ სხვადასხვა ზღაპრები და, მათ შორის, ბაბილონის მითებიც.

ასეც რომ არ იყოს, ეს სურათი მაინც არ შეიძლება იყოს პირველშობელთა ცოდვით დაცემის გამოხატულება. ამ აზრისანი არიან მთელი გუნდი მეცნიერთა, რომელთაც ყურადღება მიუქცევიათ მისთვის. მაგ. ოპპერი, მენანი, შრედერი, გალევი, დილლმანი, იენსენი, ბუდდე, გოლცინგერი, კენიგი, ნიკელი და სხვანი მრავალნი. თვით სურათი ისეთი მარტივი არ გახლავთ, როგორც გადმოგვცემს ბ. გომართელი. ფიცარზე გამოხატულია კაცის მსგავსი ორი არსება. მარჯვნივ მდგომს რქები ასხია, ხოლო მარცხნივ მდგომს რაღაც უნდა ეხვიოს თავზე. ორივეს კი გრძელი ტანისამოსი აცვია. გომართელის სიტყვით, ერთი მათგანი უნდა იყოს ქალი, მეორე კაცი. სახელდობრ, მარჯვნივ კაცი და მარცხნივ - ქალი. რანაირად სცნობს ამ სქესებს ბ. გომართელი სურათზე, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ გვაკვირვებს რქებიანი კაცი. მაგრამ ეს უთუოდ იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ ადამიანი რქიანი ცხოველიდგან განვითარდა... ის გამოხატულება ამ სურათზე, რომელსაც გომართელი და დელიჩი გველს ეძახიან, იმდენად გაუგებარია, რომ მაგ. გალევის, ტილეს და იენსენის აზრით იგი უბრალო დაკლაკნილი ხაზია, რომელსაც ორნამენტის მნიშვნელობა აქვს. ტილე იმ აზრისაა, რომ ეს სურათი წარმოადგენს ჩვეულებრივ სცენას ბაბილონის სარწმუნოებრივი ცხოვრებიდგან: უთუოდ დახატულია რომელიმე ღმერთი და მისი თაყვანისმცემელი კაცი.

ასე სჯიან ამ სურათის შესახებ ის მეცნიერები, რომლებსაც ყურადღება მიუქცევიათ და შეუსწავლიათ იგი.

მეოთხე იერიში გომართელს წარღვნის თქმულებაზე მოაქვს და ამბობს, ესეც ნასესხევიაო, რადგან სარდანაპალის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ასეთივე თქმულებაო. დიაღ, ბ-ნო გომართელო, აღმოჩნდა და კიდევაც უნდა აღმოჩენილიყო, მიტომ რომ წარღვნა გახლდათ ისტორიული ფაქტი და ეს ფაქტი გაზღაპრებული დარჩა კაცობრიობაში, ხოლო მოსეს წიგნში სულიწმიდის ძალით მან მიიღო თავისი პირველსახე: განცხადებულიც არის მიტომ მოსეს თქმულება, რომ იგი განწმენდილია ზღაპრული ელემენტებიდგან.

მაგრამ მოვიყვანოთ სავსებით ეს თქმულება, როგორც იგი აღწერილია სარდანაპალის (თუ ასურბანიპალის?) ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ფიცარზე. „სოლური თქმულება წარღვნაზე აღმოაჩინა პირველად 1872 წელს ინგლისელმა ასიროოლოგმა ჯ. სმიტმა ასურბანიპალის ნინევიის წიგნთსაცავში. ეს თქმულება შეადგენს ნაწილს პოემისას გილგამეშზე ან იზდუბარზე და უპყრია ამ პოემის მეთერთმეტე ფიცარი. ეს პოემა დიდი თხზულებაა, რომელიც შედგება 12 შაირისგან და უპყრია ათას სტრიქონამდის. პოემის შინაარსი მოგვითხრობს ქ. ერეხის (ურუქი) მეფის, გილგამეშის ან იზდუბარის

გმირობაზე. ამ გმირობამ მოუპოვა გილგამეშს ყურადღება ღმერთქალის ისტარისა (იშთარისა), რომელმაც მოინდომა მისი ცოლად გაყოლა. იზდუბარმა არა თუ უარი უთხრა, არამედ გალანძღა კიდეც იგი. მაშინ განრისხებულმა ღმერთქალმა გადაწყვიტა სასტიკი შურისძიება. ჯერ მან საშიშარი ხარი მოუვლინა ქალაქ ერეხს, შემდეგ მოუკლა გილგამეშს მისი საყვარელი მეგობარი და, უკანასკნელ, თვით დასაჯა კეთროვნებით. დაწუხებული და ვნებული გმირი წაიდა რჩევის საკითხავად ერთ ბრძენ კაცთან, რომელსაც სახელად უსტნაპისტიმი (უთანაფიშთი) ერქვა. გილგამეშმა სძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და დიდიხნის მოგზაურობის შემდეგ მივიდა ბრძენთან. გილგამეშმა რჩევა სთხოვა უსტნაპისტიმს (უთანაფიშთს) და, ამსთანავე, გამოჰკითხა, თუ საიდან მოხვდა იგი შორეულ მხარეში და ღმერთების კრებაში. ამის პასუხად უსტნაპისტიმმა უამბო მას ისტორია წარღვნისა, რომელსაც ის სასწაულებრივ გადაურჩა ღმერთის, ეას მეოხებით. „მე განგიცხადებ შენ, - უთხრა მან - საიდუმლოებას, მოგითხრობ შენ ღმერთების გადაწყვეტილებას. შენ იცი ქალაქი სურრიპაკი, რომელიც მდებარეობს მდინარე ევფრატზე, ქალაქი ძველი. იქ ღმერთებს მოუვიდათ აზრად წყლის წარღვნა. ყველა დიდებული ღმერთი ბჭობდა. მშობელი მათი ღმერთი - ანუ, მათი მრჩეველი, მრისხანე ბელი, მათი სული გამანადგურებელი, ღმერთი ნაბიძი, მხედართმთავარი მათი, ღმერთი ნერგალი, მფლობელი ქვესკნელისა, გარდა გამოუთარგმანებელის სიბრძნისა, ღმერთი ეა, იჯდა მათთან (და ყურს უგდებდა) და განუცხადა მათი განზრახვა ლელწმის ქოხებს: „ქოხო, ლელწმისაო, სასახლეო, სასახლეო აგურისაო ისმინე, ქოხო, ისმინე, სასასლეო!“ (აზრი უთუოდ ის არის, რომ ღმერთების განჩინება ეცხადება ყველას - მდიდარსაც და ღარიბსაც). „სურიპაკიტო, შვილო ურუბტუტუსაო! მოსჭერი სახლი, გააკეთე ხომალდი, დაუტევე მამული, დაიცვე სიცოცხლე! დაუტევე სიკეთე, შეინახე სიცოცხლე! შეიყვანე ხომალდში ყოველგვარი ცხოველის თესლი! ხომალდი იყოს გრძელი, ერთნაირი სიგრძისა იყოს და სიღრმის...“ უსტნაპისტიმის (უთანაფიშთის) შეკითხვაზე, თუ როგორ აუხსნას მცხოვრებლებს ქალაქიდან გასვლა, ეამ უპასუხა: „ასე უთხარი მათ: ბედმა უარმყო მე და შემიძულა. ამიტომ მე არ შემიძლია დავრჩე თქვენს ქალაქში, მე არ მეცხოვრება ბელის ადგილზე. მე ჩავალ ზღვაში და ვიცხოვრებ ჩემს მეუფე ეასთან. თქვენზე კი გადმოისხმის წარღვნა წყლითა. (ხალხი), პირუტყვნი, ფრინველნი მოსწყდებიან, თევზები...“ შემდეგ, რამოდენიმე გაურჩეველ სტრიქონს დაბლა მოთხრობილია ხომალდის აშენება: „მეხუთე დღეს დავიწყე ხომალდის შენება და ავაშენე ასოცი ნახევარწყრთა სიმაღლით; ერდოსაც, რამდენი ჰქონდა სივრცე, გავუკეთე მას ცხვირი და მაგრად შევკარი. ხომალდი ავაშენე სამსართულიანი, თვითეული სართული დავყავი ცხრა-ცხრა

განყოფილებად და ყეელგან დაეუცეე რიკები. მოეიპოეე ანძი და ყველაფერი, რაც საჭირო იყო. სამი საწყაული მიწის კუპრი ვიხმარე კედლების გასაფისაეად. ექესი საწყა·ული ნაეთი შეეიტანე ხომალდში, მუშებმა შემოიტანეს სამი საწყაული ზეთი. ერთი საწყაული შევინახე სამსხეერპლოდ, ხოლო ორი საწყაული ხომალდზე მოსამსახურემ დაურიგა. მე დაეკალი საჭმელად ხარები... დიდი ჭურები თაფლით... ზეთით და ღეინით... როგორც საახალწლოდ... ხომალდი დაეასრულე." უსტნაპისტიმმა შეიტანა ხომალდში მთელი თავისი ქონება და შეიყვანა ყოველგვარი ცოცხალი არსება, მთელი ოჯახობა მოსამსახ·ურეებით. „პირუტყვნი ველისანი და მხეცნი, და აგრეთვე ხელოსნები". „მე შეეედი ხომალდში -განაგრძო ბრძენმა - და დაეხურე კარი. მოსამსახურეს - პუზურშადურაგს ჩავაბარე ეს დიდი სახლი მთელი თავისი ბარგით, და, აი გაჩნდა პირველი სხივი ცისკრისა, შავი ღრუბლები მოეფინენ ცის კამარას და რამონმა დაიქუხა მთაში. ხოლო ნაბუ და მარდუკი წამოდგენ და წინ მომსვლელი ს·ულები ეიდოდენ მთებზე და სახლებზე. ურუგალმა გამოუშვა ქარიშხალი, აედარი მოდის და ყველაფერს ანადგურებს. ანუნაკებს მოაქვთ ლამპრები და ანათებენ დედამიწას. მი·უხედავად ამისა, რამმონი ქარიშხლით იღებს მტვერს და აბნელებს სინათლეს." წარღვნის საშინელებამ თვით ღმერთებიც შეაშინა. „იგინი ანუ ღმერთთან იმალებიან. როგორც ძაღლები თავის ქოხში, ღმერთები ისე იხრუკებიან ცის მოაჯირთან. მწუხარების გამო იშთარი ხმამაღლა ღაღადებს... მასთან ღმერთებიც ატირდნენ. იგინი ისხდნენ მწუხარედ, თავჩაქინდრულნი, უძრავნი. მათი ბაგე მაგრად იყო მოკუმული". ბაბილონური თქმ·ულებით წარღვნა გაგრძელდა ექვს დღეს და ექვს ღამეს. ხოლო მეშვიდე ღამეს ალიონიდგან ქარიშხალი დასცხრა და წყალი აღარ ღელავდა. უტნაპისტიმის ხომალდი გაჩერდა ნახარის მთაზე და იდგა იქ ექვსი დღე. „მეშვიდე დღეს, ალიონზე — თქვა ბრძენმა: — „მე გამოვ·უშვი მტრედი. მტრედი მიფრინავდა და მიფრინავდა და, რადგან ვერსად მოისვენა, დაბრუნდა. მაშინ გავუშვი მერცხალი. მერცხალმაც იფრინა და, რადგან ვერსად მოისვენა, მობრუნდა. მაშინ მე ყვავი გამოვუშვი. ყვავი გაფრინდა და, რადგან წყალი დაკლებ·ული ნახა, დაიწყო ჭამა და არ დაბრუნებულა. მაშინ მე გამოვუშვი ყოველი ცხოველი და შევწირე მსხვერპლი. მე ავაგე სამსხვერპლო მთის წვერზე, გავამწკრივე საღვთო ჭურჭელი, შვიდშვიდი თითოეულ მწკრივში, ჩავდევი მათში ნაძვის ნაფოტები და სხვა საკმეველები - ღმერთებმა იყნოსეს კეთილს·ურნელება, ღმერთებმა იყნოსეს სასიამოვნო კეთილს·ურნელება, როგორც ბუზები, ისე შეგროვდნენ მსხვერპლის შემწირველის გარშემო. როცა მოვიდა ღმერთქალი იშთარი, მოიხსნა თავისი მანიაკი, რომელიც მისი სურვილისამებრ გააკეთა ღმერთმა ანუმ. „თქვენ, ღმერთებო, - თქვა მან - ვფიცავ ჩემს მანიაკს, მე არ დავივიწყებ ამ

ღღეებს, მესხომება იგინი. დაე, ყეელა ღმერთები მოეიდნენ სამსხეერპლოზე, ხოლო ბელმა (ენლილი) არ გაბედოს მოსელა, რადგან იმან უგუნურად მოაელინა წარღენა და წარწყმიდა ჩემი ხალხი". შემდეგ, როცა ბელი მოეიდა და დაინახა ხომალდი, განრისხდა და აღიესო გულისწყრომით იგაგის წინააღმდეგ. „ვინ არიან ეს ცოცხალი არსებანი, რომ გადარჩენილან? ერთი კაციც რომ არ დარჩეს ცოცხალი!" მაშინ ღმერთმა ნაბიბმა განაღო პირი და უთხრა ბელს: „შენ ძლიერი წინამძღვარი ხარ ღმერთებისა, მაგრამ, როგორ მოგიეიდა, ასე უგუნურად რომ მოიქეცი და წარღენა მოაელინე! ცოდეილმა თაეისი ცოდეის მისაგებელი მიიღოს და ბოროტის მოქმედება — თაეისი ბოროტი საქმეებისათეის. მაგრამ იქმენ მოწყალე! რათა არა ყოეელიეე მოსწყდეს: წარღენის მაგიერ ლომები მოეიდნენ და შეამცირონ ხალხი,წარღენის მაგიერ ვეფხეები მოეიდნენ და შეამცირონ ხალხი! წარღენის მაგეიერ შიმშილობამ მოსპოს ქეეყნისაგან ხალხი! ჭირი მოეიდეს და მოაოხროს დედამიწა. მე არ გამიცია ღმერთების გადაწყეეტილება, მხოლოდ არტახასს (ათრა ხასისი) ეუწყა იგი სიზმრით. „მაშინ ბელი მოეიდა გონს. იგი აეიდა ხომალდზე და მეც ამიყვანა, აგრეთეე ჩემი ცოლიც და დააჩოქა იგი ჩემთან ერთად. მოგეიბრუნდა, დადგა ჩეენს შორის და გეაკურთხა: — აქამდის, — სთქეა მან, — უსტნაპისტიმი მოკედაეი კაცი იყო, აწი იგი და ცოლი მისი იქნება ღმერთების მსგაესი. უსტნაპისტიმმა იცხოეროს შორეულ ქეეყანაში, მდინარეების შესართაეში". და ამიყვანეს მე და შემომიყეანეს შორეულ ადგილს, მდინარეების შესართაეში" („Библия и Вавилон", გვ.82). თქმა არ უნდა, მოყვნილი ზღაპარი ახლო წააგაეს მოსეს თქმულებას წარღვნაზე, მაგრამ, ამასთან, მათ შორის დიდი განსხვაეებაც არის, რომლის მიხედეით ზოგიერთი მომხრე ამ თხზულების ბაბილონიდგან გადმოღებისა, მაგ. უნკელი ამტკიცებს, რომ ბაბილონის თქმულება თაეის დღევანდელი სახით არ შეიძლება ყოფილიყო ის დედანი, რომლისაგანაც განეითარდა ბიბლიის თქმულებაო. განსხეაეება ამ ორ თქმულებათა შორის ძლიერ დიდია. ბაბილონური თქმულება, როგორც ენახეთ, აღბეჭდილია მრაეალღმერთობის ხასიათით და, ამასთან, რაც შეიძლება, ტლანქით. „ღმერთები — ეკითხულობთ აქ — იმალებიან ანუსთან, როგორც ძაღლები ქოხში, ღმერთები იხრუკებიან ზეციურ მოაჯირთან, როგორც ბუზები ისე ირეოდნენ იგინი მსხეერპლის შემწირეელის გარშემო". ამასთან, თეით წარღენა წარმოდგენილია, როგორც ბელის უგუნურება, ხოლო უსტნაპისტიმის გამოხსნა, როგორც ეას ჯიუტობა. ბიბლიის თქმულება კი წინააღმდეგ, — სასტიკად იცაეს ერთღვთაებრიეობას და უთითებს ამ მოელენის ღრმა აზრზე და დიდ მნიშენელობაზე. საზოგადო ხასიათი და მიმართულება ბაბილონის თქმულებისა ისე უცხოა ბიბლიის მწერალთა მსოფლიო შეხედულებისაგან, რომ სრული-

ად არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ ვინმე მათგანმა ისარგებლა ბაბილონის თქმულებით, როგორც მასალით თავისი თქმულებისათვის („Библия и Вавилон", გვ.82).

მიუხედავად ამისა, ბაბილონის თქმულება არსებითად მართალია, ე.ი. მართალია იმდენად, რამდენადაც იგი აღიარებს წარღვნას, როგორც ისტორიულ ფაქტს, როგორც ნამდვილად მომხდარ ამბავს. თქმულება წარღვნაზე ძლიერ გავრცელებულია და თითქმის საყოველთაო და ეს საუკეთესო და უტყუარი საბუთია იმისი, რომ ყველა ამ თქმულებას საფუძვლად დაედო ერთი და იგივე ისტორიული ფაქტი. ბ. რ. ანდრე, რომელმაც განსაკუთრებით შეაგროვა და გამოიკვლია სხვადასხვა თქმულებები წარღვნაზე, უჩვენებს ორმოცამდე ისეთ თქმულებას, რომლების არსებობა არ შეიძლება აიხსნას ერთიმეორისაგან. ამნაირად, თქმულება წარღვნაზე, როგორც ისტორიულ ფაქტზე, მოსემდენაც იქნებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ისე სპეტაკი, როგორც ბიბლიაშია, რომელიც ამიტომ ღვთის განმცხადებლად მიგვაჩნია. იმის ლაპარაკი, რომ მოსე განათლებული კაცი იყო და მღაპარი გადააკეთაო, ტყუილი სიტყვის ბარაქაა და მეტი არაფერი.

## მოსე წინასწარმეტყველი და გომართელის იჭიბოჭია

**წერილი VIII (1908, №9)**

მეოთხე და უკანასკნელი იერიში ბ. გომართელს მოაქვს ბიბლიაში ნახმარ ღვთის სახელწოდებაზე „იეღოვა". „ეს სახელიო, - ამბობს გომართელი, დელიჩის თანხმობით, მოსემ ასსირიიდგან ისესხა და ებრაელები კი მოატყუა, თვით ღმერთმა განმიცხადაო". საწყალი ებრაელები გომართელს მოსეს ყურმოჭრილ სახედრებად გადაუქცევია და ჰგონია, რასაც მოსე ეტყოდა, იმას სრულ ჭეშმარიტებად ღებულობდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, ბ. გომართელო, რომ ებრაელები აგრე რიგად არ ენდობოდნენ მოსეს და ხანდისხან პროტესტსაც კი უცხადებდნენ. მეორეს მხრივ, სიტყვა „ია-ა-ვე-ილუ" არც ისე მარტივი გასაგებია, როგორც დელიჩს ჰგონია. დელიჩი დელიჩია, მაგრამ სხვა ასსიროოლოგებიც კაცებია, რომლებიც ამ სიტყვას სხვანაირად კითხულობენ და ხსნიან. დელიჩს მოჰყავს სამი ასსირო-ბაბილონური სახელწოდება: ია-ა-ვე-ილუ, ია-აჰ-ჰი-ილუ და ია-უმ-ილუ და სთარგმნის „იეღოვა არის ღმერთი". გომართელიც ჩვეულებრივად, ყურმოჭრილ მონასავით დანდობია დელიჩს და გიძახის: ილ „ღმერთია", უ - „არის", ია-ვე-ილუ „იეღოვა არის ღმერთიო". ეს ან იმის ბრალია, რომ გომართელს მაინცდამაინც უნდა, რომ ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა ჰქონდეს, ან იმისი, რომ მას არ წაუკითხავს და არ გაუგონია სხვა ასსირიოლოგების აზრი ამ საგანზე. მაგ. გილპრეხტის,

ციმმერნის, ბეცოლდის, გომმელის, აგრეთვე გალევის, კიტტელის, კენიგის და ბარატის, რომლებიც დელიჩის თარგმანს უარყოფენ და ფანტასტიკურს უწოდებენ. მაგ., გილპრეხტი მესამე სახელწოდებას სთარგმნის ასე: „იაუ არის ღმერთი", გომელი პირველს - „არსებობს ღმერთი", რანკე კითხულობს მესამეს: „ღმერთი სპობს". ბარატის აზრით, ეს სიტყვები ნიშნავენ: „ღმერთი აძლევს სიცოცხლეს", კენიგის სიტყვით, „ღმერთი იფარავს"... ასეთი და სხვადასხვანაირი თარგმანი მოყვანილი სიტყვებისა, ვერაფერს ამტკიცებს, გარდა იმისა, რომ მასზე დაფუძნება საღი გონების მქონეს არ შეუძლია, გარდა გომართელისა, რომელიც იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი არ არსებობს, გარდა ადამიანის წარმოდგენისა, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, და მზადაა ყოველი უსუსური აზრი მეცნიერების სახელით მონათლოს. უცილობელი სახელი „იელოვა" ჯერ არავის აღმოუჩენია. არის რამდენიმე ასი წარწერა, რომელშიდაც მოხსენებულია სემიტური ღმერთების სხვადასხვა სახელები, რომლებთა შორის სრულებით არ მოიპოვება სახელი „იელოვა". იელოვა რომ ნამდვილი ასსირიო-ბაბილონური ღმერთის სახელი იყოს, გომართელის სიხარულს, რომ ებრაელების „იელოვა ნასესხებია", მაინც ნიადაგი არა აქვს, რადგან, თუ ნასესხებია, თავისი შინაარსიანად უნდა იყოს ნასესხები, როგორც, მაგალითად, ჩვენ, ქართველები ან სხვა ხალხები სესხულობენ უცხო ენებიდან სიტყვებს თავისი შინაარსით. მაგ., ავიღოთ, თუ გინდა, სიტყვები სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი, ესდეკი, ესერი, კაპიტალი და სხვა მოდური სიტყვები. ამ სიტყვებში ლობიოს და ტყემალს კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმასვე, რასაც გულისხმობენ ის ხალხები საიდგანაც ეს სიტყვები შემოვიღეთ. ამის მიხედვით „იელოვა" ნასესხები მაშინ იქნებოდა, რომ იგი ერთ-ერთი მრავალ ღმერთთაგანის სახელი იყოს და არა ერთი ღმერთისა, რომლის გარეშე ებრაელების სარწმუნოება არ სცნობს არავითარ ღმერთს. ამას გარდა, გაუგებარი რჩება, რატომ სხვა ღმერთების სახელი არ გადმოიღო მოსემ, მაგ. მარდუკი, ბელი, ანსარი, კისარი და სხვა ამისთანები? ასეთი გადმოღება პირდაპირი და აუცილებელი შედეგი უნდა ყოფილიყო, რადგან დელიჩ-გომართელის აზრით, მოსეს მოთხრობა ქვეყნის შექმნაზე გადმოღებულია ასეთსავე ბაბილონურ მოთხრობითგან, სადაც აღნიშნულ ღმერთებს საპატიო ადგილი უჭირავთ.

მსგავსადვე განუმარტებდით ბ. გომართელს შაბათის დღესასწაულსაც, მაგრამ თავს ვანებებთ, რადგან იგი გვეკიჟინებს, მკითხველის ყურადღებას არ ერიდებიო. მხოლოდ ბოდიშს მოვიხდით მკითხველთან და ორიოდე სიტყვით ვუპასუხებთ გომართელს „ჩვენს კვალში" ჩემ წინააღმდეგ გამანშალებულ წერილებზე.

ორი წერილია ბ-ნი გომართელის და, საუბედუროდ, ეერც ერთი მიზანს ვერ ხვდება, გარნა ცხადად ამტკიცებს მის ყურმოჭრილ მონურ ნდობას – ეს იმან სთქვა, ეს ამან სთქვაო. და სხვადასხვა მეცნიერების თქმულებებში გვექარგება ჩვენი გომართელი. არსად ჩანს მისი პირადი შეხედულება საგანზე, არსად ისმის მისი საკუთარი ხმა. არ ვიცი, წააწყდა თუ არა სადმე ბ. გომართელი ძმათა არაგოების „მეცნიერულ"(?) თქმულებას, რომ მზეზე ადამიანები ცხოვრობენო. რომ ენახა, დარწმუნებული ვარ, მეცნიერების ობოლ მარგალიტად გამოაცხადებდა და ქვეყანას ამცნობდა, როგორც სრულ ჭეშმარიტებას ამ მეცნიერებისაგან მიღებულ ჰიპოთეზას.

ვთხოვოთ ბ-ნ გომართელს, თავის საპასუხო წერილებში ახალ იჭიბოჭიას ნუ მოედება, არამედ არსებითად გვიპასუხოს. აგრეთვე, ნუ სწუხს საქართველოზე, რომ იგი ღარიბია მეცნიერი კაცებით. „თუ თავი შენი მას ახლავს, ღარიბად არ იხსენებიო" - სხვა მეცნიერი რაღა საჭიროა, სადაც გომართელია თავისი იჭიბოჭიებით, უმეტეს, თუ სალომეც მოწმედ ჰყავს.

## ქრისტე ღმერთი და გომართელის იჭიბოჭია

### წერილი IX (1908წ. № 11)

ნუ გაგვეწყრება ბ. გომართელი, რომ ამ ახალ მეცნიერების მარგალიტსაც მის იჭიბოჭიად სახელედებთ. ჩვენ დიდი ხანია, ვიცით, რომ ბ. გომართელს თავისი არაფერი აქვს, რომ იგი დასავლეთიდან გადმოყრილ ნაგავს ქექს, რომ იგი კი არ მეცნიერობს, პროპაგანდას ეწევა. აი, სწორედ ისე, როგორც „პრიგოტოვიტელ" კლასების „კურსოვნიკები" ეწეოდნენ ამას წინათ სანდონების პროპაგანდას და არახუნებდნენ ერთ და იმავე დაზეპირებულ ფრაზებს, რომლის შინაარსი მათ მასწავლებლებსაც ხშირად ხეირიანად არ ესმოდათ.

მთვარე ხომ თავისთავად ბნელი ციაგია, როგორც გვარწმუნებს მეცნიერება, მიუხედავად ამისა, ვამბობთ: მთვარე ანათებსო. თუმცა ეს სინათლე მას კი არა, მზეს ეკუთვნის. გომართელიც მთვარეა, რომელიც გვინათებს სხვადასხვა მეცნიერთა (უფრო-უმეცართა) შუქით და არახუნებს ათასჯერ ნაჯიჯგნ-ნათრევ ფრაზებს, რომლებიც, უნდა შევნიშნოთ, გადასულ საუკუნეთა მეცნიერებს ეკუთვნიან და, რომლებიც მათთან ერთად მიებარენ არქივს. ხოლო ბ. გომართელს ხელახლა გამოაქვს იგინი მზეზე და უნდა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად გაასაღოს აი, სწორედ ისე, როგორც მეფართლე თავის მოდაგასულ და დარჩილულ ფართალს ჩამოსდებს ხოლმე წინ და, რაც ძალი და ღონე აქვს, აწონებს მყიდველს.

ამ წერილში ჩვენ ვეხებით გომართელის იჭიბოჭიას იმის შესახებ, თუ „როგორ გააჩინა კაცმა ღმერთი“ (იხ. „ჩვენი კვალი“ № 1).

სათაურიდანვე ჩანს, რა ჯურის მეცნიერთან გვაქვს საქმე. აქანამდის ყველა გაიძახოდა, ღმერთმა გააჩინა კაციო, და ეხლა გამოდის ივ. გომართელი და გვეუბნება, კაცმა გააჩინა ღმერთიო. მოდი, და ნუ დაუძასებ მეცნიერს იმ კაცს. რომელსაც ასეთი ახალი ამბავი მოაქვს. დავუგდოთ მაინც ყური, თუ როგორ „გააჩინა ადამიანმა ღმერთი?“

რადგანაც „არაეითარი ხორციელი არ ისახება და იზრდება ისე, თუ დედის კვერცხს მამლის სპერმატოზოიდი არ შეუერთდა, ამიტომ არ შეიძლებოდა იესო ქრისტეს უთესლოდ, უმამაკაცოდ განხორციელებაო. ამიტომ სარწმუნოდ უნდა მივიღოთ ერთმრავალ სახარებათაგან მოთხრობა, რომლიდანაც ჩანსო, რომ იესო იყო უკანონო შვილი რომაელ კაპიტნის, იოსებ პანდერასიო, რასაც ნათელს ჰფენსო(?) მათეს სახარებაცო(?!)“. ამნაირად, კაპიტანმა იოსებ პანდერამ გაუჩინა გომართელს ღმერთი... აზრების არევ-დარევა და ესდეკების პარტიის ცნობილი ჭეშმარიტების წინააღმდეგობა ძირითადი თვისებაა ამ პატიოსანი გვამისა, რომელსაც უნდა მუხას ვაშლი გამოაბას. გომართელს, როგორც მატერიალისტს, ნება არა აქვს ილაპარაკოს უთესლოდ განხორციელების წინააღმდეგ: იგი თუ შემდგომითი (თანმიმდევრული) მატერიალისტია, უნდა იცოდეს და აღიარებდეს, რომ უთესლოდ, უსპერმატოზოიდოდ, განხორციელება შეუძლებელია. ეს ძირითადი საფუძველია მატერიალისტების მოძღვრებისა. უამისოდ მთლად ირღვევა ის ბაბილონის გოდოლი, რომელსაც მატერიალიზმი ჰქვია. თვით ბ. გომართელი სასტიკად იცავს ამ აზრს თავის „ქვეყნის გაჩენის“ იჭიბოჭიაში (იხ. „შინ. საქმ.“ № 1). იგი ამბობს, რომ ადამიანი და ცხოველები განვითარდნენ ცილეულისაგან, რომელიც იყო შედეგი წყლისაგან გამოწვეულ სხვადასხვა ქიმიურ ცვლილებებისაო. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, რომ პირველყოფილ მატერიაში არავითარი კვერცხი ან თესლი, სპერმატოზოიდი მამაკაცისა, გინა გიპპოპოტამისა არ ყოფილა. მაშ საიდან მოხდა, რომ უსპერმატოზოიდოდ განვითარდა ამოდენა სხვადასხვაგვარი ცხოველები, ან უკეთ ვთქვათ, პირველი მათი დედ-მამა, თუ არ თვითჩასახვის, თვითწარმოშობის კანონით, რომელსაც ასე ცხარედ იცავდნენ XIX საუკუნის მატერიალისტები და დღესაც იცავენ თანამედროვე მატერიალისტები და მათთან ერთად გომართელიც, როცა დასჭირდება, როგორც, მაგ. ზემომოყვანილ ქვეყნის გაჩენის იჭიბოჭიაში. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვწამს არავითარი არც თვითჩასახვის და თვითწარმოშობის თეორიები და სრული თანახმა ვართ ბ. გომართელისა, რომ „არაფრისგან არაფერი იქნება“ (იხ. „კვალი“ № 1), მხოლოდ იმ განსხვა-

ებით, რომ ჩვენ „არაფერთან“ ღმერთი გვყავს, ღმერთი ყოვლად შემძლებელი, რომლისაგან „არა შეუძლებელ არს ყოველი სიტყვა“.

ამნაირად, გომართელს, როგორც მატერიალისტს, არ შეჰფერის თვითჩასახვის, თვითგანვითარების თეორიის უარყოფა. არც ვჰგონებ უარჰყოს. მხოლოდ ეხლა დასჭირდა ქრისტეს განხორციელებისთვის, გაადამიანებისთვის. ვინ იყო იესო ქრისტეს მამა, ე.ი. ვინ გაუჩინა გომართელს ღმერთი? 700 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე წინასწარმეტყველი ისაია ამბობს: „ ხოლო თვისტომი მისი ვინმე მიუთხრასო“, თუმცა მან კარგად იცის: „აჰა ქალწული მიუდგეს და შვას ძეო“. ე.ი. იცის დედა და არ იცის – მამა. დღესაც ქვეყანამ იცის, ვინ იყო დედა და არავინ იცის, ვინ იყო მამა იესოსი. ასახელებდნენ იოსებ მოხუცებულს (დამწინდველს). მაგრამ მისი გადაჭრილი უარი ამ საგანზე ენას სჭრის ყოველ მიუდგომელ მკვლევარს. მათეს მოთხრობა მხსნელის განხორციელებაზე არაფერ ეჭვს აღარ სტოვებს იმის შესახებ, რომ იოსებ მოხუცებული არ იყო მამა იესოსი. ამას არ უარჰყოფს და კიდეც სარწმუნოდ ღებულობს ბ. გომართელი. მაშ ვინ იყო მამა იესოსი, ურომლისოდ განხორციელება მას არ შეეძლო, როგორც გვარწმუნებს გომართელი? იოსებ პანდერა, რომის კაპიტანი, კალაბრიის ჯარის უფროსი, რომელი ჯარიც იუდას ქვეყანაში იდგაო, პანდერამ შეაცდინა ურიის ქალიშვილი, ბეთლემელი მარიამი, რომელსაც ეყოლა ვაჟი იესოო“. ამის საბუთი? „ასე ამბობს ურია გეკკელიო“, რა საბუთით ამბობს? „ერთ დაწუნებულ სახარებაში“ ამოუკითხავს. ნამდვილად კი გეკკელზე უფრო ადრე სხვები იმეორებდნენ. სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ძველი ურიები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, დაემტკიცებიათ, რომ იესო უბრალო კაცი იყო და ამისთვის ზღაპრებს სთხზავდნენ, რომელთაგან პირველი ზემოთმოყვანილი ზღაპარია. აბა, რაღა მტრობაა, თუ არაფერი მოიგონე! როცა ნამდვილ საბუთს ვერ პოულობენ ჭეშმარიტების უარსაყოფად, ზღაპრებს სთხზავენ, როგორც ამას შერება თვით გომართელი, როცა აგვიწერს იესო ქრისტეს გარეგან შეხედულებას. მაგრამ ზღაპარი ხომ საბუთი არ არის, ხოლო „დაწუნებული სახარების“ მოყვანილი თქმულება რომ ზღაპარია, ეს ცხადზე უცხადესია. მართლა და, ვინ ნახა, რომ იოსებ პანდერამ შაცდინა ვიღაც მარიამი და, რომ ამ მარიამის შვილი გამოვიდა ის იესო, რომელმაც გარდაქმნა, გადაახალისა მთელი კაცობრიობა, ჩაუდგა მას ახალი სული და გული, მისცა უნარი ახალი ცხოვრებისა. ან რა ისტორიის ღირსად გახადა მან რომაელი პანდერას გარყვნილება? განა ცოტა იყო და არის ასეთი დაცემის მაგალითები, რომელთა შორის ერთსაც არ მისცემია ადგილი მსოფლიო ისტორიაში? ვის რად დასჭირდა ამის გამოაშკარავება? წინდაწინ ხომ არავინ იცოდა, რომ ამ კავშირიდგან ქვეყანაზე უმაგალითო საკვირველება - ადამიანი დაიბად-

ბოდა? მათეს მოთხრობა შესახებ მაცხოვრის განხორციელებისა, რომელიც გომართელს თავის ზღაპრის გასამართლებლად მოჰყავს, სრულიად აქარწყლებს მას და ერთ იოტისოდენა ეჭვსაც არ გვიტოვებს, რომ იესო ქრისტეს ღვთაებრივი შთამომავლობა ჰქონდა და არა კაცობრივი. მოვიყვანოთ ეს ადგილი მთლად ისე, როგორც წერია სახარებაში: „ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო: რამეთუ თხოვილ იყო დედა მისი მარიამ იოსებისა, და, ვიდრე შერთვამდე მათდა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა. ხოლო იოსებ, ქმარი მისი მართალი იყო და არა უნდა განმხილება მისი, იზრახა ფარულად განტევება მისი. და ვითარ-იგი ამას განიზრახვიდა-ოდენ, აჰა, ანგელოზი უფლისა ჩვენებით გამოუჩნდა მას და რქუა: „იოსებ, ძეო დავითისაო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე და უწოდეს სახელი მისი იესო. რამეთუ მან იხსნას ერი თვისი ცოდვითა მათთაგან... განიღვიძა იოსებ ძილისა მისგან და ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან და წარიყვანა ცოლი თვისი“. ჩვენ არ დავიმოწმებდით ამ თქმულებას, რომ ბ. გომართელს არ მოჰყავდეს იგი თავის ზღაპრის გასამართლებლად, ვითომ იესო იყო ნაყოფი მარიამის დაცემისაო. რას გვეუბნება ეს მოთხრობა? როცა იოსებმა შეამჩნია მარიამის მიდგომა და თვითონ კი მასთან მართალი იყო, იფიქრა, ცოლქმრული ერთგულება დაურღვევიაო და მოინდომა სჯულისაებრ განტევება მისი ფარულად, რომ არ გაელანძღა ცოდვილი, მაგრამ აღარ განუტევა, რადგან ჩვენებით ეუწყა, რომ იგი მიდგომილი იყო სულისაგან წმიდისა. რომ ეს უწყება ნამდვილი ფაქტი არ ყოფილიყო, რომ იოსები არ დაჯერებულიყო, რომ მარიამს არ დაურღვევია ერთგულება თავის ქმრისათვის, რომ იგი ისეთივე უბიწო იყო, ეჭვი არ არის, იგი მას განუტევებდა საუკუნოდ, როგორც ამას შერებიან დღევანდელი ებრაელები, და მით დაამტკიცებდა მარიამის დაცემის სინამდვილეს. მაგრამ იგი არ შერება ამას. რატომ? იმიტომ რომ უთუოდ საიდღანაც დარწმუნდა მის უბიწოებაში, დარწმუნდა ზეგანცხადებით. იქნებ ბ. გომართელმა იფიქროს, ეს ზეგანცხადება მოჭორილიაო. მაშინ ეკითხოთ მას, რამ დააჯერა იოსები მარიამის უბიწოებაში? რათ არ განუტევა იგი, არამედ კიდეც წარიყვანა, როგორც მოწმობს მათე. ნუ დაივიწყებს ბ. გომართელი, რომ ებრაელების რჯულმა ასეთ შემთხვევაში შებრალება არ იცის. სჯული ნებას აძლევს ებრაელს განუტევოს ცოლი, რომელიც არა თუ დაეცემა, არამედ ცოტა ხანსაც კი დარჩება ცალკე ოთახში მამაკაცთან, გარდა ქმრისა. ამნაირად, ორში ერთი უნდა მივიღოთ: ან იოსები დარწმუნებული იყო მარიამის უბიწოებაში, ან უნდა განეტევებია იგი. არ განუტევა, მაშასადამე დარწმუნდა, რომ მარიამიც მართალი იყო ისე, როგორც თვით იყო მართალი. ასეთი რწმენა არ შეიძლე-

ხოდა თავისთავად გასჩენოდა მას, რადგან მიდგომილი მარიამი თვალწინ უდგა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ზეგანცხადება, რომელზედაც მოგვეითხრობს სახარება, მართალია, ჭეშმარიტი, უტყუარი ფაქტია და, თუ ეს ასეა, თავისთავად ირღვევა ხელოვნურად შეთხზული ზღაპარი ქრისტეს კაცობრივი შობისა, და ისიც კანონიერ ქორწინების გარეშე. მართალი იოსებ ცოცხალი მოწმეა მარიამ ქალწულის უბიწოებისა. სხვანაირი დასკვნა აქ შეუძლებელია, და მიკვირს, გომართელის ტვინის უჯრედებმა რათ იკადრეს ასეთი ყოვლად უმსგავსი და უბირი დასკვნის გამოყვანა, ვითომ, რადგან იოსებ მართალი არ იყო მამა იესოსი, უთუოდ კაპიტანი იოსებ პანდერა იქნებოდაო! (ძველ რომში კაპიტნებიც ყოფილან!). მაგრამ უთუოდ არც ეს არის მისი, როგორც არც სხვა რამ, რომელზედაც ბაასობს ბ. გომართელი...

სხვისა ნაჩურჩულებია ისიც, რომ ვითომ იესო ქრისტეს მამის შესახებ ნამდვილი ცნობები დაკარგულიაო. თუ ასე არ იყოს, მოიყვანდა რაიმე საბუთს, გარდა იმისა, რომ მეოთხე საუკუნეში ერთმა ეპისკოპოსმა უშესანიშნავესი წიგნთსაცავი დასწვა (უთუოდ ი ქ დამწვარა ცნობები ქრისტეს მამის შესახებ?!). გეროსტრატმაც კი დასწვა დიანას ტაძარი, მაგრამ მიტომ ყველა ტაძრები კი არ დამწვარა. თუ ერთი წიგნთსაცავი დაიწვა, მეორე ხომ დარჩებოდა, რომელიც მისცემდა გომართელს ცნობებს იესო ქრისტეს მამის შესახებ! მაგრამ, ეკითხავთ ბ. გომართელს: რატომ ერთხელ მაინც არ მოიხსენა იესო ქრისტემ მამის სახელი, თუ იგი ჰყავდა მას? წინააღმდეგ: თუ სახარებას დავუჯერებთ (არ დავუჯეროთ და ჯანი არა გვაქვს, რადგან წინააღმდეგი საბუთი არ მოგვეპოვება), იესო ქრისტე თორმეტი წლისა იყო, როდესაც განუცხადა დედას: „სახლსა მამისა ჩემისა ჯერ-არს ჩემი ყოფაო". ე.ი. ტაძარში, სადაც იკრიბებიან მორწმუნეები.

არც ერთ მოციქულს, რომლებმაც წერილები დაგვეიტოვეს, ერთი სიტყვითაც, ერთი საეჭვო ფრაზითაც არ უთქვამს, რომ იესო ქრისტეს მამა ჰყავდა. წინააღმდეგ: პეტრეს პირით მათ აღიარეს იგი „ძედ ღვთისა, მეუფედ ისრაელისა".

ქრისტეს მოსისხლე მტრებიც, ფარისეველებიც, მხოლოდ იოსებ მართალზე და მარიამზე უჩვენებდნენ, როგორც ქრისტეს დედ-მამაზე: „არა ესე არს შვილი იოსებისა ნაზარეთით, რომლისა მამა და დედა ჩვენ ვიცით? ვითარ იტყვის იგი, ვითარმედ ძე ღვთისა ვარი მე?" - კითხულობდნენ ბრაზმორეული ფარისეველები. რას არ მისცემდნენ იგინი ბ. გომართელს, რით არ დააჯილდოებდნენ, რომ ამ დროს თავის იჭიბოჭიათი მიშველებოდა და გაემჟღავნებია, რომ იესო ქრისტე პანდერას შვილიაო!

თითქმის ყველა მოციქულის მამის სახელია მოყვანილი სახარებაში და იესო ქრისტეს მამაზე არაფერია მოხსენებული. რაც შეეხება იმ ორმოცდა-

ათ ყალბ სახარებას, რომლებსაც იხსენიებს ბ. გომართელი, (ჩვენ არ ვიცით მათი ნამდვილი რიცხვი და ამიტომ არაფერს ვამბობთ), მათზე დაფუძნება მხოლოდ ყალბ გონებას შეუძლია, რომელიც თვალს ვერ უმართავს ცხად ჭეშმარიტებას. „წმიდა მამებმა იგინი ყალბად იცვნესო“, ამბობს გომართელი და, თითქოს უსაყვედურებს, რატომ იცანით ყალბადო. რა თქმა უნდა, ყალბი ყალბად უნდა ეცნოთ და იცნეს კიდეც და, თუ ბ. გომართელი ასეთ ცნობას უსაფუძვლოდ რაცხს, დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი, დაგვიმტკიცოს უტყუარი საბუთით, რომ ეს მისი ორმოცდაათი სახარება ყალბი და განზრახ შეთხზულნი არ არიან, რომ იგი დაწერილია მათგან, ვინც თვითმხილველნი იყვნენ მაცხოვრისა, ვინც დაახლოებით იცოდა მისი ვინაობა. თუ ეს ორმოცდაათი სახარება გომართელს ქრისტეს პიროვნებაზე ჭეშმარიტ მოთხრობად მიაჩნია, მაშ ჩვენი ოთხი სახარება ყალბი ყოფილა და, აბა ერთი სინჯოს და მოიყვანოს ამის გასამართლებელი საბუთები! „ენას ძვალი არა აქვსო“, ამბობს ძველი ანდაზა. თქმით ყველაფერი შეგვიძლია ვთქვათ, შეგვიძლია ისიც ვთქვათ, მზე რომ არ იყოს უფრო მეტი სითბო და სინათლე იქნება ქვეყანაზეო, მაგრამ ვინ დაგვიჯერებს, თუ ენის ძვალი არ ვუჩვენეთ, ე.ი. საბუთები არ წამოვუყენეთ. მტყუანი კაცის ენას მხოლოდ საბუთების მოთხოვნა გააჩერებს და ჩვენც სწორედ ამით ვფიქრობთ გავაჩეროთ ბ. გომართელის უძვლო ენის უსაბუთო ტლიკინი.

## ქრისტე ღმერთი და ივ. გომართელის იჭიბოჭია

### წერილი X (1908წ. № 13)

მიუხედავად თავის უნიადაგობისა და უსაფუძვლობისა, ბ. გომართელი მაინც გაიძახის: „იესო ქრისტეს დედაც ჰყავდა და მამაცო, ძმებიც და დებიცო“ და არ გვისახელებს ვინ იყვნენ ეს მისი და-ძმანი. იოსებ პანდერას შვილები თუ იოსებ მართლისა? თუ იოსებ პანდერასი, რაღათ მიიღო იოსებ მართალმა მარიამი, და თუ ამ უკანასკნელისა, რათ არაფერია ნათქვამი სახარებაში? ვის მოერიდნენ მოციქულები, რომ არ მოიხსენეს ეს გარემოება, რომ იესო ქრისტეს საკუთარი ძმები არ ჰყოლია და არც ქალწულ მარიამს - საკუთარი შვილები, გარდა იესოსი. ამას სხვათა შორის, გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ იესო ქრისტემ სიკვდილის წინ თავისი დედა ჩააბარა ზებედეს შვილს, თავის საყვარელ მოწაფეს – იოანეს, რომელსაც უთხრა: „აჰა, დედა შენიო“, ხოლო დედას: „დედაკაცო აჰა, ძე შენიო“. ვკითხავთ ბ. გომართელს, რა საჭირო იყო ასეთი ჩაბარება დედისა კერძო მოწაფისთვის, თუ მას ჰყავდა საკუთარი ძმა და ქალწულ მარიამს – საკუთარი შვილი, ვისგანაც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი – იოსებ პანდერასგან, თუ იოსებ მარ-

თლისგან (გვეპატიოს დედა ღვთისამ, რომ ასე უშეერად ეახსენებთ მის წმინდა და უბიწო სახელს, გვეპატიეთ თქეენც, ეის სარწმუნოებრივ გრძნობასაც ეაშეოთებთ ამით - იძულებული ეართ ასე ეილაპარაკოთ, რომ გომართელიეეით აბდა-უბდა ზოგიერთ გზადაბნეულ მკითხეელს თეალები აეუხილოთ და სწორი გზა ეუჩეენოთ). „და წარიყეანა მოწაფემან იგი მიერ ჟამიდგან"" და პატრონობდა მას სიკედილამდე, როგორც გადმოგეცემს ისტორია.

შესანიშნაეია, სხეათა შორის, შემდეგი გარემოება: იაკობ მოციქული იწოდებოდა ძმად უფლისა და სცხოერობდა მუდამ იერუსალიმში, ქალწულმა მარიამმაც პალესტინაში გაატარა თაეისი სიცოცხლე, მაგრამ იაკობ მოციქულთან ერთი დღეც არ უცხოერნია, რაც ყოელად გაუგებარია ღეთისმშობლის მოყეარული გულისაგან, თუ ეს უკანასკნელი (იაკობი) ღეიძლი შეილი იყო მისი.

თუ ბ. იე. გომართელი გულწრფელი მკელეეარია იესო ქრისტეს ცხოერება-მოღეაწეობისა, თუ ის განზრახ არ უხეეეს თეალს გულუბრყეილო მკითხეელს თაეის რაღაც მანქანების ძალით შეძენილ გაელენით, იმედი არ აქეს მაინცდამაინც ამ ყრუ გაელენისა, და ბოლოს, თუ იგი პატიოსანი და სინდისიერი მაძიებელია ჭეშმარიტებისა და არა უბრალო სიბნელის მთესეელი პროპაგანდისტი, დაგეიმტკიცოს წინააღმდეგი, მოგეიყეანოს უტყუარი საბუთები თაეის ულაზათო აზრების გასამართლებელი და ჩეენც ქედს მოეიხრით მის წინაშე, ჩეენც დაეემორჩილებით მის მეცნიერებას და აღეიარებთ მის გენიოსობას, რომელმაც აუხილა თეალი ორი ათასი წლის ბრმა კაცობრიობას. თუ იგი ისე არ მოიქცა, მაშინ მკითხეელმა უწოდოს მას ის სახელი, რომლის ღირსიც იყოს!..

დაამახინჯა რა იესო ქრისტეს ღეთაებრიეი ბუნება, ბ. გომართელი ამახინჯებს მის (ქრისტეს) მოძღერებასაც. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, იესო ქრისტეს პიროენება განუყრელია, განუშორებელია მის მოძღერებასთან. მისი საქმე და სიტყეა ერთია, მისი რაობა, მისი გამომეტყეელება მთლად გამოხატულია მისი ღეთაებრიეი მოძღერებით. ამიტომ ერთი ტლანქი შეხება, ერთი რომელიმე თეისების გამოკლება სრულებით არღეეეს მის მთლიანობას, იმ უსაზღერო და უმაგალითო ჰარმონიას, რომლითაც შეკაეშირებული იყო მასში ღეთაებრიეი და კაცობრიეი ბუნება.

დიახ, გომართელი ამახინჯებს (უკეთ რომ ესთქეათ, იმეორებს სხეის დამახინჯებულ სწაელას) ქრისტეს მოძღერებას და სამღედელოებას კი უკიჟინებს, ქრისტე არ სწამსო, მისი „მოძღერება თაეის გემოზე გადააკეთაო და ეხლა რომ მოეელინოს ქეეყანას, ყეელაზე უმალ მისი სახელის მატარებელი სამღედელოება ამხედრდებოდა მის წინააღმდეგო„, შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ, ეს კი ცხადია, რომ ამ შემთხეეეაში გომართელი და მისი თანამებ-

რძოლნი იქნებიან მეთაურნი ქრისტეს მებრძოლთა მეთაური რაზმისა. თუ ეხლა, როცა იგი შორსაა, უხილავია, მათ მოსვენებას არ აძლევს მისი დაუ-ნის გვირგვინები, თუ ეხლა, როცა ჯვარცმულმა თავის აღდგომით ცხადად დაამტკიცა თავის ღვთაება, იგი იდევნება გომართელისებური ქვეყნის ბე-ლადებისგან, ეხლა, როდესაც მის სწავლა-მოძღვრებას თავის გემოზე სჯიჯ-გნიან, რა იქნებოდა მაშინ, როცა ახლად მოვლინებული ქრისტე გაუმეორებ-და მათ თავის პასუხს პილატესადმი, რომ „მეუფება ჩემი არა არს ქვეყნისა ამისაგან". რა შურითა და გულისწყრომით აღივსებოდა მაშინ გომართელის წრფელი (?!) გული, როცა იესო ქრისტე ეტყოდა მას: „რომელი სჭამდეს ხორ-ცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებასა საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესაო", ან კიდევ მაშინ, როცა ეტყოდა სასუფეველზე: „სასუფეველი ცათაი იიძულებისო," ან კიდევ... - მაგრამ რამ-დენი ჩამოვთვალოთ? თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით მოხვდებოდა გულზე მოწინავე რაზმელებს და, ვინ იცის, რა სასჯელს არ მოიგონებდნენ მისთვის, რომელიც (მათი სიტყვებით) — „ცაზე ოცნებობდა და ქვეყნიერებას აეიწყებინებდა ადამიანს, ე.ი. ატყუებდა მას".

თუ ეხლა ნახევრად მორწმუნე სამღვდელოებას იმისთვის სდევნიან, რომ ისინი ხალხს ცისკენ უთითებენ, რა თქმა უნდა, არ დაინდობენ მას, ვინც ბრძანებდა: „უკეთუ გნებავს სრულ იყო, წარვედ, განყიდე საყოფი შე-ნი, აღიღე ჯვარი შენი და შემომიდეგ მე და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინაო". ასეთ მქადაგებელს ენასაც კი ამოსჭრიან, თუ დაიხელთეს. მაგონდება ერთი სოფლელი პროპაგანდისტის ქადაგება შესახებ ხარკის გადახდისა, რომლის გადახდას უკრძალავდა ხალხს და ამბობდა, რომ ქრისტე წინააღმდეგი იყო ხარკის გადახდისაო და ქადაგებდა, კაპეიკი არ მისცეთ მართებლობასაო. როცა მას მოაგონეს სახარების სიტყვები: „მიეცით კეისრისა და ღვთისა ღმერთსაო". ბ. ქადაგმა პასუხად უთხრა: „ეს მღვდლების ჩაწერილიაო". მაშ თქვენ საითგან ამტკიცებთ თქვენს აზრს, რომ ქრისტე წინააღმდეგი იყო ხარკის გდახდისაო, შეუბრუნეს სიტყვა - პროპაგანდისტი დაიბნა და შემკითხველს მიაფურთხა... პროპაგანდისტს კიდევ ეპატიება ასეთი თავი-სებური უსუსური არგუმენტაცია, მაგრამ გომართელი ამით ვერ გაგვისტუმ-რებს: პირველი ატყუებდა ხალხს ცნობილი მიზნისთვის (სოციალიზმისთვის), ხოლო მეორე - მეცნიერობს, ამიტომ რაც იმას ეპატიება, ამას არ მიეტევება. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მას უტყუარი საბუთი, თუ როდის და რომელმა სამღვდელოებამ დაამახინჯა სახარება?

## ქრისტე ღმერთი და ივანე გომართელის იჭიბოჭია

### წერილი XI (1908წ. № 17)

წინა წერილში (იხ. „შინაური საქმეები“, № 13) ჩვენ მოვსთხოვეთ ბ. გომართელს უტყუარი საბუთი იმისა, თუ როდის და რომელმა სამღვდელოებამ დაამახინჯა ქრისტეს სახარება, ან მისი სიტყვით, „ქრისტეს მოძღრება“? მაგრამ გადის ეს მეექვსე კვირა, პასუხს არ იძლევა. რა თქმა უნდა, ეს თავაზიანობით არ მოსდის ბ. გომართელს, არც უსაბუთობით და უნიათობით. მან ვერ ჰპოვა თავის მოძღვართა შორის ისეთი საბუთები, თითონ კი არსად წასულა საექსკურსიოდ, საძებნელად, და რომ წასულიყო იმის მტკიცებას, თუ რამდენად სტყუის ჩვენი ექიმ-ღვთისმეტყველი, რადგანაც ეს ისედაც ცხადია ყველასათვის, ვინც მასავით არ გაუტაცნია ამაოებას და იაფ ფასად მეცნიერის სახელის მოხვეჭას. ვიტყვით მხოლოდ ორიოდ სიტყვას შესახებ იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა.

გომართელს არ სჯერა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა. ამისათვის მას დასჭირდა „იოსებ პანდერა“, „ხუროენობა“, „ოცნება“, „წიგნების კითხვა“ და სხვა ამგვარი ზღაპრები, რომელთაც არავითარი საბუთი არც წერილობითი და არც ზეპირ გადმოცემითი არ მოეპოვებათ, გარდა ბ. გომართელის და მისი მოძღრების (მასწავლებლების) ოცნებისა. მაგრამ ამ ოცნებასაც, მისდა უნებურად, ისეთნაირ თვისებებით შეუმკვია ქრისტეს პიროვნება, რომ მასში არ შეგვეიძლია არ აღვიაროთ რაღაც ღვთაებრივი, არაჩვეულებრივი, არა კაცობრივი ბუნება. ასე დაემართა კაიაფა მღვდელმთავარსაც: როცა იგი შეეკითხა იესოს: „შენ ხარო ქრისტე, ძე ღვთისა?“, იესომ მიუგო: „შენ უკვე სთქვიო“. ასე მოსდის ყველას, ვისაც იესო ქრისტეს დამცირება სურს, ასე მოსდის გომართელსაც: იგი ისე ახასიათებს კაც-იესოს, რომ მისი მსგავსი კაცი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება. მაშასადამე იგი არც უბრალო კაცი ყოფილა. ჩვენ არ მოვიყვანთ აქ გომართელის აზრს იესოზე. ამისთვის მკითხველს მივუთითებთ სამეცნიერო გაზეთ „ალიონის“ პირველ და მეორე ნომრებზე, რომლებშიდაც ბევრ ამისთანა მარგალიტებს შეხედებით.

მიუხედავად გომართელის მამამთავრებისა - არიოზისა, რენანისა, გელვეციისა, და სხვათა და სხვათა, უმრავლესი და უგონიერესი ნაწილი კაცობრიობისა (რა თქმა უნდა ქრისტიანთა), იესო ქრისტეს პიროვნებაში ყოველთვის აღიარებდა და დღესაც აღიარებს ღვთაებრივ ბუნებას და არა იმიტომ, რომ ამას მღვდლები უქადაგებდნენ, ან ასე ასწავლიდნენ ეპისკოპოსები თავის უფლების განსამტკიცებლად, როგორც ამბობს ბებელი, არამედ იმიტომ რომ თვით მის მოქმედებაში, სწავლაში და თვითცნობიერებაში ხედავდა ისეთ სისრულეს, რომლის მქონი არ შეიძლებოდა უბრალო კაცი ყოფილიყო, თუ არ განხორციელებული ღვთაება.

„უწინარეს ყოვლისა,— ამბობს პროფ. აკეილისოეი,— წინადაუდებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს იმ დებულებას, რომ ყველა იმათგან, რაზედაც ეჭვის მიტანა შეიძლება, უურო უეჭველია ადამიანის ცნობიერება და თვითცნობიერება." ვინ არ უწყის, თუ რა გულდაჯერებით აფუძნებს ექსპერიმენტული ფსიხოლოგია ადამიანის ცნობიერებაზე, მის (ადამიანის) დანაშაულობას, თუ უდანაშაულობას? ადამიანის პიროვნებას ფასს სდებენ იმის მიხედვით, თუ რას კითხულობენ მის თვითცნობიერებაში.

„იესო ქრისტესაც ჰქონდა თავისი თვითცნობიერობა, და, თუ ერთხელვე აღიძრა საკითხი ქრისტეს ვინაობისა, უთუოდ უნდა დავეკითხოთ თვით მაცხოვრის თვითცნობიერობას. საითგან დაებადა მას ცნობიერება თავის უცოდველობისა? გარეშე ქვეყნიდგან ვერ შეიძენდა და ვერც ადამიანთა ბიწიერებაში ჰპოვებდა მას. ჩვენ ვიცით, რა ჩქარის ნაბიჯით მიდიოდნენ ბუდდა და მაჰმადი თავის დიდებისკენ, მაგრამ ერთი მათგანიც იმ ზომამდე არ გაკადნიერებულა, რომ თავის თავისთვის უცოდველი ეწოდებია იმ აზრით, რა აზრითაც მაცხოვარი უწოდებდა თავის თავს.

საეკლესიო ისტორიამ ბევრი დიდებული და ღირსშესანიშნავი წმინდანები და გმირები იცის, მაგრამ ერთი მათგანიც ვერ აიტანს თვით ზერელე შედარებას ქრისტესთან. „ვინ თქვენგანი მამხილებს მე ცოდვასა?" ეკითხება მაცხოვარი მტრებს და ერთი მათგანიც ვერ ბედავს უჩვენოს მასში რომელიმე ნამდვილი ნაკლულევანება. წინააღმდეგ, მაცხოვრის შესაპყრობლად გაგზავნილი მსახურნი უმოწმებენ თავის უფროსებს, რომ „არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაციო" (VII, 46). როცა ლოცვას ასწავლის, ქრისტე უბრძანებს მოციქულებს, მოიწოდონ ღმერთი ასე: „მამაო ჩვენო", ხოლო თვითონ არასოდეს არ მიუმართნია მისთვის ასეთი სახელით, არამედ ყოველთვის უწოდებს მას თავის მამად: მაგ. „მე და მამა ჩემი ერთ ვართ", „მე მამისათანა და მამა ჩემთანა", „მამა ჩემი მოაქამომდე იქმს და მეცა ვიქმ"... ამავე ლოცვაში იგი ასწავლის მოციქულებს, ითხოვონ ღვთისაგან თანანადებთა, ე.ი. ცოდვათა მოტევება, ხოლო ასეთი ლოცვით თვითონ არასოდეს არ მიუმართნია მამისადმი. როგორც ეტყობა გეთსამანიის ლოცვა წარმოადგენდა უურო მოხერხებულ შემთხვევას, რომ ნებსით ენებად მიმავალ ქრისტეს თავის ქვეყნიურ ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც მცირედი რამ ეჭვი შეეტანა თავის სისრულეში და ეთხოვა ღვთისაგან შეწყალება და ცოდვათა მოტევება. მაგრამ თვით უკინიანესი კრიტიკაც კი ვერაფერს ამის მსგავსს ვერ იპოვის ამ ლოცვაში.

მაცხოვარი არ თხოულობს ცოდვათა მოტევებას, რომელთაც არ ექვემდებარება, და ამით სრულიად განისხვავებს თავის თავს ჩვეულებრივ მოკვდავთაგან. იგი, როგორც დაიბადა, ისე მიიცვალა არ მქონებელი ცოდვისა.

„თვით უცოდველი - სხვას მიუტევებს ცოდვებს, მაგ. იმ გახრწნილს, რომელიც განკურნა კაპერნაუმში. „შვილო, მოგეტევენ შენ შეცოდებანი შენნიო". ან ცოდვილ დედაკაცს, რომელსაც მოუტევა „ცოდვანი მათნი მრავალნი", ან ცხოვართა საბანელთან განკურნებულს: „აჰა, მრთელ იქმენ და ნუღარა სცოდავო"... და ლოცულობს ადამიანთა ცოდვათა მიტევებისათვის. ცხოვრების მომნიჭებლად და ჭეშმარიტების მაუწყებლად მოსრული, იგი ამბობს თავის თავზე: „მე ვარ გზა, ცხოვრება და ჭეშმარიტებაო". და საუკუნო ცხოვრების მისაღწევ პირობად სდებს იმას, რომ იგი ეირწმუნოთ: „რომელთა რწმენდეს ჩემდა მომართ, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო", ან „უკუეთუ არა ჰრწმენეს, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთაო".

ასეთია თვითცნობიერება ქრისტესი. იგი ხედავს თავის თავში ძეს ღვთისას, ყოვლად უცოდველს და არა-თუ თავისთვის გამოითხოვს ცოდვათა მოტევებას, არამედ სხვას უტევებს, როგორც ხელმწიფების მქონი. „რა უაზროვლეს არს თქმად", - უთხრა მან კაპერნაუმში განრღვეულის განკურნების დროს მდრტვინავ ფარისევლებს, „აღსდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ხვიდოდე, თუ მოგეტევნენ შეცოდებანიო". „არამედ, რათა უწყოდეთ, რამეთუ ხელმწიფება აქვს ძესა კაცისასა მიტევებად ცოდვათაო". ასეთი თვითცნობიერება არავის არ ჰქონია არც ქრისტეს წინ და არც ქრისტეს შემდეგ. და, მით უფრო გასაოცარია, საითგან გააჩნდა იგი მაცხოვარს?

„ამ უსიამოვნო ანგარიშის გასათავებლად, - განაგრძობს მ. აკვილონოვი, - კრიტიკას დარჩენია ერთი ჩვეულებრივი შალტო მორტალე გამოაცხადოს, რომ ყველა ის ადგილები სახარებისა, რომელშიდაც ცხადად ჩანს მაცხოვრის ღვთაებრიობა, ყალბია." მაგრამ კითხვა იმაშია: ვინ ჩაიდინა ეს სიყალბე? მოციქულები ამისთვის მეტად უმეცარნი, უბრალონი იყვნენ. ასეთი საქციელისათვის, რომლის ჩადენას ყველა მსწავლულიც ვერ მოახერხებს, არ იყვნენ მოციქულები მომზადებულნი. თუ მართლა გალილეველმა მეთევზეებმა ხელი მიჰყვეს ასეთ სიყალბეს და კიდეც ბრწყინვალედ შეასრულეს, მაშინ თავისთავად იბადება საკითხი: საითგან იშოვნეს ასეთი მაღალი თვისებები თავის მოძღვრის იდეალური სახის დასახატავად? მოციქულები ხომ თავის დროის შვილები იყვნენ და თანაზიარნი იყვნენ ზოგიერთ ქვეყნიურ წარმოდგენაზე მესსიისა და უეცრად მათ საკვირველმოქმედ კალამქვეშ იხატება ისეთი ქრისტე, რომელშიდაც არ მოიპოვება აჩრდილიც კი იმ ქვეყნიური მესსიასი, რომელსაც უნდა დაეპყრო მთელი ქვეყნიერება და გაებატონებია ებრაელები, რომელშიდაც არ არის არავითარი დროებითი და ნაციონალური, ვიწრო და პარტიული, რომელიც უცხოა ყოველ ადამიანურ ნაკლულევანებისაგან! ჭეშმარიტად ეს იქნებოდა ჱეუს ეხ მაცჰინე!

რამდენიც გინდათ, შეგიძლიათ ფურცლოთ ძველი აღთქმის წიგნები და ეძიოთ შიგ ის ნაწილები, რომლისაგანაც, კრიტიკის აზრით, მოციქულებმა და ახალი აღთქმის მწერლებმა თითომდა შეთხზეს უმაგალითო სახე საღვთო მოძღვრებისა, თქვენი შრომა არ დაჯილდოვდება გამარჯვებით. უსაცილოდ, ზოგიერთ ძველი აღთქმის წიგნებში, განსაკუთრებით საწინასწარმეტყველოებში, გაფანტულია ზოგიერთი თვისებები მესიის პიროვნებისა, მაგრამ საქმე ზოგიერთ თვისებებში კი არ არის, არამედ ღმერთ-კაცის მთლიანი სახის დახატვაში, რომლისთვისაც მოციქულები სრულიად მოუმზადებლები იყვნენ, რომლის ნიჭი მათ არ მოსდევდათ.

მართლადა, წაიკითხეთ სახარება და თქვენ ცხადად დარწმუნდებით, რამდენად მაღლა იდგა ქრისტე თვით უმაღლეს მოციქულებზე. მაშინ ეჭვი აღარ გექნებათ იმაში, რომ მოციქულებს არ მოსდევდათ ნიჭი, უბრალო კაცის ღმერთ-კაცამდის გაზეიადებისა. აი, მაგალითად, მოციქულთა თავმა, პეტრემ, დაუწყო თავის მოძღვარს „ცილობა", როცა უკანასკნელი ბაასობდა თავის მაცხოვარებითს ვნებაზე, და მიიღო ღირსეული ჯილდო შემდეგს სიტყვებში: „წარვედ ჩემგან, სატანა, საცდურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ზრახავ ღვთისასა, არამედ კაცისასაო" (მთ. VI, 22-23). ზებედეს შვილებს, რომელთა დედაც სთხოვდა მაცხოვარს, დაესვა იგინი ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით თვისსა, სასუფეველსა ღვთისასა, მან უპასუხა: „არა იცით რასა ითხოვთ" (XX, 22). როგორც მოწმობს მოციქული ლუკა, (XXIV, 21-22), მოციქულებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ, რომ ქრისტე უნდა წამებულიყო. ემმაუსელ მოგზაურთა ნაღვლიან მუსაიფზე უფალმა უპასუხა ისეთივე ნაღვლიანი საყვედურით: „ჰოი, უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინასწარმეტყველნი" (25). „არა თქუენი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი-იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფებითა" – შენიშნავს იგი, აღდგომილი, თავის მოწაფეებს (საქ. 1,7).

„განეშორე ჩემგან, უფალო, რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ", - სთქვა პეტრე არაჩვეულებრივი საკვირველმოქმედის მიმართ შემდეგ აუარებელ თევზის დაჭერისა. მეორე მოციქული, უბედური იუდა გამცემელი, ქენჯნილი გაღვიძებული სინდისის საყვედურებით, უბრუნებს მღვდელმთავრებს ვერცხლს და ამბობს: „ვსცოდე, რამეთუ მივეც სისხლი მართალი... და დააბნია ვერცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ იბა" (მთ. 27,4-5).

ის საოცარი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენდა მნახველზე წმინდა მოძღვარი, შეიძლება ითქვას, არ ასვენებდა ადამიანს არც დღე და არც ღამე და აიძულებდა ეცხოვრა მისი სიხარულით და უფრო - მისი მწუხარებით: „არა

სძეს შენი და მართლისა მაგის კაცისა" („არარა აენო მართალსა მაგას კაცსაო") ევედრება წარმართი ცოლი თავის მეუღლეს – პილატეს „რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩვენებით მაგისთვის" (19). თვით მთავარმაც, როცა მას ფუჭად ჩაუარა ყოველმა საცადმა შესახებ უმართლოდ ტანჯულის თავისუფლებისა, საჭიროდ დაინახა, საჯაროდ გამოეცხადებია თავის უბრალოება მოღალადე ბოროტმოქმედებაში, დაიბანა ხელი და სთქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგის მართლისაო" (24). ჯვარზე გაკრულმა გონიერმა ავაზაკმა, რომელმაც, უეჭველია, მრავალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, აუტანელი ტანჯვის დროს გაიხსენა ღმერთი და შევედრა არა იმ ღმერთს, რომელსაც აქამდის ევედრებოდა, არამედ დამდაბლებულ და განკიცხულ-წამებულში იცნო განხორციელებული მხსნელი - ღმერთი და მას სთხოვა: „მომიხსენე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითაო" (12). სული წმიდით გაბრწყინებულმა გალილეველმა მეთევზეებმა უშიშრად აუწყეს მთელ ქვეყნიერებას ჯვარცმული მეუფე დიდებისა. და კიდევ, ჩვენ გვაქვს მოციქულთა საუკუნიდგან დარჩენილი დიდმნიშვნელოვანი წამება პროკონსულის, პლინისა იმის შესახებ, რომ მის თანამედროვე ქრისტიანებს ჩვეულება ჰქონდათ ღვთისმსახურების დროს საგალობლებით ედიდებიათ ქრისტე, როგორც ღმერთი: „უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაგან" (მთ. XI6 II). იოანე წინამორბედი მოწმობს იესოზე შემდეგი სიტყვებით: „ესე არს, რომლისათვის-იგი ვთქუ, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს" (1, 15). როცა ხედავს მომავალ იესოს წინამორბედი ამბობს: „აჰა, ტარიგი ღვთისა, აღმღებელი ცოდვათა" (29). „მე არა ვიცოდი იგი, არამედ რაითა გამოეცხადოს ისრაელსა, ამისთვის მოვედი მე წყლითა ნათლისცემად" (31). „და მე ვიხილე და ვსწამე, რამეთუ ესე არს ძე ღვთისა" (34). ამათზე უფრო უმეტესი და გადაჭრილი მოწმობის მოთხოვნა შესახებ იესო ქრისტეს ვინაობისა, შეუძლებელია. ამ მოწმობის სიყალბეში რომ ეჭვი შევიტანოთ, არა გვაქვს არავითარი საბუთი. წინააღმდეგ, სხვა მახარებლების ცნობების მიხედვით: მთ. III, XI, 1,20, XXI, 32. მრკ. I, 1-II, ლკ. III, 1-18, XX, 1-8 და სხვ. მრავალთა, უეჭველად უნდა მივიღოთ იგი, როგორც ძვირფასი საბუთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიზნისათვის. ეს მოწმობა შესანიშნავია იმით,რ რომ იოსებ ფლაბიოსის სიტყვით, იოანე „ისეთი შესანიშნავი მქადაგებელი იყო, რომლისკენაც ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ მსმენელნი და ძლიერ აღძრულნიც იყვნენ. იგინი არაფერს დაიზოგავდნენ, ყოველივე შეესრულებიათ იმისი რჩევისამებრ". ნათლისმცემლის ზნეობრივი სიდიადის წინ ჰქრებოდა ტეტრარქის პოლიტიკური ძლიერება. „იროდეს ეშინოდა იოანესი". მახარებლის სიტყვით, რადგან „იცოდა, რომ იგი იყო კაცი მართალი და წმიდა" (მრკ. VI, 20). ჯვარცმის წინ იესო ქრისტე

თავის მტრების ვერაგულ კითხვებს უპასუხებს კითხვითვე შესახებ იოანეს ნათლისღებისა და მათ მყისვე ეკარგებათ სურვილი მაცხოვრის შეპყრობისა (მთ. XXI6 26). ვატონ ანდრა-ს უწოდებს წინამორბედს იუდეველების ისტორიკოსი და შემდეგ მწერლებიც, თითქოს არ უნდათ უკან ჩამორჩენარო, სახელსდებენ წინასწარმეტყველს „დიდ მღვდელმთავრად". „დაე, ახლა თითოეულმა მიუდგომელმა მკითხველმა განსაჯოს იოანეს მოწმობის ღირსება შესახებ იესო ქრისტეს ღმერთკაცობისა და გაითვალისწინოს, ვინ უფრო სანდო მოწამეა. ნათლისმცემელი თუ ტოლსტოი", - ამბობს მ. აკვილინოვი, ხოლო ჩვენ ვიკითხავთ, ნათლისმცემელი თუ გომართელი?

ნუღარ გავავრცელებთ მოწმობათა მოყვანას, საკმარისია მოყვანილნიც, რომ სრულიად დავრწმუნდეთ მოციქულების უბრალოებაში შესახებ ქრისტეს პიროვნების გაზვიადებისა. ამისათვის არ გვაქვს არც ისტორიული და არც ფსიქოლოგიური საბუთი. და მხოლოდ თავშესაქცევად თუ მიუთითებდა ვინმე ამ სერიოზულ საქმეში სხვა შესაძლებელ მხატვრებზე. ან ვინ იყვნენ ეს მხატვრები? მოციქულების უახლოესი მოადგილენი? აპოლოგეტნი? ეკლესიის მამანი და მოძღვარნი? ისტორიკოსები? რამდენიც გინდათ, იმდენი შეიძლება ვუჩვენოთ საეჭვო შემძენნი სახარების იდეალური შინაარსისა, მაგრამ არასოდეს არ შეგვეიძლია დავამტკიცოთ სინამდვილე ფანტასტიური იდეალიზაციისა. უსაცილოდ ბუდდისტებმა და მუსლიმანებმა შემდეგს დროებში თავზე მოახვიეს ბუდდას და მაჰმადს თავისებური უცოდველობა. მაგრამ ეს არ არის სიწმინდე, ეს არის დამახინჯება მნეობის თვით ელემენტარული მოთხოვნილებისა - კარიკატურა უცოდველობისა, უკანა რიცხვით მიწერილი რეფორმატორების აურაცხელი ცოდვების ანგარიშზე. მაინც, როგორ მოღაღადე წინააღმდეგობას წარმოადგენს ეს უცოდველობა აღნიშნულ გვამთა ცოდვილ პირი-სახესთან! ჩვენთვის ხომ გამოგონილი ამბები არ არის ძვირფასი, არამედ ისტორიული სიმართლე, ის ისტორია, რომელიც მოგვითხრობს ნამდვილ შემთხვევებზე და არა რაღაც ზღაპრებზე.

თუ არც მოციქულებს და არც არავის სხვას არ შეეძლო ხელოვნურად შეექმნათ ქრისტეს იდეალური სახე, თუ ამის გასამართლებლად არ მოიპოვება არავითარი ისტორიული ანალოგია და, თუ კიდევ, თვით ქრისტე, თუნდაც უბრალო მოკვდავიც ყოფილიყოს იგი, არ შეეძლო ნაკლულოვანი გადაქცეულიყო უნაკლულოდ, უცოდველად და იმაში (ქრისტეში), როგორც არა-უცოდველში, არ შეიძლებოდა დაბადებულიყო უცოდველობის ცნობიერება და ცნობიერება არაჩვეულებრივი სიახლოვისა ზეციერ მამასთან, მაშინ ჩვენ თვალწინ იშლება შემდეგი ალტერნატივა: ქრისტე ან მატყუარა იყო, ან ღმერთ-კაცი. პირველი ამოსავალი ამ ალტერნატივიდან ყოვლად შეუძლებელია, რადგან სიცრუე შეუთანხმებელია ქრისტეს განსაცვიფრებელ

ზნეობრივ სისრულესთან - რადგან სიცრუეს ვერ შეეწამებთ ისეთ ზნეობით სრულ გვამს, როგორიც არის სახარების ქრისტე. მაშასადამე დაგვრჩენია ერთი რამ, სახელდობრ, ის, რომ ქრისტე არ არის უბრალო კაცი, არამედ ღმერთკაცია.

ამის შემდეგ თავისთავად ირღვევა ყველა ჯურის რაციონალისტების და, მათ შორის, ტოლსტოისაც, ის აზრი, რომ ვითომც იესო ქრისტე უბრალო კაცი იყო და წარმოსდგა კაცობრივ. თვალსაჩინო სისულელე ამ აზრისა ორკეცდება იმ საზიზღარი ცინიზმით, რომელთაც ბ. ტოლსტოი (ჩვენებურად გომართელი) გადმოსცემს მაცხოვრის უმამოდ ჩასახვის საიდუმლოებას. თავის თხზულებაში „Соединение и перевод четырех евангелий", ტოლსტოი ასე ასურათებს იესო ქრისტეს შობას: „იყო ქალწული მარიამი. იმისგან და უცნობი მამისგან დაიბადა ბიჭი". ცნობილი ბელადი თანამედროვე მონიზმისა, პროფ. გეკკელი, თავის ანტიქრისტიანულ თხზულებაში „Die Weltraihsel" ერთი კალმის მოსმით უბრძანებს უცნობ მამას იწოდებოდეს „იოსებ პანდერად, რომაელ ასისთავად კალაბრიის ლეგიონისა, რომელიც იდგა იუდეაში". ასე აკეთებენ ისტორიას ბულვარის გმირების უგვანო სითამამით, ივიწყებენ რა პატიოსნების თვით პირველდაწყებით კანონებს. ორიგინალური მაინც იყოს ეს ზღაპარი! მაგრამ არა, იგი არ წარმოადგენს ახალ რამეს, იგი განმეორება ურიების იმ უსინდისო ცილისწამებისა, რომელმაც ადგილი იპოვა ცნობილი ცელსის ლაშქრობაში ქრისტეს წინააღმდეგ, გარნა, სამაგალითოდ ბრწყინვალე გაცუდებაც - ორიგენის თხზულებაში „ჩონტრა ჩელსუმ".

ჩვენ ზევით ესთქვით შესახებ თვითცნობიერობის დიდმნიშვნელობისა საზოგადოდ, და, კერძოდ ქრისტე მაცხოვრის ღმერთკაცურ თვითცნობიერობისა, რომ კანონიერი მსჯელობა ვიქონიოთ ადამიანის ღირსებაზე საზოგადოდ და კერძოდ, მაცხოვრის ღვთაებრივ ღირსებაზე.

ჩვენი ემპირიული ცოდნის საუკუნეში სწავლულები იქამდის აზვიადებენ ამ ფაქტორის (თვითცნობიერობის) მნიშვნელობას, რომ მაიმუნსაც ადამიანის ჩამომავლობას აწერენ. მაგრამ მედლის უკანა პირიც: ერთი ვინმე თანამედროვე ბუნებისმეტყველის წინ ბრწყინავს როგორც მზე, ღმერთკაცური თვითცნობიერება და, მგონია, ღირსია დაუკვირდეს ამ არაჩვეულებრივ მოვლენას, ღირსია დააფასოს იგი, რომ თავი არ შეიქციოს ნაფიც, ქრისტესმოძულე ურიების მდაბიო ცილისწამება-მოგონებით. მაგრამ, სჩანს, ერთს ამბობს ლოგიკა აზრისა და სხვა კეთდება ცხოვრებაში. ქრისტეს, წინააღმდეგ ყოველ მეცნიერულ საბუთებისა და საღი აზროვნებისა, ისტორიის ჯინაზე უპოვეს მამა... ვიღაც უპატიოსნო ავანტიურისტი ლეგიონერი. ჭეშმარიტად, აღესრულა სიტყვა წინასწარმეტყველისა: „ხოლო თესლ-ტომი მისი ვინმე მიუთხრას..."

ეხლა ვკითხოთ ჩვენს თავს: გვაქვს თუ არა ჩვენ საკმაო საფუძველი, რომ ტოლსტოის (და მასთან ბ. გომართელისაც) შეხედულება ქრისტეზე შევრაცხოთ სისულელედ და ვირწმუნოთ ქრისტე, როგორც მხოლოდშობილი ძე ღვთისა? დამამტკიცებელი „დიახ", ჩვენის აზრით, ეჭვიქრობთ, იქნება ერთადერთი კანონიერი პასუხი ყველა კითხვაზე, და, რაც არ უნდა ილაპარაკონ უარისმყოფელებმა ჩვენ წმინდის გულით, გონიერის საბუთებით, შეურყევლად უნდა აღვიაროთ და აღვიარებთ კიდეც ქრისტეს ღმერთკაცობის მიუწდომელ ჭეშმარიტებას: „მწამს, უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ..."

## ქრისტე ღმერთი და გომართელის იჭიბოჭია

### წერილი XII (1908წ. № 18)

ამნაირად, მაცხოვრის თვითცნობიერობა მოწმობს მის ღვთაებრიობას. მაგრამ თვითცნობიერობა არის ადამიანის სულის ერთი უხილავი თვისებათაგანი. იგი არ ექვემდაბარება პირდაპირ განხილვა-გამოძიებას. მას ვერ დაინახავ ვერც უბრალო თვალით და ვერც მიკროსკოპით. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია კაცმა თავის ნამდვილი თვითცნობიერობა დამალოს, დაფაროს გარეშე მაყურებლისაგან და სხვანაირად აჩვენოს თავი, ე.ი. მოატყუოს, შეცდომაში შეიყვანოს მხილველი შესახებ თავისი ვინაობისა. მაშინ რა საშუალება გვაქვს შევიტყოთ კაცის ნამდვილი თვითცნობიერობა? „ხე ნაყოფისაგან იცნობებისო" ნათქვამია, აგრეთვე კაცის შინაგან განწყობილებას მისი გარეგანი მოქმედება გამოაჩენს. და არა თუ მოქმედება, სიტყვაც კი გამოაჩინებს ადამიანის ვინაობას. „სთქვი რამე, რომ გიცნოვო" სთქვა ძველმა ფილოსოფოსმა.

ამნაირად, თუმცა თვითცნობიერობა თავისთავად უხილავია, მაგრამ მისი დამალვა გარეშე მაყურებლისაგან შეუძლებელია. ამ მხრით იგი მოგვაგონებს იმ ანდაზის შუბს, რომელიც ხალათში არ დაიმალება. ადამიანის სხეულიც მისი შინაგანი არსების ტომარაა, რომელშიდაც, სადაც არ მოელი, იქ გამოყოფს თავს მისი თვითცნობიერობა. ამის დასამტკიცებელ მაგალითის საძებრად შორს წასვლა არაფის დასჭირდება, თუ მოიგონებს იმ აურაცხელ სოციალისტების ტყავში გახვეულ ეაქბატონებს, რომლებმაც მხეცურ მოქმედებებით დაამტკიცეს, რომ მათ არაფერი საერთო არ ჰქონდათ ხალხის კეთილდღეობასთან და მხოლოდ სოციალისტური ნიღბით იფარვიდენ თავის ნამდვილ თვითცნობიერობას, რომ ესარგებლათ ხალხის უსაზღვრო ნდობით თავის პირუტყვულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი

მატყუარა თვითცნობიერების გამოსაცნობად თვით მაცხოვარი გვაძლევს იარაღს შემდეგ სიტყვებში: ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთა, რომელნი მოვლენან თქუენდა სამოსლითა ცხოვართა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ; საქმეთა მათგან სცანით იგინი".

ამიტომ, თუ მაცხოვრის მაღალი ზნეობა საკმარისი საბუთი არ არის, რომ მისი თვითცნობიერება მოტყუებული არ იყო, მაშინ საჭიროა მივმართოთ სხვა საბუთს, სახელდობრ იმას, თუ რამდენად ამართლებს მაცხოვრის თვითცნობიერობას მისი საქმენი და მოძღვრებანი?

როგორნი არიან საქმენი ქრისტესნი? ისეთი, როგორიც შეჰფერის ღმერთს და არა ,კაცს. კაცი უძლურია, ქრისტე ყოვლად ძლიერია. იგი ერთი სიტყვით ჰკურნავს ყოველგვარ სნეულებას, თვალს უხელს შობითგან ბრმას, აღადგინებს მკვდარს, მიუტევებს ცოდვას, როგორც ადამიანის ავადმყოფობის დასაბამს, რასაც თვალსაჩინო შედეგად ჰყვება ადამიანის სნეულებისგან განკურნება. ე.ი. ქრისტე ქმნის ისეთ საქმეებს, რაც აღემატება ადამიანის ძალღონეთ, ქმნის სასწაულებს. სასწაული! ამ სიტყვის ამოკითხვაზე ერთს გულიანად გადაიხარხარებს ჩვენი ექიმ-მატერიალისტი და მასთან ყველა ჩვენი ყვინჩილა მატერიალისტები, რომლებსაც სასწაული არა სწამთ და არ ფიქრობენ კი, რომ ყველა მათი სწავლა-მეცნიერება დამყარებულია სასწაულებზე. გამოაცალეთ მას (სწავლა-მეცნიერებას) ეს სასწაულები და ნახავთ, რომ სასწრაფოდ შეიმუსრება ის მეორე ბაბილონის გოდოლი, რომელსაც კაცობრიობა დიდი ხანია აშენებს მატერიალიზმის სახელით. მართლაც, რა არის ატომი, გონება, სამარადისო მოძრაობა, თვითჩასახვა, ტვინისაგან აზრის წარმოშობა? რა არის ეს „სამარადისო" მატერია, თუ არა სასწაული სასწაულთა? და განა მხოლოდ ეს? აიღეთ თუნდაც კანტ-ლაპლას-გომართელის თეორია შესახებ ქვეყნის გაჩენისა. განა თავიდან ბოლომდე სასწაულზე არ არის დამყარებული? მაშ, რაღათ ყოფენ უარს სასწაულს სარწმუნოებაში? იმიტომ, რომ ეს სარწმუნოებაა და არა მეცნიერება უკანასკნელისათვის? რას არ მიიღებენ ბ. მატერიალისტები? მათ მხოლოდ ღმერთი არ უნდათ, ღმერთი შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და უმეტეს სძრწიან საუკუნო მისაგებლის წინაშე. ეს უკანასკნელია რომ აფრთხობს მათ და იგინიც ემალებიან სასჯელს, როგორც ადამი ხეებთა შორის, მაგრამ ვერ გრძნობენ უგნურნი, რომ ადამითვე ვერ ასცდებიან მას.

როგორც არაერთხელ გვითქვამს, უარყოფა ყველაფრის შეიძლება, მაგრამ ამას საბუთი უნდა. სახარების სასწაულების უარყოფაც შესაძლებელია, თუ დავამტკიცებთ, რომ მათ ადგილი არ ჰქონია თავის დროზე, რომ იგი მოჭორილია სახარების მწერალთაგან. მაგრამ მთავარიც ის არის, რომ ამის დამტკიცება არავის უკისრნია და ვერც არავინ იკისრებს, და, თუ იკისრებს,

კისერს მოიტეხს იმ აურაცხელ მოწმეთაგან, რომელნიც ამ სასწაულების თვითმხილველნი იყვნენ და რომელთაც არავითარი მიზანი არ ჰქონიათ უბრალო ვინმე ებრაელი გაეღმერთებინათ და თავისი სიცოცხლე, თავისი მეთევზური ბედნიერება მისთვის შეეწირათ. სანამ სასწაულები საბუთიანათ უარყოფილი არ იქნებიან, სანამ თვალსაჩინოდ არ დაამტკიცებენ, რომ მათ არავითარი ნიადაგი არ ჰქონიათ იესო ქრისტეს ცხოვრებაში, მანამ ქრისტეს ღვთაებრიობა ეჭვგარეშეა, წინააღმდეგ გომართელის გეკეკელისაგან ნასესხებ ზღაპრებისა.

მაგრამ მარტო ეს არ მოწმობს იესო ქრისტეს ღვთაებრიობას, ამასვე მოწმობს მისი მოძღვრებაც. როგორია ეს მოძღვრება? ღვთიური, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა და არც მოველით, რომ იქნეს. შეადარეთ განვლილ საუკუნოების ზნეობრივ-გონებრივი ნაწარმოებები, დაწყებული ძველი დროიდგან, ვიდრე ახალი დროის სჯულისმდებელ მარქსამდე. შეადარეთ და ნახეთ, სად არის უმეტესი და უდიდესი მეცნიერება, უგონიერესი და უდიდებულესი ფილოსოფია, სად ირკვევა ყველა უმთავრესი სოციალური და ფილოსოფიური საკითხები სრულიად მარტივად, ყველასათვის გასაგებად და სასარგებლოდ.

## ვინ იყვნენ ძმანი უფლისანი?

(1911წ. №2)

ჩვენი დროის დამახასიათებელი თვისებაა უარყოფა და გადაფასება ყოველგვარი განძეულობისა. ჩვენ დროში უარყოფენ ყველაფერს, რაც ძველად ჭეშმარიტებად და აუცილებელ სიმართლედ მიაჩნდათ. არ არის ჩვენ დროში ცოტად თუ ბევრად შეგნებული ბავშვიც, რომელიც ეჭვის თვალით არ უყურებდეს ყველაფერს, რაც დაწერილია და რაც ცნობილია საღმრთო განცხადების სახელით. ეს კარგად იციან ეგრეთ წოდებულმა საღვთო სჯულის მასწავლებლებმა. ყველას ჰგონია, რომ ძველი წმ. მწერლები განზრახ შეთქმულან ჩვენი დროის ადამიანების მოსატყუებლად. ამიტომ, სულ მცირედი რამ ვითომ წინააღმდეგობა ან დასრულებული აზრი, ან გაუგებარი ადგილი საღვთო წერილის რომელიმე წიგნში საკმარისია, რომ მთელი საღვთო განცხადება უარჰყონ და მისი მატარებელნი და მაუწყებელნი განზრახ მატყუარებად ჩათვალონ.

ერთ ასეთ საბუთს, შესახებ იესო ქრისტეს პიროვნებისა, იძლევა ამგვარ პირთათვის, მაგალითად, ის გარემოება, რომ ყველა მახარებლები იხსენიებენ იესოს ძმებს. ამიტომ, მეტი არ იქნეს, რომ ასეთი ვითომდა საეჭვო ადგილები განვმარტოთ ხოლმე მოეჭვეთა სახელმძღვანელოდ. დავიწყოთ

დასმული კითხვითგან: ვინ იყვნენ ძმები ქრისტესნი? თუმცა ყველა მახარებლები იხსენიებენ იესოს ძმებს, მაგრამ სახელდობრ აღნიშნავენ მას მხოლოდ მათე და მარკოზი. პირველი გადმოგვცემს ურიების განცვიფრებას შესახებ იესო ქრისტეს მოძღვრებისა, ამბობს: „ვინა არს ამისა სიბრძნე ესე და ამისა ძალი? ანუ ესე არა არსა ხუროსა მის ძე? ანუ არა დედასა მისსა ჰქეია მარიამ და ძმანი მისნი იაკობ და იოსე და სვიმონ და იუდა და დანი მისნი არა ყოველნი ჩვენ შორის არიანა?" (XIII, 54-56).

მარკოზი იმავე შემთხვევის გამო ამბობს: „ვინა არს ესე ამისა? ანუ არა არს სიბრძნე ესე მიცემული ამისა, და ძალნი ესოდენნი ხელთაგან ამისთა, რომელნი იქნებიან? ანუ არა ესე არსა ხურო და ძე მარიამისი და ძმა იაკობისი და იოსესი, და იუდასი და სვიმონისი? და დანი მისნი ყოველნი ჩვენთანა არიან" (VI, 3-3).

ამნაირად, იესოს ძმებად იწოდებოდნენ იაკობი, იოსე, სიმონ და იუდა. მაგრამ ვისი შვილები იყვნენ ისინი? ამ კითხვის გამოსარკვევად დავუბრუნდეთ ისევ სახარებას. როცა იესო ქრისტეს ჯვარქვეშ მდგომ ქალებს ასახელებენ, მახარებლები ამბობენ: მათე: „რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი, მარიამ დედა იაკობისი და იოსესი და დედა ძეთა ზებედესთა" (XVII, 56).

მარკოზი: „ხოლო იყვნეს დედანიცა, რომელნიც შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ, დედა იაკობ მცირისა და იოსესი, და სალომე" (XV, 40).

იოანე: „ხოლო სდგეს ჯვარსა მას თანა იესოსსა დედამისი და დაი დედისა მისისა, მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდალინელია" (XIX, 25).

ლუკა: „ხოლო იყვნენ (მიმავალნი საფლავსა ზედა): მაგდალინელი მარიამ და იოანნა, და მარიამ, დედა იაკობისა და სხუანი მათთანა", აქედან სჩანს, რომ ჯვარქვეშ იდგნენ სამი მარიამი: მარიამ - დედა უფლისა, მარიამ მაგდალინელი, და მარიამ, რომელიც იოანეს მოწმობით არის მარიამ კლეოპასი და დაი დედისა იესოსი - ეგევე მესამე მარიამი, მათეს სიტყვით, არის დედა იაკობისა და იოსესი, მარკოზის სიტყვით - დედა იაკობ-მცირისა და იოსესი, ხოლო ლუკას სიტყვით, დედა იაკობისი. აქედან სჩანს, რომ იაკობი (რომელსაც მარკოზი „მცირედ" სახელსდებს, უთუოდ იაკობ მოციქულისაგან განსხვაევებულად) და იოსე იყვნენ შვილები მარიამ კლეოპასი, დისა ღვთისმშობელისა, თუმცა, აქ ცხადად არ არის ნაჩვენები, თუ ვისი შვილები იყვნენ სიმონი და იუდა, მაგრამ, რადგან მაცხოვრის მოძღვრების მსმენელნი ურიანი ამათაც იესოს ძმებად ხადიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენიც შვილები იყვნენ მარიამ კლეოპასი, ანუ ძმები იაკობისა და იოსესი.

ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი დედისერთა იყო, და, მაშასადამე, მარიამ კლეოპასი იქნებოდა მისი ან ბიძაშვილი, ან დეიდაშვილი, და ან სხვა რაიმე ნათესავი, ხოლო მისი შვილები - იაკობი, იოსე, სიმონ და იუდა და ასულნი მისნი, რომლებსაც სახელდობრ არ ასახელებენ მახარობლები, ხორცით ნათესავები ქრისტესი. ამასთანავე ის სიტყვა, რომელიც ნახმარია ბერძნულ სახარებაში, რომელიც გადმოთარგმნილია სიტყვით „ძმა“ ნიშნავს არა მხოლოდ ერთი დედ-მამის შვილებს, არამედ ნათესავებს საზოგადოდ, ბიძაშვილებს და სხვა. ამიტომ არაფერ საბუთს არ იძლევა იესო ქრისტეს და ნახსენებ პირებთა ნათესაურ კავშირის გამოსარკვევად.

ქრისტეს უარმყოფელნი ამბობენ, რომ იესოს ქრისტეს ძმებად უნდა ვიგულისხმოთ მკვიდრი შვილები იოსებისა და მარიამისაო. მაგრამ ამ საგმობი მოსაზრების წინააღმდეგ, გარდა მოყვანილი ადგილებისა, შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი: 1) არსად, არც ერთ სახარებაში არ არის ისეთი ადგილი, რომელიც საბუთს იძლეოდეს ვიფიქროთ, რომ ქალწულ მარიამს ჰყავდა შვილები იესოს გარდა; წინააღმდეგ - ყველგან იგი იწოდება დედად მისსა ანუ დედად იესოსსა, ე.ი. დედად მხოლოდშობილისა ძისა. 2) უკანასკნელ წამებში, როცა უკვე დასრულდა ქვეყნიური მოღვაწეობა და ემზადებოდა განსვლად მამისა თვისისა, მაცხოვარმა ჯვრიდგან, იხილა რა დედა თვისი და საყვარელი მოწაფე იოანე, რქვა მას: „დედაკაცო, აჰა ძე შენი! და მოწაფეს: აჰა, დედა შენიო!“ და ამგვარად, გაუჩინა მას ქვეყნიური მზრუნველი და მომვლელი. ასეთი საქციელი იესო ქრისტესი შეუწყნარებელი იქნებოდა, თუ ქალწულ მარიამს სხვა ოთხი შვილი კიდევ ჰყავდა. 4) ერთმა უფროსმა ძმად წოდებულთაგანმა, იაკობმა, რომელიც ქრისტეს აღდგომის შემდეგ მოიქცა და იქმნა პირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა, დასწერა კათოლიკე ეპისტოლე განთესულთა ებრაელთა მიმართ. ამ ეპისტოლეში იგი ძმად არ უწოდებს იესოს, არამედ თავის ეპისტოლეს იწყებს შემდეგი სიტყვებით: „იაკობი, მონაღეთისა და უფლისა იესო ქრისტესი“. მაშასადამე, იგი არც ძმა ყოფილა იესოსი, იმ მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ გვესმის სიტყვა „ძმა“, თუმცა იგი მაინც იწოდებოდა ძმად უფლისა; და 5) წარმოუდგენელია, რომ ოთხმოცდაოთხი წლის მოხუცს იოსებს ჰყოლოდა ხუთი ვაჟი და რამოდენიმე ქალი. მაგრამ ვინ იყო მამა იაკობისა, იოსესი, სიმონის და იუდასი დებითურთ? რადგან დედა მათი სახელდებულია მარიამ კლეოპასად, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამი იყო ცოლი კლეოპასი, რომელიც იყო მამა ეგრეთ წოდებულ უფლის ძმებისა.

# ქადაგებები, სიტყვები, წერილები სტატიები საჭირბოტორო საკითხებზე

## მღ. სიმონ მჭედლიძის ქადაგება, წარმოთქმული ქუთაისის ტაძარში

(№ 10, კვირა, 17 მარტი, 1913, წელიწადი მეექვსე)

**მართლმადიდებლობის კვირიაკე**

*„რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა,*
*მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა"*

დღეს მართლმადიდებლობის კვირიაკეა, დღეს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს თავის ბრწყინვალე საბოლოო გამარჯვებას იმ ცრუ მოძღვრებ-მწვალებლებზე, რომლებიც თავიდგანვე ამახინჯებდენ ქრისტეს სპეტაკ მოძღვრებას, ჩირქს სცხებდენ მის ღვთაებრივ ჩამომავლობას თავის ტლანქი უარისყოფით.

რადგან დარწმუნებული ვარ, რომ აქა მდგომარეთა უმეტესმა ნაწილმა არ იცის მიზეზი დღევანდელი დღესასწაულის დაწესებისა, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მცირე რამ ისტორიული ცნობა მოვიყვანო ამის შესახებ. მერვე საუკუნის დასაწყისში ბერძენთა მეფემ, ლეონ ისავრმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა თათრებზე, რომლებიც არ ასვენებდენ ბერძნებს განუწყვეტელი ომებით და მოინდომა მათი გაქრისტიანება იმ აზრით, რომ გაქრისტიანებული თათრები აღარ შეავიწროებენ ერთმორწმუნე საბერძნეთს. მეფე თავის უგნურებით მხოლოდ ერთ დაბრკოლებას ხედავდა ამ საქმეში, სახელდობრ იმას, რომ თათრები უარსყოფენ ხატების თყვანისცემას, როგორც კერპთმსახურებას. მაშასადამე, ფიქრობდა ლეონ მეფე, თუ საქრისტიანოში ხატების თაყვანისცემა მოვსპევი, თათრები თავისთავად გაქრისტიანდებიანო. ამ მიზნით მეფემ ჯერ ბრძანა, ხატები ისე მოეწყოთ ეკლესიაში, რომ მლოცველი ვერ შესწდომოდა სამთხვევათ, ე.ი. ხატები მარტო-ოდენ ეკლესიის მორთულობა ყოფილიყო თათრების თვალში და არა ქრისტიანების სათაყვანებელი საგანი. რათქმა უნდა, ასეთმა ვერაგობამ ვერ გასჭრა მახმადის შვილებზე. მაშინ მეფემ ბრძანება გასცა ხატები ეკლესიებიდან და კერძო სახლებიდან მოედნებზე გამოეტანათ და დაეწვათ. ვინც ან ბრძანებას არ ასრულებდა, სდევნიდენ, აწამებდენ. მეფეს გაუმტყუნდა მოლოდინი: ხატების დევნამ თათრები ვერ გააქრისტიანა. სამაგიეროდ, გაჩნდა ეგრეთწოდებული ხატთა წინააღმდეგ მბრძოლთა მწვალებლობა, რომელიც მთელი 100 წელიწადი აღელვებდა მართლმადიდებელ ეკლესიას. ბევრი გამოჩენილი

ეკლესიის მამები იბრძოდენ ამ მწვალებლობის წინააღმდეგ, ბევრმა მიიღო წამების გვირგვინი და ბოლოს მაინც გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ ნიკეის მსოფლიო კრებაზე 787 წელს და კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე 842 წელს და აი, სწორედ ამ უკანასკნელმა კრებამ მართლმადიდებელ სარწმუნოების გამარჯვების სახსოვრად დასდვა დღესასწაული მართლმადიდებლობისა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს.

ამიტომაც დღეს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანე ეკლესიაში უნდა იყოს და პირქვე დამხობილი მადლობას სწირავდეს მაცხოვარს, რომელმაც დაიცვა ქვეყანაზე ჭეშმარიტი სწავლა მართლმადიდებლობისა. მაგრამ განა ბევრი ვაფასებთ დღევანდელი დღის მნიშვნელობას? ბევრმა ვიცით, რა არის მართლმადიდებლობა? სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ბევრს არ ესმის მნიშვნელობა მართლმადიდებლობის სახელწოდებისა. საზოგადოთ, სარწმუნოების გამოძიების და შესწავლის სურვილი დაეცა ჩვენში სკოლაში თუ ოჯახში. დღეს უფრო მეტს კითხულობენ და მეტ ყურადღებას აქცევენ საერო მეცნიერებას. სასულიერო წიგნებს კი, იმ წიგნებს, რომლებიც ასწავლიან სჯულზე, სარწმუნოებაზე, სასუფეველზე, სრულებით ყურადღებას არ აქცევენ თითქმის ისინიც კი, ვინც ვალდებულია, ზედმიწევნით იცოდეს მთელი სჯული და პასუხს აძლევდეს ყველა მკითხველს. სადღვთისმეტყველო განათლება სამღვდელოებაშიდაც დაეცა. წინააღმდეგ, ის წიგნები, რომლებიც ღმერთზე, მარადისობაზე, სასუფეველზე, ერთი სიტყვით, სიცოცხლეზე გვიქადაგებენ, დევნულებას განიცდიან ჩვენ ეგრეთ წოდებულ მართლმადიდებელ საზოგადოებაში და მათი ადგილი უჭირია ისეთ წიგნებს, რომლებიც უხშავენ ადამიანს აღმაფრენას, უნათესავებენ ცხოველებს, აკრავენ დედამიწას, აშორებენ ცას, შეუმჩნევლად უშხამავენ სულს, აძულებენ თავს, მოყვასს, ქვეყნიერობას და მიჰყავთ სასოწარკვეთილების უფსკრულამდე. დასამტკიცებლად ამისა, შეიხედეთ რომელ ოჯახშიდაც გინდათ, გადაქექეთ საწერი მაგიდები, გამოანგრიეთ საწიგნე შკაფები — იქ შეხვდებით ყოველნაირ საერო წიგნებს, უკანასკნელ ქუჩურ საოხუნჯო წიგნაკებამდე და ვერ შეხვდებით კი ცხოვრების წიგნს, ვერ ნახავთ სახარებას, ვერ იპოვით ერთ წიგნაკსაც, რომელიც ასწავლიდეს საღვთო მეცნიერებას ადამიანის დანიშნულებაზე, ღმერთზე სჯა-ბაასს და, საზოგადოთ, საღვთო საგნებზე ხომ ვერ გაიგონებთ ოჯახებში და, თუ გაიგონებთ, ეს მაშინ, როცა დასჭირდებათ მოიყვანონ მაგალითი ცრუმორწმუნეობისა, ადამიანის გონების დაბნელებისა და დამახინჯებისა.

საზოგადოთ დღევანდელი ადამიანი უფრო აფასებს წუთიერ ცხოვრებას, ვიდრე სამარადისოს. ის სიამოვნებით და გატაცებით დაგიწყებსთ ლაპარაკს რუსეთ-იაპონიის ომზე, დღევანდელ ბალკანეთის ამბებზე, ისეთ გარდასულ

ამბებზედაც კი, როგორიც არის ნაპალეონის ომები; მოგიყვებათ ამ ომების მიზეზებს, დაგიმტკიცებსთ მათ აუცილებლობას და საჭიროებასაც კი, ქებადიდებით მოიხსენიებს სხვადასხვა ძველ და ახალ მეფეების და სარდლების საგმირო საქმეებს და ერთ სიტყვასაც არ დასძრავს და მასალაც არ აქვს გელაპარაკოს სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, უბიწოების, საზოგადოთ სათნოების და საღვთო ზნეობის გმირებზე, როგორებიც არიან ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლი ღვთისმეტყველი; ერთი სიტყვითაც არ მოიხსენებენ პავლე მოციქულს, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა სიყვარულისა და სიწმიდის ქადაგებით. გამოდის, რომ მშვიდობიან ადამიანთა მუსრგამელები, მელეტელი და მაწამებელი ადამიანები უფრო გვაინტერესებენ, ვიდრე სათნოებისა და სიყვარულის მთესველნი.

ჩვენი საზოგადოების ასეთმა მახინჯმა გონებრივმა მიმართულებამ არ დააყოვნა შესაფერი მახინჯი ნაყოფის გამოღება: გამრავლდა ჩვენში ბიწნი და უბედურებანი, დაეცა ზნეობა, აღარავის უკვირს მეძაობა, სიმუხთლე ცოლსა და ქმარს შორის, მკვლელობა, თვითმკვლელობა, შეიქნა სრული თავაშვებულობა, ეგრეთ წოდებულმა განათლებულმა საზოგადოებამ პირი იბრუნა ეკლესიისაგან, მიატოვეს ქრისტეს აღსარება და მიაშურა რას? თეატრს, კლუბს, სხვადასხვა სასეირნო და გასართობ ადგილებს, რომლებიც თავისი მორთულობა-მოკაზმულობით და მნახველი საზოგადოებით ვნებათა აშლას უფრო ემსახურებიან, ვიდრე სულის სიმშვიდეს, ბიწიერებას უფრო ბევრს სთესენ, ვიდრე სათნოებას, უფრო შურისა და სიძულილის დამყარებას ემსახურებიან, ვიდრე ერთმანეთის დაახლოებას და ერთობას. შებძანდით კლუბში ნაშუადღევის 7-8 საათიდან — ვის ვერ ნახავთ აქ, მთელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და ყვავილი აქ არის: ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, აღმზრდელი, დიდი და პატარა ჩინოვნიკი, მაღალი წოდების და თანამდებობის პირნი, ყველა, ყველა აქ არის და მათ შორის ბანოვანი ქალებიც, რომელთაც მიუტოვებიათ ოჯახი, შვილები, სადღესასწაულო თვალ-წარმტაც ტიკინებივით მორთულ-მოკაზმულან, რომ მიიზიდონ, მიიპყრონ მამაკაცთა ყურადღება. შემოიხედეთ ამ დროს ეკლესიაში — ვის შეხვდებით? მღვდელს დიაკვნითურთ და მასთან ორიოდ მუდმივ მლოცველთ. და ეს, თითქოს განძრახ ყოველ დღესასწაულში ხდება, როცა ზარის ხმა ტაძრისკენ იწვევს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს. და რომ იკითხოთ ამის მიზეზი, გეტყვიან: მოგვბეზრდა ეკლესიაში ერთი და იგივეს სმენაო. ნეტა რა მობეზრდათ, როცა ეკლესიის კარსაც ვერ მიაგნებენ! როდესაც ეკლესიას აღდგომასაც არ ნახულობენ? მაგრამ ჩვენ გვიკვირს, მაინც რა სხვადასხვაობას ხედავენ ეს ვაჟბატონები და ქალბატონები კლუბში? კარტი და ლოტო — ლოტო და კარტი, ცეკვა და თამაში — თამაში და ცეკვა ქალები

და კაცები, დაულევნელი თავბრუდამხვევი ბზრიალი, ტრიალი, პირფერობა, მლიქვნელობა, ერთმანეთის მოტყუება და სულ ასე, ყოველდღე, ყოველ წუთში. სადაა აქ გასართობელი სხვადასხვაობა? სად არის აქ საგანი უსაყვარლესი ოჯახისა, შვილებისა, ეკლესიისა, ღვთისა, მაცხოვრისა? აქ არის მხოლოდ წუთიერი სიამოვნება, ვნებათა ღელვა, და ხანგრძლივი და, შეიძლება სამარადისოც — ჯავრი და სინანული უზრუნველობაში გატარებულ ახალგაზრდობაზე, დაკარგულ ჯანსაღობაზე, დაფანტულ მხნეობაზე, გაბნეულ ტალანტზე. ასეთი მახინჯი, ასეთი უარყოფითი მიმართულება მიიღო დღეს ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა მართლმადიდებელმა საზოგადოებამ და ამიტომაც არის, რომ მართლმადიდებლობის დღესასწაულს არ აფერადებს დღეს ჩვენი ნასწავლი თაობა და მხოლოდ მდაბიო და უსწავლელ ხალხს აგვიყსია ეკლესია. მაგრამ კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ესე ყოველი დაფარა ბრძენთაგან და გამოუცხადა იგი სულელთა! ნუ გეშინია, მდაბიო ძმაო, და ნუ შეღრკება შენი გული სასოებაში, თუ შენ გვერდით არ გიდგია შენი ნასწავლი ძმა. ბევრი იყვნენ ნასწავლი და ბრძენნი ძველ დროში, როცა იესო ქრისტე ქვეყნად მოღვაწეობდა, მაგრამ მისი სწავლა, მისი მოძღვრება უფრო მეთევზურებმა შეიგნეს, მისი ღვაწლი კაცობრიობისთვის უფრო გლახაკებმა დააფასეს და პირველათ ისინი შეუდგნენ მის სამეუფოში და მის სასუფეველში. ქრისტეს შემდეგ ქვეყანა მეთევზურებმა გაანათლეს, განაახლეს, სული ჩაუდგეს მკვდარ, ბოროტებაში ჩაფლულ ზნეობით დაცემულ და გათახსირებულ კაცობრიობას. ნუ, ნუ გეშინია, ძმაო, ღმერთი არ აფასებს ადამიანის მაღალ სწავლა-განათლებას, მისი სადგურია გული შემუსვრილი, სული შემუსვრილი და დამდაბლებული. მას არ უყვარს დიდი სასახლეები, იგი უფრო ადვილად თავსდება მწყემსების გამოქვაბულში, ლაზარე მეგობრის სახლში, ღარიბ იოსებ ხუროს ოჯახში. მაშ, ჩვენ, გლახაკთა, ვიდღესასწაულოთ დღევანდელი დღე მართლმადიდებლობისა, ჩვენ ვიხაროთ სულითა, რომ მართლმადიდებლობამ სძლო მწვალებლობას, რომ სინათლემ გაიმარჯვა სიბნელეზე, სამოთხემ — ჯოჯოხეთზე! ეს გამარჯვება სამუდამოთ შეგვრჩება, სანამ მეორედ მოსვლის საყვირი არ დასცემს თავზარს ღვთისა და ეკლესიის უარმყოფელს. მკვდარნი აღდგებიან უხრწნელნი და ჩვენ, ცოცხალნი — განვახლდებით. ნუ დაგვემდურებიან ჩვენი უფროსი ძმები, თუ ყოველი ლონისძიების შემდეგ დღეს ეკლესია უარჰყოფს მათ, გამოაცხადებს, რომ იგინი არ არიან შვილნი მისნი. სამაგიეროდ დაიმდაბლონ თავისი თვისნი, მოიდრიკონ ამპარტავანი გული, დაუმორჩილონ ზვავი გონება თვისი ღვთის სიბრძნეს, შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ქვეყნად არ არის ჭეშმარიტი ბედნიერება ადამიანისთვის, რომ ვერავითარი განცხრომა, გინა გონების განვითარება ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის ბედნიერებისადმი

ლტოლვილებას: შეიგნონ, რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ იწყება, სადაც არ არის სალმობა და მწუხარება, დაუბრუნდნენ ეკლესიას, აღიარონ ქრისტე ძედ ღვთისად, სულთა და ხორცთა მპყრობელად, რათა იგინიცა და ჩვენცა აღგვიაროს უფალმა წინაშე მამისა თვისისა. ამინ!

## *სიტყვა ახალ წელიწადს*

***(„შინაური საქმეები", 1911, №2)***

„ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი,
და ესე ყოველი მოგეცეს თქვენ".

დღეს ახალი წელიწადია, დღევანდელ დღეს ყველანი განსაკუთრებით განატარებენ, დღევანდელი დღე განსხვავებულია წელიწადის სხვა დღეებში, დღეს განსაკუთრებულ რჩეულ საჭმელებს სჭამენ, რჩეულ სასმელებს სვამენ, სხვა და სხვა ხმელ და ნედლ ხილეულობას მიირთმევენ; დღევანდელ დღეს ულოცავენ ერთი მეორეს და უსურვებენ ურთიერთს სიმდიდრეს, ტანმრთელობას, დღეგრძელობას – ერთი სიტყვით, ამ ქვეყნიურ ბედნიერ ცხოვრებას. დღეის დღისათვის განსაკუთრებით ემზადება მდიდარიც და ღარიბიც და რაც შეიძლება ყველა ცდილობს მეტი ხორციელი სიამოვნება განიცადოს ამ დღეს. დღეს ცდილობენ დაივიწყონ ყოველგვარი, წლის განმავლობაში განცდილი უბედურებანი და უსიამოვნებანი, ნახული ზარალი და გაჭირვებანი, ყველა ხარობს ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ცხოვრების მოლოდინში. ყველა ოცნებობს, რომ საუკეთესოდ მოაწყობს თავის ცხოვრებას, ყველას ნათელი გეგმა აქვს დახატული თავის მომავალი ცხოვრებისათვის და დარწმუნებულიც არის, რომ იგი განახორციელებს ამ გეგმას და დატკბება სრული ბედნიერებით, სრული ნეტარებით; განვლილ გაჭირვების დამვიწყებელი, არავის აღარ ჰგონია, თუ რაიმე დაბრკოლებას გაინიცდის მომავალ წელში. ასე ბრწყინვალე იმედებით არის აღვსილი დღეს ყოველი კაცი, მდიდარი თუ ღლახაკი, ნასწავლი თუ უსწავლი და ყველანი მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნიურ ბედნიერებაზე ფიქრობენ და ერთ წამსაც არ უფიქრდებიან იმ გარემოებას, რომ ასეთი ბედნიერება ხანგრძლივი არ არის, რომ, როცა იქნება, ადრე თუ გვიან, შეიძლება ამ წელშიაც, შეიძლება ხვალაც დღესაც, ამ საათშიც, ბოლო მოეღოს ამ ჩვენ სასურველ და სანატრელ ბედნიერებას, ამ ჩვენ ბრწყინვალე გეგმებს და სურვილებს და განა ყოველ წამს არ ვხედავთ მოლოდინის გაცრუების მაგალითებს? აი ყმაწვილი, ჯანსაღი ჭაბუკი! პირველ შეხედულებით ყოველი გარემოება ხელს უწყობს, რომ ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრებით დასტკბეს, თვითონაც დარწმუნებულია, რომ ბედნიერების კარები ღიაა მისთვის, მაგრამ აი, ულალატა გულის სატრფომ, ცხოვრება სამსალათ გადაექცა, ვეღარ აიტანა ბედის სიმუხთლე,

დასწყეელა წუთი-სოფელი, დაჰგმო თავის სიცოცხლეც, ამაოაო ყოველი-ვე, სთქვა მან და გამოესალმა წუთი-სოფელს. აგერ მდიდარი, ფუფუნებაში ცხოვრებას ატარებს, ყველას ჰგონია ბედნიერია, თვითონაც ამას გაიძახის, მაგრამ დატრიალდა უკუღმა ბედის ჩარხი, ვეღარათ სიმდიდრე ხელიდან გამოეცალა, დარჩა ღატაკი; კმაყოფილებას ნაჩვევმა, ვეღარ აიტანა გაჭირვება და გაიგმირა გული აგერ კიდევ... მაგრამ რათ გვინდა მაგალითები, გავიხსენოთ უკვდავი იგავი ქრისტესი მდიდარ კაცზე, რომელმაც რქვა სულსა თვისსა: „სული ჩემო, მრავალი გაქვს დაუნჯებული ამა ქვეყანასა, სვი, ჭამე და იხარებდე". ხოლო მასვე ღამესა მას ამოხდა ის სული, რომელსაც ამდენ ბედნიერებას უმზადებდა: უგუნურო, ვის უნდა დარჩეს ეხლა შენი სიმდიდრე? მაგონდება მშვენიერი სიტყვები საღვთო საგალობელისა: „ოდეს სოფელი ყოველი შევიძინო, მაშინ საფლავივე დავიმკვიდრო!" როგორ ამაო არის წუთისოფელი! — ქვეყნის მფლობელმა სამი არშინი მიწა უნდა დაიმკვიდროს! მაგრამ არც ეს იქნეს შეიძლება ჩემი საუკუნო სამკვიდრებელი: გაივლის ხანი და მიეწყებულ ჩემ სამარეს გასჩიჩქნის რომელიმე შეუბრალებელი მესაფლავის ხელი და ამოჰყრის ჩემ გამხმარ ძვლებს, რომ ახალ ცხედარს მისცეს ალაგი! „ჭეშმარიტად ამაოა ყოველი და ცუდად, უმიზნოდ შფოთავს ყოველი მიწით შობილი!"

თუმცა ასეთი წარმავლობა, ფუქსავატობა და ამაოება ამა სოფლისა ყველას კარგათ გვესმის, მაგრამ მაინც უპირველესი საზრუნავი ჩვენი იგივე წუთისოფლის ცხოვრებაა, მაინც აქ ვეძებთ ბედნიერებას და ბედნიერსაც მას ვეძახით, ვინც „კმაყოფილებაში", ე.ი. სიმდიდრეში სცხოვრობს. ამიტომაა რომ დღევანდელ, ვითომდა ბედნიერების დასაწყისს დღეს, პატივსა ვსცემთ და განსაკუთრებულ განცხრომას ვეძლევით. ამიტომაა, რომ გვავიწყდება დღევის დღის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნახევარმა არ ვიცით, რომ დღეს წმ. ეკლესია დღესასწაულობს წინადაცვეთასა მაცხოვრისასა და მოიგონებს ცხოვრებასა და მოღვაწეობასა ეკლესიის მამად და მანათობლად წოდებულისა დიდისა ვასილისასა. შობის ხე, ჩიჩილაკა, კამფეტები, არაყი, ხაჭაპურები — აი, რამ ჩანთქა დღევანდელი დღესასწაულის ჭეშმარიტი აზრი. „ზრუნვამ მრავალსა ზედა" დაგვავიწყა, რომ კაცისათვის მხოლოდ „ერთი არს სახმარ, რომელი არა მიეღოს მას, რამეთ მასთანა ეგოს უკუნისამდე". და ეს ერთი არს „სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი". ხოლო ყოველივე ესე, რაც ჩვენ ჩვენი ზრუნვის უმთავრეს საგნად მიგვაჩნია, ყოველივე ქვეყნიური კმაყოფილება მისაგებელია, ჯილდოა მისი, ვინც ეძიებს „პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა". „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი მოგეგოს თქვენ" — გვპირდება მაცხოვარი და მხსნელი ჩვენი — იესო ქრისტე. აი, ეს მცნება უნდა ხელმძღვანელობდეს ყველას, ვინც ეძიებს ჭეშმარიტ, უტყუარ და „მიუღებელ" ბედნიერებას, და არა სიზმარს,

და აჩრდილს, და კოშლს გასთიადისას, რომელიც არის წუთიერი ესე წარმაეილი ცხოვრება ჩვენი მთელი თაეის სიმდიდრით და განცხრომით.

არავინ იფიქროს, ძმანო, რომ ეითომ ეკლესია წინააღმდეგი იყოს სიმდიდრისა და კმაყოფილებისა. ღმერთმა სახიერებითა თეისითა გააჩინა ადამიანი, დასვა იგი მეფედ ყოველთა ქმნულთა ზედა და ყოველივე დაუმორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა. აქედან სჩანს, რომ კაცი ნეტარებისთვის არის გაჩენილი, აქედგან სჩანს რომ კაცმა უნდა ისარგებლოს ქვეყნისგან და შექმნას თვისი კმაყოფილება, გარნა ამასთანავე ჯერ არს არ დაივიწყება ღვთისა. რადგან უმთავრესი და უაღრესი ნეტარება ადამიანისა ღმერთთან ერთობაშია. სრულ ნეტარებას იგი განიცდის, ვისაც არ დაუკარგავს კავშირი ღმერთთან, ვინც გრძნობს მის სიახლოვეს, ვინც მას თავის გულში და გონებაში ატარებს, ვინც მის მცნებების აღსრულებაში ვარჯიშობს. გნებავთ, დავიმტკიცოთ, რომ ყოველ ქვეყნიურ ნაკლულევანებასთანაც ბედნიერია კაცი, თუ მას არ გაუწყვეტია კავშირი შემოქმედთან? ამის მაგალითს წარმოგვიდგენს დიდი ვასილი, რომლის ხსენებას, როგორც ესთქვით, დღეს აღასრულებს ეკლესია. ერთხელ მაცხოვრის ღვთაების უარის მყოფელმა მეფე ვალენტინმა მიუვლინა წმ. ვასილს თავის სიმკაცრით, სიმხეცით და შეუბრალებლობით შესანიშნავი მხედართმთავარი მოდესტი, რომელსაც უნდა დაეთანხმებია ვასილი არიოსის მოძღერებაზე — რომ იესო ქრისტე არ არის ღმერთი, არამედ კაცი. მოდესტმა ჯერ დაპირებით და მოფერებით სცადა დაეთანხმებია ვასილი და, რომ არაფერი გაუვიდა, დაუწყო რისხვა და ექადა გაძევებას, ქონების წართმევას და ბოლოს სიკვდილსაც. მაგრამ წმ. ვასილმა დამშვიდებით უპასუხა მოდესტს: „წართმევის არ მეშინია, რადგან არა გამაჩნია-რა, სამშობლოდგან გაძევებას არ ვუბრთხი, რადგან ყველგან უფლისა არს ქვეყანა, სიკვდილი კი ჩემთვის სასურველია, რადგან იგი შემაერთებს მე ქრისტეს, რომლისათვისაც ვცხოვრობ და ვიღვწიო“. აი ჭეშმარიტი ბედნიერება, ძმანო, რომელსაც თვით სიკვდილისაც არ ეშინია, რადგან იგი სიკვდილი საშვალებაა ქრისტესთან შეერთებისა. აი, წარუვალი და სამარადისო მიუღებელი ბედნიერება! რას წარმოადგენს ამასთან შედარებით ის ბედნიერება, რომელსაც ჩვენ ბედნიერებას ვეძახით და რომლის დაკარგვას ერთი წამი, ერთი მოულოდნელი შემთხვევა სჭირდება? რას წარმოადგენს ის ბედნიერება, რომელიც საფლავის კარამდინაც ვერ მიგვაცილებს, რომელიც არა თუ ჩვენ გვიდარაჯებს, არამედ ჩვენგან თხოულობს დარაჯობას, მოვლას და პატრონობას? მაგრამ რომ არ იფიქრო, რომ ეკლესია წინააღმდეგია ასეთი ბედნიერებისაც, თუ იგი ბედნიერებად მიგაჩნია, დაუგდე ყური ამ წმიდა წირვის შემდეგ გადასახდელ პარაკლისს და შეიგნე, რა რიგ ლოცულობს ეკლესია ამ შენი წარმავალი ბედნიერებისათვისაც კი, დააფასე ესევითარი მისი მამობრივი ზრუნვა და სიყვარული შენთვის და ნუ დაივიწყებ უმთავრესსა შენი ცხოვრების მიზანსა: „ეძიებდე პირველად

სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა".

დღეს მილოცვის დღეა, დღეს ურთიერთითათვის სურვილების გამოხატვის დღეა და ჩემი სიტყვაც შეუფერებელი იქნება, თუ არ მოგილოცეთ და არ გამოვსთქვი, რაც მე მსურს თქვენთვის. გილოცავთ წასული წლის მშვიდობით გატარებას და მომავალი წლის მხიარულად მიგებებას. გისურვებთ სულის მშვიდობას, სარწმუნოების განმტკიცებას, ღმერთთან და ეკლესიასთან მტკიცე და შეურყეველ ერთობას, ძმათ მოყვარებას, გლახაკთა მოწყალებას, საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებისათვის მეტ ყურადღებას და გულშემატკივრობას, ზნეობის ამაღლებას ქრისტეს მცნებათა შესაფერად, განდგომილთა და უარის მყოფელთა მოქცევას ქრისტეს მიმართ, გისურვებთ აგრეთვე ქვეყნიურ, სიმდიდრეს კეთილისა მოსახმარად.

შემოქმედმა გვიკურთხოს ყველას ერთობით ვეირგვინი წელიწადისა და მოგვეცეს შეძლება მისთა მცნებათა განხორციელებისა!

მღ. ს. მ — ძე

## სიტყვა აკაკის იუბილეს დღეს

(1908წ. 14 დეკემბერი, №29)

სიერცით პატარა, მაგრამ ბუნებით მდიდარი, შვილთა რიცხვით მცირე, მაგრამ ნიჭიერ ადამიანებით მრავალრიცხოვანი, ქვეყნიერების ერთი საუკეთესო კუთხე, კოლწია საქართველო ჯერ კიდევ ვერ ათავებს თავის დღესასწაულს, თავის საუკეთესო გონების წარმტაც ეროვნულ იდეათა და მისწრაფებათა იუბილეს. ბევრგან ჯერ კიდევ არც კი დაწყებულა ეს იუბილე. ბევრგან მხოლოდ საქორწინე დღესასწაულის წინასწარ სიტკბოებას განიცდიან და ჯერ არ უხილავთ სიძე, რომელმაც უნდა მისცეს მიზეზი ნადიმის დაწყებისა, მხიარულებისა და აღფრთოვანებისა. ვინ არის ეს სიძე, რომლის მოსვლას ასეთი მხიარულება, ასეთი აღფრთოვანება და აღტაცება მოაქვს? ეს გახლავთ საქართველოს ღვიძლ შვილთა ძირითად იდეათა და მისწრაფებათა მატარებელი, საქართველოს დედა აზრის მტვირთველი და მპყრობელი, თვით განხორციელებული საქართველო - აკაკი. სასიამოვნო ჟრუანტელი, რომელიც ამ სახელის ხსენებაზე ტანში გაივლის, გულის ტოკვა, რომელიც იძლევა რაღაც გამოურკვეველ მხიარულებას, უტყუარი საბუთია მისი, რომ ყველა ქართველი აკაკია და აკაკი - ყველა ქართველი. რომ მისგან, აკაკისგან დახატული ეროვნული და კაცობრიული იდეალები თითოეული ქართველის იდეალებია, რომ აკაკი მხოლოდ ფოკუსია, რომელშიდაც საქართველოს ანგელოსმა, საქართველოს გენიამ შეკრიბა ყოველივე, რაც მაღალია, რაც უზენაესი და უაღრესია ქართველი ერის ბუნებაში. იგი ის დაკუთხული ბროლია, რომელმაც გაატარა თავის შორის საქართველოს

შნის სხივი და გვიჩვენა მისი მრავალფეროვანების მომხიბლავი სილამაზე. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართველი ერი დღეს იუბილეს უხდის იმ იდეალებს, იმ ეროვნულ მისწრაფებას, რომელიც აკაკიმ მისგანვე გამოიღო და მასვე შესწირა „ვით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები."

უმთავრესი დედააზრი საქართველოს არსებობისა, უმთავრესი იდეალი მისი მისწრაფებისა, რომელიც მჭიდროდ გამოკვანძულია აკაკის შემოქმედებაში, არის ერის თვითმყოფის დაცვა, მის უმთავრეს განმასხვავებელ თვისებათა შენახვა და განვითარება. ამ აზრის მომსახურენი იყვნენ ქართველები თავის დაბადების დღიდგანვე, ამ იდეალს შესწირეს თავი საუკეთესო მამულიშვილებმა; ამის მოწმეა სისხლით მორწყული საქართველოს მთა-ბარი. ამას მოგვეძახიან საფლავთაგან მამა-პაპათა ძვლები, ამას დაგვძახიან ზეცითგან საქართველოს კეთილდღეობისათვის თავდადებულნი და მისთვის განწირულნი მეფენი და მთავარნი, გლეხნი და აზნაურნი. გადაგვარება ქართველს სიკვდილზე უფრო სიკვდილად მიაჩნდა, ამიტომ სიკვდილს რჩებოდა, ვიდრე გადაგვარების გზაზე დადგომას; დედის ნანაც მომავალი მეომრის აკვანზე ამ აზრს გალობდა, დედის რძეც ამით იყო შეზავებული და სამშობლოს ანგელოსიც ამას ჩასჩურჩულებდა ყურში. ამით აიხსნება, რომ ერთი მუჭა ქართველი ერი ბუმბერაზ სახელმწიფოებს უმკლავდებოდა და ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა ამ უთანასწორო ბრძოლიდან. ასი ათასის წინააღმდეგ ძნელად გაიმარჯვებს, თუ მას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თავისი ბრძოლის მიზნის სიდიადე, სიკეთე და არსებობა. და თითოეულ ქართველს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რისთვის იბრძოდა: **ან სიკვდილი, ან ქართველად სიცოცხლე! აი დევიზი, რომელიც მსხვილი ასოებით ეწერა საქართველოს დროშას.**

ფიზიკურ ბუნებაში ყოველი სხეული მით უფრო ვითარდება, რაც უფრო ვარჯიშობს, ასეა სულიერ სფეროშიც: იდეალი მით უფრო ვითარდება და იპყრობს ადამიანის არსებას, რამდენადაც უკანასკნელი ვარჯიშობს მის მისაღწევ საშუალებათა ძებნაში და მის წინააღმდეგ პირობათა მოსპობაში. აი, სწორედ ამით აიხსნება ძველ ქართველთა თავგანწირულება და სიცოცხლე მათი ძირი-იდეალისა. მაგრამ ამითვე აიხსნება იმ იდეალის სიუძლურე ამ უკანასკნელ განვლილ საუკუნის განმავლობაში, სიუძლურე, რომელიც ამ ბოლო დროს შეიცვალა ეროვნულ საფუძველთა სრულ უარყოფად. არა თუ ქართველობა, არამედ ყოველი განსაკუთრებული ეროვნების არსებობა ჩაირიცხა კაცობრიობის უბედურების ერთ უმთავრეს მიზეზად.

და აი, ამ დროს ფრიალებს დროშა ეროვნული მისწრაფებისა, რომელიც მაღლა უჭირავს ჩვენს ძვირფას იუბილარს და ყველა ხარობს, ყველა

ამ დროშის ქვეშ შეკრებილა და ათასნაირი მიმართულების წრეები შეხმატკბილებულა. სჩანს, უმთავრესი დედააზრი ყველას ერთი ჰქონია და მხოლოდ რაღაც გაუგებრობას დაუქსაქსიეართ, დაუბნევიეართ, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია დღევანდელი დღე, წარმოუდგენელია აკაკის, ამ პატარა საქართველოს დღესასწაული. აკაკიმ გამოაღვიძა დროთა ვითარებისაგან მიძინებული ქართველური გრძნობანი და მისწრაფებანი. აღადგინა ძველი ქართული სული, შეჰკრიბა და შეაკავშირა დიდებულ მამაპაპათა უმადურნი და ულირსნი შვილნი, ასწავლა მათ მათი პატივისცემა, და აი, ის დიდებული და ფასდაუდებელი ღვაწლი, რომელიც მან გაუწია ჩვენს დროს და, რომელმაც შეგვკრიბა დღეს.

## ღია წერილი ათონის მთის ქართველ მოღვაწეთა მიმართ

(„მინაური საქმეები“, 1911წ., № 1)

წმინდა ათონის მთის მოღვაწეთა — მამათა და ძმათა წინამძღვარს, იონას ძმებითურთ მადლი და მშვიდობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

ძმანო და მამანო! მოგიკითხავთ სიყვარულითა ქრისტესითა და ვიხარით თქვენზედა, რადგან მოღვაწეობა თქვენი განთქმულია მთელ ათონზე სასახელოდ ივერიის ერისა და ეკკლესისა, რომელიც ოდესღაც ბრწყინავდა სარწმუნოებითა და სიყვარულითა ქრისტესითა. ვიხარი, რომ თქვენი მცირერიცხოვანი ძმობა დარჩენილა წმ. მთაზე მემკვიდრედ ძველთა ქართველთა მოღვაწეთა, რომელთაც საღვთო მოღვაწეობითა თვისითა და ქველის საქმითა არა თუ სახელი მოუხვეჭეს სამშობლო ერსა და ეკლესიას, არამედ სხვა ხალხებსაც მოჰფინეს სხივი ღვთის მეცნიერებისა და აჩვენეს მაგალითი ნამდვილი სულიერი მოღვაწეობისა, რომელთა მედგარი და დაუღალავი შრომით დღესაც ისმის საქართველოს ეკლესიებში ტკბილი ქართული ენა და მასზე დაწერილი საღვთო საგალობლები, მხოლოდ ვწუხვართ, რომ მოღვაწეობა თქვენი არ ანათებს თქვენსავე, დღეს დაჩაგრულს, ივერიის დედა ეკკლესიას; ვწუხვართ, რომ თქვენ არა ხართ შეერთებული მასთან იმ მტკიცე კავშირითა, რომლითაც შეერთებული იყვნენ თქვენნი წინაპარნი მოღვაწენი, რომლებიც თავის თავს ხადოდნენ მხოლოდ რტოდ ივერიის ეკკლესიისა, რომელსაც, თუ გარემოება მოითხოვდა, სიცოცხლესაც კი შესწირავდნენ. ვწუხვართ, რომ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის გულის ტკივილი — თქვენ ჩვენი, დაბეჩავებული, სარწმუნოებადაკარგულ მშობელ ერისა, ხოლო ჩვენ — თქვენი, გადაკარგულ-გადახვეწილი შვილებისა და დაღუპულ დიდებისა ივერიის მონასტრისა, ამ ჩვენი ქრისტიანულ განვითარების აკვნისა, ჩვენი სულიერ ძალების გამომაჩინებელისა და აღმზრდელისა, რო-

მელსაც დღეს ბერძნები ფლობენ: ის ბერძნები, რომლებიც ბეერით დაეალე-ბული არიან მისგან და მისი მშობელი ერისა და ეკკლესიისაგან. ეწ'ესხეართ, რომ თქვენ თითქოს საბოლოოდ მოსწყდით მშობელ მხარესა და ეკლე-სიას, რომლის მდგომარეობა აღარ გაინტერესებსთ, რომლის ჭირი აღარ გა-ღონებთ და არც ლხინი გახალისებსთ; ესუხეართ, რომ გაწყეეტილა ჩვენ შო-რის ის დედა ძარღვი, რომელიც აერთებდა ურთიერთ შორის ძველ ათონსა და ძველ საქართველოს, რომელსაც გადაჰქონ-გადმოჰქონდა მათ შორის ერთი მეორის მწუხარებაც და სიხარული, რომლითაც ორივე სცოცხლობდა და სულდგმულობდა.

ასეთი განცალკევება და გათიშვა ძალას გართმევს თქვენც, როგორც ერთ მუჭა მოღვაწე მებრძოლებს წინააღმდეგ ბერძნების მძლავრობისა და ჩვენც, ერის მორწმუნე ნაწილს, რომელსაც მხარში არ უდგიან და არ ამა-გრებს თქვენი თავგანწირული ანგელოსებური მოღვაწეობა.

ამნაირად, ორივე დასუსტებული და დაბეჩავებული სულს ვღაფავთ და მით ვახარებთ ჩვენი მამულისა და ეკკლესიის მტრებს. მეტად სამწუხაროა და სავალალო ასეთი მდგომარეობა, იგი ახლო მომავალში გვექადის სრულ დაცემას და დამარცხებას, სრულ მოსპობას და განადგურებას და მაშინ, არა თუ ივერიის დედა მონასტერი, არამედ თქვენი მოღვაწეობით გაშენებული სავანეც და ჩვენი საერთო, ძვირფასი, ქვეყნის თვალი ივერიაც ყვავ-ყორნის საბუდრად და ტურა-მგლის სათარეშოთ გახდება. ამიტომ საჭიროა ეხლავე მტკიცეთ შეუდგეთ ერთმანეთის დაახლოვებას, ერთმანეთის ჭირისა და სალმობის ტვირთვას, ერთმანეთის ხელის გაწვდას, ერთმანეთის შველას, ერთმანეთის ფეხზე წამოყენებას და გამაგრებას.

დღეს ივერიის დედა ეკლესია განსაცდელშია, დღეს სარწმუნოება რყე-ვაშია, დღეს მამა-პაპათაგან გადმოცემული ზნე-ჩვეულება და ქრისტიანობა ილუპება, ერი სულით ეცემა, ბეჩავდება, ირყვნება და გადაგვარების გზას ადგია. ცოტა ხანიც და, ვინ იცის, რის მოწმეთ გაგვხდის ქართველის უკუღ-მართი ბედი?!

უთუოდ კაი ხანია, თქვენ ძმობას ახალი მოღვაწე აღარ მომატებია ქარ-თველთაგან. ეჭვ გარეშეა შეწირულებაც ნაკლებათ მოუდის დღეს თქვენ სა-ვანეს. ამათი მიზეზი სარწმუნოების დაცემა და ერის სულიერად და ნივთიე-რად გათახსირება არის, იმათი შემოქმედი ერის გადაგვარ-გადარჯულება არის. რომ სარწმუნოება წინანდებურად ჰყვაოდეს, რომ ქართველი ნამდ-ვილი ქართველი იყოს, ეს არ მოხდებოდა.

ასეთ დროს კავშირის გაწყვეტა და გულხელის დაკრეფა სიკვდილის მო-მასწავლებელია. როცა ერს და ეკლესიას შველა სჭირდება, მაშინ თავის თავზე ფიქრი თუნდა ლოცვაც პირად ცხოვნებაზე, თვითმოყვარებაა და არა

მოსაწონი საქციელი ღვთის წინაშე. ამ დროს ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე იმაზე უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ დაიხსნას თავის ძმა საუკუნო გეენიისაგან.

აბა იფიქრეთ, რა იქნებოდა, მოციქულები რომ თავის პირად ცხონებას დაფათურებოდენ და სხვანი უმეცრებაში დაეტოვებიათ ქრისტესა და მის მოძღვრების შესახებ. რა მოსაწონი საქმე იქნებოდა ღვთის წინაშე მათი ასეთი უგულოებელს-ყოფა მოყვასთა, რა ჯილდოს დაიმსახურებდენ იგინი ღვთისაგან, რომ ქვეყანასთან კავშირი შეეწყვიტათ იმ დროს, როცა იგი (ქვეყანა) უმეცრებისა და უსჯულოების მორევში ინთქმებოდა.

აბა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ათონი წმ. მამებს და მოღვაწეებს გიორგი მთაწმინდელს, იოანეს, ექვთიმეს, და სხვებს დაევიწყნათ თავის სამშობლო ერიც, ენაც და ეკლესიაც, არ დაედოთ ღვაწლი სამშობლო მხარისათვის და არ ეთარგმნათ ქართულ ენაზე საღვთო-წერილი იმ ვაგლახ დროს, როცა ლათინთა და სომეხთა მწვალებლობა შთანთქმას უპირებდა ივერიის მართლმადიდებლობას. მაგრამ მათი მადლიანი მარჯვენა არა თუ მხოლოდ სამშობლო მხარეს შველოდა, არამედ გარეშე ერთ-მორწმუნე ერებსაც. გაიხსენეთ, რა ღვაწლი დასდო თორნიკემ საბერძნეთს. სამშობლო მხარის სადიდებლად და ერთ-მორწმუნე ერის გამოსახსნელად მან დროებით მიატოვა ბერობა და აღიჭურვა სამხედრო იარაღით, ძლევამოსილად გაიმარჯვა და აურაცხელი სიმდიდრით დაბრუნდა ათონსვე, სადაც იოანესთან ერთად ააგო დიდებული ივერიის სავანე.

დღეს ივერიის მართლმადიდებელი ეკლესია დიდ გაჭირვებას განიცდის. დღეს სარწმუნოების მტერნი ამდგარი არიან მის წინააღმდეგ სიტყვით და საქმით; დღევანდელი ნასწავლი ქართველი უთუოდ მტერია ეკკლესიისა და ან გულ-გრილი შეილი მაინც. არიოსის და ნესტორის მოძღვრებამ ღრმა ფესვი გაიდგა გიორგი მთაწმინდელის და ექვთიმე ქართველის სამშობლოში, მონასტრები აღარ ბრწყინავენ მოღვაწეებითა; ეკკლესიები დაგვეცარიელდა; ხალხმა პირი იბრუნა უსჯულოებისაკენ; სამღვდელოება დაეცა ზნეობრივად, გონებრივად. სარწმუნოების მხრითაც არაფერ სანუგეშოს წარმოადგენს დღეს იგი; ასე რომ, ძნელი გამოსაცნობია, ვინ უურო ურწმუნოა — ხალხი, ნასწავლი თაობა, თუ სამღვდელოება. ბევრმა მღვდელმა ამ უკანასკნელ ხანებში ანაფორაც გაიხადა და გუშინ ტრაპეზის მოსამსახურე, დღეს ტაძარსაც გაურბის და თავის უმგვანი საქციელით არცხვენს და თაელაფს ასხამს მთელ სასულიერო უწყებას, და ამით საფლავს უთხრის სარწმუნოებას და მასთან ერთად ერის აწმყო და მომავალ კეთილდღეობას.

თქმა არ უნდა, სარწმუნოება შერყეული ხალხი, რომელსაც ამასთან თავს არ ადგია ღრმა მორწმუნე და თავდადებული სამღვდელოება ყო-

ველგვარ უსაქციელობას ჩადის. ამიტომ მკვლელობა, თვითმკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, მეძაობა, ცილის წამება, ცრუ ფიცი და სხვა აურაცხელი ბიწიერებანი მეტად გახშირდა დაბალ ხალხში. არც გასაკვირველია, რადგან ქრისტეს მოძღვრების სრული უვიცია და ზნეობრივ აღზრდას მოკლებული. მას შემდეგ, რაც ჩვენი ძველი საღვთო სწავლა-მეცნიერება დაიკარგა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკკლესიას თავის თავის მოვლა-პატრონობაზე ხელი აალებინეს, მას შემდეგ – ხალხს არაფერი უკითხავს, არაფერი გაუგონია ღმერთზე და სარწმუნოებაზე, არ უნახავს თავდადებული მოძღვარი, არ გაუგონია ქართული ტკბილი გალობა, არ მოუსმენია თავის მწყემსთ-მთავრის ცოცხალი სიტყვა, არ განუცდია მისი მამობრივი სიყვარული და გულშემატკივრობა.

რას გვავალებს დღევანდელი ასეთი მდგომარეობა სამშობლო მხარისა და ეკლესიისა ხალხის მორწმუნე ნაწილს? იმას, რომ გული უნდა შეგვეტკიოდეს გზადაკარგულ მოძმეთათვის, უნდა ვცდილობდეთ ყოველივე მივიყვანოთ მასთან, ვინც ჩვენ მოგვცა მეცნიერება სარწმუნოებისა, ვინც ჩვენ მოგვიყვანა ცნობად ჭეშმარიტებისა, უკანასკნელ ღონისძიებას უნდა ვხმარობდეთ დავნერგოთ ქვეყნად ის სასუფეველი, რომელსაც ქრისტე ქადაგებდა, აღვზარდოთ მორწმუნენი მემკვიდრენი მერმისა დაუსრულებელისა ნეტარებისანი – ე.ი. ვთესოთ იფქლი, წმინდა ხვარბალი სახარების მოძღვრებისა და საქმით ვაჩვენოთ, თუ რა სიგმირემდის, რა თავგანწირულებამდის და თავდავიწყებამდის შეუძლია მიიყვანოს მორწმუნე ადამიანი ქრისტიანულმა ძმათ-მოყვარეობამ და სამშობლოს სიყვარულმა. იხილეთ, რა ღვთაებრივი სიყვარულით იყო აღვსილი უფალი ჩვენი იესო ქრისტე სამშობლოსადმი, რაზომ სცდილობდა მოექცია ურიანი, რაზომ შველოდა მათ ყოველ გაჭირვებაში და რაზომ ჰგოდებდა და სტიროდა იგი იერუსალიმსა ზედა უკანასკნელად, როცა ყოველმა ცდამ მისი მოქცევისათვის ამაოდ ჩაიარა.

ასეთი მაგალითი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი გვავალებს ჩვენცა, ძმანო და მამანო, და ყოველსა მართლ-მორწმუნესა, რათა ძალისამებრ ჩვენისა მარადის ვიღწოდეთ მოყვასთათვის ჩვენთა, მარადის ვზრუნვიდეთ სამშობლოისა ერისა და ეკკლესიისთვის.

ხოლო რაში უნდა გამოიხატოს დღეს თქვენი ზრუნვა სამშობლო მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის? როგორც ზემორე მოვიხსენიეთ, ხალხს არ აქვს საკითხავი წიგნები, საიდანაც შეეძლოს, გაეცნოს ქრისტეს მოძღვრებას და წმიდა მამათა ცხოვრებას, რომ თვით აღიჭურვოს ცოდნითა და მოძღვარ და ხელმძღვანელ ექმნეს მორწმუნეთა. ამასთან ჩვენი ძველი მდიდარი საღვთისმეტყველო მეცნიერება არა გვაქვს ცნობაში მოყვანილი, ძველი მამათა ნაწარმოები თითქმის ყველა ჯერ ისევ ხელნაწე-

რებად იმყოფებიან და მაშასადამე მიუწდომელი არიან უმრავლესთათვის. ასე გასინჯეთ, ბიბლიის (განსაკუთრებით ძველი აღთქმის) რამდენად მე გასაგები და ხალხისთვის სახმარი გამოცემაც არ მოგეეპოვება; რომელიც გვაქეს, ისიც ძვირი და მეტათ ბუნდოვანი და გაუგებარი ენით თარგმნილი. ამ წიგნთა-წიგნზე აღიზარდა თითქმის მთელი ქრისტიანობა, ამ წიგნს კითხულობს დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა, და ჩვენმა ხალხმა კი მისი არაფერი იცის. რაღა ეთქვათ საეკლესიო წიგნებზე? დიდი ნაკლულევანება გვაქვს დღეს ამ წიგნებისაც ჩვენ ეკლესიებში. „გულვანი" ხომ თვის დღეში თვალით არ უნახავს ჩვენ ეკლესიებს, გარდა მონასტრებისა, სადაც ხელნაწერებათ იმექონებიან. ხსენებულ წიგნების, სახელმძღვანელოების, მამათა ცხოვრების და ძველი საჭირო ხელნაწერების გამოცემა დიდათ დაეხმარება ქრისტიანობის განმტკიცებას, დიდათ ხელს შეუწყობს ერის სულიერად აღდგენას და გათვითცნობიერებას. განსაკუთრებით სულმანთ ჩვენ სამშობლო მხარის მამათა ცხოვრების გაცნობა ფრთებს შეასხამს თანამედროვე ბერობას და განაღვიძებს აქამომდე მიძინებულ საღვთო მოღვაწეობის სურვილს, რაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, აღადგენს ივერიის დიდებას — ათონის წმ. მონასტერსაც.

ხოლო ყოველივე ნათქვამის მოწესრიგებას საშუალება უნდა და აი, სწორეთ ამ მხრით გვჭირდება დღეს თქვენი დახმარება, ძვირფასნო და სანატრელნო მოღვაწენო, გვჭირდება დახმარება ნივთიერათ, რაც თქვენ სავანეს ადვილად შეუძლია. თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე წიგნების გამოცემისა და ხალხში საღვთო ქადაგების გავრცელებისა, ამაზე მოვილაპარაკებთ შემდეგ, როცა თქვენგან მივიღებთ დასტურს ძმურ ხელის გაწყობის სურვილზე. ამ საქმეში ბევრს დაგვეხმარება იმერეთის ეპარქიაში არსებული „ძმობაც", რომლის წესდებას ამასთანავე გიგზავნით. ხოლო ამ პირველად საკმარისი იქნება, თუ სავანე საბეჭდავ სტამბას შეიძენს თავის სახელზე იმ პირობით, რომ იგი შეადგენდეს სავანის საკუთრებას და ემსახურებოდეს მხოლოდ წიგნებ-წიგნაკების და ჟურნალის გამოცემას ათონის სავანის სახელით. ამ საგნისათვის სრული საკმარისი იქნება ჯერ-ჯერობით 5000 მანეთი. ეს თანხა სავანისთვის დაკარგულად არ ჩაითვლება, რადგან სტამბა სრული მისი საკუთრება იქნება, მხოლოდ იარსებებს ქუთაისში სავანის მინდობილობით.

სრული დარწმუნებული თქვენი ძმობის საღვთო განწყობილებაში დედა ეკლესიის მიმართ, სრული დაიმედებული საღვთო მადლით, რომ თქვენ ეალდებულად გაიხდით თავს ხელი გაუწყოთ გაჭირვებაში მყოფ სამშობლო ერსა და ეკლესიას, დავშთებით მარად თქვენი მოღვაწეობისათვის მლოცველნი.

## საახალწლო ფიქრები ახალი ეგსარხოსის მოლოდინში

(1910წ. №2, 10 იანვარი)

ახალ ეგსარხოსს მოელით... სწორედ რომ ესთქვათ, მოელის მრავალტანჯული იბერიის ეკლესია... იყო დრო, როცა იბერიის ეკლესიას თვალი აღმოსავლეთისაკენ ეჭირა და იქიდგან ელოდა თავის სულიერ მამას. ყოველ მის მოსვლას სიხარულითა ეგებებოდა, ყოველ მის მოქმედებას და განკარგულებას სული წმიდის შთაგონებ ჭეშმარიტებად ღებულობდა და უსიტყვოდ ასრულებდა. და ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ უცხოელი მწყემსმთავარი, საქართველოში მოსული, სრულიად ივიწყებდა თავის თვისტომობას და ხდებოდა ღვთისაგან ჩაბარებული ეკლესიის ინტერესების ნამდვილი, სულით და გულით დამცველი. საქართველოს საზღვარს რომ გამოსცდებოდა, იგი უცხო ტომის წარმომადგენლად აღარ რაცხდა თავს და უკვე საქართველოს ხალხის და ეკლესიის ინტერესებს იცავდა. აღმოსავლეთის ეკლესია არასოდეს ძალდატანების გზაზე არ მდგარა და ნაციონალურ სარგებლობას ყოველთვის უკან აყენებდა ეკლესიურ-სარწმუნოებრივზე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ეკლესიური ავტოკეფალობის შემოღებამ სრულიად უბრძოლველად ჩაიარა და დიდი მეცადინეობა და ხვეწნა-მუდარა არ დასჭირვებია. ან რომელი მართლმადიდებელი ტომის ხალხს დასჭირდა მის წინააღმდეგ ბრძოლა მისგან ეკლესიური ავტოკეფალობის მიღებისათვის? თვით რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც ხომ განიცადა ასეთი მშვიდობიანი დაფუძნება თავისი ავტოკეფალობისა. ერთი სიტყვიერი უარიც არ განუცხადებია არსად აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთნაირ სურვილებზე და, მცველი წმ. მოციქულთა და მსოფლიო კრებათა კანონებისა, ვერც განაცხადებდა. ასეთი არაქრისტიანული ჩვეულება სჭირდა და სჭირს მხოლოდ დასავლეთის, პაპის ეკლესიას. მისგან არავინ განთავისუფლებულა მშვიდობიანად, თუ არა საშიშარ უარყოფისა და მწვალებლობის გზით.

იცვალა დრო... ერთხელ თვითმმართველად აღიარებული ეკლესია, დროთა ვითარებისა გამო მისუსტებული, ღონემიხდილი, იძულებული გახდა დაეთმო ძალმომრეობისათვის და დაჰკარგა თავისუფლება... და, აი, დღეს, იგი ჩრდილოეთიდან მოელის სულიერ მამას, მოძღვარსა და წინამძღვარს. კეთილი იყოს მისი მოსვლა! იგი ხელს არ ჰკრავს მას, მაგრამ მართალი უნდა ესთქვათ, რადგან ამას გვავალებს მაცხოვარი, ის ძველებური აღტაცება და სიხარული აღარ ატოკებს თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანე ეკლესიის გულს, რომელსაც განიცდიდა იგი მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრიდგან ვიდრე ვახტანგ გორგასლანამდე... კარგა ხანია, ეგსარხოსებმა უარჰყვეს ქართველებთან ძმური კავშირი და მოევლინენ სა-

**ქართველთა ეკლესიას პოლიტიკურ აგენტებად, რომელსაც არაფრად მიაჩნია სიყვარული და ძმური ერთობა. ცნობილია პოლიტიკური მისწრაფებანი ხშირად ეწინააღმდეგებიან სარწმუნოებრივს და სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ საქართველოს ეკლესიამ მოითხოვა ავტოკეფალობა...**

როგორ უნდა მოიქცეს თანამედროვე ეგსარხოსი, რომ თავი მაინც მოსწმინდოს იმ საშიშარ და სახიფათო იარას, რომელიც დაასვა საქართველოს ეკლესიას ასი წლის ეგსარხოსობამ? 1) მან უნდა თავი დაანებოს ყოველგვარ პოლიტიკურ მისწრაფებას და უყუროს თავის სამწყსოს არა ვიწრო ნაციონალური თვალსაზრისით, არამედ ფართო სარწმუნოებრივი მხედველობით, რომ ქრისტეს ეკლესიაში „არა არს ურიაობა, გინა წარმართობა, ბარბაროს, სკვითელ, მონობა“. უნდა ღმად ჰქონდეს შეგნებული, რომ მისი მოვალეობაა მოამზადოს ადამიანი ზეციური სასუფეველისათვის; 2) მან ღრმად უნდა შეისწავლოს თავისი მართლმადიდებელი სამწყსოს ენა, ზნე-ჩვეულებანი და სარწმუნოებრივი თვისებანი. 3) ხშირად უნდა მიმოიხილოს თავის სამწყსოს და პირადად ადგილობრივ ეცნობოდეს მის სარწმუნოება-ზნეობრივ მდგომარეობას. 4) ნება უნდა მისცეს თავის ქორეპისკოპოსებს იცხოვრონ თავის რაიონებში და ახლოდგან ადევნონ თვალყური რწმუნებულ სამწყსოს და მწყემსთა. 5) სიტყვითა და საქმით ხელი შეუწყოს შერყეული სარწმუნოების აღდგინებას, რისთვისაც საჭიროა შექმნას სხვადასხვა სარწმუნოებრივ-განმანათლებელი დაწესებულებები, დაეხმაროს და მოყვარული თვალით უცქიროს უკვე არსებულს. 6) არ შელახოს და არ შეავიწროვოს ადგილობრივ მწყემსმთავართა მოციქულთა და მსოფლიო კრებათაგან მონიჭებული უფლებები. არამედ იქონიოს ძმური განწყობილება სადიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ ეკლესიისა. 7) აღადგინოს ქართული წირვა-ლოცვა, სადაც ამას მოითხოვს სამწყსოს მდგომარეობა. 8) შეიგნოს და შეისწავლოს ძირითადი საფუძველნი ყოფილი ივერიის ეკლესიისა, რომელნიც მისცემენ მას დარიგებას და ზნეობრივ ძალას მოიქცეს ისე, როგორც შეეფერება მაცხოვრის მოადგილეს, მის მოციქულს.

## ვინ იქნება ახალი ეგზარხოსი?

**(„შინაური საქმეები“, 1914წ., №6)**

ვინ იქნება ახალი ეგზარხოსი? აი, ის საბედისწერო საკითხი, რომელიც ყოველ ახალი ეგზარხოსის დანიშვნის წინ გარემოიცავს ხოლმე ივერიის ეკლესიის არსებას. ამ საკითხის სიმწვავე დღეს უფრო საგრძნობელი შეიქნა, ვიდრე ოდესმე სხვიმის. ამის მიზეზი, ერთი მხრით, ის არის, რომ საქართველოს ეკლესიას თავის აკუთარი ინტერესები გაუჩნდა, ინტერესები, რომლე-

ბიც წინ ელობებიან რუსეთის ბიუროკრატიის ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრით. ის, რომ მართლმადიდებლობამ დაჰკარგა თვის შორის ერთი თვისი უმთავრესი განმასხვავებელი თვისებათაგანი, სახელდობრ, სიყვარული და რელიგიური მოთმინება (терпимость). საქართველოს ეკლესიამ საბოლოოდ დასვა საკითხი თავის ავტოკეფალობისა, წამოაყენა ამის კანონიური და ისტორიულ-არხეოლოგიური საბუთები, გაამართლა იგი და დრეს მისი გულიდგან ამოუფხვრელი და ამოუშლელი სურვილია ამ ავტოკეფალობის აღდგენა. რუსეთის ეკლესია კი ვერ ურიგდება საქართველოს ეკლესიის ასეთ სურვილებს, იგი ვერ თმენულობს ერთსა და იმავე სახელმწიფოში რამოდენიმე თანასწორ უფლებიან ეკლესიებს; მას სურს, რომ პოლიტიკურ ბატონობასთან ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ბატონობაც სუფევდეს მიუხედავად იმისა, სასარგებლოა თუ არა ეისმესთვის ასეთი ბატონობა. ასეთია საზოგადო სურვილი რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელ სამღვდელოებისა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ ბევრი რუს იერარხთაგანი აშკარათ თუ არა, თავის გულის სიღრმეში მაინც ინახავს საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილების ამართლიანობის პატივისცემას და თანაგრძნობას. აი, სწორეთ აქ მარხია დასმული საკითხის ის ნასკვი, რომლის გახსნის მოლოდინი ასე აძგერებს დღეს საქართველოს ეკლესიის გულს. ვინ იქნება მომავალი ეგზარხოსი, თანამგრძნობი თუ წინააღმდეგი საქართველოს ეკლესიის მისწრაფებისა? პოლიტიკური აგენტი თუ ჭეშმარიტი მწყემსი, რომელიც ეკლესიის ინტერესებს დაიცავს, რომელიც მოვა, არა რათა იმსახუროს ვინმე, არამედ, რათა ემსახუროს?

## ვინ გვსურს ეგზარხოსათ?

ეს ერთი საუკუნეა, რაც საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარხოსები მართავენ. ერთი საუკუნე საკმაო დროა, რომ ცხად იქმნეს ასეთი თუ ისეთი მმართველობის სიავკარგე. სულ ზერელე გადახედვა ყოფილ რუს ეგზარხოსების მართვა-გამგეობისა დააჯწმუნებს მიუდგომელ ადამიანს ამ მართვა-გამგეობის ნაკლულევანებაში. ერთი მხოლოდ ის არის, რათ ღირს, რომ ერთმა ყოფილმა ეგზარხოსმა სამწყსოს ენა არ იცოდა და არც ერთ მათგანს პირისპირ არ დაულაპარაკნია თავის სამწყსოსთან. დროა ხალხმა ასი წლის შემდეგ მაინც გაიგონოს თავის მწყემსის ხმა, დროა სსაქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს ქართველი ეგზარხოსი! ჩვენი საერთო სურვილია გვეყოლოს ქართველი ეგზარხოსი მანამდის, სანამ საქარტველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეს ხელს არ მოჰკიდებს სრულიად საქართველოს კათალიკოზი!

## ვინ არის დამნაშავე?

(1910, № 32)

მ. დეკანოზი დ. ღამბაშიძე თავის „მწყემსის" № 13-14-ში ხელს აფარებს ექსარხოსებს წიმნააღმდეგ „მირიანინის" („საეროს") სტატიისა, რომელიც მოთავესებული იყო „შინაური საქმეების" № 26-ში სათაურით „უუფლებო ეკლესია", ამბობს, რომ საეკლესიო მამულების სახელმწიფოდ შერაცხვაში დიდი ბრალი ჩვენი ეკლესიის მაშინდელ მმართველ ეპისკოპოსებს და დეკანოზებს ედებათო. ამათ დიდად გაიხარეს და „მოლებნებიც" კი გადაიხადეს ასეთი სიკეთის აღმოჩენისთვისო! „ჩვენ მამულებს რომ ვერ ვუვლიდით, ვერ ვსარგებლობდით მათითო და ამიტომ ამოდენა უშლეავ მამულს სულ მცირე შემოსავალი მოჰქონდაო".

ჩვენი წინაპრები რომ ნაკლები მეურნეები და მამულის გამგებლები იყვნენ, ამაზე ჩვენც დავემოწმებით დეკანოზს რამდენიმედ, ხოლო რომ ეს გარემოება ექსარხოსებს და, საზოგადოდ, უმაღლეს სასულიერო მთავრობას ვერ ამართლებს, ესეც ცხადზე უცხადესი უნდა იყოს, ჩვენი აზრით.

ესთქვეათ, რუსეთის ეკლესიამ დაინახა, რომ თავის ერთმორწმუნე საქართველოს ეკლესია „თავის თავს ვერ პატრონობს, ვერ განაგებს და ამიტომ დაეპატრონაო მას და დაუყენა თავის მზრუნველ-აპეკუნები, რომელთა ერთ უმთავრეს ვალდებულებას შეადგენდა საეკლესიო ქონების მამულის დაცვა და წარმოება. ამის შემდეგ ადგილობრივი ეპისკოპოს-დეკანოზები, როგორც სხვაში, ისე საეკლესიო ადგილ-მამულის მოვლა-პატრონობაში დამოკიდებული შეიქნენ ეგზარხოსებისაგან, რომელთაც ეკუთვნოდათ უმაღლესი გამგებლობა. ამიტომ ამ უკანასკნელთ უნდა მიეღოთ საჭირო ზომები, რომ საეკლესიო ქონება, ერთი მხრით დაცული იყო გაფლანგვა-დაკარგვისაგან, და, მეორეს მხრივ, კარგი შემოსავალი მიეცა. ასეთია აზრი და მნიშვნელობა ყოველგვარი აპეკისა და ასე უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაშიც: პირველი ხმა პირველი პროტესტი მამულების ჩამორთმევისათვის მაშინდელ ეგზარხოსს უნდა განეცხადებია, თუ იგი ნამდვილი წარმომადგენელი და აპეკუნი იყო საქართველოს ეკლესიისა. თუ ამ ხმის ამოღების, თუ ამ პროტესტის შემდეგ საეკლესიო მამულები მაინც სახაზინოდ შეირაცხებოდა, ეგზარხოსს ის მაინც უნდა ეშუამდგომლებია, რომ სამაგიეროდ ღირებული იჯრა შემოსელოდა ეკლესიას თავისი მამულებიდან. ასე უნდა მოქცეულიყო მაშინდელი ჩვენი ეკლესიის აპეკუნი, რაც, ვიმეორებთ, მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა, როგორც აპეკუნისას და, თუ ასე არ მოიქცა, ბრალი მას ედება და არა მაშინდელ დამონებულ, დაბეჩავებულ, უფლებაახდილ სამღვდელოებას.

თუ ეს საანბანო ჭეშმარიტება არ ესმის მ. დეკანოზს, განვუმარტავთ მაგალითით: ვსთქვათ, მ. დეკანოზი მზრუნველ-აპეკუნია რომელიმე ობლებისა და მათი მამულისა. ვსთქვათ, ამ ობლების მამული მეზობლებმა დაიუფლეს და ობლებს მეასედსაც არ აძლევენ იმ ღალისას, რაც უნდა შემოიღდეს მამულისაგან. ვსთქვათ, ამ გარემოებას მამა აპეკუნმა დეკანოზმა ყურადღება არ მიაქცია და ობლების მამული მეზობლებს უსმოდ შეატოვა ხელში. ნეტა, ვინ იქნება დამნაშავე ობლების დარბევაში, თვით ობლები, თუ მათი აპეკუნი? პასუხს დეკანოზ ლამბაშიძეს ვსთხოვთ.

## დავესწროთ თუ არა რუსეთის საეკლესიო კრებას?

(„შინაური საქმეები", 1914,წ. №3)

მომავალ საეკლესიო კრებაზე ერთ უმთავრეს გადასაწყვეტ საკითხად წამოყენებული იქნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის საქმე. ჩვენ უნდა დავესწროთ ამ კრებაზე ან როგორც დამცველნი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა, ან როგორც მოთათბირე – აღდგინდეს თუ არა ეს ავტოკეფალობა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა უკვე გამოკვლეულია და დამტკიცებულიც კრების წინასწარ სათათბიროში, რომელიც მოხდა ჩვენი ეპისკოპოსების – ლეონიდის და კირიონის თანდასწრებით და ჩვენი გამოჩენილი პროფესორების – ნ. მარის და ა. ცაგარელის მონაწილეობით. მაშასადამე – ამ მხრით საკითხი აღარ აღიძრება კრებაზე და არც ამ საკითხის დამცველებია საჭირო. თქმა არ უნდა, კრებას გაცნობილი ექნება ხსენებული სათათბიროს ნამუშევარი და ამის შესახებ აღარც არაფერს ილაპარაკებს. არც იმაზე იქნეს, მგონი მსჯელობა, რომ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაარღვია საეკლესიო კანონები, როცა საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა ავტოკეფალობა და დაუმორჩილა (რუსეთის) უწმ. სინოდს.

ჩვენის აზრით, კრებაზე მხოლოდ იმაზე იქნება თათბირი, აღდგინდეს თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. აქ ადგილი ექნება უთუოდ სხვადასხვა პრაქტიკულ ეკლესიურ და უფრო – პოლიტიკურ მოსაზრებებს, თუმცა ამ მხრითაც საკმაოთაა გამორკვეული ეს საგანი იმავე კრების წინასწარ სათათბიროში. ამ მხრით, რაც უნდა გენიოსი წარმომადგენელი გვყავდეს კრებაზე, ვერაფერს გააწყობს, თუკი საერო მთავრობა, რომლის ხელშიაც ძალაა დღეს, მოინდომებს, რომ საქართველოს ეკლესია დარჩეს იმავე მონობაში: ვერავითარი კრების გადაწყვეტილება ვერ შეახრევინებს მხარს და კრებაც, როგორც მისი მორჩილი, შესაფერ განაჩენს გამოიტანს. საქართველოს ეკლესიას საერო მთავრობამ ჩამოართვა ავტოკეფალობა

და მასვე შეუძლია მისი აღდგენა, თავის შეცდომის გასწორება; ასე რომ ამ ამ საკითხის გადაწყვეტაც ტყუილა მოახვიეს თავზე კრებას.

მაშ, რაღა საჭიროა ჩვენი წარმომადგენელი კრებაზე? ან სად გვეყოლება ეს წარმომადგენელი, როცა თავისუფლად არჩევა არ შეგვიძლია? ჩვენი ეპისკოპოსები დაესწრებიან და უნდა დაესწრონ კიდეც, თუ ამაზე უმაღლესი ბრძანება იქნება, როგორც დანარჩენი რუსის ეპისკოპოსები. მათ არაფერი უფლება არ ექნებათ, რაიმე პოზიცია დაიცვან. თუ კრება კანონიკურ გზას არ გადაუხვევს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა უზრუნველყოფილია და, თუ გადაუხვევს, იგი (საქართველოს ეკლესია) მაინც თავის (კანონიკურ) უფლებას არ ჰკარგავს, კრებამაც რომ დააკანონოს მისი ავტოკეფალიის საბოლოოდ მოსპობა და რუსეთის ეკლესიისათან შეერთება.

ჩვენის აზრით, წარმომადგენელზე უფრო ამ კრებაზე საჭირო იქნება მთელი საქართველოს მოწინავე თაობის დასაბუთებული მოთხოვნა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. რუსეთის მაღალ სასულიერო და სახიორციელო წრეებში დღესაც არ ჰფიქრობენ, თუ საკითხი ავტოკეფალობის შესახებ მხოლოდ რამოდენიმე თავზეხელაღებულ მღვდლების საქმე არ არის. აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღება აქედანვე; აი, ამის წინააღმდეგ უნდა დაუმტკიცდეს მომავალ კრებას. რუსეთის მომავალმა საეკლესიო კრებამ ნათლად უნდა იცოდეს, რომ ავტოკეფალობის აღდგენა მთელი მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის მოთხოვნილებაა და არა მხოლოდ მისი წარმომადგენლებისა.

ამასთანავე, საჭიროა აღმოსავლეთის პატრიარქებმაც იცოდენ საქმის ვითარება, რადგან ისინი საქართველოს ეკლესიას დღესაც ისე უყურებენ, როგორც ავტოკეფალურს.

„ხელი“

## ჩვენი სასულიერო სასწავლებლები

**(№ 6, კვირა, მაისის 18, 1908წ.)**

ეჭვი არ არის, ერთი უმთავრეს საგანთაგანი, რომელსაც მიაქცევს ჩვენი სამღვდელოების მომავალი კრება, იქნება სასულიერო სავაჟებო და საქალებო სასწავლებლები. ამიტომ საჭიროა, წინდაწინვე გათვალისწინებული გვქონდეს მათი მდგომარეობა, რომ მათ წყლულს, რომელშიდაც, ვფიქრობთ, ნაკლულევანება არა აქვთ, შესაფერი წამალი დავსდვათ.

დავიწყოთ სავაჟებო სასწავლებლითგან.

სავაჟებო სასწავლებელი ამჟამად ჯვარდასმულ დაწესებულებად ითვლება და აღარავინ ყურადღებას არ აქცევს. სამღვდელოებამ კაი ხანია

ხელი აიღო მის შენახვა-პატრონობაზე და ამიტომ მას მოსწყდა მთელი ნახევარი ედრეთიწოდებული პარალელური კლასები, რომელშიდაც ყოველწლიე სწავლობდა არანაკლებ 100-200 ყმაწვილისა. გულშემატკივარი პატრონი – ზედამხედველი მას თავის დღეში არ ჰყოლია და არც ახლა ჰყავს, რა თქმა უნდა: ყველა ზედამხედველები, გარდა განსვენებულ კალანდარაშვილისა და მხეცურად მოკლულ ასათიანისა, ზევიდგან ბიუროკრატულად მხედველობდნენ და იმდენად აინტერესებდათ სასწავლებლის ბედ-იღბალი, რამდენადაც იგი აძლევდა მათ პატივს და ცხოვრების სახსარს. ეს იყო მიზეზი, რომ სწავლა- აღზრდის საქმე მოკლებული იყო ყოველ პედაგოგიურ ნიადაგს. მეთოდი, რომლითაც ამ უკანასკნელ ხანებში ასწავლიდნენ ყმაწვილებს, არაფრით განირჩეოდა ძველი ნეტარხსენებული კალანდარაშვილის მეთოდიდგან, თუ ამ უკანასკნელზე ნაკლები არ იყო. ასეთს სწავლებას ძველი, დახავსებული პროგრამაც, რა თქმა-უნდა, ხელს უწყობდა. რაც შეეხება აღზრდის საქმეს, ესეც მხოლოდ წირვა-ლოცვაზე სიარულით და მუდამ კრუხივით სახლში ჯდომით განისაზღვრებოდა.

თავი და თავი ჩვენი სასულიერო სასწავლებლისა, რომელმაც დაღუპა არა-თუ იგი მარტო, არამედ დასცა მართლმადიდებელი სარწმუნოება საქართველოში, არის მისი პროფესიონალური ხასიათი. მისთვის რაღაც გაუგებრობას დაურქმევია სასულიერო სასწავლებელი. სასწავლებელი ყველა სასულიეროა, რომელსაც აიღებთ, რადგან ყველა ყველა ემსახურება სულის ძალების განვითარებას. ხოლო უკანასკნელს უნდა ერქვას სამღვდელო სასწავლებელი, რადგან პირველი ნაბიჯიდგანვე ბავში სამღვდელო საგნებს სწავლობს, სამღვდელოდ ემზადება და აი, სწორეთ აქ არის დამარხული უბედურება, ამ სწავლის ცალმხრივობაში. ჩვენის აზრით, არც დაბალი და არც საშვალო სასწავლებელი სპეციალური არ უნდა იყოს. ამ სასწავლებლებში ახალგაზრდობა უნდა ღებულობდეს საზოგადო განვითარებას, აქ მისი სულის ძალები თანასწორად უნდა ვითარდებოდეს, მისი ადამიანური ნიჭები მაღლდებოდეს და ცხოველური ითრგუნებოდეს. მნეობრივი და გონებრივი განვითარება, მიღებული დაბალ და საშვალო სასწავლებელში, უნდა დაედვას საფუძვლათ იმ სპეციალურ განათლებას, რომელსაც თავისუფლათ ირჩევს საშვალო სასწავლებელში კურსდამთავრებული.

რამდენი ხანია, კაცობრიობა ცხოვრობს და გამოცდილებას იძენს, და ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ადამიანი ადამიანად იბადება და არა მღვდლად ან ექიმად, გინა ვექილად. ამიტომ ჯერ ბავში უნდა აღიზარდოს კაცად, ხატად ღვთისა დაბადებულად და არა სალდათად, გინა აფიცრად. კაცად აღზრდილი, იგი შემდეგ თვით აირჩევს თავის შესაფერ წოდებას, რაზედაც გული ერჩის, რაც უყვარს, ურისოთ ცხოვრება არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში გამოდის ნაძალადევი მღვდელი, ნაძალადევი ექიმი, ნაძალადევი პოლოციელი, აფიცერი დასხვა. აქადგან წარმოსდგება ის გულდაუდებლობა, გულის აცრუება, ის პირდაპირი მოვალეობის გვერდის ახვევა, რომელიც ასე ნათლად ეტყობა დღევანდელ მოსამსახურე პირებს. ძვირად შეხვდებით ისეთ თანამდებობის კაცს, რომელსაც უყვარდეს თავის თანამდებობა, შეგნებული ჰქონდეს მისი დიდი მნიშვნელობა და ისე ემსახურებოდეს, ე.ი. სამსახურს ასრულებდეს სამსახურისთვის და არა ფულისა და პატივისთვის. რას ჰგავს, მაგ. დღევანდელი ნაძალადევი სამღვდელოება? განა არ მოგვაგონებს იგი იმ ნაქირავებ მწყემსს, რომელიც, როცა მგელი მოუახლოვდება, სტოვებს ცხოვარს და გარბის? სადაა ჩვენში თავგამოდებისა და თავგანწირულების სული? სადაა ჩვენში მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დასდვას ცხოვართათვის? თავის დადებამ ჭირი მოგჭამოსთ, რომ ამ ნაძალადევ სამღვდელოებას სარწმუნოება არ შეერყია მრევლში თავისი უგვანი ქცევით და ქადაგებით. დღეს კიდევ ქრისტესმიერ მღვდლად ითვლებიან და თავის ბილწ ხელებით ეხებიან წმიდა ბარძიმს ის მამები, რომლებიც გუშინ პოლიტიკურ-სოციალურ აგიტატორს უწოდებდნენ იესო ქრისტეს, მოკლეთ რომ ვსთქვათ, სოციალ-დემოკრატს. ზოგმა ანაფორაც კი გაიხადა და გუშინდელი წირვა-ლოცვა კომედიად აღიარა, კომედიად, რომელსაც იგი თამაშობდა კუჭის გასაძღებად, სწორედ როგორც სახსარს მოკლებული ნაძალადევი მსახიობი... აი, ნაყოფი ბავშის ცალმხრივი აღზრდისა, — აი ნაყოფი სასულიერო სასწავლებლისა.

ბერობა? რა არის ეხლანდელი ბერობა? რომელიღაც საუკუნის ბერს უთქვამს, „მეოცე საუკუნეში რომ ბერები იქნებიან, მათი მადლი შეგვეწიაო": ეს ხომ ასეა, მაგრამ მისი წინასწარმეტყველება ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო იქნებოდა, რომ ორი საუკუნით კიდევ უკან დაეხია და მეთვრამეტე საუკუნის ბერებიდგან დაეწყო.

ბერს არ განვაგრძობთ, რადგან გვეშინია, არავინ გავარისხოთ (თუმცა მხილებისათვის კაცი არ მოიკვლის). ვიტყვით მხოლოდ, რომ დაიკარგა ანგელოზებრივი სული ბერობისა: უწინ ბერობას შედგომილნი ქვეყნიურ ცხოვრებას სტოვებდნენ, ეხლა — სიმდიდრესა და ფუფუნებას მისდევენ. უწინდელი ბერი პატივს ემალებოდა, ეხლანდელი — ეძებს. ეფრემ სირიელი ღმერთს ევედრებოდა მთავრობისმოყვარეობისაგან დაეფარა, ეხლანდელი იმ განზრახვით ღებულობს ანგლოზებრივ სახეს, რომ მთავრობას მიაღწიოს, გაბატონდეს. გრიგორი ღვთისმეტყველი ძლივს გამოიყვანეს უდაბნოდგან კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად, და ისიც იმ დროს, როცა ის საჭირო იყო ეკკლესიისთვის მართლმადიდებელ სარწმუნოების აღსადგენად. ეხლანდელები — პირიქით, ეძიებენ ეპისკოპოსობის კვერთხს და, ისიც

იმიტომ, რომ სხვა იმსახურონ და არა სხვას ემსახურონ, სხვისი თავი შეიწირონ, და არა სხვას შესწირონ თავისი თავი. ვიმეორებთ, ეს არის შედეგი ცალმხრივი განათლებისა, სადაც ადამიანი სიყრმიდგანვე რომელიმე წოდებისთვის მზადდება, წინააღმდეგ თავის შინაგან მოთხოვნილებისა, შინაგან მიდრეკილებისა. ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის, როცა ადამიანი განძრახ ბერად და მღვდლად არ მომზადებულა, მაგრამ შემდეგ გამოსულა შესანიშნავი მწყემსი ეკლესიისა. მაგ., ავიღოთ იოანე ოქროპირი, ვასილი დიდი, გრიგორი ღვთისმეტყველი, ათანასი დიდი, დიონოსი არეოპაგელი და სხვანი მრავალნი, რომელთაც არ მიუღიათ სპეციალური სამღვდელო განმზადება, ე.ი. არ უსწავლიათ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ თავის შინაგანი განწყობილების მეოხებით შეიქმნენ დიდებულნი მამანი და მოძღვარნი ქრისტეს ეკლესიისა. წინააღმდეგ, ისტორია ისეთ მაგალითებსაც წარმოგვიდგენს, როცა განძრახ სამღვდელოდ გამზადებულნი გამოვიდნენ უკიდურესნი უარმყოფელნი ქრისტეს სარწმუნოებისა. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ მეფე იულიანე განდგომილი და ჩვენი თანამედროვე სოციალ-დემოკრატი ხუცები, მარქსის ყურმოჭრილი ყმები, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა საშიშია თავიდგანვე განსაზღვრულ სამსახურისთვის ან ხარისხისთვის ბავშების აღზრდა.

ამის ნიხედვით ჩვენი სასულიერო სასწავლებელი, როგორც პროფესიონალური, უნდა უვარგისად იქნეს აღიარებული და გადაკეთდეს ისე, რომ აქ მოსწავლე ღებულობდეს საზოგადო განვითარებას იმის მიუხედავად, თუ რა სამსახურს აირჩევს ის შემდეგ სასწავლებლის დასრულებისა.

სასულიერო სასწავლებლის გადაკეთების აზრი აღიძრა უკანასკნელ სამღვდელოების კრებაზედაც, მაგრამ განხორციელება ვერ მიიღო. ახლაც ვერ მიიღებს იგი განხორციელებას, თუ მართებლობის იმედი დავიკავეთ და მას მივაჩერდით, როდის ინებებს და თავის დრომოჭმულ სკოლებით აღარ დაამახინჯებს ღვთის ხატებას – ადამიანს.

არა, ამის ცდა გვიან მოგვივა და, ვინ იცის, კიდევ, რომ უმახინჯესი სკოლის ტიპი არ იქნება შექმნილი. საჭიროა ჩვენ თითონ, კერძო ინიციატივით, დავიწყოთ ჩვენთვის სასურველი სკოლის შექმნა; ჩვენვე უნდა შევადგინოთ გონიერულად მოფიქრებული პროგრამა და შევქმნათ კერძო სკოლა იმ უფლებებით, რა უფლებებითაც არსებობენ დღეს მაგ. სააზნაურო გიმნაზიები. მასწავლებლების და ზედამხედველების დანიშვნა და დათხოვნა თვით სამღვდელოების უფლებაში უნდა იყოს და არა მართებლობის ხელში, რომელიც კანდიდატის ავკარგიანობას დიპლომებით სჯის და არა იმ სინაგანი ზნეობრივ-გონებრივი ბარგით, რომელიც თანსდევს ამა თუ იმ მასწავლებლობის კანდიდატს და შეაქვს სასწავლებელში. ეს უფლება უნდა შეადგენდეს

პროგრამმის სულს და გულს, უამისოდ სკოლა ვერ იხეირებს, როგორც ვერ ხეირობს ახლა ჩვენი სასწაელებლები.

## საყოეელთაო პირეელდაწყებითი სწაელა ბ. იმერეთის საეპარქიო მეთვალყურის ხელში

(19 , № )

კაი ხანია უწმიდესმა სინოდმა ცირკულიარით მიმართა საეპარქიო საბჭოებს და უბრძანა, შეედგინათ გეგმა, ანუ ე.წ.სასკოლო ბადე, რომლის მიხედვით უნდა შემოღებულიყო საყოეელთაო სწაელა სახალხო პირეელ დასაწყის სკოლებში. ერთი ასეთი ცირკულიარი იმერეთის საეპარქიის საბჭომაც მიიღო და გადასცა შესასრულებლად ბ. ეპარქიის მეთვალყურეს. მას აქეთ გადის აგერ ექესი თეე და საბჭოს არაეითარი ცნობა არ მიუღია ბ. მეთვალყურისაგან, მაშინ, როდესაც საერო უწყებაში (დირექციაში უკეე შეიმუშაეეს ეს საკითხი და შეადგინეს საჭირო გეგმები და რუქები. ჩვენ შემთხვეეით ხელში ჩაგვივარდა ქუთაისის გუბერნიის სა მინისტრო სკოლების ერთ-ერთი ინსპექტორის, ბ. კ მაჭავარიანის მიერ შედგენილი გეგმა და რუქა. ბ. მაჭავარიანს სეუდგენია ბათუმის ოლქის (არდაგანამდის) რუქა, სადაც ნაჩვენებია თითეული სოფელი თაეის ადგილ-მდებარეობით. ამ რუქაშიშესაფერის ნიშნებით აღნიშნულია, სად რომელი ტიპის სკოლა არსებობს და სად რომელი ხარისხის სკოლაა საწირო. ქუქა ისეთიი ცოდნითა და დაკეირვებით არის შედგენილი, რომ მნახველს განაცვიფრებს. სასურველია ეს ნაშრომი არ დაიკარგოს, რადგან მას მარტო სასკოლო ინტერესი არ აქეს, არამედ საზოგადოც, საგეოგრაფიო. თუ არ ითაკილებს და ისარგებლებს, ეს ნაშრომი გზას გაუკვლევს ბ. ი,ერეტის ეპარქიის მეთეალყურეს, რომელსაც ჯერ ამ მრიე არაფერი გაუკეთებია და, ეფიქრობთ, ვერც არაფერს გააკეტებს, რადგან სახლში დომი ჯერ არაფერი გაკეთებულა. ყოველ შემთხვევაში, მოუთმენლად ველით ბ. მეტვალყურისაგან შესაფერ ნაწარმოებს, მაგრამ ვაი, თუ გვიან მოვიდეს!

მაგრამ არც ეს არის გასაკვირველი: საზოგადოდ ჩვენი სასულიერო წოდება ცნობილია თავის სიზანტით, მას აგრე რიგათ ვერ გააღვიძებ, ვერ ააჩქარებ, იგი ყოველთვის უკან მიჩანჩალობს დ, რა გასაკვირეალია, რომ მეთვალყურეც, რომელმაც კაი ხანია, ფეხი მოიკიდა სასულიერო უწყებაში, გვიანობდეს, ზანტობდეს. „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ცუდი რა საკვირველია...“

მაინც აღარ დაეწერა ბედი ამ ჩვენ „პრიხოდნი“ სკოლებს: არ იქნა, არ გაუჩნდა გულშემატკივარი, ერთგული მოჭირნახულე. ყოფილ მეთვალყურე-

თაგან მხოლოდ მამა მელიტონ კელენჯერიძეს შეეძლო ეთქვა, დამიელია და ვიცი ჩემი სკოლებიო...

ახლანდელ მეთვალყურეზე მაინც ნურაფერს ვიტყვეით: მან თავის სკოლები და მასწავლებლები ისე იცის, როგორც ჩინეთის ბოგდიხანმა ჩემი და შენი ამბავი, ბ. მკითხველო! რის საბუთებსაც, თუ საჭირო შეიქნა, ბევრს მოვიყვანთ. მაგრამ მაინც ამ წერილით ვერ გავათავებთ ჩვენს სამრევლო სკოლების დეფექტებს...

(ბოსლეველი)

# წერილები თედო ჟორდანიას

მას მერე, რაც სამეგრელოს სკოლებში თ. აშორდიას მეგრული ანბანის შემოღების ცდამ კრახი განიცადა, ბ. ფანცხაეამ და მისმა მომხრეებმა აქტიური კამპანია წამოიწყეს, რის წინააღმდეგაც გაილაშქრა ცნობილმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, თედო ჟორდანიამ. 1913 წელს ს. მჭედლიძემ თავის სტამბაში გამოსცა მისი წიგნი „ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში: ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში" წიგნში მოცემულია ფანცხავასა და მისი თანამოაზრეების კრიტიკა.

ო. ფ. № 643

№ 315

ჟურნალ „განთიადისა“.

და

გაზ. „შინაური საქმეებისა“

კანტორა და რედაქცია

და კანტორა სტამბისა „ძმობა“.

Редакція и контора

Журнала „ГАНТІАДИ“

и газеты:

„Шинаури Сакмееби“

и

контора типографіи

„Дзмоба.“

Гор. Кутаисъ, [illegible] № 17.

Адресъ для телеграммъ: Редакція „Гантіади“.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ჟურნალ „განთიადისა".

და

გაზ. „შინაური საქმეებისა"

კანტორა და რედაქცია

და კანტორა სტამბისა „დემობა".

*Редакція и контора*

*Журнала „ГАНТІАДИ"*

и газеты

**„Шинаури Сакмееби"**

и

контора типографіи

***„Дэмоба."***

Гор. Кутаисъ. Кахановская № 17.

Адресъ для телеграммъ: Редакція „Гантіади".

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1912 [illegible] 22 [illegible]

№316 [illegible]

ჟურნალ „განთიადისა“.

და

გაზ. „შინაური საქმეებისა“

კანტორა და რედაქცია

და სტამბის კანტორა „დროება“.

Редакція и контора

Журнала „ГАНТІАДИ“

и газеты

„Шинаури Сакмееби“

и

контора типографіи

„Дроба.“

Гор. Кутаисъ, Балахванская № 17.

Адресъ для телеграммъ: Редакція „Гантіади“

[illegible]

[illegible]




ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА
СЪ ОПЛАЧЕННЫМЪ ОТВѢТОМЪ



# მღვდელ სიმონ მჭედლიძის 1907-1914 წლებში გამოცემული წიგნები

**კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები.**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება სალკთო სჯულის სწავლებაზე . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართვ. მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკ. ქართ. გრამატ. . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებ., შედგ. ქუთ. საოს. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ, სურათებით. „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება" (ახალგაზ. ქართ. მეცნ. და სტუდ. ნაწარმ. კრებული). . „ 6 აბაზი,
6. ოხნაძე. მამალი. . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე ისლამი . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „
10 გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული ვეფხის ტყაოსანი ფასი. „ 5 შაური.
11 ალ. ჯანელიძის. ეროვნული შემოქმ. „ 2 აბაზი.
12. გ. წერეთლის. მამიდა ასმათი . . „ 1 „
13. გ. წერეთლის. რუხი მგელი . . „ 3 შაური,
14. რუსული ენის ახალი პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო . . . . . . „ 6 შაური

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე პირობით, როგორც საკუთარ გამოცემას:

1. „გუთანი" ქართული სახელმძღვანელო ფ. 17 შაური
2. ხუნდაძე. ქართული გრამატიკა . . „ 3 აბაზი.
3, მისივე მოკლე გრამატიკა . . . 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . „ 10 შაური.
5- მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . „ 2 „
7. ალ. პიპინაძე, გეოგრაფია . . . . „ 3 აბაზი.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. „ 5 შაური.
8. ფ. კორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვა და სხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი, თითო ნაწილი . „ 14 შაური
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქარ. . „ 14 შაური
11. შექსპირი, გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ. ფასი . . . . . . „ 1 აბაზი
12. დ. კესაშვილი. ბაში აჩუკი. დრამათ, ფასი. 5 შაური

იბეჭდება: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, სამაგალითო [illegible]—ო და სხვა,

მღვდ. ს. მჭედლიძე.

# საღვთო ისტორია

## ძველი და ახალი აღთქმისა

შემოკლებული ლოცვებით, დღესასწაულებით და სურა-
თებით,

შედგენილი თანახმად უწ. სინოდის პროგრამი-
სა ყოველგვარი დასაწყისი სახალხო სკოლები-
სათვის.

**ფასი ყდით ათი შაური.**

**ქუთაისი**
სტამბა „ძმობა“ ქართველის ქუჩა, სახლი ჩარქვიანისა.
1915



# ქრისტიანობა
## ბებელის
# ლაბორატორიაში

ვისაც ჭეშმარიტება უყვარს,
„ჰო"-საც მოუსმენს და „არა"-საც

**მ. ს. მ–ძე**

ქუთაისი
სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა
1907

# ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში

ერთგვარ მიმართულების ადამიანებს რომ ჰკითხოთ, რას ჰქადაგებთო, მყისვე გიპასუხებენ: „ძმობას, ერთობას, თანასწორობასო." ეს სიტყვა ისეთნაირად აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ძილშიდაც ამას ბოდავენ, სიზმრათაც ამას ჰხედავენ და ცხადათაც ვითომ ამას ემსახურებიან. აქედგან მოსალოდნელია, რომ იგინი გულდრუკს უნდა უკმევდნენ, თაყვანს უნდა ჰცემდნენ იმ პირებს, ვისაც ამ მათი სამებისათვის ასე თუ ისე სამსახური გაუწევია. უმეტესი სამსახური და თაყვანის-ცემა მათი იმას უნდა ჰხედეს, ვინც ეს სამება პირველათ ჰქადაგა, პრველათ აუწყა კაცობრიობას. ასეც იქცევიან ისინი, მაგრამ არა ყველას შესახებ. განსაკუთრებით მათ განაპირებული ჰყავთ ერთი პირი, რომელსაც რაღაც არ სწყალობენ, რომლის სახელის გაგონება ზიზღს ჰქვრის, რომლის დაუნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევდენ მათ. ეს პირი (საოცარი კია!) გახლავთ იესო ქრისტე, რომელსაც ხალხი მხსნელს, მაცხოვარს, ღმერთს უწოდებს, ხოლო ესენი უარყოფენ, უარყოფენ არა მხოლოდ როგორც ღმერთს, არამედ როგორც ისტორიულ პირსაც, ე.ი. უარყოფენ მას, ვინც კაცობრიობას პირველად აუწყა სიყვარული და ერთობა, ვინც პირველად დასთესა კაცთა შორის სათნოება. უარყოფენ თითონ და ცდილობენ ხალხსაც უარი ათქმევინონ.

ამ მიზნით სხვადასხვა დარგის „პროპაგანდისტები" ავრცელებენ ხალხში ზეპირათ თუ წერილობით, სხვადასხვა ცრუ მეცნიერთა შეთხზულ ზღაპრებს. ამ მიზნით გამოცემულია მაგალითად, „ცხოვრება იესოსი" რენანისა, თხზულება, რომელიც ევროპამ და მთელმა განათლებულმა საზოგადოებამ კაი ხანია დაჰგმო, როგორც მტკნარი სიცრუე. ეხლა ამას და ასეთ თხზულებას მხოლოდ იმ უსუსურ ბავშვებზე აქვს გავლენა, რომელთაც ორი ანბანი უსწავლიათ და ჰგონიათ, რომ მთელი ქვეყნიერების საიდუმლოების კლიტე-ბოქლომი ხელში უჭირავთ.

ამ მიზნითვეა გამოცემული წიგნაკი ბატონ ბებელისა – „ქრისტიანობა და სოციალიზმი" – თარგმანი ბიბინეიშვილისა.

უნდა წინდაწინვე მოგახსენოთ, რომ ის აზრები, რომლებიც გატარებულია ზემოხსენებულ წიგნაკში შესახებ იესო ქრისტეს პიროვნებისა, ძრიელ დახავსებულ აზრებათ ითვლება და განათლებულ საზოგადოებაში დიდი ხანია ნდობა დაკარგული გახლავან. დინჯად განათლებულ ევროპიელს რომ უთხრა, იესო ქრისტე მოგონილი ზღაპრული პირიაო, სიცილათაც არ ეყოფა. ასე წარმოიდგინეთ, რენანიც კი, რომლის სიცოცხლის მიზანს ქრისტიანობის გაბათილება შეადგენდა, ეს რენანიც კი ვერ უარყოფს იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ იესო ქრისტე ისტორიული პირია და არა ზღაპრული. გარნა

ბატონ ქართველ ბებელს ეს დიდი ხნითგან უარყოფილი აზრები „ხელის-ხელ საგოგმანებელ" ჭეშმარიტ მარგალიტებად მიუჩნევია და ქვეყანას აუწყებს და აყვედრის ზღაპრული პირის თაყვანისცემას. მე სრულებით არ მიკვირს ასეთი საქციელი ბატონ ბიბინეიშვილისა: **ცნობილია, რომ ჩვენ კიდევ ევროპიდგან გადმოყრილ სამეცნერო ნაგავს ვქექავთ და მით ვიკვებებით, ხოლო მის ჭეშმარიტ მეცნიერებასთან ძრიელ შორს გახლავართ.**

ჩვენ არაფერს ვიტყოდით ბ. ბებელის წიგნაკზე, რომ იგი წინაგანზრახვით არ იყოს თარგმნილი: მთარგმნელს სურს ისარგებლოს ხალხის უმეცრებით და ათასჯერ უარყოფილი მოძღვრება ჭეშმარიტებად მიაჩნიოს, ჭეშმარიტებად, რომელმაც ხალხი სოციალიზმის ბედნიერებამდის უნდა მიიყვანოს (?!)...

ხსენებული წიგნაკის შინაარსი ტრიალებს ორ უმთავრეს აზრის გარშემო: ა) იესო ქრისტე მოგონილი, ზღაპრული პირია და იგი ამიტომ არა თუ ღმერთი, კაციც არ არის (გვ.14) და ბ) ქრისტიანობა, როგორც ყოველი სხვა სარწმუნოება, არის ადამიანის ქმნილება, როგორც მაგ. ბუდიზმი, ისლამიზმი და სხვა სარწმუნოებითი მოძღვრებანი (გვ.11). ეს ორი აზრი ისეთნაირად არის ერთანეთთან დაკავშირებული, რომ ერთი უმეორეოთ ვერ იარსებებს. მართლაც, თუ იესო ქრისტე მოგონილი, ზღაპრული პირია, მისი ცხოვრებაც და მოქმედებაც ზღაპარია, ე.ი. ზღაპარია ქრისტიანობაც. დაწინააღმდეგ – თუ იესო ქრისტე ისტორიული პირია, ქრისტიანობაც, რომელიც მის სახელს ატარებს, მოგონილი, ჟამთა განმავლობაში განვითარებული კი არაა, არამედ მისი მოტანილია, ვის სახელსაც ატარებს. მაშასადამე, თუ დავამტკიცეთ, რომ იესო ქრისტე ისტორიული პირია, მაშინ რაღა ეთქმის ბ. ბიბნეიშვილს და მის მზეთა-მზეს – ბებელს? იგინი ძალაუნებურად უნდა დაგვეთანხმონ, რომ, თუ ქრისტიანობას ღვთაებრივი ჩამომავლობა არა აქვს, მაინც ბუნებითად განვითარებული არ არის, არამედ სავსებით მას ეკუთვნის, ვის სახელსაც ატარებს, რადგან მისი მსგავსი მოძღვრება არსად მოიპოება დედამიწის ზურგზე.

ამის შემდეგ ჩვენ ვეცდებით დაუმტკიცოთ ბ. ბებელებს, რომ ქრისტე ზღაპრული პირი არ არის, რომ ქრისტიანობას ნამდვილი ღვთაებრივი ჩამომავლობა აქვს, და იგი სრულებით არა ჰგავს არც ბუდდიზმს და არც სხვა ათას „იზმებს" და, თუ ჰგავს, – იმდენად, რამდენადაც თვით ამ უკანასკნელებს ღვთაებრივი ჩამომავლობა ეტყობათ.

დავიწყოთ პირველი საკითხითგან: ისტორიული პირია, თუ არა ქრისტე? ორივე ბებელმა, ნემეცმაც და ქართველმაც (ბ. ბიბინეიშვილმა) ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენი წელთაღრიცხვა იწყება იესო ქრისტეს დაბადებიდგან, იმ იესო ქრისტეს დაბადებიდგან, რომელმაც მოიტანა ის მოძღვრება, რომელსაც ეწოდება ქრისტიანობა. ეს გარემოება, ჩვენის ფიქრით, იმას უნდა

მოწმობდეს, რომ იესო ქრისტე ისტორიული პირია. წინააღმდეგ შემთხვევაში რანაირათ დაიწყო წელთაღრიცხვა იმ პირის დაბადებიდგან, რომელიც არ დაბადებულა? თქვენ იტყვით, იესო ქრისტეს დაბადება მოგონილიაო, – კარგი. მაგრამ რაზე აფუძნებთ ამ თქვენს მსჯელობას? გაქესთ, თუ არა, რამე საბუთი იმისი, რომ იესო ქრისტეს დაბადება მოგონილია? არავითრი, ვიტყვით ჩვენ თქვენ მაგიერა, რადგანაც დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთი საბუთი არსად მოიპოება და, თუ გქონოდათ რამე, იმედი გვაქვს, არ დაგვერიდებდით. **ჩვენ კი ბლომად გვაქვს იმის საბუთები, რომ იესო ქრისტე არა თუ მხოლოდ დაიბადა, არამედ კიდევაც აღიზარდა, ჰქადაგა და დაარსა სარწმუნოება, ეგრეთ წოდებული ქრისტიანობა.**

იესო ქრისტე მოქმედებდა კაცობრიობის ისტორიულ ხანაში, ე. ი. ისეთ ხანაში, რომლის ღირსშესანიშნავი მოვლენები აღწერილია წიგნებში. მაშასადამე, თუ ქრისტე ნახსენებია ამ წიგნებში, როგორც ქვეყანაზე არსებული მოქმედი პირი, სჩანს იგი ზღაპრული ვინმე ნაცარქექია არ ყოფილა, არამედ ყოფილა დრო, როცა მას უცხოვრნია და უმოქმედნია ქვეყანაზედ. არც ერთ ისტორიულ პირზე: მეფეებზე, გმირებზე, სარდლებზე იმდენი არა დაწერილა-რა, რამდენიც დაიწერა იესო ქრისტეს პიროვნებისა, მოქმედებისა და მოძღვრების შესახებ. მთელი თანამედროვე ებრაელების ისტორია სავსეა იესო ქრისტეზე ცნობებით. იესო ქრისტეს მოქმედებას განსაკუთრებით აგვიწერს ოთხი მწერალი, ოთხივე მისი თანამედროვე, მატთე, მარკოზ, ლუკა და იოანე. ამასვე მოწმობს წერილობით პავლე მოციქული, ყოფილი თავგამოდებული ფარისეველი, მდევნელი ქრისტესი და მისი სარწმუნოებისა – და ერთობით ყველა მოციქულები, რომელთაც წერილები დაგვიტოვეს. ამასვე მოწმობს პირველ საუკუნის თანამედროვე მეფე ტრაიანის მოადგილე პლინი, რომელიც არა-თუ მხოლოდ სახელით იხსენიებს იესო ქრისტეს, არამედ აღგვიწერს მისს გარეგან შეხედულებასაც. ამასვე მოწმობს მთელი გუნდი პირველ საუკუნის ქრისტიანებისა, რომლებმაც წერილები დაგვიტოვეს.

რომ ქრისტე ნამდვილი ისტორიული პირი იყო, რომელმაც ჭეშმარიტებისათვის ჯვარცმა დაითმინა, ამას უფრო აშკარად ის გარემოება მოწმობს, რომ მისი სახელის და მოძღვრების გავრცელებას თავი შესწირა რამოდენიმე ათასმა და ათი ათასმა პირველი საუკუნის ქრისტიანებმა, რომლების თავგანწირულებას უამისოთ ნიადაგი არ ექნებოდა.

გვაქვს კიდევ ერთი საბუთი, რომლის წინააღმდეგ, მგონი, აღარაფერი ეთქმისთ ჩვენს მეცნიერებს, ბ.ბ. ბებელებს: ისტორიული ფაქტია, რომ პირველ სამ საუკუნეში ცოტა მოყვარესთან, ბევრი მტერი ჰყვანდა ქრისტიანობას. გარდა ცეცხლისა და მახვილისა, როლებითაც სარგებლობდნენ იგინი (მტრები) ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად, იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ

იესო ქისტე ღმერთი არ არისო, ხოლო ის კი აღარაეის უთქვამს, რომ იესო ქრისტე და მისი მოძღვრება ზღაპარიაო, რომ იესო ქრისტე არ დაბადებულა და არც ყოფილა ქვეყანაზეო. ვფიქრობთ, პირველყოფილი ქრისტიანობის მტერნი არ დამალავდნენ ამ გარემოებას და ამხილებდნენ ცრუ მქადაგებლებს. მაგრამ ისინი სდუმდნენ ამის შესახებ, სდუმდნენ მისთვის, რომ დარწმუნებულნი იყვნენ მის პირადობაში, იცოდნენ, რომ იგი ნამდვილად დაიბადა და ცხოვრებდა ქვეყანაზე.

თუ გნებავსთ, ამას ყოლიფერს თავი დავანებოთ, ბ. ქართველო ბებელო, და წინაგანუზრახველად წავიკითხოთ სახარება და შევადაროთ იგი რომელიმე ზღაპრულ მოთხრობას, ან რომელიმე თანამედროვე პოეტ-რომანისტების ნაწარმოებს. თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ განძრახ არ დახუჭავთ თვალებს და არ დაიხშავთ გონების კარებს, სად არის მოგონილი, ზღაპრული და სად ნამდვილი ისტორიული პირები. ვიცი, თქვენ ეჭვის თვალით უყურებთ სახარებას, მაგრამ ვინ უყურებდა მას და მის მოქმედ პირებს ისეთი ეჭვებით და, შეგვიძლია ვსთქვათ, წინაგანძრახვით, როგორც საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი რუსსო? – მაგრამ აი, რა ათქმევინა მას სახარების სიტყვების (ტექსტის) კითხვამ: „უნდა აღვიარო, რომ ამ წერილის სიდიადეს განცვიფრებაში მოვყავარ. სახარების სიწმინდე ბევრ რამეს ეუბნება ჩემს გულს. რაა მასთან შედარებით ფილოსოფოსთა წერილები მთელი თავის მედიდურობით! შესაძლებელია განა, რომ ის, ვისი ამბავიც მოთხრობილია სახარებაში, მხოლოდ ადამიანი იყოს ?! უფრო ძნელი დასაჯერებელია მოწმეების მხრით საზოგადოდ უეჭველად მიღებული ფაქტები სოკრატის ცხოვრებიდგან, ვიდრე ქვეყნიერი ცხოვრება მაცხოვარისა. გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა მისი ახსნა, თუ როგორ შეთანხმდა რამდენიმე კაცი ამ წიგნის (სახარების) შესადგენად, ვიდრე მისი მიღება, რომ არ არსებულა ის, ვინც მისცა მასალა მის დასაწერად. სახარებას იმდენი მიუბაძავი თვისება აქვს, იმდენი ჭეშმარიტებაა შიგ მოთავსებული, რომ მისი მომგონი უმეტესი ღირსი იქნებოდა ჩვენი განცვიფრებისა, ვიდრე თვით ის პირი, რომელზედაც იგი მოგვითხრობს."

თუ ცხოვრება და მოქმედება ქრისტესი ზღაპარია, უთუოდ ზღაპრული პირები უნდა იყვნენ მოციქულებიც, რომელთაც ჰქადაგეს ქრისტე. უამისოთ გაუგებარია, როგორ შეთქვეს პირი რამდენიმე ათმა კაცმა და ჰქადაგეს ერთი და იგივე ქრისტე, ერთ და იმავე დროს, სხვადასხვა ადგილებში, ერთმანეთის უნახავად და დაუკითხავად. გსაკვირველია, როგორ ეთანხმება პეტრე – პავლეს, პავლე – იაკობს, იაკობი – იოანეს და ყველა საერთოდ ერთმანეთს. თუ მაინცა და მაინც რაიმე მანქანების ძალით მათ ერთმანეთში იდუმალი პირობა არ დასდვეს, მაინც გაუგებარი რჩება, რანაირათ შეთხზეს

მეთევზეებმა ისეთი ზნეობრივი იდეალი, რომელიც დღესაც მიუწდომელად ითვლება. რომლის მსგავსიც არ შეუქმნია არა ერთ ფილოსოფოსს, არა ერთ მორალისტს. მრწამს, მეთევზემ გამოიგონოს რაღაც წყლის მაენე და შეთხზოს მასზე უაზრო, დაფანტული ბლაპარი, ხოლო ისეთ ზნეობრივ და გონებრივ სრულ არსების გამოგონება, როგორიც ქრისტეა, ბებელის მახეილ გონებასაც ბევრად აღემატება და ძალიანაც რომ დავაჩემოთ, დიდი იქნება, რომ დემოკრატების ამ ღმერთკაცმა თანამედროვე სოციალისტის იდეალი დაგვიხატოს და იმასაც ან თვალი ეკლდება ან ყური.

„იესო ქრისტეს თავის საკუთარი ხელით ერთი სიტყვაც არ დაუწერია თავის მოძღვრებაზეო". ბრძანებს ბებელი თავის მეცნიერების სიმაღლიდგან და ამით ნებავს დაგვეაჯეროს, რომ იგი ისტორიული პირი არ არის. ნება მიბოძეთ, ასეთ საბუთს ბალღური გონების ნაწარმოები ეუწოდო. ამ საბუთით შეგვეიძლია უარვჰყოთ მთელი ასი წილი კაცობრიობისა. გამოდის, ვინც არაფერს სწერს თავის თავზე და თავის მოძღვრებაზე, იგი არ არსებობს. მაშასადამე არ არსებობს ის, ვინც წერა არ იცის, ან იცის, და არაფერს წერს. ამნაირი საბუთით შეგვეიძლია დაუამტკიცოთ, რომ ნაპოლეონი ქვეყანაზე არ არსებულა და მისგან მთელი ევროპის დაპყრობა მოგონილია, რადგან მას თავის ხელით არაფერი დაუწერია თავის ომებზე და არც იმ გეგმებზე, რომლებითაც სარგებლობდა იგი თავის დამამხობელ ომების დროს. ეს თუ ნაპოლეონზე ითქმის, რაღა უნდა ითქვას ალექსანდრე მაკედონელზე, ნაბუქოდონოსორზე, კვიროსზე და სხვა აღმოსავლეთის მეფეებზე, რომლებმაც თავის დროზე დიდი გავლენა იქონიეს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაზე, ხოლო ნაწერები კი არ დაგვიტოვეს? რა ვთქვათ სოკრატ ფილოსოფოსზე, რომელსაც ერთი ასოც არ დაუწერია თავის ხელით არც თავის თავზე და არც თავის მოძღვრებაზე, რომელსაც მხოლოდ პლატონ ფილოსოფოსის დიალოღების მეოხებით ვიცნობთ? ნუთუ სოკრატ ფილოსოფოსიც მოგონილი პირია? თუ გნებავსთ, ესეც ასე იყოს, მაგრამ ვთქვათ, გვეწვია უბედურება და ბატონ ნამდვილი ბებელის ნაწერები და მასთან ჩვენი ქართველი ბებელის ნათარგმნიც ერთბაშად „აღგავა ქარმან პირისაგან ქვეყნისა" და მისცა ზღვის უფსკრულს. მოკვდა თვით ბებელიც და დარჩა მხოლოდ ხსენება მისი მის თანამოაზრეთა შორის; დარჩენ, რა თქმა უნდა, მისი „ნათელი" აზრებიც. განა შესაძლებელია, ამ საფუძვლით ითქვას, ბებელიც მოგონილია და მისი მოძღვრებაცაო? ასეთ სამწუხარო ბოლოს არ ელის არც ერთი ბებელი; ორივეს უნდა ამ ქვეყნად მაინც უკვდავი იქმნეს, რადგან იმ ქვეყნად უკვდავებას უარჰყოფენ.

ამით ვასრულებთ ბაასს იესო ქრისტეს ზღაპრულ პიროვნებაზე მით უფრო, რომ არც ბ. ბებელი მაინც და მაინც დაჟინებით იცავს თავის სიზ-

მარს, რომელიც – როგორც სიზმარი – ბუნდოვანია და გაუბედავი. აბა, რა გაბედულება ეტყობა, მიბრძანეთ, შემდეგ ფრაზებს: „ამ მოძღვრებათა (ბუდდიზმის და სხ.) დამფუძნებელნიც, როგორც მრავლული დამფუძნებელი ქრისტიანობისა“ და სხ. (გვ.14), და კიდევ: „ ქრისტეს პიროვნება საიდუმლოებით არის მოცული“?!

უფრო საინტერესოა მეორე სიზმარი და მისი თავგამოდებითი დაცვა ბ. ბებელისაგან. აქ ის, კულტურის ისტორიის და ბუნების მეცნიერების ფარხმლით აღჭურვილი, ძალზედ გვიმტკიცებს, რომ „ქრისტიანობა, როგორც ყოველი სარწმუნოება, არის ადამიანის ქმნილება“ და როგორც ასეთი, იგი მისი სიტყვით, თანდისთანობით ვითარდებოდა, და აი, როგორ:

„უმთავრესი დოღმატი ქრისტეს ღმერთ-კაცობისა, ორ-ბუნევნობისა, რომელზედაც, როგორც დედა ბოძზე დამყარებულია ქრისტიანობა“, ბებელის სიტყვით, „მხოლოდ მეოთხე საუკუნეში მოუგონიათ“. ამას წინეთ კი მთელი სამი საუკუნე ქრისტიანები თურმე დიდ ყოყმანში და ცილობაში ყოფილან იმის შესახებ, „უდრის იესო ქრისტე ღმერთს, თუ მხოლოდ მსგავსებაა მისი“.

ტყუილიც არის და ტყუილიც, მაგრამ ასეთი უტიფარი, ურცხვი ტყუილიც არ გაგონილა. როცა ბებელი ზემოხსენებულ სიტყვებს წერდა, მე არ ეფიქრობ, გულში მაინც არ იცინოდა, ამოდენა ტყუილს რომ აცხობდა გულუბრყვილო მკითხველის ტვინ დასაბნევათ. თუ ეს ასე არ არის, და სად არის იმ კულტურის ისტორიის ცოდნა (იხ.გვ.15), რომელსაც ასეთი რიხით იჩემებს ბ. ბებელი? მაგრამ, როცა ბ. ბებელი სიტყვებს (ცნებებს) „ორ პიროვნებას“ და „ორ ბუნებოვნობას“ ერთმანეთში ურევს და ერთი მეორის ადგილზე ხმარობს, ცოტა არ იყოს, ეჭვი მებადება მის სამეცნიერო სალაროსადმი. ბ. ქართველ ბებელსაც გულწრფელად მიუღია ასეთი ცნებების ერთი მეორეში არევ-დარევა და (სიტყვა) ცნება „ორპიროვნება“ მსუქანი ასოებით დაუბეჭდვინებია, ვითომ-და ყველამ დაინახეთ, რომ პირველ მსოფლიო კრებას ღვთაების ორპიროვნება მოუგონიაო. ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ ორივე ბებელს, დამწერსაც და მთარგმნელსაც, მაგრამ ორივე კი ან განძრახ სტყუით, ან-და არც ერთმა, არა თუ ღვთისმეტყველების, არამედ საეკლესიო ისტორიის ინჩიც არ იცით! თუ ეს ასე არ იყოს, უთუოდ გეცოდინებოდათ, რომ პირველ მსოფლიო კრებაზე ღვთაების ორპიროვნებაზე კი არ ყოფილა სჯა-ბაასი, არამედ იესო ქრისტეს ორ ბუნებოვნებაზე და სწორეთ ეს დოღმატი განმტკიცდა და არა ის, რომ ღმერთი ბუნებითად ორპიროვანია. თუ ოდესმე ხალისი მოგსვლიათ ქრისტიანობის შესწავლისა, ბ. ბებელებო, უთუოდ წაკითხული გექნებათ სახარება და სამოციქულო, რომლებიც, ყოველ ეჭვგარეშეა, პირველ საუკუნეში დაიწერენ. თუ წაკითხული და შესწავლილი გაქვსთ, უთუოდ გეცოდინებათ, რომ ეს წიგნები იესო ქრისტეს აწერენ ორ

ბუნებას: ღვთაებრივს და კაცობრივს. ამ უტყუარ საბუთებზე დამყარებულნი, პირველი საუკუნის ქრისტიანები ერთ წამსაც არ შეჩერებულან იმ აზრზე, რომ იესო ქრისტე მხოლოდ კაცი იყო, ან მხოლოდ ღმერთი და არა ღმერთიც და კაციც. იმავე დროს. ამას, სხვათა შორის, აშკარად ამტკიცებს პირველი საუკუნის მოწამეთა ცხოვრება, ეგრეთ წოდებული „მოწამეთა ოქმები“. ერთ მოწამესაც ისე არ დაულევია სული, რომ მტარვალის წინაშე ხმამაღლა არ აღეარებიოს ეს უმთავრესი დოღმატი. ასეთივე რწმენა ჰქონდა ყველა მაშინდელ ქრისტიანებს, რომლებსაც, თუ რამე დაესაყვედურებოდა, – ის, რომ იესო ქრისტეს უფრო მეტს ღვთაებრიობას აწერდენ და არა წინააღმდეგ.

მეოთხე საუკუნის დასაწყისამდე საეკლესიო ისტორიამ არ იცის არც ერთი პირი, რომელსაც იჭვი შეპარვოდეს ამ უმთავრეს დოღმატის შესახებ, უმეტეს იმის შესახებ, რომ ვითომ იესო ქრისტე ღმერთი არ ყოფილიყოს, არამედ მხოლოდ კაცი. მეოთხე საუკუნის დასაწყისში კი გამოჩნდა ერთი მღვდელი, სახელად არიოსი, რომელმაც დაიწყო სწავლა, რომ იესო ქრისტე იყო უბრალო მოკვდავი კაცი და არა ღმერთი იმავე დროს. ამ ახალმა სწავლამ მიიმხრო რამოდენიმე მღვდელმთავარიც, რამაც ჩამოაგდო განხეთქილება მორწმუნეთა შორის და ამას მოჰყვა პირველი მსოფლიო კრება, რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა იესო ქრისტეს ღვთაებრივ-კაცობრიობა, ე. ი. ის, რომ იესო ქრისტე ღმერთიც იყო და კაციც იმავე დროს; დაამტკიცა მიტომ კი არა, რომ ეს საჭირო იყო „ხალხზე გაბატონებისათვის“, არამედ მიტომ, რომ მხოლოდ ასეთი სწავლა შეეძლო გამოეყვანა მას იმ მოძღვრებიდგან, რომელიც ჰქადაგა ქრისტემ და განმარტეს მოციქულებმა. თვით ის გარემოება, რომ კრების დიდმა უმრავლესობამ განკიცხა არიოსი და მისი თანამოაზრე რამოდენიმე მღვდელმთავარი (სულ ჩვიდმეტი სამასთერამეტიდგან) აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ არიოსამდე იესო ქრისტეს ერთ თუ ორ ბუნებოვნებაზე საკითხის აღძვრა თავშიდაც არავის მოსვლია. ამნაირად, ეს საკითხი მხოლოდ არიოსმა აღძრა, ხოლო პირველმა მსოფლიო კრებამ განიმეორა არსებული რწმენა ამ საგანზე.

პირველ მსოფლიო კრებაზე ერთი კრინტიც არავის დაუძრავს ღვთაების „ორ პიროვნობაზე“, თუ დაეძრა და დაეკანონებია ეს დოღმატი, მაშინ მეორე მსოფლიო კრებას უკვე აღარ შეეძლო ღვთაებისათვის მესამე პირი მიემატებია, რადგან საეკკლესიო კანონის ძალით ერთი მსოფლიო კრების დადგენილობას მეორე ვერ შესცვლის. არც მიზეზი ჰქონდა პირველ მსოფლიო კრებას ღვთაების მესამე პირზე საკითხი აღეძრა, რადგანაც მთელი მაშინდელი ქრისტიანობა აღიარებდა სულიწმიდას ღვთაების მესამე პირად და თვით კრებაც გამოხატავს ამას (რწმენას) შემდეგ სიტყვებში, რომელსაც იგი წინა უძღვის თავის დადგენილებას: *„ენება სულსა*

*წმიდასა და ჩვენ*". ხოლო, როცა ასეთი მიზეზი გამოჩნდა, ე.ი. როცა კიდევ ერთმა მღვდელმა, სახელად მაკედონიმ ეჭვი შეიტანა სული წმიდის ღვთაებრიობაში და გახადა იგი მსახურ არსებად, შესდგა მეორე მსოფლიო კრება და, მსგავსად პირველისა, განიმეორა ამ საკითხზე საზოგადო რწმენა და დაამტკიცა ის სწავლა, რომელიც მხოლოდ შესაძლო იყო გამოეყვანა მას იმავე სამღვთო წერილიდგან.

ასე გახლდათ ეს ამბავი და არა ისე, როგორც გადმოგვცემს ბ. ბებელი, თავის მეცნიერების და კულტურის ისტორიის საუნჯიდგან: ვითომ პირველ მსოფლიო კრებას იესო ქრისტე გაეღმერთებიოს და მეორეს – სული წმიდა და ამ ნაირად შეეთხზას სამპიროვანი ღმერთი!... ნეტა პირველი პირი, მამა ღმერთი რომელმა კრებამ გააღმერთა? – ვკითხავთ ბ.ბებელს...

რომ იესო ქრისტე პირველ მსოფლიო კრებას არ გაუღმერთებია და არც სული წმიდა – მეორეს, ამას, სხვათა შორის, მოციქულების სარწმუნოების სიმბოლოც (მრწამსი) ამტკიცებს: აქ ცხადათ და გარკვეულად არის ნახსენები **მამა ღმერთი, ძე ღმერთი**, განხორციელებული სული წმიდის ძალით მარიამ ქალწულისაგან, ჯვარცმული პონტოელ პილატეს დროს და **სული წმიდა ღმერთი**. მეორე მხრით, თუ პირველმა მსოფლიო კრებამ ღვთის ორპიროვნება განამტკიცა იესო ქრისტეს გაღმერთებით, ჰგავს მას ღმერთი ორ-პიროვნათ ჰქონია წარმოდგენილი და რაღა საჭირო იყო, რომ ამ კრების სარწმუნოების სიმბოლოშიდაც რომ სული წმიდა ნახსენებია ღვთის თანაბრად. აშკარაა, არც პირველსა და არც მეორე მსოფლიო კრებას აღნიშნულ საგნებზე ახალი სწავლა არ შეუთხზავთ, არამედ განუმეორებიათ მოციქულების და თვით იესო ქრისტეს მოტანილი სწავლა, რომელსაც მაშინდელი ქრისტიანები სავსებით აღიარებდნენ.

ამნაირად, ბებელმა თავისი მახინჯი აზრის დასამტკიცებლად შესახებ წმ. სამებისა დაამახინჯა ისტორიული ფაქტები, მაგრამ ამით კიდევ არათავებს იგი ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოლაშქრებას და ცილის წამებას. აქნამდის თუ ვითომ ისტორიულ ნიადაგზე იდგა, ეხლა კულტურულ ნიადაგზე დგება და იქიდგან ესერის ქრისტიანობას საკმაოდ ჩლუნგ და დრეკილ ისრებს, რომლებიც მიზანს სრულებით ვერ ხვდებიან და სადღაც ჰაერში იფანტებიან.

„ღვთაებრივ სამებაზე რწმენას, ბებელის აზრით, ზოგიერთ ძველ სარწმუნოებაშიდაც შეხვდებით, როგორც მაგ. ეგვიპტელთა სარწმუნოებაში". ჩვენ კიდევ უმეტესს ვიტყვით: ამ სწავლას შეხვდებით თითქმის ყველა ცნობილ სარწმუნოებაში, მაგრამ არა ისე ნათლად, როგორც ქრისტიანობაში. ასე გასინჯეთ, მოსეს სჯულშიდაც არ არის ეს რწმენა ისე გარკვეული, როგორც ქრისტიანობაშია. ეს გარემოება, ჩვენის ფიქრით, იმას კი არ ამტკიცებს, რომ

რწმენა წმ. სამებაზე შეთხზულია, როგორც მაგ. ბლავატსკაიას ღეეზე, არამედ იმის მოწამეა, რომ ოდესღაც ეს რწმენა საზოგადო რწმენა ყოფილა, ხოლო შემდეგ დროთა ვითარებას და ხალხის უმეცრებას ბინდი გადაუფარებია ამ ნათელი რწმენისათვის, გაუუბრალოებებია იგი და **ერთი სამპიროვანი ღვთის მაგიერ სამი ღმერთი დაუსახავს**, როგორც ინდური ბრამა, ვიშნუ და სივა.

მეორე მხრით, განა შესაძლებელია, რომ ის სწაველა სამპიროვან ღმერთზე, რომელსაც ქრისტიანობა ჰქადაგებს, ადამიანს შეეთხზა? ადამიანმა თავის კულტურის უმაღლეს საფეხურზე მოიგონა ისეთი ღმერთები, როგორიც თითონ არის, იმ ვნებათა და ღელვათა მქონენი, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ თითონ მას. როგორი ღმერთები მოიგონა, მაგ. ძველმა ქვეყნიერება – რომმა და საბერძნეთმა? *ზევსი, აპოლონი, არტემიდა, დიანა, მარსი, იუნონა, იუპიტერი, ესკულაპი, თემიდა,* ზოგი – ქალი, ზოგი – კაცი; ისეთივე ცოლქმრობა მათში და, ამ დამოკიდებულების ღვიძლი შვილი – შური და იჭვიანობა, ისეთივე განხეთქილება ერთმანეთში, მტრობა, სისხლის ღვრა, მიმდგმურობა, უსამართლობა, ძალმომრეობა და სხვა ამისთანა ბიწიერებანი, რომელთაც ადგილი აქვთ უბრალო მოკვდავთა შორის. ასე წარმოიდგინეთ, ამ უკვდავ ღმერთებს, ძველი კაცობრიობის წარმოდგენით, ხშირად ცოლ-ქმრული დამოკიდებულებაც ჰქონიათ მოკვდავ ადამიანებთან. ბერძნული მითოლოგია სავსეა ოლიმპის ღმერთების გარყვნილების ამბებით. რომაელებს ცალკე საყდარიც ჰქონდათ გარყვნილების ღმერთქალისა, სადაც აურაცხელი რომაელნი მანდილოსანნი შესაფერის ხელობით მსახურებდნენ მას. მერმე როგორმა კაცობრიობამ მოიგონა ასეთი ღმერთები? ისეთმა კაცობრიობამ, რომლის კულტურას ეხლაც განცვიფრებაში მოჰყავს მთელი თანამედროვე განათლებული კაცობრიობა, რომლის ფილოსოფოსებს და მეცნიერებს ბევრად ვერ აღემატებიან თანამედროვე კაცობრიობის ფილოსოფოს-მეცნიერები. აი ასეთმა კაცობრიობამ მოიგონა ის ღმერთები, რომელნიც ზევით აღვნუსხეთ. ბერძნები და რომაელები კიდევ შორს წავიდნენ, ღმერთებს რომ თავის საკუთარი ბუნება მიაწერეს. სულ სხვას ვხედავთ აღმოსავლეთის ქვეყნებში მაგ. ბაბილონში და ეგვიპტეში: იქაური ღმერთები ცხოველებია. ბაბილონი *ნოთა ხარს* სცემდა თაყვანს, როგორც ღმერთს და დიდ გლოვიარობას ეძლეოდა, როცა სიბერისა გამო ღმერთი გადაეცვლებოდა. გლოვიარობდნენ, სანამ ახალ ღმერთს იპოვნიდენ. ე.ი. ახალ ნოთა ხარს არ შეხვდებოდნენ. *კატა, თავვი, ოყარო, ლიანვი* – აი, ეგვიპტის ღმერთები. იყო და დღესაც არის ქვეყნები, სადაც უსულო საგნებს აღმერთებენ და განსაკუთრებით ცეცხლს. აი, როგორი ღმერთები გამოიგონა კაცობრიობამ, აი, რა ღმერთები შეიქმნა ბუნებრივად მას

შემდეგ, რაც კაცობრიობამ დაჰკარგა გონების თვალთაგან ჭეშმარიტი სამპიროვანი ღმერთი. აი, ის სარწმუნოება, რომელიც ადამიანმა მოიგონა მას შემდეგ, რაც დაჰკარგა ჭეშმარიტი სარწმუნოება, დამყარებული სამღვთო განცხადებაზე. ეტყობა თუ არა ამ აღნუსხულ ხალხთა სარწმუნოებას რაიმე ნიშანი სამების რწმენისა? ძალიან დიდი ჩაკვირვება უნდა, ძალიან დიდი ფილოსოფიური შეხედულებაა საჭირო, რომ მათი სამების რწმენა დაინახოს ადამიანმა.

ეხლა ვკითხავ საზოგადოდ ყველა ბებელებს და, იმედი მაქვს, სინდის ქვეშ მიპასუხებენ: რა შედარებაა ამ ადამიანის მონაგონ ღმერთებსა და იმ ღმერთებს შორის, რომელსაც ჰქადაგებს ქრისტიანობა? ღმერთი არის სული უხორცო, ამბობს ქრისტიანობა. რანაირად შეეძლო ადამიანს ასეთი სწავლა მოეგონებია? თქვენ, როგორც მატერიალისტებს, უთუოდ გეცოდინებათ ძველი თქმულება ლოკკისა: «нет ничего в уме нашем, чего бы не было раньше в наших чувствах», და ვფიქრობ, დარწმუნებულიც იქნებით ამ თქმულების სინამდვილეში. საზოგადოდ, ადამიანი მის მეტს ვერაფერს წარმოიდგენს, რაც არ უნახავს, რაც თავის ხუთი გრძნობით არ განუცდია. სპილოს, მაგალითად ვერ წარმოიდგენს ის, ვისაც იგი ან მისი სურათი არ უნახავს. ეხლა აბა სინჯეთ და წარმოიდგინეთ ქრისტიანობის ნაქადაგები ღმერთი – სული უხორცო, – თქვენ ვერ შესძლებთ ამას, მასშასადამე, ვერც მოიგონებდით ამ სწავლას, თუ იგი თვით მას არ განეცხადებია თქვენთვის, ვინც თვით არის ასეთი, ვინც თვით არის სული უხორცო. *„ღმერთი არის ერთი, ხოლო სამპიროვანი“* განაგრძობს ქრისტიანობა ღმერთზე. ნეტა როგორ შეიძლებოდა ამის შეთხზვა? განა აქამომდე ბევრს არ აბრკოლებს ეს სწავლა თავის მიუწვდომლობით? უკვე არსებულ სწავლას ვერ შერიგებია ჩვენი სუსტი გონება და, აბა საიდგან შეიძლებოდა მისი მოგონება? თუ ამ სწავლას განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა შორისაც შევხვდებოდით, როგორც გვარწმუნებს ბ. ბებელი, მით უკეთესი! მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს რწმენა ზეცით მონაბერია და არა ადამიანის გონებაში დაბადებული. ასეთი გონებაგანვითარებული კაციც კი, როგორიც ბებელია, ვერ შერიგებია ამ სწავლას (იხ. გვ. 23) და, აბა ძველი გოტების, თუ გოტენტოტების გონებას რანაირად უნდა მოეგონებია სამპიროვანი ღმერთი, არსებით ერთი, განუყოფელი და შეურევნელი?!

რამდენი ამისთანა მიუწვდომელი სწავლაა იესო ქრისტეს მოძღვრებაში, რომელთა გამოგონება და წარმოდგენა ადამიანს არ შეეძლო და არც შეუძლია! მაგ., ავიღოთ იესო ქრისტეს განხორციელების საქმე: როგორ წარმოიდგინება ღვთის და ადამიანის ბუნების შეურევნელად და განუყოფელად შეკავშირება?! რანაირად შეეძლო ადამიანს მოეგონებია და გა-

მოეთქვა სწავლა ზეციერ მხსნელზე, განა სადმე მომხდარა, რომ ერთ კაცს შეეწიროს თავი კაცობრიობისათვის და უკანასკნელი დაეხსნას ცოდვისაგან?! ჩვენის ფიქრით ამას კაცობრიობა ვერ გამოსთქმიდა, თუ არ ღმერთი ან ღვთივგანბრძნობილი კაცი!

*„როგორც წმ. სამება მოიგონა სამღვდელოებამ, ისევე მოიგონა მან შემდეგში წმიდანების თაყვანისცემა"*, – ბრძანებს ბ. ბებელი – ბრძანებს ზეპირად. ისტორიის დაუკითხავად. ჩვენ გვგონია, საკმაოდ დავამტკიცეთ, რომ სამღვდელოებას არ მოუგონია და არც შეეძლო მოეგონებია წმ. სამება, აგრეთვე არ შეეძლო მოეგონებია იგი საზოგადოდ, კაცობრიობას. ამიტომ უნდა მივიღოთ, რომ ეს სწავლა ღვთივ მონაბერია, ზეგარდმო გადმონაცემი, განცხადებული თვით ღვთისაგან, რომელმაც მხოლოდ იცის თავისი არსება, გარნა ეს სწავლა, სქელ ბურუსში გახვეული, ქრისტიანობამ ნათლად აღიარა, სამღვდელოებამ კი უკვე არსებული სწავლა, დოღმა წმ. სამებაზე განიმეორა.

როგორც წმ. სამება არ მოუგონია სამღვდელოებას, ისე არც წმიდანების თაყვანისცემა არ მოუგონია. ისტორიას რომ დაკითხოდა ბ. ბებელი, იგი ეტყოდა მას, რომ წმიდანების თაყვანისცემას ღრმა საფუძველი აქვს როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში და პირველ საუკუნეთა ქრისტიანების ცხოვრებაში. ისტორია ურიცხვი ფაქტებით ამტკიცებს, რა დიდი მოწიწებით და პატივით ეპყრობოდნენ პირველი ქრისტიანები წამებულთა გვამებს: მათ შექმნეს აკლდამები, სადაც ასაფლავებდნენ წამებულთა გვამებს, რომელთა საფლავებზე, როგორც წმ. ტრაპეზზე, ასრულებდნენ საღმთო მსახურებას; წამებულების მოელა-პატრონობა და მათი გვამების ოჯახში დასვენება დიდ ბედნიერებათ მიაჩნდათ პირველ ქრისტიანებს და არაფერს ერიდებოდნენ, რომ იგინი ეშოვნათ და სანუკვემოთ ოჯახში დაესვენებიათ.

*„პირველ საუკუნეებში ვერავითარ მხატვრობას ვერ ნახავდით ეკკლესიებშიო". გამოჩენილი ეკკლესიის მამები – ევსევი და ხრიზოსტომი, რომლებიც ცხოვრობდნენ 390 წ. ქრისტეს შემდეგ, კერპთთაყვანისცემათ თვლიდნენ ხატების ხმარებასო"*, – ამბობს ბებელი. ამას ჰქვია „სოფელი ენახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოვო", – აბა, ვის ატყუებს ბ. ბებელი, თუ არ იმას, ვინც ისტორიის ინჩიც არ იცის და მზად არის, ჭურივით ის ამოიძახოს, რასაც ჩასძახებ. ამას, ბ. ბებელო, შენი ქართველი სახლიკაცები თუ დაგიჯერებენ, თორემ სხვა – არავინ. „პირველ საუკუნეში მხატვრობას ვერ ნახავდით ეკკლესიაშიო". გასაკვირველია, საიდგან უნდა ყოფილიყო მხატვრობა ეკკლესიაში, როცა თვით ეკკლესიის, როგორც განსაკუთრებული სამლოველო სახლის, ხსენებაც არ ყოფილა პირველ საუკუნეში?! მტარვალების შიშით ქრისტიანები სალოცავათ ხან მაღაროებში, კლდეებში და ღრეებში იკრიბე-

ბოდნენ და ხან მიწის ქვეშ, აკლდამებში, ხოლო იშვიათად – კერძო სახლებში. აბა რა დრო ჰქონდათ ქრისტიანებს მტარვალი ნერონის დროს, გინა დომიციანის და ტრაიანის დროს, რომ დიდ-დიდი სობოროები აეგოთ და მხატვრობით შეემკოთ?! სადაც შესაძლებელი იყო, კიდეც ჰქონდათ ცოტაოდენი ალლეგორიული მხატვრობა. მაგ. აკლდამებში ნახულობენ სამკუთხედს, რაიც სამებას მოასწავებდა და თევზის ნახატს, რომლის ბერძნული სახელი (იხვთის) იესო ქრისტეს სახელის პირველ ასოებს მოგვაგონებს. რომ ევსევი და ხრიზოსტომი (იოანნე ოქროპირი) წმიდა მამებია, ეს ეჭვ გარეშეა, ის კი სიცრუვეა, რომ ვითომ იგინი უარს ჰყოფდენ ხატების ხმარებას. თუ ეს ასე არ არის და, გეიბრძანეთ, როდის სად და რა სიტყვებით უარს-ჰყვეს მათ ეს დოღმატი. მართლმადიდებელ ეკკლესიას თქვენზე უფრო ზედმიწევნით შესწავლილი ჰყავს ეს მამები და წმიდანებათ არ შერაცხდა მათ, თუ იგინი ხატების ხმარების უარმყოფელნი ყოფილიყვნენ. რანაირად მოხდა, რომ მართლმადიდებელმა ეკკლესიამ წმიდანებად შერაცხა არამართლმადიდებელნი? რა თქმა უნდა, ხატების ხმარების წინააღმდეგებიც იქნებოდნენ პირველ ქრისტიანებში (მხოლოდ ეკკლესიის მამები კი არა), მაგრამ ეს ხომ იმას არ ამტკიცებს, რომ ეს კულტი შემდეგ მოგონილია? წინააღმდეგები საიდგან გამოჩნდებოდნენ, თუ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ?...

ნათლისღება, ბებელის აზრით, მხოლოდ მეოთხე საუკუნეში შემოუღიათ. ეს ურცხვი ტყუილია, ბ. ბებელო! ნათლისღება იწყება თვით მოციქულებიგან და ამას ნათლად ამტკიცებს თვით მათი წერილები. აიღეთ, მაგალ. არხიდიაკონის ფილიპეს მიერ კონდაკიის დედოფლის საჭურისის მონათლვა, პეტრე მოციქულისგან ასისთავის კორნილის და მისი სახლობის მონათლა და თვით პაველ მოციქულის მონათლა ანანიასაგან (ერთი სამოცდაათთაგანია). პაველ მოციქული თავის ერთ წერილში სახელდობრ აღნუსხავს იმ პირებს, რომლებიც მან თავათ მონათლა. ეს ამბები მოხდა პირველ წლებში ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ. მოციქულები და შემდეგ მოციქულების მოადგილეები დიდი გულმოდგინეობით ასრულებდნენ ამ საიდუმლოს არა მისთვის, რომ იგი სრულდებოდა სადღაც ეგვიპტეში, არამედ მისთვის, რომ ამას ბრძანებდა პირდაპირი მცნება ქრისტესი: „*წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. რომელსა რწმენეს და ნათელ-იღოს, სცხონდეს, ხოლო რომელსა არა რწმენეს, დაისაჯოს*“. წყალში ეხლაც აბანავებენ ყრმებს, დიდებიც იბანენ, მაგრამ ამ ბანაობას ნათლისღება არ ჰქვია და არც ძველად ერქვა.

„ზიარებაც, თურმე, რომელიც ურიების პასექის გაქრისტიანებას წარმოადგენს“, გვიან შემოვიდა ხმარებაში (მაინც რა დროს?) – ბებელის აზრით

(მგონი უფრო უაზრობით), მაგრამ ესეც მტკნარი სიცრუეა, რომელსაც ვერავითარი საბუთით ვერ გაამართლებს ბ. ბებელი. ეს საიდუმლოც, როგორც გვარწმუნებს რომაელების ისტორია, მოციქულების დროიდგან დაიწყო და დღიდგან მისი შესრულებისა იესო ქრისტეს მიერ საიდუმლო სერობაზე, არ შეწყვეტილა ქრისტიანობაში. ისტორია გვარწმუნებს, რომ პირველი ქრისტიანები იკრიბებოდნენ კვირა დღეებში სალოცვილოდ და ასრულებდნენ საიდუმლო ზიარებას. იაკობ მოციქულმა, იერუსალიმის პირველმა ეპისკოპოზმა, თითონ შეადგინა სამღვთო ლიტურღია, რომელზედაც სრულდება საიდუმლო ზიარება. ეს ლიტურღია ესლაც ხმარებაშია იერუსალიმში და სრულდება ამ მოციქულის დღესასწაულზე. არა-თუ ზიარება, მისი შესრულების ფორმებიც თითქმის უცვლელად არის დაცვენილი მოციქულებიდგან (იხ. Дмитриевский – „Служебник – книга таинственная"). რაიცა შეეხება იმას, ვითომ ზიარება ურიების პასექის გაქრისტიანებას შეადგენდეს, ეს ისეთი ბალღური მოსაზრებაა, რომელზედაც პასუხის გაცემას იუკადრისებს ყოველი ადამიანი, ვინც ცოტათ მაინც იცნობს ურიების პასექს და ქრისტიანების ზიარებას და მათი შესრულების ფორმებს, მაგრამ ჩვენ მაინც ერთ კითხვას მივცემთ ბ. ბებელს: რით ჰგავს ურიების პასექი ქრისტიანების ზიარებას, და ან რანაირად დარდაიქმნა პირველი მეორედ?

„რწმენა ეშმაკის არსებობაზე და საიქიო ცხოვრებაზე საზოგადო რწმენაა," – ამბობს ბებელი. „ასეც უნდა იყოს, – ვიტყვით ჩვენ, რადგან ეს იდეები პირველი კაცის დაცემისთანავე დაიბადა. მაგრამ მაინც, ქრისტიანულ რწმენას ამ საგანზე სულ სხვა ელფერი აძევს, რომელსაც ვერ მისწვდება წარმართთა რწმენა. წარმართთა ეშმაკი იგივე ღმერთია, მხოლოდ ბოროტი, რომელსაც იგივე თაყვანისცემა უნდა, როგორც კეთილ ღმერთს, ხოლო ქრისტიანობის წარმოდგენით, იგი ბოროტი სულია, ღვთისაგან უარყოფილი, და არა – ღმერთი და არც მისი მსგავსი.წარმართთა რწმენის მიხედვით ეშმაკს სიკეთეც შეუძლია მოუტანოს ადამიანს, ქრისტიანობა კი ყოველ მის მოქმედებაში ჰხედავს ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ მოშხამულ ისარს. ასევე ითქმის საიქიო ცხოვრებაზედაც. ქრისტიანული სწავლა ამ საგანზე იმდენათ გაცილებით მაღლა სდგას სხვა სარწმუნოებათა სწავლაზე, რომ მათი შედარების დროს მსგავსება სრულებით იკარგება და რჩება მხოლოდ ერთი განსხვავება. ბოლოსდაბოლოს მათ შორის რჩება ერთი არსებითი მსგავსება, სახელდობრ ის, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისი სული, განაგრძობს არსებობას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იდეა სულის უკვდავებისა თანშობილი იდეაა ყოველი სარწმუნოებისა. უამისოთ სარწმუნოებას ნიადაგი არა აქვს. თქმა არ უნდა, სულს და მის უკვდავებას ვერავინ მოიგონებდა, თუ თვით ღმერთს არ განეცხადებია. ხოლო

რაც ღვთის განცხადებაზეა დამოკიდებული სხვა სარწმუნოებათა შორის, იგი უცვლელად არის დარჩენილი ქრისტიანობაშიდაც, რადგან უზენაესი განცხადება სარწმუნოების რომელიმე დებულებაზე – შეიძლება იქნეს მხოლოდ ერთი. ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოვახსენოთ ბ. ბებელს, რომ იესო ქრისტეს სრულებით აზრად არ ჰქონია სჯულის დარღვევა, არამედ მისი განწმედა, გაფაქიზება და ნაკლის შევსება. ამაზე ასე სთქვა თითონ: *„არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღვსებად მისსა“*. ამიტომ სრულებით არ უნდა გვეიკვირდეს, თუ ზოგიერთი სწავლა ქრისტეს სჯულისა ასე თუ ისე ეთანხმება სხვა სარწმუნოების სწავლას.

*„კაცობრიობის ხსნა უზენაესის არსების მოციქულის შემწეობით არ შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას ქრისტიანობისას, ამასვე ასწავლიდნენ ბუდა და ზოროასტრი ოთხი საუკუნის წინეთ ქრისტეს შობამდის“* – ამბობს ბებელი. ჩვენ კიდევ შორს წავალთ და მდაბლად მოვახსენებთ მეცნიერ ბებელს, რომ ამასვე ასწავლიდნენ გაცილებით უფრო ადრე ბუდა-ზოროასტრზე აბრამი, ისააკი, იაკობი, და ყველა ძველი აღთქმის მამათმთავარნი, ამასვე ქადაგებდნენ წინასწარმეტყველები, ამასვე ქადაგებდა მთელი ქვეყნიერება ადამიდგან დაწყებული. ვიმეორებთ, ეს რწმნა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. არ ყოფილა დრო თვით ადამის შეცოდებიდგან დაწყებული, ვიდრე აქამომდე, რომ ეს რწმენა არ ყოფილიყოს. მაგრამ განა ეს მისი ნიშანია, რომ აზრი უზენაესის არსების მოციქულის შემწეობით ხსნისა, ბუნებრივად, თავისთავად დაიბადა? თუ დაიბადა, რა მიზეზით დაიბადა? რამ აიძულა კაცობრიობა, შეეთხზა ასეთი რწმენა? რა ხსნას მოელოდა კაცობრიობა? რისგან უნდა განთავისუფლებულიყო? რა გაუჭირდა? რა შემთაკლდა? თუ ოდესმე კაცი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სასმელ-საჭმლის მხრით, ეს მაშინ, როცა ნიადაგი მოუჭმელი იყო და ერთი ათასს იძლეოდა მოსავალს, როცა ერთ მტკავან ყურძენს ორი კაცი ძლივს ზიდავდა. მაშ რამ მოაფიქრებია ამ უზრუნველყოფილ ხალხს რაღაც უზენაესი მხსნელი, რომლის ქვეყნად მოსვლას არაფერი მიზანი არ ჰქონდა? მე მესმის, რისთვის მიილტვის ეხლანდელი კაცობრიობა სოციალიზმისკენ: მას ჰგონია, რომ საერთო საუნჯეში სასმელ-საჭმელი არ გამოილევა, მას ჰგონია, რომ კუჭი, რომელიც დღეს „მშიას“ იძახის, გაძღება. თუმცა შესაძლებელია, მოტყუებული დარჩეს კაცობრიობა თავის მოლოდინში და სხვადასხვა მიზეზების გამო კუჭმა უფრო ხმამაღლა იყვიროს, მაგრამ მიზანი მისი მისწრაფებისა მაინც გარკვეულია. ხოლო, რა მიზანი ჰქონდა ძველ კაცობრიობას, როცა უზენაეს არსების მოციქულს მოელოდა? ამას ვერ აგვიხსნის ბებელი ვერც თავის კულტურის ისტორიის და ფილოსოფიის ცოდნის სიმაღლიდგან და ვერც მისი სოციალ- დემოკრატიული პროგრა-

მიდგან. იგი მატერიალისტია და, როგორც უნდა ატრიალოს თავის უსულგულო მატერია, ვერაფერს გამოდენის მისგან ამ კითხვის განსამარტავათ. თავის თეორიის ძალით მან უნდა აღიაროს, რომ კაცობრიობას არავითარი მიზანი არ ჰქონია და სრულიად უმიზნოდ შეითხზა ეს რწმენა უზენაეს არსების მოციქულის შემწეობით ხსნის შესახებ. ჩვენთვის კი აშკარაა, რომ კაცობრიობის ტანჯვა-წამება, რომლისგანაც თავის ხსნას ფიქრობდა იგი უზენაესი არსების მოციქულის შემწეობით, ზნეობრივი სასითისა იყო, გამოწვეული იმ უსრსული მდგომარეობით, რომელიც მიიღო მან შემდეგ ჭეშმარიტი ღვთის უარყოფისა. მცენარე ისწრაფის მიწიდგან ამოსვლას, რომ შეხედოს თავის ცხოველმყოფელს მზეს, რომ უმისოდ არ ამოლპეს მიწაში; აგრეთვე კაცობრიობა ისწრაფვის (თუ ბებლები არ გადაელობვიან და გზას არ აუბნევენ) უმეცრების უფსკრულიგან, რომ შეხედოს თავის მზეს, ჭეშმარიტ ღმერთს, რომლის გარეშე არ შეუძლია ცხოვრება. თუ ზოროასტროს და ბუდდას მიმდევართა შორის დღესაც გავრცელებულია სწაელა უზენაეს არსების მოციქულის მიერ ხსნაზე, თუ იგინი დღესაც მის მოლოდინში არიან, დარწმუნდით, ბ. ბებელო, ეს ბუდდა-ზოროასტრის მოგონილი არ გახლავსთ: ეს სწავლა და მოლოდინი უთუოდ მათზე უფრო ადრე იყო გავრცელებული და ამათ მხოლოდ გაიმეორეს. თუ ეს ასე არ იყოს, ყველგან ხომ ბუდა-ზოროასტრი არ ასწაელიდნენ?! რამ მოჰფინა იგივე სწაელა სხვა სჯულის აღმსარებელთა შორის, მაგ. რომში, საბერძნეთში, ურიასთანში, ეგვიპტეში, და, საზოგადოდ, მთელ ძველად ცნობილ ქვეყნებში? აშკარაა, თუ ბუდამ და ზოროასტრმა ამის მსგავსი რამე ჰქადაგეს, ეს იქნებოდა განმეორება უკვე არსებული რწმენისა. ის გარემოება, რომ სწავლა უზენაესის მოციქულის საშუალებით ხსნისა გავრცელებული იყო მთელ ქვეყნიერებაზე, რასაც თვით ბებელიც ამტკიცებს, ეს გარემოება სარწმუნოდ ხდის დაბადების აღთქმას მხსნელზე. ეჭვს გარეშეა, რომ ეს აღთქმა დაედო საფუძვლად ყოველ ამგვარ ქადაგებას, როგორც ბუდა-ზოროასტრისას, ისე სხვისასაც. მაგრამ დაგვავიწყდა, რომ ბ. ბებელი უარჰყოფს ბიბლიას, როგორც სამღვთო წიგნს და უწოდებს მას კრებულს სხვადასხვა პირთაგან სხვადასხვა დროს ნაწერს. ამ აზრის მიხედვით დაბადების აღთქმა მხსნელზე შეიძლება ზოროასტრის ან ბუდდას ჩაწერილიც იყოს, მაგრამ ამით კიდევ ვერ აგვიხსნის ბ. ბებელი, თუ საიდგან დაებადა კაცობრიობას აზრი ზეციერ მხსნელზე. ამას ქვეყანა ვერ შეთხზავდა, თუ არ ზეცა, რომელზედაც მოგვითხრობს დაბადების პირველი სტრიქონები.

რაიცა შეეხება განსაკუთრებით ბუდდას მოძღერებას, მეც ცოტა რამ გამეგება ამ მოძღერების, მეც ცოტა რამ მიკითხავს მის შესახებ, მაგრამ არსად არ შევხვედრივარ, რომ ბუდდა ჰქადაგებდეს უზენაეს არსების მოციქულზე.

ბუდდას მოძღერება უარს ჰყოფს ღმერთს, უზენაეს არსებას; იგი ასწავლის, რომ „ არ არსებობს არავითარი ღმერთი და არ არის ადამიანისთვის არავითარი იმედი ნეტარებისა და სიწმიდისა არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად; არ აის იმედი ქვეყნის გამოსყიდვისა ცოდვისა და წყევისაგან; ბუდდას აზრით, ადამიანს თვით შეუძლია მოიპოვოს ხსნა, რომელიც მას ეჭირება; „არ არსებობს და არც საჭიროა არავითარი მხსნელი" – ამბობს ბუდდა. გვიკვირს, რათ დაემალა ბებელის ყურადღებას ასეთი კატეგორიული უარყოფა ბუდდას მოძღერებისაგან ზეციური მხსნელისა? ვფიქრობთ, მათ თვალის ასახვევად, ვისაც ასეთი უსაზღერო ნდობა აქვს მასზე და მის ღრმა ცოდნაზე.

*„ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ თავი და თავი დოღმები და ჩვეულებები, რომლებზედაც ქრისტიანობა ეყრდნობა ნასესხებია წარმართთაგანო, ესვევე ითქმის ქრისტიანების ღვთისმსახურების ფორმებზედაცო."* ასე ბაქიაობს ბ. ბებელი, ვითომდა, რადგანაც მე ვსთქვი ეს ასეც უნდა იყოსო. თქმას რა ჭკუა აქვს, ჩემო ბებელო, თქმას დამტკიცება უნდა და შენ კი ერთი საბუთიც არ მოგყავს ისეთი, რომ ნათლად ამტკიცებდეს ჩვენი დოღმების ნასესხობას. თქვენ უფრო თქვენი ჭორიკანობა დაამტკიცეთ, ღვთისმეტყველების სრული არ ცოდნა და მასთან კიდევ სამღვდელოებას რამდენიმე ცილი დასწამეთ. აი, რა ჰქენით თქვენ თქვენი „კულტურის ისტორიის" და ფილოსოფიის ცოდნის სიმაღლიდგან. ეხლა ესვევ იარაღი გნებავსთ იხმაროთ ქრისტიანების ღვთისმსახურების ფორმების შესახებაც.

მაგრამ ჩვენ არ გვეშინია არავითარი მსგავსებისა ღვთის მსახურების ფორმების მხრივ. ღვთისმსახურების ფორმები, ე. ი. ღვთის მსახურების დროს სახმარი ტანთსაცმელი, ჭურჭელი და სხვა საჭირო ნივთები არ არის ზეციდგან მონატანი. იგი თვით ადამიანებიდგან არის შესაფერად მონაგონი და მათ დიდ მნიშვნელობას არ აძლევს ქრისტიანობა. წაიკითხეთ, ბ. ბებელო, მართლმადიდებელ ეკკლესიის ეგრეთ წოდებული ღვთის მსახურების სახელმძღვანელო წიგნი და იქ აშკარად დაინახავთ, თუ რომელი ტანთსაცმელი, ღვთის მსახურების დროს სახმარებელი, რა დროს და რა მიზეზით შემოიღეს. სჩანს ქრისტიან ეკკლესიას არ ეშინია მსგავსებისა და თქვენ რამ გაგააფთრათ, ბ. ბებელო. იცოდეთ, ქრისტეს ღვთის მსახურების ფორმები არ შეუთხზავს, მაგრამ არც აუკრძალავს მორწმუნეთათვის შეეთხზათ ეგრეთი. წინააღმდეგ, მას თავის ცხოვრებაში არც ერთი არსებული ღვთის მსახურების ფორმა არ დაურღვევია და ბევრის მათგანი კიდეც შეუსრულებია. მაგ. იერუსალიმის ტაძარში სიარული, პასექის ასრულება, წინადაცვეთა და სხვა.

ქრისტიანეთა ღვთის მსახურებას, რაც უნდა მსგავსება ჰქონდეს მას ძველ სარწმუნოებათა მსახურებასთან – ტანთსაცმელით და სხვა გარეგა-

ნი ფორმებით, მაინც დიდი განსხვავება აქვს აზრით და მოქმედებით. ხოლო, თუ სტოლი სტოლადვე იხმარება და სავარძელი სავარძლადვე, ან სტოლს ტრაპეზი ეწოდა (რაიცა მასვე – სტოლს ნიშნავს და არა საკურთხეველს, რომელიც იმ განყოფილებას ჰქვია, სადაც ტრაპეზი დგას) და სავარძელს კათედრა, ნუ თუ ეს სესხობა არის? საქმე ფორმაში არ არის, არამედ აზრში, რომელიც ასულდგმულებს ფორმას. ამ მხრივ „საკურთხეველი ქრისტიანეთა" და სასხვერპლო სტოლი წარმართთა, ერთი არ გახლავთ. სასხვერპლო სტოლისა რა მოგახსენოთ და თვით სხვერპლის შეწირვას კი ღვთაებრივი დასაბამი აქვს, რასაც ამტკიცებს იგივე, თქვენგან უარნაყოფი „დაბადება".

მაგრამ კმარა, ასეთი მსგავსებას, როგორიც ბ. ბებელს მოჰყავს ქრისტიანეთა და წარმართთა ღვთისმსახურების ფორმებში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისთვის და სრულებით არ ამცირებს ქრისტიანობას, როგორც განცხადებულ სარწმუნოებას. ასეთ უმნიშვნელო მსგავსებას მხოლოდ ის გამოეკიდება, ვინც უფრო არსებითი საბუთი ვერ იპოვა, რომ უარჰყოს ჭეშმარიტება, რომელიც, როგორც ასეთი, სძაგს ყოველ კაცს, „*რომელნი არა არიან ჭეშმარიტებისაგან*". ბებელი რომ თავის მეთოდით ჩვენს ქუთაისის საკათედრო სობოროში შემოვიდეს, დარწმუნებული ვარ, იტყვის, რომ იგი სპარსელების მეჩეთი ყოფილა და ქრისტიანებს თავის ეკლესია დაურქმევიათო. ამის საბუთს იგი ბლომად იპოვის იმ ორნამენტებში, რომელთაც სპარსული ხასიათი აქვსთ. ასეთი მეთოდით რომ ვიხელმძღვანელოთ, ჩვენც შეგვიძლია ბებელს თათარი ვუწოდოთ, როცა თათრულ ტანისამოსში შევხედავთ, სპარსი, როცა სპარსულად არის გამოწყობილი და ნემეცი, როცა ამ უკანასკნელის ტანისამოსს ატარებს. მაგრამ ჩვენ არ ვიზამთ ამას, რადგან ბებელს ყველგან ვიცნობთ, როგორც ნემეც ბურჟუა-დემოკრატს, მესაკუთრე-სოციალისტს და თავის დღეში თათარს არ ვუწოდებთ, თუნდ თათრულადაც თავი მოიპარსოს.

აქამდის ბ. ბებელი ისტორიულ-კულტურულ ნიადაგზე იდგა და ძალზე გვარწმუნებდა, რომ იესო ქრისტე და მისი მოძღვრება ზღაპარია, რომ ქრისტიანობა თავისთავადაა დაბადებული და არა ზეცით მოტანილი. ჩვენ გვგონია, საკმაოდ დავამტკიცეთ წინააღმდეგი, ე.ი. ის, რომ იესო ქრისტე და არც მისი მოძღვრება ზღაპარი არ არის და არც შესაძლებელია, რომ ქრისტიანობა კაცობრიობას მოეგონებინოს.

ეხლა ბებელი ცდილობს სხვაფრივ დაუაროს თავი. მას უნდა გააბათილოს და არად აქციოს ის საბუთები, რომლებზედაც დაფუძნებულია ქრისტიანობა, როგორც ზეცით მონაბერი მოძღვრება. მას უნდა ნდობა დაუკარგოს ბიბლიას საზოგადოდ და, სახარებას – განსაკუთრებით, როგორც სამღვთო წიგნებს და ჩამოიყვანოს იგინი უბრალო კაცობრივი წერილების ხარისხა-

მდე. მაგრამ მას ერთი საბუთიც არ მოჰყავს ამის გასამართლებელი და მხოლოდ ლიტონი სიტყვით ამბობს, რომ *„ბიბლია არ შეიძლება იყოს ღვთის სიტყვაო.“*. იგი, როგორც ნაწარმოები, *„რომელიც ხატავს სხვადასხვა კულტურულ განვითარების საფეხურზე მდგომ სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებას და. რომელიც შეიცავს ათასგვარ გადმოცემებს, რა თქმა უნდა, სავსე იქნება ყოვლად ტლანქი და ყოვლად უხსნელი (აუხსნელი?!) წინააღმდეგობებითო“*. რას ჰქვია, „სავსე იქნება“? იქნება კი არა, უნდა იცოდე დანამდვილებით, რომ სავსეა, უნდა იცოდე და კიდევაც უნდა უჩვენებდე, რაში ხედავ „წინააღმდეგობებს“? ცოტა ქვემოდ თქვენ ბრძანებთ, ბიბლიაში 50 ათასზე მეტი წინააღმდეგობა აღმოაჩინესო. გვიჩვენეთ მაგალითად ერთი მაინც, ასე სულ ლიტონ სიტყვაზე როგორ გენდოთ?! ჩვენის ფიქრით, მთელ ძველ აღთქმის წიგნებში გატარებულია ერთი აზრი, სახელდობრ ის, რომ **ღმერთი არის ღმერთი ისრაილისა და არა არს მის გარეშე სხვა ღმერთი**. ამ აზრის განმარტებას ემსახურება მოსე და მთელი გუნდი წინასწარმეტყველთა და, აბა მიბრძანეთ, რომელი ძველი აღთქმის წერილი ეწინააღმდეგება ამ აზრს? რა წინააღმდეგობას პოულობდენ ბიბლიაში ის კაცები, რომლებიც მას თქვენის სიტყვით სიგიჟემდის მიუყვანია? საინტერესოა ვიცოდეთ მაინც ეს კაცები. თქვენ ვერ გვიჩვენებთ ბიბლიისგან გაგიჟებულ კაცს და მე კი ბევრს დაგისახელებთ, ბ. ბებელო, ისეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენმა მოძღვრებამ არა-თუ სიგიჟემდის მიიყვანა, არამედ სულ გამოანიჭა და დაუკარგა ადამიანური გრძნობიერება, გაამხეცა და მოსტაცა მას სიყვარული და სიბრალული მოყვასისადმი, ეს ერთადერთი ადამიანური თვისება! ბიბლიას კი არავინ გაუგიჟებია, არამედ შეუქმნია ისეთი გონება-მნეობის გმირები, როგორიც არიან ძველი და ახალი აღთქმის მამები და მამათმთავრები. გრიგორი ღვთის მეტყველი, ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხვანი მრავალნი აღიზარდენ ბიბლიაზე, მაგრამ ერთი მათგანიც არ გაგიჟებულა, ხოლო ნიცშე აღიზარდა დარვინზე და თანამედროვე მეცნიერებაზე და მის ნაწერებს ნათლად ეტყობა ბეჭედი სიგიჟისა.

„თვითეული თავი ამ წიგნისა (ბიბლიისა) იმათგან კი არ არის დაწერილი, ვის სახელსაც ატარებს, არამედ ის არის კრებული სხვადასხვაგვარი ნაწერებისა და სხვადასხვა ავტორების, **რომელთა სახელები არას დროს არ ყოფილა ცნობილი** (მსუქანი ასოები დედნისაა) და რომლებიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენო“. უთუოდ მკითხავი უნდა იყოს ბ. ბებელი. უამისოდ გაუგებარია, რანაირად შეიტყო, რომ „თვითეული თავი ამ წიგნისა სხვადასხვა დროს არის დაწერილი“. ან კიდევ „სხვადასხვა ავტორებისაგან, რომელთა სახელები (საუბედუროთ) არასოდეს არ ყოფილა ცნობილი?“ ნეტა რათ ესაჭიროება ბ. ბებელს, რომ თვითეული თავი ბიბლიისა სხვადასხვა

უცნობი ავტორებისგან იყოს დაწერილი და არა იმ პირთაგან, რომელთაც ძველის დროიდგან ემისება მათი დაწერა? უთუოთ მისთვის, რომ არ უნდა გაამართლოს ეკკლესიის შეხედულება ამაზე, რადგან ეს თანხმობის ნიშანი იქნება და სირცხვილი არ იქნება ასეთი კაცისთვის, როგორიც ბებელია, ეკკლესიის შეხედულება გაამართლოს? მაგონდება განსვენებულის პროფესორის აფანასიევის სიტყვები რომელიც მან გაკვრით მოიხსენა ერთერთ ლექციაზე: „მსწავლულები უარს ჰყოფენ ბიბლიას, რომ ეკკლესიის მომხრეობა არ დასწამონ და ჩუმ-ჩუმად კი სარგებლობენ მითიო." თუ ბებელმა არ იცის, ვინ იყვნენ ბიბლიის დამწერნი, ის მაინც ეცოდინება, ვინ შეჰკრიბა ეს „სხვადასხვაგვარი ნაწარმოები" და გამოიყვანა ერთგვარი კრებული, თაიგული ერთგვარი ყვავილებისგან შემდგარი. ჭეშმარიტად უმეტესი განცვიფრების ღირსია ის კაცი, ვინც ეს, ბებელის სიტყვით, სხვადასხვაგვარი ნაწარმოები" შეჰკრიბა და ერთი აზრის მოსამსახურედ გაჰხადა, ერთი სული ჩაუდგა. მე უკან არ დავიხევდი და ვუწოდებდი მას ღვთივ განბრძნობილ კაცად.

ისიც კარგია, რომ ბ. ბებელი ბიბლიის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას აქცევს ყურადღებას. აქნამდის არც ამ მხრივ ჰქონდა მას ფასი ღვთის უარმყოფელ მეცნიერთა შორის, თუმცა ხშირად კი სარგებლობდენ მით.

*„ნამდვილი გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ არცერთი ხელნაწერი სახარებისა და სამოციქულოსი არ შეიძლებოდა დაწერილიყო ქრისტეს შემდეგ ოთხი საუკუნის წინეთ*". ჩვენ არ გვესმის რა უნდა სთქვას ამით ბ. ბებელმა. ის რომ სახარება და სამოციქულო არ შეიძლებოდა დაწერილიყო მეოთხე საუკუნემდე, თუ ის ხელნაწერი სახარებები, რომლებიც დღეს მოიპოვებიან მეოთხე საუკუნეზე ადრე არ შეიძლებოდა დაწერილიყვნენ? ჩვენ ორივეზე პასუხს გავსცემთ და ბებელს, რომელიც უნდა, ის იგულისხმოს. ჩვენ რა ვქნათ, რომ მისი აზრი ორჭოფია. შეიძლება მთარგმნელის ბრალიც იყოს ეს ორჭოფობა, როგორც მაგ. „*ორპიროვნება და ორბუნებოვნება*", – ესეც არ ვიცით. ვსთქვათ, ბებელის აზრით, სახარება და სამოციქულო არ შეიძლებოდა დაწერილიყო უადრეს მეოთხე საუკუნისა. ცოტა ზემოთ აი, რას ამბობს ბებელი: „*რიცხვი ნაწერების, რომლებიც ჩემულობდენ სინამდვილეს, ე. იესო ქრისტეს ცხოვრება-მოძღვრების სისწორით აღწერას, მეტად დიდი იყო პირველ საუკუნეშივესო ქრისტეს შემდეგ მეტად გამწვავედა დავა ამ ნაწერთა სინამდვილე-ღირსებაზეო*" (გვ. 25). აქედგან სჩანს, პირველ საუკუნეში ბევრი რამ დაწერილა ქრისტეს პიროვნება-მოძღვრებაზე. თუ ეს ასეა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ამ საუკუნეშივე დაეწერათ მოციქულებსაც მოთხრობა ქრისტეს ცხოვრება-მოძღვრებაზე. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ, რადგან ცრუ წიგნები ვრცელდებოდა ქრისტეზე, მოციქულები არ დასტოვებდენ მორწმუნეებს უმეცრებაში და ცრუ მოთხრობის მაგიერ მისცემდენ მათ ჭეშ-

მარიტ ამბავს. რომ ეს სწორეთ ასე იყო, ე. ი. რომ მოციქულებმა სხეადასხვა ცრუ მოთხრობების მაგიერ მისცეს მორწმუნეებს ჭეშმარიტი მოთხრობა იესო ქრისტეს და მის მოძღერებაზე, ამას სხეათა შორის, ამტკიცებს ლუკას სახარების დასაწყისი, რომელიც სიტყვასიტყვით ასე იკითხება: *„ვინაიდგან უკვე მრავალთა ჰყვეს აღწერად მოთხრობისა საქმეთათვის გულ-საესექმნილთა ჩვენ შორის, ვითარცა იგი მომცეს ჩვენ, რომელნი დასაბამითგან თვითმხილველ და მსახურ ყოფილიყვნეს სიტყვისა მის, ჯერ მიჩნდა მეცა, რომელი შეუდგ პირველითგან ყოველითა ჭეშმარიტებითა შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა, მხნეო ღვთის მოყვარეო თეოფილე“*. აქედგან აშკარაა ნაწერები ქრისტეს პიროვნება-მოძღერებაზე ბევრი ყოფილა I საუკუნეში, მაგრამ ცოტა ჭეშმარიტებას მოკლებული. ამიტომ მოციქულს ლუკას მიუღია თავის თავზე შრომა, რომ სიმართლით აეწერა ქრისტეს ცხოვრება; აეწერა ისე, როგორც გადმოსცეს მასში (მოციქულთა), „რომელნი დასაბამითგან თვით მხილველ და მსახურ ყოფილიყვნეს სიტყვისა მის, ე. იესო ქრისტესი. ამიტომ არა-თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელი მოვლენაა სახარების და სამოციქულოს I საუკუნეშივე გამოჩენა. ვინ დასწამებს ცილს მოციქულებს, რომ მათ არ უნდოდათ თავის მოძღვრის სახე სისწორით დაეხატათ და დაეტოვათ ჩამომაელობისათვის? მით უერო, რომ პირველ საუკუნეშივე გამოჩნდენ რენანები, ქრისტეს პირადობის, ცხოვრების და მოქმედების დამამახინჯებელნი. ამნაირად არაფერი გასაკვირველი არ არის, რომ მოციქულებმა და მათმა მოწაფეებმა დაგვიტოვეს ნაწერები და აუხსნელი ის იქნებოდა, რომ მათ არაფერი ასეთი არ დაეტოვათ.

ეხლა ესთქვათ, რომ ის ხელნაწერები *სახარებისა* და *სამოციქულოისა*, რომლებიც მოიპოვებიან, მეოთხე საუკუნეზე ადრე – არ დაწერილან. რა მტკიცდება ამით? ის, რომ ადრინდელი ხელნაწერები დაკარგულან და მათი კოპიო დარჩენილა. ბებელს კი უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ხელნაწერები მეოთხე საუკუნეშია შეთხზული სამღვდელო პირთაგან: *„აღმოჩნდა (სად? როდის? ვინ აღმოაჩინა?), რომ ბევრი ადგილები (მაინც რომელი?) ახალ და ძველ აღთქმაში გადმოღებულია სხვა ავტორებისაგან (მაინც რომლებისაგან?) სამღვდელოების ხელმძღვანელთა მიერ შესწორებული თავიანთ ინტერესთა მიხედვით და შიგ ისე ჩართულიო“*. სირცხვილი კია, ბ. ბებელო, რომ ასე უდიერად სარგებლობ მკითხველის ნდობით. მოკლებული საღვთისმეტყველო და ხშირად საერო განათლებასაც, მკითხველი უმწეოა თქვენს ლაბორატორიაში. ხელოვანი თვალთმაქცივით თქვენ რაც შეიძლება, მალავთ ჭეშმარიტებას და ლითონი სიტყვით არწმუნებთ მკითხველს. რა ჰქნას მკითხველმაც. იგი დარწმუნებულია, რომ ასეთი ბუმბერაზი კაცთმოყვარე დემოკრატი, რომელმაც თავის ნაწერებით ქვეყანა გაალაღა, რომე-

ლიც კაცობრიობას მისი სიტყვით ბედნიერებას უმზადებს. ასეთი კაცი განა შესაძლებელია სტყუოდეს? რა თქვენი საკადრისია! მაშ რატომაც არ უნდა ეენდოთ მას? იგი ამბობს, „სახარება მონაგონია", – „მაშ მონაგონი ყოფილა", „იესო ქრისტე ზღაპარია" – „ზღაპარია!", „სამება სამთავიანი დევივითი მონაგონია" – „მონაგონია!". „ბიბლია შეცდომებით არის სავსე" – „შეცდომებით არის სავსე. ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა?!" ასე სჯის უვიცი მკითხველი და ბებელი კი „იცინის იცინის, კვდება სიცილითა", რომ არაფერი საბუთი არ ჭირდება, ისე აჯერებს მკითხველებს.

*„ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ თქვენ, მგონი, არ გაგიკვირდებათ, თუ მე (ბებელი) გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ წინააღმდეგი ვარ არა-თუ მარტო კატოლიციზმის, არამედ ყოველგვარი სარწმუნოების საზოგადოთ".* შენ პირს შაქარი! აქამდის გეთქვა აგრე და მორჩომილიყავ!.. თქვენ წინააღმდეგი ხართ ყოველგვარი სარწმუნოების? ეს რა თქმა უნდა, თქვენი სრული უფლებაა. მაგრამ ეს კიდევ არ გაძლევსთ თქვენ ნებას სხვის დასაჯერებლად თქვენი პირადი გაელენით ისარგებლოთ და საბუთები ამახინჯოთ. თქვენ „უარს ჰყოფთ ყოველ სარწმუნოებას", კაცობრიობას კი უსარწმუნოებოთ არასოდეს არ უცხოვრნია და ვერც იცხოვრებს, კაცობრიობას მუდამ ჰქონია სარწმუნოება, როგორც დაბალ კულტურაში ისე მაღალშიდაც. შეადარე შენი თავი იმ მილიონ ადამიანებს, რომლებიც განათლებით თქვენზე დაბლა არ სდგანან და რომელთაც მიუხედავათ ამისა, უსარწმუნოებოთ ცხოვრება არ შეუძლიათ და მაშინ უარყავით სარწმუნოება! რას ემგვანება ასეთი უარყოფა? გამოდის, ან კაცობრიობა არის სულელი და თქვენ დიდი ფილოსოფოსი, ან – წინააღმდეგ.

სარწმუნოების უარყოფა თავის თავის უარყოფაა, როგორც ადამიანისა. სარწმუნოება არ აქვთ პირუტყვებს და მიტომ სარწმუნოების უარმყოფელი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, სარწმუნოების საფუძვლის, ღვთის უარმყოფელი – თვითონ პირუტყვია. ეს ჩვენზე დიდიხნით ადრე შენიშნა დავით წინასწარმეტყველმა და თავის წიგნში ასე ჩასწერა: *„სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი"* და კიდევ: *„კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის ხმა-ჰყო, ემსგავსა იგი პირუტყვსა"*... ამისთვის სარწმუნოების უარყოფა არც ასე საქებარი რამ არის, რომ მით კაცმა იამპარტავნოს, როგორც ამპარტავნობს ბ.ბებელი.

ურწმუნო კაცს ნიადაგი არა აქვს ქვეყანაზე. ნამდვილი ურწმუნო კაცი, თუ იგი მთლად არ გაპირუტყვებულა, ერთ დღესაც არ იცოცხლებს თავს. მართლა-და რა მიზანი აქვს ამ ქვეყნად ურწმუნო ადამიანს? ან მთელ კაცობრიობას საზოგადოთ? ჭამა და სმა? ამ მიზანს ცხოველებიც ხომ კარგათ ემსახურებიან. მაშ რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი, თუ იგი ამ ქვეყნად

თავდება? განა ღირს, რომ კაცმა ერთი დღისთვის იცხოვროს? დაიბადოს მისთვის, რომ მეორე დღეს მოკვდეს? იტანჯოს მისთვის, რომ მისი ცხოვრების ნიშანიც აღარ დარჩეს? სიცოცხლეგამწარებული, ტანჯული და მიზანი მისი სიკვდილი და სრული მოსპობა პირადი ცხოვრებისა. აი, რა არის ჩვენი სიცოცხლე ურწმუნო კაცის აზრით. ნეტა თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელიც ასეთ სიცოცხლეზე თანხმობას განაცხადებს?! მეცნიერი კაცი ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს და ეცდება, მოსპოს სიცოცხლე, რომელიც თავის თავად უბედურება ყოფილა. მეცნიერი ადამიანი, ამ მოძღვრებით გამსჭვალული, სრულებით არ ეცდება გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრება, აღზარდოს თავის ხასიათი და იმოქმედოს მოძმეთა სასარგებლოდ. ტყუილა კი არ უთითებს ულვთო ბუდდა თავის მოწაფეებს ნირვანისაკენ – არარაობისაკენ. აწმყო – უბედურება, ჭირი და სალმობა, მომავალი – უიმედო, რაღა დარჩენია ურწმუნო ბუდდას ისეთი, რამაც უნდა შეაყვაროს მას ეს უთავბოლოდ გაჩენილი ქვეყანა? მიზანი, რაც ადრე შესრულდება, მით უმჯობესია! ჩვენი ცხოვრების მიზანი არის სრული მოსპობა ჩვენი პირადი არსებობისა: რაც მალე შესრულდება ეს მიზანი, მით უკეთესი. მაშ რაღას ვყოვნით, ავიღოთ თოფ-იარაღი და დავხოცოთ ერთმანეთი, რომ ამით ბოლო მოეღოს იმ ადამიანის უბედურებას, იმ ბოროტებას, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. ბუდდამ ვერ გაბედა, ასე მკაფიოდ გამოეხატა თავის შეხედულება, იმან ცოტათი შეამსუბუქა ეს შემაძრწუნებელი დასკვნა და გამოიგონა რაღაც საშუალო მდგომარეობა სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა – ნირვანა, ისეთი მდგომარეობა, რომელშიდაც ადამიანი ეძლევა თავის პირადობის და გარეშე ქვეყნიერების სრულს დავიწყებას, რომელშიდაც ვერაფერს გრძნობს.

აი, სადნამდის მიყავხარ ურწმუნოებას, ბ.ბებელო, თუ შენ გულით ურწმუნო ხარ და არა მხოლოდ ენით. ამას იქით ვიღასთვის გნებავსთ თქვენი ქებული სოციალიზმი? ვის დააკმაყოფილებს იგი შემდეგ ამისა? თუ შენ ნამდვილი შემდგომითი (თანმიმდევრული) ურწმუნო ხარ, სოციალიზმს კი არ უნდა ჰქადაგებდე, არამედ სიცოცხლის სრულ განადგურებას, როგორც ჰქადაგებს ამას ნამდვილი ურწმუნო ფილოსოფოსი ნიცშე (დავით წინასწარმეტყველის სიტყვით კი – უგუნური). იგი ასეთ ანდერძს უტოვებს თავის ძმობილ ურწმუნოებს: „ნუ დაემონებით სიყვარულისა და სიბრალულის გრძნობებს; სრისეთ უძლურნი, თქვენ ასამაღლებელ საფეხურებად იხმარეთ მათი გვამები; თქვენ ხართ ძენი მაღალი ჯიშისა, თქვენი იდეალი ზეგარდმო ადამიანია“, „სრისეთ უძლურნიო“ ამბობს ბ. ნიცშე და რადგან „მჯობნის მჯობნი მისდღემჩი არ დაილევა“. ე.ი. უძლური ყოველთვის იქნება, ქლესტაც გაუწყვეტელი იქნება მანამდის, სანამ ქვეყანაზე ან სულ არ მოისპობა სიცოცხლე

და ან ერთი გმირთ-გმირი არ დარჩება, რომელმაც ძალაუნებურად უნდა მოიკლას თავი, რადგან ქვეყანაზე მის ცხოვრებას მიზანი აღარ ექნება, ე.ი.აღარ ეყოლება უძღურები საეაჯიშოთ – სასრესათ.

აი. ასეთია შემდგომითი ურწმუნოება, ბ. ბებელო, და შენი ურწმუნოება კი ყოვლად გაუგებარია ჩვენთვის და მგონი თქვენთვისაც: იძახით, „ურწმუნო ვართ“ და ჰქადაგებთ სოციალიზმს. განა შესაძლებელია სოციალიზმი ურწმუნო საზოგადოებაში? თქვენ მიბრძანებთ, რომ ჩემი ცხოვრება აქ, ამ ქვეყნად, თავდება, რომ არ არის არავითარი ღმერთი და არც მომავალი ცხოვრება. არის მხოლოდ ერთი კუჭი და მისი მომსახურე – ადამიანი. მაშ რა მიზნისთვის უნდა შევსწირო ჩემი დღევანდელი თვალდანახული ბედნიერება თქვენს ოცნებას? რას დავსდევ მე თქვენს სოციალიზმს, როდესაც მე დღესაც კაი ბედნიერი ვარ? თუ ქვეყანაზე კუჭის მეტი არაფერია, თუ იგია ჩვენი ღმერთი, მაცალე შევსწირო მას საკადრისი სხვერპლი, მაცალე მისი სამსახური, მისი პატივისცემა! შენ ვინ ხარ, რომ მომავალ ბედნიერებას მიხატავ სოციალიზმში? რა იცი, რომ შენი ძმობა-ერთობა ჩემს კუჭზე საწამლავივით არ იმოქმედებს? მე არავის მოვალე არა ვარ, გარდა ჩემი თავისა. ჩემი დევიზია, ჩემს კუჭს დავანაცვალო მთელი ქვეყნიერება, რადგან ბოლოს მაინც აქ, კუჭში იყრის თავს მთელი თქვენი მოძრაობა, თქვენი სოციალიზმი. დღემდის თუ კიდევ ჩემში ძმათა სიყვარულის რაიმე ნატამალი იყო დარჩომილი, ეს იმიტომ, რომ მრწამდა უაღრესი არსება, უმაღლესი მბრძანებელი, რომლის ნებას ვასრულებდი ამით. თუ მაშინ ვინმეს, ცოტათი მაინც არის, ვიბრალებდი და ვეწეოდი, მრწამდა, რომ ას წილ მივიღებდი. თუ მაშინ ფეხს ვბანდი ჩემს ძმას, მრწამდა, რომ სიმდაბლისთვის სიმაღლეს მომანიჭებდა უზენაესი. ეს იყო ჩემი მოტივები ყოფილი ძმათა სიყვარულისა. ეხლა თქვენ დამარწმუნეთ, რომ კუჭია ჩემი ღმერთი, იგია ჩემი ჯილდო, ჩემი სიმაღლე, მას უნდა ვემსახურო, მას უნდა ვემონო. მაშ ძირს თქვენი ძმობა, ერთობა, თქვენი მომავალი ოცნება, თქვენი სოციალიზმი! მე ვგენი – ვერცერთი – კუჭს ვერ გამიძღებს. მაგისთვის მსხვერპლია საჭირო, მსხვერპლი უმნიშვნელო, უმიზნო. ჩემი კუჭი ძმის სიყვარულს კი არ მთხოვს, ძმის სისხლს მთხოვს და არ შემიძლია უარი ვუთხრა, არ შემიძლია გავანაწყენო!“ – ასე ვსჯი მე შენი მოძღვრებით გაქღენთილი, ბ. ბებელო. შენ კი გგონია, რომ თუ სარწმუნოება შემირყიე, ნამდვილ სოციალისტად გამხდი.

შენ მეტყვი: – „ეხლა შენ უვიცი ხარ, გაუნათლებელი და მისთვის ლაპარაკობ მაგავებსო.“ განა ცოდნა ჰქმნის ერთობას, ერთსულოვნებას? რით არ იყვნენ ცოდნილნი ძველი ფილოსოფოსები და მათ შორის დიდებული პლატონი, რომელთაც არ ესმოდათ ძმობა და ერთობა, ვერ წარმოედგინათ სახელმწიფო უმონოდ, ვერ წარმოედგინათ, რომ მონა, რომელსაც იგინი ხა-

რიეით ხმარობდნენ, ისეთიეე ადამიანი იყო? რით უწუნებ ცოდნას ძეელ და ახალ სარდლებს, რომელთაც თაეის სიცოცხლე ადამიანის ქლეტა-ხოცვაში გაატარეს? რით არ იყენენ ცოდნილნი რომის და საბერძნეთის შესანიშნაეი ტირანები! რით იყო უეიცი ბისმარკი, რომლის პოლიტიკა სრულებით უარსჰყოფს სოციალიზმს? განა ეჭეი გაქეთ ნიცშეს ღრმა ცოდნაში? აიღეთ, თუ გინდათ თანამედროეე ქეეყნის მმართეელები, ვაჭრები, ფაბრიკანტები, ინჟინრები, ექიმები, მინისტრები, სენატორები, რომლებსაც თქეენ და თქვენი ამხანაგები ხალხის სისხლის მწოელებს ეძახით. განა ცოტაა მათში განათლებული, მსწაელული, მეცნიერი? თქეენ თითონ, ბ. ბებელო, ნუთუ განათლებული არ ბრძანდებით და აბა მიბრძანეთ, რა ცრემლები მოხოცეთ კაცობრიობას? ნუთუ თქეენი აურაცხელი სიმდიდრეც მისი სისხლით ანაშენი არ არის? რათ არ გეუბნებათ თქეენი განათლება, რომ თქეენც მჩაგერელი ბრძანდებით იმაეე კაცობრიობისა, რომელსაც ვითომდა ბედნიერებას უმზადებთ მომაელისთეის? ნუ გვატყუებთ და ეერც დაგიჯერებთ, რომ ცოდნა ადამიანს აკეთილშობილებდეს. გადახედეთ კაცობრიობის ისტორიას და თქეენ დაინახავთ, რომ ეინც უფრო დიდი ცოდნის პატრონი იყო, უდიდესი მყელეფელიც იყო. ცოდნა უმახვილებს ადამიანს გონებას, ულესს კბილებს, მაგრამ გულს, საიდგანაც გამომდინარეობს კეთილი და ბოროტი, ეერ ულმობს – ეს მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია! „მეცნიერება აფართოებს ადამიანის გონების ჰორიზონტს, – ამბობს მღედელი გ. პეტროეი, – აეითარებს მის ძალებს, აძლიერებს ჩეენს უფლებებს ბუნებაზე, მაგრამ ადამიანის სულიერად განახლება, ზნეობრივათ მისი ამაღლება მას სარწმუნოების დაუხმარებლად არ შეუძლია“. დაეანებოთ თაეი ბეერ მაგალითებს და მოეიგონოთ თუნდა ფრანგი პანამისტები: ეინ იყენენ იგინი? სენატორები, პარლამენტის წეერები, გაელენიან გაზეთის რედაქტორები, საზოგადოდ დიდი ნიჭისა და ცოდნის პატრონები და საერთოდ კი – ავაზაკების ბრბო!..

„სარწმუნოება არის ნაყოფი ერის კულტურული მდგომარეობისაო“. ჩეენის აზრით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რამდენათ ერი უფრო მაღლა სდგას კულტურულად, იმდენად მისი სარწმუნოება მაღალია, ხოლო რამდენათ დაბლა სდგას, იმდენათ დაბალია სარწმუნოებაც. ამ აზრის მიხედეით შეეადაროთ ორი ერის სარწმუნოება მაგ. ძველი ბერძნებისა და ებრაელებისა. თქმა არ უნდა, კულტურულად ბერძნები ყოეელთეის უფრო მაღლა იდგენ ებრაელებზე, მაგრამ სარწმუნოება ებრაელებისა გაცილებით მაღლა იდგა, ასე რომ მათი შედარებაც კი არ შეიძლება. თუ კულტურას რამე გაელენა აქეს სარწმუნოებაზე, ყველაზე მაღალი სარწმუნოება უნდა ჰქონოდათ ძეელ ბერძენ-რომაელებს, ბაბილონს, სპარსეთს და არა ერთ მუჭა ებრაელებს, რომლის კულტურამ დავით მეფის და მისი შეილის სოლომონის

დროს თუ ისხია თავი, ხოლო მათი ამ დროის სარწმუნოება იგივე იყო, რაც იესო ნავინის და მსაჯულების დროს. ეს სარწმუნოება ეხლაც უცვლელად ინახება ებრაელებში მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები კულტურულად ეხლა უფრო მაღლა დგანან. სპარსეთიც, მგონი, ეხლა უფრო მაღლა სდგას კულტურულად, მაგრამ ცეცხლის თაყვანისცემა ეხლაც გავრცელებულია იქ. ოსმალეთი მახმადის დროისა კულტურულად, ვფიქრობ, უფრო დაბლა იდგა ეხლანდელზე, მაგრამ ისლამი უცვლელად დარჩა. ქართველები მირიანის დროსა უფრო დაბალი კულტურისა იყვნენ ეხლანდელზე, მაგრამ ქრისტიანობა იგივე ეჭირათ. მართალია, ეხლა ბევრი ქართველი გაგეიბებელდა, ე. ი. ბევრი უარჰყოფს ქრისტიანობას, მაგრამ უარჰყოფს სავსებით, ხოლო თავის კულტურის სიმაღლიდგან ახალ, უფრო მაღალ სარწმუნოებას ვერ ჰქმნის, თუ არ მიეიღებთ მხედველობაში ადამიანის კუჭის გაღმერთებას და მისი თაყვანისცემის ფორმების შექმნას. თუ ძველ დროში კუდიანების რწმენა იყო, ეს სარწმუნოება კი არ არის, არამედ ცრუმორწმუნოებაა, რომელსაც ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც უმეცრებას მეცნიერებასთან.

*„სარწმუნოებრივი დოღმები და მოძღრებები თანდათან ნიადაგს დაჰკარგვენ იმდენათ, რამდენათაც ბუნების მეცნიერებათა მეოხებით შენაძენი და კულტურულ-ისტორიული გამოკვლევანი ფართოთ მოეფინება კაცობრიობასო“*, ბრძანებს ბებელი. ეხლა წინასწარმეტყველებაც დაიწყო ბებელმა! მე ვერ ებედავ ასეთ საქციელს. **რას მოიტანს მომავალი, ამას იგივე მომავალი, გვიჩვენებს. შეიძლება ასეც მოხდეს, რომ მეცნიერებამ სავსებით დაამტკიცოს სამღვთო წერილი, ვინ იცის?** ხოლო რაიცა შეეხება დღევანდელ მეცნიერებას, ჯერ იმას ისეთი არა უთქვამს რა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოების დოღმებს არღვევდეს. ამოდენა ხანია კაცობრიობა მეცნიერებას აკვდება და ჯერ სრული ჭეშმარიტება არ უპოვნია. იგი დღესაც გიპოტეზებით იკვებება. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ გიპოტეზა, რომელსაც მთელი საუკუნეები ჭეშმარიტებათ აღიარებდნენ, ტყუილი გამომდგარა. მაგალითად, ავიღოთ სინათლე: მეცნიერება სინათლეს ჯერ მზეს აწერდა და სამღრთო წერილს უკიჟინებდა, საიდგან გაჩნდა პირველ დღეს ნათელი, როცა მზე მეოთხე დღეს გაჩნდაო. შემდეგ იმავე მეცნიერებამ ჩამოართვა მზეს სინათლე და გადასცა ერთგვარ ნივთიერებას, რომელსაც დაარქვა ეთერი. მზეს მხოლოდ დაუტოვა უფლება ამ ნივთიერების მოძრაობაში მოყვანისა. ეხლა კიდევ სულ სხვა გვესმის, ეხლა სულ სხვა ძალას ჰპოვებენ, რომელიც ჰქმნის სინათლეს ორივე ამ ფაქტორების გარეშე; ასე რომ, ბოლოს გამოდის, უმზეოთაც შესაძლებელია სინათლე და უეთეროთაც. ასე რომ მოსე, რომელიც ამბობს, პირველ დღეს ნათელი გაჩნდა და მეოთხეს – მზეო, უნდა იყოს ან დიდი

მეცნიერი, უმეცნიერესი ღღეანღელ მეცნიერებზე და ან ღვთივგაბრძნობილი კაცი. პირველი დებულება ძნელი დასაჯერებელია, მეორეს კი ბებელი არ დაგეიჯერებს, რადგან ღმერთი არ სწამს...

„დედამიწის ისტორიის გაცნობა საესებით სპობს ბიბლიის ზღაპარს ქვეყნის შესახებ და ასტრონომიული გამოკვლევა-აღმოჩენები ნათელ ყოფს, რომ სამყარო არავითარ ცას (როგორც ქრისტიანობა გვიხატავს) არ ცნობს (წარმოადგენს?); მილიონობით ვარსკვლავები კი არ შეიძლება იყოს ანგელოზთა და წმიდანთა საბუდრათ", – ამბობს ბებელი. ეს ლითონი სიტყვებია, მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის, სად ურახუნებს ბებელი, ან რა საბუთით. და ჩვენ არ შეუშინდებოდით ამ საბუთების კრიტიკულად გარკვევას, მათ აწონდაწონას და დაფასებას იმავე მეცნიერების შეხედულებით, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა და ამიტომ განვიზრახეთ ამის პასუხი ცალკე წიგნაკად გამოვსცეთ მოკლე დროში. აქ მხოლოდ ერთ კითხვას მივსცემ ჩვენებურ ბებელს და იმედია მეტყვის: საიდგან ამოიკითხა და ან ვინ უთხრა მას, რომ ვარსკვლავები „ანგელოსთა და წმიდანთა საბუდარიაო"? მეცნიერს არ შეენის ოხუნჯობა!...

ამნაირად, ბებელმა სრულებით ვერ შეგვირყია რწმენა ქრისტიანულ დოღმების შესახებ და ვერც მის შესახებ, რაც ამ დოღმატებს საფუძვლად უდევს – სამღვთო წერილის წიგნების შესახებ. **ქრისტიანობა არის მოძღვრება ზეგარდმო მოტანილი და მას არა აქვს არავითარი ნაკლი,** და წინააღმდეგ ბებელის დაჟინებისა, იგი სრულია, ასე რომ ამაზე უკეთესს სარწმუნოებას ვერავინ მოიტანს ქვეყნიერებაზე. ორი ათასი წელიწადია, რაც ქრისტიანობა არსებობს. ამ ხნის განმავლობაში კულტურამ დიდი გზა გაიარა, იგი საათობით იზრდება მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა შემოვიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ჯერ ვერ შექმნა საუკეთესო სარწმუნოება; ბებელის აზრით კი ეს უთუოდ უნდა მომხდარიყო, რადგან მისი მოძღვრების მიხედვით, კულტურის განვითარება იწვევს სარწმუნოების განვითარებასაც,

მაგრამ ბებელი, დარწმუნებული თავის სრულ გამარჯვებაში და ქრისტიანობის დოღმების დამარცხებაში, ქრისტიანობის მორალსაც ეხება და ამბობს შემდეგს: „*მორალს არავითარი კავშირი არა აქვს ქრისტიანობასთან და საზოგადოდ სარწმუნოებასთანო*". კულტურის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარია ზნეობაზე შეხედულებაც. ყველა ხალხს აქვს განსაზღვრული წესები ურთიერთშორის დამოკიდებულებისა, რომელთა დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. უამწესობით ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებდა, იმათი დარღვევა ითვლება უზნეობათ და უკმაყოფილებას იწვევს, ანდა უფრო ხშირად მას მოჰყვება ხოლმე დამნაშავის მატერიალური თუ ფიზიკური სასჯელი, რომელიც სისრულეში მოჰყავს საზოგადო მთავრობას.

*„მორალს არავითარი კავშირი არ აქვს ქრისტიანობასა ანდა საზოგადოდ სარწმუნოებასთანო“*, ეს ისეთი გაბედული აზრია, რომ ამის მთქმელს ურმობით უნდა ეწყოს საბუთები. არაფერი სარწმუნოება არ იქნება უმორალოთ. ყოველი სარწმუნოება გამოხატავს ორგვარ დამოკიდებულობას, დამოკიდებულებას ადამიანთა ღმერთთან და ურთიერთ შორის. ორივე ეს დამოკიდებულება ზნეობრივი ხასიათისაა და ზნეობაზე დამყარებული და ეს ზნეობა მანამ არ იცვლება, სანამ ხალხი სარწმუნოებას არ იცვლის. ახალ სარწმუნოებას შემოაქვს ხალხში ახალი ზნეობრივი სწავლა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ძველი სარწმუნეობის ზნეობა ახალში შემოერევა და დიდხანს იჭერს ხალხს თავის მფლობელობაში. საჭიროა ხანდისხან საუკუნოები, საჭიროა რამდენიმე თაობა აღიზარდოს და გადეიდეს ახალი სარწმუნოების ზედგავლენის ქვეშ, რომ ძველი სარწმუნოების მორალი ძირიან ფესვიანად აღმოიფხვრას და განიდევნოს. სწორეთ ძველი სარწმუნოების ზედგაელენას უნდა მიეწეროს ზოგიერთი რწმენანი საშუალო საუკუნოებისა, რომელთა მეოხებით ქრისტიანობას აძაგებს ბ. ბებელი.

ქრისტიანობას, როგორც ახალ სარწმუნოებას, მოჰყვა ახალი ზნეობრივი მოძღვრება, ახალი მორალი, რომლის მსგავსი არსად არ ყოფილა მანამდის. ქრისტიანობამდის ადამიანი ადამიანის მგელი იყო“, როგორც მოწმობს ძველი რომაული ანდაზა. არავითარი სიყვარული, არავითარი სიბრალული და შეწყალება არ იცოდა ძველმა რომმა და საბერძნეთმა. და, თუ იცოდა, ეს განისაზღვრებოდა ახლო ნათესაური დამოკიდებულებით. ფართო მცნება ქრისტიანობისა „გიყვარდეს მტერიცა შენიო“, ხომ სულ ახალი და გაუგებარი ამბავი იყო ძველი ქვეყნიერებისათვის. ძმობის იდეა, იდეა ადამიანის სულით და ხორცით განურჩევლობისა, პირველად ქრისტიანობამ ჰქადაგა. ვერსად ძველ სარწმუნოებაში ვერ შევხვდებით ამ იდეას. ისლამი ქრისტეს შემდეგ შეიქმნა და მანაც ვერ ისარგებლა ამ ბრწყინვალე მოძღვრებით, რომ კაცთა შორის თანასწორობა აღიარებია. თათარი თავის სარწმუნოების ზედგაელენით დღესაც „გიაურებს“ (ძაღლებს) უწოდებს ქრისტიანებს. ბერძენზე რაღა ვთქვათ? იგი მარტო თითონ იმსებდა ადამიანობას და სხვას ყველას ბარბაროსებად უწოდებდა. მონა მისთვის მუშა საქონელი იყო, პატრონს შეეძლო მისი გაყიდვა, დაგირავება, მოკვლა. მონის საჭმელი ძნელად განირჩეოდა ძაღლების საჭმელიდგან და ხშირად ესეც არ იყო. ვინ გაუბედავდა კეთილშობილ რომაელს ან ბერძენს შენი მონა შენისთანაა, შენ იგი ძმად უნდა მიგაჩნდეს და ფეხს უნდა ბანდეო. ვინ ეტყოდა რომაელს – „გიყვარდეს მტერი შენიო“, როცა რომის ძლიერების მეტი მას არა აგონდებოდა-რა? ეს ყველაფერი ახალი ამბავი იყო ძველი კაცობრიობისათვის. ასეთი ზნეობრივი მოძღვრება არ იცოდა არც მისმა კულტურამ და არც მისმა სარწმუნოებამ!

ბებელი გვარწმუნებს, რომ მცნება სიყვარულისა მოყვასისადმი და მთელი კაცობრიობისადმი, მცნება საერთო შეწყნარებისა გამოუკლისათ იპოება ყველა სარწმუნოებაშიო, ბუდდიზმში და ისლამშიო. დიახ, თუ სიყვარული იმას ჰქვია, რომ ცეცხლითა და მახვილით გაავრცელო სარწმუნოება, რასაც პირდაპირ მოვალეობად უდგენს ყურანი „მართლმორწმუნეებს", ისლამი სწორეთ სიყვარულის სარწმუნოება ყოფილა. თუ სისხლის ღვრა, რომელზედაც თანხმობას აცხადებს ისლამი, შეწყნარებას ნიშნავს, მაშინ აღარაფერი გვეთქმის, უნდა დავეთანხმოთ ბ. ბებელს, რომ ისლამი სიყვარულისა და შეწყნარების სარწმუნოებაა... რაც შეეხება ბუდდას და მის მოძღვრებას, უნდა ხაზგასმით მოგახსენოთ, რომ ბებელს სუსტათ შეუსწავლია ეს მოძღერება. ბუდდას სიყვარული და შეწყნარება არის პასიური. ბუდდა ასწავლის, რომ ყველასთან მშვიდობიანობა იქონიო, არავის-რა ავნო; ქრისტეს სიყვარული კი აქტიურია: იგი მოითხოვს სხვერპლს საყვარელი საგნისადმი; იგი მოითხოვს თავგანწირულებას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რაც თავის მაგალითით დაამტკიცეს თვით ქრისტემ და მისმა მოციქულებმა, როცა იგინი ჯვარზე გაკრულნი, ქვით დაქოლვილნი, ხმალ ქვეშ კისერგაწვედილნი ლოცულობდნენ: *„უფალო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რას იქმანო".*

ბუდდამ დაავალა თავის მოწაფეებს ყველასთან მშვიდობიანობა იქონიონ, რომ მით პირადი უშფოთველობა დაიცონ, რომელიც საჭიროა მისთვის, რომ კაცმა თავი დაივიწყოს და „ნირვანას" მიაღწიოს. ბუდდა ასწავლის, რომ კაცმა უნდა მოიკლას თავის არსებაში ყოველგვარი სურვილი და ლტოლვილება, როგორც ბოროტი, ისე კეთილიც, უნდა გაქვავდეს ყოლიფერი მოთხოვნილებისათვის. ასეთ მოძღვრებაში სიყვარულის ნატამალიც არ არის და მძულვარება კი ბევრია. გამოდის, ბუდდას უფრო სძულს კაცი, ვინემ უყვარს; მას მაშინ მიაჩნია იგი ღირსად, როცა გრძნობა-გონებას დაჰკარგავს და ჩავარდება რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში, ე. ი. დაჰკარგავს ადამიანობას. ქრისტეს სარწმუნოებას უყვარს ადამიანი, მას სურს მისი ზნეობით ამაღლება, მისი გაღვთაებრივება და არა გრძნობა-გონების დაფანტვა. *„იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი, სრულ არსო"*, ეუბნება ადამიანს სახარება. ამ იდეალის მისაღწევ საშვალებათ ქრისტიანობა გრძნობა-გონების დაკარგვას კი არ ურჩევს, როგორც ბუდდიზმი, არამედ მის ამაღლებას, რომ შეზღუდოს მდაბიო ლტოლვილებანი და განაცხოველოს უმაღლესნიესო ქრისტიანობის მორალს უნდა აღამაღლოს ადამიანის ბუნება, გახადოს მეუფედ ქვეყნისა, ანუ უკეთ ესთქვათ, დაუბრუნოს მისი დაკარგული ადგილი ქვეყნიერებაზე. ბუდდიზმს კი უნდა, კაცი უსულო საგნად გადააქციოს, გაასწოროს, გააერთოს იგი უსულო ქვეყნიერებასთან, უნდა, რომ კაცი ვერ გრძნობდეს თავის პიროვნებას, როგორც მას ვერ გრძნობს

ქეა, წყალი, ლითონები და სხვა. სად არის აქ სიყვარული კაცობრიობისად-მი? გამოდის, ბუდდას მოძღვრება მტერია თავის მიმდევრებისა.

ამნაირათ, ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრება სრულებით არ ჰგავს სხვა სარწმუნოების მოძღვრებას, ამავე საგანზე ის იმდენათ მაღლა დგას მათზე, რამდენათაც ღმერთი მაღლა სდგას ადამიანზე. მიუხედავად ამისა, მორალი განუყრელია ყველა სარწმუნოებასთან. გამოაცალეთ მორალი ქრისტიანობას და თქვენ დაგრჩებათ უსულო ჩონჩხი: აგრეთვე სხვა სარწმუნოებაში-დაც.

მორალს ბ. ბებელი ეძახის იმ წესებს (ან კანონებს) რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ ხალხში, „რომელთ დარღვევა უზნეობათ ითვლება". ეს ცოტა შემცდარი აზრია: სახელმწიფოში სხვადასხვა წესებია შემოღებული, რომლებსაც არ შეგვიძლია ვუწოდოთ მორალი. მაგ. რა საერთო აქვს სანიტარულ წესებს მორალთან – ზნეობასთან, ან კანონმდებლობას დამოკიდებულობას დაჟინების, აკციზისას. წინააღმდეგ – არიან კანონები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ქრისტიანულ მორალს... ესეც უნდა ითქვას, რომ ბევრი კანონია საქრისტიანოში, რომლებსაც ნათლად ეტყობა ბეჭედი ქრისტიანული მორალისა. ამას ნათლად დაინახავს ყველა, ვინც ზერელედ მაინც შეადარებს ძველი დროის კანონებს იმ კანონებთან, რომელიც შექმნა ქრისტიანობამ თავის გამეფების შემდეგ.

დასასრულ, ბებელი ბრალსა სდებს ქრისტიანობას იმ ბოროტებაში, რაც ოდესმე ვისმეს ჩაუდენია ქრისტიანობის სახელით. ინკვიზიცია, სარწმუნოებრივი ომები, ბართლომეს ღამეები, ზოგიერთი რომის პაპების გარყვნილება, მათი ურწმუნოება, ვეცხლის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, რაც რამ კაცობრიობას უბედურება განუცდია ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ყველა ამაებში, ბებელის სიტყვით, ბრალი ედება ქრისტიანობას, როგორც სარწმუნოებას. ეს ცოტა არ იყოს გაუგებრობაა, გაუგებრობა, რომელიც არ ეპატიება არა თუ ბებელს და მის უნცროს ძმებს, არამედ იმ უეიც მუშა პროლეტარიატს, რომლის გასავითარებლად ამდენს წერენ და ქადაგებენ იგინი. ყოველი სწავლა-მოძღვრება, ყოველი გამოკვლევა და გამოგონება უნდა ფასდებოდეს თავისთავად და არა მისი მიხედვით, თუ როგორ მოისმარს მას ბოროტი ადამიანი. ნაჯახი, ცული, წალდი, დანა, ჩაქუჩი, წერაქვი, თოხი ნამგალი, ცელი და სხვა ძრიელ კარგი და ფრიად მოსახმარი იარაღებია, მაგრამ განა არ შეიძლება მათი ბოროტად მოხმარა? განა არ შეიძლება ამ იარაღებით კაცი მოეკლათ? მერე ეს ამ იარაღების ბრალია ან მისი, ვინც იგინი მოიგონა? განა ცუდი მოსახმარია თოფის წამალი გზების გასაყვანათ, კლდეების დასარღვევათ, მხეცების წინააღმდეგ საბრძოლველად? მერე: – რა ბორტოლდის ბრალია (ბორტოლდი თოფის წამლის მომგონია), თუ ამ

ნივთიერებას თოფ-ზარბაზანი მოუმატა თქვენ ქებულმა კულტურამ, რომელიც მას თითქმის განსაკუთრებით ადამიანთა გასაჟლეტად და მათ ბინის დასანგრევად ხმარობს? მიბრძანეთ, რა ბრალს დებთ სტეფანსონს იმაში, რომ მის მოგონილ პარაეოზით ზარბაზნებს და თოფებს ეზიდებიან? რა ბრალი ედება მარქსს და მის თეორიას დღევანდელ ყაჩაღების მოქმედებაში? ქრისტიანობას აქვს თავის მორალი და, თუ ეს მორალი ისეთია, რომ ხელს უწყობს, აკანონებს, მოვალეობად უდგენს ყოველგვარ ბოროტებას, მაშინ საჯეთ იგი, თორემ რა შუაშია ქრისტიანობის ზნეობრივ სიწმიდეზე ქადაგება და ვიღაც პაპი ბორჯიას გარყვნილება? რა ვქნათ, რომ ტარკვემადა უსჯულო მტარვალი იყო? რა ვქნათ, რომ ზოგიერთი პაპები გარყვნილები იყვნენ? განა ეს ქრისტიანობის ბრალია? – არასოდეს. სახარების უწმიდესი და უაღრესი ზნეობა ორგანიულად უარჰყოფს ყოველ ასეთ პირებს და მათ საქციელს. მხოლოდ ადამიანის ბოროტმა ნებამ, უზომო თავმოყვარეობამ და მთავრობის მოყვარეობამ გამოიწვია და არა ქრისტიანობამ ის „ცრემლები“, რომელშიდაც ბრალს სდებს ბებელი ქრისტიანობას. უკანასკნელი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს დაემყარებია კაცთა შორის სასუფეველი, ნეტარება, სიყვარული. ხოლო, თუ ვერ დაამყარა, ეს ადამიანმა თავის თავს დააბრალოს. ქრისტიანობის მოძღვრებით ძალით ცხონება არ შეიძლება. იგი ყოლიფერს კაცის თავისუფალ ნებაზე ამყარებს; მხოლოდ საკუთარი ნებით გაკეთებული და ჩადენილი კეთილი საქმე აწინაურებს ადამიანს ღვთის წინაშე და არა ძალდატანებითი. ამ მხრით ქრისტიანობა არ არის ძალდატანება; იგია გზა, მაჩვენებელი ბედნიერი ცხოვრებისა, რომელზედაც ადამიანმა თავის ნებით უნდა შედგას ფეხი და ღმერთს მხოლოდ დახმარება სთხოვოს. სახარებას არ უბრძანებია და, მით უფრო, ძალა არ დაუტანებია ჯვაროსნებისთვის იერუსალიმის განსათავისუფლებლად. წინააღმდეგ, მათ რომ სახარებისთვის ეკითხათ და არ მიყოლოდნენ ბოროტ ადამიანთა გულისთქმას, იგი ეტყოდა მათ, რომ ივინი მიდიოდნენ წინააღმდეგ ქრისტეს წინასწარმეტყველებისა, რადგან იესო ქრისტეს სიტყვით *„იერუსალიმი დაითრგუნულ იყო წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ დღენი წარმართთანი“* (ლ. XXI, 24) და კიდევ *„მუნ* (დანგრეულ ტაძრის ადგილზე) *იდგას საძაგელი იგი მოოხრებისა*“. ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც სახარების რომელ სტრიქონში ამოიკითხავდნენ ივინი ძალმომრეობას და ხალხთა ჟლეტას? ქრისტეს მახვილის ხმარება კი არ უბრძანებია, დასახმარებლად გამზადებული მახვილის ქარქაშადვე მიქცევა კი ბრძანა და ისიც იმ დროს, რა დროსაც არა ერთი დემოკრატი არ დათანხმდება მის ქარქაშში ჩაგებას.

სრულიად მართალია ბ. ბებელი, როცა ბრძანებს ქრისტიანობა სხვა-

დასხვა განვითარების საფეხურზე სხვადასხვანაირად ესმისთო, მაგრამ ესმისთ არა მიტომ, რომ ქრისტიანული მოძღვრება თავისთავად გაუგებარია, არამედ მიტომ, რომ კაცობრიობა არ გაზრდილა ჯერ ქრისტიანობამდის და ვერც გაიზრდება ასე ადვილად. იგი საყოველთაო იდეალია, რომელსაც რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო შორს გეჩვენება. მიუხედავად ამისა, ქრისტიანული მოძღვრება მაინც მარტივია, ხოლო მას ისე თარგმნიან, როგორც სურსთ და მოუხდებათ. ყველა დარგის სოციალისტები და მათ შორის ანარხისტებიც კი თავის მოძღვრებას გასამართლებელ საბუთად ხმარობენ სახარებას. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ მისი მოძღვრება გაუგებარია. სახარების მიზანია დაამყაროს ქვეყნად სასუფეველი, რომ გაუადვილოს ადამიანს გზა ზეციერი სასუფეველისადმი. ამისთვის იგი გვიბრძანებს: *„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“ „გიყვარდეს მტერიცა“, „თუ ვინმე მარჯვენა ყურიმალს გცეს, მიუპყარ მარცხენაცა“, „თუ ვინმე რამე გთხოვოს მიეც“* და *„გიყვარდეს ღმერთიო“*. როცა ამ მცნებით გაიმსჭვალება მთელი კაცობრიობა, მაშინ მცემელი აღარავინ იქნება და არც პროლეტარი შეაწუხებს თქვენს კაცთმოყვარე გულს, ბ. ბებელო. აი, აქედან დაიწყება ის სოციალიზმი, რომელსაც ეხლა ყოვლად უნიადაგოდ აჩრიან გამხეცებულ ადამიანის ბუნებას, როგორც ერთადერთს სახსარს დღევანდელ ეკონომიურ უთანასწორობისას.

ნუ დაგვავიწყდება მცნება ქრისტესი: *„ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი და ესე ყოველი მოგვეგოს თქვენ“*. სასუფეველის ძებნა შეიცავს ზნეობრივ ზრდას, ხოლო როცა ზნეობითად გაეიზრდებით ერთმანეთის მჭმელობაც მოისპობა და კუჭიც „მშიას“ აღარ დაიძახებს“!...

მაშ, ჯერ სიყვარული, სიყვარული ქრისტესი, ე. ი. მტკიცედ შეთვისება ქრისტეს მოძღვრებისა და შემდეგ სოციალიზმი და არა წინააღმდეგ, თორემ ბებელისებური უკუღმართობით ფონს ვერ გავალთ და სადღაც შუა მდინარეში ჩავიხრჩობით!...

# წინამძღვარი სახარებისა

და

# ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.

თარგმნილი რუსულით

მღვდ. ს. მეჩელაძის მიერ.

10038

30 ფასი ექვსი შაური. 30

ამ წიგნის გამოცემაში ფული დახმარება აღმოუჩინეს გარდა-
ცვალებულ [illegible] [illegible] [illegible] მემკვიდრეებმა, მღ. ქშვ-
[illegible] მეტრეველმა და მისმა მეუღლემ [illegible] [illegible] ასულმა, და
მათი სურვილის თანახმად შეიქმნა [illegible] იმერეთის ეპარქიის
მრევლის გლეხებს.

ქუთაისი

სტამბა „შრომა." ბალახვნის ქუჩა, № 17.
1912 წელი.

## სინამდვილე სახარებისა
## (გლადკოვიდგან)

„ესე ყოველი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრისტე, ძე ღვთისა" (ი. XX, 31).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ქადაგებდა ზეპირათ და თითონ ერთი წიგნიც არ დაუწერია. მისი მოძღვრება, ზოგიერთი მისი სასწაულები და შესანიშნავი შემთხვევები მისი ცხოვრებიდან ჩაწერილია ოთხ წიგნში, რომლებსაც საერთოთ „სახარება" ეწოდება.

თითქმის მხოლოდ ამ ოთხი სახარებიდან ვღებულობთ ჩვენ ცნობებს შესახებ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრებისა. მაგრამ, თუ გვსურს გავეცნოთ იესო ქრისტეს პიროვნებას ამ წიგნებიდან, საჭიროა წინდაწინვე დავრწმუნდეთ მათ სინამდვილეში (ე.ი., რომ იგინი დაიწერენ პირველ საუკუნეში მოციქულთაგან) და ჭეშმარიტებაში (ე.ი., რომ სახარების მოთხრობები ჭეშმარიტნი და უტყუარნი არიან).

ქვეყნიური ცხოვრება იესო ქრისტესი, მისი სასწაულთ-მოქმედება, მისი მოძღვრება, სიკვდილი და აღდგომა, სოლო შემდეგ თავგანწირული ქადაგება მოციქულთა მაშინდელ ქვეყნიერებაზე – ყველა ესენი, თავისთავათ ისეთი შესანიშნავი მოვლენანი არიან მსოფლიო ისტორიისა, რომლებზედაც ბევრი უნდა ეწერათ და ელაპარაკათ, როგორც თანამედროვეებს, ისე შემდეგ შთამამავლობასაც.

მაგრამ სხვა განსაკუთრებული მიზეზებიც იყო, რომლებმაც აიძულეს წარმართობა ყურადღება მიექცია ქრისტეს მოძღვრებისათვის. ებრაელებმა, რომლებმაც ჯვარს აცვეს ქრისტე და, რომლებიც ცოტა ხნის წინეთ ყვიროდენ პილატეს წინ *„სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა"*, დაგზავნეს (როგორც მოწმობს იუსტინე ფილოსოფოსი თავის წიგნში „საუბარი ტრიფონ ურიასთან, თ. 108) მთელ დედამიწის ზურგზე რჩეული კაცების ხმის დასაყრელათ, რომ გამოჩნდა უღვთო და უსჯულო მწვალებლობა (ცრუ მოძღვრება) ვიღაც იესო გალილეველისა, რომელიც ჩვენ ჯვარს ვაცვით, მაგრამ მოწაფეებმა მოიპარეს იგი საფლავიდან, სადაც დამარხული იყო ჯვრიდან გადმოხსნის შემდეგ და ატყუებენ ხალხს, რომ ვითომ იგი აღდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად"-ო.

ებრაელები, რომლებიც ცხოვრობდენ მაშინ ვეებერთელა რომის იმპერიის თითქმის ყველა ქალაქებში, ეხმარებოდენ ამ არჩეულ კაცებს და თავის მხრით ავრცელებდენ ქრისტიანებზე დაუჯერებელ ცილისწამებას იმ მიზნით, რომ აემხედრებიათ მათზე, როგორც მავნებელ მწვალებლებზე, სარწმუნოებაზე გულგრილი წარმართები.

ამ ცილისწამებამ გამოიწვია დევნა ქრისტიანებისა წარმართთაგან და ამავე ცილისწამებამ აიძულა ქრისტიანები, ერთი მხრით, ხელი შეეწყოთ თავის სუსტ და სარწმუნოებაში განუმტკიცებელ მოძმეთათვის ნუგეშსაცემლათ შემაგონებელი წერილებით (ეპისტოლეებით), მეორე მხრით კი, თავი დაეცვათ, მხოლოდ არა იარაღით, არამედ სიტყვით და წერილობით, ცილისმწამებელთა და მდევნელთაგან.

მალე ქრისტიანეთა შორისაც გამოჩნდენ მოციქულთა მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებისაგან განდგომილნი; საჭირო შეიქმნა მათი ცრუ მოძღრების წინააღმდეგ ბრძოლა და დარღვევა...

ერთი სიტყვით, პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდგან უნდა გამოჩენილიყო და კიდევაც გამოჩნდა აურაცხელი წერილობითი ნაწარმოებნი შესახებ ცოტა ხნის წინ მომხდარ არაჩვეულებრივ მოვლენათა. სწორეთ ეს წერილობითი ნაწარმოებნი არიან ის საბუთები, რომლებიც უნდა მივიღოთ, როგორც მოწმობა მათი ავტორებისა, რამდენათაც ასეთი ნაწერები უძველესია და დაახლოვებული მოციქულთა დროზე, იმდენათ უფრო ძვირფასია იგი ჩვენი მიზნისათვის.

სამწუხაროთ, განძვინებული მდევნელები ქრისტიანებთან ერთად ყველა ქრისტიანულ წიგნებსაც სპობდენ და ანადგურებდენ; ძრიელ მცირედა გადარჩა და მოაღწია ჩვენამდის; ამ მცირედთაგანაც მისაღებია და გამოსადეგი ჩვენი მიზნისათვის ისეთები, რომლების სინამდვილეში ეჭვი არ არის და, რომლებიც სწორეთ იმ მწერალს ეკუთვნიან, რომლის სახელსაც ატარებენ. ზოგი ამ მწერალთაგანნი — არიან მოციქულების პირდაპირი მოწაფენი, ეგრეთ წოდებულნი მოციქულთა მამაკაცნი; სხვანი — უმეტეს ნაწილათ ყოფილი წარმართები, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს სრულ ჭასაკში მყოფობის დროს; და, ბოლოს, მესამენი — ქრისტიანების შეუცვლელნი და დაუძინებელნი მტერნი.

მოციქულების პირდაპირ მოწაფეთა ნაწერებთაგან ჩვენამდის მოაღწიეს: წმ. ბარნაბას, წმ. კლიმენტ რომთა პაპის, წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის და წმ. პოლიკარპეს ეპისტოლეებმა (წერილებმა), და აგრეთვე ზოგიერთმა ნაწყვეტებმა პაპი იეროპოლელის (ევსევიის ნაწერებში), ირინეის და სხვების ნაწერებისამ.

**ბარნაბა** — მოციქულთა საქმის წიგნში ბარნაბა ნახსენებია, როგორც მოციქულ პავლეს მეგობარი და თანამოღვაწე, რომელსაც დამოკიდებულობა ჰქონია აგრეთვე სხვა მოწაფეებთანაც. მისი ეპისტოლე, როგორც მოწმობს კლიმენტ ალექსანდრიელი (რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი), მწერალი მეორე საუკუნის უკანასკნელი წლებისა, ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი სამოციქულო ეპისტოლე; როგორც ისტორიკოსები მოწმობენ, ეს

ეპისტოლე დაწერილია იერუსალიმის დაქცევის შემდეგ, 70-80 წელს ქ.შ.; ამ ეპისტოლეში მოყვანილია ორი პირდაპირი ადგილი მათეს სახარებიდგან: – „მე მოვედი წოდებად არა მართალთა, არამედ ცოდეილთა სინანულად“ (XI. 13) და „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (VI, 30) და ერთი ადგილი ლუკას სახარებიდან: „რომელი გთხოვდეს, მიეც“. როცა მოჰყავს ქრისტეს სიტყვები; „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“, ბარნაბა უმატებს: „როგორც სწერია“ და ამით მოწმობს, რომ მან მოიღო ეს სიტყვები არა ზეპირ გადმოცემისაგან, არამედ წერილისაგან, ასეთი მოწმობა კი საბუთს გვაძლევს გადაჭრით ვსთქვათ, რომ ბარნაბამ იცოდა სახარება მათესი და ლუკასი.

სახარების სინამდვილის წინააღმდეგნი ამტკიცებდნენ, რომ სიტყვები „როგორც სწერია“ შემდეგ ჩამატებულია ბარნაბას ლათინურათ ნათარგმნ ეპისტოლეშიო; მაგრამ ტიშენდორფმა აღმოაჩინა ძველთაძველი ბერძნული ეტრატით ხელნაწერი ბიბლიისა (რომელსაც ეხლა სინას მთის კრებულს უწოდებენ), რომელშიდაც სავსებითაა მოყვანილი ბარნაბას ეპისტოლე ამავე სიტყვებით („როგორც სწერია“), მაშინ, როდესაც ძველ ლათინურ ნათარგმნიდგან ცნობილი იყო მხოლოდ ხუთი თავი ამ ეპისტოლესი. ბარნაბას ეპისტოლე ნათარგმნია ბერძნული ენიდგან და, თუ ძველთაძველ ბერძნულ ტექსტში ნახმარია (როგორც დაამტკიცა ტიშენდორფმა) სიტყვები „როგორც სწერია“, თავისთავათ ირღვევა სახარების სინამდვილის მოწინააღმდეგეთა მცდელობა შესახებ იმისა, რომ მნიშვნელობა დაუკარგონ ბარნაბას ეპისტოლეს, როგორც ღირს სარწმუნო მოწმობას.

კლიმენტ რომთა პაპი – იყო პირველათ წარმართი; მოაქცია და ნათელსცა მოციქულმა პეტრემ, რომელმაც თავის წამების წინა ხანებში დაადგინა იგი რომის ეპისკოპოსათ; იმპერატორ ტრაიანეს დროს იგი გაგზავნეს ყირიმში ქვის სატეხში სამუშაოთ, ხოლო შემდეგ ზღვაში დაახრჩვეს. მისი სხვადასხვა ნაწერები, რომლებსაც საერთოდ „კლიმენტინებად“ სახელდებენ, ყალბადაა ცნობილი, მაგრამ კორინთელთა მიმართ მიწერილ მის ეპისტოლეს სინამდვილეში ეჭვი არავის შეუტანია.

კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში, რომელიც დაწერილია 95 წელს, კლიმენტი, როცა მოჰყავს სიტყვები მათესა და ლუკას სახარებიდგან, უმატებს შემდეგ სიტყვებს: „ამბობს წერილი“ „ამბობს უფალი სახარებაში“. თუმცა მას თავის სიტყვით, მოჰყავს სახარების სიტყვები, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მოწმობას იმის შესახებ, რომ მის დროს სახარება უკვე ხმარებაში იყო.

ეგნატე ღმერთშემოსილი – იყო ანტიოქიის ეპისკოპოსი 67-107 წლებში ქ.შ. ევსევი და იერონიმე მოწმობენ, რომ იგი, პოლიკარპე და პაპი მოციქულ

იოანე ღვთისმეტყველის მოწაფეები იყვნენ, ხოლო იოანე ოქროპირი ამბობს, რომ იგი დაახლოებული იყო მოციქულებთან, მათთან იმყოფებოდა და ეპისკოპოსობის ხარისხი მიიღო პირდაპირ მათგან და გახდა მემკვიდრე მოციქულ პეტრესი ქალაქ ანტიოქიაში (ქმნ. ოქროპ,. 2, გვ. 633). ქრისტიანების დევნის დროს, როცა იმპერატორი ტრაინე ანტიოქიაში მოვიდა, მას წარუდგინეს ევნატე, როგორც ქრისტიანების ბელადი და ბურჯი სარწმუნოებისა. ტრაინემ მოსთხოვა მას, რომ უარი ეყო ქრისტესთვის და ემორჩილა (ე.ი. მსხვერპლი მიერთმია) კერპთათვის. ევნატე მედგრათ იდგა სარწმუნოებაზე; ამიტომ მას მიუსაჯეს სიკვდილი, წაიყვანეს რომში და იქ ცირკში მხეცებს ჩაუგდეს შესაჭმელათ მნეობით გაველურებული და გამხეცებული ხალხის შესაქცევათ.

მის თხზულებათაგან მსწავლულ მკვლევართაგან ნამდვილ მის დაწერილებად აღიარებულია შვიდი ეპისტოლე. დაწერილი 107 წელს, რომში მოგზაურობის დროს.

ამ ეპისტოლეებში, (იხ. ეპისტოლენი წმ. ევნატე ღმერთშემოსილისა, გამოც. ყაზანის სას. აკად. 1857 წ.) წმ. ევნატე იხსენიებს სახარებას, როგორც საყოველთაოთ ცნობილ წიგნს და განასხვავებს მას წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან (ე.ი. მოციქულთა ეპისტოლეთაგან). ასე რომ: 1) ქალაქ ტროადიდან ფილადელფიელთა მიმართ ეპისტოლეში, მე-9 მუხლში იგი ამბობს: **„სახარება შეიცავს რაღაც უაღრეს, სახელდობრ — ჩვენი უფლის და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოსვლას, მის წამებასა და აღდგომას. რამეთუ საყვარელმა წინასწარმეტყველებმა წინასწარ აუწყეს მასზე, ხოლო სახარება არის აღსრულება...“** ბ) სმირნელთა მიმართ ეპისტოლეში (მუხ. 5) ურწმუნოთა შესახებ იგი ამბობს: **„იგინი ვერ დაარწმუნა ვერც წინასწარმეტყველებამ, ვერც მოსეს სჯულმა, და აქამომდეც ვერ აჯერებენ — ვერც სახარება და ვერც წამება თვითეული ჩვენგანისა“**. იმავე ეპისტოლეს მეშვიდე მუხლში კი იგი იძლევა რჩევას, **„რომ განეშორონ ასეთ ადამიანებს, და არც კერძოთ და საზოგადოებაში, არ ილაპარაკონ მათზე, არამედ ისმინონ წინასწარმეტყველებისა და განსაკუთრებით სახარებისა, რომელშიდაც ნაუწყებია ვნება უფლისა და უეჭველად დამტკიცებულია მისი მკვდრეთით აღდგომა“**.

თავის აზრების დასამტკიცებლათ წმ. ევნატეს ამ ეპისტოლეებში ხშირად სიტყვასიტყვაზე მოჰყავს ზოგიერთი ადგილი სახარებისა; მაგალითად: ა) რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (მე 5 მუხ.) — **რა სარგებელ არს კაცისათვის უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, ხოლო სული თვისი იზღვიოს“** (მათე XVI, 26) ბ) პოლიკარპეს მიმართ ეპისტოლეს მეორე მუხლში, — **„იყავ ბრძენ, ვითარცა გველი და უმანკო, ვითარცა ტრედი“** (მათე X, 16); გ) სმირნელთა მიმართ ეპისტოლეს პირველ მუხლში, — **„უფალმა ჩვენმა ნათელი-**

ლო იოანესაგან, რათა „აღასრულოს ყოველი სიმართლე“ (მათე III, 15); და იმავე ეპისტოლეს მესამე მუხლში – „როცა იგი (უფალი) მოეიდა მყოფთა მათ პეტრესა თანა, უთხრა მათ: **ხელი შემახეთ მე და იხილეთ** (ლ. 24 თ., 39), რომ მე არა ვარ სული უსხეულო“.

წმ. ეგნატეს შეიდი ეპისტოლე ცნობილია ორი ხელნაწერით, რომელთაგან ერთი შემოკლებულია, ხოლო მეორე – ვრცელი. ზემო მოყვანილი სიტყვები ამოწერილია შემოკლებულ ხელნაწერიდან; მაგრამ რადგან ვრცელი ხელნაწერიც მიღებულია, როგორც ნამდვილ ეგნატეს დაწერილი, ასეთი ავტორიტეტებისაგან, როგორიც არიან წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიორი ღმრთისმეტყველი, წმ. იოანე დამასკელი და კ. ტიშენდორფი. ამოვწეროთ ზოგიერთი ადგილები ვრცელი ხელნაწერიდგანაც: რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მესამე მუხლში – „**უკეთუმცა სოფლისაგანი იყვნეთ, სოფელიმცა თვისთა ჰყვარობდა, რამეთუ არა სოფლისაგანი ხართ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ**“... (ი. XV, 19); ე) ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს მეხუთე მუხლში – „**სიტყვა ხორციელ იქმნა**“ (ი. 1, 14); ვ) იმავე ეპისტოლეს მეხუთე მუხლში – „**რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრება, არამედ რისხვა ღვთისა დადგრომილ არს მას ზედა**“ (ი. III 14.); ზ) მაგნეზიელთა მიმართ ეპისტოლეს მეცხრე მუხლში – „**უკეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემი, რამეთუ მოსე ჩემთვის დასწერა**“ (ი. V, 46); ც) იმავე ეპისტოლეს მეექვსე მუხლში – „**შეიყვარე-უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი**“ (ი. V, 46); თ) იმავე ეპისტოლეს მეექვსე მუხლში: **შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი** (ლ. X, 27).

რომ მთლად არ ამოვწეროთ, უჩვენოთ ზოგიერთი ადგილები, ნახმარი წმ. ეგნატეს ეპისტოლეებში: – მათეს სახარებიდან: 1 თ. 23; 4 თ. 23; 5 თ. 5, 45 და 48; 8, 17; 9 თ. 35; 12 თ. 33 და 40; 15, 13; 19 თ. 12, 13 და 43; 22 თ. 40; 27 თ. 52; 28 თ. 19; მარკოსის სახარებიდან: 11 თ. 25; ლუკას სახარებიდან: 10 თ. 16 და 27; 14 თ. 11 და 15; 17 თ. 10; 18 თ. 13 და 14; 22 თ. 31; 23 თ. 34; და იოანეს სახარებიდან: 2 თ. 19; 3 თ. 8; 5 თ. 30; თ. 29, 46, 56, და 58; 10 თ. 11; 11 თ. 25, 26; 12 თ. 32; 13 თ. 34; 14 თ. 6, 24; 16 თ. 13, 14; 17 თ. 3, 4, 5, 6, 11 და 21; და 20 თ. 25, 27 და 28.

ამნაირათ, ეს ეპისტოლეები გვიმტკიცებენ, რომ მათი დაწერის დროს, ე.ი. 107 წელს ქ.შ., წმ. ეგნატემ იცოდა ოთხივე სახარება; და რადგან იგი ეპისტოლეების დაწერამდის მსახურებდა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ორმოც წელიწადს, თავისთავად ცხადია, გაეცნო იგი სახარებას არა 107 წ. არამედ უფრო ადრე და, უფრო დასაჯერებელია, იმ რიგზე, როგორც იწერებოდენ ივინი.

**პოლიკარპე სმირნელ ეპისკოპოსი.** – მოწაფე მოციქულ იოანესი. წმ.

პოლიკარპეს მოწაფე წმ. ირინეოს ლიონელ ეპისკოპოსი, თავის წერილში ფლორინისადმი ასე იხსენიებს თავის მასწავლებელს: „მე კიდევ პატარა ვიყავი, როცა გნახე შენ მცირე აზიაში პოლიკარპესთან: მე ეხლაც შემიძლია წარმოვიდგინო ის ადგილი, სადაც იჯდა და საუბრობდა წმ. პოლიკარპე, წარმოვიდგინო მისი გაელა-გამოელა, მისი ცხოვრება-მოქმედება, მისი გარეგანი შეხედულება, მისი საუბრები ხალხთან, როგორ მოუთხრობდა იგი შესახებ თავის ერთობისა იოანესთან და უფლის სხვა თვითმხილველ მოციქულებთან, როგორ მოიგონებდა ხოლმე იგი მათ სიტყვებს და უამბობდა ხოლმე, რაც გაეგონა მათგან უფალზე. რადგანაც ყოველივე მათგან გაიგონა, ვინც თვით მხილველი იყვნენ სიტყვისა მის ცხოვრებისა, ამიტომ ყველა მისი ნაამბობი ეთანხმებოდა წერილს". (იხ. ევსევი V, 20).

წმ. პოლიკარპე იყო ეპისკოპოსად ქალ. სმირნაში ორმოც წელიწადზე მეტი; მარკოს ავრელიოსის მეფობაში, ქრისტიანობის დევნის დროს, იგი დასწვეს კოცონზე (ცეცხლში), ხალხის თხოვნის თანახმად, რომელსაც ებრაელებიც ეხმარებოდნენ შეშის ზიდვაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე შაბათი იყო.

ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში, რომელიც, დაწერილია წმ. ევნატეს წამების ახლო ხანებში, წმ. პოლიკარპეს მოჰყავს სახარებიდგან შემდეგი ადგილები: მათესაგან — V, 3 და 10; VI, 13; XXVI, 41; მარკოსისაგან XVI, 38; და ლუკასაგან - VI 37 და 38; თუმცა ამ ეპისტოლეში არაფერია ნაჩვენები იოანეს სახარებიდან, მაგრამ სამაგიეროთ მასში მოყვანილია სიტყვები ამ მოციქულის პირველ ეპისტოლედან, რომელიც დაწერილია სახარების შემდეგ; აქედან ცხადია, რომ წმ. პოლიკარპეს უნდა ცოდნოდა სახარებაც, როგორც უფრო ადრე დაწერილი წიგნი მისი მასწავლებელისა.

**პაპი, ეპისკოპოსი იეროპოლისა** — წმ. ირინეოს ლიონის ეპისკოპოსი თავის მეხუთე წიგნში მწვალებლების წინააღმდეგ (23 თ.) ამბობს, რომის პაპი იყო მოწაფე იოანესი და ამხანაგი პოლიკარპესი და დასწერა ხუთი წიგნი სახელწოდებული „განმარტება სიტყვათა უფლისა". ამ წიგნებს არ მოუხწევია ჩვენამდის; მხოლოდ მათი ნაწყვეტები მოჰყავს ევსევს თავის „საეკკლესიო ისტორიაში" (III 39). ამ წიგნებში, როგორცა სჩანს დაცული ნაწყვეტებიდან, პაპი ამბობს, 1) რომ მათემ დასწერა უფლის საუბრები ებრაულ ენაზე, ხოლო სთარგმნიდენ მას, ვისაც როგორ შეეძლო. და 2) მარკოს პეტრეს მთარგმნელმა (истолкователь) ზედმიწევნით დასწერა ყოველივე, რაც ახსოვდა, თუმცა არ დაუცავს რიგი ქრისტეს სიტყვათა და მოქმედებათა, იმიტომ რომ თვით არ იყო მსმენელი და თანამოგზაური უფლისა. შემდეგ იგი იმყოფებოდა პეტრესთან: მაგრამ პეტრე გადმოსცემდა ქრისტეს მოძღვრებას არა რიგზე, არამედ როგორც მოუხდებოდა და საჭირო იყო

მსმენელთათვის. ამიტომ მარკოსი სრულიად არ სცოდავს, როცა აგვიწერს ზოგიერთ შემთხვევას ისე, როგორც აგონდება: იგი ცდილობდა მხოლოდ მასზე, რომ განაგონიდან რაიმე არ გამოეშვა ან არ გადაესხვაფერებია". მასვე მოჰყავს სხვადასხვა მუხლები იოანე მახარებლის პირველ ეპისტოლედან (იხ. ტიშენდორფი, 221).

რენანი ამბობს, თუ პოლიკარპე და პაპი, რომლებიც იოანეს მოწაფეებათ ირიცხებიან, არ იხსენიებენ თავის ნაწერებში მის სახარებას, აქედგან სჩანს, რომ მათ დროს ეს სახარება არ ყოფილაო. ამ შენიშვნას მნიშვნელობა ექნებოდა მაშინ, რომ შეგვეძლოს პოლიკარპეს და პაპის ყველა თხზულებათა გადაკითხვა; მაგრამ რადგან პაპის ყველა ნაწერთაგან ჩვენამდის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტმა მოახწია, ხოლო პოლიკარპეს ნაწერებიდან მხოლოდ ერთმა, ფილიპელთა მიმართ ეპისტოლემ, ამიტომ რენანის შენიშვნა ჰკარგავს ყოველივე მნიშვნელობას. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ დაკარგულ ნაწერებში ბევრი რამ არის შემოტანილი იოანეს სახარებიდანაც; და ასეთი მოსაზრება არ არის სიმართლეს მოკლებული, რადგან მათ დაცულ ნაწერებში სიტყვა-სიტყვაზეა მოყვანილი ბევრი რამ მოციქულის პირველ ეპისტოლედან, რომელიც დაწერილია სახარებაზე უფრო გვიან. ახალი ნახული ნაწყვეტი პაპის თხზულებისა, რომელიც ტომასიას მოჰყავს, მოწმობს, რომ იოანეს სახარებას იცნობდა პაპი (იხ. თხ. დიდონისა „იესო ქრისტე" I).

მეორე რიგის მწერლები არიან: წმ. იუსტინე ფილოსოფოსი, წმ. ირინეოსი, ტიციანი, კლიმენტ ალექსანდრიელი, ათინაგორ ათინელი, წმ. თეოფილე ანტიოქიელი, ტერტულიანი და ორიგენი.

იუსტინე ფილოსოფოსი თავის წიგნში — „საუბარი ტრიფონ ურიასთან" ამბობს, რომ მან ჯერ კიდევ წარმართობაში შეისწავლა მაშინდელი დროის ყველა ფილოსოფიური სისტემები და განსაკუთრებით გაიტაცა პლატონის ფილოსოფიამ; მაგრამ მთელი მისი ცოდნა არ აძლევდა მას პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც აინტერესებდა მას: ღმერთზე, სულზე, სულის უკვდავებაზე და სხვა, სანამ ერთმა მოხუცმა არ უამბო მას იესო ქრისტეზე და წინასწარმეტყველებზე, რომლებიც წინასწარ აუწყებდენ მის მოსვლას. ამის გამო მან შეისწავლა სახარება და წინასწარმეტყველებანი და მხოლოდ ამაში იპოვა ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფია. (იხ. თხზ. იუსტინესი თარგ. პრეობრაჟენსკისა. 1892 წელი. გვ. 134-145).

იუსტინემ ნათელ-იღო 137 წელს ქ.შ. და დაიწყო მოგზაურობა რომის იმპერიაში ქრისტიანობის გასავრცელებლათ, რის გულისათვისაც და იმისთვის, რომ კერპებს მსხვერპლი არ შესწირა, თავ-მოკვეთილ იქმნა 163-67 წლებს შუა.

წმ. იუსტინე ფილოსოფოსმა და მოწამემ ბევრი ნაწერები დაგვიტოვა,

როგორც მოწმობს ისტორიკოსი ევსევი; მაგრამ იმ ცოტა ნაწერებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ნამდვილ მის დანაწერათ აღიარებულია მხოლოდ ორი: „აპოლოღია“ და „საუბარი ტრიფონ-ურიასთან“. პირველი- „აპოლოღია“ წარედგინა იმპერატორ ანტონინს, ხოლო მეორე – რომის სენატს. ორივე დაწერილია ქრისტიანებისა და ქრისტიანულ სარწმუნოების დასაცავათ წარმართებისა და ებრაელების უმართებულო ცილისწამებისა და დევნის წინააღმდეგ. „საუბარი ტრიფონ ურიასთან“ არის საუბარი მსწავლულ ქრისტიანისა ებრაელ მწიგნობართან და გვიჩვენებს, რომ იუსტინემ ზედმიწევნით იცოდა ყველა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები: წინასწარმეტყველებანი, სახარება, მოციქულთა ეპისტოლენი და „განცხადება“ („აპოკალიპსის“). ამ საუბარში იუსტინე უმტკიცებს ურიას, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა წინასწარ აუწყეს იესო ქრისტეს მოსვლა, და, რომ იესო ქრისტე, ჯვარცმული პონტოელ პილატეს დროს, არის სწორეთ ის ქრისტე, რომელზედაც აუწყებდენ წინასწარმეტყველები.

პირველი – აპოლოღია იუსტინესი დაწერილია 150-155 წლებ შუა; ამ აპოლოღიაში და აგრეთვე ტრიფონ ურიასთან საუბარში მოყვანილია ურიცხვი სიტყვა-სიტყვითი ამოწერილობა ოთხივე სახარებიდან; მაგალითად: ა) პირველი აპოლოღიის მეთექვსმეტე მუხლში – *ნუ ჰფუცავთ სრულიად, არამედ იყავნ სიტყვა თქვენი ჰე – ჰე და არა – არა. ხოლო უმეტეს ამისა ეშმაკისაგან არს.* (მათესი V 34 და 37): ბ)საუბრის 76-ე მუხ.: *ჯერარს ძისა კაცისა ფრიად ვნებად და შეურაცხყოფად მღვდელ-მთავართა და მწიგნობართაგან და ფარისეველთა და ჯვარცმად და მესამესა დღესა აღდგომად* (მარკ. 8 თ. 31: ლ. 9 თ. 22): გ) იქვე, მუხ.17: *სახლი ჩემი – სახლ სალოცველ არს, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქვაბ ავაზაკთა* (XIX 46); დ) პირველ აპოლოღიის 61 მუხ. – *უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორეთ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა.* (ი. 3 თ. 3); საერთოდ, იუსტინეს ნაწერებში იპოება 126 ადგილი სახარებიდან, სახელდობრ: 88 მათეს სახარებიდან, 7 მარკოსიდან, 25 ლუკასაგან და 7 იოანესაგან. ხშირათ, როცა რომელიმე ადგილები მოჰყავს სახარებიდან, წმ. იუსტინე უმატებს: *„როგორც თქმულია მის მოციქულთა და მათ მიმდევართა ღირსსახსოვარ ნაწერებში“*, ან: *„მოციქულებმა მათგან ჩაწერილ „მოთხრობებში, რომლებსაც „სახარება“ ეწოდება, გადმოგვცეს.....“* (საუბ. ტრიფ. გვ. 102 და 103; აპოლოღია მუხ. 66).

ამნაირათ, იუსტინე ფილოსოფოსის ნაწერები მოწმობენ, რომ 137 წელს ქ.შ. ოთხივე სახარება ცნობილი ყოფილა – ქრისტიანეთა შორის, როგორც საღვთო წიგნები.

**ირინეოს ლიონელ ეპისკოპოსი** – თავის წერილში ფლორინის მიმართ წმ. იუსტინე ამბობს, რომ ირინეოსი მოწაფე იყო იოანე ღვთის-მეტყველის მოწა-

ფის, იოანესი. იგი, როგორც ამბობენ, დაიბადა 130 წელს ქ.შ.; სიყმაწვილე სმირნაში გაატარა, სადაც გაეცნო ბერძენ ფილოსოფოსთა და პოეტთა ნაწერებს; უკეე ჰასაკოეასი, პოლიკარპემ იგი გაგზავნა გალლიაში (ეხლანდელ საფრანგეთში). ლიონის ეპისკოპოსის პოფინის სიკედილის შემდეგ, 177 წ. იგი არჩეულ იქმნა ლიონის ეპისკოპოსად და გადაიცვალა 202 წ.

წმ. ირინეოსს წილად ხვდა ბრძოლა (სიტყვით და წერილობით) მწვალებელთა წინააღმდეგ. მან ბევრი დაწერა ქრისტიანობის დასაცავად, მაგრამ ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ ერთმა წიგნმა, შემდეგი სახელწოდებით: „ხუთი წიგნი სხვადასხვა მწვალებლობის წინააღმდეგ“ (იხ. თარგ. პრეობრაჟენსკისა 1871 წ.).

ამ წიგნში ვპოულობთ შემდეგ მოწმობას სახარების შესახებ:

1) მესამე წიგნში (თ. I. გვ. 272, 273) ირინეოსი ამბობს: *„ჩვენი გამოხსნის ამბავი ჩვენ გავიგეთ არა ვინმე სხვა პირთაგან, არამედ მათგან, ვისგანაც მოაღწია ჩვენამდის სახარებამ, რომელსაც იგინი ქადაგებდენ ზეპირათ, ხოლო შემდეგ, ნებითა ღვთისათა, გადმოგვცეს ჩვენ წერილობით“ ამნაირათ, მათემ გამოსცა ებრაელთა შორის მათ დედაენაზე წერილი სახარებისა იმ დროს, როცა პეტრე და პავლე ახარებდენ რომში და დააფუძნეს ეკლესია. შემდეგ მათი სიკვდილისა, პეტრეს მოწაფემ და მთარგმნელმა მარკოსმა, გადმოგვეცა ჩვენ წერილობით ის, რაც იქადაგა პეტრემ. ხოლო ლუკამ, პაელეს თანამგზავრმა, ჩასწერა წიგნში მისგან ნაქადაგები სახარება; შემდეგ იოანემ, უფლის მოწაფემ, რომელიც მიეყრდნო მას მკერდზე, გამოსცა აგრეთვე სახარება დროსა აზიის ეფესოს შინა მყოფობისასა“.*

2) როცა იმავე მესამე წიგნში (თ. 10-11, გვ. 243-310) სიტყვითი სიტყვამდე მოჰყავს სახარებიდან ყოველივე, რაც შეეხება იოანე წინამორბედის შობას, ხარებას, ქრისტეს შობას, მირქმას, ირინეოსი ამბობს: *„ასეთნი არიან პირველნი დასაწყისნი სახარებისა. და იმდენათ დიდია ჭეშმარიტება ამ სახარებისა, რომ მწვალებლებიც ღირსეულად პატივსცემენ მათ მოწმობას და თითოეული მათგანი ცდილობს მით დაამტკიცოს (მაზე დააფუძნოს) თავისი მოძღვრება“.*

3) როცა ლაპარაკობს იმაზე, რომ მწვალებელი მარკიონი და მისი თანამოაზრეები ღებულობენ ლუკას სახარებას, მაგრამ ამოკლებენ მას თავიანთ მიზნის გეარათ, ირინეოსი იცავს მახარებლების ავტორიტეტს შემდეგი სიტყვებით: *„მოციქულები უბრალოთ, და არავის მიმხედველნი, გადასცემდენ ყველას მას, რაც თითონ ისწავლეს უფლისგან. მსგავსადვე ლუკა, არავის მიმხედველი, გადმოგვცემს მას, რაც მათგან შეიტყო, როგორც თვით მოწმობს და ამბობს: „როგორც გადმოგვცეს ჩვენ მათ, ვინც თავიდგანვე თვითმხილველნი და მსახურნი იყვნენ სიტყვისაო“* (გვ. 340). ლუკა ქადაგებ-

და პაველესთან ერთად, მისგან წოდებულია, საყვარლად, მასთან ახარებდა და მისგან შეიმოსა უულება, რომ გადმოეცა ჩვენთვის სახარება" (გვ. 339).

აღნიშნულ ირინეოსის თხზულებაში იმდენი ადგილებია სახარებიდგან სიტყვიითი სიტყვამდე მოყვანილი, რომ, ყველანი თუ მოვიყვანეთ, უნდა ამოვწეროთ უმეტესი ნაწილი ოთხივე სახარებისა.

ტაციანემ, იუსტინე ფილოსოფოსის მოწაფემ, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში (გადაიცვალა 175 წ.), როგორც მოწმობენ ევსევი და იერონიმე, ბევრი წიგნები დასწერა, მაგრამ ჩვენამდის მოვიდა მისი „სიტყვა ელლინთა წინააღმდეგ"; ამ წიგნში იგი ამხილებს წარმართთა სარწმუნოების სისულელეს და ამტკიცებს საღმრთო წერილის ღვთაებრიობას.

ამ სიტყვაში ტაციანე ასე მოგვითხრობს თავის მოქცევის ამბავს: „*მე ბევრი მიმოვმაურნია სხვადასხვა ქვეყნებში, თითონ შემისწავლია თქვენი მეცნიერება, როგორც სოფისტს; მისწავლია ხელოვნება და სხვადასხვა გამოგონებანი. იმ დროს, როცა ჩემი გონება მის განხილვაში იყო, რაც რამ საუკეთესოა, მე შევხვდი ერთნაირ წიგნებს, რომლებიც უძველესია ელლინურ სწავლამე და იმდენათ ღვთაებრივია, რომ შედარებაც არ შეიძლება მის (ელლინურ სწავლის) უგნურებასთან; და მე ვირწმუნე ეს წიგნები მათი ენის უბრალოებისა, მწერლების არა ხელოვნურობისა, მთელი ქმნილების ადვილი ახსნა-განმარტებისა, მყობადის წინასწარმცნობელობისა, კანონთა აღმატებულობის და, დასასრულ, მისი სწავლისა ქვეყნიერების ერთ მპყრობელზე. მათი ცნობით განათლებულმა, მე უარვყავი წარმართთა ცთომილებანი, როგორც ბავშური ბოდვა, მე გამოვეთხოვე რომაულ მვაობასაც, ათინელ ცივ მჭევრმეტყველებასაც, და სხვა და სხვა მოძღვრებას* (იხ. თხზულებანი ძველი ქრისტიანების აპოლოგეტებისა, თარგ. პრეობრაჟენსკისა 1895 წ.).

ამავე სიტყვაში ელლინთა წინააღმდეგ ტაციანე დაწვრილებით გადმოგვცემს სწავლას სიტყვაზე: ბევრი რამ შემოაქვს იოანეს სახარებიდგან და მოჰყავს საკუთარი სიტყვები ამ სახარებიდგან, მაგ. **ბნელი ნათელს ვერ ეწია (ი. 1 თ. 5) ყოველივე მის მიერ შეიქმნა (I, 3).**

ტაციანმა შემდეგ მხარი დაუჭირა ენკრატიტების მწვალებლობას; ამ დროს მან, როგორც მოწმობს ისტორიკოსი ევსევი (წ. IV, 30) შეადგინა ოთხი სახარების კრებული, რომელშიდაც გამოსტოვა გვარტომობის აღწერილობა იესო ქრისტესი და სხვა ადგილები, რომლებიც ამტკიცებდენ მის (იესო ქრისტეს) შთამომავლობას დავითისაგან. ამ სახარების კრებულით, რომელსაც „დიატესარონი" ეწოდა, სარგებლობდენ არა-თუ მხოლოდ ენკრატიტები, არამედ მართლმადიდებლებიც. თეოდორიტე ეპისკოპოსმა (გადაიც. 456 წ.) ნახა თავის ეპარქიის ეკლესიებში 200 ცალზე მეტი „დიასტესსარონი",

ჩამოართვა იგინი და მაგიერათ დაურიგა სახარებები ოთხი მახარებლისა.

კლემენტოს ალექსანდრიელი – მოწაფე პანტენისა, კაცი, მაშინდელ დროის უმაღლესი განათლებული, 200 წელს შეიქნა თავი შესანიშნავ ალექსანდრიის სასწავლებლისა.

ყეელა თავის წიგნებში, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწიეს, კლემენტოსს მოჰყავს ბეერი ადგილი ოთხივე სახარებიდგან, როგორც ისეთი წიგნებიდგან, რომლების სინამდეილეში და მოთხრობების ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეუტანია და, ამასთანავე, ასახელებს მახარებლებს.

ისტორიკოს ევსევის თავის საეკლესიო ისტორიაში (VI, 14) მოჰყავს შემდეგი ადგილი კლემენტოსის წიგნიდგან „დახაზულობანი" (начертания): *„სახარებებიდგან პირველათ დაწერილია ისინი, რომლებშიდაც აღწერილია თვისტომობა იესო ქრისტესი. მარკოსის სახარება ასე გაჩნდა: როცა პეტრე სახალხოთ ქადაგებდა რომში ღეთის სიტყვას და აუწყებდა სახარებას სული წმიდის ჩაგონებით, მაშინ ბევრმა იქ მყოფთაგანმა სთხოვა მარკოსს, დიდი ხნის მის თანამგზავრს, რომელსაც ახსოვდა ყოველიფერი, რაც მას უთქვამს, დაეწერა, რაც მან ჰქადაგა. მარკოსმა დასწერა სახარება და გადასცა იგი მათ, ვისაც ესაჭიროებოდა. როცა პეტრემ გაიგო ეს ამბავი, იგი არც აქებდა მას და არც უშლიდა. ხოლო უკანასკნელმა მახარებელმა იოანემ შეატყო რა, რომ სახარებებში მოთხრობილია მხოლოდ ხორციელი, მოყვასთა თხოვნით და სულიწმიდის ჩაგონებით, დასწერა სახარება სულიერი".*

ათინაგორ ათინელი – წარმართი ფილოსოფოსი მეორე საუკუნისა. ამას უნდოდა ეწერა და ემოქმედნა ქრისტიანების წინააღმდეგ. ამ მიზნით დაიწყო სამღეთო წერილის კითხვა და შესწავლა და შეიქნა მქადაგებელი იმ მოძღვრებისა, რომლის წინააღმდეგიც იყო.

166 თუ 177 წ. მიართვა თხოვნა ქრისტიანების შესახებ იმპერატორებს, მარკოს ავრელს და ლიუცი კომმოდს, თხოვნა, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანობის ბრწყინვალე დაცვას უსამართლო ცილის წამებისა და დევნისაგან (პრეობრაჟენსკი 1895 წ.). ამტკიცებს რა ქრისტიანების ზნეობრივ სიმაღლეს და უპირატესობას წარმართთა წინაშე, მას მოჰყავს ამ თხოვნაში ნამდვილი სახარების სიტყვები; მაგ. მათეს სახარებიდან V. 28, 39, 44-46; XIX, 9 ლუკას სახარებიდან – VI, 27, 28, 32, 34 და 39. თავის თხოვნის ერთ ადგილას, როცა სახარების სიტყვები მოჰყავს, იგი განმარტავს, რომ ასე ამბობს წერილი და ამით ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები მას მოყვანილი აქვს დაწერილი წიგნიდან: *„უკეთუ გიყვარდენ მოყვარენი თქვენნი,* – ამბობს წერილი – *და უკეთუ ავასხებდეთ მავასხებელთა თქვენთა, რაი სასყიდელი გექნეს თქვენ".* (ლ. VI 32 და 34). სამებაზე მსჯელობიდან სჩანს, რომ ათინაგორმა

უეჭველად იცოდა იოანეს სახარება.

თეოფილე, ეპისკოპოსი ანტიოქიისა (176-186) – როგორც სჩანს მისი თხზულებიდან, აღიზარდა წარმართობაში და მიიღო იმ დროის უმაღლესი განათლება; ეაკკაცობაში იგი გაეცნო სამღვთო წერილის წიგნებს და ირწმუნა იესო ქრისტე.

მან ბევრი ნაწერები დაგვიტოვა და, სხვათა შორის, „თარგმანი (განმარტება სახარებისა)", როგორც ამას მოწმობს იერონიმე; მაგრამ ჩვენამდის მოვიდა მხოლოდ „სამი წიგნი აეტოლიკეს მიმართ". მეორე წიგნის 22-ე მუხლში, როცა მსჯელობს ღმერთზე და ქვეყნის გაჩენაზე, იგი ამბობს: „ამიტომ ჩვენ გვასწავლიან საღვთო წერილნი და ყველა სულიწმიდით შემოსილნი, რომელთაგან იოანე ამბობს: *პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა, რითაც აჩვენებს, რომ პირველათ იყო მხოლოდ ერთი ღმერთი და მასში სიტყვა. შემდეგ იგი ამბობს: და ღმერთი იყო სიტყვა იგი; ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არა-რა იქმნა* (ი. I, 1-3). მესამე წიგნის მეცამეტე მუხლში მას მოჰყავს შემდეგი ადგილი მათეს სახარებიდგან: *ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცს გულისთქმით, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, თვინიერ სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა"* (მათე V, 28-32). იმავე წიგნის მე-14 მუხლში; *„სახარება ამბობს: გიყვარდეს მტერნი თქვენნი და ლოცვიდეთ მაყვედრებელთა თქვენთა"*.

ერთი სიტყვით, წმ. თეოფილეც მოწმობს, რომ მის დროს სახარება საღვთო წიგნათ ითვლებოდა, როგორც დაწერილი სულიწმიდის ძალით შემოსილ ადამიანთაგან.

ნეტარი იერონიმე გვარწმუნებს, რომ წმ. თეოფილემ თითონ შეადგინა კრებული ოთხი სახარებისა და დაწერა კომენტარიები (თარგმანი – განმარტება).

**ტერტულიანი** – დაიბადა კართაგენში 145 წ წელს ქ.შ. დაგადიცვალა, როგორც ფიქრობენ, 220 წელს. მიიღო თუ არა, ქრისტიანობა, იგი შეიქნა გულმოდგინე დამცველი დევნილებისა. მის ნაწერებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მისი შესანიშნავი აპოლოღია, ანუ დაცვა ქრისტიანებისა წარმართთა წინააღმდეგ, დაწერილი რომაელ მართებლობისათვის. ამას გარდა, ჩვენამდის მოაღწია ბევრმა მისმა ნაწერებმა, მათში ბევრია მწვალებლობათა წინააღმდეგ. ამ ნაწერებში ტერტულიანეს ემჩნევა ოთხივე სახარების ღრმა ცოდნა, მას მოჰყავს მრავალი სიტყვა-სიტყვითი ამოწერილობა მათგან; ეს კი გვაიძულებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ ოთხი თავი სახარება შეადგენდა მის სამაგიდე წიგნს.

**ორიგენი** – დაიბადა 186 წ. დაბადებითვე ქრისტიანმა, მან ადრე, ბავშვობიდანვე, დაიწყო საღვთო წერილის შესწავლა თავის მამის ხელმძღვანელობით. შემდეგ შევიდა ალექსანდრიის შკოლაში და შეიქნა მოწაფე შკოლის უფროსის, კლემენტოს ალექსანდრიელისა: როცა კლემენტოსი იძულებული შეიქნა დაეტოვა ალექსანდრია, ორიგენი მისი მოადგილე შეიქნა.

ორიგენმა ბევრი სწერა. მის ნაწერთა შორის ჩვენი მიზნისთვის შესანიშნავია: „საწყისები" (о началахъ), „თარგმანი იოანეს სახარებისა", „თარგმანი მათეს სახარებისა" და „პასუხი ცელსს".

თხზულება „საწყისები" წარმოადგენს სისტემატიურ მოთხრობას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და შეიცავს ბევრ სიტყვა-სიტყვით ადგილებს ოთხივე სახარებიდან.

„თარგმანები იოანეს და მათეს სახარებისა", როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, მოწმობენ მას, რომ ეს სახარებები ორიგენის დროს და ადრეც საზოგადოთ ცნობილნი და გავრცელებულნი წმ. წიგნები იყვნენ, რომელთა სინამდვილეში არავინ იჭვნეულობდა.

„მათეს სახარების თარგმანში" ორიგენი ამბობს: „*მე ვიცი, რომ პირველი სახარება დაწერილია მათესაგან, რომელიც ოდესღაც მეზვერე იყო და შემდეგ შეიქნა მოციქული იესო ქრისტესი, და რომ მან დასწერა იგი ებრაულ ენაზე ურიათაგან მოქცეულ ქრისტიანეთათვის. მეორე სახარება მარკოსისა, რომელმაც დასწერა იგი პეტრეს მოთხრობიდან. შემდეგ მესამე სახარება ლუკასი, მოწონებული პავლესაგან და დაწერილი წარმართთაგან მოქცეულთათვის. უკანასკნელი სახარება კი იოანესგან*" (ევსევი. საეკ. ისტ. VI 25).

მესამე რიგის მწერლები: მწვალებლები ვასილიდი, კარპოკრატი, ვალენტინი, პტოლომე, ჰერაკლიონი და მარკიონი, და წარმართი ცელსი.

**ვასილიდი** – სცხოვრობდა ალექსანდრიაში და ცნობილი შეიქნა 125 წ. მან შეადგინა 24 წიგნი სახარების განმარტებისა; რომ ეს განმარტება იყო განმარტება ჩვენი სახარებისა, ეს დასკვნა, ტიშენდორფის აზრით, შეგვიძლია გამოვიყვანოთ აგრიპა კასტორის სიტყვებიდგან, რომელიც მოჰყავს ევსევს, რადგან იგი ამტკიცებს, რომ ვასილიდი მთელ სახარების კრებულს უყურებდა, როგორც ერთ მრთელს. ეს მოსაზრება მტკიცდება იპპოლიტეს მოწმობით, რომ ვასილიდს პირდაპირ მოჰყავს მუხლები იოანესა და ლუკას სახარებიდგან, ხოლო განმარტებას აძლევს თავის სისტემის მიხედვით. იგივე უჩვენებს მათეს მოთხრობაზე შესახებ იმ ვარსკვლავისა, რომელიც გამოუჩნდა მოგვებს.

**კარპოკრატი** – თანამედროვე ვასილიდისა. როცა მის მოძღვრებას გადმოგვცემს და, სხვათა შორის, ეხება მის რწმენას სულის ერთი არსებიდან

მეორეში გადასახლებაზე, წმ. ირინეოსი ამბობს, რომ იგი (კარპოკრატი) და მისი თანამოაზრენი ეფუძნებოდენ იესო ქრისტეს სიტყვებზე, რომლებიც მოყვანილია მათეს (V, 25 და 26) და ლუკას XII, 58): *„ოდეს მიხვალ მოსაჯულისა შენისთანა მთავრისა წინაშე, გზასა შედა მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუ უკვე მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგიყვანოს შენ მეხარკისა და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ. ჭეშმარიტად გეტყვი შენ: ვერ გამოხვიდე მიერ, უკეთუ არა მისცე უკანასკნელი კოდრატი“.*

**ვალენტინი** – მწვალებელი, გადიცვალა *160 წელს* ქ.შ. იგი თავის მწვალებლობის დასამტკიცებლად ხმარობდა განსაკუთრებით იოანეს სახარებას. დამოკიდებულება ვალენტინის მოძღვრებისა და იოანეს სახარებისა ტერმინოლოგიის მხრით ისეთია, რომ თუ არ მივიღებთ, რომ ვალენტინი სარგებლობდა იოანეს სახარებით, უნდა მივიღოთ წინაალმდეგი, რომ იოანეს სახარების დამწერი ახლო გაცნობილი იყო ვალენტინის წერილებთან, ამბობს ტიშენდორფი. საზოგადოთ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეტი დამაჯერებელი საბუთები, სახარებების გაელენისა მეორე საუკუნის პირველ წლებში, როგორიც არის ეს უცნაური საშუალება, რომლითაც ვალენტინი და მისი შკოლა სცდილობდენ დაეფუძნებიათ თავის ფანტასტიური სისტემა სახარების მარტივ სიტყვებზე (ტიშენდ. „როდის დაიწერა სახარება“).

**პტოლომე** – იყო ვალენტინის ერთი მოწაფეთაგანი; მან დასწერა ეპისტოლე „ფლორის“ მიმართ, რომელიც სავსებით შენახულია. ამ ეპისტოლეში ზოგიერთ მათეს სახარების ადგილებთან, მოყვანილია ერთი ადგილი იოანეს სახარებისა (ტიშენდორფი).

**გერაკლიონმა** – ვალენტინის თანამედროვემ, დასწერა ერცელი განმარტება იოანეს სახარებისა; ორიგენის ნაწერებში შენახულია ბევრი ადგილები ამ განმარტებიდგან, რომლებისგანაც სჩანს, რომ გერაკლიონი სცდილობდა თავის მოძღვრება დაემყარებია იოანეს სახარებაზე.

**მარკიონი** – დაიბადა მეორე საუკუნის დასაწყისში ქ. სინოპში, სადაც მამა მისი ეპისკოპოსად იყო; იყო მღვდელი სინოპის ეკლესიისა და მწვალებლობისათვის განკვეთილ იქმნა მამისგანავე. წმ. ირინეოსის მოწმობით, იგი ამახინჯებდა ლუკას სახარებას, რომლისაგანაც უნდოდა გამოერიცხათ მოთხრობა ქრისტეს ხორციელ დაბადებაზე (ირინეოსი წ. 1 თ. 27, 2). ხოლო ტერტულიანეს მარკიონის წერილიდან მოჰყავს შემდეგი ნაწყვეტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მარკიონმა კარგათ იცოდა მათეს და ლუკას სახარებები: *„განმაშორეთ თვალთაგან ჩემთა, ამბობს იგი, – ეს მკაცრი ბრძანება კეისრისა* (ლ. 2, 1); *ეს საცოდავი სასტუმრო, ეს სახვეველები, ეს მოუხვენარი ბაგა* (ლ. 2.7); *ამ ანგელოსთა სიმრავლემ მიაგოს პატივი ღმერთსა თვისსა, და ნუ გაიტაცებს მას ღამის მოჩვენებანი* (ლ. 2, 13 და 14); *უმჯობესია მწყემსნი*

*დარჩენ თეისთა ცხოვართა თანა* (ლ. 9, 8, 15-77); *თავს ნუ იწუხებენ მოგვები შორი გზით: მათი სიმდიდრე მათთანვე დარჩეს* (მთ. 2, 1 და 11); *დაე, იროდიმ გამოიჩინოს მეტი კაცთმოყვარეობა, რომ ისაია არ ამპარტავნობდეს თავის წინასწარმეტყველობით* (მტ. 2, 16-18); *საჭირო არ არის წინადაცვეთა, რომ ყრმამ არ იტიროს* (ლ. 2, 21); *არ არის საჭირო მისი ტაძრად მიყვანება, რათა ხარჯი არ მოუვიდესთ მსხვერპლის შეწირვისთვის. ნუ აძლევთ მას ხელში სიმეონს, რომ მიხრწნილ მოხუცს ხელიდგან არ გაუვარდეს იგი; გააჩუმეთ ეს გადაბერებული წინასწარმეტყველი ქალი, რომ არ მოაკუდიანოს ყმაწვილი*" (ლ. 2, 22-38). როცა ეს წერილის ნაწყვეტი მოჰყავს, ტერტულიანე ამბობს: *„აი როგორი ჩმახვით* (умствование) *კადნიერობ შენ, მარკიონ, უარჰყო სარწმუნო საბუთები ქრისტეს კაცობრიობისა!*" (იხ. ქმნ. ტერტულიანესი თარგ. კარნეევისა ნაწ. 3 გვ. 2-3). ამიტომ უნდა აღვიაროთ, რომ მარკიანემ იცოდა სახარება მათესი და ლუკასი.

ცელსი, წარმართი ფილოსოფოსი ანტონინის და მარკოს ავრელის დროისა; ამან მეორე საუკუნის ნახევარში დასწერა აღსანიშნავი თავის სიმძულვარით ქრისტეს მიმართ თხზულება „ჭეშმარიტი სიტყვა".

მიუხედავათ სასტიკი დევნულებისა, ქრისტიანეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა: ვერც კოცონებმა, რომლებზედაც ათასობით სწვავდენ მათ, ვერც მხეცებმა, რომლების ლუკმათ ხდებოდენ ისინი ცირკში, ვერ შეაბრკოლეს ლტოლვილება მათი ქრისტეს მიმართ. ეს ყოვლად გაუგებარი, ამპარტავან რომაელთათვის, გამარჯვება სახარების მოძღვრებისა აფიქრებდა მათ ძლიერი რომის სახელმწიფოს მომავალ ბედ-იღბალზე. მარკოს ავრელიოსი შეაგონეს, რომ ქრისტიანები უარს ამბობენ, დაეხმარონ მას მტრების მოგერებაში, რომ, თუ ასე გაგრძელდა, მალე ყველა შემოეცლება, იგი მარტო დარჩება და სახელმწიფოს ბარბაროსები დაიპყრობენ და, რომ რომის იმპერიის ძლიერებისა და ქველობის აღდგენისათვის დარჩენია მხოლოდ ერთი საშუალება – მოსპობა მთელი ქრისტიანობისა. ასეთ ბეზღობის გაელენის ქვეშ მარკოს ავრელმა ბრძანება გასცა ქრისტიანები ეძებნათ და სიკვდილით დაესაჯათ, ხოლო მათი მამულ-დედული მიეცათ მაბეზღართა და მაძებართათვის. შედეგი ამ მხეცური განკარგულებისა საშინელი იყო. მაგრამ ფილოსოფოსი ცელსი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და ამბობდა: *„დემონი ქრისტიანებისა იდევნება ყოველი მხრიდგან, და მოსავნი მისნი ბორკილ-შეყრილი მოჰყავთ და აკრავენ სვეტებზე, ხოლო დემონი ესე ანუ, როგორც შენ ამბობ, ძე ღვთისა, შურს არ იძიებს".*

მაგრამ იგივე ცელსი კარგათ გრძნობდა, რომ სასტიკი დევნა ეხლაც ვერ მიაღწევდა თავის მიზანს და ამიტომ საჭიროთ დაინახა გამოსულიყო ქრისტიანების წინააღმდეგ სხვა იარაღით, თავის თხზულებით „ჭეშმარიტი სიტყ-

ეა“. ეს წიგნი მთლიანად არ მოსულა ჩვენამდის, მაგრამ ცნობილი შეიქნა ორიგენის წყალობით, რომელსაც თავის თხზულებაში „რვა წიგნი ცელსის წინააღმდეგ“ მოჰყავს იქიდან მრავალი სიტყვა-სიტყვითი ამოწერილობა.

ქრისტიანების წინააღმდეგ საბრძოლველად ცელსი სარგებლობდა ებრაელების სიძულვარით მათ მიმართ და ყოველგვარი სიცრუით და ცილისწამებით, რომელსაც ებრაელები აერცელებდენ იესო ქრისტეზე, ხოლო საბრძოლველ მასალას ღებულობდა ჩვენი სახარებიდან.

უეჭველია, რომ მან იცოდა: 1) **სახარება მათესი:** იმიტომ, რომ ლაპარაკობს ყველა შემთხვევებზე, რომელიც მოთხრობილია ამ სახარების პირველ ორ თავში და რომელზედაც დანარჩენი მახარებლები არას ამბობენ, როგორც მაგ. გამოჩინება ვარსკვლავისა, რომელიც უძღოდა მოგვებს, მოგვების თაყვანის-ცემა და ძღვნის მირთმევა, იროდის დევნულება, ანგელოსის გამოცხადება და იოსების გაფრთხილება, იესო ქრისტეს ეგვიპტეში მყოფობა; მას მოჰყავს ბევრი ადგილები მთაზე საუბრიდან, მოგვითხრობს მოციქულების მოწოდებაზე და იწერს მაცხოვრის საკუთარ სიტყვებს: ***„რაჟამს გდევნიდენ თქვენ ამიერ ქალაქით, მიივლიტოდეთ სხვად“*** (10, 23); იხსენიებს იუდას გამცემლობას; პეტრეს უარყოფას, იესო ქრისტეს ლოცვას გეთსამანიაში — ***„მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ მე სასუმელი ესე“*** (26, 39); სასმელს ძმრითა და ნაღვლით აღზევებულს, რომელიც მიაწოდეს ჯვარზე დამოკიდებულ მაცხოვარს; სიბნელესა, მიწის ძრას მისი სიკვდილის დროს და მრავალ ბევრ სხვა შემთხვევებს, როგორც აწერილი აქვს იგინი მათეს; 2) **სახარება მარკოსისა:** იმიტომ რომ გადმოგვცემს კერძო შემთხვევას, რომლის საფუძველს ის იპოვიდა მხოლოდ ამ სახარებაში: ის ამტკიცებდა, რომ ვითომ აღდგომილი ქრისტე ნახა მხოლოდ ერთმა ქალმა, „*შეშინებულმა და გამოშტერებულმა*“. ასეთი პასუხის გება მას შეეძლო დაემყარებია მხოლოდ მარკოსის სახარების ერთ ადგილზე: **„რამეთუ იგინი შეძრწუნებულ იყვნეს და დაკვირვებულ“** (16, 8). 3) **სახარება ლუკასი:** იმიტომ რომ ერთ ადგილას უსაყვედურებს თვის-ტომობის ამწერთ, რომლებსაც იესო ქრისტეს შთამომაელობა აჰყავთ ადამამდის, — განსხვაევება, რომელიც ეკუთენის განსაკუთირებით ლუკას სახარებას (3, 23-38) და 4) **სახარება იოანესი:** იმიტომ რომ მოიხსენებს სწაელას **სიტყვაზე,** რომელიც არის ძე ღვთისა. ამბობს, რომ მისი განგმირული გვერდიდან გარდამოხდა სისხლი და წყალი, უწოდებს მას **ნათელსა** და **ცხოვრებასა,** — იგივე კერძოობითი განსხვაევებანი, რომელნიც ეკუთენიან მხოლოდ იოანეს სახარებას (კრებ. ბარსოვისა 1, 51).

თვით ცელსი აღიარებდა, რომ იგი სარგებლობდა ჩვენი სახარებით; ორიგენს მოჰყავს მისი სიტყვები: და ***„ეს ყველაფერი ჩვენ ამოვკრიბეთ***

*თქვენი საკუთარი წერილებიდან; ჩვენ არ ვხმარობთ სხვა საბუთებს, მი-ტომ რომ თქვენ თქვენვე მახვილზე ეხვევით".* მაგრამ, ამასთანავე, ორიგენის სიტყვით ცელსს მოჰყავს ისეთი რამეებიც, რაც არ არის სახარებაში; და ეს შეეხება მის საგმობ საბუთებს შესახებ ქალწულ მარიამისა, მის მოთხრობას იესო ქრისტეს ყრმობის შესახებ და სხ. ამ მონაგონ ამბების წყაროს თითონ ცელსი უჩვენებს, როცა ამბობს: *მე შემეძლო მომეყვანა ბევრი რამ, რაც დაწერილია იესო ქრისტეზე მსგავსი სიმართლისა, მაგრამ სხვაფრად კი, ვიდრე იესოს მოწაფეების ნაწერებში".*

შეგვეძლო მოგვეყვანა საბუთები სხვა მწერლების ნაწერებიდანაც, მაგრამ ჩვენ საკმაოთ მიგვაჩნია ორ პირველ საუკუნეთა მწერლების ნათქვამი.

ამნაირათ, სახარების სინამდვილეში გვარწმუნებენ ჩვენ: პირდაპირ მოწაფეები მოციქულებისა, წარმართთაგან მოქცეული ფილოსოფოსები, და მოსისხლე მტრები ქრისტესი.

ამ მოწმეებმა არ იცოდენ, რას ჰკითხავდენ მათ მე-17— მე-18 საუკუნის შემდეგ და ამიტომ მათგან დატოვებული წერილობითი ჩვენება დაუფასებელია ჩვენთვის.

თუ ცელსი, მარკიანე, ვალენტინი, ვასილიდი და სხვა მტრები ქრისტესი დარწმუნებული არ ყოფილიყვნენ სახარების სინამდვილეში, რა თქმა უნდა, შეეცდებოდენ, დაემტკიცებიათ თავისი ეჭვი ამის შესახებ. მაგრამ, რადგან მათ ნაწერებში ასეთი საქციელის აჩრდილსაც ვერ ვამჩნევთ, უნდა სარწმუნოთ აღვიაროთ, რომ იგინი იძულებული იყვნენ უკუეგდოთ ყოველი იჭვიანობა და აღეარებიათ სახარების სინამდვილე. იძულებული იყვნენ, რა თქმა უნდა, არა თავის უაზრობის გამო, არამედ საკითხის ყოველ-მხრივ გამოძიებით. და რომ ჰგონებოდათ, რამოდენიმე საუკუნის შემდეგ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უარს ჰყოფენ სახარების სინამდვილესო, აღარ მიუთითებდენ სახარებებზე, როგორც ქრისტეს მოციქულების უეჭველ ნაწერებზე, აღარ მოიყვანდენ იქიდგან სიტყვა-სიტყვით გადმოწერილ აზრებს, არ დასტოვებდენ ასეთ იარაღს ურწმუნოების წინააღმდეგ.

წარმართ მასწავლებლებს, შემდეგ გაქრისტიანებულებს, ფილოსოფოსებს — იუსტინეს, ტაციანეს, კლიმენტს, ათინაგორს, თეოფილეს, ამ ჭეშმარიტების მაძიებლებს, განა შეეძლოთ კი მიეღოთ ისეთი წიგნები, რომლების სინამდვილეში დარწმუნებულნი არ იყვნენ?!

განა მოციქულების პირდაპირი მწაფეები, რომლებიც თვალით ხედავდნენ სახარების შემდგენლებს, რომლებიც იცნობდენ მათ პირადათ, რომლებსაც მათი პირიდგან მოესმინათ ის, რაც ჩაწერილია სახარებაში, და რომლებმაც, შეიძლება, კიდეც გადმოიწერეს თავისთვის სახარება თვით მათი ხელნაწერიდან, ნუთუ მათ შეეძლოთ მოეყვანათ ამოწერილობანი არა იმ

სახარებიდგან, რომელიც დაწერილი იყო მათ თეალწინ, არამედ რომელიმე სხვა სახარებიდგან?

ხსენებული მოწმეები რომ მართალს ლაპარაკობენ იმ საკითხზე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება და, თუ ყველანი მოწმობენ, რომ აღიარებდენ ჩვენი სახარების სინამდვილეს და აღიარებდენ ესრეთად არა მხოლოდ სარწმუნოებით, არამედ გამოკვლევით შეძენილი რწმენითაც, და ამასთანავე ყოველი ღონისძიებაც ჰქონდათ ასეთი რწმენა შეედგინათ, ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი უარვყოთ მათი მოწმობა.

რადგან ოთხი სახარების სინამდვილე, ე.ი. რომ იგინი დაწერილია მათგან, ვის სახელებსაც ატარებენ, ეჭვგარეშე დარჩა, ამიტომ უნდა უეჭველადვე მივიღოთ, რომ იგინი დაწერილი არიან პირველ საუკუნეში, მაშინ, როცა მათი მწერლები ცხოვრობდენ.

ამის შემდეგ საჭიროა გადავესწყვიტოთ კიდევ შემდეგი საკითხი: სარწმუნონი არიან სახარებები თუ არა? შეგვიძლია ნდობით მოვეპყრათ ყველაფერს, რაც სწერია მათში? შეგვიძლია თუ არა მივიღოთ, რომ ნამდვილათ ყველაფერი ისე ითქვა, როგორც მახარებლებმა ჩასწერეს? მაგრამ, სანამ სახარების უტყუარობის საბუთებს წარმოვადგენდეთ, მოვისმინოთ, რას ამბობენ ამაზე ის პირნი, რომელთაც არა სწამთ იესო ქრისტე, როგორც ღმერთ-კაცი.

იგინი უარყოფენ სახარებაში ყველა მოთხრობებს სასწაულებზე, რადგან, მათი აზრით სასწაული, როგორც ბუნების კანონების დამარღვეველი რამ, შეუძლებელია და მიუღებელი: იმათ ზღაპრათ მიაჩნიათ სახარების მოთხრობები ქრისტეს შობაზე და მის ცხოვრებაზე იორდანეზე გამოსვლამდის; ისინი, რა თქმა უნდა, უარს-ყოფენ მის მკვდრეთით აღდგომას და ამაღლებას, და ღებულობენ სახარებაში ცნობებს შესანიშნავ მოძღვარზე ნაზარეთიდან, რომელიც ვითომ პირველად იოანეს მოწაფე იყო, შემდეგ კი, როცა იოანე საპყრობილეში ჩასვეს, გამოვიდა საკუთარი მოძღვრებით ებრაელ ხალხის ზნეობრივ განახლებაზე. მაგრამ სახარების მოთხრობაზე ასეთი შეხედულების გასამართლებლათ იგინი დაეიდ შტრაუსის თაოსნობით (იხ. მისი. თხზ. „*მითიური ისტორია იესოსი*“), ამბობენ, რომ მთელი მოთხრობა იესოს ცხოვრებაზე იმ სახით, როგორც იგი აღწერილია სახარებაში, თანდისთან განვითარდა ებრაელი ხალხის წარმოდგენაში იმ მოსაზრებით, რომ იესო იყო მესსია. იმ ხანებში, როცა იესო ქრისტე სცხოვრობდა, ებრაელები მოელოდენ მესიას, აღთქმულ მხსნელს. ძველი აღთქმის წიგნების თავისუფალ და გადაჭიმული თარგმანებით შემუშავდა წარმოდგენა, თუ როგორი უნდა იყოს მესსია; ხოლო (გა)მოგონებამ ნაზარეთიდან მოსულ შესანიშ-

ნაე მოძღვარზე დაბადა ხალხის გონებაში წარმოდგენა, რომ სწორეთ ეს მოძღვარი იყო ის მესსია, რომელსაც მოელოდენ. რაკი ასეთი წარმოდგენა უკვე დაიბადა, სახარების შემთხზველთათვის ძნელი აღარ იყო სხვადასხვა მოგონების, სიყალბის და ნამდვილ შემთხვევათა არევ-დარევის გზით გამოეჭრათ და მოერგოთ იესო ქრისტეზე ყველა ძველი წინასწარმეტყველებანი მესსიის შესახებ. ხალხის წარმოდგენით, მესსია უნდა ყოფილიყო: ძე ღვთისა-შთამომავალი ტომისაგან დავითისა, — დაბადებული ბეთლემში, — დევნ-ული, ვით მოსე (პირველი მხსნელი ებრაელთა) და მასავით გადარჩენილი, — მსგავსი დავითისა, მოწოდებული მესსიანური მსახურებისათვის, ცხებული წინასწარმეტყველისაგან, რომელიც უნდა ყოფილიყო ილია, მსგავსად ისრაილისა, განცდილი უდაბნოში, — როგორც მოსე ორმოცი დღის მმარხველი და სხვ... და რომ ხალხის წარმოდგენაში შექმნილიყო იესოსაგან მესსია, გადმოცემამ მიაწერა მას ყველაფერი, რაც შეეფერებოდა ხალხურ იდეალს მხსნელზე, მაგრამ, რაც ნამდვილათ სულაც არ ყოფილა (არ მომხდარა). მაგალითად, რადგან მესსია ხალხის წარმოდგენით ძე ღვთისა უნდა ყოფილიყო, ლუკას სახარების შემთხზველმა გამოიგონა მოთხრობა ხარებაზე, რომელშიდაც ანგელოსი პირდაპირ უწოდებს მარიამის მომავალ ძეს „ძედ მაღლისა, ძედ ღვთისა"; ხოლო ნათლისღების მოთხრობაში, რომელიც მოჰყავს სამ პირველ მახარებელს, ჩამატებულია ზღაპარი თვით ღვთისხმობაზე, რომლითაც იგი ამოწმებს, რომ ესე არს ძე მისი. იესოს დავითისაგან შთამომავლობის და, მაშასადამე, ბეთლემში დაბადების დასამტკიცებლად მესამე სახარების დამწერმა ისარგებლა ცნობილი ხალხის აღწერილობით, რომელიც მოხდა კვირინეს სირიაში მმართველობის დროს; და, თუმცა ეს აღწერილობა მოხდა ათი წლის შემდეგ ქრისტეს შობიდან, მაგრამ სახარების დამწერს ეს არ აწუხებს, მას მიჰყავს მარიამი და იოსები ბეთლემში ჩასაწერათ იმ განზრახვით, რომ იქ ამ დროს დაიბადოს ქრისტე. ამავე მიზნით პირველი და მესამე სახარების დამწერნი თხზავენ ქრისტეს თვისტომობის მოთხრობას და გამოჰყავთ იგი (ქრისტე) დავითის ტომიდან. აგრეთვე მოსეს და იესოს ყრმობა რომ ერთიმეორეს დაამსგავსოს და გაამართლოს იესოზე ვალაამის წინასწარმეტყველება შესახებ ვარსკვლავისა იაკობისაგან აღმომავალისა, პირველი სახარების დამწერმა მოიგონა მოთხრობა მოგვებზე, რომელთაც იხილეს ვარსკვლავი აღმოსავლით, მოიგონა მოგზაურობა მათი იერუსალიმში, მათი თაყვანისცემა ყრმისა იესოსი, ლტოლვა მარიამისა და იოსებისა ყრმითურთ ეგვიპტეში და დაბრუნება მათი შემდეგ იროდის სიკვდილისა; რომ ცხადჰყონ მოსესა და იესოს მსგავსება ურთიერთშორის, პირველი სამი სახარების დამწერთ მიჰყავთ იესო უდაბნოში ორმოცი დღის მარხვისთვის; რომ აღჭურვილიყოს იესო ზეგარდმოძალით, როგორც ძე ღვ-

თისა, ხალხის ოცნებამ მიაწერა მას არა თუ სასწაულთ მოქმედება, არამედ აღადგინა იგი მკვდრეთით და აღამაღლა ზეცად. ერთი სიტყვით, შტრაუსის აზრით, სახარების დამწერნი გულმოდგინეთ აგროვებდენ ყოველგვარ ზღაპრებს იესოზე და თავს არ იზოგავდენ, რომ მათ დრომდი მოსული გადმოცემა (იესოზე) გადაეკეთებიათ იმ წარმოდგენისადაგვარათ, რომელიც ხალხს ჰქონდა შედგენილი მესსიაზე.

ასე სჯის შტრაუსი: იგი ამბობს, რომ სახარების მწერლებმა ისარგებლეს ებრაელი ხალხის მზამზარეული, უკვე შემუშავებული და დამთავრებული იდეალით მესსიაზე, და ყველა თვისებები ხალხურ მესიისა მიაწერეს იესოს და ამნაირათ შექმნეს მისგან ის მესსია, რომელსაც იმ დროს ასე გულით მოელოდენ.

მაგრამ სასტიკად სცდება შტრაუსი. მთელი ეს მოთხრობა, რომელსაც იგი მესსიანური იდეალის შესაფერისად განძრახ მოჩმახულ სიყალბეს უწოდებს, თვით იმ დროს მსწავლულ რაბინების შეხედულება, გადმოცემული თალმუდში, ამტკიცებენ, რომ იმ დროინდელ ებრაელებმა შეჰქმნეს წარმოდგენა მესსიაზე სრულებით არა ისეთი, როგორიც გამოსჭვირს სახარების თითქმის ყოველ სტრიქონში. სახარების იესოსა და ებრაელების მესსიას შორის არაფერი საერთო არა არის-რა: ეს ორი პირდაპირი მოწინააღმდეგე პიროვნებაა. ებრაელების მესსია უნდა ყოფილიყო დიდებული ქვეყნიური მეფე-მეომარი, რომელსაც უნდა გაეთავისუფლებია იგინი რომაელების მონებისაგან, დაემორჩილებია მათთვის მთელი ქვეყნის ხალხები და გაებატონებია იგინი ამ ხალხებზე. მაშინ, როდესაც იესო, როგორც აგვიწერენ მას მახარებლები, ამბობდა, მეფობა მისი არა ამის სოფლისაგანი არს; მან უარჰყო სასწაულებრივ გამაძღარ ხალხის გულითადი სურვილი შესახებ მეფედ გამოცხადებისა; იგი ყოველთვის ეჩიჩინებოდა მოციქულებს, რომ მას მოელის ვნება და ჯვარზე სიკვდილი; მან არა თუ გაამართლა დაჰყრობა, ე.ი. ძალმომრეობა, არამედ ანდერძად დასდო მტრის სიყვარული და არა წინააღმდეგობა ბოროტებისა ბოროტებით, არამედ დათრგუნვა მისი სიკეთით. გეკითხებით, შეეძლო თუ არა ხალხის ოცნებას განეხორციელებია ასეთი თავის წარმოდგენა მესსიაზე, როგორც მეფე-დამამორჩილებელზე, წამებულ და დამცირებულ იესოში? რა თქმა უნდა, არა. ამიტომაც ხალხმა არ მიიღო იგი, როგორც მესსია; ამიტომაც თხოულობდა იგი მის სიკვდილით დასჯას, როგორც სინედრიონისაგან აღიარებულ ცრუ მესსიისას, რომელიც წინასწარმეტყველადაც კი არ იქმნა ცნობილი. შეეძლო კი ხალხის წარმოდგენას მესსიაზე, რომლის სუფევას დასასრული არ უნდა ჰქონოდა, შერიგებოდა მის ჯვარცმის შესაძლებლობის აზრს? განა შესაძლებელია ჯვარცმა მისი, ვის მეფობასაც დასასრული არ უნდა ექნეს? რა თქმა უნდა,

რომ არა. ასე სჯიდენ იესოს თანამედროვე ურიები და თითქმის ყველამ (გარდა მცირეოდენი მეგობრებისა) უარჰყო იგი. გარდა ამისა, განმართლება ისრაილის იმედებისა შესახებ მესსიის მოსვლისა, უნდა ლაწყებულიყო ილია წინასწარმეტყველის მოსვლით; გარნა წინამორბედი იოანე, მოსული სულითა და ძალითა ილიასითა, სინედრიონმა არ სცნო უბრალო წინასწარმეტყველადაც კი. თუმცა იესო იშვა ბეთლემს, მაგრამ მას ყველა ნაზარეველად სცნობდა. საიდანაც (ხალხური ანდაზით) არ შეიძლებოდა არავითარი სიკეთე; მაშასადამე ამ მხრითაც იესო ნაზარეველის სახელთან არ შეიძლებოდა რაიმე კავშირი ჰქონოდა ხალხის მესსიანურ წარმოდგენას. იესო მუდამ არღვევს სჯულს შაბათის შესახებ, არ ასრულებს მოხუცთა გადმოცემას, ამყარებს სუფევასა ღვთისასა და არა მესსიისასა და ასწავლის ახალ სჯულს; მაგრამ ეს სჯული და ეს სუფევა დასასრულია ებრაელების ოცნებისა მათ ძლიერებაზე, დასასრულია მათი სჯულისაც. ბოლოს, რაც უფრო შეურაცხყოფს ებრაელების წინამძღვრებს და აცთუნებს მათ ისაა, რომ იესო უწოდებს თავის თავს ძედ ღვთისა. ებრაელების მესსიანურ წარმოდგენას სრულებით არ ეკერება ღვთის ძეობა. და სწორედ ეს შეიქნა უმთავრესი საბრალმდებლო მუხლი, როგორც სინედრიონში, ისე პილატეს წინაშეც.

ამნაირად, უნდა მივიღოთ, რომ ისტორიულ ქრისტესა, როგორც ის დასურათებულია სახარებაში, და იესოს თანამედროვე ებრაელების მესსიანურ წარმოდგენას შორის არავითარი ერთობა და მსგავსება არ იხატება; ებრაელების წარმოდგენა ქრისტეზე არ ეტევა იმ ქრისტეს სახეში, რომელიც დასურათებულია სახარებაში; ამიტომ შტრაუსის აზრი იმის შესახებ, რომ ვითომ ხალხის გადმოცემა და სახარების მწერლები აყალიბებდენ მოთხრობებს იესო ქრისტეს ცხოვრებიდან იმ მიზნით, რომ იესო ქრისტეს პიროვნებაში განეხორციელებიათ მესსიანური იდეა, არის ნაყოფი მისი საკუთარი ფიცხი ოცნებისა და სურვილისა, რომ, რაც უნდა მოხდეს და რითაც უნდა იყოს, დაასაბუთოს თავის პირადი აზრი იესო ქრისტეზე.

ამით გაეათაოთ შტრაუსთან კამათი და შეუდგეთ იმ საკითხის გამოძიებას, თუ რამდენათ სარწმუნონი არიან სახარებანი, რამდენათ მართალია სახარების მოთხრობანი იესო ქრისტეს პიროვნებაზე, მის სასწაულებზე და სხვა.

მახარებლები მათე და იოანე იყვნენ პირდაპირნი მოწაფენი ქრისტესნი, თანამოგზაურნი მოწაფენი, თვითმხილველნი მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეებისა, მისი მოძღვრებისა და სასწაულებისა; მარკოსმა ჩასწერა თავის სახარებაში მხოლოდ ის, რაც ასეთმავე თვითმხილველმა — მოწაფემ მოციქულმა პეტრემ იქადაგა იესო ქრისტეზე რომში; ხოლო ლუკამ გამოიძია ყველა შემთხვევები იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრებისა და თავის

სახარებაში მოათაესა ბეჯითად შემოწმებული ცნობები, რომლებიც შეაგროეა არა-თუ მხოლოდ მსახურთაგან „სიტყეისა მის", ე.ი. მოციქულთაგან, არამედ სხეა მომსწრეებთაგანაც.

ამნაირათ, სახარება მათესი და იოანესი უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენება მომსწრე, თვითმხილველ მოწმეებისა, მათივე ხელით დაწერილი; სახარება მარკოსისა – როგორც ჩვენება პეტრე მოციქულისა, იმავე მომსწრე თვითმხილველ მოწმისა, დაწერილი მისივე სიტყვიდან სხვისაგან და მისგანვე მოწონებული; სახარება ლუკასი – როგორც სისტემატიური კრებული მოციქულთა და სხვა თვითმხილველთა ჩვენებისა, რომლებიც სახელდობრ ნაჩვენები არ არიან და რომელთა რიცხვს უსაცილოდ ყოვლად წმიდა ქალწული მარიამიც ეკუთვნის.

ის გარემოება, რომ სამი სახარების დამწერნი ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების და მისი მოძღვრების და სასწაულების თვითმხილველნი, მოწმეები იყვნენ, ამტკიცებს რომ თვით მათ უეჭველათ ნახეს და გაიგონეს ის, რაზედაც მოწმობენ. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის, რომ მათი მოწმობა სარწმუნოთ მივიღოთ: საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, როგორ ნახეს და როგორ გაიგონეს, რადგან შესაძლებელია ხედავდნენ და ვერ ამჩნევდნენ, ესმოდათ და ვერ გულისხმაჰყოფდნენ, ე.ი. შეიძლება სრულებით არ გვესმოდეს ნახული და გაგონილი ან გვესმოდეს სხვანაირად.

ამ საკითხის განხილვის დროს, პირველ ყოვლისა, უნდა ვიქონიოთ სახეში ის გარემოება, რომ ყველა იმ დროის ებრაელები მოელოდნენ მესიას ქვეყნიურ მეფის ბრწყინვალებით და დიდებით, როგორც დიდებულ ქვეყნიერების დამპყრობელ მეფეს, რომელიც დაუმორჩილებს მათ მთელ დანარჩენ კაცობრიობას და იმეფებს საუკუნოთ, და რომ ასეთ შეხედულობაზე უცხო არ იყვნენ თვით მოციქულებიც. თუმცა მუდამაც თან სდევდნენ იესო ქრისტეს, კიდეც ხედავდნენ მის სასწაულებს და ისმენდნენ მის მოძღვრებას, მოციქულები ამ ცრუ შეხედულების გავლენის ქვეშ მაინც მოელოდნენ, რომ იგი ბოლოს და ბოლოს მაინც გამოაცხადებს თავს მეფედ და ამიტომ დიდხანს ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ მეფობა ქრისტესი არა ამის სოფლისაგან არს. მიუხედავად იმისა, რომ იესო ქრისტემ ბევრჯელ პირდაპირ განუცხადა მათ თავის მოსვლის მიზანი, მოციქულები მაინც ვერ იჩენდნენ საკმაო რწმენას თავის მოძღვრისადმი; ხოლო, როდესაც მოახლოვდა ქვეყნად მისი საზოგადო მსახურების აღსასრული, როცა წაიყვანეს იგი ჯვარცმად, იმათ ყოველივე იმედი დაკარგეს და შიშისაგან გაიფანტნენ ყველა, გარდა იოანესა, რომ იესო ქრისტეს მტრებს ხელში არ ჩავარდნოდნენ. მხოლოდ მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს გამოცხადებამ განამტკიცა იგინი სარწმუნოებაში და აქაც კიდევ თომამ, რომელიც პირველ გამოცხადების დროს არ დაესწრო,

მოითხოვა საგრძნობელი, თვალით დასანახავი და ხელით შესახებელი დასამტკიცებელი საბუთები მისი მკვდრეთით აღდგომისა.

ამნაირად, უნდა აღვიაროთ, რომ ის მცირემორწმუნეობა, რომელსაც ასე ხშირათ იჩენდენ მოციქულები, იფარავდა მათ გატაცებისა და მოტყუებისაგან და სრულ შეძლებას აძლევდა თავისუფლად ჩაკვირვებოდნენ ყველაფერ ნახულს და გაგონილს. ასეთ გასაცვიფრებელ სასწაულებს, როგორიც არის მკვდართა აღდგინება, ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მოციქულებზე; ამათ გაელენის ქვეშ მცირე მორწმუნეობას ადგილი უნდა დაეთმო ბრმა სარწმუნოებისათვის. მაგრამ მოციქულებმა მიაღწიეს შეგნებულ და არა ბრმა სარწმუნოებას ქრისტეს მიმართ, და მასთან მიაღწიეს შეგნებულ სარწმუნოებას თანდისთან, რადგან სრული თავისუფლება ჰქონდათ თავისუფალ და დამშვიდებულ მოსაზრებისთვის; ასეთი თანდისთანობითი გადასვლა მოციქულებისა მცირემორწმუნეობიდან შეგნებულ სარწმუნოებაზე ათავისუფლებს მათ, როგორც მოწმეებს ყოველი ეჭვისაგან, როგორც გატაცებაში, ისე ნახულის და გაგონილის არა სიმართლით გადმოცემაში.

მიაღწიეს თუ არა ასეთ შეგნებულ სარწმუნოებას, მოციქულები მოეფინენ მთელ მაშინდელ ცნობილ ქვეყნიერებას და ყველგან დაუფარავად აღიარებდენ იმას, რისაც თვითმხილველნი იყვნენ და რასაც აწსავლიდა მათ ქრისტე. მშვიდი გალილეველი მეთევზეები არ შეუშინდენ, წასულიყვნენ უცხო ქვეყნებში, რომ ექადაგნათ რელიგია სიყვარულისა, არ შეუდრკენ ქრისტეს მტრების მძლავრობას, წარმართთა წინააღმდეგობას, დევნას, ქენჯნას და წამებითი სიკვდილსაც კი; ეს კი იმას ამტკიცებს, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო შეერყია მათი შეგნებული, გულითადი რწმენა მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეზე.

თუ მოციქულების ჩვენებას შევხედავთ, როგორც ჩვეულებრივი მოწმის ჩვენებას, უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ჩვეულებრივ ადამიანს ძნელ სჭირს დამალოს თავის ნაკლულევანება და, ან გაამართლოს თავისი ცუდი მოქმედებანი და ცთომილებანი; ამიტომ საზოგადოთ მართლის მთქმელი მოწმეები, სრულიად სარწმუნონი ისეთ შემთხვევებში, რომლებშიდაც პირადათ არ ღებულობდენ არავითარ მონაწილეობას, არამედ იყვნენ მხოლოდ მაყურებლები, ხშირად მტყუარნი ხდებიან, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება პირადათ მათ მოქმედებაზე; თავის შეცდომებზე და დანაშაულობაზე იგინი ან სრულიად სდუმან, ან-და აჩვენებენ მიდგომილობით იმ განძრახვით, რომ დამალონ სიმართლე და თავი პატიოსნად აჩვენონ. მოწმის ტყუილი თავის თავის შესახებ კი უნდოთ ხდის მის ჩვენებას სხვის შესახებაც.

მაგრამ მოციქულები თავის შეცდომებზე და ცოდვებზე გულახდილად ლაპარაკობენ და სრულებით არ ცდილობენ თავი გაიმართლონ, არ ცდილობენ

დამალონ ის მცირე მორწმუნეობა, რომელსაც ისინი ასე ხშირად იჩენდენ.

გაიგონეს თუ არა იოანე წინამორბედის მოწმობა ქრისტეზე, მისი მოწაფეები ანდრია და იოანე მაშინვე გამოუდგენ იესოს და დაჰყეეს მასთან მთელი დღე; შემდეგ ანდრია ეუბნება თავის ძმას – პეტრეს: ჩვენ ენახეთ მესსიაო და მოჰყაეს იგი იესოსთან (ი. 1 37-42). და ამის შემდეგ – მრავალი სასწაულისა, რომელ ჰქმნა იესომ, – შემდეგ სასწაულებრივ თევზის დაჭერისა, რომელმაც გამოიწვია პეტრეს ღაღადი: *„განვედ ჩემგან უფალო, რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ“* (ლ. 5, 8): შემდეგ (ღელვის) ქარტეხილის დაცხრომისა მოციქულები შიშით ბჭობდენ: *„ვინა არს ესე, რამეთუ ზღვაცა და ქარიც ემორჩილებიან მას?“* (მარკ. 6, 41)? – შემდეგ ხუთი ათასი კაცის ხუთი პურით განძღომისა, – შემდეგ ზღვაზე სვლისა და მცირემორწმუნე პეტრეს გადარჩენისა დახრჩობისაგან, – შემდეგ პეტრეს წარმოთქმულ სიტყვებისა: – *„შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა“*; იგივე მოციქულები, აურაცხელი ხალხის შემხედვარე, რომლის დასაკმაყოფილებელი საჭმელი არსად იშოვებოდა, ამბობენ: *„ვინა ძალ-გვიძს განძღებად აქა, პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?“* (მარკ. 8, 4). ასეთივე მცირედ-მორწმუნოება გამოიჩინეს კითხვაში: – *„ვითარ უკვე იტყვიან მწიგნობარნი, ვითარმედ ილიასი ჯერ არს პირველად მოსვლა?“* (17, 10) და თხოვნაში: *„უფალო! გვიჩვენე ჩვენ მამა შენი!“* (ი. 14, 8) და სხვა შემთხვევბშიაც, რომლების ჩამოთვლა საჭიროთ არ მივვაჩნია. და ყველა ასეთ შემთხვევებს მოციქულები მოუთხრობენ ისეთნაირ სიმარტივით, რომ სრულებით არა სჩანს, რომ მათ სურდეთ თავის გამართლება. ეს კიდევ ცოტაა, მოციქულმა პეტრემ, როცა იგი რომში ქადაგობდა, გულახდილად უამბო მსმენელებს თავის სამგზითი უარყოფა ქრისტესი, რაც დაწვრილებით ჩაწერილია მისი სიტყვიდგან მარკოსის სახარებაში (მარკ. 14, 66-72). მოციქულებს არ დაურცხვენიათ და გულის წმიდით აღიარეს, რომ იესო ქრისტეს შეპყრობის დროს მათ დასტოვეს იგი და გაიქცენ (მტ. 26, 56; მარ. 14, 50).

ასე გულახდილად და სიმართლით ლაპარაკი თავის ეჭვებზე, შეცდომებზე და ცოდვებზე მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლია, რომლებსაც სიმართლე და ჭეშმარიტება თავისთავს ურჩევნიათ, რომლებმაც ამასთანავე შეიგნეს თავის შეცდომები და ცოდვები და სახალხოთ შეინანეს. ამიტომ, თუ მოციქულები მართალს ლაპარაკობენ თავის ცოდვებზედაც კი, უნდა უეჭველად აღვიაროთ, რომ იგინი მართალს ამბობენ იმ ამბებზედაც, რომლების მხოლოდ თვითმხილველი, დამსწრე მოწმეები იყვნენ.

მეორე მხრით, განსხვავებული სიმართლის ხასიათს ღებულობს ისეთი მოწმის ჩვენება, რომელიც არა თუ იქადის თავის სიკეთით, არამედ ცდილობს კიდეც, დამალოს იგი. ასეთ მოწამეთ უნდა მივიღოთ განსაკუთრებით

მოციქული იოანე: მაგ., სახარებლები მათე და მარკოსი მოწმობენ, რომ, როცა იესო ქრისტე შეიპყრეს მოციქულებმა „დაუტევეს იგი ივლტოდეს"; მაგრამ თვითონ იოანე, რომელიც შემდეგ უშიშრად გამოცხადდა გოლგოთაზე, სდგა ჯვარსა ქვეშე და ქრისტეს ბრძანებისამებრ მიიღო დედა მისი თავის მზრუნველობის ქვეშ, თუმცა კი ლაპარაკობს ამაზე თავის სახარებაში, მაგრამ, როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევებშიაც არ ასახელებს თავის თავს, არამედ ამბობს, რომ ეს იყო ერთი მოწაფეთაგანი იესოსი.

ამნაირად, უნდა უეჭველად მივიღოთ, რომ მოციქულებმა, რომელთ წერილობითი ჩვენებას ჩვენ ვიძიებთ, ნამდვილ თავის თვალით იხილეს იესო ქრისტეს სასწაულები, განიცადეს მისი მოძღვრება, — სრულიად შეგნებულათ შეითვისეს ყოველი ნახული და გაგონილი, — თავის ჩვენება ყოველივე ამაზე, აგრეთვე თავის ცთომილებანი და შეცოდებანი, გადმოგვცეს ჯერ ზეპირათ, ხოლო შემდეგ წერილობითაც და არ უარყვეს თავის სიტყვა არც წამების წინაშე და არც ჯვარზე; გარნა ასეთი თვისებანი მოწმეებისა თავდებნი არიან მათი ჩვენების სრული სიმართლისა?!

ყველაფერი, რაც ვსთქვით, შეეხება მათეს მარკოსის და იოანეს სახარებას, როგორც მოციქულების მათეს, პეტრეს და იოანეს ჩვენებას, რომელთაც თვით იხილეს ქრისტე და იყვნენ მოწმენი მისი ცხოვრებისა, მოძღვრებისა და მოქმედებისა. მახარობელი ლუკა არ ეკუთვნის მოციქულთა რიცხვს და ამიტომ არ ყოფილა აგრეთვე თვითმხილველი მოწმე. თუმცა გადმოცემა სთვლის მას (როგორც მარკოსს), როგორც ერთ სამეოცდაათ მოწაფეთაგანს, და უეჭველათ მიაჩნია, რომ ემმაუსში მიმავალ ორ მოწაფეთაგან, რომელთაც გამოეცხადა მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე, ერთი თვით ლუკა იყო, თუმცა თითონ ლუკა ამაზე არაფერს ამბობს; ამიტომ მივიღოთ იგი, როგორც ისტორიკოსი, შემკრებელი ბეჯითად გამოძიებულ და შემოწმებულ ცნობებისა.

ლუკა თავის სახარების დასაწყისში ამბობს, რომ მისი სახარება არის მოთხრობა *საქმეთათვის გულსავსე ქმნილთა* (რუსულშია: „საქმეთათვის სრულიად ცნობილთა" — „о совершенно известныхъ событияхъ"), რომელნიც დასწერა მან ისე, როგორც მას გადმოსცეს ისეთმა პირებმა, რომლებიც დასაბამითგან თვითმხილველ და მსახურყოფილ-იყვნეს სიტყვისა მის და ამით იგი მოწმობს, რომ მისგან მოთხრობილი შემთხვევები და საქმენი არიან ჩვენებანი ისეთ მოწმეთა, რომელთაგანაც ზოგნი დასაბამითგან თვითმხილველნი იყვნენ, ზოგნიც მსახურნი სიტყვისა, ე.ი. მოციქულები.

დასაბამითგან თვითმხილველთა შორის, უეჭველია, უნდა ჩაითვალოს ყოვლადწმიდა ქალწული მარიამიც, რადგან ლუკას მხოლოდ მისგან შეეძლო გაეგო დაწვრილებითი ამბავი ანგელოზის გამოცხადებისა, ელი-

საბედის მონახეისა, ბეთლემში მოგზაურობისა, იესო ქრისტეს შობისა, მწყემსთა თაყვანისცემისა, მირქმისა, 12 წლის ყრმის იესოს იერუსალიმის ტაძარში დარჩენისა და აგრეთვე, უთუოთ, იოანე წინამორბედის შობისა. ამაში გვარწმუნებს ჩვენ თვით ლუკა, რომელიც მოთხრობას ამ ამბებზე ათავებს ასე: *„ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველი ესე სიტყუანი გულსა თვისსა“* (ლ. 2, 51); გამოთქმა – *„სიტყუანი ესე“* ამტკიცებს, რომ ყველა ზემონათქვამი, ე.ი. რაც აწერილია სახარების მთელი პირველი თავის მეხუთე მუხლიდგან ვიდრე მეორე თავის 51-ე მუხლამდე შეიცავს მისი დედის, ქალწულ მარიამის, სიტყვებს, რომელნიც მას *„დაემარხნეს გულსა თვისსა“*. ყველაფერი სხვა, დაწყებული მესამე თავიდგან, გადმოცემული ჰქონია მას, როგორც თვით მოწმობს, მსახურთაგან სიტყვისა მის, ე.ი. მოციქულთაგან. მოციქულების ჩვენების სიმართლეზე ნათქვამია ზემოთ, ხოლო, რომ ლუკამ მათი მოთხრობა სინამდვილით გადმოგვცა თავის სახარებაში, ამაში იქიდან დაერწმუნდებით, რომ მოციქულმა იოანემ თავის სახარების დაწერის წინ გადაათვალიერა მთელი სახარება ლუკასი. როცა იოანე თავის სახარებას სწერდა, მას ხელთ ჰქონდა სამი ადრე დაწერილი სახარება. ამას ამტკიცებს, არა მხოლოდ გარდმოცემა, არამედ თვით იოანეს სახარებაც. იოანე არაფერს ამბობს იმ შემთხვევებზე, რომელნიც აწერილი აქვთ დანარჩენ მახარებლებს და მოგვითხრობს იმ ამბებს, რომლებიც მათ ან სულ არა აქვთ აწერილი, ან აქვთ, მაგრამ არა საკმაოდ ვრცლად. იოანეს რომ შეცთომები ეპოვა ლუკას სახარებაში, რა თქმა უნდა, გაასწორებდა თავისაში; მაგრამ რადგან იოანემ მხოლოდ შეავსო ზოგიერთი ადგილი სამი პირველი სახარებისა და სახარება ლუკასი კი დასტოვა გაუსწორებლად, აქედან სჩანს, რომ ლუკას სახარებას იგი უყურებდა, როგორც ჭეშმარიტ და სარწმუნო მოთხრობას.

ამას გარდა, მთელი მოქმედება ლუკასი, როგორც პავლეს თანამგზავრისა და თანამოღვაწისა, გვაიძულებს მოვეპყრათ მას სრული პატივისცემით, და უკუვაგდოთ ყოველგვარი უნდობლობა.

ამნაირათ, პირადი თვისებები მოციქულ მათე, მარკოს და იოანესი, აგრეთვე მარკოსისა და ლუკასი თავდებნი არიან, რომ მათი მოთხრობანი სარწმუნონი არიან, და ჩვენ დამშვიდებული სინდისით შეგვიძლია წარმოვსთქვათ მოციქულებზე და სხვა თვითმხილველებზე, რომელნიც დასაბამითგან მსახურ ყოფილიყვნეს და რომლებზედაც უჩვენებს წმ. ლუკა, შემდეგი სიტყვები იოანე ღვთისმეტყველისა: *„და რომელმან იხილა, სწამა, და ჭეშმარიტ არს წამება მისი; და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყვის, რათა თქვენცა გრწმენეს“* (ი. 19, 35).

სიმართლე მახარებლების ზოგიერთ თქმულებათა მტკიცდება წარმართ-

თა და ურიათა თანამედროვე მწერალთაგანაც.

პილატემ მოახსენა რომის იმპერატორს ტიბერიოსს, რომ ქრისტე ჯვარცმულ იქმნა და აღსდგა მკვდრეთით, — რომ ეს ამბავი ყველამ იცის პალესტინაში. — რომ ბევრი აღიარებს მას ღვთად, და რომ თვით პილატეს ბევრი რამ სმენია მის სასწაულებზე. მიიღო თუ არა ტიბერიოსმა ეს მოხსენება, უბრძანა რომის სენატს, რომ იესო ქრისტე შეერაცხა ღმერთებთა შორის. ამ ამბავს მოწმობენ ტერტულიანე და ევსევი, რომელთაგან ტერტულიანე, თავის აპოლოგიაში, თავის სიტყვების დასამტკიცებლად ეუბნება სენატს, რომ საბუთები ამის შესახებ იმექონებიან მისვე (სენატის) არხივში: „*დაეკითხეთ თქვენს მატიანეებს!*" ამას უნდა დაუმატოთ, რომ ტერტულიანე სწერდა იმ დროს, როცა ქრისტიანობა ითვლებოდა ბოროტ-მავნებელ სექტად (წვალებად, ცრუმოძღვრებად), ამიტომ იგი ვერ გაბედავდა ასე თამამად ეხსენებია ეს საბუთები, რომ მათში ნამდვილათ არ ყოფილიყო ჩაწერილი პილატეს მოხსენება. „*დაეკითხეთ თქვენ მატიანეებს (ამბობდა იგი) და თქვენ დაინახავთ, რომ მე მართალს ელაპარაკობ!*" ხოლო, რომ იგი მართალს ამბობდა, ეს მტკიცდება იმ გავლენით, რომელიც ამ მოხსენებამ მოახდინა ტიბერიოსზე: რადგან სარწმუნოდ მიიღო ქრისტეს ღვთაება, ტიბერიოსი არ სდევნიდა ქრისტიანებს და მისი მეფობის დროს ქრისტიანობა თავისუფლად ვრცელდებოდა რომის იმპერიაში.

ტაციტ(უს)მა (წარმართი, რომელიც დაიბადა 54 წ. ქ. შ. ) ჩასწერა თავის მატიანეში (15, 44), რომ ტიბერიოსის მეფობაში, პონტოელ პილატეს დროს, ქრისტე სიკვდილით დასჯილ იქმნა, — რომ იესო ქრისტე არის დამაარსებელი ქრისტიანულ სექტისა, რომელიც ძლიერ მალე გავრცელდა რომის იმპერიაში და, რომელმაც გამოიწვია დევნულება იმპერატორ ნერონისაგან.

პლინი(უს) მცირე, თანამედროვე ტაციტ(უს)ისა, თავის წერილში იმპერატორ ტრაიანეს მიმართ, მოწმობს ქრისტიანობის სწრაფად გავრცელებაზე მცირე აზიაში, ქრისტიანობის ზნეობრივ სიფაქიზეზე და სიმედგრეზე, მიუხედავად სასტიკი დევნისა, და იმაზე, რომ ქრისტიანები თაყვანს სცემენ ქრისტეს, როგორც ღმერთს.

თალმუდის მეორე ნაწილში, რომელსაც „გემარა" ჰქვია და, რომელიც შედგენილია 390 წ. ქ. შ., ნათქვამია, რომ იესო ქრისტე იქმოდა სასწაულებს, მაგრამ ამ სასწაულებს თალუმდი აწერს ბოროტი სულის გავლენას. თალუმდი საზოგადოთ ძლიერ მტრულად უყურებს იესო ქრისტეს და, როცა მასზე ლაპარაკობს, ასეთ სიტყვებს ხმარობს: „*დაღუპულ იქმნეს სახელი მისი და განქარვებულ ხსენება მისი.*" თალმუდის ასეთ ცხად ცალმხრიობასთან, რომელიც ამცირებს და სრულიადაც სპობს მის მნიშენელობას, როგორც ისტორიულ კვლევა-ძიებისას, *ჩვენთვის ძვირფასია მისი მოწმობა,*

*რომ იესო ქრისტე იქმოდა სასწაულებს.* თუ თალმუდის მწერლებმა, იესო ქრისტეს მოსისხარმა მტრებმა, ვერ უარყვეს ფაქტი მისი სასწაულთ-მოქმედებისა, ოღონდ მიაწერეს იგი სატანის მოქმედებას, მაშ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ იესო ქრისტეს სასწაულთმოქმედება – ყოველ ეჭვე გარეშეა.

**იოსებ ფლაბიოსი**, იუდეველთა ისტორიკოსი, რომელიც დაიბადა 37 წ. ქ. შ., თავის წიგნში *„ურიათა სიძველენი“* (წიგ. 18, თ. 3, გან. 3) ასე ამბობს იესო ქრისტეზე:

***„ამ ხანებში სცხოვრობდა იესო, ბრძენი კაცი, თუ სხვა სახელი არ შეგვიძლია დავარქვათ მას, გარნა ხოლო კაცი: რადგან იგი იქმოდა საკვირველ საქმეებს და ასწავლიდა მათ, ვინც სიამოვნებით ღებულობს ჭეშმარიტებას. მან ბევრი მომხრე იშოვნა, როგორც ურიათა, ისე წარმართთაგანაც. იგი იყო მესსია (ქრისტე). მიუხედავათ ჯვარცმითი სიკვდილისა, რომელიც პილატემ განუწესა მას ხალხის მთავართა მოთხოვნილებით, მისმა პირველმა მოწაფეებმა არ დაუტევეს უწინდებური სიყვარული მისდამი. იგი გამოეცხადა მათ ცოცხალი მესამე დღეს შემდეგ სიკვდილისა, როგორც წინასწარ აუწყეს წინასწარმეტყველებმა ამაზე და სხვა მის ცხოვრების სასწაულებზე; მისი მორწმუნენი დღემდე არსებობენ ქრისტიანების სახელით, რომელიც მათ დაერქვათ მისგან.“***

ზემო მოყვანილი მოწმობა იოსებ ფლაბიოსისა იესო ქრისტეზე იპოვება მისი თხზულების ყველა ხელნაწერებში, მოჰყავს ისტორიკოს ევსევს (წ. 1 თ. 11.), როგორც უეჭველი და ნამდვილი თქმულება, რომელიც უსაცილოთ იოსებს ეკუთვნის. მაგრამ უკანასკნელ კრიტიკოს-უარისმყოფელებს ეს აღგილი იმ სახით, როგორც აქ აწერილია, ყალბათ მიაჩნიათ შემდეგი საბუთით: 1) რომ მას არ იხსენიებს არც ერთი ქრისტიანე მწერალი ევსევამდის, მაგ. იუსტინე მოწამე, კლიმენტ ალექსანდრიელი, ორიგენი, ტერტულიანე და სხვ., მაშინ, როდესაც იოსებ ფლაბიოსის ასეთი მოწმობა მეტად ბასრი მახვილი იქნებოდა მათ ხელში წარმართთა და ურიათა წინააღმდეგ ბრძოლაში; და 2) რომ არ შეეფერება იოსების ხასიათსა და რწმენას, რადგან ის არ იყო ქრისტიანე.

ამაზე შეგვეიძლია უპასუხოთ: 1) ბევრი თხზულებები პირველი სამი საუკუნის ქრისტიანე მწერლებისა (ევსევამდი) არ მოსულა ჩვენამდის; შეიძლება ამ დაკარგულ თხზულებებში კიდეც იყო მოთავსებული ხსენებული სიტყვები იოსებ ფლაბიოსისა; 2) იოსებ ფლაბიოსი მოწმობს ისეთ შემთხვევებზე, რომლების სინამდვილეში იმ დროს ეჭვი არავის ჰქონია: ამიტომ ქრისტინების დამცველებს არც საჭიროება აიძულებდათ, რომ დაემოწმებიათ იგი; ეს მოწმობა ახლა შეიქნა საჭირო, როცა ათეისტებმა ასა-

ლი იერიში მიიტანეს სახარების სინამდვილეზე: 3) იოსებ ფლაბიოსმაც, როგორც არა ქრისტიანმა, მიტომ კი არ მოგვცა ასეთი მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ, რომ მან ირწმუნა იგი, როგორც მესია, არამედ მიტომ რომ მან, როგორც ისტორიკოსმა, საჭიროდ სცნო აღენიშნა თავის მატიანეში საზოგადოდ ცნობილი ამბები (ფაქტები).

ამ მოწმობის მთლად უარყოფას ვერ ბედავს ვერც *რენანი*, რადგან გრძნობს, რომ იოსებ ფლაბიოსის სიჩუმე იესო ქრისტეზე უფრო არა სარწმუნო და გაუგებარი იქნებოდა, ვიდრე ეს მოწმობა, აი რატომ აღიარებს იგი ამ მოწმობას ნამდვილი იოსების ნათქვამად, მაგრამ ფიქრობს, რომ ზოგიერთი ადგილი ქრისტიანის ხელ-შესებულია, ამიტომ, მისი აზრით, სიტყვების მაგიერ: *„იგი იყო მესია“*, უნდა ვკითხულობდეთ: *„იყო იგი მესიად წოდებული“*. როცა ასეთი უსაფუძვლო შესწორება შეაქვს, რენანი ვერ ამჩნევს, რომ იმეორებს ურიათა მღვდელ-მთავრების სიტყვებს, რომლებიც სთხოვდნენ პილატეს: *„ნუ დასწერ მეუფედ ურიათა; არამედ ვითარმედ მან სთქუა, მეუფე ურიათა ვარ მე“* (ი. 19, 21), ვითომ ასეთი გადადგ-გადმოდგმა სიტყვებისა შესცვლიდა საქმის არსებას. დაე, იოსებ ფლაბიოსი არ სცნობდეს იესო ქრისტეს მესსიად; ჩვენთვის საკმარისია მისი მოწმობა, რომ იესო წოდებულ იქმნა მესსიად, იქმოდა საკვირველ საქმეებს და გამოეცხადა მოციქულებს ცოცხალი სამი დღის უკან შემდეგ თავის სიკვდილისა.

ღვთის უარის მყოფელნი ამბობენ, რომ ქვეყანაზე ყოველიფერი ხდება ბუნების კანონების თანახმად, რომელთა დარღვევა შეუძლებელია, — სასწაულიც, როგორც ამ კანონების დამარღვეველი რამ, შეუძლებელია, ამიტომ მახარებლების მოთხრობები შესახებ სასწაულებისა სიმართლეს მოკლებულნი უნდა იყვნენო.

უმთავრესი სასწაული, ყველა სასწაულთა შორის, რომლებიც აწერილი აქვთ მახარებლებს, არის სასწაული ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა, ამიტომ თუ შესაძლებელი შეიქნა დამტკიცება ამ სასწაულისა, ამით დამტკიცებული იქნება სინამდვილე დანარჩენ სასწაულებისაც, რომლებიც აღწერილი არიან სახარებაში.

იესო ქრისტეს აღდგომის საწაულის სინამდვილის წინააღმდეგ ღვთის უარის მყოფლებს ჩვეულებრივ მოჰყავთ სამი მოსაზრება: 1) ქრისტეს მოწაფეებმა მოიპარეს იესოს სხეული და გაავრცელეს ხმა, რომ იგი აღდგა; 2) იესო ქრისტე არ მომკვდარა ჯვარზე, არამედ, ვით საეჭვო მკვდარი, დაასაფლავეს, შემდეგ გამოცოცხლდა და გამოეცხადა თავის მოციქულებს, და 3) იესო ქრისტე აღდგა არა ნამდვილად, არამედ მოციქულების ოცნებაში, მათ წარმოდგენაში.

განვიხილოთ ერთი-მეორეზე ეს მოსაზრებანი.

მახარებელი მათე მოწმობს, რომ შემდეგ იესო ქრისტეს დასაფლავებისა, მეორე დღეს, შაბათს, მოვიდნენ მის საფლავებზე (რომელიც გამოკვეთილი იყო სალ კლდეში) მღვდელმთავარნი და ფარისეველნი, დაბეჭდეს ქვა, რომლითაც დახშული იყო საფლავის შესავალი, და დააყენეს მხმილავნი, *„ნუ-უკვე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი, და უთხრან ერსა, ვითარმედ აღდგა მკვდრეთით“* (მათ. 27, 63-66).

როცა ასეთ ზომებს ღებულობდნენ, როგორიც მაგ. სინედრიონის ბეჭდის დადება და მცველების დაყენებაა, იგინი, უთუოდ, წინ-და-წინვე დარწმუნდნენ, საფლავშია თუ არა გვამი ქრისტესი, ხომ არ მოუპარავთ იგი წინადამეს მოციქულებს; თუ იმ დროს გვამი უკვე აღარ იყო საფლავში, მცველების დაყენება რაღა საჭირო იქნებოდა. ამიტომ უნდა მივიღოთ, რომ მღვდელ-მთავრები და ფარისეველები მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა იესოს გვამი საფლავში დაიგულეს; მხოლოდ მაშინ დაბეჭდეს საფლავი, დაუყენეს მცველები და წავიდნენ.

მათეს შემდეგი მოთხრობიდან ჩვენ ვიცით, რომ, როცა იესო ქრისტე აღდგა და მცველებმა განუცხადეს ეს ამბავი მღვდელმთავრებს, მაშინ *„იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა ჰყვეს. ვეცხლი დიდ-ძალი მისცეს ერისგანთა მათ და ჰრქვეს: ესრეთ სთქვით, რამეთუ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩვენ მეძინა; უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩვენ ვარწმუნოთ, და თქვენ უზრუნველ გყვნეთ. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ჰყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან* (მათე 28, 22-15).

ამნაირად, როცა მცველებს სყიდულობდნენ, მღვდელმთავრები და მოხუცებულნი შეპირდნენ მათ პასუხის-გებისგან განთავისუფლებას რომაელ მმართველის, პონტოელ პილატეს წინაშე. თუ მცველები სინედრიონის ან ტაძრის მომსახურენი ყოფილიყვნენ, მაშინ ისინი თავისთავად თავისუფალნი იქნებოდნენ პასუხისგებიდან პილატეს წინაშე, და ამიტომ არც საჭირო იქნებოდა განთავისუფლების დაპირება ისეთი პასუხისგებისაგან, რომლისაგანაც სინედრიონს თვითონ შეეძლო განეთავისუფლებია. ხოლო თუ ასეთი დაპირება მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მცველებათ იყვნენ რომაელი მხედრები, პილატესაგან სინედრიონის განკარგულებაში გადაცემულნი პასექის დღესასწაულზე წესიერების დასაცველად; მართლა რომ დიდ პასუხის-გებაში ჩავარდებოდნენ მცველები, თუ პილატეს გაეგო, რომ მათ ყველას ერთბაშათ ეძინათ სადარაჯოზე. რომაულ ჯარში სასტიკი დისციპლინა იყო, რომლის დარღვევისათვის უწყალოთ სჯიდნენ. იროდმა სიკვდილით დასაჯა მხედრები, რომლებმაც საპყრობილეში ყური ვერ უგდეს პეტრეს, რომელიც ანგელოსმა სასწაულებრივ განათავისუფლა (საქ. მ. 12, 19). ასე იქნებოდნენ დასჯილნი ის მხედრებიც, რომელთა დარაჯობაშიაც მოხდა იესო ქრისტეს

გვამის მოტაცება საფლავიდან. მაგრამ, იმათ არა თუ სიკვდილით არ სჯიან, სამართალშიაც არ აძლევენ. ამასთანავე, უეჭველია, რომ იმ სინედრიონის შუამდგომლობა, რომელიც პილატეს მთელი თავისი არსებით სძაგდა, ვერაფერ სამსახურს გაუწევდა მხედრებს მოსალოდნელ პასუხის გებაში, და ვერ გაათავისუფლებდა მათ სასტიკი სასჯელისაგან. მეორე მხრით, თუ მართლა მოციქულებმა მოიპარეს გვამი იესოსი, ნუთუ გაბოროტებულმა ქრისტეს მტრებმა არ ისურვეს ესარგებლათ მარჯვე შემთხვევით, რომ ერთბაშათ განთავისუფლებულიყვნენ ყველა მის ახლობელ მოწაფეთაგანაც? ნუთუ იგინი არ მოითხოვდნენ პილატესგან მათ სისხლსაც? ამ საქმის გამოძიებით და მოციქულების სიკვდილით დასჯით იგინი არათუ თავს გაიმართლებდნენ ხალხის წინაშე ქრისტეს უარისყოფისთვის, არამედ თავის გავლენასაც უფრო განამტკიცებდნენ მასზე. მაგრამ არაფერს ამისთანას სინედრიონი არ მოქმედობს. ეს ცოტაა: რამოდენიმე კვირის შემდეგ, როცა მოციქულებმა თავის მოძღვრებით იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე ათასობით ებრაელი მოაქციეს და სინედრიონმა მოსთხოვა მათ პასუხი, აქაც ვერ გაბედა (სინედრიონმა) დაებრალებია მათთვის ქრისტეს გვამის მოტაცება, არამედ დაკმაყოფილდა მხოლოდ მით, რომ აღუკრძალა მათ ქადაგება (საქ. 4, 18). რა არის მიზეზი მღვდელმთავრების, ფარისეველების და მოხუცებულების ასეთი საქციელისა? მიზეზი გასაგებია: თვით მათ გამოიგონეს ზღაპარი ქრისტეს გვამის მოტაცებისა და ამიტომ მშვენიერად ესმოდათ, რომ მოციქულების და მხედრების წინააღმდეგ საქმის აღძვრა გამოააშკარავებდა თვით მათ ჭორებს, დაატეხდა მათ თავზე საშინელ პასუხის გებას და გააძლიერებდა ხალხში რწმენას იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომაზე. უმჯობესია გავჩუმდეთ, გადასწყვიტეს მათ და შემდეგ, რამდენიმე ხანი რომ გავა, თავის სასარგებლოთ გამოვიყენოთ საქმის გამოურკვევლობა; მაშინ ვინმე მაინც დაუჯერებს მათ, ეხლა კი, თუ საქმე აღეძრათ ვითომ დამნაშავეების წინააღმდეგ, არავინ დაუჯერებდა. აი რათ სდუმდნენ იგინი მათდავე სასირცხოთ.

მიუბრუნდეთ ახლა მოციქულებს და ვეცადოთ გამოვარკვიოთ საკითხი: შეეძლოთ თუ არა მოეპარათ მათ გვამი იესოსი? მოციქულებს უეჭველათ უყვარდათ იესო, სწამდათ იგი, ვითარცა მესსია და მოუთმენლად ელოდნენ იმ ბედნიერ დღეს, როდესაც იგი დაამყარებდა თავის მეუფებას, როცა იგინი დაიკავებდნენ საპატიო ადგილებს. იგინი, როგორც ყველა მაშინდელი ურია, დარწმუნებული იყვნენ, რომ მესსია იმეფებს საუკუნოთ, მაშასადამე არასოდეს არ მოკვდება. აი რატომ იყო, რომ მოციქულებისათვის ყოველთვის გაუგებარი იყო ხოლმე იესო ქრისტეს ლაპარაკი შესახებ თვისი სიკვდილისა; მათი წარმოდგენა მესსიაზე ნებას არ აძლევდა მათ მიეღოთ შესაძლე-

ბლობა მისი სიკვდილისა და ამიტომ არაფერ მნიშვნელობას არ აძლევდნენ მის სიტყვებს შესახებ აღდგომისა; ივინი ხედავდნენ ამ სიტყვებში იგავს, გარდათქმით ლაპარაკს, რომელსაც ხშირად ხმარობდა მათი მოძღვარი. იესოს კი ჯვარზე აკრავენ! იგი მოკვდა და დაიმარხა, როგორც ყველა ადამიანები! თუ იგი მოკვდა, ფიქრობდნენ ივინი, მაშ ის მესსია არ ყოფილა; და თუ იგი მესსია არ იყო, რათ ატყუებდა მათ? ასეთი აზრები უთუოდ აღელვებდნენ მოციქულებს. ხოლო, თუ მათ გულში ეჭვი შეიპარა, თუ იგინი თავს მოტყუებულათ რაცხდნენ, მაშ რაღა საქმე უნდა ჰქონოდათ მათ იმ კაცის გვამთან, რომელმაც იგინი მოატყუა და შეიყვანა საშიშარ შეცდომაში? იმათ საჭიროთაც არ დაინახეს მსგავსად მენელსაცხებლეთა დედათა, წასულიყვნენ საფლავად და გადაეხადათ ჩვეულებრივი მოვალეობა პატივისცემისა. ასეთ სულის მდგომარეობაში იესო ქრისტეს გვამის მოპარვა მოციქულთაგან უაზრო, უმიზნო და, ამასთანავე, საშიშარი საქმეც იქნებოდა. შესავალი საფლავში დახშული იყო ვეებერთელა ლოდით და სცვიდნენ შეიარაღებული მხედრები. მისვლა, ლოდის გადაგორება, შესვლა საფლავში, გვამის გამოტანა და წაღება, ყოველივე ამის მოხერხება, ისე, რომ მცველებს არ გაეგოთ, ყოვლად მოუხერხებელი საქმეა. მეორე მხრით, თუ მოციქულები დარწმუნებული იყვნენ იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ, ამ შემთხვევაშიაც მისი გვამის მოპარვა უმიზნო იყო და უაზრო: რასთვის უნდა მოეპარათ გვამი, თუ იგი მესამე დღეს აღდგებოდა? უკანასკნელ მოციქულებს მხოლოდ მაშინ დაებადებოდათ აზრი გვამის სხვა უშიშარ ადგილზე გადატანისა, თუ იესო ქრისტეს მტრებს აზრად ჰქონოდათ შეურაცხება მიეყენებიათ მისთვის; მაგრამ არაფერი ასეთი არ გამოჩენილა. წინააღმდეგ, იესო დაასაფლავეს ჩვეულებისამებრ ურიათა და დაუყენეს მცველები. ამასთანავე, არ იყო არავითარი მიზეზი ასეთი საკითხის აღძერისათვის, ჯერ მიტომ, რომ არავითარი შეურაცხება გვამისა არ შეიძლებოდა მის შეუხებლად, ყოველივე შეხება მიცვალებულისა კი შეგინებად ითვლებოდა და კიდევ მიტომ, რომ ებრაელები, როგორც იოსებ ფლაბიოსი მოწმობს („იუდეველების ომი", წ. 4 თ. 5, 2) ისე ზრუნავდნენ მიცვალებულთა გვამის მალე დასაფლავებაზე, რომ განჩინებით ჯვარცმულსაც ხსნიდნენ ჯერებიდან და მზის ჩასვლამდის ასაფლავებდნენ.

გარეშე ამისა, ზნეობრივი სახე მოციქულებისა ნებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ მოიპარეს გვამი ქრისტესი და შემდეგ ყველა არწმუნეს, რომ იგი აღსდგა. მათ ხომ მთელ ქვეყანას მოჰფინეს მოძღვრება მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს შესახებ და არ უღალატეს თავის რწმენას არც სასტიკი დევნის დროს და არც მაშინ, როცა მათ სიკვდილით სჯიდნენ ამ რწმენისთვის. სჩანს მათ მტკიცეთ სწამდათ, რომ ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა: ხოლო ასეთი რწმენა მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ, თუ მართლა მოეპარათ

და დაემალათ ქრისტეს გვამი. ან რას უნდა აეძულებია იგინი რწმუნებისათვის, რომ ქრისტე ნამდვილად აღდგა, თუ მართლა არ აღდგომილიყო? უწინდელ სიყვარულს მისდამი? მაგრამ ეს სიყვარული არა თუ სრულიად უნდა გამქრალიყო მათში, არამედ სიძულვილადაც უნდა გადაქცეულიყო, როცა იგინი დარწმუნდებოდნენ, რომ მან მოატყუა განუხორციელებელი ოცნებით და შემდეგ დაჰყარა იგინი მათი ბედისწერის ამარა.

ამნაირად, უნდა დაეთანხმდეთ, რომ მოციქულებს არ გაუტაცნიათ გვამი ქრისტესი და არც შეეძლოთ მისი გატაცება.

მეორე მოსაზრებას ქრისტეს აღდგომის სინამდვილის წინააღმდეგ (ვითომ ქრისტე არ მომკვდარა) არღვევს თვით შტრაუსი. იგი ამბობს: „*მკვდარ-ცოცხალი, დაუძლურებულ-დაწყლულებული ქრისტე, რომელსაც მოვლა-პატრონობა და ექიმობა ეჭირვებოდა, ვერ მოახდენდა მოციქულებზე იმ სიკვდილისა და საფლავის დამთრგუნველისა და სიცოცხლის მპყრობელის გავლენას, რომელიც დაედვა საფუძვლათ მათ შემდეგ მოქმედებას; ასეთი დაბრუნება სიცოცხლისადმი მხოლოდ დაასუსტებდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ქრისტემ მოახდინა მათზე სიცოცხლისა და სიკვდილის დროს, გამოიწვევდა მათ გულში ტირილსა და გოდებას, და ვერას გზით ვერ შესძლებდა მათი მწუხარება სიხარულათ შეეცვალა, და მათი პატივისცემა მისდამი გაღმერთებამდის აემაღლებია*“.

ამას გარდა, თუ მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ იესო ქრისტე არ მომკვდარა, მაშინ უნდა მივიღოთ ის მოსაზრებაც, რომ იესო ქრისტეს, შემდეგ საფლავიდან გამოსვლისა, უნდა ეტყუებია მოციქულები, რომ დაერწმუნებია იგინი თავის აღდგომაში, იგი, შემდეგ რამოდენიმეჯერ გამოცხადებისა, უნდა მიმალულიყო და დანარჩენი თვისი სიცოცხლე უცხოობაში გაეტარებია, ე.ი. უნდა მივიღოთ, რომ იესო ქრისტე მატყუარა იყო. მაგრამ ამის თქმას ვერავინ ბედავს, გარდა თავის შეცთომაში გაქვავებულ ურიებისა; ვერავინ ვერ ბედავს, უწოდოს მას მატყუარა; ათეისტები, რომლებიც უარჰყოფენ მის ღვთაებას, რაცხვენ მას ზნეობრივი მხრით უსრულეს ადამიანათ.

ამნაირათ, უნდა მივიღოთ, რომ იესო ქრისტე ნამდვილათ მოკვდა.

დაგვრჩა განსახილველი უკანასკნელი მოსაზრება: თვითმოცთუნება მოციქულებისა.

ათეისტები, ე.ი. ღვთის უარმყოფლები, ამბობენ, რომ ქრისტეს მოწაფეებს, რომლებიც სულის სიღრმემდი შეწუხებულნი იყვნენ საყვარელ მოძღვრის სიკვდილით, მხოლოდ მის ნამდვილ, სასწაულებრივ აღდგომაში ღრმა დარწმუნების მეოხებით შეეძლოთ გამხდარიყვნენ ასეთ ქვეყნის მძლეველ სახარების მოციქულებათ. მაგრამ იგინივე ფიქრობენ, რომ ამ აღფრთოვანებულ რწმენის ასახსნელათ სრულებით საჭირო არ არის ნამდვილი და

სასწაულებრივი მოელენა: იგი მშვენიერად აიხსნება ფსიხოლოგიურ პროცესით, რომელმაც მიაღწია ჯვარცმულის ოცნებრივ წარმოდგენამდის და გამოიწვია მოციქულებში ცრუ დარწმუნება, რომ იესო აღსდგა (მე-7. საუბ. მიკოპპისა).

გამოვარკვიოთ სულიერი მდგომარეობა მოციქულებისა, რომელსაც იგინი განიცდიდენ შემდეგ მათი მოძღვრის ჯვარცმისა, რომ გადავსწყვიტოთ საკითხი: შეეძლო თუ არა მოციქულებს ოცნების მხედველობით წარმოედგინათ იესო ქრისტე, როგორც მკვდრეთით აღდგომილი?

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ როგორ ხშირათ იჩენდენ მოციქულები მცირედმორწმუნეობას თავის მოძღვრისადმი, როგორც მესსიისადმი. დავუმატოთ ამას რამოდენიმე სიტყვა იმაზედაც, რომ მათ არ სწამდათ შესაძლებლობა მისი აღდგომისა.

როცა იესო ქრისტემ, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინეთ თავისი ჯვარცმისა, *იწყო უწყებად მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ ჯერ არს მისა იერუსალიმად აღსვლა და ფრიად ვნება მღვდელმთავართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად* (მათე16, 21). *მაშინ პეტრე იწყო ბრალობად მისა და რქვა: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო! არა იყოს (შენთანა) ვგრე!*"(მათ. 16, 22). როცა ასე ამბობდა პეტრე, ცხადია, არ ესმოდა მნიშვნელობა სიტყვებისა: „*და მესამესა დღესა აღდგომად*" და მთელი თავის ყურადღება მიაქცია სიტყვებს „*და მოკლვად*" — და დაუწყო მას ცილობა, რადგან, მაშინდელი დროის ურიების აზრით, მესიას სიკვდილი შეუძლებელი იყო, მას სამუდამოთ უნდა ემეფნა.

მეორეთ, როცა იესო ქრისტე, შემდეგ თავის ფერისცვალებისა, მთიდგან ჩამოდიოდა პეტრე, იაკობ და იოანეთურთ, და უბრძანა მათ არავისთვის ეთქვათ ის, რაც იხილეს, სანამ ძე კაცისა არ აღსდგებოდა მკვდრეთით, იგინი ეკითხებოდენ, ერთი მეორეს: *რას ნიშნავს აღდგომა მკვდრეთით?* (მათ. 9, 10). მოციქულებმა იცოდენ, რა თქმა უნდა, რას ნიშნავს მკვდრეთით აღდგომა, რადგან ცოტა ხნის წინეთ იმათ თვალწინ იესო ქრისტემ აღადგინა ასული იაიროისისა და ძე ნაინელ მქვრივი დედაკაცისა და ამიტომ, თუ მათ უკვირდათ და კითხულობდენ, რას ნიშნავს მკვდრეთით აღდგომაო, ეს განცვიფრება მიმართული იყო განსაკუთრებით იესო ქრისტესადმი, რომელიც, თუ მესსია იყო, არ უნდა მომკვდარიყო და, თუ არ უნდა მომკვდარიყო, როგორღა უნდა ამდგარიყო მკვდრეთით?

უკანასკნელ მოგზაურობის დროს იერუსალიმში, როცა იესო ქრისტემ ხელახლა დაუწყო თავის მოციქულებს ლაპარაკი, რომ *მას ჯვარს აცმენ და მესამე დღეს აღდგება* (მათ. 20, 17-19: მარკ. 10, 32-34, ლუკ. 18, 31-33:), *მათ არა გულისხმა ჰყვეს ესე, არამედ იყო სიტყვა იგი დაფარულ მათგან, და არა*

*იცოდეს თქმული იგი* (ლ. 18, 34).

როცა იუდა-გამცემელმა მოიყვანა გეთსამანიაში მხედრები და მოსამსახურეები იესო ქრისტეს შესაპყრობად, (ლ. 22, 52; ი. 18, 12), როდესაც უკვე იწყებოდა აღსრულება ქრისტეს წინასწარმეტყველებისა მის ვნებასა და სიკვდილზე, მოციქულებს მაინც არ უნდოდათ დაეჯერებიათ, რომ შესაძლებელი იყო მესიას ვნება და, რომ დაეფარათ მოსალოდნელ უბედურებისაგან, უთხრეს: ***უფალო, უკეთუ არა მოვსრნეთ ესენი მახვილითა?*** (ლ. 22, 49) ხოლო გულფიცხელმა პეტრემ, არც კი მოუცადა იესოს, ისე *სცა მახვილი მონასა მღვდელმთავრისასა* (მათ. 26, 51, მრ. 14, 47, ლ. 22, 50; ი. 18, 10!).

ხოლო, როცა იესომ აუკრძალა მათ მახვილის ხმარება, როცა იგი დაიჭირეს და წაიყვანეს, მაშინ ყველა მოციქულებმა დაუტევეს იგი და ილტოდნენ (მათ. 26, 56; მარკ. 14, 50). ილტოდნენ, რა თქმა უნდა, მტრის მაძიებელ ფარისეველთა შიშისაგანაც და, შეიძლება, ეჭვიც შეუვიდათ იესოს მესიაობაში, რადგან იგი დაიჭირეს და წაიყვანეს, როგორც ავაზაკი.

ამ გრძნობის გავლენის ქვეშ იგინი, თუმცა კი ხედავდნენ, როგორ ჯვარს აცმიდნენ მათ მოძღვარს, გარნა შორიდგან, მალვით; მხოლოდ იოანეს არ შემინებია ჯვარქვეშ დგომის. ხოლო, როდესაც იგი გარდამოხსნეს და დაასაფლავეს, როგორც კაცი, იგინი მწუხარებამ მოიცვა და მზათ იყვნენ ყველაფერში მოტყუებულად აღეარებიათ თავი.

აი როგორი იყო სულიერი მდგომარეობა მოციქულებისა, როცა მათ დაჰკარგეს თავის მოძღვარი და მარტონი დარჩნენ: შიში დევნისა, ჭმუნვა, გაუგებრობა, მწუხარება, სასოწარკვეთილება... და არა მოლოდინი ქრისტეს აღდგომისა, რაც მათ სრულებით არ სწამდათ, რომელზედაც ფიქრიც კი არ შეეძლოთ.

ჭმუნვა, უიმედობა და ურწმუნოება მოციქულებისა იმ ზომამდე იყო მისული, რომ, როცა მარიამ მაგდალინელმა და მენელსაცხებლე დედებმა აუწყეს მათ აღდგომა ქრისტესი, მათ ***უჩნდეს სიტყვანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი*** (ლ. 24, 11). ხოლო კლეოპამ და სხვა მოწაფემ, რომლებიც იმავე დღეს, საღამოს ემმაუსში მიდიოდნენ, აღვსილნი სასოწარკვეთილებითა, უამბეს რა იესოს ჯვარცმა და სიკვდილი, უთხრეს: ***ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ იგი იყო ის, რომელსაც უნდა დაეხსნა ისრაილი.*** შემდეგ, როცა რომელთამე დედათა ნათქვამი გადასცეს ქრისტეს აღდგომის შესახებ, ამ მოწაფეებმა გამოიჩინეს სრული ურწმუნოება ქრისტეს აღდგომის შესაძლებლობაში, რადგან დაუმატეს, ***რომ იმ დედებმა გააკვირვეს იგინი*** (ლ. 24 თ. 21 და 22). ხოლო, როცა ეს მოწაფეები დაბრუნდნენ იერუსალიმში და უამბეს დანარჩენებს, რომ იხილეს იესო აღდგომილი მკვდრეთით, ***მოციქულებს მათიცა არა რწმენა*** (მრ. 16 თ. 13.).

ამნაირათ, საბუთი გვაქეს გადაჭრით ესთქვათ, რომ მოციქულებს არ სწამდათ შესაძლებლობა მესიას ენებისა და სიკედილისა და მაშასადამე აღდგომისაც. ამიტომ ტყუილია ურწმუნო ადამიანების ლაპარაკი შესახებ იმისა, ვითომ მოციქულები ისე ნაირად იყვნენ მომზადებულნი ამ აღდგომისათვის, ისე ძლიერ ოცნებობდენ მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს ხილვაზე, ისეთი დარწმუნებით მოელოდენ მას, რომ მათი ოცნებიდგან გამოწვეული და მათი აშლილ წარმოდგენის წინაშე წამომდგარი ჩვენება იესო ქრისტესი მიიღეს ნამდვილ მის გამოცხადებათ, მის მკვდრეთით აღდგომათ.

იმათ ავიწყდებათ, რომ სრულ ჭმუნვასა და უიმედობაში, რომელშიდაც ჩააგდო მოციქულები მოძღერის სიკედილმა, ოცნებობა შეუძლებელია. მხოლოდ მკვდრეთით აღდგომილ იესო ქრისტეს ნამდვილ გამოცხადებას შეეძლო გაეფანტა მისი მოწაფეების იჭვიანობა; ისიც უნდა ითქვას, რომ იჭვების გასაფანტავად საჭირო შეიქმნა შესახებელი საბუთები.

მოციქულმა თომამ, რომელიც მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს პირველ გამოცხადებას არ დასწრებია, სთქვა: **უკეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამსჭვალთა და დავხსნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭვალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა-სადა მრწმენეს** (ი. 20 თ. 25), ე.ი. არ დავიჯერებ, რომ იგი ცოცხალია, რომ იგი აღდგა. მაგრამ განა მხოლოდ თომამ გამოთქვა ასე მკაფიოთ თავის ურწმუნოება? ნუ თუ ამაში მონაწილენი არ ყოფილან დანარჩენი მოციქულებიც? ამის პასუხს ჩვენ ვპოებთ მარკოს, ლუკა და იოანეს სახარებაში: როცა თავის აღდგომის პირველ დღეს ქრისტე გამოეცხადა ერთ ოთახში შეკრებილ მოციქულებს და რქვათ მათ: „**მშვიდობა თქვენთანა**"! **იგინი შეძრწუნდეს და შეეშინათ. ეგონათ, რამეთუ სული რაიმე იხილეს, ხოლო მან რქვა მათ: რასა შეძრწუნებულხართ და რასათვის გულის სიტყვანი მრავალნი მოვლენან გულთა თქვენთა? იხილენით ხელნი ჩემნი და ფერხნი — რამეთუ თვით მე ვარ; ხელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძვალ არა ასხენ, ვითარცა ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ" და ესე რა სთქვა, უჩვენა მათ ხელნი და ფერხნი თვისნი**(ლ.24 თ. 36-41), **და ვიდრე იგი არღა წრმენა მათ სიხარულისა მისგან და საკვირველებისა, რქვა მათ იესო: გაქვსთ რა აქა ჭამადი"? ხოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა მწვრისა ნახევარი და თაფლისაგან გოლი, და სჭამა წინაშე მათსა** (ლ. 24 თ. 41-43).

აი როგორი საბუთები დასჭირდათ მოციქულებს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სინამდვილეში დასარწმუნებლად!

როცა ამ მოთხრობებს კითხულობ, რაღაც საწყენათ გირჩება ასეთი მცირემორწმუნეობა მოციქულებისა თავის მოძღერის ღვთაებრიობაში; მაგრამ, რაც უფრო მეტს ფიქრობ ამ მცირემორწმუნეობაზე, მით უფრო რწმუნდები,

რომ ასეთი იყო ნება ღვთისა. დიახ, ღვთის ნება იყო, რათა მოციქულებს შეგნებული რწმენა ჰქონოდათ იმისა, რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა. მისი ნება იყო, რომ მოციქულები თავისუფალნი ყოფილიყვენ ბრალდებისაგან ბრმა მორწმუნეობაში, მოუფიქრებლობაში და ოცნებობაში: იმათ ხომ მთელ ქვეყანაზე უნდა მოეფინათ თავისი სარწმუნოება, მათი სარწმუნოება ხომ კლდესავით მტკიცე უნდა ყოფილიყო და ამ კლდეზე აღშენებულიყო ეკლესია ქრისტესი! აი რით ვამართლებთ ჩვენ მოციქულების მთელ მცირედმორწმუნეობას, ყველა ეჭვებს.

როცა მოციქულები ასეთი საწყენი თვალსაჩინო საბუთებით დარწმუნდენ, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა არა თუ მხოლოდ სულით, არამედ ხორცითაც, — მხოლოდ მაშინ გაიხსნა, მანამდის გაქვავებული გული, — მხოლოდ მაშინ შეიგნეს უგნურება რაბინთა მოძღვრებისა — შესახებ მესიას საუკუნო ქვეყნიურ მეფობისა, დამმორჩილებელისა ქვეშე ფერხთა ისრაილისათა ყოველთა ტომთა ქვეყანისათა, — მხოლოდ მაშინ გაიგეს ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა ქრისტეს მთელი მოძღვრებისა და დარწმუნდენ, რომ იგი არის ნამდვილი აღთქმული მესია ძე ღვთისა, ასეთი მტკიცე, როგორც ქვა, სარწმუნოებით გამოვიდენ იგინი საქადაგებლათ.

ორმოცდათორმეტი დღის უკან შემდეგ იესო ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილისა, მოციქული პეტრე საქვეყნოთ ქადაგებდა იერუსალიმში მის მკვდრეთით აღდგომას და ამ ამბის დასამტკიცებლათ მოწმეთ მოჰყავდა ყველა მოციქულები: *„ესე იესო აღადგინა ღმერთმა, რომლისა ჩვენ ყველა მოწამე ვართ“* (საქ. 2, 32). ამ ქადაგებამ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, რომელთა შორის, უეჭველად, ისინიც იყვნენ, ვინც ცოტა ხნის წინეთ უყვიროდენ პილატეს — *„ჯვარს აცვ ეგე“*-ო! მაშინვე სამიათასამდე კაცი მოიქცა და ირწმუნა ქრისტე (საქ. 11, 41).

პეტრეს ასეთ ქადაგებას, ასეთ პირისპირ ბრალდებას ებრაელ ხალხის ხელმძღვანელობისას მესიას სიკვდილში უნდა აეშფოთებია მღვდელმთავარნი და ფარისეველნი. თუ პეტრე და სხვა მოციქულები, რომლებიც მოწმეთ მოჰყავს მას, მატყუარები იყვნენ, უნდა მაშინვე ემხილებიათ იგინი სიცრუეში: საფლავი იესოსი კარგათ იცოდენ, სად იყო; თუ მართლა იგი არ აღმდგარა, თუ მისი გვამი ისევ საფლავში ესვენა, საკმარისი იყო წაეყვანათ ეს ამოდენა მოქცეული ხალხი საფლავზე და ეჩვენებიათ გვამი იესოსი, რომ გამოეაშკარავებიათ სიცრუე. მაგრამ ისინი სდუმან, სდუმან, რადგან იციან, რომ საფლავი ცარიელია. მაგრამ სად არის გვამი იესოსი? თუ იგი მოციქულებმა მოიპარეს, საჭირო იყო მაშინვე გაეწვიათ ისინი სამართალში, გაემტყუნებიათ მცველების ჩვენებით და მით წაერთმიათ პეტრესთვის საშუალება დაემოწმებია მოციქულები. მაგრამ მკვლელები ამასაც ვერ ბე-

დაეენ, რადგან დარწმუნებული არ არიან, რომ მცველები მხარს დაუჭერენ მათ ცილისწამებას სამსჯავროს წინაშე. მაშ სად არის გვამი იესოსი, თუ საფლავი ცარიელია, და, თუ იგი მოციქულებს არ მოუპარავს? სად არის?

ამ კითხვებს არ შეეძლო არ აეღელვებია სინედრიონის წევრები. ყველაზე უწინ მათ უნდა გამოეკვლიათ იგინი, რადგან იგინი იყვნენ ურიათა ხელმძღვანელნი მნეობრივ და სარწმუნოებრივ საქმეებში; მათ უნდა ეგოთ პასუხი იესო ქრისტეს დაღვრილ სისხლის შესახებაც; და იგინი, რა თქმა უნდა, არ გაუშვებდნენ, რომ ბეჯითად, თუმცა ჩუმათ, არ გამოეძიებიათ მცველების სიტყვების სიმართლ-სიმტყუნე შესახებ ქრისტეს აღდგომისა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ შეუმოწმებლად დასტოვეს ეს სიტყვები; სიმართლესთან უფრო ახლოა, ვიფიქროთ, რომ იგინი პირადათ მივიდნენ (თუმცა ყველა ერთად კი არა) საფლავზე და ნახეს იგი დაცარიელებული. ბეჯითი გამოძიების შემდეგ მათ არ შეეძლოთ, არ დარწმუნებულიყვნენ, რომ ქრისტე ნამდვილად აღდგა მკვდრეთით. მაგრამ რატომ ასე ურცხვად სდუმდნენ იგინი? რათ საქვეყნოთ არ აღიარეს თავის მძიმე შეცოდება და მით არ გადაარჩინეს ხალხი მომავალ უბედურებასა?

მიტომ რომ ამ გარყვნილ ადამიანთათვის ქვეყნიური სიკეთე უძვირფასესი იყო ზეციურზე; მათ იმედი არ ჰქონდათ, სინანულით მოეპოვებიათ თავის მძიმე ცოდვის შენდობა; ამასთანავე მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ სახალხოთ აღიარება თავის დანაშაულობისა გამოიწვევდა მათ ქვით ჩაქოლვას იმ ხალხისაგან, რომელიც მათ მოტყუებით ჩაითრიეს ამ ბოროტმოქმედებაში. ისინი შიშობენ თავის სიცოცხლისათვის და სდუმან, რადგან ეშინიათ ხალხის შურისძიებისა; იგინი უძლურნი არიან გამოედაონ პეტრეს, რომლის ქადაგება მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს შესახებ აურაცხელ ხალხს იზიდავს; მაგრამ ჯვარი და ცარიელი საფლავი მოსვენებას არ აძლევენ მათ; დიდი სიამოვნებით დაივიწყებდნენ იგინი ჯვარცმულის სახელსაც, მაგრამ ვერ ახერხებენ: მისი ხსენება იზრდება ხალხში, მისი სახელით პეტრემ კიდევაც განკურნა შობიდგან კუნტი, ხალხი ისწრაფვის ნათლისღებას და აღიარებს აღდგომილ ქრისტეს... და აი, მისი მკვლელები უძლური გახდნენ ეთქვათ რამე დაჭერილ პეტრესა და იოანესთვის წინააღმდეგ აღდგომისა და იკმარეს მხოლოდ ბრძანება, რომ მოციქულებს ამიერიდგან არა ეთქვათ-რა და არა ესწავლებიათ-რა ქრისტეს სახელით (საქ. 5, 18).

ამნაირათ, უსაფუძვლო და უნაყოფო რჩება ყოველი ცილობა ქრისტეს აღდგომის წინააღმდეგ; მათი განხილვა კი ცხადჰყოფს, რომ ეს სასწაული ნამდვილათ მოხდა.

ბეჯითად დაბეჭდილი საფლავი იესოს გვამით, რომელიც მესამე დღეს ცარიელი გამოდგა, სინედრიონის ცილის წამება მოციქულთაგან იესოს გვა-

მის მოპარვის შესახებ, რომელიც მთელ თავის ურცხვობასა და სიცრუესთან მოწმობს, რომ საფლავი ნამდვილად დაცარიელდა, – ურწმუნოება მოციქულებისა მესიას აღდგომის შესახებ, რომელიც, მათი აზრით, არც კი უნდა მომკვდარიყო, – ურწმუნოება მის აღდგომაში მაშინაც კი, როცა ეს გარემოება მენელსაცხებელ დედებმა აუწყეს მათ, იგივე ურწმუნოება მათი აღდგომილ ქრისტეს გამოცხადების დროს, მოთხოვნა მისგან მისი აღდგომის დამამტკიცებელ ხილულ საბუთებისა, – საკუთარ ხელებით განხილვა იესოს სამსჭვალთა, საჭმლის მიღება იესოსგან მათ წინაშე, – შემდეგი გამოცხადებანი ქრისტესნი და მისი ამაღლება, – შეურყეველი რწმენა მოციქულებისა, რომ გამოცხადებული ქრისტე არის ნამდვილი მკვდრეთით აღდგომილი მათი მოძღვარი, გაბედული და შეუპოვარი ყოველი დაბრკოლების წინააღმდეგ მათი ქადაგება ამ სასწაულის შესახებ, გამოცხადება ქრისტესი სავლე მდევნელის მიმართ,– და, ბოლოს, სრული უძლურება სინედრიონისა ქრისტეს აღდგომის უარყოფის საქმეში წინააღმდეგ მოციქულებისა, რომლებიც ყველგან ღაღადებდნენ, რომ **ქრისტე აღსდგა** – ყველა ეს გვაიძულებს ჩვენც მტკიცე რწმენით ვსთქვათ: დიახ, **ჭეშმარიტად აღსდგა!**

ამნაირად, თუ უმთავრესი სასწაული – აღდგომა ქრისტესი – დამტკიცდა, თავისთავად ირღვევა ურწმუნოთა აზრი შესახებ სასწაულების შეუძლებლობისა საზოგადოთ. ამავე მიზეზით ირღვევა ყოველი უარყოფა სახარების სინამდვილისა იმ საფუძველით, რომ სასწაული შეუძლებელია.

დარწმუნდენ თუ არა, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგა მესამესა დღესა შემდეგ სიკვდილისა, როგორც მან არაერთხელ იწინასწარმეტყველა ამაზე, მოციქულებმა შეიგნეს, რომ მისი ცხოვრების თითოეულმა შემთხვევამ ზედმიწევნით გაამართლა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების ნათქვამი მესიას გამოცხადების შესახებ, და მათ ირწმუნეს, რომ იგი იყო მესია, აღთქმული მხსნელი. ამიტომ, როცა მოგვითხრობენ *„საქმეთა გულსავსე ქმნილთა მათ შორის“*, შეგნებულად, ღრმა დარწმუნებით ამბობენ: ***„ესე იქმნა, რაჲთა წერილი აღესრულოს“***.

აი, ეს აღსრულება ყოველივე განცხადებულისა ღვთისაგან წინასწარმეტყველთა მიერ, არის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი სახარების ამბების სინამდვილისა, ეს შემთხვევები წინასწარნაუწყები იყვნენ, იგინი უნდა მომხდარიყვნენ, და რადგან იგინი მოხდენ სრულიად თანახმად ძველი წინასწართქმულებებისა, ამიტომ მათი სინამდვილე, და მაშასადამე – სინამდვილე სახარების მოთხრობებისა მათ შესახებ, ყოველ ეჭვს გარეშეა.

ძველი აღთქმის წიგნები იმდენ წინასწარმეტყველებას შეიცავენ შესახებ მესიას გამოცხადებისა, რომ ყველა მათი მოყვანა აქ მეტად მიგვაჩნია ჩვენი მიზნებისათვის, ამიტომ ვიკმარებთ მას, რაც ყველასაგან ცნობილია

და აგრეთვე მოეიყვანთ დანიელის განცხადებას, რომელიც განმარტებას თხოულობს.

როცა იაკობ მამათ მთავარი კედებოდა ეგვიპტეში, მოუწოდა ძეთა თვისთა და რქვა: *„შემოკრბით, რათა მოგითხრა თქვენ, რა შეგემთხვიეს უკანასკნელთა დღეთა“.* როცა ჯერი იუდაზე მიდგა, მან უთხრა მას: *„არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან და წინამძღვარი წელთაგან (წყვილთაგან?) მისთა, ვიდრემდის მოეიდეს რომლისა იგი დამარხულ არს და იგი არს მოლოდება წარმართთა“* (შექ. 49, 1 და 10).

ეს წინასწარმეტყველება ყოველთვის ისე ესმოდათ, რომ მესია მოვა მაშინ, როცა მოისპობიან მეფეები ტომისაგან იუდასა. და რადგან იროდი მეფე იყო პირველი მეფე უცხო ტომისაგან (იგი იდუმიელი იყო), ამიტომ მთელი ურიასტანი მესიას მოსელას მოელოდა დღიდან იროდის გამეფებისა; და მართლაც, მის მეფობის დროს იშვა იესო ქრისტე.

დანიელის გამოცხადებაში კი ნაჩვენებია მთელი ხანა, რომლის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ქრისტე.

ბევრი მსწავლულები ცდილობენ, დაამცირონ ისტორიული ღირებულება დანიელის წიგნისა. იგინი ამბობენ, რომ ეს წიგნი დაწერილია შემდეგ მეფე ანტიოხ ეპიფანეს ებრაელთა წინააღმდეგ აღძრულ დევნისა, ვიღაც უცნობ მწერალთაგან. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს წიგნი უნდა შეირაცხოს თვით დანიელის დაწერილათ. სამოცდაათმა მთარგმნელმა (მსწავლულმა ებრაელმა) გადათარგმნეს იგი ბერძნულ ენაზე და დააყენეს იგი თანასწორ ისაიას, იერემიას და ეზეკიას წიგნებისა. ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ბიბლიის თარგმნის დროს, ე.ი. 270 წ. ქ. შ., დიდი ხნის წინეთ, სანამ ანტიოქ ეპიფანე გამეფდებოდა, დანიელის წიგნი შეტანილი იყო ებრაელთა საღმრთო წიგნების სიაში. ეს წიგნი სამღვთო წიგნათ ითვლებოდა იოსებ ფლაბიოსის დროსაც, რომელიც დანიელს დიდ წინასწარმეტყველს უწოდებს.

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-9 თავში ნათქვამია, რომ ერთხელ დანიელს ლოცვის დროს, რომელიც გამოიწვია ისაია წინასწარმეტყველის წიგნის კითხვამ შესახებ სამოცდაათი წლის ბაბილონის ტყვეობისა, უეცრად გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოსი და

*22... რქვა: „დანიელ! ეხლა გამოვედი, რათა მოგიყვანო შენ ცნობად.*

*23. დასაწყისსა ლოცვისა შენისასა განხდა სიტყვა და მოვედ რათა გაუწყო შენ, რამეთუ მამაკაცი სურვილისა ხარ შენ; დააკვირდი სიტყვას და გულისხმა ჰყავ ჩვენება.*

*24. სამოცდაათი შვიდეულია დადებული ხალხისა შენისა და წმინდისა ქალაქისა შენისათვის, რომ დაფარულ იქმნენ დანაშაულობანი, აღბეჭდილ — ცოდვანი და აღგვილ უსჯულოებანი და მოსრულ — სიმართლე საუკუნო, და*

*დაბეჭდილ – ჩვენება და წინასწარმეტყველი, და ცხებულ – წმიდა წმიდათა.*

*25. ამნაირათ, იცოდე და გულისხმა-ჰყავ: იმ დროიდგან, როცა გამოვა ბრძანება იერუსალიმის განახლებისა, ქრისტე მეუფემდის – შვიდ შვიდეულ და სამოცდაორი შვიდეული: და მობრუნდება ხალხი და განახლებულ იქნებიან უბანნი და კედელნი, გარნა დროსა ძნელსა.*

*26. და შემდგომად 62 შვიდეულისა მიეცემა ქრისტე, და აღარ იქნება; ხოლო ქალაქი და საკურთხეველი დანგრეულ იქმნება წინამძღოლის ხალხისაგან, რომელიც მოვა და დასასრული მისი იქმნება, ვითარცა წყალდიდობითა, და ომის დასრულებამდის იქნება გატიალებანი.*

*27. და დაადგინებს აღთქმასა მრავალთათვის შვიდეული ერთი, ხოლო საშუალ შვიდეულისა მოისპობა სხვერპლი და შესაწირავი და ფრთეთა ზედა ტაძრისათა დაადგრების საშინელება მოოხრებისა და დაბოლოებითი წინათგანჩინებული დაღუპვა მოვიდეს გამანადგურებელსა ზედა*).*

შვიდეული ან შაბუა არის დრო შვიდი თანასწორი ნაწილისაგან შემდგარი, მიუხედავათ ნაწილების სიდიდისა. რადგან შვიდეულ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ აღთქმაში, ამიტომ აქ შვიდეულის სახელით ერთი შეხედვით ბუნებითი იქმნება, ვიანგარიშოთ შვიდი დღე ანუ ერთი კვირა; მაგრამ ამ შემთხვევაში შაბუა არ შეგვიძლია შვიდ დღეთ ან ერთ კვირეთ მივიღოთ, რადგან შემდეგ თავში, სადაც ლაპარაკია შვიდეულზე, როგორც კვირეზე, დანიელს ნახმარი აქვს სიტყვები: „*შვიდეული დღეთა*“ და არა უბრალოთ „*შვიდეული*“ („*დღეთა ამათ შინა მე, დანიელი, ვიყავ მწუხარებასა შინა სამი შვიდეული დღეთა.* 10 2,) და ამას თითქოს განძრახ შვება, რომ ეს შვიდეულები განარჩინოს ზემო თავში ნათქვამ შვიდეულთაგან. არ შეიძლება ვიგულისხმოთ შვიდეული თვეებიც, რადგან 490 თვე, რომელიც თითქმის 41 წელიწადს უდრის, ძლიერ მცირე დროა იმ წინასწარმეტყველებათა აღსრულებისათვის, რომლებზედაც მოთხრობილია უკანასკნელ მუხლებში: ქალაქის გაშენება, მისი და ტაძრის დანგრევა და სხვ. ამნაირათ, დაგვრჩენია აქ ნასესხები შვიდეული შვიდი წლის ხანათ მივიღოთ. ძველი ქრისტიანენიც და ებრაელი მწიგნობარნიც დანიელის შვიდეულებს ყოველთვის შვიდ-შვიდ წილად ანგარიშობდენ.

შვიდ-შვიდეულთა დასაწყისი განსაზღვრულია დანიელის განცხადების 25-ე მუხლში „იერუსალიმის განახლების ბრძანებით“.

სამღვთო წერილიდან სჩანს, რომ დანიელმა განცხადება შვიდი შვიდეულის შესახებ მაშინ მიიღო, როცა ებრაელები ბაბილონის ტყვეობაში იყვნენ, და, რომ შემდეგ ბაბილონის სამეფოს დაქცევისა და სპარსეთთან

---

* ეს თარგმანი არ არის ქართული ბიბლიიდგან ამოწერილი, არამედ ჩვენ ვთარგმნეთ თავისუფლად რუსულიდამ. მთარგმნელი.

შეერთებისა. რამოდენიმე საკუთილო ბრძანება იქმნა გამოცემული ებრაელების შესახებ. პირველი ამ ბრძანებათაგანი ტაძრის აშენების ნებას იძლევა და არაფერს ამბობს შესახებ დაქცეული იერუსალიმის განახლებისა (2 წ. ნეშთ. თ 36 მუხ. 23; 1 წ. ეზდ. 1, 2-4 და თ. 6, 3-5) მეორე ბრძანება, რომელიც მეფე დარიოს გისტასპს ეკუთვნის. გაკერითაც კი არაფერს ამბობს ქალაქის გაშენებაზე, არამედ იმეორებს მეფე კვიროსის ბრძანებას, შესახებ ტაძრის აშენებისა (1 წ. ეზდრ. თ. 6, 6-7). მესამე ბრძანება მიეცა ეზდრას, რომელიც წინამძღერობდა ებრაელებს, მეფე არტაქსერქს-მხარგრძელის მეფობის მეშვიდე წელიწადს. თუმცა არც ამ ბრძანებაში პირდაპირ არაფერია ნაბრძანები ან ნებადართული შესახებ იერუსალიმის ქალაქის გაშენებისა, მაგრამ იგი ნებას აძლევს ეზდრას გააკეთოს ყველაფერი, რასაც კი გასწედება მისი ფული: ***და რაც შენ და შენთა ძმათა გენებოსთ ქმნას დანარჩენი ოქროთი და ვერცხლით, ჰქმენით ნებითა ღვთისა თქვენისათა*** — (1 წ. ეზდრ. თ. 7, მუხ. 18); ეს ნებართვა ფართო მნიშვნელობით შეეძლო მიეღო ეზდრას და შეეძლო კიდეც გამოეყენებია ქალაქის ასაშენებლათაც, რაშიდაც დიდ საჭიროებას გრძნობდენ გადმოსახლებული ებრაელები მეზობლებისაგან დასაცაეათ; და რომ სწორეთ ასე ესმოდა მას ეს ბრძანება, სჩანს მისი შემდეგი ლოცვიდან (1 წ. ეზდ. თ. 6, მუხ. 9); და რომ ის ამ ბრძანების ძალით მართლაც შეუდგა იერუსალიმის განახლებას, ამას მოწმობს ნეემია (წ. ნეემ. თ. 1, მუხ. 3). სხვა ნებართვა, განკარგულება, ან ბრძანება შესახებ იერუსალიმის განახლებისა არ ყოფილა.

ამ საფუძველთა მიხედვით შვიდეულების დასაწყისათ შეიძლება მივიღოთ არტარქსერქს-მხარგრძელის მეფობის მეშვიდე წელიწადი, როგორც წელიწადი, როდესაც გამოვიდა ნებართვა შესახებ იერუსალიმის აშენებისა.

რომელ წელიწადში აყიდა ტახტზე არტარქსერქს-მხარგრძელი?

ამ საკითხზე ზედმიწევნით სწორ პასუხს იძლევა მეფეთა ან სამეფოთა კანონი პტოლმეოსისა. ამის მიხედვით არტაქსერქსის ტახტზე ასვლის წლათ უნდა აღვიაროთ 289 წელი შემდეგ რომის ქალაქის აშენებისა. მაშასადამე მისი მეფობის მეშვიდე წელიწადი, ან იერუსალიმის განახლების დასაწყისი, უნდა ყოფილიყო 296 წელს რომის ქალაქის აშენების შემდეგ.

პირველი სამოცდაცხრა შვიდეულის დასასრული ცხადათ არის ნაჩვენები დანიელის წინასწარმეტყველებაში: **ქრისტე მეუფემდის,** ე.ი. ქრისტეს განცხადებამდის უნდა გაეიდეს სამოცდა ცხრა შვიდეული ანუ 483 წელიწადი დაწყებული 296 წლიდგან შემდეგ რომის ქალაქის დაარსებისა. 296 და 483 რომ შევაერთოთ, გამოვა, რომ სამოცდაცხრა შვიდეულის ბოლო და, მაშასადამე, იესო ქრისტეს გამოცხადება უნდა მომხდარიყო 779 წელს რომის ქალაქის დაარსებიდამ.

მახარებელი ლუკა გვარწმუნებს, რომ იოანეს საქადაგებლათ გამოსელა და იესო ქრისტეს ნათლისღება მოხდა კეისარ ტიბერიოსის მეფობის მეთუთხმეტე წელიწადს (თ. 3, მუხ. 1), ე.ი. 779 წელს რომის ქალაქის დაარსებიდამ.

ამნაირათ, იესო ქრისტეს გამოცხადება იორდანეზე მოხდა სწორეთ იმ წელიწადს, რომელიც ანგელოსმა აუწყა დანიელს.

თუ იესო ქრისტეს გამოსვლა საზოგადო მსახურებად არის 69 შეიდეულის დასასრული, მაშასადამე ესევე არის დასაწყისი უკანასკნელი შეიდეულისა, რადგან განცხადება არაფერ საბუთს არ იძლევა შეიდეულთა შორის რაიმე ხნის განმაველობა დაესდვათ. 27-ე მუხლში ნათქვამია: *„და დასდებს აღთქმას მრავალთათვის ერთი შეიდეული და საშუალ შეიდეულისა მოისპობა სხვერპლი და შესაწირავი“*. ებრაელებმა ვერ იცენეს თვისი მესია, ჯვარს აცვეს იგი და მოჰკლეს, ამიტომ ღმერთმა უარჰყო იგინი; იესოს სიკვდილმა მოსპო კავშირი ღმერთსა და ისრაელს შორის; იესო ქრისტეს სიკვდილის შემდეგ ძველი აღთქმის ღვთისმსახურებამ, სხვერპლმა და შესაწირავმა, დაკარგა თავის მნიშვნელობა, მოისპო, თუ გარეგნულათ არა, შინაგანათ მაინც. მაშასადამე თანახმად განცხადებისა, იესო ქრისტეს სიკვდილი უნდა მომხდარიყო მეშვიდე შეიდეულის ნახევარში, ე.ი. დაახლოებით საქადაგებლათ გამოსვლიდან სამწლინახევრის შემდეგ; მახარებლების მოთხრობიდან, განსაკუთრებით კი იოანეს სახარებიდან ჩვენ ვიცით, რომ იესო ქრისტეს საზოგადო მოღვაწეობის განმაველობაში სამჯერ იყო პასექის დღესასწაული და რომ იგი ჯვარს აცვეს მეოთხე პასექის წინადღეს; ხოლო ეს გარემოება საბუთს გვაძლევს დარწმუნებით ვსთქვათ, რომ იესო ქრისტეს საზოგადო მოღვაწეობა გაგრძელდა დაახლოებით სამ წელიწად ნახევარს ანუ ნახევარ შეიდეულს, როგორც ნაუწყები ჰქონდა დანიელს განცხადებაში. ამ უკანასკნელი სამოცდამეათე შეიდეულის ბოლო უდრის სწორეთ იმ დროს, როცა მოციქულებმა სახარების ქადაგება წარმართთა შორის გადაიტანეს: მთელი ამ შეიდეულის განმაველობაში მკვიდრდებოდა ახალი აღთქმა მრავალ ებრაელთა შორის, ჯერ თვით იესო ქრისტესაგან და შემდეგ მოციქულთაგან; ამ შეიდეულის და, მაშასადამე, მთელი სამოცდაათი შეიდეულის დასასრულსაც, ახალ აღთქმაში შემოსასვლელათ იწოდებიან ყველა ხალხები.

ამნაირათ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა საშუალებით წინასწარნაუწყებია არა თუ საზოგადოთ დრო ქრისტეს მოსვლისა, არამედ წელიწადი მისი საქადაგებლად გამოსვლისა, მისი საზოგადო მოღვაწეობის ხნის რაოდენობა და ჟამი მისი სიკვდილისა.

ვნახოთ ახლა ზოგიერთნი წინასწარმეტყველებანი, რომლებიც შეეხებიან იესო ქრისტეს ქვეყნიურ ცხოვრებას. წინასწარმეტყველი ისაია აუწყ-

ებს, რომ მესია ქალწულისაგან დაიბადება: *„თვით უფალი გაძლევსთ თქვენ სასწაულს: აჰა ქალწული მიუდგეს და შვას ძე და უწოდოს სახელი მისი ემანუილი“* (წ. ის. თ. 7 მუხ. 14).

წინასწარმეტყველი მიქეა ასახელებს ადგილს, სადაც უნდა დაიბადოს მესსია: *„და შენ, ბეთლემ, არა სადა უმრწემეს ხარ ათასთა შორის იუდასათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს იგი, რომელიც უნდა იქმნეს მეუფეთ ისრაილსა ზედა, და რომლისა გამოსავალი დასაბამიდგან, დღეთაგან საუკუნეთა“* (მიქ. თ 5 მუხ.2).

იგივე ისაია წინასწარმეტყველი, წინასწარ მხედველი იესო ქრისტეს ქადაგებად მოსვლისა, ხმობს: *„არქვით ასულსა სიონისასა: მოვალს მაცხოვარი შენი; სასყიდელი მისი მისთანა და მისაგებელი მისი მის წინაშე“* (თ. 62, მუხ. 11).

იგივე აუწყებს იმაზედაც, თუ რა სასწაულებს მოახდენს იესო ქრისტე: *„იგი მოვალს და გიხსნის თქვენ. მაშინ აღიხილნენ თვალნი ბრმათა და განეხვნენ ყურნი ყრუთა. მაშინ კუნტი რბოდეს, ვითარცა ირემი და ენამან მუნჯისამან წარსთქვას გალობა“* (თ. 35, მუხ. 4-6).

წინასწარმეტყველი ზაქარია აუწყებს იესო ქრისტეს დიდებულ შესვლას იერუსალიმში: *„განსცხრებოდე სიხარულითა, ასულო სიონისაო! იმეებდე, ასულო იერუსალიმისაო! აჰა მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მხსნელი, მშვიდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცესა ნაშობსა კარაულისასა“* (ზაქ.თ. 9 მ.უხ.9).

ეს დიდებული შესვლა მაცხოვრისა იერუსალიმში, ეს განცხრომა ძეთა და ასულთა სიონისათა აშფოთებს მღვდელმთავრებს და ფარისევლებს, ივინი ბჭობენ ურთიერთ შორის, თუ როგორ დაღუპონ ქრისტე; მაგრამ ის, რასაც ისინი ილაპარაკებენ ამ ბჭობის დროს, მრავალი წლის წინეთ ჩაწერილია სოლომონის „სიბრძნისა“ წიგნში: *„განუმზადოთ საფრხე მართალსა, რამეთუ იგი ძნიად სატვირთველ არს ჩვენდა, და წინააღუდგება საქმეთა ჩვენთა, და გვამხილებს ჩვენ ცოდვათათვის წინააღმდეგ სჯულისა, და გვკიცხავს ჩვენ ჩვენი აღზრდის ცოდვათათვის; იქადის ცნობასა ღვთისასა და უწოდებს თავსა თვისსა ძედ ღვთისად; იგი წინაშე ჩვენსა — ვითარცა განკიცხვა გულისთქმათა ჩვენთა. სამძიმო არს ჩვენთვის მისი ყურება; რამეთუ ცხოვრება მისი ეს არა არს ეგრეთ, ვითარცა ცხოვრება სხვათა, და გზანი მისნი სხვანი არიან; საძაგელი ვართ ჩვენ მისდა და განეშორება იგი გზათაგან ჩვენთა, ვითარცა ბიწთაგან; ნეტარყოფს მიცვალებასა მართალთასა და ზვავებრ უწოდებს ღმერთსა მამად თვისად. ვნახოთ რამდენათ მართალია მისი სიტყვები, და გამოვსცადოთ, ვითარი იყოს განსვლა მისი; ვითარმედ თუ ესე მართალი არის ძე ღვთისა, მაშინ ღმერთი დაიფარავს მას და იხსნის მას*

*ხელთაგან მტერთასა. გამოვცადოთ იგი შეურაცხებითა და წამებითა, რომ შევიტყოთ სიმშვიდე მისი და დავინახოთ არა სობოროტე მისი. მიუსაჯოთ მას სამარცხვინო სიკვდილი, რამეთუ, სიტყვათა მისთაებრ, ზრუნვა იყოს მისზედა"* (წ. სიბრძნე სოლომ. თ. 2 მუხ. 12-20).

წინასწარმეტყველი დავითი წინასწარ ხედავს, რომ მიმცემელი მისი იქნება მისი მახლობელი: *„კაცმან მშვიდობისა ჩემისამან, რომელსა მე ვესვიდი, რომელი სჭამდა პურსა ჩემთანა, მან აღიღო ჩემზედა ბრჭალი"* (ფ. 40 მუხ. 9).

წინასწარმეტყველმა ზაქარიამ წინასწარ სთქვა, რომ იუდა გაჰყიდის თავის მოძღვარს ოცდაათ ვერცხლად, შემდეგ ამ ვერცხლს დააბნევს ტაძარში და, რომ ამ ფულით იყიდიან მეკეცის აგარაკს: *და მისცემენ სასყიდლად ჩემდა ოცდაათ ვერცხლს. და მრქვა მე უფალმან: დააბნიე ეგე საფასესა შინა! — ფრიადი სასყიდელი, რომლითა დამაფასეს მე! და მოვიღე მე ოცდაათი იგი ვერცხლი და დავაბნიე იგი სახლსა შინა უფლისასა მეკეცისათვის* (ზაქ. თ. 11 მუხ. 12-13).

ისაია წინასწარ ხედავს იესოს წამებას: *„მივეც ზურგი ჩემი მცემელთა ჩემთა და ღაწვნი (ლოყანი) მომწყვლელთა ჩემთა; პირი ჩემი არა დავიფარე შეურაცხებისა და ნერწყვისაგან" (ის. თ. 50, მუხ. 6). იგი იწყლა ცოდვათა ჩვენთათვის... ვითარცა ცხოვარი კვლად მიიგვარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისხველისა თვისისა უხმობელ არს, ესრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა"*.(ის. თ. 53, მუხ. 7).

დავითი წინასწარმეტყველობს, როგორი სიკედილით მოკვდება ქრისტე, როგორ გაიყოფენ მის ტანისამოსს, როგორ დაიტანჯება წყურეილით ჯვარზე და როგორ ასმევენ მას ძმარს: *„კრებულმან უკეთურმან გარემომიცვეს მე, განხვრიტეს ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი და აღრაცხეს ყოველი ძვალები ჩემი, მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე, განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი* (ფს. 21, მუხ. 16-19); *„ყვედრება დაითმინა სულმან ჩემმან და ველოდი მე თანამყოვარსა და არა იყო, და ნუგეშინის მცემელსა, და არა ვჰპოვე. და მომცეს მე საჭმელათ ნაღველი და წყურულსა შინა მასვეს მე ძმარი"*. (ფს. 68, მუხ. 21-22).

წინასწარმეტყველ ისაიას ნაჩვენები აქვს იესო ქრისტეს დასასაფლავებელი ადგილი *„მას მიუსაჯეს საფლავი ბოროტმოქმედთა თანა, ხოლო იგი დაიმარხა მდიდრისათანა"*. (თ. 53, მუხ. 9).

როცა ებრაელები აღთქმის ქვეყანამდის მიიყვანა, მოსემ თავის სიკვდილის წინ დააფიცა იგინი, რომ ყოველთვის ყურადღებით მოეპყრობოდენ ხმასა უფლისა ღვთისასა და ბეჯითად აასრულებდენ მის მცნებებს; და ამისათვის აღუთქვა მათ ყოველივე ქვეყნიური ბედნიერება და გაბატონება ყოველთა ხალხთა ზედა: *„ხოლო, თუ არ შეისმინე ხმისა უფლისა შენისა და არ*

*აღასრულე ყოველი მცნება და დადგენილება მისი, რასაც მე დღეს გიცხადებ, მაშინ მოვლენ შენზედა ყოველი წყევა და გეწევა შენ და წყეული იქნები შენ შინ და გარეთ"*. შემდეგ, როცა ჩამოთვალა ყოველი უბედურებანი, რომელნიც ეწევიან ისრაილს ღვთის ურჩობისათვის, მოსემ, სხვათა შორის სთქვა: ***და განგთესავს შენ უფალი ღმერთი სხვადასხვა ხალხთა შორის კიდითგან, ვიდრე კიდემდე ქვეყნისა... მაგრამ ამ ხალხთა შორისაც ვერ მოისვენებ... და იქმნები შენ სამინელება, და იგავ, და სამღერელ (საკიცხველ) წინაშე ყოვლისა ერისა, რომელთა მიგცემს შენ უფალი ღმერთი შენი"***. (მეორე სჯულისა თ. 28, მუხ. 15, 16, 37, 64 და 65).

ებრაელებმა უარჰყვეს ქრისტე, არა ისმინეს სიტყვისა მისისა, და როგორ ზედმიწევნით აღსრულდა მათზე წინასწარმეტყველება მოსესი!

ამნაირათ, წელიწადი ქრისტეს საქადაგებლად გამოსვლისა, მისი საზოგადო მოღვაწეობის ჟამი, უმთავრესი შემთხვევანი მისი ცხოვრებისა, მისი სასწაულები, მძულვარება მისდამი მათი, ვინც მას უნდა ემხილებია, მისი დიდებული შესვლა იერუსალიმში, მისი გასყიდვა იუდასაგან ოცდაათ ვერცხლათ, რომელიც შემდეგ მეკეცეს ერგო გაყიდული მიწის ფასათ, წამება და ტანჯვა, რომელიც მიაყენეს იესოს, მისი სიკვდილი, სიკვდილის წელიც კი, დაქცევა ტაძრისა, განთესვა და დაწყევლა ისრაილებისა – ყველა ესენი წინასწარ იყო თქმული რამდენიმე ასი წლის წინ და ყოველივე ასრულდა გასაოცარი სისწორით!

განა შეიძლება ამის შემდეგ იმის თქმა, რომ სახარების მოთხრობები ტყუილია და მოგონილი მახარებლებისაგან?

მაგრამ, მიუხედავათ ამ საბუთებისა, სინამდვილის წინააღმდეგ კიდევ შემდეგს ამბობენ: სახარებაში არის გადმოცემული სწავლა ღმერთზე; მაგრამ რადგან მათი აზრით რწმენა ღვთისა ვერ თავსდება თანამედროვე ბუნებისმეტყველების გამარჯვებასთან, განსაკუთრებით კი ვარსკვლავთმრიცხველობის უკანასკნელ აღმოჩენებთან, ამიტომ არცერთი მოთხრობა სახარებისა სარწმუნო არ არისო.

თუ ეს ასეა, ყველა ბუნებისმეტყველნი და განსაკუთრებით ვარსკვლავთმრიცხველნი ურწმუნონი უნდა იყვნენ. მაგრამ ცნობილია. რომ უშესანიშნავესი ბუნებისმეტყველნი, რომელთა მეოხებით მეცნიერებამ ასეთი გოლიათური ნაბიჯი გადასდგა, ყოველთვის ათავებდენ თავის თხზულებებს ღვთის არსებობის აღსარებით!

ცნობილი ვარსკვლავთმრიცხველი კეპლერი ამ სიტყვებით ათავებს თავის თხზულებას „ჰარმონია ქვეყნიერებისა": *„გმადლობ შენ უფალო შემოქმედო და ღმერთო ჩემო, მიტომ რომ შენ მომეც მე შეძლება დამტკბარვიყავ, შენი ქმნილებით, აღტაცებაში მოვსულიყავ ხელთა შენთა საქმითა. მე გა-*

*შოუცხადე ადამიახებს შეხთა საქმეთა დიდება, რამდენათაც ჩემ განსამღ-რულ სულს შეეძლო მისწთომოდა შენ უსამღეროებას".*

ვარსკვლავთმრიცხველი გერშელი ამბობდა: *„რამდესათ უფრო ფარ-თოვდება მეცნიერების მხარე, იმდენათ უფრო ცხადი ხდება ღვთის არსე-ბობა. მით უფრო მეტ საბუთს ვპოვებთ დაუსაბამო შემოქმედის და ყოვლად შემძლებელ გონიერების არსებობისას".*

შესანიშნავი ვარსკვლავთმრიცხველნი კოპერნიკი და ნიუტონი აგრეთვე მორწმუნენი იყვნენ.

ცნობილი ბუნებისმეტყველი ლინნეი თავის მეცნიერულ ნაშრომის დასას-რულს ამბობს: *„დაუსაბამომ, დიდებულმა, ყოვლის მეცნიერმა და ყოვლად ძლიერმა ღმერთმა განვლო ჩემ წინაშე! მე არ მიხილავს იგი პირისპირ, მაგრამ მისმა გამოკრთოლვამ შეიპყრო ჩემი სული და აღუძრა მას კე-თილკრძალულება! მე ყველგან ვამჩნევდი მას მის ქმნილებაში. ყოველ მის საქმეში, თვით უმცირესში და შეუმჩნეველშიდაც, როგორი ძალა, როგორი სიბრძნე, როგორი წარმოუდგენელი სისრულე გამოსჭვირს! მე განმიცდია, როგორ მიდიან ერთი მეორეზე ჯაჭვივით გადაბმულნი სულიერი არსებანი, უერთდებიან მცენარეულობის სამეფოს, ხოლო მცენარეულობა უერთდება ლითონთა სამეფოს, რომელიც იმალება დედამიწის გულში, ხოლო თვით დედამიწა შეუცვლელად ტრიალებს მზის გარშემო, რომელიც აცხოველე-ბს მას. ბოლოს მე განვიცადე მზე და ყველა დანარჩენი მნათობები, მთელი ვარსკვლავთა სისტემა, დაუსრულებელი თვის უსამღეროებაში, დაკიდებუ-ლი საუკუნო ცალიერობაში პირველ მიუწთომელ მამოძრავებელისაგან, არსებათა არსებისაგან, მიზეზთა მიზეზისაგან, მსოფლიოს წინამძღვარისა და მცველისაგან, უფლისა და მოქმედებისაგან ყოველი საქმისა ქვეყნად. ამნაირათ, ჯერ არს რწმუნება, რომ არის ღმერთი დიდებული და დაუსაბა-მო, არ დაბადებული არა რომელიმე არსებისაგან, რომელმან შექმნა ეს მსოფლიო საქმე და დაამყარა შიგ წესიერება. იგი განუცდელია ჩვენ თვალ-თათვის, თუმცა აღავსებს მათ ნათლით; მხოლოდ ერთი გონება სწვდება მას; მხოლოდ ამ ღრმა საკურთხეველში იმალება მისი დიდება".*

ვარსკვლავმრიცხველი და ფილოსოფოსი ფლამარიონი ამბობს: *„თუ ღმერთი არსებობს, მაშინ მის მყოფობაში ეჭვის შეტანა არ შეუძლია მეცნიე-რებას".* როცა მეცნიერული თვალსაზრისით ხელი მიჰყო ღვთის არსებობის დამტკიცებას, იგი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ *„ასტრონომიულ წყობილე-ბის მათემატიკურ წესიერების მიზეზი არის უმაღლესი სიბრძნე, უეჭველია უმაღლესი, ვიდრე სიბრძნე ვარსკვლავთმრიცხველებისა, რომლებმაც გა-მოიკვლიეს ქვეყნიერების მმართველ-მამოძრავებელი კანონების გამო-მეტყველება, და რომ ქვეყანაზე, როგორც აგრეთვე ცათა შინა, არის მიუწ-*

*თომელი გონიერი ძალა, რომელიც განაგებს მთელ ქვეყნიერობის ოჯახობას და შეადგენს მის დიდებას და მშვენიერებას".* მიაღწია თუ არა ამნაირად ღვთის არსებობის სინამდვილეს და აუცილებლობას, ფლამარიონი ათავებს თავის დასკვნას შემდეგი ღაღადით: *„ჰოი, უცნობელო, საიდუმლოებით მოცულო არსებავ! ჰოი, დიდო და მიუწთომელო! ვინ და რა ხარ შენ, თუ საქმენი შენნი ასე დიდნი არიან? საცოდავი ადამიანები, ეს შეურაცხი ჭიანჭველები, რომლებიც დაუუსფუსებენ მათ შეურაცხ* (**НИЧТОЖНЫЙ**) *პლანეტაზე, დარწმუნებულნი არიან, რომ გიციან შენ, ჰოი ყოვლისა უმაღლესო! და რა სახელი უნდა უწოდოთ მას, ვინც უარგყოფს, ვისაც არ სწამხარ, ვინც შენზე ფიქრით არ ცხოვრობს, ვისაც არასოდეს არ უგრძენია შენი ახლო ყოფა, მამაო ყოვლისა ბუნებისა? მე სიყვარულით მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, ჰოი საღვთო დასაბამო. მაგრამ მე იმდენათ შეურაცხი ვარ, რომ ფიქრსაც ვერ ვბედავ, რომ შენ შეისმენ ჩემ ვედრებას. მაგრამ შენ გესმის ჩემი, შემოქმედო! შენ, რომელიც აძლევ მინდვრის ყვავილს სიკეკლუცეს და სურნელებას, მისმენ მეც! ოკეანეს ხმა ვერ დაფარავს შენგან ჩემ ტიტინს და ჩემი აზრი აღწევს შენდამი ამ საზოგადო ლოცვაში"!*

აი, როგორ სწვეთებოდენ ქვეყნის შემოქმედს დიდებული ადამიანები! საფუძელიანმა, წინათგანუზრახველმა ბუნების კანონების შესწავლამ და მსოფლიოს, ყოველი თავის დიდებით განხილვამ მიიყვანა იგინი არა ღვთის უარისყოფამდი, არამედ მის არსებობაში დარწმუნებამდი. და რამდენათ მტყუანი არიან იგინი, რომლებიც ცდილობენ დაარწმუნონ უმცროსი ძმები, რომ რწმენა ღვთისა შეუხამებელია მეცნიერულ გამოკვლევებთან, რომ სარწმუნოებას ძირი ეთხრება, რამდენათაც კაცის გონება იკვლევს ბუნების საიდუმლოებას! და რამდენათ მართალი იყო დიდებული ბეკონი, როცა ამბობდა, რომ *„ცოტა მეცნიერება გვაშორებს ღმერთს, ხოლო ბევრი გვაახლოვებს მასთანო".*

მაგრამ ბუნების კანონების შეუსწავლელადაც, მხოლოდ ქვეყნიერების დიადობის ცქერას მოჰყავდა ხალხები ცნობად ჭეშმარიტი ღვთისა, როგორც შემოქმედისა და ყოვლისა მპყრობელისა. ცნობილი ბერძნის მწერალი, ისტორიკოსი და მოგზაური პლუტარხი, ამბობდა: *„შემოიარეთ მთელი ქვეყნიერება და თქვენ ყველაფერში ბევრ განსხვავებას ჰპოვებთ: თქვენ შეხვდებით სოფლებს, სადაც არავითარი კანონი არ არსებობს; ნახავთ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, რა არის ფული; შეხვდებით ქალაქებს, სადაც არ აქვთ სიმაგრეები; მთელ ტომებს, რომლებმაც არ იციან სახლკარი, მაგრამ თქვენ ვერსად ვერ შეხვდებით ისეთ მხარეს ან ხალხს, რომელთა შორის არ აშენებდენ საკურთხევლებს და სასხვერპლოებს, სადაც არ სწირავდენ მსხვერპლს და არ აღავლენდენ ცისადმი ლოცვას".* ხოლო ციცერონმა სთქვა: „არ არის

*ისეთი ხენეში და ველური ხალხი, რომელსაც არ სწამდეს ღმერთი, თუნდა იმავე დროს მან არ იცოდეს მისი არსება, ხოლო, რაც ასე საყოველთაოა, რამიდაც ყველა დარწმუნებული ვართ, ის არ შეიძლება ტყუილი იყოს".*

დიახ, თუმცა ყოველ ხალხში, ყოველ მხარეში შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ სწამთ არსებობა პიროვნული ღმერთისა, არ ყოფილა და არ არის ისეთი ხალხი, რომელიც სათითაოთ ყველა ურწმუნო ყოფილიყოს. და ეს რწმენა ღვთისა, რომელიც თანშობილი თვისებაა ყოველი ხალხისა, ეს მისწრაფება ადამიანებისა მასთან კავშირის დაკავებისა, ადამიანის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. ყველა იმ არსებათაგან, რომლებითაც დასახლებულია დედამიწა, მხოლოდ ადამიანი, როგორც საღვთო გონების ნაპერწკლით დაჯილდოებული, მიისწრაფვის თავის შემოქმედისაკენ, მხოლოდ ის არის რელიგიოზური. და რამდენათ უფრო მაღლა დგება ადამიანი ცხოველებზე თავის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებით, იმდენათ უფრო შესაძლებელია მისთვის დაუახლოვდეს ღმერთს და თავი მოიდრიკოს წინაშე მისი სიბრძნისა, ძლიერებისა და დიადობისა.

მაგრამ ადამიანისათვის საკმარისი არ არის იცოდეს, რომ ღმერთი არსებობს: უნდა იცოდეს ისიც, თუ რა თვისებისაა იგი.

როცა ღვთის არსებობაში დარწმუნდა, ფლამარიონმა დაიყენა ასეთი საკითხი: *„ვინა ხარ შენ, თუ საქმენი შენნი ასეთნი დიდნი არიან"!* ასეთი საკითხი აღელვებდა არა მხოლოდ ფლამარიონს: ყოველ საუკუნეში ყოველს ხალხებს, რაც უნდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარიყვნენ იგინი, სწამდათ რა უმაღლესი არსება, შემოქმედი და მმართველი ქვეყნისა, ყოველთვის ცდილობდენ დაახლოებით გაეცნოთ იგი; აღმოსავლეთის ბრძენებს, ძველ საბერძნეთის და რომის ფილოსოფოსებს, ყველას სწყუროდა აეხსნა ფარდა, რომელიც ფარავდა მათგან უცნობ ღმერთს, მაგრამ ყოველივე საცადი ამ საკითხის საკუთარი ძალებით გადაწყვეტაში ამაო რჩებოდა: **საჭირო იყო, რომ თვით ღმერთს განეცხადებია თავის თავი ადამიანებისათვის. აი სწორეთ ეს განცხადება შეადგენს სახარების არსებას.**

რომ უკეთ შევითვისოთ სახარების მოძღვრება, უნდა გაეიხსენოთ ძველი აღთქმის წარმოდგენები ღმერთზე. ძველ აღთქმაში ღმერთი წარმოდგენილია, როგორც მრისხანე, შურის მაძიებელი, მსჯელი ცოდვისათვის, არა მხოლოდ შემცოდისა, არამედ მისი უბრალო შვილების და შვილთა შვილიშვილებისა. საიქიო მისაგებელზე ქვეყანაზე გატარებულ ცხოვრებისათვის ძველი აღთქმის ხალხი თითქმის არც კი ფიქრობდა; მომავალ საუკუნო ცხოვრებაზე მათ არც კი ჰქონდათ სათანადო წარმოდგენა და დარწმუნებული იყვნენ, რომ მისაგებელი ცუდ საქმეთა და კეთილ საქმეთათვის აქვე ამ ქვეყნათ მოხდება, სანამ კაცი ცოცხალია. ამიტომ ყოველი დამოკიდებულება

ძველი აღთქმის ადამიანების მრისხანე და შურის მეძიებელ (ძველების წარმოდგენით) ღმერთთან დაფუძებული იყო უმთავრესად შიშზე მის წინაშე და გამოიხატებოდა ამ სიტყვებში: „გეშინოდეს ღვთისა“.

ქრისტემ კი მოგვიტანა კეთილი, სასიხარულო ამბავი, რომ ადამიანი უკვდავეია, — რომ ხანმოკლე ქვეყნიური სიცოცხლე მისი არის მხოლოდ მომზადება საუკუნო ცხოვრებისათვის, — რომ ადამიანი მისაგებელს ამ ქვეყნიურ მოქმედებისათვის მიიღებს უკანასკნელ განსჯის დროს, — რომ ყველა ოდესღაც ცხოვრებული ადამიანები აღდგებიან და მათის საქმეებისადაგვარად ზოგნი სასუფეველის დაუსრულებელ ნეტარებაში იქნებიან, ხოლო ზოგნი საუკუნო სატანჯველში, — რომ სასუფეველის დამკვიდრებისათვის საჭიროა ღვთის ნების აღსრულება, — რომ ღმერთი, როგორც უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე, მოითხოვს ჩვენგან სიყვარულს მისდამი და ყოველი ადამიანისადმი, — რომ ჩვენ უნდა მოეეპყრათ ყველას ისე, როგორც სხვისგან მოვითხოვთ მოპყრობას და სხ.

ერთი სიტყვით, იესო ქრისტემ აღმოგვიჩინა ჩვენ ღმერთი სიყვარულისა და სიკეთისა; — ღმერთი, რომელიც ეძიებს გზადაბნეულ ცოდვილს, რომ გაასწოროს და შეანანებიოს, ღმერთი, რომელიც უტევებს ცოდვას ყოველ გულწრფელად მონანულს, და სიხარულით ღებულობს შინ დაბრუნებულ მონანულ მეძავ შვილს, — ღმერთი, რომელმაც მხოლოდ ჯვარზე უკანასკნელ აღმომშვინვის დროს შენანებული ავაზაკი შეიყვანა სამოთხეში! ქრისტემ გვიქადაგა ჩვენ ღმერთი სიყვარულისა და მოწყალებისა და ჩვენ დამოკიდებულებას მასთან გამოხატავს ორ სიტყვაში: „გიყვარდეს ღმერთი“.

რამოდენი განსხვაეებაა ძველი აღთქმის და ახალი აღთმის ადამიანთა წარმოდგენაში ღმერთზე! იქ შიში, აქ სიყვარული! იქ უნდა თავი შეეკაეებია ცოდვისაგან შიშისა გამო საშინელი სასჯელისა მრისხანე და შურის მაძიებელ ღვთისაგან; აქ კი კეთილ და მოყვარული მამის ნების ასრულებისთვის, რომელიც (მამა) თვით გიყვარს ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა.

მაგრამ ყოველივე ეს საიდუმლოა, რომლის აღმოჩენა ადამიანს საკუთარი ძალებით არ შეეძლო, რაც უნდა ნიჭიერი ყოფილიყო იგი; ამიტომ, რომ ვირწმუნოთ ეს სიტყვები, უნდა გავეეცნოთ მეტყველის პიროვნებას, უნდა შევიტყოთ: ვინ იყო იესო? შეიძლება თუ არა მისი მხოლოდ კაცად წარმოდგენა? და, თუ ის მხოლოდ კაცი არ არის, მაშინ ვინ არის იგი?

რომ პირდაპირ უპასუხოთ ამ საკითხზე საჭიროა თავდაპირველად ვიცოდეთ: მართლა თუ აღსდგა ქრისტე? ზევით უკვე დავამტკიცეთ, რომ ის ჭეშმარიტად აღსდგა. და თუ იგი საკუთარი უფლებით აღადგენდა მკვდრებს და დაუსწრებლად ჰკურნავდა მომაკვდავ ავათმყოფებს; თუ მის ბრძანებას ემორჩილებოდენ ქარი და ღელვა ზღვისა — მაშ უნდა მივიღოთ, რომ

იგი ზეგარდმო ძალით იყო ძლიერი, იდგა გარეშე ბუნების კანონებისა, მეუფობდა მათზე და არ ემორჩილებოდა მათ, და ამიტომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ კაცი. თუ, ამასთანავე მთელი მისი ცხოვრება ამტკიცებს, რომ ის იყო უცოდველი; თუ მისი მოსისხარი მტრები, მწიგნობრები და ფარისეველები, იძულებული იყვნენ გაჩუმებულიყვნენ, როცა იგი საქვეყნოთ შეეკითხა მათ: *ვინ თქვენგანი მამხილებს მე ცოდვაშიო?* – მაშ სჩანს მას არ შეეძლო ტყუილი ეთქვა.

ამნაირათ, რადგან ჩვენ მივიღეთ, რომ მას არ შეეძლო ტყუილი ეთქვა, უნდა მივიღოთ ისიც, რომ იგი არც სცდებოდა, რადგან შეცდომილება არის მოუფიქრებელი, ზერელე გამოძიება ჭეშმარიტებისა, ხოლო ასეთი ზერელობა არ შეჰფერის მას.

თუ მას განძრახ ტყუილის თქმა არ შეეძლო, არ შეიძლებოდა რომ შემცდარიყო, მაშ როგორ და ვისგან შეიტყო მან ყოველივე ის, რაც სთქვა?

საიდუმლოებანი, რომელნიც ქრისტემ აუწყა ქვეყნიერებას, არ შეეძლო სცოდნოდა მას, როგორც კაცს. იგი უცხადებდა მათ, როგორც ღვთისაგან მოღებულს და ამბობდა: ***„მომავლინებელი ჩემი ჭეშმარიტ არს, და რაიცა მესმა მისგან, მას ვაუწყებ სოფელსა“*** (ი. თ. 8, მუხ. 26); ხოლო გამოსათხოვარ საუბარში მოციქულებს უთხრა: ***გრწმენინ ჩემი, რამეთუ მე მამისათანა ვარ და მამა ჩემთანა; უკეთუ არა გრწმენინ საქმეთა, რომელთა მე ვიქ*** (ი. თ. 14 მუხ. 11).

ამნაირათ, იესო ამბობდა, რომ ყოველივე, რასაც იგი ასწავებდა, განუცხადა მას თვით ღმერთმა და, როგორც იგი ღმერთშია, ისე ღმერთი მასშია.

**იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტების მოწმეს, შესაძლებელია ან მთლათ ვენდოთ ან მთლათ არ ვენდოთ; შუა გზის არჩევა შეუძლებელია. მაგრამ, რადგან უცილობელ სიმართლის მექონეს, აღდგომილს და ამაღლებულ იესოს ვერ შევრაცხავთ სიცრუის მოწმეთ, არ შეიძლება შევრაცხოთ მხოლოდ კაცათ, მაშ დაგვრჩენია, ერთადერთი სახსარი: დავერწმუნოთ მას ყველაფერში უცილობლათ, თუგინდ ამ ყველაფერთაგან ზოგიერთი რამ მიუწთომელიც იქნეს ადამიანის შეზღუდული ჭკუისათვის.**

# ბიბლიოგრაფია

## წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ნაშრომების პუბლიკაციები


1. მღვდ. ს. მჭედლიძე, *„საღვთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა"*. შემოკლებული ლოცვანით, ღვთისმსახურებით და კატეხიზმოთი, შედგენილი თანახმად უწმ. სინოდის პროგრამისა ყოველგვარი დასაწყისი სახალხო საერო და საეკლესიო სკოლებისათვის; ქუთაისი, სტამბა „ძმობა", კ. ი. ოცხელის და ამხანაგობის მაღაზიის გამოცემა, 1914, 1915 წწ.; რეპრინტი - თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი" 2015წ.
2. მ. ს. მ-ძე (მღვდელი სიმონ მჭედლიძე), *„ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში"*, ქუთაისი, სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა; 1907წ. ; რეპრინტი - თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი" 2015წ.
3. *„სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა"*, გლადკოვიდგან, თარგმნილი რუსულით მღვდ. ს. მჭედლიძის მიერ, ქუთაისი, 1914; რეპრინტი - თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი" 2015წ.
4. სვიმონ მჭედლიძე, *„საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა"*, გამომც. „ხელოვნება", ტექსტი რედაქტირებულია ელგუჯა გიუნაშვილის მიერ, 1990წ.
5. სიმონ მჭედლიძე, *„ღმრთისმსახურების შესახებ"*, „ხელოვნება", გამოსაცემად მოამზადეს მ. კალანდაძემ, ზ. სარჯველაძემ, ე. გიუნაშვილმა, თბ., 1990წ.
6. მღვდ. სიმონ მჭედლიძე, *სჯული ბუნებრივი და სჯული განცხადებული* (ბ. ივ. როსტომაშვილის წიგნაკის გმო), ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1990, #2, გვ.68-70.
7. სიმონ მჭედლიძე, *„სიტყვა აკაკის იუბილეს დღეს"*, პუბლიკაცია მოამზადა თბილისის სამხმელო-მექანიკური ქარხნის თანამშრომელმა, ჯემალ ლეჟავამ, გაზ. „ერი",1991წ., 19 ივნისი, 1991წ., გვ 2.
8. ახალმოწამენი: მღვდელი სიმონ მჭედლიძე. სტატიების კრებული (ჟურნ. „მწყემსი და სამწყსო"... „შინაურ საქმეები", 1908-16 წლები); სასულიერო-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა; რედაქტორ-გამომცემელი - დ. მელიქიშვილი, „გულანი", თბილისი,, 1995წ.
9. წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძე, (150 წლისთავი: 1985-1915), პუბლიკაცია 1. *„ღია წერილი იმერეთის სამღვდელოებას"*, 2. სარედაქციო წერილი. გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი, 2015 წ., #7-8, გვ. 56-61.
10. Мчедлидзе Симон Михайлович, «Священная история Ветхого завета» для мл. отд. гимназий, реальных и гор. училищ (составил свящ. С. Мчедлидзе) Кутаисъ, тип. "Братство." 1909, 38 стр.


## მასზე და მის ირგვლივ


1. ამყოლაძე თემურ, *„მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები"*, ჟურნ. „ცისკარი", 1998, #11,გვ. 116-129.
2. ამყოლაძე თემურ, *„კვლავ ახალმოწამეთა თაობაზე,"* გაზ. „ჩვენი მწერლობა", 26 ოქტ.-26 ნოემბ.
3. ახალმოწამენი - *„ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი* (ცხოვრება და მოღვაწეობა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გოჩა ასა-

თიანმა), თბ. 1995წ.

4. *ახალმოწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელო კრებული* („ჩეკას" არქივის მასალების მიხედვით პუბლიკაცია მოამზადეს ფილოლოგიის მეცნ დოქტ., პროფ. დამანა მელიქიშვილმა და ისტორიის მეცნ. დოქტ., პროფ. სოსო ჭანტურიშვილმა), ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა", 1998 38-9, გვ. 9-12; იხ. ასევე, გაზეთი „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია", 310 (22), ოქტომბერი 2000წ., გვ.1-4.
5. ახალმოწამენი და მათი მემკვიდრენი: „*მოგონებები მამაზე*", გაზ. „გაენათი", სპეციალური გამოშვება #1 (13), 2013წ., გვ 18-19.
6. *ახლადმიკვლეული მასალები ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მღვდელმოწამე ნაზარისა და მასთან ერთად წამებულთა უკანასკნელი დღეების შესახებ.* გაზ. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, 2000წ.
7. *ბოსლეველი. ნაწერები;* ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით,, თსუ გამომცემლობა, 1961წ.
8. გურული ვახტანგ, „*მიტროპოლიტ ნაზარის საქმე*" (1924წ. აგვისტო-სექტემბერი), გამომც. „უნივერსალი", თბ. 2009წ.
9. *დაუჯდომელი საგალობელი წმ. ახალმოწამეთა: ნაზარისი, გერმანესი, იეროთეოსისი. სიმონისი და ბესარიონისი (და ყოველთა ახალმოწამეთა)*, ავტორი - მღვდ. მიქაელ გალდავა, რედ. ედიშერ ჭელიძე, 2002წ.
10. კეზევაძე მერაბ, *ეგზარხოსობის დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები*, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საქატთველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი. საგამოცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2008წ.
11. კვინიკაძე ჯუმბერ, „*სულიერი მამა - სკოლის დამაარსებელი*", გაზ. „ხარაგაული", 1991წ., 30 იანვარი, ოთხშაბათი, გვ.2.
12. მარგიანი გრ., ბოსლეველი, საქართველოს მეცნ. აკად., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, გამომც. „მეცნიერება", 1986წ.
13. მელიქიშვილი დამანა, ეკლესიის წარსულიდან: „*გამოვედით, გუშაგნო ვენახისანო*" - დასავლეთ საქართველოს ეპარქია ჟურნ. „შინაური საქმეების" ფურცლებზე (1908-1916 წწ)", გაზ. „მადლი", 1995წ. 18 აპრილი #4,სამშაბათი გვ. 8.
14. მელიქიშვილი დამანა, „*დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და საზოგადოებრივი გაზეთი „შინაური საქმეები და იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი "ძმობა წმიდისა მთავარმოწამისა ძლევამშემოსიისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა*", კრებული „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები", სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1998წ., გვ. 257- 269.
15. მელიქიშვილი დამანა, „*მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა*" ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", 1990წ, #2, გვ. 65-70.
16. მელიქიშვილი დამანა, *გაზეთ „შინაური საქმეების" 100 წლისთავისათვის: დას. ეპარქიის 55-ე საეკლესიო კრება*, სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია", 2008 წ., #5. გვ. 3-22.
17. მელიქიშვილი დამანა, *მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის 150 წლისთავისათვის*, გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, 2015წ. #3-4, გვ.47-63. იხ. ასევე, . *წმ. მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის 150 წლისთავისათვის*, „საპატრიარქოს უწყებანი", 314

(759) 10-16 აპრილი, 2015 წ., გვ. 13-16.

18. *მეოცე საუკუნის წმინდა მამები*, ჟურნ. „სარკე", 26 დეკემბერი, #52, 2001 წ.

19. *მოგონებები მამაზე - (ახალმოწამის, წმიდა სვიმონ ხუცესის -მჭედლიძის ქალიშვილის, აკადემიკოს მარგალიტა მჭედლიძის მოგონებები)*, გაზ. „გაენათი", ახალმოწამეთა სახ. ქუთაისის მართლმადიდებლური სკოლის პერიოდული გაზეთი #3,(8) 2000წ. აგვისტო-სექტემბერი, გვ.4-5. იხ. ასევე.

20. *მღვდ. ს. მჭედლიძის წერილები თ. ჟორდანიას*. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო ჟორდანიას საარქივო მასალა: ## 613, 615, 616, 617, 617.

21. მჭედლიძე იური, *ბოსლეველი მჭედლიძეები* (1650-2003). 2003 წ.

22. *საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებული კრება*,.გაზ. „მადლი", #9 (104), 30 სექტემბერი, 1995წ.

23. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი წმინდანები: წმ. მღვდელმოწამე ნაზარი და სამღვდელო კრებული*, სალიტერატურო გაზეთი, 1996, მარტი, გვ.14.

24. საქართველოს ეროვნული არქივი: Ф. 287, Арх. №2 л.; Мчедлидзе Симон. Кутаисский уезд; испол. комитет. Принимал участие в августовской авантюре. Ф. 300; Мчедлидзе Симон Михайлович; рожд. 1865 г. сел. Свири. Лаше- Гвеки высше нач уч-ще Заведыв.; националист. Опись 1.

25. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივი, საქმე # # 1627., 2458, 24424.

26. სალინაძე რუსუდან, „*მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის საგამომცემლო საქმიანობა*", წიგნში: „ ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან " თბილისი, 2011წ, 22-42.

27. *სახელოვანი მამულიშვილნი : მღვდელი სიმონ მჭედლიძე*, საბავშვო ალმანახი „ციცინათელა", #78, 2005წ., გვ.4.

28. ქსა - ქუთაისის ეროვნული არქივი: მღვდ. სიმონ მჭედლძის ფონდი.

29. *ჩვენი ეკლესიის ტრაგიკული ფურცლები: დეკანოზ ვასილ დოლაბერიძის მოგონებები*. გამოსაცემად მოამზადეს ლუარსაბ ტოგონიძემ და გიორგი მაჩურიშვილმა), გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი, 2006წ. # 2,4; #5, თებერვალი, 2006წ.

30. ციციშვილი გიორგი, „*სრულიად საიდუმლოდ: სია პირებისა, რომლებიც დაიხვრიტნენ საქართველოს „ჩეკას" მიერ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის*". გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა".

31. „*წარსულის ფურცლები - საეკლესიო კითხვის შესახებ*". გაზ. „მადლი", 27 ნოემბერი 1990წ.

32. ჭიჭინაძე ზაქარია, *მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სტამბა ქუთაისს*, წიგნში: „ქართული სტამბა 1627-1916წწ."; სტამბა „განათლება".

# ახალმოწამენი და მათი მემკვიდრენი

## მოგონე[illegible] [illegible]ემაზე

**(ახალმოწამის, წმიდა სვიმონ ხუცესის (მჭედლიძის) ქალიშვილის, აკადემიკოს მარგალიტა მჭედლიძის, მოგონებები)**

(27 აგვისტო—ხსენება მღვდელმოწამე ნაზარის ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტისა, გერმანე, იეროთეოს და სვიმონ ხუცესთა, ბესარიონ მთავარდიაკონისა (1924) და ყოველთა ახალმოწამეთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან წამებულთა).

*„ყოველსა, ვინც მე აღმიარებს, აღვიარო წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა" (მთ. 10,32),—[illegible] [illegible] და ამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ნაზარი—[illegible], [illegible] [illegible] [illegible] და ერის [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და სხვა [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].*

მთავარეპისკოპოსი
ანანია ჯაფარიძე
თბილისი, 30 ივლისი, 1995 წელი



ჩემს მეხსიერებას მამა, მღვდელი სვიმონ მჭედლიძე, შემორჩა მხოლოდ მისი სიცოცხლის ბოლო დღეებით. მაგ ანაფორაში გამოწყობილი, ახოვანი, ჭაღარა გრძელი წვერით მოსილი. მახსოვს იგი ეზოში წყნარი სიარულით მოთამაშე ბავშვებს. ალბათ, ჩემთან განსაკუთრებით ლმობიერად მე გამოვყოფდი ჩემს ტოლებს, მიყვარდნენ მასთან [illegible]. მკლავზე [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ჩემსკენ გადმოხრილ მამას, მერე მის გულზე დაყრდნობილ ძალიან ლამაზ ჯვარს და მოვეფერებოდი ისევ [illegible]. მაშინ მე მხოლოდ ხუთი ან ექვსი წლის თუ ვიყავი და, რასაკვირველია, აზრადაც არ მომდიოდა, რომ ეს იყო ჩემი საბედისწერო დამშვიდობება მამასთან და ალბათ, სამუდამოდაც.

როგორც შემდეგში გავიგე, იგი მიტროპოლიტ ნაზარისა და სხვა მღვდელმსახურებთან ერთად წაიყვანეს რომელიღაც ეკლესიის საკურთხევლიდან და სახლში აღარ დაბრუნებულა, იგი დახვრიტეს მათთან ერთად [illegible] [illegible] გასასვლელში.

**ტროპარი**

რომელთა მრავალფეროვანი წყლულებანი დაითმინენით და უკანასკნელ მოიკვეთენით ქრისტესთვის, წმიდანო ახალმოწამენო ქართველთა ეკლესიისა: ნაზარი, გერმანე, იეროთეოს, სვიმონ, ბესარიონ და ყოველნო უკანასკნელთა ჟამთა მოწყვეტილნო ურწმუნოთაგან. ჩვენთვისცა ევედრენით უფალს, ნუგეშინი, რათა მშვიდობა ჰყოს სამწყსოისა და ერისა ქრისტიანეთასა, რამეთუ გაქვსთ კადნიერებაი წინაშე ღვთისა.

**კონდაკი**

მოვედით მოწამეთა ნაზარის და სხვათა ძმათა მისთა და მათთანა ახალმოწამეთა პატივს ვსცემდეთ, ვითარცა ახალ ნერგთა ზეციერთა. რამეთუ ნერგი არს მოწამე იგი, რომელი განაპოვა სისხლითა მათითა, და წმიდა სამირნი იგი, რომელთა მოწყალეებს გვამნი მათნი. ამისთვისცა გამოუბრწყინდეს ერისა ჩვენისა სიხარულად.

ოჯახი, სადაც მე გავიზარდე, ქუთაისში შეიქმნა და დიდი ხნის განმავლობაში ქუთაისში ბინადრობდა. ოჯახის მამა, სვიმონ მჭედლიძე, იყო ერთადერთი ვაჟი იმერეთის ეპარქიის ბლაღოჩინისა და იმერეთის სკოლის ზედამხედველის, მიხეილ მჭედლიძისა, ხოლო დედა, ეკატერინე, ცნობილი გენერლის, თავად ბესარიონ დგებუაძის ქალიშვილი. მათი ქორწინება ერთერთ სიყვარულის საფუძველზე შედგა.

ჩემი მამა, სვიმონ მჭედლიძე, გარდა იმისა, რომ ღვთისმსახურების წმიდა რიტუალს ასრულებდა და იყო გამრჯე ეპისკოპოსისგან ხელდასხმული მღვდელი, ეწეოდა დიდ საგანმანათლებლო, საგამომცემლო და პუბლიცისტურ საქმიანობას. კერძოდ, იგი იყო რედაქტორი და გამომცემელი ყოველკვირეული სასულიერო ზნეობრივი გაზეთისა „[illegible] საქმეები", რომელიც 1908-1916 წლებში ქუთაისში გამოდიოდა. მისივე რედაქტორობით 1913 წლიდან გამოდიოდა ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული კრებული „განთიადი", რომელშიც, სხვათა შორის, ახალგაზრდა გალაკტიონიც ბეჭდავდა თავის ლექსებს. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ღირსშესანიშნავი ნაშრომები, როგორიცაა „საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა", რომელიც დღესაც რელიგიის სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული სკოლებში, წიგნები: „ღმრთისმსახურების შესახებ", „ივანე გომართელის შეხედულებანი ქრისტიანობაზე" და სხვა.

სხვათა შორის, 1999 წლის ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში ცნობილი რადიოსადგური „ივერიის ხმა" ყოველ ხუთშაბათს, რელიგიის რუბრიკაში გადმოსცემდა სვიმონ მჭედლიძის წიგნს, „ღმრთისმსახურების შესახებ"—მონაკვეთს, რაც

იდგა 1924 წლის აგვისტო, ჩვენი ოჯახისა და მთელი საქართველოსთვის მეტად მტკივნეულად მოსაგონარი ჟამი ამ ღრთისათვის. გარდა მამაჩემისა, დატყვევებული იყო ჩემი დედა და ჩემი ორი და (ალბათ, მამაჩემის გამო). ოჯახში, ჩვენს დიდ მამულში, სოფელ სვირში, [illegible] იყო მიტოვებული სამი მცირეწლოვანი ბავშვი—მე და ჩემი 7 და 10 წლის ძმები.

[illegible] [illegible] შემდეგ, (ჩემი ძმები და დედა მამის დახვრეტის შემდეგ გათავისუფლდნენ), ოჯახში საშინელმა შიმშილმა და მწუხარებამ დაისადგურა. იყო მხოლოდ ჩემი გოდება და ძალიან დიდხანს ვკითხულობდი მამაზე სულ. ეს იყო ყველა ჩემთვის გულით შეუძლებელი ჭრილობა. ხშირად მწუხარების გამო მაშინ ძალიან დიდ რისხვას იყო დაკვირვებული, და არც იყო საჭირო, მაინც ვერავინ გაიგონებდა.

თავიდან სეიმონ მჭედლიძის ბიოგრაფიის ფურცლი გამექცნეთ დიდწილ.

მისივის არც ხუქეულმოქმედი საქმიანობა იყო უცხო. მისი თაოსნობით და ლიდი მატერიალური შენაწირით აგრე ხელი სოფელ ლაშეში, ხარაგაულის რაიონში, ჯერ კიდევ 1908 წლის სკოლის ლიდი, ორსართულიანი შენობა აშენებულე კე-სიმუქება ხუთი მოიანი სოფლის მოსახლეობას 1908 წლის ნოემბერში სკოლამ 80 წლის იუბილე იზეიმა და მას ადგილობრივი მუხლერებლების. თხოვნით მღუდელ, სეიმონ მჭედლიძის სახელი მიენიჭა.

შეგახსენდი კიდევ გაგავრცელებულის ნიმუშელა ოქიწლის, რაც მან ცაიღო ამ ლოსის სიმბოლო თუ სამინისტრო საქმეების. მაგრამ დაგემუგდებულად თქმელი.

იუსაბში შუშის ლოცინი კიბერბეტილი, მათ შორის, თისი ქილომეცლი და სიმი ვაგი მარმელადი იუსაბის თავის ლიქრიალიზებული ლოთი ბრიგადიბა, მაგისტრის მქირ გაერაფებლი მეცნიერი თეოლოგიურისა და ფილოსოფიის. არც ერთი ხელნაწერი არ დაიბეჭდა ლი უწყოფილი ქიმცოფლით. არ გადარჩენილა. არც გადარჩენილა ამ ამ ღვთის და და იყო წიგნი კრიაგეშიბილი დელის თამასხელდ, რომელიც ალზის კუთნებულებოდას. მაგალითად გამოცემულა ხურო-როსი ლოცვანი სასწაულთ მოქმედი გორის და უკრაინის ალბომ-გამოთვლები დაგყოფილებ. ასე წამოიდა იუსაბი სივკვ ეროვნე დასა, პეხარინიანი, რომელიც იურიდიული განათლება პეტერბურგში აქონდა მიღებული და იუსაბის პატრონობით, 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს.



ქსე მოდელიტ მჭედლის ... ხიდი გადასული ქუთაისელ ... 27.08.2000 წ

მოგეხსენებათ, როგორ მეორე დაბ. ბაბიმ, ქუთაისის ვაჟთა ლური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ძე დავითერი მოღვაწეობა თბილისში განაგრძო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეთოდური ნაწერი და ორი მონოგრაფია. რაც მთავარია, მან დაწერა თბილისის პირველი საშუალო სკოლის ისტორია, რომლის უდიდესი ამ სკოლის ლეიწლო. მას რამდენიმე ხნის წინ 100 წლის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადეს.

მოგეხსენებათ, როგორ მესამემ, ბიძინა მჭედლიძემ, უმაღლესი სამეცნიერო განათლება ლენინგრადში მიიღო. იყო აფხაზეთის გზათა სამმართველოს უფროსი, აფხაზეთის გზების გამყვანი და მშენებელი, ცნობილი გუმისთის ხიდის პროექტის ავტორი და ამშენებელი.

როგორი მეოთხე ძმა, დიმიტრი მჭედლიძე, ცნობილი მოღვაწე იყო დამთავრებული აქონდა ლენინგრადის კონსერვატორია. ათეული წლების განმავლობაში იყო თბილისის ხალხური თეატრის დირექტორი და რაც თქვენთვის დარჩენილი მის თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ქუთაისის ხალხური თეატრი.

როგორი მეხუთე, ნინო (გუგული) მჭედლიძე—პროფესორი პედაგოგი იყო დიდი იუსაბის ლელა და გამზრდელი ცნობილი მეცნიერის, ლიანა, კაკა, გიზო და ნინო მჭედლიძეებისა, რომლებიც დიდი აღიარებით მოღვაწეობენ მეცნიერების ხელოვნების, ტექნიკისა და არქიტექტურის დარგებში.

მეექვსე შვილი ეკატერინე მჭედლიძე—ცნობილი ინჟინერია.

მეშვიდე—მე გახლავართ, მარგალიტა მჭედლიძე—მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის და გურამის მეცნიერებათა აკადემიისა.

იუსაბის დისშვილის და ტრადიციებს არც შთამომავლობა და შთამომავლობა ულალატებს ნინო მჭედლიძე ცნობილი კონსერვატორია, ბიძინა მჭედლიძე (შთამომავალი) გვარისა და სოფლის ამშენებელი იყო და მრავალ ხელნაწერებით არქიტექტურაზე მუშაობდა. ლელა ხატვით კულტურის რესპუბლიკაში, დაბას მჭედლიძეთა ოჯახებისთვის მეცნიერთა დოქტორი და ვაჟების ცეკვების აკადემიკოსია, ვაჟა ბელადის უფროსი ცნობილი მოქანდაკე რამაზ მჭედლიძე დიპლომატიური კორპუსის მრჩეველი.

მჭედლიშვილების თამარი, ნანტანე და თინათინ მჭედლიძეები ტატიანის მეცნიერებათა დოქტორი, გამოგონების ავტორის... მეტად თავისებური მეცნიერების ... მეცნიერებათა დოქტორი, მოდელების ინჟინრი, ... საერთაშორისო მეცნიერებათა დოქტორი, ... წლის სპორტსმენის გარდა-ციის ცენტრში და მამულის კოლეგები თამაშის მეტი აქტიური სტუდენტის მაგრა მჭედლიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პიანისტი ლევან ხარაბადი ცნობილი რესტორნის გამოგონებით იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ლიდო მუსიკოსი აგრეთვე ცნობილი მხატვარია და ა.შ.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი იუსაბის მონაგარია კიდევ წარმატება ჩვენს მომავალი ახალგაზრდა თაობაზე გადმოსვლი დეროს მაღლა და მივიდეს ცენტრისაგან და გაიღვიძე ძალის ქვეყნისათვის საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაზე კელიდი.

მე და მთელი ჩვენი იუსაბი უღრმესად მადლიერი ვართ, რომ სკოლას მაგრამ ახალმოწამეთა სახელი ხელ რამდენიმე წლის წინ ამაზე იქნებოდა კი მესაუბრები იყო მარიამისა, ხსოვნა და ხსენება ამ სახელებისა მათი უშუალო მოწაფეებისა და ახლობლების გულსა და გონებაში არ მოკვდება. მაგრამ მათი სახალხოდ გაცხადება ბალეს იმედს, რომ ახალგაზრდება შეიტყობენ ამ დიდის მამულის სამშობლოს წინაშე მიხვდელი ვალისა და იმ ლეიწლის შესახებ, რომელიც მათ გასწიეს ქართველი ხალხის კულტურისა და ხელოვნებისთვის ეს კი არის იმედის ხელოვნება იმათ, წამებულთა, რამეთუ თავისუფლების ხელოვნა განვითარება და სიყვარულის მომავალის ბრძოლის გზაზე.

სიტყვები ვერ გამოთქვამს რა განწყობილება მეუფლება ახალმოწამეთა სახელების ამ მეტრის კედლებში ლოცვისას, ეს არის უზენაესის მადლიერების გრძნობა და რწმენა იმისა, რომ სიკეთე-სიკეთეთ თავის გზას არ დაკარგავს და ქვეშევრდომება და სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს. ეს რწმენა აღებით. სულიერად განამტკიცებს წამებულთა წამების ეროვნულ გზაზე.

**ნათელა ბარბარე ახალაძე**



# „ძალიან ახოვანი. ლამაზი იყო ჩემი მამა!“

... მარგარიტა მჭედლიძე



## მამულიშვილები

## „ძალიან ახოვანი, ლამაზი იყო ჩემი მამა“

იგონებს წამებული მღვდლის, სიმონ მჭედლიძის უმრწემესი ქალიშვილი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **მარგარიტა მჭედლიძე**

„ექვსი წლის გოგონას ასე ჩამრჩა როდინოულისაკენ მიმავალი ანაფორიანი ახოვანი მღვდლის სურათი: ძალიან ახოვანი, ლამაზი იყო ჩემი მამა...

იმ დღეს მეზობლის ბავშვებთან ერთად ვთამაშობდით ჩვენს დიდ ეზოში, წყაროსთან (იმ წყაროს დღესაც „ბლაღოჩინის წყაროს“ ეძახიან: ბაბუაჩემის გამოყვანილი იყო). მამაჩემი გამოწყობილი რომ დავინახე, მივხედი, სადღაც მიდიოდა, მივირბინე – დაიხარა და მაკოცა, მეც ფეხის წვერებზე ავიწიე და ჩავეხუტე, მის ჯვარსაც ვემთხვიე, მუდამ გულზე რომ ეკიდა, მოვბრუნდი და ისევ ბავშვებს მივაშურე. აღარც მიმიხედავს, როგორ წავიდა, საით წავიდა... მას მერე აღარც მინახავს... მაშინ დავემშვიდობე ალბათ, ჩემს ბავშვობასაც...“

*ამას ქალბატონი მარგარიტა მჭედლიძე გვიყვება. ეს იყო მისი, ექვსი წლის ბავშვის, პირველი ლტოლვილობა... მეორე – წილად ხვდა 73 წლის ასაკში, როდესაც სოხუმი დაეცა...*

*ვისაც საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში უსწავლია, ან მცენარეთა ედაფურ ეკოლოგიასთან ნცირედი შეხება მაინც ჰქონია, მან კარგად იცის რა წონისა და ავტორიტეტის მეცნიერი და პედაგოგია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი მარგარიტა (მარგო) მჭედლიძე.*

*სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი ჯერ თბილისიდან ქუთაისში რომ გადმოვიდა, აი, იქიდან მოყოლებული, ქალბატონი მარგარიტა დედაბოძად უდგას საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტს – სოხუმშიც გაჰყვა და იქ ათეული წლები იღვაწაიყო ეკოლოგიის კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე... სოხუმიდან კი მის ყოფილ სტუდენტს – აფხაზს გამოუყვანია ალმოდებული ქალაქიდან. თუ როგორი განსაკუთრებული და დასაფასებელი პიროვნება უნდა იყოს იგი, აქედანაც ჩანს...*

*პროფესორ მარგარიტა მჭედლიძეზე, მის მოღვაწეობასა და სამამულო მეცნიერების წინაშე დამსახურებაზე, ალბათ ერთ დროს მონოგრაფიას დაწერენ დარგის სპეციალისტები. ამ საოცარ ქალბატონთან ჩვენი დღევანდელი სტუმრობის თემა კი მისი მამის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ახალმოწამე მღვდლის, სიმონ მჭედლიძის მრავალშვილიანი ოჯახია.*

## უსაფლავო მამა

**– ქალბატონო მარგარიტა, შემდეგ რა მოხდა?**

საქართველოში 1924 წლის გამოსვლები რომ დაიწყო, ჩვენ სოფელ სვირში, ჩვენს პაპაპაპეულ მამულში ვცხოვრობდით, ბაბუაჩემის, ბლაღოჩინ მიხეილის მამის, მღვდელ სიმონ მჭედლიძის (რომელიც ბოსლევიდან სვირში ადრევე იყო გამწესებული მოძღვრად) მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად, რადგან ჩვენს ოჯახს ქუთაისში უკვე ჩამორთმეული ჰქონდა ორი სახლი: ერთი – საცხოვრებელი სახლი და მეორე – მის წინ, კაზაკოვის ქუჩის გასწვრივ (დღევანდელი პაოლო იაშვილის ქუჩა) – სტამბის შენობა (მემორიალური დაფა გვამცნობს, რომ ამ შენობაში იყო განთავსებული მღვდელ სიმონ მჭედლიძის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა მისი გაზეთი „შინაური საქმეები" და საერო და სასულიერო საგანმანათლებლო წიგნები). და, აი, სწორედ სვირში მოგვისწრო ამ ამბებმა.

მამას წაყვანისთანავე, დედაც დაიჭირეს და ჩემი უფროსი ძმებიც – ბიჭიკო (ბესარიონი), ბიძინა და მიტუშა (დიმიტრი). იმ დღეს რა დამავიწყებს: ჩვენი დიდი სახლი ბორცვზე იდგა და მოპირდაპირე ბორცვიდან ქვემეხებით იცხრილებოდა... სამი პატარა ბავშვი უმწეოდ ვეფარებოდით სალომე მამიდას (რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა და დედას ეხმარებოდა ჩვენს აღზრდაში): ჩემი დები – გუგული (ნინო) – 12 წლისა, ეკატერინე – რვისა და მე – დაახლოებით –ექვსისა.

მამა დახვრიტეს ნაზარი მიტროპოლიტთან და სხვა მღვდლებთან ერთად, დედა და ძმები კი მალევე გამოუშვეს...

საშინელი იყო ჩემი ადრეული ბავშვობა – გამუდმებულ მოლოდინში ვიყავით – ვინ მოვიდოდა, ვის წაიყვანდნენ, დედასაც ხომ არ დაიჭერდნენ... საფლავიც კი არ ვიცოდით მამასი. მერე დედამ გაიგო, სად და როდის დახვრიტეს როდინოულის ეკლესიის კურთხევაზე მისული სამღვდელოება: მისი გადმოცემით, ეს მარიამობის ღამეს მომხდარა, საფიჩხიაზე, ებრაელების სასაფლაოსთან ახლოს.

## დედის ბედი

**– გენერალ დგებუაძის ქალს, ალბათ დიდი საფრთხე ელოდა. როგორ წარიმართა მისი ბედი?**

– დედაჩემი ძალიან ნატანჯი ქალი იყო, სიკვდილს მრავალჯერ ჩახედა თვალებში: ზესტაფონში რომ ვაგონები დაცხრილეს, იმას დედაჩემმა ნახევარი საათით ვერ მიუსწრო და ამან გადაარჩინა. 24 წელში და შემდგომ მომხდარმა ამბებმა, ცხადია, მძიმე დაღი დაასვა მის ცხოვრებას. მუდმივ

შიშსა და ძრწოლაში იყო. 37-ში უფროსი ვაჟი, ბესარიონი — ბიჭიკოც გადაუსახლეს ციმბირში და მისი გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, სისხლი ჩაექცა და 44-ში, 9 მარტს გარდაიცვალა 67 წლისა.

მთავარი რა არის, იცით? — საერთოდ, ერთმანეთში, ოჯახში, მომხდარი უბედურების შესახებ არასოდეს ლაპარაკობდნენ, წარსული წაიშალა, თითქოს ეს ტაბუირებული იყო. თორემ, სწორედ ამას წინ ვამბობდი, აბა რა მიშლიდა მე ხელს, რომ ჩემიანებში დავეჭყდარიყავი და დედასთან ან უფროს და-ძმასთან და წლების მერე, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მაინც მეკითხა ყველაფერი? ბოლოსდაბოლოს, დედაჩემი ხომ საუკეთესო საისტორიო წყარო იყო იმ ეპოქისა: მამია გურიელის დისშვილი იყო: ბებიაჩემი აჭარელი თავადის, თავდგირიძის ქალი გახლდათ. მისი ძმა, თავდგირიძე, მაშინ, 1906 წელს სოხუმის ქალაქის თავი იყო. დედა შესანიშნავად იცნობდა მაშინდელ მოწინავე მამულიშვილურ საზოგადოებას, სულ ახსოვდა მაშინდელი მიმოწერები, ვინ ვინ იყო... (სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა...); ქუთაისში, „ეკატერინე მჭედლიძის სახლში" სასწავლო მოსამზადებელი კურსები ჰქონდა... საერთოდ, ხალისიანი ხასიათი ჰქონდა, შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, თუმცა იშვიათად... ძალიან დარბაისელი და კდემამოსილი იყო... შავი სამოსელი არ გაუხდია...

— სვირიდანაც გამოგვყარესო, ბრძანეთ. ეს როგორ მოხდა?

1928 წელს „განვეაკულაკეს" და ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩენოდა, მაგალითად, წითელი ხის ავეჯი, სავარძლები, ჭურჭელი...ყველაფერი, ყველაფერი სოფელში დაიტაცეს. სულ თვალწინ მიდგა, როგორ იტაცებდნენ ჩვენს ხაბაკს, როგორ ყრიდნენ ნახნავებში ხატებს... იცით, ერთადერთი, რაც შემოგვრჩა, სახელობითი წარწერით მამაჩემისთვის ათონის წმ. მთიდან გამოგზავნილი ივირონის ღვთისმშობლის ხატის ასლია, რომელიც სასწაულებრივად გადაგვირჩა. ეს საოჯახო ხატია, რომელიც სპეციალურადაა დაწერილი სიმონ მჭედლიძისა დამისი მეუღლის, ეკატერნესათვის. ხატს ქვემოთ წარწერა აქვს, რომ იგი ეძღვნება მამა სვიმონ მჭედლიძეს, ხოლო ღვთისმშობლის მარცხნივ და მარჯვნივ წმ. ეკატერინეს და სვიმეონ მიმრქმელის გამოსახულებებია, რომლებიც დედას და ბაბას მფარველი წმინდანებია.

მაშინდელი მძიმე შთაბეჭდილებები იმდენად ჩაგვრჩა გულში, რომ არც ერთი ჩვენგანი ამის მერე სვირში აღარ ჩასულა. ვერ დავძლიეთ ის ტკივილი...

— მამის ხელნაწერები, ჟურნალ-გაზეთების კომპლექტები, წიგნები?

მამაჩემისაგან ძალიან ცოტა რამ დაგვრჩა. მაგალითად, მახსოვს, „შინაური საქმეების" კომპლექტი ნათესავებში რომ გადამალა. მერე აღარ დაგვიბრუნეს, თუ თვითონ გაანადგურეს.

ზოგი რამ, იძულებულები იყვნენ, თავისივე ხელით გაენადგურებინათ ხელნაწერები, დოკუმენტები, უძვირფასესი საოჯახო ფოტოები... დედამ ზოგი რამ კელენჯერიძეების სხვენზე გადამალა (მელიტონ კელენჯერიძის სიძე, კოტე ფოცხვერაშვილი მამაჩემის მამიდაშვილი იყო). გენერალ ბესარიონ დგებუაძის, მამამისის ერთი სურათი მაინც რომ გადაერჩინა, დედამ ის შუაზე გადატესა და ლეიბში ღრმად ჩამალა.

მაგრამ მამაჩემის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ცოტა რამ გადარჩა, გეტყვით, როგორ: იმ „განკულაკებამდე“ რამდენიმე ხნით ადრე ხონიდან, სადაც ის მასწავლებლობდა, სეირში ჩამოსული იყო ჩემი ძმა ბიძინა (ნანა მჭედლიძის მამა). დედამ უთხრა, შვილო, ეს წიგნები შენ წაიღეო. ალბათ რაღაც წინათგრძნობა იყო... ხატები კი არ გაატანა, ალბათ იმიტომ, რომ ეშინოდა, ამის გამო შვილისათვის არაფერი ევნოთ. წაიღო ჩემმა ძმამ ეს წიგნები ხონში (ნანაც იქ არის დაბადებული). მერე ის დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთში მოღვაწეობდა და მეორედ მოინაცვლეს ადგილი ამ წიგნებმა. სოხუმის დაცემის შემდეგ ამ წიგნების ბედი არავინ იცის.

ასე რომ ჩვენ, შვილებს არაფერი შემოგვრჩა, გარდა ჩვენი ოჯახის მფარველი ღვთისმშობლის ხატისა, ძველი ფოტოებისა და ბლაღოჩინის კვერთხისა, რომელსაც ვერცხლის სალტეზე წარწერა აქვს „ბლაღოჩინი მიხეილი.“

## შთამომავლები

**— რამდენადაც ვიცი, სიმონ მჭედლიძისა და ეკატერინე დგებუაძეს 13 შვილი შესძენიათ. ბევრი თქვენი დედმამიშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე კარგადაა ცნობილი...**

— 13 შვილი კი შეეძინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის ექვსი მცირეწლოვან ასაკში დაეღუპათ, ძირითადად „სახადით“. ჩვენ, უმცროსები, რომლებიც ამ სენსაც გადავურჩით მათ სურათების მიხედვით ვიცნობდით: მიხეილს, ტასოს, ხაფიას, პელაგიას, მარიას, ელისაბედს...

დანარჩენებზე, ვინც ცოცხლები გადაერჩით და ზრდასრულ ასაკს მივაღწიეთ, — მოგახსენებთ:

უფროსი ძმა — ბესარიონ (ბიჭიკო) მჭედლიძე რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ჩემზე 30 წლით იყო უფროსი. როგორც უკვე ვთქვი, 37-ში გადაასახლეს და იქ დაიღუპა. ძალიან კოლორიტული პიროვნება იყო, იმ პერიოდში მთელ თბილისში განთქმული — შესანიშნავი ხმისა და მუსიკალური ნიჭის პატრონი... სამწუხაროდ, მას შვილი არ დარჩენია.

**ბაბო (ბარბარე) მჭედლიძე** – ცნობილი, დამსახურებული პედაგოგი იყო. პირველი სკოლის (ახლა – გიმნაზიის) სპეციალურ სტენდზე, რომელზეც ამ სასწავლებლის 200 წლის არსებობის მანძილზე მომუშავე საუკეთესო პედაგოგებია აღნუსხული, ბაბო მჭედლიძეს საპატიო ადგილი უჭირავს.

**ბიძინა მჭედლიძე** – აფხაზეთის ხიდებისა და გზების მშენებელი. რიწის ტბამდე შემოვლითი გზების ავტორი და მშენებელი; ცნობილია მისი პროექტითა და ხელმძღვანელობით აშენებული სოხუმიდან ეშერაზე გადასასვლელი ხიდი მდ. გუმისთაზე. ერთ პერიოდში აფხაზეთის გზათა მინისტრიც იყო.

ბიძინა 1921 წლის თებერვალში კოჯრის ბატალიონში იბრძოდა: მისი სურათიც გვაქვს, იუნკერის ფორმაში, ძმასთან ერთად გადაღებული. ალბათ ეს გაუხსენეს, როცა ბიძინა 1923 წელს, მაისში დააპატიმრეს „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ გამო, მაგრამ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გათავისუფლებულ იქნა. ბიძინას მეუღლე – ბაბილინა ფარცხალაძე, რომელიც რუსული ენის მასწავლებელი იყო ხონში (სადაც ბიძინა მათემატიკას ასწავლიდა), 1937 წელს გადაასახლეს ციმბირში (ბრალდებით: „პროპაგანდა-აგიტაციისათვის, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას“). იქიდან 12 წლის შემდეგ დაბრუნებული, მალევე გარდაიცვალა... გათავისუფლების საფუძვლად ცნობაში აღნიშნულია: «Виновность не доказана»... ბიძინას უფროსი ქალიშვილია ნანა მჭედლიძე, ცნობილი კინორეჟისორი („იმერული ესკიზების“, „პირველი მერცხლის“ და სხვა, ქართველი მაყურებლის საყვარელი ფილმების ავტორი და რეჟისორი). ნანას „იმერულ ესკიზებში“ სწორედ მისი ბავშვობის პერიოდია გადაღებული.. ბიძინა გარდაიცვალა 1965 წელს, დაკრძალულია გუდაუთაში, სადაც იგი 1937 წლის შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე; მისი სეხნია – ვაჟი, ბიძინა (ბიჭი) მჭედლიძე, ასევე, საგზაო მშენებლობის ინჟინერი – მამის საქმის გამგრძელებელი იყო, რომელმაც მასზე ნაკლები როდი იღვაწა: პამირის, სვანეთის მთიანი გზების ამშენებელი იყო, გაგრის შემოსასვლელი გზა, ზუგდიდი-სვანეთის გზა აფხაზეთის გზებისა და სოხუმის აეროპორტისკენ მისასვლელი გზა მისი გაყვანილია. და სოხუმის აეროდრომიც მისი აშენებულია; დაწყებული ჰქონდა თბილისი-ნოვოროსიისკის მაგისტრალის მშენებლობა... მაგრამ სრულიად მოულოდნელად 1987 წელს გარდაიცვალა სწორედ ამ გზების მშენებლობის დროს (დაკრძალულია სოხუმში, კელასურის სასაფლაოზე). მისი სამი ვაჟი – დიმიტრი, არჩილი და ვახტანგი – რომლებიც სოხუმში იბრძოდნენ და ბაბუას აშენებულ გუმისთის ხიდს იცავდნენ, ახლა ესპანეთში ცხოვრობენ... ბიძინას კიდევ სამი შვილი ჰყავს მეორე ქორწინებიდან: გიორგი (გია), მარინა და ნინა, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

 

ძმა — დიმიტრი მჭედლიძე — მომღერალი, სახალხო არტისტი — დიმიტრი არაყიშვილის მოწაფე იყო, მანვე გააგზავნა იგი ლენინგრადის კონსერვატორიაში, სადაც სტუდენტობისას გაიცნო და ცოლად შეირთო ამ კონსერვატორიაში ციმბირიდან სასწავლებლად ჩამოსული — ვერა დავიდოვა (ცნობილი მეცო სოპრანო, ამნერისისა და კარმენის პარტიების, ლეგენდარული შემსრულებელი), რომელთან ერთადაც წლების განმავლობაში გამოდიოდა ჯერ მარიინის თეატრში და შემდეგ — მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. ერთხანს იყო ამავე საოპერო თეატრის დასის ხელმძღვანელიც. 1953 წელს კი იგი მოიწვიეს თბილისის საოპერო თეატრის დირექტორად და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში (შუალედში მცირე წყვეტილით), ხელმძღვანელობდა ამ თეატრის დასს და მის რეპერტუარს. გარდა იმისა, რომ იგი ფლობდა არაჩვეულებრივ, ხავერდოვან ბანს და შთამბეჭდავი დრამატული სახეები შექმნა ბანის პარტიებისა — ბორის გოდუნოვის, მეწისქვილისა, ცანგალასი და სხვა — მისი ხელმძღვანელობის პერიოდი თბილისის საოპერო თეატრის აღორძინების, ოქროს ხანა იყო: იდგმებოდა საუკეთესო საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მსოფლიო სახელის მქონე მომღერლები, მან თეატრში უზრუნველყო არაჩვეულებრივი შემოქმედებითი გარემო, რომელშიც იქმნებოდა ახალი ქართული ოპერები და ბალეტები (მათ შორის საბავშვო სპექტაკლებიც); სასცენო ასპარეზზე გამოვიდა ქართველ მომღერალთა ახალი, უძლიერესი თაობა, რომელსაც გზა გაუხსნა სწორედ ჩემმა ძმამ, დიმიტრი მჭედლიძემ: მისი და მისი ერთგული მეუღლის მზრუნველობის ქვეშ გაიარა იმ პერიოდის მომღერალთა მთელმა ახალგაზრდა თაობამ... მან გაიყვანა პირველად, 70-იან წლებში, ქართუ-

ლი საოპერო და საბალეტო დასები ამერიკაში, ევროპაში, პოლონეთსა და გერმანიაში; მანვე დაიწყო საოპერო თეატრის სახალხო, გასელითი სპექტაკლები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში... დიმიტრის დიდი შრომისა და თაოსნობის ნაყოფი იყო ქუთაისის საოპერო თეატრის დაარსება. ეს მისი ოცნება და ცხოვრების მიზანი იყო, იგი ამ თეატრის აწმყოთი და მომავლით ცხოვრობდა... ალბათ არ მოეწონებოდა ჩემს ძმას, მაგრამ არ შემიძლია არ ეთქვა სათქმელი: ბოლოს ბევრი წყენა და უმადურობა შეხვდა თავის აღორძინებულ თბილისის ოპერის თეატრშიც და მისსავე დაარსებულ ქუთაისის ოპერის თეატრიდანაც... 1983 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა...

რაც შეეხება შთამომავლობას, დიმიტრის და ვერას ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი — რამაზი, რომელიც მეტად ერუდირებული, განათლებული ჟურნალისტი და დიპლომატი იყო. მოღვაწეობდა საქართველოშიც რუსეთშიც და ბოლოს, პოლონეთშიც, სადაც გარდაიცვალა და დაკრძალულია ვარშავაში, მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. მისი ოთხი შვილიდან ორი — ოლიკო (ფილოლოგი, მასწავლებელი) და თეიმურაზი (ფიზიკოსი — ამჟამად მოღვაწეობს იაპონიაში) მიტუშას და ვერას გაზრდილები არიან... ეკატერინე და ნატა — საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

ჩემი და — ნინო (გუგული - გუგუნინას ვეძახდით) — პედაგოგი გახლდათ, თუმცა დიდხანს არ უმუშავია, ოთხი შესანიშნავი შვილი გაზარდა: ნიკოლოზ (გიზო) მელიქიშვილი — გამოცდილი მშენებელი ინჟინერია; ვაჟა (სიმონ) მელიქიშვილი — ცნობილი მხატვარი და მოქანდაკეა; დამანა მელიქიშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და გელათის მეცნირებათა აკადემიის წევრია (ამავე დროს, დიდი ოჯახის დედცაა) და ყველაზე უმცროსი — ნინო მელიქიშვილი — არქიტექტორია, მეტად საინტერესო არქიტექტურული პროექტების ავტორია.

არ შემიძლია, მადლიერებით არ მოვიგონო ჩემი სიძე — ნიკო მელიქიშვილი, რომელიც ჩვენი — ყველას პატრონი იყო ყველანაირი გაჭირვების ჟამს — ომისა თუ მშვიდობის დროს. ჩემი დაც მან გადაარჩინა: სკოლიდან რომ გარიცხეს „მგლის ბილეთით" (როგორც რეპრესირებულის შვილი), ის მცხეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში ასწავლიდა. ჩემი სიძე მაშინ მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე იყო და იქ გაიცნო. ნიკო მელიქიშვილმა ძალიან კეთილი კვალი და სახელი დატოვა მცხეთაში: ომის დამთავრების მერე თბილისში რომ გადმოიყვანეს, მოსტიროდნენ: გაჭირვებული ხალხის შემწე იყო, სამთავროს მონასტერს ეხმარებოდა; არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს ყველანაირ დახმარებას უწევდა ექსპედიციას: აკად. სი-

მონ ჯანაშიას და გიორგი წერეთლის სამახსოვრო წარწერებით წიგნები მინახავს მათ ოჯახში...

და ეკატერინე — მშენებელი ინჟინერია. ძალიან კარგი ხმა ჰქონდა და ერთხანს კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის კვარტეტშიც მღეროდა. ნანასაც ჰყავს გადაღებული რამდენიმე ფილმში — სახასიათო როლებში. ჰყავს ერთი ვაჟი — გოჩა მრავალმხრივი ნიჭის პატრონი, მსახიობი და მხატვარი-დიზაინერია;

მე ვარ ყველაზე უმცროსი, რომელსაც არ მყავს არც ქმარი, არც შვილი, მაგრამ ...

— „მაგრამ ათასი ბავშვის აღმზრდელი...“ ბრძანდებით.

— ეს კი მართალია, უამრავი შვილი მყავს, ჩემი გამრდილი, და-ძმის შვილებისა თუ სტუდენტებისა და ნასტუდენტარების სახით...

— სეირიდანაც გამოგვეყარესო, ბრძანეთ. ეს როგორ მოხდა?

1928 წელს „განგვეაკულაკეს“ და ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩენოდა — მახსოვს, წითელი ხის ავეჯი, სავარძლები, ჭურჭელი... ყველაფერი, ყველაფერი წაიღ-წამოიღეს: სულ თვალწინ მიდგას, როგორ იტაცებდნენ ჩვენს ხაბაკს, როგორ ყრიდნენ ნახნავებში ხატებს... იცით, ერთადერთი, რაც შემოგვრჩა, სახელობითი წარწერით მამაჩემისთვის ათონის წმ. მთიდან გამოგზავნილი ივერონის ღვთისმშობლის ხატის ასლია, რომელიც სასწაულებრივად გადაგვერჩა. ეს საოჯახო ხატია, რომელიც საგანგებოდაა დაწერილი მამაჩემისათვის: ხატს ქვემოთ წარწერაც აქვს, რომ იგი „ეგზავნება მამა სვიმონ მჭედლიძეს“, ხოლო ღვთისმშობლის მარცხნივ და მარჯვნივ წმ. ეკატერინეს და სვიმეონ მიმრქმელის გამოსახულებებია, რომლებიც დედას და ბაბას მფარველი წმინდანებია.

მაშინდელი მძიმე შთაბეჭდილებები იმდენად ჩაგვრჩა გულში, რომ არც ერთი ჩვენგანი ამის მერე სეირში აღარ ჩასულა... სხვათა შორის, ჩემს ძმას, დიმიტრი მჭედლიძეს (ოპერის დირექტორი რომ იყო), სთავაზობდნენ ჩვენს ნასახლარს, მაგრამ უარი თქვა... ვერ დაეძლიეთ ის ტკივილი...

— მამის ხელნაწერები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები? ...

სამწუხაროდ, თითქმის ყველაფერი დაიკარგა თუ განადგურდა... მაგალითად, მახსოვს, დედამ „შინაური საქმეების“ კომპლექტი, მამას ნაშრომ-ნაწერები ნათესავებში რომ გადამალა. მერე აღარ დაგვიბრუნეს, თუ გაანადგურეს, არ ვიცი... ზოგი რამ, იძულებულები იყვნენ, თავისივე ხელით გაენადგურებინათ: ხელნაწერები, დოკუმენტები, უძვირფასესი საოჯახო ფოტოები... დედამ ზოგი რამ კელენჯერიძეების სხვენზე გადამალა (მელიტონ კელენჯერიძის სიძე — კოტე ფოცხვერაშვილი მამაჩემის მამიდაშვილი იყო). გენერალ ბესარიონ ლგებუაძის, მამამისის სურათი რომ გადაერჩინა,

დედამ ის შუაზე გადატეხა და ლეიბში ღრმად ჩამალა.

მაგრამ მამაჩემის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ცოტა რამ მაინც გადარჩა – გეტყვით, როგორ: იმ „განქულაკებამდე" რამდენიმე ხნით ადრე სკირში ჩემი ძმა, ბიძინა (ნანა მჭედლიძის მამა) ჩამოვიდა ხონიდან, სადაც ის მასწავლებლობდა. დედამ უთხრა – „შვილო, ეს წიგნები შენ გქონდეს, წაიღეო". ალბათ რაღაც წინათგრძნობა იყო... წაიღო ჩემმა ძმამ ეს წიგნები ხონში... მერე ის დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთში მოღვაწეობდა, გუდაუთაში ცხოვრობდა და ამ წიგნებმა მეორედ მოინაცვლეს ადგილი. სოხუმის დაცემის შემდეგ კი იმ წიგნების ბედი არავინ იცის.

ასე რომ ჩვენ, შვილებს არაფერი შემოგვრჩა, გარდა ჩვენი ოჯახის მფარველი ღვთისმშობლის ხატისა, ძველი ფოტოებისა და ბლაღოჩინის კვერთხისა, რომელსაც ვერცხლის სალტეზე წარწერა აქვს: „ბლაღოჩინი მიხეილი".

## ტრადიცია

– თქვენი დიდი პაპიდან მოყოლებული, ოჯახს ტრადიციად მოსდგამდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის მსახურება... თუ განაგრძობს ვინმე თქვენიანი ამ ტრადიციას?

– მჭედლიძეები მართლაც სასულიერო, სამღვდელო წოდების გვარია (ბოსლევიდან), მაგრამ დღემდე ასეთი არავინ გვყოლია, თუმცა, შვილთაშვილებიდან ბესიკ ხარანაული გამონაკლისია, თავისი სურვილით 6 წლიდან სტიქაროსანია, ვნახოთ, შეიძლება ის იყოს ტრადიციის გამგრძელებელი. დომნიკა (დომნა) მამიდას და ილარიონ ხოჯავას მხრიდან (რომელიც მღვდელი იყო იმერეთის ეპარქიაში: გეგუთში, პატრიკეთში...) მათი შვილთაშვილები განაგრძობენ სამღვდელო მოღვაწეობას: – გოჩა აბულაძე და ლაშა ხოჯავა*, დომნიკა მამიდას შვილი იყო ზოსიმე ხოჯავა, ცნობილი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძის მოწაფე; შვილიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე – ბაბილინა (ბაბულია) ლომინაძე.

– მსმენია, რომ მჭედლიძეები ნახევარ საუკუნეზე მეტია, ყოველ 15 თებერვალს იკრიბებით და აღნიშნავთ მამის ხსოვნას – რატომ ამ თარიღს?

– ეს მჭედლიძეების ტრადიციაა: 15 თებერვალს მირქმის დღესასწაულია. მართალია, – სიმეონ მიმრქმელის ხსენების დღე – სიმონობა მეორე დღეს, 16-შია, მაგრამ დედაჩემი თავის სიცოცხლეში მამას ხსოვნას ამ დღეს აღნიშ-

---

* ამჟამად სხალთის ეპარქიის მიტროპოლიტი, სპირიდონი (აბულაძე); ხულოს უნივერსიტეტის რექტორი.
ამჟამად დეკანოზი გიორგი (ხოჯავა), მოღვაწეობს სამთავისისა და კასპის ეპარქიის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის კასპის საკათედრო ტაძარში.

ნავდა. ავად რომ გახდა, ეს იყო სწორედ თებერვალში, დედამ დაგვიბარა: ამ დღეს, 15 თებერვალს, ბაბასთან ერთად მეც მომიხსენიეთო. ასეც ვიქცევით. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ჩვენ ამ დღეს ყველანი ერთად ვიყავით, ჩემი უფროსი დის — ბაბუცას (ბაბოს) სახლში, სადაც ცხოვრობდა დედა ქუთაისიდან ლტოლვილობის შემდეგ. უწინ, ჩემი ძმების დროს, უფრო ხალხმრავლობა იყო ჩვენს შეკრებაზე. ახლა თანდათან ძველი თაობა წავიდა და თანაც, დროის შესატყვისად, ცოტა სალეათობაა. მაგრამ ეს ჭეშმარიტად ჩვენი ოჯახის ზეიმია: მთელი ნათესაობა ისევ ძველებურად ვიკრიბებით, მთელი წლის განმავლობაში ვემზადებიან ამ დღის შესახვედრად, ერთი სული აქვთ, როდის მოვლენ შეკრებაზე — და განსაკუთრებით ბავშვებს უხარიათ და ელოდებიან"...

საკუთარ თავზე ქალბატონი მარგარიტა არ ლაპარაკობს... ის უკვე 80 წელსაა გადაშორებული და, როგორც ამბობს, — „თუ ცოცხალი ხარ, მტკიცედ უნდა იდგე, თუ არა-და, ჩამოშორდი შენს საქმეს! — „ხეები ზეზეულად კვდებიან-მეთქი" - ასე ვუძახი მე საკუთარ თავს".

იგი თბილისში, „ივერიაში" ცხოვრობს, რადგანაც საკუთარ სამშობლოში ლტოლვილია და იმ ქალაქში, სადაც მის დიდ ოჯახს ორი სახლი ჰქონდა და დღეს ლექციების ჩასატარებლად უხდება ჩამოსვლა, თავად მას საკუთარი ჭერი არ გააჩნია... ერთხანს ლტოლვილებისათვის გამოყოფილ ტურისტულ სასტუმრო „ხვამლში" შეიკედლა მისმა ყოფილმა ასპირანტმა, ახლა კი, ქუთაისში ხანგრძლივად დარჩენა რომ უწევს, თავისი ლტოლვილი კოლეგის მიერ დაქირავებულ ბინაში აფარებს თავს... მაგრამ საკუთარი ჭერის პრობლემა როდი აწუხებს ქალბატონ მარგარიტას! მისი მთავარი საწუხარი ისაა, რომ იმ სახლში, სადაც იგი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მისი მღვდელმოწამე მამის მემორიალური მუზეუმი გაიხსნას:

— „იმ სახლში ერთი ოთახიც საკმარისია იმისათვის, რომ იქ მოეწყოს მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი ცენტრი, სწორედ ისეთი, როგორიც მამაჩემის ჟურნალის, „შინაური საქმეების" ფურცლებზე ჩანს"...

და იგი დარწმუნებულია, რომ ის პატარა ოთახი ქუთაისის ინტელიგენციისა და შემოქმედი ახალგაზრდობის სულიერ ნავსაყუდლად იქცევა...

ესაუბრა ჟურნალისტი ნანული ცხვედიანი
Post Scriptum, ქუთაისი, № 26 (140) 2- 8 ივლისი, 2001 წელი.

## „ ვინ გაგვეკარებოდა? ყველას ეშინოდა!“

სრული სამოცდაათი წელი ცხოვრობდა საქართველო ათეისტური რეჟიმის ქვეშ, ათასნაირი ხერხით ცდილობდნენ, დაევიწყებინათ ქართველისთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება, ჩვენი ერის მაცოცხლებელი წყარო – ქრისტეს მოძღვრება, "რომელმაც ჩვენი ეროვნება, – როგორც ილია მართალი ბრძანებს, – ვითაობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა... და შემოგვინახა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა“. ამიტომ იყო, რომ, მიუხედავად რეპრესიებისა, ქართველი ხალხი ათეისტურ რეჟიმს ვერ ურიგდებოდა და თავგამოდებით იბრძოდა საქართველოსმართლმადიდებელი ეკლესიის დაკარგული ავტოკეფალიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. მრავალმა საკუთარი სისხლით დაამოწმა უფლისა და სამშობლოს სიყვარული. მათ შორის იყო მღვდელი სვიმონ მჭედლიძე. ჩვენ სტუმრად ვიმყოფებით მის ქალიშვილთან, ქალბატონ ეკატერინესთან, რომელიც თვალცრემლიანი იხსენებს 1924 წლის ტრაგიკულ ამბებს.



**– 1995 წლის 19 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სვეტიცხოველში მოწვეულმა გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ წმინდანად შერაცხა მიტროპოლიტ ნაზართან ერთად სიკვდილით დასჯილი სიმონ მჭედლიძე და კიდევ სამი სასულიერო პირი.**

– როცა გავიგე, რომ დედა ეკლესიამ მამაჩემი წმინდანად შერაცხა, გული უსაზღვრო სიხარულით ამევსო. ეს იყო ენით გამოუთქმელი ბედნიერება. სიტყვები არ მყოფნიდა გამომეხატა, როგორ ხარობდა ჩემი გული. ბაბა ცოცხალია! ბაბა ცოცხალია! – ამასღა ვეუბნებოდი ყველას. მადლიერმა შთამომავლობამდაუშრეტელ ლამპრად აანთო მისი სახელი ერის ისტორიაში. მეც მადლობელი ვარ უწმინდესისა, რომელმაც არ დაივიწყა რწმენისთვის თავდადებულნი და უკვდავყო მათი სახელი. სამწუხაროდ, ჩემი და-ძმებიდან მხოლოდ მე და ჩემი უმცროსი და – მარგო მოვესწარით მის რეაბილიტაციას.

**– რას გაიხსენებთ წმინდა სიმონის მოღვაწეობიდან?**

– მამას ყველაზე მეტად იმიტომ დევნიდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქუთაისში სასულიერო-სამოქა-

ლაქო გაზეთი "შინაური საქმეები" დააარსა. ეს იყო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი, რომელშიც წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა, რადგან გაზეთს თვითონ რედაქტორობდა. მისი სტატიებიათეისტი სოციალ-დემოკრატებისა და მარქსიზმის მიმდევრების ნააზრევს ამხელდა. ქუთაისში საკუთარი სტამბა ჰქონდა, სადაც ისტორიული წიგნები იბეჭდებოდა. მამა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა – სენაკის სააზნაურო სკოლაში ასწავლიდა. 1891 წელს დედაჩემზე, გენერალ ბესარიონ დგებუაძის ასულზე, ეკატერინეზე, დაიწერა ჯვარი და სოფელ სეირიდანსაცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა, სადაც კერძო პანსიონი, პროგიმნაზია გახსნა...

**– როგორ მოხდა მისი მღვდლად ხელდასხმა?**

– ჩვენი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. მამაჩემის ბაბუას, მღვდელ სიმონს, ოთხი ვაჟი ჰყავდა – ევსტათი, დავითი, მიხეილი და ზაქარია. მე მხოლოდ ზაქარია ბიძიას მოვესწარი. მამაჩემის მამა, დეკანოზი მიხეილი („ბლაღოჩინს" ეძახდნენ) იმერეთის ეპარქიის ბლაღოჩინი გახლდათ. მისი ძმა – ევსტათი პუბლიცისტი იყო. იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელქიქოძემ ეპარქიის კანცელარიის მდივნად დანიშნა. 1885 წელს სრულიად ახალგაზრდა მოუკლავთ ეპისკოპოსის მოწინააღმდეგეებს.

მამაჩემი წინაპრების კვალს გაჰყვა.სტავროპოლის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს 1894 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა დაასხა ხელი დიაკვნად, იმავე წელს აკურთხეს მღვდლად და სოფელ სეირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს...

**– სასულიერო პირთა ოჯახებს საშინლად ავიწროებდნენ ბოლშევიკები...**

– მამას ცამეტი შვილი ჰყავდა. ჩვენ სოფელ სეირში ვცხოვრობდით. მახსოვს, პატარები რომ ვიყავით, სკოლაში არ გვიღებდნენ. რეპრესიები არც მამაჩემის მკვლელობის შემდეგ დამთავრებულა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგი განათლება მივიღეთ – ჩემი უფროსი ძმა, ბესარიონი, იურისტი გახდა; 1937 წელს გადაასახლეს და იქ დაიღუპა კიდეც. ბიძინამაფხაზეთის გზებისა და ხიდების მშენებლობას შეალია სიცოცხლე; დიმიტრი, საქართველოს სახალხო არტისტი და მომღერალი, ღიდხანს ედგა სათავეში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, ქუთაისშიც საოპერო თეატრი დააარსა...

**– ქალბატონო ეკატერინე, სულ პატარა იქნებოდით, წმინდა სიმონი რომ დახვრიტეს..**

– 8 წლის ვიყავი, თუმცა მახსოვს მისი ბოლო სიტყვები: "მე მალე ჩამოვალო", გვითხრა გამომშვიდობებისას.

იმ საშინელ ღამეს მიტროპოლიტ ნაზართან, დეკანოზ გერმანესთან,

დეკანოზ იეროთეოზსა და პროტოდიაკვან ბესარიონთან ერთად როდინოულის ეკლესიის საკურთხევლად მამაც წასულა. ღამე ერთ-ერთ ოჯახში გაუთევიათ, მძინარეებს ჩეკისტები დასხმიან თავს. ხელ-ფეხი შეუკრავთ, თოფის კონდახებით უცემიათ და ურემზე დაკრულები სოფლის საბჭოში მიუყვანიათ. მეორე დღეს პატიმრები ქუთაისის შინსახკომში გადაუყვანიათ და ბნელ საკანში გამოუმწყვდევიათ. ისინი დახვრიტა "განსაკუთრებულმა სამეულმა". ეს მოხდა ქუთაისში, საფიჩხიის ტყეში, მწვანეყვავილაზე, ებრაელების სასაფლაოს განაპირას... ბავშვს შემზარავად ჩამრჩა მეხსიერებაში ის წუთები, როცა მამას მკვლელობის ამბავი შევიტყვეთ. ამ საშინელი განსაცდელის ჟამს სრულიად მარტო აღმოვჩნდით. ბუნდოვნად მახსოვს: მაცხოვრის ერთი დიდი ხატი, კუთხეში რომ იყო მიყუდებული, იმის უკან ვიმალებოდით მე და ჩემი უმცროსი და. მეზობლები სახლებში შეიყუჟნენ, ვინ გაბედავდა მოსვლას?! ვინ გაგვეკარებოდა?! ყველას ეშინოდა. ერთადერთი ხატი, რომელიც გადავარჩინეთ, დედა-ღვთისმშობლის ხატია, (რომელიც ბაბას ბერებმა გამოუგზავნეს) – ამან კი ჩვენ გადაგვარჩინა. ეს ხატი ჩვენი ოჯახის მფარველი ხატია, მამაჩემის ხელშენავლები, მისი მადლითა და იმედით ვართ დღესაც.

**– შემდგომ წლებში თუ მიდიოდით მამის საფლავზე?**

– ამ ამბებმა რომ გადაიარა, მერე დედას, სანამ ცოცხალი იყო, ყოველთვის დავყავდით საფიჩხიაზე, მარიამობის დღეს დავყავდით ხოლმე იქ და სანთელს ვანთებდით... ჩემმა უფროსმა დამ, ბარბარემ (ბაბუცამ) თბილისში წამოგვიყვანა: ის პედაგოგი იყო; მაშინ წმინდა ნინოს ეკლესიასთან, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში ქართულ ენასა და ლიტერატურასასწავლიდა. მასთან ვცხოვრობდით, თითქმის მისი გაზრდილები ვართ.

**– რას ნიშნავს, როცა მამა წმინდანი გყავს?**

– უდიდეს შემწეობასა და ნუგეშს. მწამს, მის სამშობლოსთვის გულანთებულ ლოცვას შეისმენს ყოვლადმოწყალე უფალი და მრავალი განსაცდელისგან დაიხსნის საქართველოს თითოეულ შვილს! უფალმა ინებოს, წმინდა მღვდელმოწამე სიმონის მეოხებით გააერთიანოს ივერია და ძველი დიდება დაუბრუნოს!

**ჩაიწერა თინათინ მაჭარაშვილმა**

ჟურნალი „კარიბჭე," 07.02.2008.

# მასწავლებელთა მასწავლებელი



# ბაბო მჭედლიძე – 100



## მეცხრამეტე საუკუნიდან მომავალი ვარ...

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების გასაყარზე, 1896 წელს დავიბადე... ჩემი ბავშვობა, ყრმობა და სიმწიფეში შესვლის ხანა, გონებრივი ზრდის პერიოდი და მოწაფეობა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გავატარე – ქუთაისსა და სვირში... ეს იყო დიდი ისტორიული გარდატეხისა და ქარტეხილების ხანა: 1905 წლის რევოლუცია, შემდეგ – რეაქციის ხანა, 1914 წლის მსოფლიო ომი; 1917 წლის თებერვლისა და შემდეგ – ოქტომბრის რევოლუცია... 1921 წელი და შემდეგ – 24 წელი, მამა რომ დახვრიტეს...

ბევრი და-ძმანი ვიყავით: სიმღერის ნიჭი პატარაობიდან გამოგვყვა. მახსოვს დედაჩემი, სამეგრელოს მაღალი გვარის, დგებუაძეთა მანდილოსანი, გენერალ ბესარიონ დგებუაძის ასული, იმერეთში, სოფელ სვირში დამკვიდრებული, შესანიშნავად დამღეროდა მშვიდად გამოტანებულ ჩონგურზე. ალბათ, ამით მოხიბლა მამაჩემი, იმჟამად ძველ სენაკში გამწესებული მასწავლებელი. „როგორ წაჰყვა თავადის ქალი მჭედლიძესო!“ – ამბობდნენ თურმე. ბაბამაც (ასე ვეძახდით მამას), ალბათ ამიტომ უძღვნა ეს ლექსი დედას:

„შენ, ჩემო სატრფოვ, ანგარიშს მოგთხოვ,
რა ნახე ჩემში მოსაწონარი,
რომ შევიქენი შენს გულში მარად
მოსაფიქრებელ-მოსაგონარი.
არ მოუცია ჩემთვის განგებას,
არცა სიმდიდრე, არც გვაროვნება,
ვერ გიქებ ჩემსა სილამაზესა
ბევრი აკლია მას ფეროვნება...
მაშ, ჩემო სატრფოვ...*

მამა მწიგნობარი კაცი იყო, მღვდელი. წირავდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში – „სობოროს“ეძახდნენ... შემდეგ კი სოფ. სვირის წმ. თომას და წმ. გიორგის ეკლესიებში...

მამაჩემმა ქუთაისში გაზეთი „შინაურ საქმეები“ დააარსა, სტამბაც ქუთაისში ჰქონდა, საბურთალო-კაზაკოვის ქუჩაზე, სადაც ჩვენი საცხოვრებელი სახლიც იყო (ერთხანს იქ სასწავლო-მოსამზადებელი კურსებიც ჰქონდა გამართული). მაგრამ სტამბის გაძღოლა დიდხანს ვეღარ შეძლო: ამას ხომ განსაკუთრებული სახსრები და მოხერხება სჭირდებოდა – ეს მხოლოდ კომერციული ნიჭით დაჯილდოებულს შეუძლია, მამა კი ამისაგან შორს იყო. მან სახლიც კი დააგირავა, მაგრამ ვერ გაუძლო აუარება დაგროვილ ხარ-

---

* ამ ლექსს, ტრადიციულად, 15 თებერვალს, მირქმის დღეს რომ აღენიშნავდით ბაბუას ხსოვნას, სიმღერით ასრულებდნენ ხოლმე ჩვენი ბიძა-დეიდები (რედ.).

ჯებს. რასაც სტამბა ითხოვდა და იძულებული გახდა, სტამბა გაეუქმებინა. მაგრამ გაზეთს კვლავ უძღვებოდა და 1913 წელს საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „განთიადიც“დააარსა.

მახსოვს, იმ ხანებში ჩვენთან იკრიბებოდნენ ქუთაისში მცხოვრები მწერალ-მოღვაწენი, თბილისიდან სტუმრად ჩამოსული მოწინავე ადამიანები – ზოგის გვარები აღარ მახსოვს, იმიტომ, რომ მაშინ ამას არ ვკითხულობდი. ესენი იყვნენ: სილოვან ხუნდაძე, თედო ჟორდანია, სიმონ ქვარიანი, ჰაიდარ აბაშიძე, ლეონიდე ოქროპირიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი, მელიტონ კელენჯერიძე... შევიპარებოდი, მოვკალათდებოდი კუთხეში და ვუსმენდი მათ საუბარს...

მე რაღაც განსაკუთრებული მოწიწება მქონდა მამის მიმართ. ერთხელ, მახსოვს ანასტასია ხოშტარიას რომანს -„მოლიპულ გზაზე“- ვკითხულობდი ჩემთვის, ჩუმად. სადმე ინტიმურ, სასიყვარულო ამბებს რომ წავაწყდებოდი კითხვის დროს, მაგიდის ქვეშ შევძვრებოდი, ასე მეგონა მამა გრძნობს, რა ადგილებს ვკითხულობ-მეთქი და მრცხვენოდა...

რვა წლამდის სოფელში ვსწავლობდი. ძალიან დიდი სახლი და ეზო გვქონდა სოფელ სვირში. ეზოში ასწლოვანი კაკლის ხეები იდგა. სახლის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო თუთის უშველებელი ხეები – ჩვენი წინაპრების დარგული. ფართო ეზო გარშემორტყმული იყო ვენახებით. ეს ვენახები ბაბუაჩემის – ბლადოჩინის, მიხეილ მჭედლიძისა და მამაჩემის მიერ შესანიშნავად იყო მოვლილ-მოკაზმული. ვენახებს სიმინდის ყანები ერტყმოდა გარს.. ავ თვალს არ დაენახვებოდა, ისე იყო გათოხნილ-გალამაზებული ეს ყანა, რომელიც მეტად უხვ მოსავალს იძლეოდა. იქვე მოჩუხჩუხე წყარო და პატარა გორაკი იყო, „ჯინჭარაძის გორად“ წოდებული. აქ ბავშვები ხშირად ვნახულობდით ძველ ფულებს, მარჯნის ნატეხებს, რაღაც პრიალა ქვებს, და ჩემდა სამარცხვინოდ, არასოდეს მომსვლია აზრად, რომ ამ მიდამოების გათხრა შეიძლებოდა ეწარმოებინათ. ასეთი მოსაზრებები მაშინ არ გვებადებოდა ბავშვებს, ამითაც არ ვგავდით დღევანდელ მოზარდებს, რომლებიც ასეთ წიაღებს, პირიქით, ეძებენ ხოლმე და არც-თუ ისე უშედეგოდ. სწორედ ამ გორაზე ააგო მამამ ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც პირველად დავიწყე სწავლა, სადაც შევითვისე პირველად ჩვენი საყვარელი ანბანი. მამა თვითონ იყო ხელმძღვანელი ამ სკოლისა. ახლაც ვგრძნობ იმ „დედა-ენის“ სურნელებას, პირველად რომ ჩამოგვირიგეს მერხებზე და ახალი წიგნის სურნელება დადგა საკლასო ოთახში. გაკრიალებული წითელი ყდა, ზედ პატარა შტოზე შემჯდარი ჩიტი ეხატა და ამ ჩიტებით დაიფინა მერხები. და ჩვენც გაოცნებული აღტაცებით რომ დავსცქეროდით მას. რა ცოცხლად მიდგას თვალწინ ეს სურათი!

მამამ 1918 წელს სოფელ ლაშეშიც ააგო საშუალო სკოლა, რომელშიც გარეშემო სოფლების ბავშვები სწავლობდნენ. ეს სკოლა დღესაც განაგრძობს არსებობას.

მამაჩემი სულ ფუსფუსში იყო, ცდილობდა, რაიმეთი შეემსუბუქებია გლეხის ტვირთი. მაშინდელი ტექნიკის „უკანასკნელი სიტყვით" სამეურნეო მანქანების უბადლო მომხმარებელი იყო. განსაკუთრებით მახსოვს ჩალის საჭრელი მანქანა, ეზოში რომ წამოჭიმა მამაჩემმა და ჩალით დატვირთული გლეხების მწკრივი დააყენა ჩვენს ეზოში, ასეთივე ენთუზიაზმით მიეგებნენ მამას გამოწერილ სალესავ მანქანას და სხვ. და ეს ყოველივე სრულიად უანგაროდ, რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ეს მანქანები არც თუ ისე დიდხანს ძლებდნენ, რის გამოც დიდი სასოწარკვეთილება მოიცავდა ხოლმე მის მომხმარებლებს. გორაკზე სოფლისთვის წისქვილიც ააგო მამამ: ეს იყო ე.წ. „ქარის წისქვილი". მისი ამუშავებისათვის მეტად ძლიერი ქარი იყო საჭირო. ერთ დღეს ასეთი ქარი რომ ამოვარდა, ალბათ, მარეგულირებელი საშუალებების უქონლობის გამო ქვა გასკდა და წისქვილი დაზიანდა.

ბაბუაჩემი – დეკანოზი მიხეილ მჭედლიძე, სვირის საბლაღოჩინო ოლქის ზედამხედველი-მეურვე იყო. მის აშენებულ წყაროს სოფელში „ბლაღოჩინის წყაროს" ეძახდნენ. ბაბუა ძალიან მშვიდობისმოყვარე ადამიანი იყო: ერთი ამბავი მახსენდება, მამიდაჩემების მონაყოლი: ბებიაჩემი ჯერ ახალი პატარძალი ყოფილა, როცა ერთ საღამოს სამეგრელოდან მომავალ მგზავრებს ჩამოუვლიათ. ჩვენებს სახლში შემოუპატიჟიათ, უმასპინძლიათ და ღამეც მოუსვენებიათ. დილით რომ ამდგარან სტუმრების გასაცილებლად, სტუმრები აღარ დახვედრიან: მასპინძლების ცხენებზე შემსხდარან და გაპარულან. თავზარდაცემულებმა ბაბუას რომ მოახსენეს ეს ამბავი, მას თავისი ხავერდოვანი ბარიტონით აუღელვებლად უთქვამს: „აგაშენათ ღმერთმა". ბაბუა ყოველ შაბათ საღამოს ლოცვას აღავლენდა: შევიკრიბებოდით ხოლმე ჩვენს ეზოში მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები: ბებია (ბაბუსი, ჭყონიძის ქალი), დედა, ხუთი მამიდა (დომნიკა, ელისაბედი, მარიამი, მართა, სალომე); ჩვენ შვილები – შვიდი-რვა; ჩვენს ოჯახში მუდმივად მყოფი სტუმრები – ნათესავები, ახალგაზრდები თუ მოხუცები... წარვდგებოდით ხოლმე აღმოსავლეთისაკენ და ვუსმენდით ბაბუაჩემისა და მისი განუშორებელი მედავითნე პოლიოს (?) ღაღადს ღვთისადმი, დიდპატარიანად ვიწერდით პირჯვარს და რას შევთხოვდით უფალს, ეს მარტო ღმერთმა უწყის! პატარა ესტრადაც მოვეწყვეთ, სადაც ბავშვები გამოვდიოდით ხოლმე ლექსებით, სიმღერებით, ცეკვით. გარდა შინაურებისა, ჩვენს აუდიტორიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეზობლებიც ავსებდნენ – ბავშვიან-დიდიანად, რომელთაც ემატებოდა ჩვენი სამი მოჯამაგირე – მათია, ევგენოზი და თადეოსი და

ამდენიეე შინამოსამსახურე ქალები: პელაგო, მაშიკო, პასიკო და ოლღაია.

## ჩემი ქუთაისი...

ეს ქვით და აგურით ნაშენი კარ-მიდამოები, ვიწრო ქუჩები, მყუდრო უბნები... ვინ იცის, რამდენი რამის მოწამე და მომსწრენი... არ შეიძლება, არ გიყვარდეს ჩემი ქუთაისი – იმერეთის გული...

ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილია ქალაქის ბაღი – გვერდზე ჩაყოლებული ფართო ქვაფენილით; ბაღის მარჯვნივ, მოპირდაპირე მხარეზე განლაგებული იყო სავაჭროები: საკონდიტრო, წიგნის მაღაზია, ფართლეულის მაღაზიები, ცენტრში – ეკლესია-„სობორო“ და ჟურნალ-გაზეთების კანტორა – ისიდორე კეიცარიძის სამკვიდრო. ამ პატარა, ფარდულიეით შენობას მუდამ გარს ეხვეოდა ქუთაისის მოწინავე ახალგაზრდობა: ისიდორეს უჭირდა მათგან თავის დაცვა: ვერ ასწრებდა დედაქალაქიდან და ადგილობრივი სტამბებიდან ახლადმიღებული პერიოდული გამოცემების წესრიგში მოყვანას, რომ უმალ იტაცებდნენ მათ, იქვე კითხულობდნენ, მსჯელობდნენ, იმართებოდა კამათი – ყველა ცდილობდა საზოგადოებრივ აზრში თავისი წვლილი შეეტანა თავისი მოსაზრებაც გამოეტანა სააშკარაოზე, მსჯელობის საგნად გაეხადა...

ამ მიდამოებში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო: ვის არ ნახავდით აქ თავმოყრილს: რუსეთიდან დასასვენებლად არდადეგებზე ჩამოსულ ქართველ სტუდენტებს, აუცილებლად სტუდენტური ძველმოდური ქუდით და მუნდირით, მოსწავლე ქალებს – სკოლის ფორმის წინსაფრით და პერელინით, მოსწავლე ვაჟებს – ფორმის ტანსაცმლით, წელში ჩაჭერილი ქამრით, გერბიანი ქუდით...

ეს ადგილი იყო სასიამოვნო გასართობი გალაკტიონ ტაბიძის, ნოე ჩხიკვაძის, ვარლამ რუხაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, დია ჩიანელის (ჩხეიძის), ვალერიან გაფრინდასვილის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა...

ამ ქუჩას დინჯად აუყვებოდნენ ხოლმე „ქვეყნის უბედურებით გულადტკინებულნი“- დავით კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე, კირილე ლორთქიფანიძე, , ზდამოვიჩი... დიდი პედაგოგები: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, დიტო უზნაზე, ეუკოლ ბერიძე, იასონ ნიკოლაიშვილი... მუსიკალური ხელოვნების დიდი პროპაგანდისტები და გულშემატკივარნი – მელიტონ ბალანჩივაძე, კოტე ფოცხვერასვილი; სახელოვანი ლოტბარები და ხალხური მუსიკის მოტრფიალე-გულშემატკივარნი – მიხეილ და ნიკო შარაბიძეები; აქ არსებობდა ქალთა წრე, რომლის მოთავე იყო განათ-

ლებული და დარბაისელი ქალი – მელანია გეელესიანი, ქუთაისის მკეიდრის, მეცენატისა და მოღვაწის, გრიგოლ გველესიანის მეუღლე; კატო მიქელაძე, რომელმაც ერთ დროს „ქალთა გაზეთიც დააარსა... ქუთაისი ბრწყინავდა თავისი დრამატული დასი; აქ მოღვაწეობდენ ნცა ჩხეიძე, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ლადო მესხიშვილი, მარო მდივანი, აქ იგრძნეს პირველად უშანგი ჩხეიძის განუსაზღვრელი სცენური ნიჭი...

მაგრამ მე მხსოვს ქუთაისი, ნაღვლიანი – ეს მაშინიყო, როცა ქუთაისის მკეიდრმა ქართველმა ინტელიგენციამ საქართველოს დედაქალაქისაკენ იწყო დენა: სრამის უღელტეხილი გადალახეს და მოკრძალებით მიადგნენ თბილისის კარიბჭეს. ეს ერთი მხრივ, ბუნებრივიც იყო:თითქოს მდინარემ გაარღვია კალაპოტი და მიშველა იმ ადგილებს, სადაც უფრო საჭირო იყო: დედაქალაქს სჭირდებოდა ძალების მოკრება, მხრების გაშლა, გამრავლება.. გამოჩენილი მოღვაწენი ეწვივნენ მაშინ დედაქალაქს: სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიტო უზნაძე, ეუკოლ ბერიძე, ალექსნდრე ჯანელიძე, აკაკი ფაღავა.

მახსოვს ჩემი მოწაფეობის ხანა... მე საეპარქიო სასწავლებელი დავამთავრე. ქუთაისში ამ დროს იყო წმ. ნინოს სასწავლბელი, ქალთა I-ლი გიმნაზია, ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, სათავადაზნაურო გიმნაზია, საეპერქიო სასწავლებელი და სხვ... ეს ორი უკანასკნელი გამოირჩეოდა თავისი კოლორიტით, სტილით,: მათ შორის მთავარი იყო ის, რომ ორივე წმინდა ეროვნულ ნიადაგზე იდგა. თუმცა ცალკეული საგნები აქაც რუსულად ისწავლებოდა, სამაგიეროდ – მშობლიური ენა და ლიტერატურა სათანადო სიმაღლეზე იდგა და, წარმოიდგინეთ, საქართველოს ისტორიაც ერთ-ერთ ძირითად საგნად ითვლებოდა. ამით ჩვენ ვჯობდით მათ და კიდევ იმით, რომ ამ ორ სასწავლებელში ეროვნული, თვითმყოფადი სული ტრიალებდა. საქართველოს ისტორიას ვსწავლობით სიმონ ქვარიანის სახელმძღვანელოს მიხედვით: ეს იყო პირველი სახელმძღვანელო სკოლებისათვის, სისტემატური კურსი – დასაბამიდან XIX საუკუნემდის. ეს სახელმძღვანელო დაწერილი იყო სადა, უზადო ქართულით, შთამბეჭდავად გადმოსცემდა ისტორიულ მოვლენებს, თანაც ისე, რომ თვითონ ისტორიკოსის შინაგანი სულის მღელვარება იყო ჩვენთვის საგრძნობი: რომანტიკული ელფერითიყო მოსილი ისტორიული სახეები და ამბები; შიგადაშიგ ავტორის აღტაცება თუ გულისტკივილი, გამოწვეული აღწერილი მოვლენებით, ჩვენც გვედებოდა და ეს აღწევდა თავის მიზანს: ჩვენში იღვიძებდა ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი და მახსოვს იმ დროს საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრეც კი ჩამოყალიბდა. ამ დროს გავეცანით ჩვენ ვახუშტის

„გეოგრაფიას", თედო ჟორდანიას „ქრონიკებს", მარი ბროსეს, კარიჭაშვილს... ინტერესით დავეწაფეთ მაშინ ახლად გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას"(პირველი გამოცემა) და სხვა.

როგორ გვიყვარდა მასწავლებლები – თითქმის ყველა და განსაკუთრებით თაყვანს ვცემდით რუსული და უცხო ლიტერატურის მასწავლებელს – ტრიფონ ჯაფარიძეს და ქართული ლიტერატურის მასწავლებელს – სპირიდონ ლეკვეიშვილს. მათი გაკვეთილები ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის და, თუ-კი რაიმე მქონდა შემდეგ კარგი – ან მეთოდის, ან გაკვეთილის ორგანიზაციისა და შინაარსის მხრივ, ეს მათი წყალობაა. ახლაც თვალწინ მიდგას სპირიდონ ლეკვეიშვილი, მღვდელი, ცალ ხელს ანაფორის უბეში მოათავსებდა. მეორეს – გრძელთითებიან ლამაზ მტევანს დროდადრო მსუბუქად აიქნევდა ხოლმე. მახსოვს მისი ნიკოლოზ ბარათაშვილი – რამდენი ემოცია, გრძნობა, განცდა... მაღალ ესთეტიკურ გრძნობას აღვივებდა ჩვენში, რამდენ სპეტაკ გრძნობებს გვინერგავდა ხოლმე ყოველ გაკვეთილზე.

მახსოვს: სადაც ტექსტის თხრობა იყო საჭირო, აუცილებლად მე უნდა გამოვეძახე. თავი მომწონდა ამ ყურადღებით და აი, ერთხელ, როდესაც გაკვეთილად მოგვეცა „გლახის ნაამბობი" თხრობით, და მე გამომიძახა, ასეთ „სიძნელეს" წავაწყდი: მინდოდა რამენაირად შემეცვალა სხვა სიტყვით სიტყვა „მუსუსი" შემდეგ კონტექსტში: „ დათიკო ყველაფრამდის კარგი კაცი იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: ქალების მუსუსი იყოო", – არ შეკადრება ასეთი სიტყვის ხმარება ასეთ მთხრობელს-მეთქი, ვფიქრობდი და, ამ ადგილს რომ მივადექი, ასე შევცვალე იგი: „დათიკო ყველაფრამდის კარგი კაცი იყო, მაგრამ დედა უტირა ქალებს"-მეთქი. ამის თქმაზე კლასში საშინელი ხარხარი ატყდა , მასწავლებელიც ხმამაღლა იცინოდა. მე შემრცხვა და თავი ჩავღუნე: ასე დამთავრდა ჩემი ცდა, სტილი შემესწორებინა ილიასათვის.

სასწავლებლის დამთავრებისას, მახსოვს, სადილი გაგვიმართეს. მე სიტყვით მივმართე სპირიდონ ლეკვეიშვილს; მოსწავლის ასეთი საჯარო სიტყვა მაშინ იშვიათი მოვლენა იყო და ამიტომ იყო, ალბათ სადილის შემდეგ ტრიფონ ჯაფარიძე გადამეღობა წინ და ასე მითხრა: „ты на скале церковь построишь"-ო – ასეთი დიდი იმედი დიდი პედაგოგისა ჩემს მიმართ, ვაი თუ ვერ გავამართლე!

მასწავლებლები ფრაკით დადიოდნენ სკოლაში. მახსოვს ტრიფონ ჯაფარიძის ორი ცხვირსახოცი – ფრაკის ორივე ჯიბეში. თავისი გატაცებული საუბრის დროს ჯერ ერთ ცხვირსახოცს ამოიღებდა, დაკეცილს, რა თქმა უნდა. კათედრაზე მჯდომი ჯერ ამ ცხვირსახოცს გაშლიდა გადაისვამდა სახეზე, ახლა ამავარადვე მეორე ხელით მეორე ჯიბიდან ამოიღებდა დაკეცილ ცხვირსახოცს, გაშლიდა, გადაიწმენდდა შუბლს და ისევ დააბრუნებდა ჯიბე-

ში. ჩვენ მოუთმენლად ველოდით ხოლმე ამ მომენტს: პირველ ცხეირსახოცს რომ ამოიღებდა, მეორე ცხეირსახოცის ამოღების მოლოდინში: „სული მიგვდიოდაო", რომ იტყვიან. მისი გაკვეთილები შილერზე, შექსპირზე, გეტეზე წარმოუდგენელი ტკბობა იყო – გამოწვეული ნამდვილი მჭევრმეტყველისაგან – ჭეშმარიტად დიდი მცოდნისა და ღრმად ერუდირებული ადამიანისა. ერთხელ რუსული ლიტერატურიდან ხსნიდა ლერმონტოვის ცნობილ ლექსს „Наполеон на Эльбе". წინასწარ მოგვითხრო ისტორია ნაპოლეონის ელბაზე ყოფნისა და ამ მისი აქ ყოფნის მიზეზებში გაგვარკვია; თვით ლექსის ანალიზმა კი ისე გაიტაცა, თავი ნაპოლეონად წარმოიდგინა, კათედრაზე აღიმართა და თითქოს ჯარს მიმართაო: „Вы, вашего императора!"... სწორედ რომ მოეიხიბლეთ. მახსოვს როგორ შევაგროვეთ დასვენების დროს თითო კაპიკი, გავიქეცით მეზობელ ბაღში და თაიგული შევუკვეთეთ, ისიც მახსოვს, რა მღელვარებით მივართვით მას ეს თაიგული სამასწავლებლო ოთახში.

მოწაფეობის დროს კარგ მგალობლად ვითვლებოდი. მახსოვს, ეკლესიის შუაგულში რომ გამოგვიყვანდნენ მე და ნინა ხუნდაძეს, ცნობილი მგალობლის, რაჟდენ ხუნდაძის ქალიშვილს. თავისი ბანით გვერდს გვიმშვენებდა. ვალიკო დევიძე – პატარ ტანის ქალი, მაგრამ დიდი, ომახიანი ხმის პატრონი. ჩვენი გალობის მოსასმენად გარეშენიც შემოდიოდნენ ხოლმე საეპარქიო სასწავლებლის ეკლესიაში. მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად ის გვიმატებდა შემოქმედების ალს, რომ თვით ტრიფონ ჯაფარიძე ამ დროს ყოველთვის ესწრებოდა ლოცვას ეკლესიაში.

ჩვენს მაშინდელ ახალგაზრობაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის წიგნებს: ესენია წინა საუკუნის 90-იან, 900-იან წლებში გამოცემული წიგნები. ეს მდიდარი ისტორიული მასალა პირველად მე მოვიხილე მამაჩემის ბიბლიოთეკაში. დღეს ნაწილი ამ წიგნებისა აგიზად ინახება ქართული წიგნის დიდი საუნჯის – საჯარო ბიბლიოთეკაში, მაგრამ სიძველისაგან და ხშირი ხმარებისაგან ისე დამდნარან, რომ ცოტა ხანი კიდევ და სრულიად წაიშლება ეს განძი, ქართული საისტორიო მწერლობის ეს დიდი უბანი.

იმდროინდელ ახალგაზრდობას სამაგიდო წიგნად გვქონდა ისტორიული წყაროების სიუხვით, სიღრმით, უსაზღვრო სიყვარულით დაწერილი „მესხეთი", „საინგილო", „მეფე ერეკლე", „თამარ მეფე", „საუნჯე მე-11 საუკუნისა", „მწერლობა მე-9 საუკუნისა"და სხვა... აღფრთოვანებით ვეწაფებოდით ახალგაზრდები ასეთ წიგნებს მაშინ, როდესაც ეროვნული თვითშეგნება მტკიცედ იკიდებდა ფეხს მოზარდის შეგნებაში. და განა ბევრი იყო ასეთი საშუალებანი! თვალწინ მიდგას ქალაქის ბაღის წინ ქუჩის ერთ კუთხეში ისიდორე კვიცარიძის პატარა ფარდული, პერიოდულ გამოცემათა და ახა-

ლი ბროშურა-წიგნაკებით სავსე: უჭირდა ამ მოღვაწეს აქ მოზღვავებულ ახალგაზრდობასთან გამკლავება: ყიდულობდნენ იქვე კითხულობდნენ, კამათობდნენ და ასე, დაოსებულნი ვბრუნდებოდით შინ.

სალოცავი წიგნივით გვეჭირა ხელში ახალგაზრდობას მოსე ჯანაშვილის ერთი პატარა, 53 გვერდიანი წიგნი, სათაურით „საუნჯე მე-10 საუკუნისა“. ხსენებული წიგნი შეიცავდა მოსე ჯანაშვილის წერილს, რომელიც ეხება მე-10 საუკუნის „სამგალობლო ნიშნების ნიმუშებს“და ამ ნიმუშების ავტორის, „იოვანე მტბეველი ეპისკოპოზის სურათითა“. „ხელნაწერი ესე გამოცემულია 1891 წელს 425 ნომრით და ჰქვიან მას „საგალობელი (ნოტი)“. მოსე ჯანაშვილი, ყოველმხრივ განიხილავს რა ამ ხელნაწერს, გვაუწყებს: „დღეს ამ წერილს იმიტომ კი არ ვწერ, რომ გვსურდეს თვით საგალობლების (ნოტების ბ.მ.) განმარტება, არამედ იმიტომ, რომ ეს ღირსშესანიშნავი ხელნაწერი შეძლებისამებრ ცოტაოდნად მაინც გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას... იმედი მაქვს, გალობის მცოდნენი მიაქცევენ ყურადღებას ამ საგალობელს ნოტებს და ჩვენი მხატვრული ხელნაწერის მინანქრიანი ასოებითაც და იოვანე მტბევარ-ეპისკოპოზის სურათით ისარგებლებენ“. აქ ეს ადგილები იმიტომ მოვიტანე, რომ ვაჩვენო, როგორ გვზრდიდა მისი წიგნები ჩვენ, საითკენ მიგვანიშნებდა ამ დიდი პედაგოგისა და მეცნიერის ასეთი მოკრძალებული სიტყვები. ეს სურვილი ამ იშვიათი ძეგლის პირველ მემატიანეს მხოლოდ 84 წლის შემდეგ შეუსრულდა, ჩვენს დროში, თუმცაღა, ხსენებული წერილი და მისი ავტორი, მოსე ჯანაშვილი, სამწუხაროდ, არსად არაა მოხსენებული.

ახლა რომ ვუკვირდები, ჩვენი, მოზარდების დაინტერესება ამ დიდი ისტორიკოსის ნაწერებით იმითაც აიხსნება, რომ ამ ავტორს რაღაც უჩინარი ძაფი აქვს გაბმული მკითხველთან თითქოს ესაუბრებაო მას და გზადაგზა რომელიმე ისტორიულ მონაკვეთს თავის შეფასებასაც აძლევს, უზიარებს მკითხველს და ეს მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ პათეტიკას, მოფიქრებული და გააზრებულია, უდავო და მართალი. მისი ენით ლაპარაკობს ბუნებით პედაგოგი, ერის მასწავლებელი, რამელსაც ერთი მიზანი აქვს: საინტერესოდ და მოუწყინავ საკითხავ წიგნად მიაწოდოს მკითხველს საქართველოს ისტორია და მისდამი პატივისცემა დანერგოს. ასე გვზრდიდა ჩვენ მოსე ჯანაშვილის წიგნები...

მოწაფეობის ხანაში, როდესაც საზაფხულო არდადეგებზე მოვკალათდებოდი ჩემს საყვარელ სამშობლო სოფელში, სვირში, ყოველდღე გულმოდგინედ ვამეცადინებდი ხოლმე სოფლის პატარებს – ახლო-მახლო მეზობლების შვილებს. ერთ მათგანს ივლიტე ერქვა – იმერული შერქმევით – კი ილიტიას ვეძახდით. ეს ილიტია რაღაც საცოდავად გამოიყურებოდა და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი ხოლმე. ხოდა, ერთ მშვენიერ დღეს,

როდესაც გოგებაშვილის „დედა-ენა“ დაეუდევი წინ და „იას“ შესწავლა დავიწყეთ, შევატყევ, ძალიან გაუჭირდა ასეთ აკადემიზმთან შეგუება. ვერა და ვერ იქნა, ვერც ერთი ხერხით „ია“ ვერ წაეაკითხე. საბოლოოდ მოვიხმარე ასეთი მეთოდი: ნახატზე ხელი დაეუდევი – ეს რა არის-მეთქი. „ეს იააო“- მითხრა. ახლა ქვემოთ წარწერაზე დაეუდევი ხელი – „ეს რა არის, წაიკითხე-მეთქი“ – „ეს იის ძირიაო“. მიპასუხა. აქ-კი ვერაფერი გაეაწყვე და თავი მივანებე. მაგრამ ამას ჩემთვის გული არ გაუტეხია. ჩაეამწკრივებდი ხოლმე სოფლის ბავშვებს პატარ-პატარა სამფეხიან სკამებზე და, ჩემის აზრით, დიდ განმანათლებელ მუშაობას ვეწეოდი.

## მასწავლებლობა

ჩემი მასწავლებლობა 1914 წლიდან დაიწყო, ე.ი. საშუალო განათლების დამთავრებისთანავე. დავამთავრე თუ არა ქუთაისის საეპარქიო სასწავლებელი – ეს იყო 1914 წელს, იმ გამოცდილებით, რაც გამაჩნდა სკოლაში პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემიდან, – გამამწესეს მასწავლებლად სოფ. მაღლაკში. ეს სოფელი ქუთაისთან ახლოს მდებარეობდა. ერთგვარად „ფუფუნებაში“გაზრდილს, მეუცხოვა ჩემი დიასახლისის მეტად პრიმიტიული გარემო, მაგრამ ისე, რომ დიდად არ შევწუხებულვარ – ჩემი მიზანი ხომ ეს იყო: უთუოდ სოფლის მასწავლებელი უნდა ვყოფილიყავი და აბა, გამაგრდი-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი. სკოლა ჩემ მიერ დაქირავებული ბინიდან საკმაოდ შორს აღმოჩნდა. ფეხით უნდა გამევლო 3-4 ვერსი. რვეულებით და სასწავლო ნივთებით დატვირთული, დავადექი ამ გზას და, აი, პირველი ჩემი შესვლა კლასში: როდესაც დავინახე მერხზე მჯდომი მოზარდები, ჩემკენ რომ ჰქონდათ ყველას თვალები მომიზნული, უნებლიეთ სიცილი ამიტყდა. ჩემს სიცილს ბავშვების სიცილიც აჰყვა და ასე ვიცინოდით ერთად მე და კლასი. კლასს ამის შემდეგ თითქოს საცინლად უნდა ავეგდე, მაგრამ ასე არ მოხდა. ალბათ ეს იმიტომაც, რომ ბედად ჩემს წინ წიგნი დავინახე, სწრაფად ავიტაცე ხელში და მივმართე კლასს: – ბავშვებო, იცით, როგორ მოვიდა ჩვენამდის ეს წიგნი? – კლასში მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა და საშუალება მომეცა, მეამბნა ის, რაც მენახა ქუთაისში, მამაჩემის სტამბაში, სადაც იბეჭდებოდა მისი გაზეთი – „შინაური საქმეები“. ჩემი ამ კლასთან შეხვედრა ყოველთვის ხალისიანად და ნაყოფიერად მიდიოდა.

იმ ხანებში სხვა საფიქრალიც მქონდა: მინდოდა გამოცდა ჩამებარებინა ამიერკავკასიის სამოსწავლო ოლქში – ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ასევე აბარებდნენ აქ უცხო ენებსაც). ეს გიმნაზიის მაღალ კლასებში მასწავლებლობის უფლებას მომცემდა. და აი, დადგა ეს დღეც. გამოცდას მი-

ტარებენ თბილისში, ამიერკავკასიის სამოსწავლო ოლქში. გზაში გვერდით მახლდა ჩემი სალოცავი მამა, რომელიც წლების განმავლობაში იმერეთის ეპარქიის სასწავლებლების ზედამხედველი იყო. და აი, თბილისის სასწავლო ოლქიც: დიდი მოჩუქურთმებული შესასვლელი და ასეთივე დიდი დარბაზი. საკმაოდ გრძელ მაგიდას გარშემო უსხდნენ პედაგოგები – გამომცდელები სხვადასხვა საგნებში (მათემატიკაში, ენებში...). თავში კი იჯდა თვით რუდოლფი – ამიერკავკასიის ოლქის უფროსი.

მე ბედნიერება მხვდა წილად, რომ ჩემი გამომცდელი მასწავლებელი მოსე ჯანაშვილი აღმოჩნდა – ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი – იმ დროს უკვე ხანში შესული. გავკადნიერდები და ამ მოღვაწესთან ჩემი პირველი შეხვედრის ამბავი მინდა მოგახსენოთ: ჩვენს გასაუბრებას მხოლოდ ახლო-მახლო მსხდომნი უგდებდნენ ყურს. თვით რუდოლფი საკმაოდ ინდიფერენტული გამომეტყველებით იჯდა, თავი ჩაეღუნა და თავისთვის რაღაცას წერდა. „მოსე ჯანაშვილთან მობრძანდით", მიმითითა ვიღაცამ... გამოცდა ერთ საათს გაგრძელდა. სამოცი წელია მას შემდეგ და აღარ მახსოვს, რა მკითხა, ან მე რა ვუპასუხე, მხოლოდ ეს კი მახსოვს, რომ საბოლოოდ მკითხა, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი"-თუ იცით ზეპირადო. აქამდის ვიჯექი, წესი ასეთი იყო. ლექსის სათქმელად ჩემდაუნებურად ფეხზე წამოვდექი და დავიწყე:„მირბის, მიმაფრენს..."თანდათან „როლში რომ შევედი" და ხმასავუმაღლე, რუდოლფმა თავი ასწია, წერას თავი მიანება და მე დამიწყო ყურება. შემდეგ გვერდზე გადაიხარა და მეზობელს რაღაც ჰკითხა – თურმე, დაინტერესდა, ვისი ლექსიაო.

მეორე დღეს წმ. ნინოს სახელობის ქალთა მე-2 გიმნაზიაში (ეხლანდელი 47-ე სკოლა) საცდელი გაკვეთილი უნდა ჩამეტარებინა. თვით ბატონი მოსე ასწავლიდა მაშინ ამ საგანს. გადასაცემად შემირჩია აკაკის „გაზაფხული". ახლა კი ნამდვილად გამოვიჩენ ჩემს მასწავლებლობის უნარს-მეთქი, გავიფიქრე. მაშინ ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილები გაკვეთილების ბოლოს ტარდებოდა და მოსწავლენიც სურვილისამებრ ესწრებოდნენ ამ გაკვეთილებს. საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლასის წინაშე რომ წარვდექი, ორატორობის სურვილმა შემიპყრო და განსაკუთრებული პათოსით ჩავატარე ეს გაკვეთილი: შთაბეჭდილება რომ მომეხდინა, თავი არ დამიზოგავს, სულ მე ვლაპარაკობდი, უკეთ ვორატორობდი, ბავშვები მხოლოდ მსმენელის როლში იყვნენ, თითქოს გაკვეთილის ყველა კომპონენტის დაცვით: ლექსთწყობა-რიტმი, რითმა... თითქოს თავი მოვაბი ლექსის აზრსა და იდეას, ლექსიც საკმოდ არტისტულად წავიკითხე, სათანადო ჟესტიკულაციით და ა.შ. დარწმუნებული გაკვეთილის მაღალხარისხოვნებაში, ამაყად წარვდექი ამ დიდი პედაგოგის წინაშე, მაგრამ მის სახეზე აღფრთოვანე-

ბა ვერ ამოვიკითხე. მხოლოდ ეს მითხრა: „დასვენება რომ დამთავრდება, ამავე კლასში შემდეგ გაკვეთილს მოისმენთო“. და რა დავინახე: იგივე მასალა, რაც მე გადავეცი, აიღო მას გაკვეთილის თემად. როგორი იქნებოდა ჩემი შინაგანი განცდა ამ დროს, ეს ღმერთმა უწყის! სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი პათოსისა და ორატორობის გარეშე – ჩვეულებრივი ხმით, მეტად ბუნებრივი და სადა საუბრით, თუმცა შინაგანი მღელვარებით გადასცა ეს გაკვეთილი. ეს გაკვეთილი მე მთელი ჩემი პროფესიული ცხოვრების გრძელ გზაზე გამომყვა ნათელ სხივად. ამ დღეს მოსე ჯანაშვილმა გამომკითხა ჩემი მომავალი გეგმები და შემომთავაზა, მასწავლებლობა ამ გიმნაზიაში დამეწყო, მაგრამ გული ქუთაისისაკენ მიმიწევდა...

აი, ქუთაისიც! ერთხანს უადგილოდ დავხეტიალობდი, და აი, ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში, სრულიად შემთხვევით, წინ შემომეყარა ეკოლ ბერიძე, ცნობილი პედაგოგი სათავადაზნაურო გიმნაზიისა და დიდი პატრიოტი. ხელი ჩამკიდა, ჩემი ამბავი გამომკითხა და გზიდანვე წამიყვანა ქალთა I გიმნაზიაში – ამ გიმნაზიაში მაშინ დირექტორად იყო პოპოვის ქალი, რომელიც ამ დროს, როგორც შემდეგ გავიგე, იყო იატაკქვეშა მოღვაწე. ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ ინტელიგენციისა და მოწინავე ოჯახების შვილები – საკმაოდ შინაარსიანნი და ნაკითხნი. პედაგოგებად კი იყვნენ შემდეგ გამოჩენილი მწერალ-მოღვაწენი: დია ჩიანელი ( დ. ჩხეიძე), ვალოდია ფუთურიძე (შემდეგ პროფესორი), აქვე ასწავლიდა შესანიშნავი მათემატიკოსი – კდემამოსილი ქალი ელენე ასლანიშვილი (სისო ასლანიშვილის და) და სხვ.

ეს იყო 1917-18 წელი. სრულიად ახალგაზრდა მოვხვდი პედაგოგთა მეტად სერიოზულ გარემოცვაში და საკმაოდ მომზადებულ მოსწავლეთა შორის. დღემდის მაგონდება: პირველი ჩემი გაკვეთილი მე-8 კლასში (იმ დროს დამამთავრებელი კლასი) იშვიათ სიწყნარეში, სიმშვიდის გარემოცვაში ჩავატარე და მიკვირს, რით მოვიზიდე მოსწავლეები...

ჩემი მუშაობა ორად გავყავი: ცალკე გაკვეთილები უნდა დასთმობოდა მოსწავლეთა გამოძახებას, შემოწმებას, თუმცა ეს შემოწმება არასოდეს ატარებდა ე.წ. “ ეგზამენის“ ხასიათს. მოსწავლე ვერც გრძნობდა, როგორ ვამოწმებდი მას. ვგრძნობდი, ეს „შემოწმება“ საფუძვლიანი და ყოველმხრივი იყო . ალბათ ამიტომ მომდურავი, ე.ი. ნიშნით უკმაყოფილო მოსწავლე იშვიათად მყოლია. ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლეებს უყვარდათ ხოლმე რაიმე ისეთი შეკითხვის მოცემა, რომელიც მე, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელს, „გამაბამდა ხაფანგში“ – „გამჭედავდა“ -მათი ჟარგონით რომ ვთქვა. ასეთ შემთხვევაში არასოდეს „ვჩქმალავდი“პასუხს, ასე ვთქვათ, არ „მივედებ-მოვედებოდი“ – „მე ეგ კითხვა ბუნდოვანად მესმის, გადავხედავ სათანადო მასალებს და გიპასუხებთ-მეთქი“ – ვეტყოდი მათ.

ზოგჯერ მთელ გაკვეთილს მოვანდომებდი ხოლმე ასეთი შეკითხვების ახსნა-განმარტებას, რაც მსმენელთათვის, ვატყობდი, არ იყო უინტერესო.

მიყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გადაცემა. ასეთ ერთ-ერთ გაკვეთილზე „ვპოვე ტაძარი" წავუკითხე კლასს. სიჩუმეში ვიღაცამ გულამომჯდარი ქვითინი მორთო, ვეღარ დაწყნარდა და ვეღარ: „ პატივცემულო მასწავლებელო, მაგას გასულ თვეში მამა გარდაეცვალაო", ერთხმად მომაძახა კლასმა. ამ ჩემს გაკვეთილს დაუსჯელად არ ჩაუვლია: „ნაჩალნიცა" გიბარებსო, გადმომცეს. მე აღარ მახსოვს, რა შენიშვნა მომცა ამ ფრიად სიმპათიურმა ქალმა, მხოლოდ თვალწინ მიდგას დღესაც მისი თავშეკავებული, სანდომიანი ღიმილი!..

ორი თუ სამი წელი დავყავი ამ გიმნაზიაში. იქიდან წამოსვლის მიზეზი იყო წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის დირექტორის – ცნობილი ბუნებისმეტყველისა და პედაგოგის, არკადი ჩხენკელის სურვილი, ვყოფილიყავი ამ გიმნაზიის მასწავლებელი. ეს სასწავლებელი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მაშინ უზარმაზარ შენობად მეჩვენებოდა იგი, რაღაც ზღაპრულ სამყაროდაც, იმიტომ, რომ ბავშვობიდან მახსოვს, საეპარქიო სასწავლებელში რომ ვსწავლობდი, შორს, ბალახვანის ქუჩის ბოლოს, და გზად ამ სასწავლებელთან გამოვივლიდი ხოლმე, პანსიონერი მოსწავლე ქალების გასეირნებას რომ შევესწრებოდი (გიმნაზიასთან მაშინ პანსიონიც არსებობდა), წარმოვიდგენდი ჩემთვის იმ უცნაურს რეჟიმს, რომელიც არსებობდა ამ კედლებში და ერთგვარად შიშნარევულ მოწიწებაში გადადიოდა ხოლმე ჩემი ეს გრძნობა. ახლაც თვალწინ მიდგას მიხვეულ-მოხვეული ბილიკები გიმნაზიის შესასვლელთან, სადაც სუბუქად და ლამაზად მიაბიჯებდნენ ლურჯ ფორმაში და თეთრ წინსაფრებში ჩაცმული გოგონები. ჩვენ, საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებს, მათთან შედარებით „ფოფოდიებს" გვეძახდნენ და ეს მიკლავდა გულს. და აი, ახლა კი ამ „რომანტიკულ სამყაროში" დავიწყე მუშაობა დიდი გატაცებით. პედაგოგთა შემადგენლობის მხრივ აქაც ბედმა გამიღიმა: შესანიშნავი მასწავლებელი ქართული ენისა და ლიტერატურისა, შალვა თაბუკაშვილი – თითქმის მასწავლებლად მომევლინა. ხშირად ვისმენდი აქ მის წარმტაც გაკვეთილებს; დიდი მწერალი, ნიკო ლორთქიფანიძეც – ჩემი კოლეგა იყო. იგი გერმანულ ენას ასწავლიდა აქ; გიგლა კვიცარიძე, ეს „კანტი", როგორც ვეძახდით მას, ასწავლიდა ლოგიკას და ფსიქოლოგიას; შესანიშნავი ისტორიკოსები, მათემატიკოსები, ბუნებისმეტყველები ერთმანეთს ცვლიდნენ თავისი სიდარბაისლით, სიკეთით, ცოდნით, გამოცდილებით. ნამდვილი პედაგოგიური სამყარო სუფევდა ჩემს ირგვლივ და მართლაც შესანიშნავად ვგრძნობდი აქ თავს. ჩემს რომანტიკულ ბუნებას იმით ვიკმაყოფილებდი, რომ ხშირად ვმართავდი ლიტერატურულ საღამოე-

ბს, ვდგამდით პიესებს. მახსოვს მოსწავლე მზია ანთელავა, ასე ლამაზად რომ ასრულებდა რაუტენდლაინის როლს ჰაუპტმანის „ჩაძირული ზარიდან“, ინსცენირებები, ცოცხალი სურათები და კიდევ რამდენი რამ!..

ეს იყო მე-20 საუკუნის ოციანი წლები... მწვავე დისპუტების ხანა... მახსოვს, მაშინ ქუთაისში ძალიან ხშირი იყო გამოსვლები: აქ ადამიანები ერთმანეთს ძნელად ეთანხმებოდნენ: ყველას თავისი აზრი და სურვილები, მოსაზრებები ჰქონდა და მეტად აქტიურად ამჟღავნებდნენ ამ თავის მოსაზრებებს. ათასნაირი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს და ქუთაისი ამის შესანიშნავი დემონსტრირება გახლდათ. მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ ორომტრიალში ვერიე ხოლმე ჩემი ცხოვრების ახალბედობის გარიჟრაჟზე.

1914 წელს, მაისში, ქუთაისში ჩამოვიდა ვინმე პეტრე გელეიშვილი – პუბლიცისტი მენშევიკების ფრაქციიდან. გამოეგზავნათ განსაკუთრებული დავალებით: ილია ჭავჭავაძეზე უნდა წაეკითხა ლექცია. ქუთაისის დრამატული თეატრის შენობაში, სადაც ეს ლექცია უნდა ჩატარებულიყო, აუარება ხალხმა მოიყარა თავი. რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ და ხალხიც საოპოზიციოდ იყო განწყობილი. ეს იყო იმ დროს, როდესაც დაიწყო მენშევიკური პარტიის ლიდერების მეთაურობით ცდა ილია ჭავჭავაძის სახელის შებღალვისა. ამ სურვილით გამოწვეული გამოსვლები უცნაური და ყოვლად შეუსაბამო ბრალდებებით იყო ხოლმე სავსე. ამ წელს ვამთავრებდი საეპარქიო სასწავლებელს და სწორედ მეორე დღეს ტარდებოდა საგამოცდო წერა ქართულ ლიტერატურაში – საერთოდ, ეს უაღრესად დაძაბული მომენტია მოსწავლის ცხოვრებაში. აღარაფერი დავეძიე, თეატრთან მჭიდროდ შეგროვილი ხალხი გავეჭერი და ქანდარის წინა რიგებში მოვექეცი. მართლაც, რა დატრიალდა ამ საღამოს, ამის გადმოცემა ძნელია, რა არ მიემართებოდა სცენისაკენ – ლაყე კვერცხები, წითელი ბოლოკები, ყვირილი, ლანძღვა, ორატორისადმი მიმართული სარკასტული გამოთქმები – ნამდვილი ობსტრუქცია, რაშიც მე, რა თქმა უნდა, არ ჩამოვრჩი. საქმე იმაში იყო, რომ პეტრე გელეიშვილი ავითარებდა ერთი ჯგუფის ცნობილ მოსაზრებებს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ე.წ. „ხმლისა და გუთნის“ თეორიებს, თითქოს ილია ქართველ საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფდა: ერთს, რომელსაც უნდა სჭეროდა ხელში გუთანი, ე.ი. გლეხს, – ხოლო მეორეს, ე.ი. პრივილეგიურ საზოგადოებას, მხოლოდ ერთი მოვალეობა ეკისრებოდა – ხელში უნდა სჭეროდა ხმალი (იგულისხმება მტრის მოსაგერიებლად). ორატორმა მშვიდობიანად დაიწყო საუბარი. საზოგადოება ხმაგაკმენდილი უსმენდა. თეატრში სამარისებური სიჩუმე იდგა. და, აი, მომენტი, როდესაც ორატორი „ტაერთო“ თავისი აზრების გადმოცემით და კულმინაციურ წერტილს მიაღწია, სწორედ აქ დატრიალდა ზემოხსენებული საშინელი ჯოჯოხეთი. ორატორი

მაინც განაგრძობდა სიტყვას. მან ხალხის ამ ღელვას სიჯიუტე და საკვირველი გამძლეობა დაუპირისპირა. ტრიბუნიდან არა და არა, არ ჩამოდიოდა და ბოლოს, რა თქმა უნდა, ხალხმა თავისი გაიტანა: ორატორს სიტყვის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს და ტრიბუნიდან გააძევეს.

მიყვარდა ფართო აუდიტორია და ამ მხრივ განებივრებული ვიყავი: აკაკის დასაფლავების დღეს ქალთა საზოგადოების მინდობილობით ქუთაისის საკათედრო ტაძრის („სობოროს") ამბიონიდან წარმომათქმევინეს სიტყვა, რომელსაც აკაკის ლექსით ვიწყებდი. ეს სიტყვა დაიბეჭდა კიდევაც ჟურნალ „განთიადის" 1915 წლის ნომერში.

ცნობილი მოღვაწისა და პუბლიცისტის გიორგი ზდანოვიჩის დასაფლავებაზე – ეს იყო 1917 წელი, – სიტყვა წარმოვთქვი ამ მოღვაწის მიმართ აუარება ხალხის წინაშე. თითქმის მთელი საქართველო მოგროვდაო, ამ დასაფლავებაზე ასეთი შთაბეჭდილება იყო. მაშინ სოციალისტ-ფედერალისტების კლუბი ქალაქის ცენტრში დიდი შენობის მესამე სართულზე იყო და სწორედ ამ სართულის აივნიდან გადმოვდექი. [ხსენებული სიტყვა დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთში].

მასწავლებლობის პირველ ხანებში – ეს იყო ოციანი წლების მიწურულში – ხშირად გამოვდიოდი ხოლმე მასწავლებელთა ყრილობებზე, რომელიც იმართებოდა ქუთაისში. მიყვარდა სადისპუტო მწვავე საკითხებში ჩარევა და ამის გამო ჩემი გამოუცდელობით ოლღაიასავით ბევრჯერ მომხვედრია ხოლმე, მაგრამ უკან არ ვიხევდი...

## თბილისისაკენ...

1921-22 სასწავლო წლიდან თბილისს მივაშურე. გამოვყევი დიდ ნაკადს ინტელიგენციისას. მეც არ ვიცი, რატომ მიმიზიდა ამ დროს დედაქალაქმა. მადლობით ვიგონებ დიდ მეცნიერს – გიორგი ახვლედიანს, რომელმაც უყოყმანოდ მოაწერა ხელი ჩემს ჩარიცხვას II ქალთა გიმნაზიის კოლექტივში, რომლის დირექტორად მაშინ თვითონვე ბრძანდებოდა. ეს გიმნაზია სწორედ ჩემი იქ ყოფნის პირველ წელსვე გადაკეთდა ტექნიკუმად, როგორც საერთოდ, ყველა გიმნაზიები ამ დროს. ამ ტექნიკუმში მასწავლებლობის წლები ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ნამდვილ ოქროს ხანად დამრჩა მეხსიერებაში; რამდენი აღტაცება, რამდენი სიხარული და ჩემს მიმართ რამდენი პატივისცემა! ამის აღწერა ძნელია. არ ვიცი, რით მივიპყარი ამ ხანად ასე ძალიან მოსწავლეთა ყურადღება, ვიყავი თუ არა ღირსი ასეთი აჟიოტაჟისა ჩემს ირგვლივ. ალბათ, იმდროინდელ ჩემს მოწაფეებს ეცოდინებათ ამის მიზეზი – არ ვიცი!..

ჩემი მასწავლებლობის ბოლო პერიოდებში ძალიან გამიტაცა ე.წ. საქალაქო გაკვეთილების მიცემამ: ქალაქის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თანდასწრებით ვატარებდი ხოლმე გაკვეთილს – არც თუ ისე იშვიათად. სამწუხაროდ, აღარ მახსოვს თემები გაკვეთილებისა. მახსოვს მხოლოდ რამდენიმე: „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელისა მიმართ" ; „მე და ღამე" – ვ. ბაბიძისა; გრ. ორბელიანის „სადამო გამოსალმებისა" ; „პოეტის დანიშნულება". ილია ჭავჭავაძის „ „ოთარაანთ ქვრივის" იდეურ-აზრობრივი მხარე, „ ვისის წერილი რამინისადმი"და სხვ. მთავარი მიზანი ჩემი გაკვეთილებისა იყო საკუთარი ინტერპრეტაციით თემის გაშუქება და კიდევ – სურვილი ჩემი ამ შეხედულების გაერცელებისა.

ჩემი მასწავლებლობის თითქმის 60 წლის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი ცვლილება განვლო სკოლამ; იცვლებოდა სწავლის მეთოდები, ხერხები, ხშირ ცვალებადობას განიცდიდა სასწავლო პროგრამები, გეგმები, ერთი სიტყვით, იყო დიდი ძიების, კვლევის, დაკვირვებისა და გამოცდილების გაზიარების ხანა. ერთგვარ სიამაყეს ვგრძნობდი, როდესაც ასეთ თათბირებზე ოფიციალურად მიმიპატიჟებდნენ ხოლმე, მე, რიგითს პედაგოგს.

დასასრულ მინდა მოვიგონო ერთი ამბავი ჩემი ბავშვობის პერიოდიდან: ქუთაისის სავპარქიო სასწავლებლის მოსწავლე ვიყავი. თუმცა ამ დროს სოფლიდან გადმოვსახლდით, უკვე ქუთაისის მკვიდრი მოქალაქენი გავხდით, მაგრამ სოფელთან კავშირი არ გამიწყვეტია. ბებიასთან და ბაბუასთან ყოველ არდადეგებზე მივემგზავრებოდით ხოლმე, რაც ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო. ჩვენი სახლი სვირის სადგურიდან საკმაოდ დაშორებით მდებარეობდა. სადგურზე ზოგჯერ ურემი რომ არ დაგვხვდებოდა. ცხენს ვიქირავებდით ხოლმე. იყო ასეთი გამქირავებელი ცხენებისა ვინმე ცალთვალა მოხუცი – დავითია ცხადაძე... ამჟამად მარტო ვიყავი. დავითიას ცხენზე შევჯექი და გზას გავუდექი, ჩემი განუშორებელი ბარგით, რომელიც ცხენს შემოაკრეს უკან, უნაგირზე. ცხენი შესანიშნავი თოხარიკით გავემართა, სწრაფად და თითქმის ჭენებით. თურმე, გზის გასწვრივ, ცოტა მოშორებით თავლა იყო, იქ ჩალა ეგულებოდა ამ ცხენს და იქით მიისწრაფოდა. მართლაც მიადგა ამ თავლას და გემრიელად შეექცა ნედლ ჩალას. სადავე რამდენადაც შემეძლო მოვქაჩე, მაგრამ ცხენის თავს ძვრა ვერ ვუყავი. გადავწყვიტე მივნებებოდი, სხვა გზა არ მქონდა. კარგად რომ დანაყრდა, თავი ასწია და გზა განაგრძო. ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: ლაღად და თავისუფლად ამოვისუნთქე ამ ფართო გზაზე, სიმღერაც -კი ავაყოლე ჭამით გამხნევებული ცხენის რიტმულ სვლას. სწორედ შუა გზაზე პატარა მდინარე უნდა გადამევლო. „თეღლელეს"ეძახდნენ ამ მდინარეს სოფლელები, ალბათ, სიტყვიდან: „თეთრი ღელე". ცხენი შეჩერდა, ჭამის შემდეგ საშინლად მოსწყურე-

ბოდა და მდინარეს ხარბად დაეწაფა. დიდხანს სვა ეს ციეი და გემრიელი წყალი. იობის მოთმინებით ვიჯექი ამ ცხენზე და მოველოდი გზის გაგრძელებას. და აი, მოიკლა თუ არა წყურვილი, ელვის სისწრაფით თავი შემოატრიალა და... გამობრუნდა უკან. აბა, რა გამივიდოდა სადავე მოშვებულ ცხენთან. არ დავეძებ. გავიფიქრე, ჩამიყვანს ისევ სადგურზე და ის იქნება-მეთქი, მაგრამ... ერთი კიდევ საშინელი მოულოდნელობა: უკან დაბრუნებული ცხენი კვლავ ბაგასთან მიიჭრა და ნეტარების გამომწვევი ხრაშუნით განაგრძო ჩალის მირთმევა. ღამდებოდა. წვიმამაც წამოუშვა. ვზივარ ცხენზე და შიში მიპყრობს: სადაც არის დაღამდება და რა უნდა მეშველოს-თქო! ნელ ქვითინს ხმამაღალი ტირილი ავაყოლე, მშველელს ვუხმობდი. ჩემს ბედად მწყემსებს მოეკარი თვალი. საქონელს მირეკავდნენ. რაც შემეძლო ვუყვირე მათ -„მიშველეთ-თქო". „ვისი ბოვში ხარო?" — გამომეხმაურნენ კეთილი ადამიანები. „ბლაღოჩინის, ბლაღოჩინის-თქო", გულამომჯდარი გავძახე აქედან (ბლაღოჩინი იყო ჩემი ბაბუა მიხეილი).მწყემსებმა წამსვე გადმოჭრეს გზა და მე და ჩემს ცხენს ისევ დავითიას სამფლობელოში ამოგვაყოფინეს თავი.

ამ მოგონებამ რატომღაც ერთბაშად დამიყენა თვალწინ მთელი ჩემი ცხოვრება, მისი ავან-ჩავანი, საიდან სადაო, იტყვით, მართლაც საიდან სად? მაგრამ განსხვავებასაც ვხედავ: დავითიას ცხენმა ოდნავი თანაგრძნობაც კი არ გამოიჩინა თავისი მხედრის მიმართ, — ზრუნვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! ცხოვრება — კი ვინ იცის, რა შესაძლებლობას ქმნის ადამიანისათვის. ვაგლახ, რომ ეს შესაძლებლობა ბევრ შემთხვევაში ხელიდან გამოცლილ განძსა ჰგავს, თუ იგი დროზე მიზნობრივად არ წარიმართა, თუ თავისდროზე მისი სადავეები არ აიღე მტკიცედ და მარჯვედ!

ეხლა მე პენსიონერი ვარ. წელთა ულმობელმა მსვლელობამ „დონე წარმიტაცა", მასწავლებლისათვის შესაფერი ალნაგობა, ელფერი სადღაც გაქრა. მეხსიერებასაც ბზარი გაუჩნდა. თავს რომ შევატყვე, რომ მასწავლებლის შესაფერ ფორმაში აღარ ვიყავი, გადავწყვიტე გავცლოდი ამ ჩემს საყვარელ პროფესიას.თუმცა ჩემი სათაყვანო ერის მაჯისცემას ეხლაც გრძნობიერად ვაყოლებ თვალსა და გულს!..

**ბაბო მჭედლიძე,** საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი,
თბილისი, 1975 წელი ·

## სიტყვა
## თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მონდობილობით ბაბო მჭედლიძის ასულის მიერ




„არა! აყეაედეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს დაეძებს, უყიევს –
ჩემი დაფი და ნაღარა...“

ასე გაიძახოდა მუდამ მხცოვანი მგოსანი, ის მუდამჟამს ამუსიკებდა თვის ენას და თვის დაფით და ნაღარით უყიოდა გმირებს, დაეძებდა, იკრებდა თვის გარშემო და აღმაფრენით მიმართავდა:

„დასთესეთ თესლი კეთილი,
შესარგო მამულისაო
და ნახავთ ნამგლის ტრიალსა
„პოპუნით“ მომკალისაო“...

და აჰა! ჩაქრა იმედები, ჩაქრა კანდელი, ჩაქრა ამუსიკებული ენა – აკაკის უმტყუნა ჭაღარამ და ჩვენი სამშობლოს დარაჯი, ჩვენი ბედკრული ერის საუკეთესო ქურუმი ხელიდან გამოგვეაცალა... დიახ! დაიწვა ხატის წინ ანთებული წმისა სანთელი, აკაკი წარგტაცა შეუბრალებელმა სიკვდილმა და მასთან ერთათ წარიტაცა ჩვენი აღმაფრენა, საუკეთესო მრახვანი და გულისთქმანი... დღეს ტირის მთელი ქართველობა, დღეს მოთქვამს ის, ვისიც გული ოდნავ მაინც ძგერს თავის მრავალტანჯულ სამშობლოსადმი სიყვარულით, ვინაიდამნ აკაკისთან ერთათ ჩაესვენა წრფელი, ნაზი, წმიდა გრძნობა მშობლიური ერისადმი სიყვარულისა! დღეს ტირის და მოთქვამს ბნელ სარდაფში თავჩაქინდრული მუშა, რადგან აკაკისთან ერთათ ჩაესვენა გრძნობა ღარიბ-ღატაკთა სიბრალულისა; დღეს ტირის გულამღვრეული უშინაარსოთა ბრბო, რადგან აკაკისთან ერთათ მიწას მიაბარებს მათ მუდმივ დამრიგებელს, მაიმედებელ ადამიანს; დღეს ტირის და მოთქვამს ახალგაზრდობა, რადგან მათ დაკარგეს საუკეთესო მასწავლებელი, მოამაგე მამა – აღმზრდელი, საყვარელი მგოსანი! დღეს ვალალებს ყველა და ამ სიეალალეს ბანს აძლევს ბუნებაც – მთა თუ ველი, ტყე თუ მინდორი – ყველა ერთგვარ გულისთქმას მოუცავს...

რამ გამოიწვია ასეთი გლოვა და ვაება? ვინ იყო აკაკი, რას ქადაგებდა? ჰკითხეთ ბავშვს, მოხუცს თუ ახალგაზრდას, უბრალო, ღონემიხდილ მთხოვარასაც კი – ყველა ერთნაირად გიპასუხებთ, ვინაიდან ყველანი

ერთნაირის მოწიწებით არიან გამსჭვალულნი აკაკისადმი. აკაკი ხომ წმიდა ლამპარი იყო, რომელიც ერთნაირათ უნათებდა გზას ყველას, იმათაც, ვინც სიბნელეში დახშულან! აკაკი ხომ ფარვანა იყო, რომელიც თავს დაფარფატებდა ყვავილებს და არ ზოგავდა ღვთისაგან ბოძებულს არც ნიჭს, არც ძალ-ღონეს, რომ ხალხი საერთო ჭირ-ვარამისაგან ეხსნა?! მას ხომ ცრემლში ულესავს ნაღველი და მელნათ უხმარია, რომ უფრო მკაფიოთ, მჭრელათ ემოქმედნა მის სიტყვებს უშინაარსოთა ბრბოზე?

ყველა ამასაც რომ თავი დავანებოთ, მის მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პიროვნებას უკვდავების სამოსელს აცმევს ერთი რამ საგანი — ეს საგანი სამშობლოა, რომელიც ტანჯვას განიცდის სხვისაგან და, რომლის გული მწარე ისრით არის დადაგული, თავის სატრფო სამშობლოს ის ყოველთვის არიგებდა: „ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები" და, როდესაც სატრფო ამ დარიგებას არ იწყნარებდა, იგი სრულ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ის იყო ტარიელი, რომელიც თავს სწირავს სატრფოს დასახსნელად და, ველად გაჭრილს, მეგობრებთან ერთად, შეერთებულის ძალით უნდა სატრფოს — ნესტანის — ქაჯეთის ციხიდან დახსნა.

ის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როდესაც თავის სამშობლოს დაობლებულს ხედავდა და ქართველ კაცს მიმართავდა:

„აბა მითხარ, ვინა ხარ?
უცხო კაცათ არ ვარგიხარ,
არცა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ,
სანაგველის დარი ხარო".

მარა, გაჰხედავდა რა ის თავის წინაპარტა ნა ღვაწს, გადახედავდა რა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ჩვენს წინაპარტ აღუგიათ მრისაგან დასაცავათ, გადახედავდა და აღმართულ იალბუზის ყინვარის, კავკასიის ქედებს, იმ იმედით, რომელიც მუდამჟამს მისი განუყრელი თანამგზავრი იყო, აღმოხდებოდა ხოლმე:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და ისევე გაიღვიძებსო"...

და სწორეთ ასეთი მოიმედის დაკარგვაზე მოსთქვამს დღეს მთელი ქართველობა და ამ მოთქმას უერთდებიან დაობლებული, ბედისაგან მწარეთ დატანჯული ქართველი დედები, რადგან ისინი დრეს მიწას აბარებენ თავიანთ მხნე დარაჯს, მათთვის თავდადებულ, დაუღალავ მუშაკსა და ჭირისუფალს, რომელიც მწარედ განიცდიდა მათს დაცემას და მუდამ ძველ დედებს უყენებდა სახედ, მოუწოდებდა, რომ ახლებს მათს კვალზე ევარათ... მან იცოდა, რომ აქ „ნინო, თამარ და ქეთევან სამარადისოდ ქებულან" რომ უწინ ქართველ

დედებს აღუზრდიათ შვილები სამშობლოს მხსნელად ზვარაკათ...“ ის გუნდრუკს უკმევდა იმ დედებს და წუხდა, რომ „იმათ სხივზე დღეს ქართველი ქალი თვალს ვეღარ ახელს“, წუხდა, რომ მათ სამშობლო დაპვიწყებიათ და აღარ უზრდიან მას გმირებს... აკაკისაგანგანპიროვნებული ნაზი და ღვთაებრივი დედა თავის შვილს გასაზრდელათ სხვას კი არ მიაბარებს, არამედ თვითონ მიუჯდება აკვანს და ნაზად დამღერის:

„ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო,
შვილო, მამულის გულისთვის სისხლი დაღვარეო...
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტრები აშინაო
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო“...

და დარწმუნებული იყავით, რომ დღესაც ქართველი დედა ეცდება, არ დაკარგოს აკაკის ნაანდერძები, ამიერიდან ქართველი დედა ეცდება მიზნათ და იდეალათ დაისახოს „ნინო, ქეთევან და თვით თამარი“ ... და მაშინ უთუოთ შემოფრინდება მერცხალი და აკაკის საფლავს ჭიკჭიკით გასძახებს: „გაზაფხული, გაზაფხულიო“ და მაშინ გაზაფხულის იმედი ჩვენც ხომ გულს ჩაგვესახება!

მანამდის კი მშვიდად განისვენოს წმიდათა წიაღში მამათა კრებულთან მან, რომელმაც „ოფლით მორეცხა წმიდა სისხლით ღებილი სამშობლი“, რომ პირნათლად შეყროდა იქ ჩვენს ქებულ წინაპრებს!..

ჟურნალი „განთიადი“, №6, 15 მარტი, 1916 წ.

## ღია წერილი ახალგაზრდა მასწავლებელს

ძვირფასო მეგობარო!

მასწავლებლობა ისეთი პროფესიაა, რომელზეც არ შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების ნივთიერი არსებობის წყაროაო. პედაგოგობა - მოწოდებაა, უსაზღვრო სურვილია, გატაცებაა, იდეალია, საითკენაც მიისწრაფი... მიზანი მისწრაფებისა - მოზარდი თაობის აღზრდა გახლავთ, სამკაული და საუნჯე კი - გული. ამ მიზანს რომ მიაღწიო, მოზარდი უნდა გიყვარდეს და უნდა გაისიგრძნეგანო, რომ ზრუნვა და პასუხისმგებლობა მის სულიერ და გონებრივ აღზრდაზე შენ გაკისრია: მისი ზნეობა, სათნოება და ინტელექტის ჩამოყალიბება შენს ხელთაა – სულ ერთია, რომელ საგანს ასწავლი - ფილოლოგიურს თუ მათემატიკურს – ყოველ საგანს თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ამას წინათ ბათუმის ერთ-ერთ სკოლაში ბუნებისმეტყველების გაკვეთილს მოვუსმინე: ამ საგნის მასწავლებლის, დარეჯან ლომთათიძის გაკვეთილის თემა ამჟამად მწერები გახლდათ. რამდენი ადამიანური თვისება წარმოუდგინა მოზარდს თვალწინ მასწავლებელმა, რამდენი საარაკო, სასარგებლო და კეთილი საქმე შესძლებიათ თურმე ამ უბრალო, სულ პაწია არსებებს!

ბავშვის აღზრდა მეტად ძნელი და რთული პროცესია, მიზანი – თავის უფალი, ზნეობრივად და გონებრივად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებაა.

ლიტერატურის კარგ გაკვეთილებს მოზარდი შეჰყავს ჰეროიკული რომანტიკის სფეროში, რევოლუციური ბრძოლისა და თავდადების სფეროში, სადაც ბოროტისა და კეთილის მუდმივი ბრძოლაა! ჩვენი ჰაგიოგრაფიული თუ საერო ლიტერატურა უმდიდრესია ამგვარი შედევრებით (მაგალითისთვის მარტო „ვეფხისტყაოსანიც" კმარა!). აღმზრდელის დანიშნულებაა სალი ოპტიმიზმისა და ღრმა რწმენის პოზიციებზე დგომა; მასწავლებელი მოვალეა იმედი, ადამიანისადმი და, აქედან გამომდინარე, საკუთარი თავისადმი რწმენა გაუღვივოს მოსწავლეს. „შენ კაცი არ გამოხვალ ერთხელ, გაჯავრებულმა ასე მივმართე ჩემს ერთ მოსწავლეს: –„შენ კაცი არ გამოხვალ-მეთქი". წლების შემდეგ, უკვე სიმწიფის ასაკში, ამ მოსწავლემ წიგნად გამოცემული თავისი ღრმად შინაარსიანი სადისერტაციო ნაშრომი მომიძღვნა წარწერით: „შენ კაცი არ გამოხვალ..." ძალიან შევწუხდი... ამით იმისი თქმა მინდა, თუ როგორი სინანული განმაცდევინა ჩემმა წლების წინ დაუფიქრებლად წამოსროლილმა ფრაზამ ხანდაზმულობაში: სკოლის ასაკი ხომ ყველაზე რთული ასაკია მოზარდის ცხოვრებაში და მას გაგება და

ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. ამგვარი სინანული ერთხელ ახალგაზრდობაშიც განვიცადე, როდესაც გულმოსულმა იმის გამო, რომ ერთი მოსწავლე ხშირად უმიზეზოდ აცდენდა გაკვეთილებს და იგი დირექტორს წარვუდგინე. ასეთი პრაქტიკა ჩემთვის საზოგადოდ მიუღებელი იყო, მაგრამ სწორედ აქ მიმტყუნა მასწავლებლისთვის საჭირო აუცილებელმა თვისებამ — მოთმინებამ და თავშეკავებამ — და აკი დავისაჯე კიდეც: ჩემდა სამწუხაროდ, დირექტორი სასტიკად გაუმასპინძლდა მოსწავლეს — საგულდაგულოდ, მოდაზე გადატკეპნილი გრძელი თმა აუწეწ-დაუწეწა და ცოტაოდენი უთავაზა კიდეც: მოსწავლის საცოდავმა გამომეტყველებამ გული მატკინა, აეიწურე და ციეი ოფლი დამასხა. იმ დღიდან, ცოდვის ჩამდენივით თვალს ვეღარ ვუსწორებდი საწყალს...

რა თქმა უნდა, ძნელია მოზარდის ბუნების გარდატეხის ამ ორომტრიალში წონასწორობის დაცვა, მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რომ დადგე შენი მოვალეობის სიმაღლეზე ყოველთვის და ყოველნაირ სიტუაციაში!

მერვე კლასში „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მონაკვეთს ეხსნიდი: შუა საუკუნეების „რაინდულ კოდექსსა“და „რაინდულ მეგობრობაზე“ ვესაუბრებოდი. ერთ მოსწავლეს (დ-ი ს-ა-ს, იგი ახლა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა), თურმე ეჭვი შეპარვია ტარიელისა და ასმათის წმინდა მეგობრულ ურთიერთობაში, სამი წლის განმავლობაში გამოქვაბულში რომ დაჰყვეს. დამენანა ჩემი ძალისხმევა, ვიფიქრე, ამაოდ დავშვერი-მეთქი. ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი ჩემი აღშფოთებისა და სათანადო რეაგირებაც: მოწაფე გაკვეთილიდან გავაძევე. მაშინვე ვინანე, მაგრამ რაღას ვიზამდი, „სასჯელი“ უკვე აღსრულებ·ულ;ი იყო. ამ მძიმე „განსაცდელისაგან“ სკოლის ზარმა მიხსნა, რაც გაკვეთილის დამთავრებას გვაუწყებდა და კომენტარებისაგან თავი შევიკავე (თუმცა ეს ეპიზოდი შემდგომ ბევრი მითქმა-მოთქმისა და ნამდვილი თუ გამოგონილი სახუმარო ამბების გავრცელების საბაბი გახდა). ამ ამბების გახსენებით იმაზე მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება, თუ როგორი თავშეკავება ჰმართებს მასწავლებელს: ჩვენი დროის მოსწავლე ასე სწრაფად ვერ ჩასწვდა XII საუკუნის რაინდულ მორალსა და ეთიკას და ამისგამო დავსაჯე!

12 წლიდან მოზარდები სწრაფად ვითარდებიან . ფართოვდება მათი მოქმედების სფერო, ღვივძებათ ხელოვნების, შრომის ინტერესი, უნდათ და ცდილობენ, საკუთარი ინიციატივით შექმნან რაიმე „ღირებ·ული“, ახალი და გასაკვირი; საზოგადოებრივი დავალებებიც ახარებთ, ამავე დროს, გართობასაც ელტვიან... ამ დროს მასწავლებელმა (და ოჯახმაც) უნდა წარმართოს ეს მოჭარბებული ენერგია სიკეთისაკენ, ·უეჭველი სიძნელეები უნდა გადაალახვინოს და გადალახოს თვითონაც თანმიმდევრული ყურადღებით.

ნუ დაეუპირისპირდებით ახალგაზრდას — მოსწავლეს, იყაეით მათ მიმართ რაც შეიძლება უბრალო, სადა, გულწრფელი, ისეთი, როგორიც ხართ ბუნებით, მაგრამ მოზომილი. ნაკლებად ეძიეთ დამხმარე, ვინც უნდა იყოს იგი; მოიშველიეთ თქვენი პედაგოგიური ალღო დაკვირვება და ფიქრი: აი, მაგალითად, მშობლებთან ურთიერთობაო, რომ ვამბობთ: სამწუხაროდ, ეს ხშირად ასეთი სახით ელინდება — „თქვენი შვილი ცუდად სწავლობს, გაკვეთილებს აგდებით ეკიდება, ეტყობა შინ დავალებების შესრულებით არ იწუხებს თავს..." მაგონდება, ერთხელ პირველი კლასის მასწავლებელმა მშობელს უთხრა, „თქვენმა შვილმა არაფერი არ იცის, ორიანი დავუწერე და მიხედეთო". ეს უკვე მეტისმეტია! მოსწავლეს და, ისიც პირველი კლასისას, მხოლოდ მასწავლებლის ტაქტი და გულისხმიერი მიდგომა უშველის: მშობელმაის თქვენ მოგაბარათ, რომ ასწავლოთ და, თუ ამისი ძალა არგაგაჩნიათ,ე.ი. ძალა, რომ მოიზიდოთ მოსწავლე, და დააინტერესოთ იგი, სჯობს ჩამოსცილდეთ ამ პროფესიას, რადგანაც ზემომადლაბული ნიჭი და უნარი თურმე არა გქონიათ და დახმარებისათვის სხვას (თუნდაც — მშობელს) მიმართავთ.

გაეიმეორებ: მასწავლებლობა დიდი ტვირთია, შეუნელებელ, მძიმე შრომას მოითხოვს. ეს ისეთი პროფესია არ არის, რომ თავი შეაფარო, როგორმე დაიკავო ადგილი ცხოვრებაში და საზოგადოებაში: თქვენს ხელთ არის მომავალი მოქალაქე, რომლის აღზრდაც გევალებათ, რომელსაც

სკოლაში მიღებული ყველა შთაბეჭდილება მთელი ცხოვრების გზაზე მიჰყვება, ახსოვს მასწავლებლის ქცევის ყველა დეტალი — კარგიც და ცუდიც, მხიარილიც და სევდიანიც: ცუდი — მწარე მოგონებად რჩება, კარგისათვის კი მადლიერია.

და ამას რა სჯობს!

**ბაბო მჭედლიძე**

# ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲝᲬᲐᲛᲔ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲐ





საოჯახო ალბომი




დეკანოზი „ბლაღოჩინი" მიხეილი (მჭედლიძე)



გენერალი თავადი ბესარიონ დგებუაძე



სიმონ მჭედლიძე და ეკატერინე დგებუაძე ჯვრისწერის შემდეგ. 1891 წ.




სიმონ მჭედლიძე მეუღლესთან ერთად



სიმონი და ეკატერინე (კატო)



მეუღლე – ეკატერინე (კატო)



სიმონ მჭედლიძის და – სალომე



მღვდელი ილარიონ ხოჯაშა და
მისი მეუღლე – ლომნა (ლომნიკა)
მჭედლიძე (სიმონის და)



მართა მჭედლიძე (სიმონის და) და მისი მეუღლე მიხეილ შარაბიძე



მღვდელი ზაქარია მჭედლიძე,
სიმონ მჭედლიძის ბიძა
(დეკანოზ მისაილის ძმა)



მღვდელი იოანე ნისლაძე — მისაილის დის,
ქეთევანის მეუღლე



მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე



კოტე ყოისევერაშვილი
(სიმონ მჭედლიძის მამიდაშვილი)



გიორგი ღვებუაძე – ეკატერინეს მამა



გიორგი ღვებუაძე მეუღლესთან –
მარიამ მიქელაძესთან ერთად



სიმონის მეუღლე – ეკატერინე და მისი ძმა – გიორგი ნათესავებთან ერთად



მეუღლე – ეკატერინე მჭედლიძე ნათესავებთან ერთად



სიმონის დედა – ბაბუცი ჭყონიძე შვილიშვილებთან – ბესარიონ (ბიჭიკო) და ბარბარე (ბაბო) მჭედლიძეები



უფროსი ძმაი ბესარიონი
(ბიძიკო) და დედა ბაბუცი



შვილები (ბიძიკო) ბესარიონი,
ბაბო (ბაბუცა), რასო და ნინუცა








დედა – ბაბუცი. და – სალომე, შვილები – მიხეილი და ანასტასია (ჩვილობაში გარდაიცვლილნი)



მის დედა — ბაბუის, დიანას მეუღლე
ეკატერინე და ნათესავი



ნათესავები – დები ბაელესიანები:
ლუბა, ემილი, და ელენე



სამი ძმა – დიმიტრი, ბესარიონი (ბიჭიკო) და ბიძინა მჭედლიძეები



სამი ძმა






ჯუროსი კაცი – ბესარიონი (ბიჭიკო) მჭედლიძე



ზის – ეკატერინე დგებუაძე-მჭედლიძე, დგანან ძმები ბიძინა და დიმიტრი მჭედლიძეები



ძმები დიმიტრი და ბიქინა (იუნკერის ფორმაში)



ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲗ ᲑᲐᲑᲘᲚᲘᲜᲐ (ᲑᲐᲑᲝ) ᲨᲐᲠᲘᲡᲐᲚᲐᲫᲔ



ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ – ᲑᲐᲑᲘᲚᲘᲜᲐ (ᲑᲐᲑᲝ) ᲨᲐᲠᲘᲡᲐᲚᲐᲫᲔ



დიმიტრი მჭედლიძე და მისი მეუღლე
- ვერა დავიდოვა



ნინო (ბუბული) მჭედლიძე და მისი მეუღლე - ნიკო მელიქიშვილი



თალიკო ღვაბუაძე – ეკატერინეს
ძმის გიორგის შვილი



ნინო მარაბიძე – სიმონის დის
მარიას შვილი





სიმონის შვილები: მარგალიტა (მარგო) და ეკატერინე ეჩეღლიძეები



დედა-შვილი: ეკატერინე და მარგალიტა (მარგო)



შვილი – ეკატერინე მჭედლიძე ძმისშვილებთან – ბიძინა და ნანა მჭედლიძეებთან



ეკატერინე შვილიშვილთან ნანასთან (1927 წ.)



ეკატერინე (კატო) (1927 წ.)




გიჭი, გიგინა, ნანა, მარგო ქელდიშეები და ცაია შირინხალავა. სოხუმი, 1938 წ.



ნინო (ბუბული) და ნიკო მელიქიშვილი შვილებთან, მამიდა სალომესთან და და-ძმა მარგო
და დიმიტრისთან ერთად. მცხეთა, 1945 წ.



ბიძინა ეჭველიძე ცოლ-შვილთან, დებთან და დისშვილებთან ერთად. გუდაუთა 1946 წ.



წმიდა ახალმოწამეები: სიმონ მჭედლიძე და გრიგოლ ფერაძე



მეუფე სპირიდონი (აბულაძე)
სხალთის მთავარეპისკოპოსი



დეკანოზი გიორგი (ხოჯავა)
წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის
კასპის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი

## ბოლოსიტყვა

„მეცხრამეტე საუკუნიდან მომავალი ვარ...“ – ამ სიტყვებით იწყებს ერთ-ერთ თავის მოგონებას დეიდაჩემი, ბაბო მჭედლიძე... მე კი შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ მისი წყალობით გავიზარდე მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის 20-იანი წლების გარემოცვასა და ატმოსფეროში... გამოვიარე მთელი მეოცე საუკუნე თავისი ომებითა და მშვიდობით – 40-იანი, 60-იანი, 90-იანი წლებით – და ახლა შევაბიჯე 21-საუკუნეში, რომლის დასაწყისიც ძალიან მაგონებს ამ წიგნში გაცოცხლებულ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟს, თავისი წინააღმდეგობებით, ძიებებითა და „მოძრაობებით“, დუღილითა და ბრძოლებით... ვხედავ, როგორ მეორდება ისტორია საუკუნეების გასაყარზე და არა მარტო ჩვენთან...

და ვფიქრობ, იქნებ ახლა მაინც, ჩვენი ისტორიის უკვე მეორე ათასწლეულის დასაწყისში წრფელი სინდისითა და წმინდა გონების თვალით გადავხედოთ ამ „ხანმოკლე“ მეოცე საუკუნეში განვლილ უსწორმასწორო და ოღროჩოღრო გზას, რომ არ გავიმეოროთ ის საბედისწერო ცოდვები და შეცდომები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ძმათა სისხლისღვრით მთავრდება...

ახლა ბაბუაჩემის, მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის პირდაპირ შთამომავლებში მე ყველაზე უფროსი ვარ და არ ვიცი, როდის შევუერთდები ჩემი წინაპრების მარადიულ სამყოფელს, ამიტომაც მინდა მის შთამომავლებს ახსოვდეთ, რომ მოწამეობრივი აღსასრული, რომელიც წილად ხვდა მღვდელ სიმონ მჭედლიძეს 1924 წლის აგვისტოს ღამეს, მისი ქრისტიანული ღვაწლით აღსავსე ცხოვრების განგებულებითს დასასრულსა ჰგავს, რაც მომავალ თაობებს ავალებს, რომ გულისყურით შეისმინონ ამ ჭეშმარიტი მოძღვრის შეგონება: *„ჯერ სიყვარული ქრისტესი, ე.ი. მტკიცედ შეთვისება ქრისტეს მოძღვრებისა... „ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი, და და ესე ყოველი მოგეცეს თქუენ“... სასუფევლის ძებნა შეიცავს ზნეობრივ აღზრდას, ხოლო, როცა ზნეობრივად გავიზრდებით, ერთმანეთის მტრობაც მოისპობა...“* .

ამიტომაც ეს წიგნი ეძღვნება 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულ მშვიდობიან მომიტინგეებსა და ლეგენდად ქცეულ გია აბესაძეს, რომელმაც 9 აპრილიდან, ამ საყოველთაო ეროვნული ერთსულოვნების ზეიმიდან სულ ცოტახანში, 1991 წლის 21 სექტემბერს, შუა რუსთაველის გამზირზე, თავი დაიწვა სამოქალაქო დაპირისპირებისადმი პროტესტის ნიშნად, იმისათვის რომ შეეჩერებინა ერთმანეთთან დაპირისპირებულ მოძმეთა სისხლისღვრა... და ეს არ იყო აფექტის შედეგი: წინა საღამოს მან თავის პატარა შვილს დაუტოვა წერილი, რომელშიც პატიებას სთხოვდა ამ განწირული სულისკვეთების გამო.

რედაქტორი
2015

საარქივო მასალების მოძიებისა და მოწოდებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ იოსებ გრიშაშვილის მუზეუმის დირექტორს, ბატონ **ნოდარ გრიგალაშვილს**; ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორს, **მერაბ კეზევაძეს**; აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორს, **რუსუდან საღინაძეს**; ასევე, საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფს, **კოტე ალიბეგაშვილს** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული გაზეთის, „შინაური საქმეების" ციფრული ფონდის შექმნისათვის.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო ის დაუღალავი შრომა და და გულისხმიერი ღვაწლი, რომელიც ამ წიგნზე მუშაობისას – კომპიუტერული უზრუნველყოფის, დაკაბადონების, დიზაინისა და, საერთოდ, გამოცემისათვის გასწია **ალეკო ჯიქურიძემ**.